


მაია ნინიძე
ქეთევან გიგაშვილი

სახელმძღვანელო ასახავს ტექსტოლოგიის განვითარების თანამედროვე მდგომარეობას, სხვადასხვა ქვეყნის ტექსტოლოგიურ სკოლებს შორის არსებულ ტერმინოლოგიურ სხვაობებს, კვლევის როგორც ტრადიციულ, ისე უახლეს მეთოდებსა და ტექნოლოგიებს, ფუნდამენტური ტექსტოლოგიური კვლევების გამოყენების ასპექტებსა და დარგის განვითარების პერსპექტივებს. საილუსტრაციოდ მოხმობილია მაგალითები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ტექსტოლოგიური კვლევების ისტორიიდან და ავტორთა პირადი სამეცნიერო გამოცდილებიდან. სახელმძღვანელო შეიქმნა „ტექსტოლოგიისა და გამოცემათმცოდნეობის“ სადოქტორო პროგრამის სტუდენტებისთვის, მაგრამ იგი წაადგებათ სხვა ჰუმანიტარული მიმართულების სტუდენტებსაც, რომელთა სასწავლო პროგრამაც მოიცავს ტექსტოლოგიის კურსს.

ტექსტოლოგია

მაია ნინიძე
ქეთევან გიგაშვილი

ტექსტოლოგია



მაია ნინიძე, ქეთევან გიგაშვილი

ტექსტოლოგია

სახელმძღვანელო დოქტორანტურის საფეხურის
სტუდენტებისათვის

2018

უკ (UDC) 801.82(075.8)
ნ-674



იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი



შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

საგანმანათლებლო-კვლევითი პროექტი „ტექსტოლოგია და გამოცემათმცოდნეობა“ (გრანტი #DP2016_18) ხორციელდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. სახელმძღვანელოში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორებს და, შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

The educational-research project ‘**Textual Scholarship and Editorial Studies**’ (Grant #DP2016_18) is being made possible by financial support from Shota Rustaveli National Science Foundation. All ideas expressed herewith are those of the authors and may not represent the opinions of the Foundation itself.

www.rustaveli.org.ge

© იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

© მაია ნინიძე, ქეთევან გიგაშვილი

ყველა უფლება დაცულია.

გამომცემლობა „პრინტაქო“, 2018

თბილისი, ბუდაპეშტის ქ. №11

☎: +995 32 222 06 08

ელ-ფოსტა: ichachanidze@mail.ru

ISBN 978-9941-8-0164-8

სახელმძღვანელოში გამოყენებულია ის ტექსტური მასალა, დავალებების პაკეტი და მეთოდები, რომლებიც აპრობირებულ იქნა „ტექსტოლოგიისა და გამოცემამთვლენობის“ სადოქტორო პროგრამის სასწავლო პროცესში. მადლობას ვუხდით დოქტორანტებს: გიორგი კალანდაძეს, თეა თვალავაძეს, ესმა მანიასა და მაია ჯანგიძეს პროექტში კონსტრუქციული მონაწილეობისა და სხვადასხვა ავტორის ხელწერათა ცხრილების მომზადებისთვის და გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმს საილუსტრაციო მასალის მოწოდებისთვის.

რედაქტორები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ზურაბ ჭუმბურიძე**
ფილოლოგიის დოქტორი,
პროფესორი **დარეჯან თვალთვაძე**

რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
მიხეილ ქავთარია
ფილოლოგიის დოქტორი
ნათია სიხარულიძე

შესავალი

საქართველოს, სულ ცოტა, თექვსმეტსაუკუნოვანი წერილობითი კულტურა აქვს და, რამდენადაც ტექსტოლოგია არის მოძღვრება ტექსტის შესახებ და მისი კვლევის ძირითადი ობიექტი არის წერილობითი ტექსტი, ბუნებრივია, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ეს დარგი ჩვენი ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობისაა. ტექსტოლოგიური კვლევები სათავეს იღებს მეცნიერების ამ დარგის ჩამოყალიბებამდე ბევრად ადრე, ძვ. წ. მე-3 საუკუნიდან, როდესაც ეგვიპტეში, ალექსანდრიის ბიბლიოთეკაში, იწერდნენ, ერთმანეთს ადარებდნენ და აღწერდნენ უძველეს ტექსტებს.

ასევე ადრე დაიწყო ამ ტიპის კვლევები საქართველოშიც. მას საფუძველი ჩაეყარა როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ არსებულ სკრიპტორიუმებში, და განვითარების შემდგომ საფეხურზე ავიდა სტამბური ბეჭდვის შემოღებასთან ერთად. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1709-1712 წლებში ახალი აღთქმის, ფსალმუნებისა და „ვეფხისტყაოსნის“ ვახტანგ მეექვსისეული გამოცემები, რომლებსაც წინ უსწრებდა სწავლულთა კომისიის მიერ არაერთი ხელნაწერის ერთმანეთთან შედარება, ტექსტის დადგენა და კომენტირება.

ეს ტრადიცია გაგრძელდა მე-19 საუკუნეშიც. ცალკეულ თხზულებათა გამოცემებს, მაგალითად, „ვისრამიანისას“, „ვეფხისტყაოსნისას“ და სხვ., საფუძვლად დაედო ტექსტის დამდგენი საგანგებო კომისიების თავდადებული მუშაობა.

მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან ძველი ტექსტების დადგენასა და გამოცემაში დიდი წვლილი შეიტანა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრამ. აქ მეცნიერულად იკვლევდნენ და გამოსცემდნენ არაერთ უძველეს ტექსტს და, რამდენადაც მათი უმრავლესობა სასულიერო ხასიათისა იყო, საბჭოთა ათეისტურ სახელმწიფოში ქართველი მკითხველი ამ ლიტერატურას ეცნობოდა სწორედ მათი გამოცემების წყალობით. აქვე საგულისხმოა, რომ ცენზურის მხრივ აკრძალვის თავიდან ასაცილებლად ამ გამოცემების სათაურებში ან საერთოდ არ ფიგურირებდა,

ან საგანგებოდ მიჩქმალული იყო ტექსტების რეალური სახელწოდებები. მაგალითად, ძველი აღთქმის წიგნებს ერქვა „მცხეთური ხელნაწერი“, სახარებისას – „ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია“ და სხვ.

მე-20 საუკუნის შუა წლებში, როდესაც დაიწყო საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში ტექსტოლოგიის მეცნიერების ცალკე დარგად ჩამოყალიბება, გაჩნდა საჭიროება, რომ შემუშავებულიყო დარგობრივი პრინციპები, შერჩეულიყო მეთოდები და დაგვეწყო ზრუნვა არა მხოლოდ ძველი, არამედ ახალი და უახლესი ლიტერატურის ძეგლების მეცნიერულ და აკადემიურ გამოცემებზეც. რამდენადაც საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდა, იქ კი ტონის მომცემი ყველაფერში რუსეთი იყო, ქართული თეორიული ტექსტოლოგიური ნაშრომები კონცეპტუალურად ზუსტად მიჰყვებოდა რუსულს და ტერმინოლოგიური კორპუსიც მის მიხედვით იქმნებოდა.

ქართული ტექსტოლოგიის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო 1957 წელს ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში ტექსტოლოგიის განყოფილების შექმნა. ათწლეულების განმავლობაში აქ მზადდებოდა ქართველ კლასიკოსთა თხზულებების მეცნიერული და აკადემიური გამოცემები. საბჭოთა კავშირში ტექსტოლოგიას დიდი ყურადღება ექცეოდა და, ასე თუ ისე, საქართველოსაც ეძლეოდა დარგის განვითარების საშუალება, მაგრამ ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, როდესაც შესაძლებელი გახდა, გავცნობოდით მსოფლიოს სამეცნიერო მიღწევებს, გარკვეული დრო დაგვჭირდა იმისათვის, რომ ვითარებაში გავრკვეულიყავით და განვითარების სტრატეგია შეგვემუშავებინა. მხოლოდ 21-ე საუკუნის დასაწყისში აღმოვაჩინეთ, რომ ტერმინი „Textology“ „ტექსტოლოგიის“ აღსანიშნად ინგლისურ ენაში არ გამოიყენებოდა და ბევრმა ევროპელმა მეცნიერმა არც კი იცოდა მისი არსებობის შესახებ.

იმ დარგის აღსანიშნად, რომელსაც ჩვენ „ტექსტოლოგიას“ ვუწოდებთ, ინგლისურ ენაზე იყენებენ ტერმინებს: „Textual Criticism“ და „Textual Scholarship“.

მეცნიერების ეს მიმართულება საოცარი სისწრაფით ვითარდება.

ტექსტის დასადგენად, დასათარიღებლად, ავტორობისა და სხვა ცალკეული საკითხების გასარკვევად ტექსტოლოგიურ კვლევებსა და მის შედეგებს იყენებენ მეცნიერების ყველა იმ დარგში, რომელიც ტექსტის შესწავლაზეა ორიენტირებული. მათ შორისაა: ისტორია, ლიტერატურათმცოდნეობა, ფილოლოგია და სხვ. შესაბამისად, მათი განვითარებაც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ტექსტოლოგიის მიღწევებზე.

ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, ტექსტოლოგია არნახულ აღმავლობას განიცდის ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამიტომ ვცდილობთ, რომ მაქსიმალურად ამომწურავი ინფორმაცია მივიღოთ მათ მიერ დამკვიდრებულ სიახლეებზე, რაშიც დიდ დახმარებას გვიწევს ურთიერთობა ბირმინჰემის უნივერსიტეტის ტექსტოლოგიისა და ელექტრონული აკადემიური გამოცემის ინსტიტუტთან.

დარგის გადასარჩენად უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა 2016 წელს „ტექსტოლოგიისა და გამოცემათმცოდნეობის“ სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამის დაფინანსებას შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ.

ამ პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის შევსება უახლესი ინგლისურენოვანი დარგობრივი ლიტერატურით, „ტექსტოლოგიისა და გამოცემათმცოდნეობის ციფრული ბიბლიოთეკის“ შექმნა, წინამდებარე სახელმძღვანელოს მომზადება და გამოცემა.

ამავე პროექტის ფარგლებში დაარსდა „ტექსტოლოგიის, გამოცემათმცოდნეობისა და ციფრული ჰუმანიტარიის ასოციაცია“, რომელმაც უკვე დაიწყო პირველი ტექსტოლოგიური პროექტის განხორციელება. ეს არის „გურამ რჩეულიშვილის საოჯახო არქივის გაციფრულება და აღწერა“.

გარდა ამისა, მზადდება კრებული, რომელშიც მიმოხილული იქნება უცხო ენებზე უკანასკნელ წლებში გამოცემული უმნიშვნელოვანესი ტექსტოლოგიური ნაშრომები. განზრახული გვაქვს ელექტრონული დარგობრივი ჟურნალის გამოცემა.

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია დოქტორანტურის საფეხურის

სტუდენტებისათვის ტექსტოლოგიის თანამედროვე მიღწევების გაცნობა, ტექსტოლოგიური კვლევის უნარების გამომუშავება, უახლესი მეთოდებისა და ტექნოლოგიების ანალიზი და მათ ათვისებაში დახმარება.

იმისათვის, რომ დოქტორანტებმა შეძლონ მიღებული თეორიული ცოდნის რეფლექსირება და პრაქტიკაში წარმატებით გამოყენება, წიგნის თითოეულ თავს ვურთავთ დავალებების პაკეტს, ხოლო იმისათვის, რომ სტუდენტებს საშუალება ჰქონდეთ, თავადაც გააგრძელონ ცოდნის გაღრმავება აქ განხილული ნებისმიერი მიმართულებით, ყოველი თავის ბოლოს ვთავაზობთ განხილულ თემებთან დაკავშირებულ დამატებით ლიტერატურას, სახელმძღვანელოს ბოლოს კი – ძირითად ტერმინთა ინგლისურ და რუსულ შესატყვისებს და განმარტებით ლექსიკონს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სხვადასხვა ტექსტოლოგიური სკოლა განსხვავებულ ტერმინებს იყენებს, ასეთ აპარატს უადრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ მასალის ასათვისებლად, არამედ უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობისა და აზრთა ურთიერთგაზიარებისთვისაც¹.

წიგნში გამოყენებულია შემდეგი შემოკლებები: ქლმ – გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი და ხეც – კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

¹ წიგნში წარმოდგენილი ინგლისურენოვანი და რუსულენოვანი ციტატები თარგმნილია სახელმძღვანელოს ავტორთა მიერ.

I თავი: თანამედროვე ტექსტოლოგია

ძირითადი ტერმინის განმარტებისათვის

იმის გასარკვევად, თუ ინგლისურ ენაზე არსებული ტერმინებიდან რომელი შეესატყვისება ქართულ „ტექსტოლოგიას“, საკითხის განხილვას დავიწყებთ ტერმინის დეფინიციით.

სიტყვა ტექსტოლოგია მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან *textum* (ტექსტი) და ბერძნული სიტყვიდან *λόγος* (მოძღვრება). იგი ლექსიკონებსა და სამეცნიერო ნაშრომებში სხვადასხვაგვარად არის განმარტებული. კონცეპტუალურად თითქმის ყველა დეფინიცია სწორია, მაგრამ ერთგვარ შეჯერებას საჭიროებს. რამდენადაც ტერმინის განმარტება ერთდროულად უნდა იყოს ინფორმაციულიც და კომპაქტურიც, შევეცადეთ თავი მოგვეყარა სხვადასხვა განმარტებაში შემავალი მსგავსი ელემენტებისათვის და ჩამოგვეყალიბებინა თითოეულთან თავსებადი ვერსია. ანალიზის გასაიოლებლად, დეფინიციებს წარმოვადგენთ კონცეპტებად დაშლილი სახით და ვიმსჯელებთ თითოეულზე ცალ-ცალკე:

რომელ სფეროს მიეკუთვნება? ტექსტოლოგიას უმრავლეს შემთხვევაში მოიხსენიებენ ფილოლოგიის დარგად, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამჟამინდელი კლასიფიკაციით, იგი მიეკუთვნება ზოგადად ჰუმანიტარულ მეცნიერებებს.

რას სწავლობს? ტექსტოლოგიის კვლევის ობიექტად გამოყოფენ: ლიტერატურული ძეგლებისა და ისტორიული დოკუმენტების ტექსტებს; ლიტერატურული და სხვა ნაწარმოებების ტექსტებს; წერილობით, ლიტერატურულ და ფოლკლორულ თხზულებებს; მხატვრულ, ლიტერატურულ-კრიტიკულ, ლიტერატურათმცოდნეობით და პუბლიცისტურ თხზულებებს. იმისათვის, რომ შევაჯეროთ სხვადასხვა დეფინიციაში წარმოდგენილი ეს კომპონენტი, გავისენოთ, ტექსტოლოგიური პრაქტიკა – რა სახის ტექსტებზე მუშაობა უხდება ტექსტოლოგს. ესენია ძველი დოკუმენტური და მხატვრული ტექსტები, რომელთა უმრავლესობაც გვიანდელი ასლების სახით არის მოღწეული, და ფოლკლორული ტექსტები, რომელთა შესწავლაც

შესაძლებელი მხოლოდ მათი ჩაწერის შემდეგ გახდა; გარდა ამისა, რამდენადაც ტექსტოლოგი ამზადებს კლასიკოსთა თხზულებების აკადემიურ გამოცემებს, რომლებშიც შედის ოფიციალური დოკუმენტები, უბის წიგნაკები და მინაწერებიც კი, ცხადია, რომ ჟანრობრივი და თემატური თვალსაზრისით ტექსტოლოგი მუშაობს ნებისმიერი სახის ტექსტზე. შეიძლება გაჩნდეს კითხვა, საყიდლების სია, ან სხვა მსგავსი ყოფითი ჩანაწერი შედის თუ არა ტექსტოლოგის კვლევის არეალში. ჟანრობრივ-თემატური თვალსაზრისით ამასთან დაკავშირებითაც არავითარი შეზღუდვა არ არსებობს. საყიდლების სია შეიძლება ეკუთვნოდეს მნიშვნელოვან მოღვაწეს, რომლის თხზულებათა მეცნიერულ გამოცემასაც ამზადებს ტექსტოლოგი, ან ეს სია თავისთავადაც იყოს მნიშვნელოვანი ეპოქის, ან სოციალური ჯგუფის ისტორიული ყოფის საკვლევადა. ამიტომ ტექსტოლოგიის კვლევის ობიექტის განმარტებისას, ვფიქრობთ, ტექსტების ჟანრისა და თემატიკის დაზუსტებაზე მეტად არსებითია იმის აღნიშვნა, რომ იგი შეისწავლის „ისტორიულ-კულტურული ღირებულების ტექსტებს“.

რა წყაროებს ეყრდნობა? ტექსტოლოგიის განმარტებებში ხშირად გვხვდება, რა სახის წყაროებზე დაყრდნობით სწავლობს ტექსტოლოგია კვლევის ობიექტს. ნახსენებია: ხელნაწერები, ბეჭდური პუბლიკაციები, ისტორიული დოკუმენტები და ასევე – „ტექსტის ყველანაირი ფორმა“. რამდენადაც თანამედროვე ტექსტოლოგმა ტექსტის საკვლევადა, მართლაც, ნებისმიერი ფორმის წყარო შეიძლება გამოიყენოს, მათ შორის, ავთენტური აუდიო და ვიდეო ჩანაწერებიც კი, ვფიქრობთ, რომ დეფინიციაში სიტყვასთან „წყარო“, არავითარი დაკონკრეტება არ არის საჭირო.

რა მიზნები და ამოცანები აქვს? ტექსტოლოგიის მიზნებსა და ამოცანებში, სხვადასხვა განმარტების მიხედვით, მოიაზრება: ტექსტის ავტორისეული ვარიანტის დადგენა; ტექსტის აღდგენა იმ ფორმით, რომელიც ყველაზე ახლოა ორიგინალთან; ავტორის დონეზე ტექსტის ისტორიის დადგენა; გენეალოგიის გამოვლენა; შემოქმედებითი ისტორიის რეკონსტრუქცია; დიაქრონიული, ისტორიულად გააზრებული და კრიტიკული წაკითხვები და ჩანაფიქრიდან საბოლოო ხორცშესხმამდე თითოეულ ეტაპზე

ტექსტის დადგენა / აღდგენა. ეს კომპონენტები სრულად მოიაზრება ფრაზაში „ტექსტის შემოქმედებითი ისტორიის რეკონსტრუქცია“ და ვფიქრობთ, რომ განმარტებაში ამ ჩამონათვალიდან საკმარისი იქნება მხოლოდ მისი შეტანა.

ტექსტოლოგიის მიზნებსა და ამოცანებში ასევე გვხვდება ტექსტის კრიტიკული შემოწმება და დადგენა, რედაქციების, ვარიანტების, ინტერპრეტაციისა და ჩარევების (რედაქტორის, ცენზორის და სხვ.) განსაზღვრა; ტექსტის ისტორიის დადგენა „გვიანდელი რეცეფციების დონეზე“, ანუ ტექსტის დადგენა მისი შემდგომი განვითარების მანძილზე — გადაწყვერებთან, რედაქტორებთან, კომპილატორებთან და სხვ. ვფიქრობთ, რომ ტერმინი „კრიტიკული ტექსტის დადგენა“ გულისხმობს თითოეული ამ ტიპის კვლევას და განმარტებაში საკმარისი იქნება მხოლოდ მისი შეტანაც.

რაც შეეხება ტექსტის მეცნიერულად გამოცემას, ან გამოსაცემად მომზადებას, ვფიქრობთ, რომ ეს ამოცანა „ტექსტოლოგიის“ განმარტებაში ინერციით არის შემორჩენილი იმ დროიდან, როდესაც დარგის ერთადერთი მიზანი ტექსტის გამოცემა იყო. ეს მიზანი მას, რა თქმა უნდა, დღესაც აქვს, მაგრამ იგი არ არის ერთადერთი. მაგალითად, ამა თუ იმ ტექსტის ატრიბუციული კვლევა მხოლოდ იმ მიზანს არ ემსახურება, რომ გამოცემაში ტექსტთან ავტორის სახელიც იყოს მითითებული, ხოლო ტექსტის დათარიღებაზე მუშაობა მხოლოდ იმისთვის არ არის საჭირო, რომ მის ბოლოს კვადრატულ ფრჩხილებში დრო მივანიშნოთ. ტექსტის გამოცემის განზრახვასთან შეიძლება სულაც არ იყოს დაკავშირებული რომელიმე წყაროს ავტორიტეტულობის კვლევა, ტექსტის ავთენტური ფორმის დადგენა, ან თუნდაც ვარიანტულ წაკითხვათა კრიტიკული ანალიზი.

ტექსტოლოგიურ კვლევებს თავისთავადი ღირებულება აქვს და მათი მიზანი არ არის მხოლოდ ტექსტის მეცნიერული გამოცემა, ან გამოსაცემად მომზადება. ამის გამო ტერმინის შედარებით გვიანდელ დეფინიციებში დაიწყეს სხვა მიზნების მითითებაც. მაგალითად, ერთ-ერთ რუსულენოვან განმარტებაში დარგის მიზნები ასეა ჩამოყალიბებული: „შემდგომი კვლევა, ინტერპრეტირება, გამოქვეყნება და სხვ.“

ჩვენი აზრით, ის, რომ მიზნები არაერთია, არსებითად სწორია, მაგრამ

ტერმინის დეფინიციაში ამდენნაირი, თავისთავად მრავლისმომცველი და თან ამოუწურავი რაოდენობის („და სხვ.“ –ში ხომ კიდევ ბევრი რამ შეიძლება მოიაზრებოდეს) მიზნის მითითება სცილდება დეფინიციის პრინციპებს და განმარტებაში მათი შეტანა აზრს კარგავს.

თუ გავითვალისწინებთ ციფრული ტექნოლოგიების განვითარების ფონზე გამოცემათმცოდნეობის შესაძლებლობების გაფართოებას, ამ მხრივაც ჩნდება იმის საჭიროება, რომ უკეთ გამოიკვეთოს ამ ორი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული, ან, როგორც ზოგჯერ უწოდებენ, „ჰუმანიტარულ მეცნიერებათათვის ფუნდამენტური ამ ტყუბი დარგის“ – ტექსტოლოგიისა და გამოცემათმცოდნეობის – მიზნები და ამოცანები. ტექსტის გამოცემა გამოცემათმცოდნეობის პირდაპირი მიზანია და არა ტექსტოლოგიისა და ვფიქრობთ, რომ იგი „ტექსტოლოგიის“ განმარტებაში არ უნდა შევიტანოთ.

ტექსტოლოგიის სხვადასხვა დეფინიციაში აღნიშნული ის ამოცანები, რომლებიც უკავშირდება ტექსტის: „განმარტებას“, „კომენტირებასა“ და „მონაცემთა დოკუმენტაციას“, შეგვიძლია გავაერთიანოთ ტერმინში „სამეცნიერო აპარატი“, მაგრამ ცალკე საკითხია, უნდა შედიოდეს თუ არა ეს მუხლი ტერმინის დეფინიციაში. მართალია, აპარატის თითოეული კომპონენტი (მაგალითად, ბიბლიოგრაფია, ხელნაწერის აღწერილობა, პირთა იდენტიფიკაცია და სხვ.) თავად არის ხოლმე დამოუკიდებელი ტექსტოლოგიური კვლევის ობიექტი, მაგრამ აპარატის ცალკე კომპონენტად წარმოდგენაც მხოლოდ ტექსტის გამოცემასთან ასოცირდება.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ტერმინის დეფინიცია ასეთ სახეს იღებს: *ტექსტოლოგია არის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგი, რომელიც სწავლობს ისტორიულ-კულტურული ღირებულების მქონე ტექსტებს, აყალიბებს კვლევის საგანთან დაკავშირებულ თეორიულ დებულებებს, შეიმუშავებს წყაროების შესწავლის, შემოქმედებითი ისტორიის რეკონსტრუქციისა და კრიტიკული ტექსტის დადგენის პრინციპებსა და მეთოდებს და პრაქტიკულად ახორციელებს ამ ამოცანებს.*

ტერმინ „ტექსტოლოგიის“ ინგლისური ალტერნატივები

იმისათვის, რომ „ტექსტოლოგიის“ აღმნიშვნელი ტერმინის ინგლისური ეკვივალენტი სწორად შევარჩიოთ, საჭიროა თვალი მივადევნოთ თითოეული მათგანის წარმოშობის ისტორიას და დღევანდელ მნიშვნელობას.

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც საგამომცემლო საქმიანობის გააქტიურებასთან ერთად, სულ უფრო აშკარა გახდა, რომ კლასიკური ლიტერატურის შესწავლა მნიშვნელოვანწილად იყო დამოკიდებული დაზიანებული სახით მოღწეული ტექსტების სწორად ამოკითხვასა და გამოცემაზე, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ტექსტოლოგიის განვითარებისაკენ.

იტალიელმა ფილოლოგმა, კარდინალმა ანჯელო მაიმ ახალადმოჩენილი პალიმფსესტების მიხედვით გამოაქვეყნა ბერძენ და რომაელ ავტორთა ტექსტები, ჯონ ბენგელმა კი დაამკვიდრა ბიბლიური ტექსტების გამოცემის პრინციპი, რომლის მიხედვითაც, წყაროების მნიშვნელობა უნდა განსაზღვრულიყო მათი გენეალოგიური თანმიმდევრობის მიხედვით.

1850 წელს გერმანელმა მეცნიერმა კარლ ლახმანმა ლუკრეციუსის თხზულების ტექსტის დასადგენად გამოიყენა სტემატური მეთოდი, რომელიც ემყარებოდა „მსავსის შეცდომების“ კვლევას. იმ ეტაპზე ტექსტოლოგიის მეცნიერების დარგად ჩამოყალიბებისა და მისი განვითარებისკენ გადადგმული თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ნაბიჯი კონკრეტული გამოცემების განხორციელებას უკავშირდებოდა.

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ტექსტოლოგიასთან მიმართებით გამოიყენებოდა ტერმინი „დაბალი კრიტიკა“ (Lower Criticism), რომელიც ბიბლიური ტექსტების ცნობილმა მკვლევარმა იოჰან გოტფრიდ ეიხჰორნმა დაამკვიდრა. ეს ტერმინი დიქტომიურად უპირისპირდებოდა მაღალი საფეხურის – ლიტერატურათმცოდნეობით კრიტიკას, მაგრამ აღსანიშნავია, რომ იმ ეტაპზე ისეთი საკითხები, როგორიცაა: ტექსტის ატრიბუცია, დათარიღება, შემოქმედებითი ისტორია და სხვ., რომლებსაც დღეს ტექსტოლოგია სწავლობს, შედიოდა არა დაბალი, არამედ მაღალი კრიტიკის კომპეტენციაში.

ამავე საუკუნის მეორე ნახევრიდან დასავლეთში გაჩნდა ტერმინი „ტექსტის კრიტიკა“ („Textual Criticism“). ქართულში ამ ტერმინის შესატყვისად ზოგჯერ იყენებენ „ტექსტუალურ კრიტიკას“, მაგრამ, რამდენედაც ამ სიტყვაში ერთნაირი ფუნქციის მქონე ორი სუფიქსი „უალ“ და „ურ“ იყრის თავს, მხოლოდ „ტექსტურის“ გამოყენებამ კი შეიძლება აზრობრივი აღრევა გამოიწვიოს (შეიძლება იგი აღვიქვათ, როგორც ტექსტის ფორმით წარმოდგენილი და არა ტექსტთან დაკავშირებული კრიტიკა), ვფიქრობთ, უმჯობესია დავამკვიდროთ ტერმინი „ტექსტის კრიტიკა“.

რამდენადაც ტექსტის გამოცემისადმი ამ დროიდან ორგვარი მეცნიერული მიდგომა არსებობდა – მას ერთი რომელიმე წყაროს მიხედვით უცვლელად ბეჭდავდნენ, ან შეჰქონდათ სწორებები სხვა წყაროებიდან და მიმართავდნენ კონიექტურას, გამოცემათა ამ ტიპების განსასხვავებლად, ისეთ გამოცემას, რომელშიც სწორებები შეჰქონდათ, უწოდეს „კრიტიკული“, მისთვის ტექსტის მომზადებას კი – „ტექსტის კრიტიკა“.

„ტექსტის კრიტიკას“ კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი, კლასიკური ლიტერატურისა და ტექსტოლოგიის სპეციალისტი – ედუარდ კენი ასე განმარტავს: ტექსტის კრიტიკა არის ორიგინალურ ფორმასთან მაქსიმალურად მიახლოებული ტექსტის აღდგენის საშუალება. ტექსტში მოიპოვება ოფიციალური დოკუმენტების გარდა სხვა სახის ნაწერები, შესრულებული ქალღმერთი, ეტრატზე, პაპირუსზე ან მსგავს მასალაზე. ოფიციალური დოკუმენტებს სწავლობს სხვა დარგი – დიპლომატიკა, ქვაზე ნაწერებს – ეპიგრაფიკა, მონეტებზე და ბეჭდებზე – ნუმისმატიკა და სიგილოგრაფია.

ტერმინი „ტექსტოლოგია“ პირველად მე-20 საუკუნის 30-იან წლებში გამოიყენა პეტერბურგელმა მეცნიერმა ბორის ტომაშევსკიმ და ტექსტის კრიტიკასთან ერთად მისი კვლევის ობიექტად დასახა ტექსტის ისტორიის შესწავლა და კვლევის პრინციპების ჩამოყალიბებაც. მაგრამ ეს ტერმინი ძირითადად იმჟამინდელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში დამკვიდრდა. ეტიმოლოგიურად მისი მონათესავე ტერმინი „Textology“ კი ინგლისურენოვან სამყაროში გამოიყენება მეცნიერების სულ სხვა დარგის – ტექსტის ლინგვისტიკის –

სინონიმად. მას ტექსტოლოგიის აღსანიშნად არ იყენებენ და თავად ტერმინის ავტორ ბორის ტომაშევსკისაც ტექსტის კრიტიკოსად მოიხსენიებენ.

ტექსტის კრიტიკა (Textual Criticism) მხოლოდ ნაწილობრივ მოიცავს იმას, რის აღსანიშნადაც გამოიყენება „ტექსტოლოგია“. ტექსტის კრიტიკოსი მეტწილად ორიენტირებულია თხზულების ავთენტური სახის დადგენაზე და მისი კვლევის არეალში არ შედის ატრიბუცია, დათარიღება, პირთა იდენტიფიკაცია და სხვ., რომლებიც ჩვენთან ტექსტოლოგიური კვლევების ძირითადი საყრდენებია. გარდა ამისა, თუ ტექსტის კრიტიკას გავმიჯნავთ დიპლომატიური გამოცემებისაგან, რომლებშიც ტექსტი ყოველგვარი სწორების გარეშე ქვეყნდება, გამოვა, რომ ამ უკანასკნელის მომზადება ტექსტოლოგის კომპეტენციაში არ უნდა შედიოდეს. მართალია, ამ გამოცემაში სწორებები არ ხდება, მაგრამ ზუსტი ტრანსკრიპტის შედგენას ხომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ვინ უნდა გააკეთოს ეს, თუ არა ტექსტოლოგმა? შესაბამისად, არა მხოლოდ კრიტიკული, დიპლომატიური გამოცემის მომზადებაც ტექსტოლოგის საქმეა.

„ტექსტოლოგია“ იმ გაგებით, როგორც იგი ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში არის დამკვიდრებული საქართველოში, უფრო შესაბამეა დღეს მსოფლიოში გავრცელებულ მეორე ტერმინს „Textual Scholarship“ – „მოდღვრება / სწავლება ტექსტის შესახებ“. მაგრამ აქაც ზუსტ შესატყვისობაზე ვერ ვისაუბრებთ, რადგან მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ „Textual Scholarship“ არ არის ერთი ცალკეული დისციპლინა, არამედ არის მომიჯნავე დისციპლინათა გამაერთიანებელი ტერმინი, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ ტექსტის კრიტიკას, არამედ სტემატოლოგიას, პალეოგრაფიას, გენეტიკურ კრიტიკას, ბიბლიოგრაფიას, წიგნის ისტორიას, ეპიგრაფიკას, კოდიკოლოგიასა და დიპლომატიკას. დეფინიციების მიხედვით, ანალოგიური ფართო მნიშვნელობა აქვს კიდევ ერთ ტერმინს – „Textual Studies“.

ტერმინთა მრავალფეროვნებისა და მათ შორის კონცეპტუალური სხვაობის პირობებში, ქართული ტექსტოლოგია დადგა არჩევანის წინაშე – რომელი ინგლისური ფრაზა გამოვიყენოთ „ტექსტოლოგიის“ შესატყვისად. ინგლისელ კოლეგებთან კონსულტაციების შედეგად გავარკვიეთ, რომ

ტერმინ „Textology“-ს ინგლისურში გამოყენება არ ივარგებს, რადგან სპეციალისტთა დიდი ნაწილისთვის იგი საერთოდ უცნობია. ქართველი მეცნიერები „ტექსტოლოგიის“ ეკვივალენტად, ძირითადად, „Textual Criticism“-ს იყენებენ, მაგრამ რამდენადაც მას „ტექსტოლოგიაზე“ ბევრად ვიწრო გაგება აქვს, ვფიქრობთ, უმჯობესი იქნება ამ მიზნით ტერმინ „Textual Scholarship“-ის დამკვიდრება.

დარგობრივი ტერმინოლოგია

მეცნიერების ნებისმიერი დარგის სრულფასოვანი განვითარებისათვის აუცილებელია იმ ცნებების, მოვლენების, აქტივობებისა და მეთოდების შესატყვისი ტერმინების არსებობა, რომელთა მოხსენიებაც დარგის სპეციალისტებს სჭირდებათ პროფესიულ საქმიანობაში. ქართული ტექსტოლოგიური ტერმინოლოგია გადახალისებას და შევსებას საჭიროებს. ძალზე მოუხერხებელია, როდესაც ტექსტოლოგს ცნების ან მოვლენის პირდაპირი სახელდების ნაცვლად, მუდმივად უხდება მისი აღწერა-დახასიათება, რის გარეშეც მკითხველს სათქმელს ვერ აგებინებს.

თანამედროვე ინგლისურენოვან ტექსტოლოგიურ ლიტერატურაში გამოყენებული ტერმინების მოქნილობამ წარმოშვა სურვილი, რომ წინამდებარე სახელმძღვანელოს მეშვეობით ქართულ ტექსტოლოგიაშიც შემოგვეტანა ზოგი მათგანის შესატყვისი. რამდენადაც ტექსტოლოგიურ ტერმინთა უმრავლესობა უცხოური (ლათინური, ინგლისური, რუსული) ტერმინების ტრანსლიტერაციის ან კალკირების შედეგად არის მიღებული, ჩვენც, ძირითადად, ამ ხერხებს მივმართეთ. წინამდებარე ქვეთავში განვიხილავთ იმ ტერმინებს, რომელთა დამკვიდრებაც განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, დანარჩენებს კი წარმოვადგენთ თანდართულ ლექსიკონში.

მანუსკრიპტი: ზოგი თანამედროვე ტერმინი ინგლისურში ადრე არსებულის შინაარსის გაფართოებით არის წარმოქმნილი. მაგალითად, ძველად ტერმინი manuscript აღნიშნავდა მხოლოდ ხელით ნაწერს, ამჟამად

კი მისი მნიშვნელობა გაფართოვდა და აღნიშნავს ასევე მანქანაზე, ან კომპიუტერზე ნაბეჭდ ტექსტსაც, მაგრამ არა სტამბურად გამოქვეყნებულს. ხელით ნაწერს, საბეჭდ მანქანაზე აკრეფილს, ან კომპიუტერზე აწყობილსა და პრინტერით ამობეჭდილ ტექსტს უფრო მეტი საერთო აქვს ერთმანეთთან (არ გაუვლია ცენზორისა და რედაქტორის ხელში), ვიდრე მათ და სტამბურად გამოქვეყნებულს. ამიტომ ტექსტოლოგს ხშირად სჭირდება ამ ფართო ტერმინის გამოყენება ტირაჟირებულ ტექსტებთან შეპირისპირებით.

ქართული ტერმინის „ხელნაწერი“ ზოგიერთ სალექსიკონო დეფინიცი-აში წერია, რომ იგი გამოიყენება არა მხოლოდ ხელით ნაწერი, არამედ მანქანაზე აკრეფილი ტექსტების აღსანიშნად, მაგრამ მას ამ მნიშვნელობით თითქმის არ იყენებენ. როდესაც ტექსტოლოგიურ ნაშრომებში მოვისხენიებთ სიტყვა „ხელნაწერს“, მკითხველთაგან ძალიან ცოტამ შეიძლება იფიქროს, რომ აქ მხოლოდ ხელით ნაწერი არ იგულისხმება. ტერმინ „manuscript“-ის მნიშვნელობის მსგავსა გაფართოებამ ინგლისურში გამოიწვია გაურკვეველობა და გააჩინა იმის საჭიროება, რომ ხელით ნაწერი ტექსტის აღსანიშნად დაეწყოთ სიტყვათშეერთების „written text“ (ნაწერი ტექსტი) გამოყენება. სავარაუდოდ, ჩვენც დავდგებით მსგავსი პრობლემის წინაშე. ამიტომ, ვფიქრობთ, კარგი იქნება, თუ სიტყვა „ხელნაწერს“, როგორც ტერმინს, დავუტოვებთ ვიწრო შინაარსს (ხელით ნაწერი) და იმ ფართო მნიშვნელობის აღსანიშნად, რომელიც სიტყვა „manuscript“-მა მოგვიანებით შეიძინა (არა მხოლოდ ხელით ნაწერი, არამედ საბეჭდ მანქანაზე ამობეჭდილი და კომპიუტერში აკრეფილი), დავამკვიდრებთ მის ტრანსლიტერირებულ ფორმას – „მანუსკრიპტს“, მით უფრო, რომ ძველ ტექსტებთან მიმართებით ეს სიტყვა უკვე ქართულშიაც გვხვდება.

ბიბლიოლოგრაფია, ავტორის, პირველადი და მეორეული ბიბლიოგრაფიები: ტერმინი „ბიბლიოლოგრაფია“ ქართულში, მართალია, გამოიყენება, მაგრამ არა იმ მნიშვნელობით, როგორითაც ინგლისურსა და რუსულში. ამ ენებზე მის განმარტებაში ნათქვამია, რომ ეს არის ბიბლიოგრაფია, რომელიც მოიცავს ინფორმაციას ამა თუ იმ პიროვნების ცხოვრებისეული ფაქტების, მის მიერ შექმნილი და მასზე დაწე-

რილი თხზულებების შესახებ. 1966 და 2007 წლებში ორ ტომად გამოვიდა წიგნი „ილია ჭავჭავაძე: ბიობიბლიოგრაფია“, რომელშიც გვაქვს დანაყოფები: „ილია ჭავჭავაძის ნაწერები“ და „ლიტერატურა ილია ჭავჭავაძის შესახებ“, მაგრამ არ შედის ბიოგრაფიული ფაქტები. ასეთი ტიპის ბიბლიოგრაფიას ინგლისურში უწოდებენ ავტორის ბიბლიოგრაფიას და არა ბიობიბლიოგრაფიას. რამდენადაც ტერმინი „ბიობიბლიოგრაფია“ დაიკავა ისეთი ტიპის გამოცემებმა, რომლებიც რეალურად არის ავტორის ბიბლიოგრაფია (რომელშიც არ შედის ბიოგრაფიული ფაქტები), იმას, რასაც უნდა ეწოდებოდეს ბიობიბლიოგრაფია, გამოქვეყნა სხვა სახელი და დაერქვა „ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანე“, სახელწოდება, რომელიც ინგლისურსა და რუსულში „ბიობიბლიოგრაფიის“ პარალელურად არსებობს და მის სინონიმად გამოიყენება.

ავტორის ბიბლიოგრაფიის სხვადასხვა სახეზე საუბრისას ქართულში მეტწილად ვიყენებთ სიტყვებს: „მისი“ და „მასზე“, რომელთა საშუალებითაც ერთმანეთს ვახვედრებთ, რას ვგულისხმობთ, მაგრამ, როდესაც გვჭირდება ამ ორ ლექსიკურ ერთეულში ნაგულისხმევი ორი სახის ბიბლიოგრაფიის სამეცნიერო მსჯელობაში, ან ნაშრომში მოხსენიება, იმის გამო, რომ ეს მხოლოდ მინიშნებებია და არა ტერმინები, გვიხდება შემოვლითი გზების ძიება, როგორც ეს ილია ჭავჭავაძის „ბიობიბლიოგრაფიის“ შემდგენლებმა გააკეთეს – პირველს დაარქვეს „ილია ჭავჭავაძის ნაწერები“, მეორეს კი – „ლიტერატურა ილია ჭავჭავაძის შესახებ“. მსგავს პრობლემას თავიდან აგვაცილებდა ინგლისური „primary bibliography“ და „secondary bibliography“–ის ანალოგიით ტერმინების: „პირველადი ბიბლიოგრაფია“ და „მეორეული ბიბლიოგრაფია“ დამკვიდრება. პირველით აღვნიშნავდით იმ ავტორის მიერ შექმნილ ლიტერატურას, ვის ბიბლიოგრაფიაზეც ვსაუბრობთ, მეორეთი კი იმას, რაც მასზე დაიწერა.

ავანტექსტი: ინგლისურენოვან ტექსტოლოგიაში გავრცელებული ტერმინი „avant-texte“ (რუს. „авантекст“) აღნიშნავს ყველა იმ ტექსტურ მასალას, რომელიც ავტორმა შექმნა ამა თუ იმ თხზულებაზე მუშაობის პროცესში, იქნება ეს გეგმა, ფრაგმენტი, ადრეული რედაქცია, თუ სხვა. ამ

ტიპის ტექსტებს, ძირითადად, კომპლექსურად ვიკვლევთ, რის გამოც ძალიან მოსახერხებელი იქნება, მათი საერთო სახელის – „ავანტექსტი“ – ქართულში დამკვიდრებაც.

პრეტექსტი: ტერმინით „pre-text“ (რუს. „претекст“) აღინიშნება არსებული ტექსტი, რომლის ელემენტებიც მოგვიანებით გამოიყენა იმავე ან სხვა ავტორმა ახალი ტექსტის შესაქმნელად. პრეტექსტი შეიძლება იყოს ლეგენდა (მაგ. ფაუსტის შესახებ არსებული ლეგენდის მიხედვით შეიქმნა გოეთეს „ფაუსტი“, თომას მანის „დოქტორი ფაუსტუსი“ და კიდევ არაერთი ნაწარმოები), უკვე არსებული მხატვრული ტექსტი (მაგალითად, ილია ჭავჭავაძის „კაცია – ადამიანის?!“ მოტივზე შეიქმნა აკა მორჩილაძის „მოგზაურობა კახეთში“) და სხვ. რამდენადაც ტექსტოლოგია იკვლევს ნაწარმოების შემოქმედებით ისტორიას, ტერმინი „პრეტექსტი“ ძალიან ხშირად გვჭირდება და, ვფიქრობთ, რომ კარგი იქნებოდა მისი დამკვიდრება.

პერიტექსტი, ეპიტექსტი და პარატექსტი: ტერმინი პერიტექსტი („peritext“) გამოიყენება იმ ტექსტების აღსანიშნად, რომლებიც არ არის მთავარი ტექსტის ნაწილი, მაგრამ შედის წიგნის შემადგენლობაში, მაგ., სათაური, ქვესათაურები, ავტორის სახელი, წინათქმა, მიძღვნა, ეპიგრაფი, შენიშვნები, ბოლოთქმა და სხვ. ტექსტთან დაკავშირებულ ამ ელემენტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ავტორის შემოქმედებითი განზრახვის ამოსაცნობად და, ვფიქრობთ, აუცილებლად სჭირდება ასეთი გამაერთიანებელი ტერმინი.

ეპიტექსტი („epitext“) გამოიყენება იმ ტექსტების აღსანიშნად, რომლებიც, როგორც წესი, მთავარ ტექსტთან ერთად არ იბეჭდება, მაგრამ პირდაპირ კავშირშია მასთან. მაგ., განცხადება, რეკლამა, მიმოხილვა, ავტორის გამონათქვამები, მიმოწერა და ჩანაწერები მასთან და მის პუბლიკაციასთან დაკავშირებით. ამ ტიპის ტექსტებში ხშირად არის ისეთი ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვანია ტექსტის კომენტირებისათვის და შემოქმედებითი ისტორიის კვლევისათვის.

პერიტექსტსა და ეპიტექსტს ბევრი რამ აქვს საერთო – არც ერთი არ შედის ტექსტის შემადგენლობაში, მაგრამ ყველაზე უშუალო კავშირი აქვს

მასთან. ამიტომ მარჯვე მოსახმარია ამ წყვილთან დაკავშირებული მესამე ტერმინიც – პარატექსტი („paratext“), რომელიც მოიცავს ორივე მათგანს.

ინციპიტი: ძალიან მოქნილი ტექსტოლოგიური ტერმინია ლათინური წარმოშობის სიტყვა „ინციპიტი“ („incipit“), რომელიც სხვადასხვა ენაში სხვადასხვაგვარად გამოითქმის. იგი აღნიშნავს ტექსტის საწყის სიტყვებს და გამოიყენება იმ ძველი ხელნაწერებისა და ბეჭდური გამოცემების იდენტიფიკაციისათვის, რომლებსაც პირველი გვერდები აკლია, ასევე ძალზე მოსახერხებელია უსათაურო, ან ერთი და იმავე ავტორის ერთნაირი დასათაურების მქონე ტექსტების ერთმანეთისგან განსასხვავებლად. მაგალითად, ილია ჭავჭავაძეს ასობით წერილი აქვს გამოქვეყნებული გაზეთ „ივერიის“ სარედაქციო გვერდზე უსათაუროდ. თანამედროვე გამოცემებში ისინი დასათაურებულია ტექსტოლოგთა მიერ, მაგრამ ზოგჯერ სხვადასხვა კრებულში სხვადასხვა სათაური აქვს და მოხსენიებისას (მაგალითად, მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მატინეში), გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ყველგან ერთვის ტექსტის დასაწყისი სიტყვები. ვაჟა-ფშაველას ათზე მეტი ლექსი აქვს სათაურით „სიმღერა“ და თითოეულ მათგანს სარჩევში ინციპიტი რომ არ ჰქონდეს დართული, ერთმანეთისგან ვერ გამოვარჩევდით.

ტექსტური მოწმე: ქართულ ტექსტოლოგიაში არ გამოიყენება ტერმინის „witness“ (ნიშნავს „მოწმეს“) ზუსტი შესატყვისი. ეს არ არის ფართო ცნებების: „ხელნაწერის“, ან „წყაროს“ ტოლფასი ცნება. გენეალოგიური ჰიპოთეზა ტექსტების ურთიერთმიმართების შესახებ ეყრდნობა არა ხელნაწერს, როგორც არტეფაქტს, ან წყაროს, არამედ ტექსტის იმ მდგომარეობას, მისი განვითარების იმ ეტაპს, რომელსაც ის მოიცავს და რომელიც ამ ხელნაწერზე ბევრად უფრო ადრეული შეიძლება იყოს. ვგულისხმობთ იმას, რომ მე-19 საუკუნის რომელიმე ხელნაწერში დაცული ტექსტი გენეტიკური თვალსაზრისით შეიძლება ამ ნაშრომის უფრო ადრეულ სახეს წარმოადგენდეს, ვიდრე მე-17 საუკუნის სხვა, უფრო ადრეული ხელნაწერი წყაროს ტექსტი. შესაბამისად, ეს ტერმინიც საჭიროა ქართველი ტექსტოლოგებისთვის.

რეფლექსური გრაფიკა: როგორც ტექსტის ავტორები, ისე გადაამწერები ხშირად დოკუმენტშივე, ტექსტთან ერთად მექანიკურად აკეთებენ ერთგვარ ჩანახატებს: ასობეს, გეომეტრიულ ან გაურკვეველ ფორმებს და სხვ. (იხ. ილუსტრაცია N1), რასაც ქართულ ტექსტოლოგიაში შესაბამისი სახელი არა აქვს. ინგლისურენოვან სამეცნიერო ნაშრომებში მას „doodle“-ად – „ნაჯღაბნად“ მოიხსენიებენ. რამდენადაც ტექსტოლოგებს, ძირითადად, საქმე გვაქვს ცნობილ ავტორთა, მათ შორის, კლასიკოსთა ტექსტებთან, სიტყვა „ნაჯღაბნი“ კი უხეშად ხვდება ყურს, გადავწყვიტეთ, ამ ცნების აღსანიშნად გამოვიყენოთ აღწერილობითი ტერმინი – „რეფლექსური გრაფიკა“.

ასოთამწყობი ციფრული ბეჭდვის შემოღებამდე ეწოდებოდა პიროვნებას, რომელიც სტამბაში ტექსტის ასო-ნიშნებს საჭირო თანმიმდევრობით განალაგებდა. თუ ადრე ასოთამწყობობა პროფესია იყო და შესაბამისი განათლებაც სჭირდებოდა, დღესდღეობით ბეჭდვის ძველებურ სისტემასთან ერთად ეს საქმიანობაც გაქრა. მეორე მხრივ, ხშირად გვჭირდება ტექსტის კომპიუტერში ამკრეფის მოხსენიება. ვფიქრობთ, შეგვიძლია, სიტყვათა კომპლექს „ტექსტის ამკრეფის“ ნაცვლად, გავაცოცხლოთ მომაკვდავი ტერმინი „ასოთამწყობი“ და ინგლისური „compositor“ / „typesetter“-ის მსგავსად, თანდათან მასაც დავემკვიდროთ ახალი მნიშვნელობა.

არსებითები და არაარსებითები: ბოლოდროინდელ უცხოურ აკადემიურ გამოცემებში, განსაკუთრებით კი ელექტრონულში, ხშირია ვარიანტულ სხვაობათა დაყოფა კატეგორიების მიხედვით, ძირითადად კი, გამოიყოფა ორი დიქტომიური ჯგუფი – „substantives“ და „accidentals“ – არსებითები და არაარსებითები / შემთხვევითები. პირველი ტერმინი გამოიყენება ისეთი ვარიანტული წაკითხვების აღსანიშნად, რომლებიც იწვევს სემანტიკურ ცვლილებებს, ანუ აისახება შინაარსზე, მეორე კი – ფორმალური, არასემანტიკური ელემენტების ცვლილებათა აღსანიშნად. ვფიქრობთ, ეს ტერმინებიც აუცილებელია.

დივინაცია / ჭვრეტა არის ინტუციასა და გამოცდილებამე დამყარებული ხედვა, რომელიც პირდაპირ არ გამომდინარეობს ობიექტური მოცემულობიდან. იგი განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება კონიექტუ-

რასთან მიმართებით, რადგან ასეთ დროს ტექსტის სწორება ხდება არა წყაროს მონაცემების, არამედ გამსწორებლის ინტუიციასა და ლოგიკაზე დაყრდნობით. კონიექტურა სწორების შეტანის ეტაპია, ჭვრეტა კი - მისი წინმსწრები საფეხური. ამიტომ ორივე ტერმინი გვჭირდება.

ლიტოგრაფია და ჰაპლოგრაფია: უცხოენოვან ტექსტოლოგიაში გამოიყენება ტერმინები „dittography“ და „haplograaphy“. პირველი აღნიშნავს გადამწერის ან მბეჭდავის მიერ ასოების, სიტყვების ან უფრო მსხვილი მონაკვეთების მექანიკურ გამეორებას, მეორე კი პირიქით, იქ სადაც ამ ელემენტების გამეორება იყო საჭირო, მათ მხოლოდ ერთხელ დაწერას. ეს ტერმინები განსაკუთრებით გამოგვადგება თანამედროვე მსოფლიო პრაქტიკაში დამკვიდრებული პრინციპების მსგავსად ტექსტის ვარიანტული სხვაობების კლასიფიცირებისას.

ელიმინაცია / უგულებელყოფა: ტერმინი „eliminatio“ ინგლისურ-ენოვან ტექსტოლოგიაში გამოიყენება დოკუმენტური წყაროს, ხელნაწერის, ან ტექსტის კონკრეტული წაკითხვის უგულებელყოფის, უკუგდების აღსანიშნად. ეს ხდება, როდესაც დგინდება, რომ იგი ჩვენამდე მოღწეული სხვა ხელნაწერიდან არის გადაწერილი და გენეტიკური კრიტიკისათვის განსაკუთრებული ღირებულება არა აქვს. ამ ტერმინის კალკირებულმა ქართულმა ფორმამ უკვე დაიმკვიდრა ადგილი მათემატიკაში და, ვფიქრობთ, ტექსტოლოგიისთვისაც გამოსადეგი იქნება.

ექსპურგაცია: („expurgation“, „экспургация“) ნიშნავს ვინმეს შეურაცხმყოფელი, ან რაიმე სხვა მიზეზით მიუღებელი ადგილების მიზანდასახულად ამოღებას წიგნის მთლიანი ტირაჟიდან. მაგალითად, მე-16 საუკუნეში სველიის არქივისკოპოსმა ფერნანდო ვალდესმა მოახდინა ბიბლიის ზოგიერთი გამოცემიდან ცალკეული ნაწილების ექსპურგაცია, დიდი საბჭოთა ენციკლოპედიიდან მოხდა ლავრენტი ბერიას ფოტოსა და მის შესახებ სტატიის ექსპურგაცია.

კოლაუ ნადირაძის ლექსი „25 თებერვალი, 1921 წელი“ („...სად გმირთა სისხლით ნაპოხიერი, / თოვლს დაეფარა კრწანისის ველი, / წითელი დროშით, მოღვრილ ყელით, / თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით /

შემოდოდა სიკვდილი ცვლით!“) დაიბეჭდა ოქტომბრის რევოლუციის 70 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში. ამ ფაქტმა ხელისუფლების ისეთი აღშფოთება გამოიწვია, რომ წიგნიდან ტექსტის ავტორაფის ექსპურგაციას არ დასჯერდნენ და დაკავებული თანამდებობებიდან გაათავისუფლეს ექვსი პასუხისმგებელი პირი.

კრაქსი: ეს ტერმინი („срux“) გამოიყენება ტექსტის ისეთი რთულად გასარკვევი, საკამათო ვარიანტული წაკითხვების აღსანიშნად, რომლებიც ტექსტოლოგთა შორის ამრთა სხვადასხვაობის საგანი ხდება. რა თქმა უნდა, შეგვიძლია იგი ასეც მოვიხსენიოთ: „სადავო ვარიანტული წაკითხვა“, მაგრამ ამ მოვლენასთან შეხება და მისი მოხსენიება იმდენად ხშირად გვიწევს, რომ ბევრად უფრო მოსახერხებელი იქნება ტერმინის გამოყენება.

ტრანსმისია: ძალზე მნიშვნელოვანი ტერმინია „transmission“. იგი აღნიშნავს ტექსტის გადაწერას, მანქანაზე აკრეფას, კომპიუტერში შეყვანას, ან ბეჭდურად გამოცემას, რაც ემსახურება მის გამეორებას, მაგრამ არ არის გამორიცხული მიზანდასახული ან შემთხვევითი ცვლილება. შესაბამისად, ტერმინში არ მოიაზრება ფოტო და ქსერო ასლი, ან ფოტოტიპური გამოცემა.

პროვენანსი: ტერმინი „provenance“ აღნიშნავს წიგნის, ან ხელნაწერის შექმნის შემდეგდროინდელ ისტორიას, ინფორმაციას სხვადასხვა დროს მისი ადგილმდებარეობისა და მფლობელების შესახებ.

სიგლა: ინგლისური ტერმინი „sigla“ გულისხმობს ასოებს, გრაფიკებს, ან სხვა სახის სიმბოლოებს, რომლებითაც აღნიშნავენ ხელნაწერებისა და წიგნების საცავებს და თავად წყაროებს: მუზეუმს, არქივს, ხელნაწერს, წიგნს, სტემას და სხვ. ტექსტოლოგიური პასპორტის შესადგენად მოქნილობისათვის ქართულშიც ხშირად ვიყენებთ ლათინურ ასოებს, რომლებსაც მოვიხსენიებთ ტერმინით „ლიტერი“. მაგ. M – გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი, A – საქართველოს ეროვნული არქივი და სხვ. ასევე კაპიტალური ლათინური ასოებით აღვნიშნავთ ხოლმე ამა თუ იმ ტექსტის თითოეულ წყაროს. რამდენადაც ასოების ნაცვლად შეიძლება გამოყენებული იყოს სხვა სახის გრაფიკული ნიშნებიც, რაც განსაკუთრებით ხშირია ელექტრონულ გამოცემებში, სიტყვა „ლიტერი“ ამ შინაარსს სრულად

ვერ მოიცავს და საჭიროა „სიგლა“ ტერმინის დამკვიდრებაც.

მიღმური ინფორმაცია: ინგლისურ ტექსტოლოგიაში არსებობს ტერმინი „non-nested information“, რომელიც აღნიშნავს ტექსტში არსებულ წაშლილ ადგილებს, ჩამატებებს, ჩანაცვლებებს, გადაადგილებებს, კალმისმიერ ლაფუსებსა და სხვ. რომლებიც საბოლოოდ დადგენილ ტექსტში არ ჩანს, მის მიღმა რჩება. გენეტიკურ კრიტიკაში ამ ინფორმაციის მიმართებას ტექსტთან ადარებენ კინეზიკური მოვლენების: ჟესტი, მიმიკა და სხვ. მიმართებას მეტყველებასთან. ინგლისური ტერმინის შესატყვისი არის „ბუდის გარეთ დარჩენილი ინფორმაცია“ მაგრამ, სიტყვა „nest“-ის მნიშვნელობათა სპექტრი ინგლისურში მნიშვნელოვნად განსხვავებულია ქართული „ბუდისგან“. ამიტომ კალკირებას მოვერიდეთ და, რამდენადაც ჩვენი მიზანი იყო იმ ინფორმაციის აღნიშვნა, რომელიც ტექსტს მიღმა რჩება, ვირჩიეთ ტერმინი „მიღმური ინფორმაცია“.

ლემა: აკადემიური გამოცემის თითოეული ტექსტის სამეცნიერო აპარატში ვიყენებთ ლემებს („lemma“), ანუ ციტირებებს ტექსტიდან, რომლებიც ცალკე გამოგვაქვს შენიშვნების, კომენტარების ან ანოტაციების მისაწერად. მიუხედავად ამისა, დღემდე არ ვიყენებდით არავითარ ტერმინს მათ აღსანიშნად. ვფიქრობთ, ტერმინი „ლემა“, მისი საჭიროებიდან გამომდინარე, მალე დაიმკვიდრებს ადგილს ქართულ ტექსტოლოგიაში.

სტემა: ასეთივე საჭირო ტექსტოლოგიური ტერმინია „სტემა“ („stemma“), რომელიც აღნიშნავს სხვადასხვა წყაროში წარმოდგენილი ტექსტების გენეტიკური ურთიერთმიმართების სქემას, გენეალოგიური ხის მსგავს დიაგრამულ გამოსახულებას.

ფოლიაცია: ხელნაწერთა ნუმერაცია ხშირად ხდება ფურცლების და არა გვერდების მიხედვით. ამიტომ აუცილებელია, რომ ასეთ შემთხვევებში ვიყენებდეთ ამ აქტივობის შესატყვის ტერმინს „ფოლიაცია“ („foliation“) და არა ტერმინს „პაგინაცია“, რომელიც აღნიშნავს გვერდების მიხედვით დანომვრას.

აკადემიური გამოცემა: ახალი ტერმინოლოგიის დამკვიდრებასთან ერთად, სასურველია, ზუსტად განისაზღვროს ზოგიერთი უკვე არსებული ტერ-

მინის არსი. ინგლისურენოვან ტექსტოლოგიურ ნაშრომებში „აკადემიური გამოცემა“ სტაბილურად მოიხსენიება ერთი ტერმინით „Scholarly Edition“, მაგრამ ქართულსა და რუსულში მასთან დაკავშირებით ზოგჯერ ტერმინ „მეცნიერულ გამოცემასაც“ იყენებენ. ამიტომ, ვფიქრობთ, სასურველია ამ ორი ტერმინის ერთმანეთისაგან გამიჯვნა. ვალენტინ პოლონსკის სამეცნიერო პედაგოგიურ ლექსიკონში აკადემიურ გამოცემასთან დაკავშირებით ნათქვამია, რომ ის არის განსაკუთრებული სიზუსტით მომზადებული, ყველაზე ამომწურავი მეცნიერული გამოცემა, რომელშიც შედის კლასიკური თხზულების მეცნიერულად დადგენილი ტექსტი, სხვადასხვა ვარიანტით, მდიდარი სამეცნიერო აპარატით და საფუძვლიანი კომენტარებით.

ამავე ლექსიკონის მიხედვით, სამეცნიეროდ იწოდება გამოცემა, რომელიც ემსახურება მეცნიერული კვლევის მიზნებს, ასახავს თეორიული ან ექსპერიმენტული კვლევის პროცესსა და შედეგებს, იბეჭდება მონოგრაფიის, დისერტაციის ავტორეფერატის, მოხსენების თემისების, სამეცნიერო შრომების კრებულების, სამეცნიერო კონფერენციების მასალების, ან დოკუმენტური მეცნიერული გამოცემების სახით. როგორც ვხედავთ, განმარტების მიხედვით, აკადემიური გამოცემა თავისი ბუნებით მეცნიერულიც არის, მაგრამ ამ უკანასკნელი ტერმინით მისი მოხსენიება გამოცემის არსს სრული სისავსით ვერ წარმოადგენს. ამიტომ უმჯობესია, რომ მასთან მიმართებით ყოველთვის ვიხმაროთ ზუსტი ტერმინი – „აკადემიური გამოცემა“.

ტექსტოლოგიის მომიჯნავე დისციპლინები

ტექსტოლოგიასთან მჭიდრო კავშირშია ყველა ის დისციპლინა, რომელიც სწავლობს ნებისმიერი სახის მასალაზე აღბეჭდილ ნებისმიერი შინაარსისა და მიზანდასახულობის ტექსტს, ან თავად მატერიალურ ძეგლს, რომელიც ტექსტს მოიცავს.

პალეოგრაფია სწავლობს წერილობით წყაროებს, იკვლევს დამწერლობის წარმოშობა-განვითარებასა და წერის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს: საწერ მასალას, იარაღს, ხელნაწერის მხატვრულ შემკობას,

დაქარაგმების წესებს, განკვეთილობისა და სასვენ ნიშნებს, ჭვირნიშნებს, კრიპტოგრაფიას და სხვ. მეცნიერების დარგად მის ჩამოყალიბებას მე-17-18 საუკუნეების მიჯნაზე დასაბამი დაუდო ბერძნული და ლათინური ძეგლების კვლევამ.

ქართულ პალეოგრაფიას საფუძველი მე-19 საუკუნეში ჩაეყარა. დამწერლობის წარმოშობის საკითხს სწავლობდნენ: დიმიტრი ბაქრაძე, მოსე ჯანაშიელი, ილია ოქრომჭედლიშვილი, დიმიტრი ფურცელაძე, დავით კარიჭაშვილი ფრიდრიხ მიულერი, ისააკ ტეილორი, ვიქტორ გარდტჰაუზენი და სხვები.

როგორც საწყის ეტაპზე, ისე მომდევნო პერიოდში მკვლევრები ქართული ანბანის სათავედ სხვადასხვა დამწერლობას მიიჩნევენ: დიმიტრი ბაქრაძე, დავით კარიჭაშვილი, კორნელი კეკელიძე, თამაზ გამყრელიძე და სხვ. მის წარმომავლობას აკავშირებენ ბერძნულთან, მოსე ჯანაშიელი, ივანე ჯავახიშვილი, რამაზ პატარიძე, გერჰარდ დეეტერსი და სხვ. – სემიტურთან, სერგი გორგაძე, გიორგი წერეთელი და ფრიდრიხ მიულერი – არამეულთან, სარგის კაკაბაძე და ისააკ ტეილორი – ფალაურთან, ილია ოქრომჭედლიშვილი და მარი ბროსე – ზენდურთან, დიმიტრი ფურცელაძე – ეთიოპურთან, გერმანელი ორიენტალისტი ჰენრი იუნკერი – ავესტურთან, გერმანელი აღმოსავლეთმცოდნე იულიუს კლაპროტი – ინდურ მარცვლოვან დამწერლობა დევანაგართან. ამ დარგში პირველი ფუნდამენტური ნაშრომის ავტორია ივანე ჯავახიშვილი. ქართული დამწერლობის შექმნის სათავეებისა და დროის შესახებ დღესაც დიდი აზრთა სხვადასხვაობაა, მაგრამ არქეოლოგიური გათხრების შედეგად ჩნდება ისეთი ახალი მასალები, რომლებიც აუცილებლად შეუწყობს ხელს ამ დარგის განვითარებას.

ეპიგრაფიკა: ეპიგრაფიკულ ძეგლებს ვუწოდებთ ქვაზე, ლითონზე, ხეზე, მინაზე, კერამიკასა და სხვა მსგავს მყარ მასალაზე შესრულებულ ძველ წარწერებს, ხოლო ეპიგრაფიკა არის დარგი, რომელიც მათ სწავლობს. ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები აღმოჩენილია როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ: ჩრდილოეთ კავკასიაში, სომხეთში, აზერბაიჯანში, თურქეთში, პალესტინაში, ბულგარეთში და სხვ. მათი

შესწავლა და მეცნიერული გამოქვეყნება ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში დაიწყო უცხოელმა მკვლევარებმა ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ, მარი ბროსემ, იოჰან გიულდენშტედტმა და სხვებმა, მოგვიანებით ეს საქმე განაგრძეს ქართველმა მეცნიერებმა: დიმიტრი ბაქრაძემ, ივანე როსტომაშვილმა, თეოდორდანიამ, ექვთიმე თაყაიშვილმა, ალექსანდრე ხახანაშვილმა, მოსე ჯანაშვილმა, ივანე ჯავახიშვილმა, აკაკი შანიძემ და სხვებმა. მათ მიერ შესწავლილი და გამოქვეყნებული ძეგლების დიდი ნაწილი დღესდღეობით ან დაზიანებულია, ან საერთოდ აღარ არსებობს, რის გამოც ამ პუბლიკაციებს ხშირად ერთადერთი სარწმუნო წყაროს მნიშვნელობა ენიჭება.

ეპიგრაფიკული ძეგლები ოთხ ჯგუფად იყოფა: ლაპიდარული (ლათინური სიტყვიდან „ქვაზე ამოჭრელი«), მობაიკური, ჭედური და ფრესკული. მათ შორის უძველესია ლაპიდარული წარწერები. ისინი გვხვდება ეკლესიათა კედლებზე, ქვა-ჯვრებზე, მათ კვარცხლობეკებზე, საფლავის ქვებზე და სხვ. უძველესი ლაპიდარული წარწერები მხოლოდ რელიეფური გრაფემებითაა შესრულებული, ამოდარული (ჩაჭრილი) – მე-7 საუკუნიდან ჩნდება, კიდურწერილობის და კიდურწარისრული კი – მე-10-დან. შინაარსის მიხედვით გვხვდება სხვადასხვა ხასიათის წარწერები: საამშენებლო, მოსახსენებელი, იურიდიული ხასიათისა და სხვ.

სფრაგისტიკა ანუ სიგილოგრაფია: სფრაგისტიკა, ანუ სიგილოგრაფია შეისწავლის ბეჭდებს და საბეჭდავებს. საბეჭდავი ეწოდება ქვის, ლითონის, ძვლისა და სხვა მასალისგან დამზადებულ ყალიბებს, შტამპებს, ხოლო ბეჭედი – მის ანაბეჭდს. ბეჭდვა ხდება საღებავის საშუალებით ქალაღდზე, ეტრატზე და სხვ., ან დაწვევით – თიხაზე, ცვილზე, ტყვიაზე, ვერცხლზე, ოქროზე და სხვ. ბეჭედი ემსახურება საბუთის უტყუარობის დადასტურებას. იგი პირველად გამოიყენეს შუმერებმა და ეგვიპტელებმა ძვ. წ. მე-4 ათასწლეულში. ეს ბეჭდები დამზადებული იყო ქვისგან.

მე-18 საუკუნეში მეცნიერების ეს დარგი იყო დიპლომატიკის ნაწილი და მიზნად ისახავდა დოკუმენტებზე დასმული ბეჭდების მიხედვით მათ დათარიღებასა და სინამდვილის დადგენას, მე-19 საუკუნიდან კი ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ დისციპლინად და საბეჭდავების ქრონოლოგიური

კლასიფიკაციის საფუძველზე შეისწავლის ძველი სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიას. საქართველოში ბერძნულწარწერიანი უძველესი ბეჭდები ძვ. წ. მე-4-3 საუკუნეებიდან გვხვდება (კავთისხევის, ციხიაგორის და სხვ.), თავად საბეჭდავები – ძვ. წ. მე-6-4 საუკუნეებიდან (ვანის, არმაზისხევის და სხვ.), ქართულწარწერიანიები კი – მე-12 საუკუნიდან.

ნუმიზმატიკა: ნუმიზმატიკა შეისწავლის ძველებურ მონეტებს, მედლებს, ორდენებს. მას, როგორც სამეცნიერო დისციპლინას, საფუძველი ჩაუყარა მე-18 საუკუნის ავსტრიელმა მეცნიერმა იოსებ ეკელმა, ნუმიზმატური მასალის შეგროვება კი ბევრად უფრო ადრე დაიწყო.

ქართული ნუმიზმატიკური მეცნიერების ფუძემდებელია ისტორიკოსი მიხეილ ბარათაშვილი, რომელმაც 1844 წელს პეტერბურგში გამოაქვეყნა ნაშრომი „საქართველოს სამეფოს ნუმიზმატიკური ფაქტები“. ქართული ნუმიზმატიკის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს მარი ბროსემ, ივან ბართოლომეიმ, ვიქტორ ლანგლუამ, ივანე ჯავახიშვილმა, ნიკო ჯავახიშვილმა და სხვებმა. ქართული ნუმიზმატიკური ძეგლები, ძირითადად, დაცულია სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

ბიბლიოგრაფია: ბიბლიოგრაფია, ანუ ბიბლიოლოგია არის მეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს წიგნებს, როგორც ფიზიკურ, კულტურულ ობიექტებს. იგი შედგება ორი მიმართულებისაგან. სისტემატური ბიბლიოგრაფია ადგენს წიგნების ჩამონათვალს ავტორის, გამომცემლის, გამოცემის დროისა და ადგილის მითითებით, ხოლო აღწერილობითი ბიბლიოგრაფია აწარმოებს წიგნების ფიზიკურ სისტემატიზაციას და აღწერას. აღწერილობითი ბიბლიოგრაფიის ქვაკუთხედი ანალიტიკური ბიბლიოგრაფია, რომელიც სწავლობს წიგნის იმ მახასიათებლებს, რომელთა მიხედვითაც შეიძლება განისაზღვროს მათი ისტორია.

კოდიკოლოგია: კოდიკოლოგია არის მეცნიერება, რომელიც იკვლევს ხელნაწერ წიგნს, როგორც მატერიალურ არტეფაქტს, მისი შექმნის, შენახვის, გავრცელებისა და გამოყენების პროცესებს. ტერმინი დაამკვიდრა ფრანგმა მეცნიერმა ალფონს დენმა 1949 წელს. მანვე ჩამოაყალიბა მეცნიერების ამ

დარგის ამოცანები. პალეოგრაფიისგან განსხვავებით, რომელიც სწავლობს საწერ მასალას, დამწერლობას და სხვ., კოდიკოლოგიის კვლევის არეალში შედის: ხელნაწერი წიგნის ფორმატი, ყდა, ტექსტის განლაგება, ხელნაწერი წიგნის ისტორია, კატალოგების შედგენა, ბიბლიოგრაფირება და ა.შ.

გამოცემათმცოდნეობა: „ტექსტოლოგიის“ გვერდით ინგლისურ ენაზე ძალიან ხშირად მოიხსენიება მისი მომიჯნავე დარგი – „Editorial Studies“. იგი იმდენად მჭიდრო კავშირშია ტექსტოლოგიასთან, რომ სამეცნიერო ნაშრომებში, მონოგრაფიებსა და სასწავლო პროგრამებში ზოგჯერ ერთმანეთისგან არც გამოყოფენ. მათი ურთიერთმიმართება ჰგავს არქიტექტორისა და მშენებლებისას. არქიტექტორი ქმნის შენობის ნახაზს, რომლის მიხედვითაც მშენებლები აშენებენ. შესაბამისად, მათი საქმიანობა ძალზე მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან. ნახაზის შექმნისას არქიტექტორი ითვალისწინებს მშენებელთა შესაძლებლობებს, მშენებლები კი მაქსიმალური სიზუსტით მიჰყვებიან მის ნახაზს. ქართულ ენაზე ტერმინის „Editorial Studies“ შესატყვისი – „გამოცემათმცოდნეობა“ პირველად გამოყენებულ იქნა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის დასახელებაში: „ტექსტოლოგია და გამოცემათმცოდნეობა“ (პროგრამის ხელმძღვანელები – ქეთევან გიგაშვილი, მაია ნინიძე).

უკრაინელმა ფილოლოგმა ზინოვი პარტიკომ 2001 წელს სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა ტერმინი „ედიტოლოგია“, რომელიც, სიტყვის ეტიმოლოგიიდან გამომდინარე, თითქოს უნდა ყოფილიყო „გამოცემათმცოდნეობის“ შესატყვისი. არსებული განმარტებებით, ეს არის გამოყენებითი დარგი, რომლის მიზანია მასობრივი საინფორმაციო საშუალებებისთვის ინფორმაციის მომზადების მეთოდების, წესებისა და ნორმების შემუშავება. შესაბამისად, ეს არ არის „გამოცემათმცოდნეობის“ ეკვივალენტური ცნება. მე-20 საუკუნის 80-იან წლებში ტერმინ „ედიტოლოგია“ ჩინელებიც იყენებდნენ, მაგრამ იქ ამ დარგს „გამოცემათმცოდნეობისგან“ კიდევ უფრო დაშორებული მნიშვნელობა ჰქონდა. იგი აღგენდა საგამოცემლო წესებს, რომლებიც გამოიყენებოდა იდეოლოგიური

ცენზურის საყრდენად. „Editorial Studies“-ს შესატყვისად ქართულ ენაში „ედიტოლოგიის“ დამკვიდრება გაუგებრობას გამოიწვევდა იმ მხრივაც, რომ ინგლისურში ტერმინი „Editology“ ბელგიელი ფილოსოფოსის – ჟან კლოდ ბოდეს სამეცნიერო ნაშრომების საფუძველზე დაიმკვიდრა მეცნიერების სხვა დარგმა – ფილოსოფიამ, რომელშიც მას აქვს ეპისტემოლოგიური სისტემის მნიშვნელობა.

მეცნიერების ნებისმიერ დარგში ტერმინოლოგიური ბაზის არსებობის უმთავრესი მიზანი არის ის, რომ ყველა სპეციფიკურ ცნებას დაერქვას თავისი სახელი და მკვეთრად გაიმიჯნოს მათი გამოყენების არეალი. ამრიგად, იმ ვითარებაში, როცა ტერმინ „ედიტოლოგიას“ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული მნიშვნელობებით იყენებენ, ვამჯობინეთ ახალი ტერმინის – „გამოცემათმცოდნეობის“ შემოტანა. თანამედროვე „გამოცემათმცოდნეობა“ სწავლობს როგორც ხელნაწერ და ბეჭდურ, ისე ელექტრონულ გამოცემებს და მათ ისტორიას. გარდა ამისა, იგი შეიმუშავებს ახალი გამოცემების სტრატეგიას, სტრუქტურას, სამეცნიერო აპარატის შედგენილობასა და პრინციპებს.

გამოცემათმცოდნისა და ტექსტოლოგის ამოცანები იკვეთება როგორც ფუნდამენტურ კვლევებში, ისე პრაქტიკულ საქმიანობაში. ისტორიული თვალსაზრისით, გამოცემათმცოდნეს აინტერესებს გამოცემათა ზოგადი ასპექტები, ტექსტოლოგს კი – კონკრეტული. რაც შეეხება პრაქტიკულ საქმიანობას, გამოცემათმცოდნეობა შეიმუშავებს გამოცემის სტრატეგიას, პრინციპებს და მოდელს, რომლის მიხედვითაც, ტექსტოლოგი ქმნის კონკრეტულ პროდუქტს. მნიშვნელოვანია, რომ გამოცემათმცოდნემ ყოველთვის გაითვალისწინოს ტექსტოლოგიის შესაძლებლობები, ტექსტოლოგმა კი თავისი საქმიანობა წარმართოს გამოცემისათვის შემუშავებული მოდელისა და პრინციპების მიხედვით.

მაგალითად, XIX–XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის გამოცემისას გამოცემათმცოდნეებისა და ტექსტოლოგების მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავდა საგამომცემლო სტრატეგია, სამეცნიერო აპარატის შედგენილობა და მისი მოდელი. იმის გამო, რომ

წერილების დიდი უმრავლესობა უთარილო იყო და ადრესატის მისამართიც იშვიათად ახლდა, გადაწყდა, რომ სამეცნიერო აპარატს დამატებოდა რუბრიკები: „დათარილება“ და „ადრესატის მისამართი“. ამ რუბრიკების მეშვეობით მკითხველი იოლად პოულობს ორივე სახის ინფორმაციას.

ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების ელექტრონულ მატრიანებზე მუშაობისას გამოიკვეთა, რომ სასურველი იქნებოდა, თითოეულ ანოტაციას დართვოდა სამეცნიერო აპარატი. წინა გამოცემებში წყაროზე მითითება მხოლოდ აქა-იქ იყო და თან თავად ანოტაციისგან გამოუსალკვევებლად. გადაწყდა, რომ სამეცნიერო აპარატში შესულიყო რუბრიკები: წყარო, ატრიბუცია, დათარილება, პირთა იდენტიფიკაცია, პირთა ანოტაცია და ფოტო / დოკუმენტი. ბოლო რუბრიკაში წარმოდგენილ იქნა იმ ფოტო-დოკუმენტების ასლები, რომელთა შესახებაც ანოტაციაში იყო საუბარი, დანარჩენ რუბრიკებში კი – ტექსტოლოგთა მიერ მოძიებული ინფორმაცია და კვლევის შედეგები. რამდენადაც მატრიან ელექტრონულ ფორმატში უნდა გამოსულიყო, ასევე გადაწყდა, რომ მოხერხებულობისათვის თითოეული ანოტაციის სამეცნიერო აპარატი წარმოდგენილი ყოფილიყო მათ ბოლოს, ჰიპერლინკებში. ექსპერიმენტმა გაამართლა – მატრიანის მეცნიერული დონე ამალდა და გამოყენების თვალსაზრისითაც უფრო მოქნილი გახდა.

ტექსტოლოგიური პრინციპები

ავტორის ნება და ტექსტის ავთენტურობა

ტექსტოლოგთა უმრავლესობისათვის მთავარი დარგობრივი ღირებულებებია ტექსტის ავთენტურობა და ავტორის ბოლო ნება. შესაბამისად, ძირითადი პრინციპებიც მათ დაცვას უკავშირდება, მაგრამ ტექსტოლოგია სავსეა მოულოდნელობებით და ძნელია თითოეულ შემთხვევაში ამ პრინციპების გატარება. მაგალითად, არის შემთხვევები, როდესაც ერთადერთ ავტოგრაფში ავტორის მიერვე შეტანილია ცვლილება, რომელიც დიდი ალბათობით გამოწვეულია თვითცნობურით. როგორ დავიცვათ აქ ტექს-

ტის ავთენტურობა? არის შემთხვევები, როცა ვიცით, რომ ავტორის სიცოცხლისდროინდელი ნაბეჭდი ტექსტი ავტოგრაფზე გვიანდელია, მაგრამ გვაეჭვებს მასში არსებული ვარიანტული წაკითხვის ავტორისეულობა. როგორ გავარკვიოთ, რომელია ავტორის ბოლო ნება?

ავტორისეული გვიანდელი ვარიანტები ავტომატურად არ ასახავს მის საბოლოო ნებას. ამერიკელმა მწერალმა ჰერმან მელვილმა თავად შეიტანა ცვლილებები „ტაიპის“ მეორე გამოცემაში, მაგრამ ეს იყო არა მისი ნება, არამედ, ფაქტობრივად, მისი „დაყოლიება“. ამიტომ ცნობილი ამერიკელი ტექსტოლოგი თომას ტანზელი გვთავაზობს, რომ ბოლო ნებაზე საუბრისას აუცილებლად გავითვალისწინოთ გარემოებები.

მეცნიერები მიდიან იმ დასკვნამდე, რომ უნივერსალური ტექსტოლოგიური პრინციპები არ არსებობს. მე-18 საუკუნის გერმანელი ისტორიკოსის, ავგუსტ ლუდვიგ შლოცერის, თქმით, აქ ერთადერთი უნივერსალური პრინციპი ის არის, რომ „თითოეული შემთხვევა სპეციფიკურია“. შესაბამისად, ტექსტოლოგს ხშირად უხდება ექსკლუზიური გადაწყვეტილებების მიღება. ცნობილმა ინგლისელმა პოეტმა და გამომცემელმა ალფრედ ჰაუსმანმა ტექსტოლოგიასთან დაკავშირებით ერთი ასეთი პიკანტური, მაგრამ ძალიან ზუსტი შედარება გამოიყენა. მისი თქმით, ტექსტოლოგიურ საქმიანობას „არაფერი აქვს საერთო ნიუტონთან, რომელიც სწავლობს პლანეტების მოძრაობას. იგი უფრო წააგავს რწყილებზე მონადირე ძაღლს. ეს ცხოველი რომ მკბენარებზე მათემატიკური პრინციპებით და გარემოს პოპულაციის სტატისტიკაზე დაკვირვებით ნადირობდეს, ვერცერთ რწყილს ვერ დაიჭვრდა, თუ შემთხვევით არ გაკრავდა კბილს რომელიმეს. ეს იმიტომ, რომ აქ საჭიროა ინდივიდუალური მიდგომა. ასეთსავე მდგომარეობაშია ტექსტოლოგი, რომელიც მის წინაშე მდგარ ყოველ პრობლემასთან გამკლავებისას აუცილებლად უნდა ფიქრობდეს მოცემული შემთხვევის შესაძლო უნიკალურობაზე.“

ამ რეალობიდან გამომდინარე, ჰაუსმანმა ჩვ. წ. I საუკუნის რომაელი პოეტისა და სწავლულის, მარკუს მანილიუსის, ასტროლოგიური თხზულების ანოტირებულ გამოცემაში, რომელზეც იგი თითქმის 30 წლის განმავლობაში

მუშაობდა, აღნიშნა, რომ გამოცდილ ტექსტოლოგთა პრაქტიკულ საქმიანობაზე დაკვირვება ბევრად მეტის მომცემია, ვიდრე თეორიული ინსტრუქციები. იგი წერს: „ადამიანი, რომელსაც სალი აზრი და გონება აქვს, არ უნდა მოელოდეს, რომ ტექსტოლოგიის ტრაქტატებიდან, ან ლექციებიდან ისეთ რამეს ისწავლის, რასაც იგი თავად ვერ აღმოაჩენდა, თუ დიდ დროს დაუთმობდა ამ საქმიანობას. ტრაქტატები და ლექციები ერთადერთ რამეში დაეხმარება, დროს დაუზოგავს და წვალუბას ააცილებს იმით, რომ მზამზარეულად მიაწვდის იმ მოსაზრებებს, რომლებიც ადრე თუ გვიან მას თავადაც მოუვიდოდა აზრად“. ჩვენ სავსებით ვიზიარებთ ამ მოსაზრებას და ამიტომაც შევეცადეთ, რომ სახელმძღვანელოში რაც შეიძლება მეტი პრაქტიკული მაგალითი და სპეციფიკური შემთხვევა აგვესახა.

სალტიკოვ–შჩედრინის თხზულებათა გამოცემისას ცნობილ რუს ლიტერატურათმცოდნეს, მიხეილ ეიხენბაუმს, ჰქონდა შემთხვევა, როდესაც ერთ–ერთ ტექსტთან დაკავშირებით ცენზორის შენიშვნაში მოთხოვნილი იყო მისგან ისეთი ფრაზის ამოღება, რომელიც არ იყო შემორჩენილი აღარცერთ წყაროში. რამდენადაც ლოგიკურად წარმოუდგენელი იყო ცენზორის მიერ ფრაზის ამოღების მოთხოვნა, თუ ის ტექსტში არ იქნებოდა, გამომცემელმა გადაწყვიტა, რომ იგი ავტორისეულ ტექსტში აუცილებლად იქნებოდა და აღადგინა.

ტექსტოლოგთა შორის ყველაზე ცხარე კამათს იწვევს ხოლმე ავტორის ბოლო ნების დადგენის პრინციპი, რადგან ამაზე დამოკიდებული გამოცემის ძირითადი ტექსტის შერჩევა. რამდენადაც კრიტიკული ანალიზის შედეგად სწორებები შეგვაქვს მხოლოდ ძირითად ტექსტში, ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ მისი ავთენტურობის საკითხია. ზოგი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ავტორგრაფი ბეჭდურ გამოცემაზე უფრო სანდოა, რადგან მასში გამორიცხულია რედაქტორისა და ცენზურის ჩარევა და ასოთამწყობის შეცდომები, მაგრამ მათი ოპონენტების აზრით, ხელნაწერში ჩანს ავტორის ნება ტექსტის შექმნასთან და არა მის გამოცემასთან დაკავშირებით, ეს კი სხვადასხვაა. ავტორის მიდგომა ტექსტის გამოსაცემად მომზადებისას შეიძლებოდა განსხვავებული ყოფილიყო. ქართულ მწერალთა არქივებისა

და ბეჭდური გამოცემების შესწავლისას უამრავ შემთხვევას ვხვდებით, სადაც ამ საკითხის გადაჭრაზე არის დამოკიდებული ის, თუ ორი, ერთმანეთისაგან კონცეპტუალურად და არა მხოლოდ მარტივი ვარიანტებით, განსხვავებული ტექსტიდან რომელი დაიბეჭდება გამოცემის ძირითად ნაწილში.

რამდენადაც გარკვეული არგუმენტები ავტორაფების მომხრეებსაც აქვთ და ბეჭდური პუბლიკაციებისასაც, ვფიქრობთ, საუკეთესო გამოსავალი თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში მისთვის მორგებული გადაწყვეტილების მიღებაა, რაც არსებული მონაცემების მეცნიერული ანალოზის საფუძველზე მოხდება. კვლევისა და არგუმენტირების შედეგად, ძირითად წყაროდ შეიძლება არჩეულ იქნეს ისეთი ტექსტი, რომელიც არც ერთ გამოცემაში არ დასტურდება და საბოლოო ხელნაწერიც არ უჭერს მხარს. მაგალითად, ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთ პოემას ავტორის სიცოცხლისდროინდელ რვა პუბლიკაციასა და ორ ხელნაწერში, მათ შორის ყველაზე გვიანდელშიც, სათაურად აქვს „დედა და შვილი“, მაგრამ მწერლის თხზულებათა ათტომეულსა და ოცტომეულში დაიბეჭდა იმ სათაურით – „ქართვის დედა“, რომელიც მხოლოდ ორ შუალედურ ავტორაფში გვაქვს. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ცენზურის მხრიდან ყველაზე დიდ წინააღმდეგობას სწორედ ეს ტექსტი წააწყდა. მეცნიერებმა ასევე გაითვალისწინეს, რომ ილია ჭავჭავაძე თავის პირად მიმოწერაში პოემას ამ სახელით მოიხსენიებდა და დაასკვნეს, რომ სათაური ცენზურის, ან თვითცენზურის მიზნით უნდა ყოფილიყო შეცვლილი.

რუსეთის იმპერიის მკაცრი ნაციონალური პოლიტიკის გამო, ქართველი ავტორები ვერ ახერხებდნენ თხზულებათა სათაურებში პატრიოტული თემის აქცენტირებას. ილია ჭავჭავაძის მკვეთრად გამოხატული პატრიოტული სულისკვეთების მქონე ლექსებიც მეტწილად ან უსათაუროდ, ან განყენებული სათაურებით იბეჭდებოდა. იხ.: „დაე თუნდ მოვკვდე...“, „მეცა მქონია კარგი მამული...“, „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული...“, „ჩემო კარგო ქვეყანავ...“, „უცხოეთში“, „ჩემი თარიარალი“, „ალაზანს“, „ნანა“, „ელეგია“, „დაკარგული ედემი“ და სხვ. ამიტომ გადაწყდა, რომ მწერლის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში აღდგენილიყო პოემის სათაური „ქართვის დედა“.

იმ ავტორთა ტექსტებზე მუშაობისას, რომელთა თხზულებებსაც არაერთი ავტოგრაფი და ნაბეჭდი წყარო გააჩნია, გამოიკვეთა, რომ ავტორის ნება იცვლება, გაჩნდა შესაბამისი ტერმინებიც – თავდაპირველი ნება და შუალედური ნება. შესაბამისად, გამომცემლებს მიეცათ უფრო თავისუფალი არჩევანის საშუალება და მიიჩნიეს, რომ აუცილებელი არ არის, ძირითად ტექსტად გამოაქვეყნონ მაინცდამაინც ბოლო ნების ამსახველი ტექსტი.

მეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ შემოქმედებით პროცესში მხოლოდ ავტორი მონაწილეობს, სხვათა აზრით კი, ეს უფრო რთული სოციალური პროცესია. ამის დასტურად მათ მოჰყავთ სხვადასხვა ავტორის მაგალითები, რომლებმაც რედაქციის რჩევით მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანეს ტექსტში. მაგალითად, უილიამ ფოლკნერმა რომანი „დროშები მტვერში“ 1927 წელს დაწერა, მაგრამ მისმა საგამომცემლო აგენტმა გამომცემლის მოთხოვნით და ავტორის იძულებული თანხმობით, ტექსტი ერთი მეოთხედით შეამოკლა და შეუცვალა სათაური. თხზულება მთავარი გმირების გვარით – „სარტორისი“ დაიბეჭდა 1929 წელს. ფოლკნერს ძალიან არ უნდოდა ტექსტის შემოკლება და თვლიდა, რომ ამით მთავარი სათქმელი იკარგებოდა, მაგრამ მაინც დათანხმდა. შემოკლებების გარეშე, ავტოგრაფის მიხედვით ტექსტის პირველი პუბლიკაცია განხორციელდა ავტორის გარდაცვალების შემდეგ, 1973 წელს.

ამგვარი კომპრომისების გამო ტექსტოლოგთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ უფრო სარწმუნოა ის ტექსტი, რომელიც მიამიტი და გულწრფელია, მოკლებულია ნაწარმოების სქელ ყდაში ჩასმაზე ფიქრს და არ იცნობს საგამომცემლო ბიუროკრატias.

ანგლო-ამერიკული სკოლისთვის ტექსტის გამოქვეყნება ცვლილებების შეტანის გარეშე მისაღებია, მაგრამ დოკუმენტურ და არა კრიტიკულ გამოცემაში. ამერიკელი მეცნიერი თომას ტანზელი მკვეთრად მიჯნავს კრიტიკულ და არაკრიტიკულ გამოცემებს. არაკრიტიკულის მიზანია გამოაქვეყნოს არსებულთაგან ყველაზე ადრეული ვარიანტი და თან რაც შეიძლება ზუსტად. კრიტიკულისა კი გულისხმობს გამომცემლის მიერ ტექსტის დადგენას სხვადასხვა ვარიანტების შეჯერებით და დასაშვებად მიიჩნევს

კონიექტურულ ჩარევასაც. ტანზელის აზრით, ავტორის განზრახვა შეიძლება ვივარაუდოთ მხოლოდ არამატერიალურ გარემოში, მის გონებაში, რადგან მატერიალიზმებულში ყოველთვის არის შემთხვევითობების ალბათობა.

ბრიტანელი მეცნიერი უოლტერ გრევი, რომელიც ტანზელის მსგავსად ე. წ. „ინტენციონალისტი“ იყო, დიდ ყურადღებას უთმობდა ავტორის განზრახვის აღდგენას, რისთვისაც საჭიროდ მიიჩნევდა ტექსტის გენეზისისა და ყველა რელევანტური წყაროს კვლევას და ავტორის შესახებ მაქსიმალური ინფორმაციის ფლობას.

ავტორის ნებასთან დაკავშირებით თანამედროვე ტექსტოლოგიაში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. აზრთა სხვადასხვაობა ყოველთვის იყო და დარჩა, მაგრამ თანამედროვე აკადემიურმა გამოცემებმა საშუალება მოგვცა, რომ მკითხველმა გაიცინოს ტექსტის ყველა ავთენტური წყარო და თავად აირჩიოს ძირითადი ტექსტი.

თვითცენზურა და მისი სწორება

თვითცენზურის თვალსაზრისით, საინტერესოა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში „იანიჩარის“ სათაურით დაბეჭდილი ლექსი. მისი ადრეული ვერსიის სათაური იყო „კანვოელი“. არავითარი ეჭვი არ არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ ეს ნაწარმოები ავტორმა პეტერბურგში დაწერა, სადაც ხშირად ნახულობდა ქართველ კანვოელებს და ეს გახდა მისი შექმნის მოტივაცია. მეორე მხრივ, ამ სათაურს მხარს უჭერს მხოლოდ ერთადერთ ავტოგრაფში გადახაზული თავდაპირველი სახელწოდება „კანვოელი“. წარმოდგენელია, ავტორს იმედი ჰქონოდა, რომ რუსეთის იმპერიის ფარგლებში ამ ლექსს ვინმე დაუბეჭდავდა სათაურით „კანვოელი“ (რაც პირდაპირ აკავშირებდა მას რუსეთთან) და სიტყვებით: „შენი რაა, რომ ამშვენებ / შენს დამღუპველ ჩრდილოეთსა“. ამიტომ, ბუნებრივია, როცა მწერალი მის პუბლიკაციას გადაწყვეტდა, სათაურს და ეს ტაეპებიც იმთავითვე განწირული იქნებოდა ცვლილებებისათვის. აქ დგება საკითხი: იმ შემთხვევაში, თუ ბოლო ვერსიები, როგორც ხელნაწერი,

ისე ბეჭდური თვითცენზურის შედეგად არის შეცვლილი, მათი წაკითხვები ბოლო ნებად უნდა მივიჩნიოთ, თუ უნდა აღვადგინოთ თვითცენზურისგან თავისუფალი ვარიანტი. ამ პრობლემას სხვადასხვა ტექსტოლოგ-გამომცემელი სხვადასხვაგვარად ჭრის. მაგალითად, 2013 წელს მწერლის რჩეულ ორტომეულში აღდგა ავტორისეული თავდაპირველი სათაური „კანვოელი“.

ტექსტოლოგიური პრინციპების მიხედვით, ბოლო ნაბეჭდი და ბოლო ხელნაწერი უპირატესობით სარგებლობს, მაგრამ, თუ ტექსტის გამომცემელთა მთავარი მიზანი არის ავთენტური ვარიანტის დაბეჭდვა და ცენზურის ჩარევის მთლიანად გამორიცხვა, ტექსტოლოგი უნდა ეცადოს იმის დასაბუთებას, რომ ის წაკითხვები, რომელსაც ბოლო ხელნაწერი და გამომცემა უჭერს მხარს, საერთოდ არ არის ავტორის ნება (არც თავდაპირველი და არც ბოლო) და გამოწვეულია მწერლის მიზანდასახული გადაწყვეტილებით – ტექსტს მისცეს ისეთი სახე, რომლის გამოქვეყნებასაც ცენზურისგან პრობლემა არ შეექმნება. „კანვოი“ რუსეთის ჯარის ქვედანაყოფს ერქვა, რომელსაც ვინმეს, ან რამეს თანხლება და დაცვა ევალებოდა. ამ ქვედანაყოფში ხშირად იყვნენ ქართველები. ამ სიტყვის „იანიჩარით“ შეცვლით ილიამ ცენზურას აფიქრებინა, რომ ლექსი არა რუსეთის, არამედ თურქეთის ჯარში მომსახურე ქართველებზეა დაწერილი, რადგან იანიჩარებს თურქულ ჯარში ისეთივე ფუნქცია ჰქონდათ, როგორც რუსულში კანვოელებს და ეს დანაყოფი, ძირითადად, ახალგაზრდა ტყვეებისგან, მათ შორის, ქართველებისგანაც კომპლექტდებოდა.

ლექსის ავტოგრაფსა და პირველ ნაბეჭდ წყაროს შორის სამი წელია განსხვავება. ამ პერიოდში რუსეთის ჯარისადმი ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება არ შეცვლილა, მას იგი კვლავ მიაჩნდა საქართველოს „დამღუპველად“. მართალია, ეს ეპითეტი საქართველოსთან მიმართებით ოსმალეთის ჯარსაც სახსვებით შეესაბამებოდა, იმდენჯერ ჰყავდა დაპყრობილი ჩვენი ქვეყანა და იმხელა ტერიტორია ჰქონდა მიტაცებული, მაგრამ 1860–1863 წლებში ამ ორთაგან უფრო აქტუალური იყო რუსეთის თემა და, ვფიქრობთ, ავტორის ჩანაფიქრიც და მისი ნებაც ამასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული.

რედაქტორისეული ცვლილებები და საგამომცემლო სტრატეგია

აკადემიური გამოცემების მზადებისას ტექსტოლოგი ზოგჯერ უფრო რთულ ამოცანასაც აწყდება, მაგალითად, ხელთ აქვს მხოლოდ ავტორის სიცოცხლისდროინდელი ერთადერთი ნაბეჭდი, რომელიც იცის, რომ ძალიან შეცვლილია, მაგრამ არა აქვს არც სხვა ავთენტური პუბლიკაცია და არც ავტოგრაფი. ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე აკაკი წერეთლის ლექსთან „ქართლის სალამი“ დაკავშირებით, რომელიც 1859 წელს გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში“ (N 10) ფსევდონიმით „წ“.

1860 წლის 25 აპრილს დედასთან გაგზავნილ ბარათში აკაკი ჟურნალ „ცისკარის“ რედაქტორზე წერდა: „მე და კერესელიძე ვერ მოვეწყვეთ, ლექსები წამიხდინა, თავისებურათ გადააკეთა და შარშან სექტემბრის აქეთ აღარაფერს აღარ უგზავნი, ესენი, რაც ეხლა იბეჭდება, სულ შარშანდღელებია... სექტემბერს აქეთ აღარაფერი გამიგზავნია და აღარც გაუგზავნი“.

თუ აკაკიმ კერესელიძეს ლექსები ბოლოს სექტემბერში გაუგზავნა და ოქტომბერში აღარ გაუგზავნია, ჩანს, კერესელიძეს „ცისკარის“ სწორედ სექტემბერ–ოქტომბრის ნომრებში გამოქვეყნებული ლექსები უნდა „წახეხინა“ და „თავისებურად გადაეკეთებინა“. სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა მისი ლექსი „ნავი“, ოქტომბრისაში კი – „ქართლის სალამი“.

როგორც აღვნიშნეთ, ჟურნალ „ცისკარისეული“ პუბლიკაცია ლექსის „ქართლის სალამი“ ავტორის სიცოცხლისდროინდელი ერთადერთი წყაროა. საშუალება არ გვაქვს, რომ ის რომელიმე სხვა, უფრო სარწმუნო ვერსიას შევადაროთ. ამიტომ ისლა დაგვრჩენია, ასეთი კვლევა ჩავატაროთ ლექს „ნავთან“ დაკავშირებით და გავარკვიოთ, რა სახის ცვლილებებს შეიძლება უწოდებდეს აკაკი ლექსის „წახეხენას“ და „თავისებურად გადაკეთებას“.

წარმოვადგენთ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ავტოგრაფსა (73, 1v-2v) და „ცისკარის“ პუბლიკაციას შორის არსებულ მხოლოდ კონცეპტუალურ ვარიანტულ ცვლილებას. ეს ეხება ამ ალევორიული ლექსის ფინალს. ნაწარმოები მოგვითხრობს ნავზე, რომელსაც ზღვის ტალღები დანთქმით ემუქრებოდა და დიდმა გემმა გადაარჩინა. ხომალდმა იგი ჯაჭვით

ჩამოხდა და მას შემდეგ აღარც ქარი აშინებდა და აღარც ზღვის ტალღები. ამ ეპიზოდამდე ლექსის შინაარსი ავტოგრაფსა და ნაბეჭდში ერთნაირად ვითარდება, მაგრამ რადიკალურად განსხვავებულია ფინალი. „ცისკრის“ მიხედვით, მას შემდეგ ნავი მშვიდად და მოსვენებით ცხოვრობს („მას შემდეგ აქუს მშვიდობაი ნავს / და მავნებელი აღარავინ ჰყავს“), მაგრამ ავტოგრაფში ლექსი სულ სხვა განწყობით მთავრდება, ეს მშვიდობა და მოსვენება მხოლოდ მოჩვენებითია, ახლა ნავს თავად ის ხომალდი ავიწროებს, რომელმაც გადაარჩინა: „მას შემდეგ ვითომ აქუს მშვიდობა ნავს / და მავნებელიც აღარავინ ჰყავს... მაგრამ რაი, რომ თვით ის ხვამალდი / მას თავზე აყრის მტვერსა და ნავავს“.

ლექსი, როგორც ვთქვით, ალევორიული ხასიათისაა, „ნავში“ აშკარად საქართველო იგულისხმება და „ხომალდში“ – რუსეთი და სწორედ ამიტომ ჩათვალა საჭიროდ „ცისკრის“ რედაქტორმა მასში კონიუნქტურული ცვლილებების შეტანა. ავტოგრაფის ტექსტში გამომცემლის მიერ შეტანილი წაკითხვების ანალიზი გვიჩვენებს, რომ „ცისკრის“ რედაქტორმა ლექსის ფინალიდან მწვავე კრიტიკული სტროფი ამოიღო და მისი წინა ორი ტაეპი ისე შეცვალა (ფრაზიდან „ვითომ აქუს მშვიდობა“ ამოიღო უმნიშვნელოვანესი სიტყვა „ვითომ“), რომ სულ სხვა შინაარსი გამოიყვანა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მსგავსი ცვლილებები ექნებოდა შეტანილი მეორე ლექსშიც „ქართლის სალამი“, რომელიც ასევე პატრიოტულ თემაზეა დაწერილი და რომლის „წახდენაც“ ასევე აწუხებდა აკაკის.

ლექსის „ქართლის სალამი“ ბოლო სტროფის მიხედვით, ლირიკული გმირი შორი ქვეყნიდან უთვლის სალამს თავის სამშობლოს, ამხნევებს და მოუწოდებს, რომ დაძლიოს ჩამორჩენა და პროგრესსა და განათლებას აუწყოს ფეხი: „ჰხედავ რუსეთსა? რუსეთს შენს მხსნელსა? / ვით ზრუნავს შენთვის, გიმართავს ხელსა? / ეცადე ნაცვალს და მოთმინებას / შენ ნუ აკამარებ მას ცარიელსა“. ვერ ვიტყვით, როგორ შეიძლებოდა დაემთავრებინა ავტორს ეს ლექსი, მაგრამ ის სტროფი, რომელიც ამთავრებს „ცისკრის“ პუბლიცაციას, საერთოდ არ შეესაბამება არც ამ ლექსის დანარჩენი ნაწილის და არც აკაკის ზოგად განწყობას რუსეთთან დაკავშირებით. ვფიქრობთ, ივანე კერესელიძემ

ამ სტროფით ან აკაკისეული ჩვენთვის უცნობი ბოლო სტროფი ჩაანაცვლა, ან უბრალოდ დაამატა იგი ლექსის ბოლოს, რომ მას სულ სხვა ჟღერადობა მისცემოდა და რუსეთის მადიდებელ ტექსტად ქცეულიყო, ისევე როგორც ლექსი „ნავი“.

ცნობილმა მეცნიერმა პავლე ინგოროყვამ მწერლის თხზულებათა შვიდტომეულში ლექსი ამ უკანასკნელი სტროფის გარეშე დაბეჭდა. მისი ფინალის ავტორისეულობას არ იზიარებდნენ არც აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების მათიანის შემქმნელები: ილია გორგაძე და ნოდარ გურგენიძე. აკადემიური გამოცემის მოთხოვნები მსგავსი თავისუფალი გადაწყვეტილების მიღების საშუალებას, ანუ ტექსტიდან იმ სტროფის ამოღებას, რომელიც ერთადერთ წყაროშია, არ გვაძლევს, მაგრამ ტექსტის ის ნაწილი, რომელიც ასეთ ეჭვებს ბადებს, სასურველია, რომ კვადრატულ ფრჩხილებში დაიბეჭდოს. ეს მკითხველს წაკითხვისთანავე მიანიშნებს, რომ ამ ნაწილის ავთენტურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, დაწვრილებით კი ამ ეჭვებისა და გადაწყვეტილების შესახებ მითითებული უნდა იყოს სამეცნიერო აპარატის შენიშვნებში.

ორთოგრაფია და პუნქტუაცია

ზოგი მწერალი თავადვე არ აქცევდა ყურადღებას ორთოგრაფიას, ზოგი კი, მაგალითად, ვაჟა ფშაველა, შიო არაგვისპირელი და სხვ., პირიქით, მოითხოვდნენ, რომ გამომცემლებს მათთვის არაფერი ჩაესწორებინათ.

ორთოგრაფია და პუნქტუაცია ტექსტის სემანტიკურ ელემენტებთან შედარებით, ნაკლებმნიშვნელოვანია და ზოგიერთი ტექსტოლოგის აზრით, ცალსახად უნდა გასწორდეს, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ასეთი მიდგომა აკადემიური გამოცემისათვის მიუღებელია. ავტორისეული მართლწერა ტექსტს სპეციფიკურ, ამ კონკრეტული ავტორისათვის დამახასიათებელ ელფერს ანიჭებს. ცნობილია, მაგალითად, რომ ილია ჭავჭავაძე სიტყვას „ბავში“, როგორც წესი, წერდა ასეთი ფორმით – „ბაში“, აკაკი წერეთელი კი სიტყვას „ყველაფერი“ წერდა დიალექტური ფორმით – „ყოლიფერი. ეს

თავისებურება მათ შემოქმედებაში იმდენად გამოკვეთილია, რომ ზოგჯერ მათი ხელმოუწერელი ტექსტების ატრიბუციისთვისაც კი ვიყენებთ.

პოეტურ ნაწარმოებში ზოგჯერ სიტყვა რითმის, რიტმის, ალიტერაციის შემადგენელი ნაწილია და მისი მართლწერის შეცვლით ეს მხატვრულ-ესთეტიკური ხერხები კნინდება. გარდა ამისა, სხვადასხვა ეპოქის ტექსტები წარმოდგენას გვიქმნის იმჟამინდელ სამეტყველო ენაზე. ამიტომ აკადემიური გამოცემა ისეთი სიზუსტით უნდა ასახავდეს ტექსტის წყაროების მონაცემებს, რომ ენათმეცნიერს მისი გამოყენება ეპოქის ენობრივ თავისებურებათა შესასწავლადაც შეეძლოს.

დიპლომატიურ გამოცემაში ტექსტოლოგს არ შეაქვს არავითარი სწორებები, მაგრამ კრიტიკულ გამოცემაში კალმისმიერ ლაფსუსებს ვასწორებთ და ვარიანტებში აღვნიშნავთ. თუ სხვა შემთხვევებში ძირითად წყაროდ არჩეული ტექსტის მონაცემები მითითებულია ხოლმე ვარიანტულ სხვაობათა აღმნიშვნელი ნიშნის –] მარცხნივ, ამჯერად აქ ვწერთ ჩვენ მიერ ჩასწორებულ ვარიანტს,] ნიშნის მარჯვნივ კი ვუთითებთ იმ წყაროს, ან წყაროებს, სადაც ეს კალმისმიერი ლაფსუსი გვხვდება.

მექანიკური შეცდომები ზოგჯერ არსებითს არაფერს ცვლის, მაგრამ ზოგჯერ მნიშვნელოვნად აზიანებს ტექსტის გაგებას. რედაქტორი თავად უნდა მიხვდეს, როდის რა შემთვევასთან აქვს საქმე და შესაბამისად იმოქმედოს. თეოდორ დრაიზერზე გავრცელებული იყო აზრი, რომ მას უბრალოდ ეშლებოდა მართლწერა, სტილი და პუნქტუაცია და გამომცემლები თავისუფლად ასწორებდნენ მათ. უფრო მეტიც, ზოგჯერ კორექტივები შინაარსშიც კი შეჰქონდათ.

ორთოგრაფიის მსგავსად, მწერლებს სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება აქვთ პუნქტუაციისადმიც. ალფრედ ტენისონს, თომას ჰარდის, ჟიემს ჯოისს უნდოდათ, რომ გაეკონტროლებინათ, როგორი პუნქტუაციით იბეჭდებოდა მათი თხზულებები. თეოდორ დოსტოევსკი კატეგორიულად მოითხოვდა რედაქტორებისაგან, რომ მისთვის პუნქტუაციის ნიშნები არ ჩაესწორებინათ. ვალტერ სკოტი, შარლოტა ბრონტე, ჯორჯ ბაირონი და სხვ. რედაქტორებსა და გამომცემლებს სთხოვდნენ, რომ თავად გაესწორებინათ

მათი ნაწერები. უილიამ თეკერეი არ იყენებდა პუნქტუაციას და გამომცემლები წერდნენ მის ნაცვლად.

ტექსტოლოგიური პრინციპების მიხედვით, თუ პუნქტუაციას რაიმე სახის დამატებითი მხატვრული დატვირთვა აქვს, ვტოვებთ ხელუხლებლად, დანარჩენ შემთხვევებში კი ვასწორებთ, მაგრამ, თუ მწერალი კატეგორიულად მოითხოვს მის ტექსტებში პუნქტუაციის ნიშნების ისე დატოვებას, როგორც თავად იყენებს, შეიძლება, რომ მისი თხზულებების გამოცემისას ამ სახის სწორებებზეც უარი ვთქვათ.

სასვენ ნიშნებს მხატვრულ-სტილისტური დატვირთვა აქვს გრიგოლ რობაქიძისა და კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში. არსებობს მოსაზრება, რომ ისინი სიმბოლისტური პროზის ენობრივი ესთეტიკის შექმნას ემსახურება. გრიგოლ რობაქიძე მძიმის ნაცვლად ყველგან სვამს ორწერტილს, ან ტირეს, კითხვის ნიშანს საერთოდ არ ხმარობს და ემოციური და მხატვრული დატვირთვით იყენებს შემდეგ ნიშნებს: ჰორიზონტალური ორი წერტილი (..), სამი ძახილის ნიშანი (!!!), ძახილისა და კითხვის ნიშანი (!?). კონსტანტინე გამსახურდიას პროზაში ორწერტილის გამოყენება კავშირების ნაცვლად ტექსტის განსაკუთრებული რიტმული სტრუქტურის აგებას ემსახურება.

პუნქტუაციის მხატვრულ დატვირთვას ვხვდებით არა მხოლოდ მოდერნისტ მწერლებთან, არამედ რეალისტებთანაც კი. ილია ჭავჭავაძის ნაწერების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ მასთან ძახილის ნიშანს ჩვეულებრივის გარდა, აქვს ფრაზის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მინიშნების ფუნქცია. მაგალითად, „ოთარაანთ ქვრივში“ გიორგის გარდაცვალების წინა ეპიზოდში ფრაზას: „მოიყვანეს მღვდელი და შვილი უბიარეს!..“ მწერალი ტექსტიდან ცალკე აბზაცად გამოყოფს და ძახილის ნიშნითა და მრავალწერტილით ამთავრებს, რითაც აშკარად ამ ფრაზის შინაარსის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიგვანიშნებს.

სულ სხვაგვარ, ტრაგიკულ განცდაზე მიმანიშნებელია ძახილის ნიშანი ლექსში „მუშას“ სიტყვების შემდეგ: „მარტო ეგდები და ლეიბად გექნება ნამჯა / და სახურავად, თუ კი მოგყვა, რუსის ფარაჯა!“ აქ ძახილის ნიშნით ხაზგასმულია არა მხოლოდ მუშის გარდაცვალებასთან დაკავშირებული

განცდა, არამედ ის, რომ გარდაცვლილს გადაფარებული ექნება „რუსის ფარაჯა“. შესაბამისად, ძახილის ნიშანი აქ „რუსის ფარაჯის“ სიმბოლურ დატვირთვაზე მიმანიშნებელიც არის.

პუნქტუაციის ნიშნებთან დაკავშირებით განსაკუთრებულ სირთულეებს აწყდებიან მეცნიერები ძველი ტექსტების გამოცემისას, რადგან სასვენ ნიშანთა სისტემა ადრეულ ხანაში ჯერ საერთოდ არ არსებობდა, შემდეგ კი თანამედროვე ნიშნებისგან განსხვავებული და მასთან შედარებით მწირი იყო. ამასთან ერთად, სხვადასხვა საუკუნეში სხვადასხვა სისტემა გამოიყენებოდა. ეს ძალზე სერიოზული პრობლემაა, რადგან ძველი ტექსტების გამოცემისას სასვენი ნიშნის არასწორმა გამოყენებამ შეიძლება სრულიად შეცვალოს წინადადების აზრი.

მაგალითად, „ვეფხისტყაოსნის“ სტროფის: „ქართველთა ღმერთისა დავითის ვის მზე ჰმსახურებს სარებლად / ესე ამბავი გავლექსე მე მათად საკამათებლად...“ (განგებ გთავაზობთ პუნქტუაციის გარეშე) პირველ ტაეპში ცალსახად საჭიროა მძიმის დასმა, მაგრამ იმის მიხედვით, თუ სად დავსვამთ ამ სასვენ ნიშანს, ფრაზის აზრი რადიკალურად იცვლება. თუ მძიმეს დავწერთ პირველი სიტყვის შემდეგ, გამოვა, რომ ავტორმა ეს ამბავი გალექსა ქართველების „საკამათებლად“, რომლებსაც დავითის ღმერთის მზე „მსახურებს სარებლად“, თუ მძიმეს დავწერთ მეორე სიტყვის შემდეგ, გამოვა, რომ ავტორმა ეს ამბავი გალექსა ქართველთა ღმერთის „საკამათებლად“, რომელსაც დავითის მზე „მსახურებს სარებლად“ და თუ მძიმეს მესამე სიტყვის შემდეგ დავსვამთ, გამოვა, რომ ავტორმა ეს ამბავი გალექსა დავითს „საკამათებლად“, რომელსაც იგი ქართველთა ღმერთად მოიხსენიებს და რომელსაც „მზე მსახურებს სარებლად“. სასვენი ნიშნის სხვადასხვა ადგილას დასმის თითოეული ზემოხსენებული შემთხვევა იწვევს ცალკეულ სიტყვათა: „დავითის“, „მზე“, „საკამათებლად“ სხვადასხვაგვარი მხატვრული ინტერპრეტაციის საჭიროებას, რაც საქმეს კიდევ უფრო ართულებს. ვფიქრობთ, ეს ერთი მაგალითიც კი კმარა იმის წარმოსადგენად, თუ, პუნქტუაციის გამოყენებასთან დაკავშირებით, რა რთულად გადასაჭრელი პრობლემების წინაშე დგანან მეცნიერები ძველი ტექსტების გამოცემისას.

აკადემიურ გამოცემაში მასალის ორგანიზებისა და სამეცნიერო აპარატის შედგენის პრინციპები

თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში მასალა თავსდება ჟანრობრივ-ქრონოლოგიური პრინციპით, ანუ ერთი და იმავე ჟანრის ტექსტები ერთად არის წარმოდგენილი, ჟანრის შიგნით ქრონოლოგიის მიხედვით ლაგდება. ეს პრინციპი საყოველთაოდ მიღებულია, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში ხდება მისგან გადახვევაც. მაგალითად, როდესაც გამოცემაში ცალკე გამოიყოფა კოლექტიური (რამდენიმე ავტორის მიერ შეთხზული ნაწარმოებები), სავარაუდონი (თხზულებები, რომელთა მიკუთვნებაც ამ კონკრეტული ავტორისადმი ცალსახად გადაწყვეტილი არ არის), ყრმობისდროინდელი, ავტორის მიერ დაწუნებული და დაუმთავრებელი თხზულებები. ამ რუბრიკების შიგნითაც ტექსტები ქრონოლოგიურად არის დალაგებული.

პასპორტი: აკადემიური გამოცემის სამეცნიერო აპარატის ერთ-ერთი კომპონენტია ტექსტის პასპორტი. თავად სახელდებაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ მასში მხოლოდ ფაქტობრივი ინფორმაცია უნდა შედიოდეს და არა ინტერპრეტაციებზე დამყარებული, ან თუნდაც კვლევის შედეგად არგუმენტირებით მიღებული.

თხზულებათა აკადემიური გამოცემის პასპორტის სტანდარტული შაბლონი მოიცავს შემდეგ რუბრიკებს: „ხელნაწერი“, „ნაბეჭდი“, „სათაური“, „ქვესათაური“, „თარიღი“, „ხელმოწერა“. სამეცნიერო პასპორტში ხელნაწერთა საცაგები და ტექსტის წყაროები აღნიშნულია ასოებით, გრაფიკებით, ან სხვა სახის სიმბოლოებით. პირველი ორი რუბრიკის გასწვრივ იწერება წყაროთა ჩამონათვალი შესაბამისი სიგლებით, სათაურთან იწერება სხვადასხვა წყაროში დაცული ალტერნატიული სათაურები, ქვესათაურში – ასევე ალტერნატიული ქვესათაურები, ხელმოწერის გასწვრივ აღვნიშნავთ ალტერნატიულ ხელმოწერებს, თარიღში კი – ალტერნატიულ თარიღებს. პასპორტის ეს რუბრიკები არსებითად არის ამ კომპონენტების (სათაური, ქვესათაური, თარიღი) ვარიანტული წაკითხვები სხვადასხვა წყაროს მიხედვით და იმ შემთხვევაში, თუ ეს რუბრიკა არც ერთ წყაროში განსხვავებულად არ

არის წარმოდგენილი, იგი საერთოდ არ შეგვაქვს ამ ტექსტის პასპორტის შედგენილობაში. საპასპორტო მონაცემები ისეთივე დოკუმენტური და ზუსტი უნდა იყოს, როგორსაც მისი სახელდება მოითხოვს.

თუ დათარიღება ავტორისეულ ერთ წყაროში მაინც გვხვდება, არა აქვს მნიშვნელობა, ეს ძირითად ტექსტად არჩეული წყაროა თუ სხვა, თარიღის მუხლი პასპორტში გაგვაქვს და ვუთითებთ მის ზუსტად ისეთ დაწერილობას, როგორიც წყაროშია. თუ წყაროში არასრული თარიღია, მაგ., არის მითითებული მხოლოდ თვე და რიცხვი და არა წელი, ჩვენ კი წელიც დავადგინეთ, პასპორტში მაინც შევა თარიღის მხოლოდ არასრული დაწერილობა, როგორიც წყაროში იყო, რადგან მასში უნდა იყოს მხოლოდ ავტორისეული ინფორმაცია. მსჯელობა იმის შესახებ, თუ რის საფუძველზე შევავსეთ არასრული თარიღი, აქაც იწერება კომენტარში, ძირითადი ტექსტის ბოლოს კი არასრულ თარიღს კვადრატული ფრჩხილებით მიეწერება ჩვენ მიერ დადგენილი კომპონენტი.

დათარიღების მსგავსად, ხელმოწერის მუხლიც იმ შემთხვევაში უნდა იყოს პასპორტში, თუ არსებულ წყაროთაგან ერთ-ერთს მაინც აქვს ხელმოწერა, მაგრამ, თუ არც ერთს არა აქვს, მაშინ ეს მუხლი პასპორტში გამოტანილი არ უნდა იყოს.

ტექსტოლოგიური ტრადიციის მიხედვით, წყაროების ჩამონათვალის, თარიღისა და ხელმოწერის გარდა, პასპორტში, როგორც წესი, გამოტანილია სათაურისა და ქვესათაურის ვარიანტები. თუ ტექსტს არც ერთ წყაროში არა აქვს ალტერნატიული სათაური, ეს მუხლი პასპორტში არ გადის და, თუ არა აქვს ალტერნატიული ქვესათაური, ეს მუხლიც არ გადის. სათაურისა და ქვესათაურის მუხლები პასპორტში შეგვაქვს მხოლოდ მაშინ, თუ რომელიმე წყაროში მაინც არის ძირითად ტექსტში დაბეჭდილისაგან გასხვავებული ვარიანტი. შესაბამისად, როცა ნაწარმოებს მხოლოდ ერთი წყარო აქვს, ეს მუხლები ცალსახად არ არის საჭირო. თუ რომელიმე წყაროში არ არის სათაური, ქვესათაური, დათარიღება, ან ხელმოწერა, შესაბამის რუბრიკებში შესაბამის სივლას წინ ვუწერთ მინუსს (- A).

შენიშვნები: ტექსტოლოგიური შენიშვნები შეიძლება გვაწვდიდეს

დამატებით ინფორმაციას წყაროების აღწერილობის, ტექსტის დაუსრულებლობის, მისი რაიმე სპეციფიკური მხარისა (თუ ლექსში არის ზმა, აკროსტიქი და სხვ.) და სხვა მსგავსი ნიუანსების შესახებ. მაგალითად, ვაჟა-ფშაველას ლექსთან „არჩილური“ შენიშვნებში აუცილებლად უნდა იყოს მითითებული, რომ ლექსის თავიკიდური ასოებით აკროსტიქურად იკითხება „იაპონელები არიან“, კომენტარებში კი აღნიშნული უნდა იყოს, რომ ლექსი ეძღვნება იაპონელთა გმირობას 1904 წელს, რუსეთ-იაპონიის ომის დროს. ასევე უნდა იყოს შენიშვნებში მითითებული ზმასიტყვაობაც, მაგალითად, აკაკი წერეთლის ლექსის „გურული ნანინა“ შენიშვნებში უნდა ეწეროს, რომ რეფრენის ფრაზაში „ოი, ამას ვენაცვალე“ ზმურად ყველგან იკითხება ცნობილი იაპონელი მხედართმთავრის, ივანე ოიამას, სახელი.

კომენტარები: მასალა, რომელიც კომენტარებისთვის ლემების სახით გამოგვაქვს, ამოღებული უნდა იყოს ძირითადი ტექსტიდან და არა ვარიანტებიდან. ლემის დასაწყისში მითითებულია ხოლმე ტექსტის გვერდი და ბჭარის ნომერი. აკადემიური გამოცემის პრინციპების მიხედვით, საკომენტაროდ გამოტანილი უნდა იყოს ყველა ის ფრაზა, რომლის გასაგებადაც მკითხველს დასჭირდება დასჭირდება. აქ ძალზე მნიშვნელოვანია ოქროს შუალედის დაჭერა, რომ არ იყოს გამოტოვებული არც ერთი რთული პასაჟი და, ამავე დროს, სამეცნიერო აპარატი არ იყოს გადატვირთული ისეთი ფრაზების განმარტებით, რომელთა შინაარსი ტექსტიდან ისედაც გასაგებია, ან რომლის მიხვედრაც არ გაუჭირდება რიგით, არაპროფესიონალ მკითხველს.

რედაქციები: სამეცნიერო აპარატში რედაქციების ტექსტები სრულად არის ხოლმე წარმოდგენილი და, თუ რომელიმე რედაქციას მასთან ახლო მდგომი ვარიანტები აქვს, შეიძლება, რომ კრიტიკული აპარატი რედაქციას ცალკე ჰქონდეს გაკეთებული.

კრიტიკული აპარატი: კრიტიკულ აპარატში, ანუ ვარიანტული წაკითხვების ნუსხაში, კომენტარების მსგავსად, ლემების სახით და გვერდისა და ბჭარის მითითებით, გამოტანილია ძირითადი ტექსტის ის წაკითხვები, რომლებიც თუნდაც ერთ რომელიმე წყაროში სხვაგვარად არის წარმოდგენილი. მის შემდეგ ვსვამთ მარცხნივ გახსნილ კვადრატულ

ფრჩხილს] და ამის შემდეგ აღწუნსხავთ, ეს სიტყვა თუ ფრაზა როგორ არის წარმოდგენილი სხვა წყაროებში. თითოეული წაკითხვის შემდეგ ვუთითებთ წყაროს აღმნიშვნელ სიგლას. თუ ორ, ან მეტ წყაროში ერთნაირი იკითხვისია, ამ იკითხვისის შემდეგ ყველა სიგლას ერთად ვწერთ. კრიტიკულ აპარატში + (პლიუს) ნიშნით აღინიშნება, თუ რომელიმე წყაროში რაიმე დამატებულია, - (მინუს) ნიშნით, თუ რაიმე გამოტოვებულია, ∟ (კლაკნილი ხაზით) – თუ რაიმე გადაადგილებულია.

დავალებები

1. გაცანით² ტერმინთა განმარტებებს, რომლებშიც გამოტოვებულია თავად განსამარტავი ცნების სახელები. თითოეული დეფინიციის დასაწყისში წერტილების ადგილას ჩასვით შესაბამისი სიტყვები.
2. განმარტეთ ტერმინები: „ექსპურგაცია“, „ინციპიტი“ და „კრაქსი“, „დინაცია“, „დიტოგრაფია“, „ჰაპლოგრაფია“, „ელიმინაცია“, „მიღმური ინფორმაცია“ და „სტემა“.
3. განმარტეთ, რა განსხვავებაა „ტექსტურ მოწმესა“ და „წყაროს“ შორის.
4. აირჩიეთ რომელიმე მწერალი. წარმოიდგინეთ, რომ აპირებთ მისი შემოქმედების ტექსტოლოგიურ კვლევას და წერთ სტრატეგიულ გეგმას. გამოიყენეთ ქვემოთ ჩამოთვლილი ტერმინები ამ გეგმის თითო მუხლის შესადგენად: „პირველადი ბიბლიოგრაფია“, „მეორეული ბიბლიოგრაფია“, „ავანტექსტი“, „პრეტექსტი“, „პერიტექსტი“, „ეპიტექსტი“ და „პარატექსტი“, „რეფლექსური გრაფიკა“, „არსებითები“, „არაარსებითები“, „ტრანსმისია“, „პროვენანსი“, „სიგლა“, „ლემა“ და „ფოლიაცია“.

² რამდენადაც ჩვენი მიზანია, რომ დავალებები მაქსიმალურად მოვარგოთ სტუდენტთა ინტერესებს, თითოეული თავისათვის მომზადდა მასალის პაკეტი, რომლის ნაწილიც გამოყენებულ იქნება სემინარებზე, ნაწილი კი „ტექსტოლოგიისა და გამოცემათმცოდნეობის“ სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს ელექტრონული ფოსტით გაეგზავნებათ ინდივიდუალური მუშაობისთვის.

5. გაეცანით ილია ჭავჭავაძის ლექსის „იანიჩარი“ წყაროებს მის თხზულებათა აკადემიური გამოცემის პირველ ტომში და ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი ძირითადი წყაროს არჩევასთან დაკავშირებით.
6. გაეცანით „ყრმობისდროინდელი ლექსების“ რუბრიკას სხვადასხვა ავტორის აკადემიურ გამოცემებში და გამოთქვით თქვენი შეხედულება ამ რუბრიკასთან დაკავშირებით.
7. გაიხსენეთ თქვენთვის ნაცნობი მაგალითები, რომლებიც ასახავს თვითცნობურის, ან ცნობურის კვალს ტექსტში.
8. ელექტრონულ ფოსტაზე გადმოგზავნილი უცხოენოვანი სტატიებიდან აირჩიეთ ერთი, რომელიც დაწერილია თქვენთვის ხელმისაწვდომ ენაზე და დაწერეთ მისი 500- სიტყვიანი რეზიუმე ქართულად.
9. ინტერნეტის გამოყენებით თქვენთვის ხელმისაწვდომ უცხო ენაზე მოიძიეთ გასული და მიმდინარე წლის ელექტრონული პუბლიკაციები ტექსტოლოგიის დარგში, გაეცანით მათ და სემინარზე წარმოადგინეთ ათწუთიანი მიმოხილვა.
10. აირჩიეთ მწერალი. წარმოიდგინეთ, რომ ამზადებთ მის თხზულებათა აკადემიურ გამოცემას. ჩამოწერეთ, როგორც ტექსტოლოგს, რა შეთავაზებები გექნებათ სარედაქციო კოლეგიასთან.

დამატებითი ლიტერატურა³

- ქართული ტექსტოლოგია (რედ. ზურაბ ჭუმბურიძე, რუსუდან კუსრაშვილი), საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი, 2006⁴.
- ხარანული ანა, შესავალი ქართულ ფილოლოგიაში, Web. 11/4/2014.
- მაია ნინიძე, კვლევის თანამედროვე ტექნოლოგიები და ელექტრონული აკადემიური გამოცემა, თბ. 2016.
- David Greetham, Textual Scholarship: An Introduction, Garland Reference Library of the Humanities, Taylor & Francis, 1994.
- Glenn W. Most, What is a Critical Edition? University of Chicago/Scuola Normale Superiore di Pisa, USA/Italy, 2014.
- Neil Fraistat, Julia Flanders (Ed.) The Cambridge Companion to Textual Scholarship (Cambridge Companion to Literature, Cambridge University Press, 2013.
- William Proctor Williams, Craig S. Annott, An Introduction to Bibliographical and Textual Studies, New York: Modern Language Association of America, 2009.
- Thomas Tanselle, Textual Criticism at the Millennium, Studies in Bibliography, Volume 54, The Bibliographical Society of the

3 „დამატებით ლიტერატურაში“ მითითებული ყველა წყაროს ბეჭდური გამოცემა დაცულია იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ან მოიპოვება ელექტრონული სახით „ტექსტოლოგიისა და გამოცემათმცოდნეობის“ სადოქტორო პროგრამისთვის საგანგებოდ შექმნილ ელექტრონულ ბიბლიოთეკაში. წინამდებარე სახელმძღვანელოში წარმოდგენილია თემატური „დამატებითი ლიტერატურის“ მხოლოდ შემოკლებული სია. სრული ნუსხა დართული აქვს პროგრამის სილაბუსებს.

4 წიგნს „ქართული ტექსტოლოგია“ სხვა თავების „დამატებით ლიტერატურაში“ აღარ მივუთითებთ, მაგრამ, ტექსტოლოგიის საფუძვლების გამოცემის მიზნით, მისი გამოყენება რეკომენდებულია სხვა თემებთან დაკავშირებითაც.

University of Virginia, 2001.

- Erick Kelemen, Textual Editing And Criticism, An Introduction, W. W. Norton & Company, New York, London, 2009.
- Корсакова Юлия Сергеевна, О Развитии Текстологии, Тамбов, Грамота, 2012.
- Омилянчук Сергей Павлович, Текстология. М.: МГУП, 2002.
- Текстология, Учебно-практическое пособие для студентов, обучающихся по направлению «Издательское дело», Санкт-Петербург, 2013.

II თავი: ტექსტოლოგიური კვლევის მეთოდები

ინდუქციური და ჰიპოთეტიკურ-დედუქციური მეთოდები

ტექსტოლოგიური კვლევა, კრიმინალური გამოძიებისა და დეტექტივის მსგავსად, ყველაზე ხშირად ინდუქციური და ჰიპოთეტიკურ-დედუქციური მეთოდების კომპლექსურ გამოყენებაზეა აგებული. მაგალითად, უთარილო ავტოგრაფის დათარიღებისთვის თავდაპირველად ვაგროვებთ ემპირიულ მონაცემებს, რა ფერის ქაღალდზე და როგორი მელნით არის ნაწერი, როგორია ხელწერა, აქვს თუ არა თუნდაც ნაკლული თარიღი, თავად ტექსტიდან ხომ არ ჩანს დაწერის წელი, თვე, კვირის დღე, ან რიცხვი, ხომ არ არის ნათქვამი, რომ რაღაც დღესასწაულია, ან იყო თუნდაც ორი კვირის წინ, ხომ არ არის ნახსენები ვინმეს დაბადება, გარდაცვალება, ან ქორწილი, რომელთა თარიღიც შეიძლება სხვა წყაროებიდან გავარკვიოთ, ხომ არ არის მოხსენიებული რაიმე სახის რეალია, რომლის მიხედვითაც შეიძლება დროის იდენტიფიცირება და სხვ.

ამ ტიპის ინფორმაციის საფუძველზე ხდება ინდუქციური განზოგადება და მზადდება ნიადაგი ჰიპოთეტიკურ-დედუქციური ანალიზისთვის. მაგალითად, თუ კარგად დავაკვირდით ქაღალდს, რომელზეც წერია ტექსტი და გავგახსენდა, ან კვლევის შედეგად დავადგენთ, რომ ამავე ტიპის არაერთი ფურცელი გვხვდება ავტორის კონკრეტული პერიოდის ნაწერებში, თავდაპირველად ვახდენთ ინდუქციურ განზოგადებას, რომ კონკრეტული ავტორი ამ ტიპის ფურცლებს იყენებდა კონკრეტულ დროს, შემდეგ კი ჰიპოთეტიკურ-დედუქციური ანალიზით მივიღვართ იმ დასკვნამდე, რომ, რადგან ეს ერთნაირი ფურცლებია, უთარილო ავტოგრაფიც იმავე პერიოდისა შეიძლება იყოს, რა დროითაც არის დათარიღებული სხვა ფურცლები.

ამ პროცესში გამოყენებული მეთოდების თანმიმდევრობა შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ასე: ხელნაწერი შესრულებულია საკანცელარიო ფურცელზე (ემპირიული დაკვირვება) \rightarrow ასეთსავე საკანცელარიო ფურცელზე არის შესრულებული X წლის ჩანაწერები (ემპირიული დაკვირვება) \rightarrow ამ ტიპის საკანცელარიო ფურცლებს მწერალი იყენებდა X წელს (განზოგადება,

ინდუქციური დასკვნა) → ეს უთარილო ავტოგრაფიც შეიძლება X წელს იყოს დაწერილი (დედუქცია, ზოგადი მოცემულობიდან კონკრეტული დასკვნის გამოტანა).

ზუსტად ასე ვაგროვებთ ემპირიულ ცნობებს ავტოგრაფის ატრიბუციის დროსაც. ვაკვირდებით ქალაქს, მელანს, ხელწერას, გვერდზე ნაწერის განთავსების ფორმას, ლექსიკას, სტილს და სხვ. ბუნებრივია, იმის განსაზღვრა, თუ რა სახის ინფორმაცია მოვძებნოთ, თავისთავად გულისხმობს გარკვეულ გამოცდილებას. მაგალითად, თუ არაერთხელ შეგვიჩინებია, რომ ესა თუ ის მწერალი ტექსტს ვიწრო ზოლად განათავსებს ფურცელზე, ვახდენთ განზოგადებას, რომ ეს მისი ნაწერებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშანია, შემდეგ ამ ნიშნით იმავე მწერალთან ვაკავშირებთ უცნობ ხელნაწერს და გამოვთქვამთ ვარაუდს, რომ ესეც მისი შეიძლება იყოს.

გამოყენებული მეთოდების ქრონოლოგიური თანმიმდევრობა ასეთია: უცნობი ავტორის ნაწერი იკავებს გვერდის მხოლოდ მარცხენა ნახევარს (ემპირიული დაკვირვება) → X მწერლის არქივში არაერთი ხელნაწერია, რომელიც შესრულებულია გვერდის მხოლოდ მარცხენა ნახევარზე (ემპირიული დაკვირვება) → X მწერლისთვის დამახასიათებელია გვერდის მარცხენა ნახევარზე წერა (განზოგადება, ინდუქციური დასკვნა) → ეს უცნობი ავტოგრაფიც შეიძლება X მწერალს ეკუთვნოდეს (დედუქცია, ზოგადი მოცემულობიდან კონკრეტული დასკვნის გამოტანა).

მიუხედავად იმისა, რომ ინდუქციური და დედუქციური კვლევები ტექსტოლოგიაში ფართოდ გამოიყენება, ეს არ ნიშნავს, რომ ზემოთ მოხმობილთა მსგავსი ცალკეული არგუმენტები იძლევა ცალსახა დასკვნის გამოტანის საშუალებას. საბოლოო დასკვნა სავარაუდო თარიღთან ან ატრიბუციასთან დაკავშირებით უფრო ფართო, კომპლექსურ კვლევას საჭიროებს. ეს შეიძლება იყოს მსგავსი ტიპის დაკვირვებები და დასკვნები საკვლევიობიექტის სხვა ასპექტთან დაკავშირებითაც. გასათვალისწინებელია, რომ კომპლექსური კვლევის დროს მიღებული არც ერთი არგუმენტი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთს. მაგალითად, თუ ავტოგრაფი მრავალი სხვადასხვა ნიშნით ჰგავს X ავტორისას, მაგრამ ტექსტიდან ჩანს,

რომ ის წერის პროცესში იმყოფებოდა Y გეოგრაფიულ პუნქტში, ჩვენ კი დანამდვილებით ვიცით, რომ ეს ავტორი იქ არასოდეს ყოფილა, უნდა ვაღიაროთ, რომ გამოვლენილი ყველა მსგავსება შემთხვევითია. მეორე მხრივ, თუ X-ის ავტორობაზე მიმანიშნებელი დასკვნები იმდენად უტყუარია, რომ აბსურდი იქნებოდა მათი უარყოფა, შეგვიძლია უკეთ გამოვიკვლიოთ Y გეოგრაფიულ პუნქტში ავტორის ყოფნა-არყოფნის საკითხი ან, უკიდურეს შემთხვევაში, ეჭვიც კი შევიტანოთ ტექსტიდან ამოღებული ამ ინფორმაციის ვალიდურობაში.

ჰიპოთეტიკურ-დედუქციური მეთოდის გამოყენება ძალზე მარტივია, მაგრამ შედარებით რთულია ემპირიული დაკვირვების სწორი სტრატეგიის შერჩევა, იმის განსაზღვრა, თუ არსებული მოცემულობის რა ასპექტი შეიძლება გამოგვადგეს დასკვნის გამოსატანად. მაგალითად, თუ ავტოგრაფი ძალიან სტანდარტულ ქაღალდზეა შესრულებული, წინასწარვე უნდა მივხვდეთ, რომ ეს ასპექტი კონკრეტულ დასკვნამდე ვერ მიგვიყვანს, თუ ავტოგრაფი სრულიად სტანდარტულად არის განფენილი გვერდის ორივე მხარეს, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს ასპექტიც არ გამოგვადგება. როგორც დათარიღების, ისე ატრიბუციის შემთხვევაში, უნდა შეგვეძლოს, რომ ემპირიული დაკვირვებისთვის ავირჩიოთ ძალიან სპეციფიკური ნიშნები.

გამორიცხვის მეთოდი

ტექსტოლოგიაში ძალზე ხშირად გამოიყენება გამორიცხვის მეთოდი. მას მივმართავთ ტექსტის ამოკითხვისას, როცა გავრული ხელით ნაწერი ასოების ამოსაყვამად გონებაში წარმოვიდგენთ სხვადასხვა გრაფემას და ვჩერდებით მხოლოდ იმათზე, რომლებიც გრაფიკულად ყველაზე ახლოს არის ამოსაკითხ მოხაზულობასთან, ან რომელთა ჩასმაც ქმნის სიტყვას. გამორიცხვის მეთოდს ასევე ხშირად ვიყენებთ დათარიღებისას, როცა ვიცით, რომ უნდა ავირჩიოთ ტექსტის რამდენიმე სავარაუდო თარიღიდან ერთ-ერთი. ვამოწმებთ თითოეულს და ვცდილობთ, ვიპოვოთ ის ერთი, რომელსაც ვერანაირი არგუმენტით ვერ გამოვრიცხავთ.

ილიაჭავჭავაძის თხზულებათაოცტომეულში 1890–იანი წლების შემდგომი პერიოდით იყო დათარიღებული მისი წერილი ნიკო ხიზანიშვილისადმი (გვ. 144), რომლითაც სადილად და რაღაც საქმეზე სასაუბროდ ეპატიუება. ბარათს თარიღად მიწერილი აქვს „2 ნოემბერი, კვირა“, მაგრამ არ აწერია წელი. ნიკო ხიზანიშვილმა „დროებასა“ და „ივერიაში“ წერილების გამოქვეყნება დაიწყო 1881 წლიდან და გარდაცვალებამდე, 1906 წლის 28 დეკემბრამდე, ჰქონდა ურთიერთობა ილიასთან. ამ პერიოდში 2 ნოემბერი კვირა დღეს ემთხვევა 1886, 1897 და 1903 წლებში. შესაბამისად, კვლევა უნდა გვეწარმოებინა ამ სამი თარიღის გადამოწმებასა და გამორიცხვაზე, რაშიც დიდი დახმარება გაგვიწია „ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მათიანემ“.

გამორიცხვის მეთოდი დიდ დახმარებას გვეწევს ატრიბუციულ კვლევებშიც, როცა ობიექტური მოცემულობის მიხედვით ჩამოვწერთ სავარაუდო ავტორების ნუსხას და ენობრივ–სტილისტური და სხვა ხერხებით ვცდილობთ მათ გამორიცხვას, ვინც ვერ იქნებოდა ამ ტექსტის ავტორი, რომ დარჩეს ის, ვინც ყოველგვარ შესაბამისობას ამჟღავნებს. მართალია, გამორიცხვის მეთოდის გამოყენებას ყოველთვის არ მივყავართ ერთ, ცალსახა დასკვნამდე, მაგრამ არის შემთხვევები, როცა თუნდაც ერთი კონკრეტული ვერსიის უარყოფა ძალზე მნიშვნელოვანია.

მაგალითად, მკვლევარ ალექსანდრე კალანდაძეს გამოთქმული ჰქონდა მოსაზრება, რომ 1877 წელს „ვაკელის“ ფსევდონიმით გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული წერილი „კუთული ქართველთ ყლაპია“ ეკუთვნის ილია ჭავჭავაძეს და მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მათიანის შედგენისას დავდექით დილემის წინაშე, შეგვეტანა თუ არა ეს ტექსტი მისი ნაწერების ნუსხაში. გამორიცხვის მეთოდი დაგვეხმარა გადაწყვეტილების მიღებაში. დასახელებული ტექსტის ილიასათვის მიკუთვნებას ხელს უშლის რამდენიმე გარემოება: სტატია პირდაპირ ეყრდნობა ფრანგულ გაზეთ „ტემპსის“ პუბლიკაციებს და ერთგან ფრანგულადვე არის ციტირებული ანდაზა. შესაბამისად, მის ავტორს კარგად უნდა სცოდნოდა ფრანგული, ილია ჭავჭავაძემ კი არ იცოდა. მართალია, სტატიაში განხილულ თემას – სომეხი ინტელიგენციის მიერ ქართული კულტურის მითვისებას – ილია არაერთხელ

შეხება და საკმაოდ მწვავედაც, მაგრამ ეს კონკრეტული სტატია მისი ვერ იქნებოდა.

რამდენადაც ატრიბუციული კვლევისას არასოდეს ვეყრდნობით მხოლოდ ერთ მონაცემს და ვცდილობთ საკითხის კომპლექსურ შესწავლას, გადავამოწმეთ, ჰგავდა თუ არა ენით, სტილითა და სხვა მახასიათებლებით ეს სტატია ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტურ წერილებს. ანონიმური წერილი ატარებს მხოლოდ მიმოხილვით ხასიათს და მოკლებულია იმ არგუმენტირებულ განსჯასა და ფუნდამენტურ ანალიზს, რაც ახასიათებს ილიას სტატიებს. გარდა ამისა, მის ლექსიკასა და ენობრივ ფორმებში არ დასტურდება ილიას ენისთვის დამახასიათებელი ნიშნები. შესაბამისად, მიველით დასკვნამდე, რომ იგი ილია ჭავჭავაძეს არ უნდა ეკუთვნოდეს.

კორპუსული კვლევის მეთოდი

ეს მეთოდი ითვალისწინებს ტექსტური კორპუსების შექმნას და მათ ანალიზს კონკრეტული ამოცანების შესაბამისად. მწერლის თხზულებათა სრულ კორპუსს ვიყენებთ მისთვის დამახასიათებელი ნებისმიერი ნიშნის შესასწავლად, ამ ნიშნების სხვა კორპუსთან შესადარებლად და სხვ. კორპუსული კვლევის საშუალებით ასევე შეგვიძლია, შევკრიბოთ და შევაჯეროთ სხვადასხვა თხზულებაში გაფანტული ინფორმაცია. მაგალითად, ილია ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის პირადი წერილების კორპუსული კვლევით დავადგინეთ არაერთი პიროვნების ვინაობა, რომლებიც წერილების ერთ წყებაში მხოლოდ სახელით იყო მოხსენიებული, მეორეში კი – მხოლოდ გვარით, მაგრამ კონტექსტიდან ჩანდა, რომ ერთსა და იმავე პიროვნებებზე იყო საუბარი. მაგალითად, გრიგოლ ორბელიანის ერთ წერილში ჯოხაძეებით დასახლებული მამულის მყიდველად ნახსენებია ანდრონიკაშვილი, სხვაში კი – იასე. კორპუსული კვლევის მეშვეობით, ეს ორი ინფორმაცია ერთმანეთთან შევაჯერეთ და დავუკავშირეთ იასე ანდრონიკაშვილს. ჩვენი დასკვნა დაადასტურა მესამე წერილმა, სადაც ეს სახელი და გვარი მსგავს კონტექსტში უკვე ერთად არის მოხსენიებული: „ერთი წიგნიც მისწერე იასეს

ენდრონიკოს.“

ციფრული ტექნოლოგიებისა და საძიებო სისტემების განვითარებასთან ერთად, კორპუსული ტექსტოლოგიური კვლევები ბევრად უფრო ეფექტური გახდა.

კომპლექსური ატრიბუციული კვლევა

ატრიბუციული კვლევების დროს ვერ დავეყრდნობით საკითხის მხოლოდ ერთი ასპექტით შესწავლის შედეგს, მაგალითად, თანამედროვის მოგონებას, ტექსტში განხილული საკითხისადმი ავტორის ინტერესს, ენობრივ, ან სტილისტურ მსგავსებას. მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი ასეთი ვარაუდი გადამოწმდეს ყველა შესაძლო ასპექტით. ამისათვის ტექსტოლოგია კომპლექსურად იყენებს დოკუმენტურ, ბიოგრაფიულ, ენობრივ, სტილისტურ და სხვა მეთოდებს.

მაგალითად, ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მათიანის 1987 წლის გამოცემაში ეწერა, რომ 1880 წელს გაზეთ „დროების“ №77 და №83-ში „ახალი ამბების“ რუბრიკაში დაბეჭდილი შენიშვნები, რომლებიც ეხება ხიზნების თაობაზე გაზეთ „ობზორის“ პუბლიკაციებს, ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის. მართალია, „ობზორთან“ პოლემიკა სწორედ ილია ჭავჭავაძის წერილებმა გამოიწვია (იხ. ამავე გაზეთის №60 და № 65), მაგრამ „ახალი ამბების“ რუბრიკაში დაბეჭდილი ტექსტები მას არ უნდა ეკუთვნოდეს.

ამ ორ ტექსტში დიდი რაოდენობით გვხვდება ილია ჭავჭავაძისთვის უჩვეულო ლექსიკა და სიტყვათა ფორმები: „იმდენათ, რამდენათაც“, „უნამყოფო“, „ჯღაბნა“, „ცილი შესწამოს“, „შეცდომილი“ (ორჯერ), „ყოველთვინ“ და სხვ. გარდა ამისა, №83-ში ვკითხულობთ: „დღევანდელს „ობზორის“ ნომერში მოყვანილია რამდენიმე სტრიქონი, ხიზნების შესახებ, ჩვენი საკვირაო საუბრიდამ“. „საკვირაო საუბრები“, მათ შორის 1880 წლის 13 აპრილის (კვირა) №81-ისაც, პეტრე უმიკაშვილს ეკუთვნის. გარდა ამისა, აშკარაა, რომ ორივე ტექსტი ერთი და იმავე ავტორის მიერ არის დაწერილი (შდრ.: „უმორჩილესად ვსთხოვთ, პატივცემულ „ობზორის“ რედაქციას,

გვიჩვენოს, მიგვითითოს ის ადგილი ამ სტატიისა, სადაც თქმული იყოს, რომ ხიზნებსა და არენდატორებს შუა არავითარი განსხვავება არ არისო“ (№77) / „ჩვენ ვთხოვეთ ამ პატივცემულ გაზეთს: გვიჩვენოს, მიგვითითოს ის ადგილი ჩვენის სტატიებისა, საცა ეს აზრია გამოთქმული“ (№83). შესაბამისად, კომპლექსურმა კვლევამ დაადგინა, რომ ამ ტექსტების ავტორი არის პეტრე უმიკაშვილი და არა ილია ჭავჭავაძე.

ავტორობის საკითხის დასადგენად ყველაზე მნიშვნელოვან მონაცემებს გვაძლევს მწერლის არქივის შესწავლა, სადაც შეიძლება დაცული იყოს ნაწარმოების ავტოგრაფი, ავტორიზებული ხელნაწერი, ნაწყვეტი, გეგმა, ან მისი ავტორობის დამადასტურებელი რაიმე მინიშნება. ასე გაიხსნა მრავალი ანონიმური თხზულების ავტორის ვინაობა. ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძის და არაერთი სხვა მწერლის არქივებში აღმოჩნდა ისეთი თხზულებები, რომლებიც უცნობი იყო საზოგადოებისთვის, ან ანონიმურად იყო გამოქვეყნებული და ავტორის ვინაობა უცნობი იყო. არქივების საფუძვლიანი შესწავლით მდიდრდება თხზულებათა აკადემიური გამოცემები, ყალიბდება მწერალთა ლიტერატურული მემკვიდრეობის სრული სურათი. ამაში დიდი წვლილი შეაქვს ანონიმური თხზულებების ატრიბუციას. ავტორის დაუდგენლობის გამო ნებისმიერი ნაწარმოების გამოტოვებით ამ ერთიან სურათს რაღაც აკლდება და არასრულყოფილია.

იოსებ ლორთქიფანიძე წერილში „ატრიბუციის საკითხები“ აღნიშნავს: „ავტოგრაფის აღმოჩენა იძლევა საშუალებას, ვამხილოთ, გამოვამჟღავნოთ ყოველგვარი ბეჭდური მისტიფიკაცია. მკვლევარმა და გამომცემელმა ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, არის თუ არა ტექსტში ავტორის ხელით შეტანილი სწორებები. მათი არსებობის შემთხვევაში, ხელნაწერი ძირითადად, სხვისი გადაწერილიც რომ იყოს, მაინც ავტორიზებულ წყაროდ ჩაითვლება“.

მეორე სერიოზული დასაყრდენი ატრიბუციისათვის არის ბიბლიოგრაფიული ნუსხები, ან ცალკეული დოკუმენტური მინიშნებები ამა თუ იმ პირის ავტორობის შესახებ. ასეთმა ფაქტობრივმა მასალამ არაერთი ნაწარმოების ავტორის გარკვევაში შეასრულა გადამწყვეტი როლი. ამ მხრივ კარგი მაგალითია სხვადასხვა ცნობილი მწერლის თხზულებების თედო

სახოკიას მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფიები, რომელთა მიხედვითაც, ქართველ კლასიკოსთა გამოცემები არაერთი ტომით შეივსო.

ავტორობის დადგენაში ხშირად დიდ დახმარებას გვიწევს საცენზურო კომიტეტის მასალები, რომლებშიც თავმოყრილია ცენზურის მიერ დაწუნებული თხზულებები და მინიშნებულია მათი ავტორებიც. ზოგ შემთხვევაში ასეთსავე მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის ჟურნალ-გაზეთების ავტორისეული კოლექცია საკუთარი წერილების აღნიშვნით, ან სარედაქციო ცალები ავტორზე მინიშნებით. მაგალითად, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკაში დაცულ ჟურნალ „ივერიის“ ეგზემპლარებზე ანონიმურ წერილებთან ბევრგან არის მიწერილი ინიციალი „ი. ჭ.“, რაც მიგვანიშნებს, რომ სტატიები ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის.

„მწარია“ ვაჟა ფშაველას ფსევდონიმად იყო მიჩნეული, მაგრამ მკვლევარმა სოლომონ ხუციშვილმა შენიშნა, რომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კუთვნილ საგაზეთო კომპლექტებში 1893 წლის „ივერიის“ N24-ში ამ ფსევდონიმით გამოქვეყნებული სტატიის გასწვრივ მიწერილი იყო: „ეს მე მეკუთვნის, ბაჩანა“ და მსგავსი მინაწერი იყო N25-ში წერილის გავრცელებაზეც, სტატიის დასასრულთან კი, N27-ში ეწერა: „ეს მე მეკუთვნის, მწარიაც ჩემი ფსევდონიმია, ბაჩანა“.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის (ოცტომეული) შემდგენლებს დიდი დახმარება გაუწია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულმა ასლებმა, რომლებიც გადაწერილი იყო ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემისათვის ჯერ კიდევ მწერლის სიცოცხლეში. ამ კრებულებმა ბიბლიოგრაფიული ნუსხების ფუნქცია შეასრულა და ხელი შეუწყო მეცნიერებს არაერთი პუბლიცისტური წერილისა და თარგმანის ატრიბუციაში.

იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი ნუსხა, რომელშიც შეტანილია სერგეი მესხის 349 წერილი და სათაურად აქვს „გადაუწერილი სტატიები“, დიდად დაეხმარა მკვლევრებს როგორც მესხის, ისე ილია ჭავჭავაძის წერილების ატრიბუციაში, რადგან 1880 წლიდან ეს ორი პიროვნება ერთად რედაქტორობდა გაზეთ „დროებას“ და მეთაურებს ხელმოუწერლად ისინი

აქვეყნებდნენ. ამდენად, ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ ის წერილები, რომლებიც მესხს არ ეკუთვნოდა, მისი თანარედაქტორისა უნდა ყოფილიყო. კიდევ უკეთესი დასაყრდენი ამ მხრივ, რა თქმა უნდა, თვით ავტორის მიერვე შედგენილი ბიბლიოგრაფიაა. მაგალითად, გიორგი წერეთელმა გაზეთ „კვალში“ გამოაქვეყნა თავისი ნაწერების სია.

თხზულებათა ატრიბუციაში დიდ დახმარებას გვიწევს მემუარული ლიტერატურა, მწერლების თანამედროვეთა მოგონებები. გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში N13242-ით ინახება ვაჟა-ფშაველას ძმასთან, სანდრო რაზიკაშვილთან, საუბრის ჩანაწერი, რომელიც გვაწვდის საინტერესო ინფორმაციას დიდი პოეტის ერთი ანონიმური ლექსის ატრიბუციისათვის. გიორგი ლეონიძის კითხვაზე, თუ როგორ უპასუხა ვაჟამ დავით სოსლანს, სანდრო პასუხობს: „აფსუს, სოსლანო, ვინ სოსლან და ვინ კებელი დავითო“. სტენოგრაფიულ ჩანაწერში არ არის მითითებული, სად და რა ფორმით გამოთქვა ვაჟამ ეს აზრი, მაგრამ მკვლევარმა ლევან ჭრელაშვილმა მიაკვლია, რომ მსგავსი სიტყვები არის 1889 წლის გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილ საახალწლო ლექსში, რომელსაც სათაურის ნაცვლად „ივერიის მეკვლე“ აწერია: „აფსუს, სოსლანო... ვინ სოსლან და ვინ კებელი დავითა!“

ატრიბუციისათვის ერთ-ერთი დასაყრდენი არის თხზულების ტექსტის მიხედვით დადგენილი ბიოგრაფიული დეტალების დამთხვევა სავარაუდო ავტორის ცხოვრებისეულ ფაქტებთან. 1890 წლიდან ვაჟა-ფშაველა ხშირად იყენებდა ფსევდონიმს „იქაური“, როცა ბეჭდავდა კორესპოდენციებს მთის ყოფა-ცხოვრების შესახებ: „ფშავის ხევი“, „წერილი ფშავის ხევიდან“, „ერთი კვირა ხევსურეთში“, „დაბა თიანეთი“ და სხვ. წერილების შინაარსიდან ჩანს, რომ უცნობი ავტორი წარმოშობით ფშავიდან არის და ბარისახოში სტუმრად იმყოფება სკოლის მასწავლებელთან. როგორც ცნობილია, იმ დროს ბარისახოში ასწავლიდა ვაჟას ძმა – ბაჩანა, რაც სასწავლებელს ხდის ამ მხარეში ვაჟას ხშირ სტუმრობას. ამას გარდა, სხვა ფაქტობრივი დეტალებიც მიგვანიშნებს მის ავტორობაზე.

ყველაზე სანდო დასაყრდენი ავტორობის დასადგენად არის მწერლის

თვითადიარება. ეს ან სპეციალური ოფიციალური განაცხადია, რომელშიც ავტორი გვამცნობს, რომ თხზულება მისი დაწერილია, ან თავისთავად – მის სიცოცხლეში თხზულება ქვეყნდება ხელმოწერით, ან შეაქვეთ მისი ნაწერების კრებულში.

ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“, „კაცია – ადამიანი?!“ და არაერთი ლექსი, რომლებიც თავდაპირველად ფსევდონიმებით იბეჭდებოდა, სწორედ ასე დაუკავშირდა ავტორის ნამდვილ სახელს. ვაჟა-ფშაველამ თავის წერილებში „ავტობიოგრაფიული ცნობა“ და „Pro Domo Sua“ არაერთი ანონიმური ნაწარმოების ავტორობა აღიარა.

ატრიბუციის ერთ-ერთი დამხმარე საშუალებაა თხზულების იდეური ანალიზი, რომელიც გადამჭრელი დასკვნის საშუალებას ვერ იძლევა, მაგრამ ვარაუდის შესამოწმებლად ნაცადი ხერხია. ანონიმური ტექსტი უდარდება სავარაუდო ავტორის თხზულებებს და მოწმდება, რამდენად შეესაბამება ერთმანეთს მათი შემქმნელის მსოფლმხედველობა, ინტერესები და აზრები კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით. ეს საშუალება უფრო მოსახერხებელია გამორიცხვის მეთოდის გამოყენებისას – იმ შემთხვევაში, თუ ცალკეული შეხედულებები აშკარად ეწინააღმდეგება სავარაუდო ავტორისას. ზოგჯერ თხზულებას აშკარად ეტყობა ავტორის ცოდნის ფართო დიაპაზონი, ინტელექტი, შემოქმედებითი სილალე და მხატვრული სიღრმე, ან პირიქით, ყოველივე ამის ნაკლებობა. ასეთ შემთხვევაში სავარაუდო ავტორთა სია შედარებით ვიწროვდება და შესაძლებელია გამორიცხვის მეთოდის გამოყენებაც.

სავარაუდო მწერალზე ორიენტაციის ასაღებად კარგი შედეგი აქვს ენობრივი თავისებურებების კვლევას და ორთოგრაფიაზე დაკვირვებასაც. ქართველ მწერალთა შემოქმედებაში ხშირად იჩენს თავს კუთხური მეტყველების ნიშნები, რომლებიც მათ ენას განსაკუთრებულ კოლორიტს სძენს.

ლიტერატურული სტილი არის მხატვრული ნაწარმოების ყველა ასპექტის თვისებათა ერთობლიობა და მათი ორგანიზება. ამიტომაც, ალბათ, ყველაზე რთულია ავტორის ძიება მწერლის ინდივიდუალური სტილის მიხედვით,

მაგრამ ესეც მნიშვნელოვანი სფეროა მხატვრულ თხზულებათა ატრიბუციისას. ავტორისათვის არსებითი, ინდივიდუალური ნიშნების გამოყოფა მკვლევარმა გეგმაზომიერად უნდა აწარმოოს, თანდათან უნდა გახსნას გასაანალიზებელი ტექსტის სემანტიკისა და სტილის სხვადასხვა შრე და შეაგროვოს მასალა ავტორის სახის აღსადგენად. მან უნდა მოუყაროს თავი ანონიმური თხზულების ინდივიდუალური სტილისთვის დამახასიათებელ ნიშნებს და დაგროვილი შედეგები შეადაროს სავარაუდო ავტორის სტილის საერთო სისტემას. ასეთ კვლევას ნელ-ნელა მივყავართ ავტორის სახის გამოკვეთამდე, მაგრამ ამ სახის სრული რეკონსტრუქცია ყოველთვის არ ხერხდება და ვერც შესაბამისი დასკვნა იქნება ცალსახა. იგი მეტწილად მხოლოდ ჰიპოთეზის დონეზე რჩება.

სიტყვებისა და ფრაზების მსგავსება ცალკე აღებული არაფერია, თუ არ არის ამოცნობილი მათი ფუნქცია ინდივიდუალურ სტილში, ამას კი მნიშვნელოვანწილად ეპოქა, ჟანრი და ლიტერატურული მიმდინარეობა განაპირობებს. თუ ნაწარმოებში ეპოქა, ჟანრი და ლიტერატურული მიმდინარეობა აშკარად არ ჩანს, უნდა გაირკვეს ისტორიულ-ლინგვისტური, ისტორიულ-სტილისტური და, ზოგადად, ისტორიულ-ფილოლოგიური ანალიზით. ამისთვის აუცილებელია სავარაუდო ავტორის ინდივიდუალური სტილის ღრმა ცოდნა.

ანონიმური პროზაული ნაწარმოების ატრიბუციისას ვეყრდნობით ენის ისტორიულ სტილისტიკას და ლიტერატურულ სტილთა თეორიას. სტილისტური კრიტერიუმების გარკვევისას დამხმარე დისციპლინებია არა მხოლოდ გრამატიკა, ლექსიკოლოგია და სტილისტიკა, არამედ ეტიმოლოგია, ესთეტიკა, თემებისა და სიუჟეტების ისტორია და ყოველივე ის, რაც ამ ავტორის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მატარებელი შეიძლება იყოს.

გენეალოგიური მეთოდი და მისი თანდათანობითი განვითარება

გენეალოგიური მეთოდი გულისხმობს არსებული ხელნაწერების ნაირწაკითხვათა იდენტურობის მიხედვით დაჯგუფებას, მათ კრიტიკულ ანალიზსა და ჰიპოთეტური არქტივის რეკონსტრუქციას.

ხელნაწერებს შორის გენეალოგიური მსგავსება-ნათესაობის არსებობას ყურადღება პირველად დიდი ხნის წინ, 1508 წელს, მიაქცია ერაზმ როტერდამელმა, ბერძნული და ლათინური ანდაზების გამოსაცემად მზადების დროს. ტექსტოლოგიის მეცნიერების დარგად ჩამოყალიბებამდე ტექსტების ქრონოლოგიური თანმიმდევრობისა და გენეალოგიური ურთიერთმიმართების დადგენას ბევრი სხვა გამომცემელიც ცდილობდა. მე-18 საუკუნიდან გენეალოგიურ მეთოდს საქართველოშიც იყენებენ.


უძველესი ძეგლების დიდმანაწილმა ჩვენამდე მრავალი, ერთმანეთისგან განსხვავებული წყაროს სახით მოაღწია. განსაკუთრებით დიდ ცვლილებებს განიცდიდა ტექსტები ხელით გადაწერისას, ბეჭდვის შემოღებამდე. ზოგჯერ იცვლებოდა თხზულებათა სტრუქტურა და შეიძლება რამდენიმე ნაწარმოებიც გაერთიანებულიყო. სხვადასხვა ეპოქის ნაწილებისგან შემდგარი სახით მოაღწია ჩვენამდე „ბიბლიამ“, ჰომეროსის ტექსტებმა და მრავალმა სხვა თხზულებამ. გენეალოგიური კვლევისას ტექსტოლოგი ეყრდნობა წყაროთა მონაცემებს, აჯგუფებს მათ, არკვევს ჯგუფებს შორის და ჯგუფებს შიგნით ტექსტების ურთიერთმიმართებას, ადგენს არქეტიპს და აგებს წყაროების გენეალოგიურ ხეს (stemma codicum).

გენეალოგიური ხის შედგენა რთულდება, როცა შუალედური ტექსტები - შუალედური რგოლები გვაკლია. მაგალითად, ფრანგული ეპიკური თხზულების „სიმღერა როლანდზე“ მე-12 საუკუნის ოქსფორდული ხელნაწერი მნიშვნელოვნად განსხვავდება მე-13-14 საუკუნეების წყაროთა უმრავლესობისგან, მაგრამ მასში, უფრო გვიანდელი ერთი ვენეციური ხელნაწერის მსგავსად, რითმების ნაცვლად ლექსი ასონანსებით (ხმოვნების გამეორებით) არის აგებული. შესაბამისად, გვიანდელმა ვენეციურმა ხელნაწერმა უკეთ შემოინახა ის, რაც უფრო ადრეულელებში დაკარგულია.

ტექსტების გენეალოგიური ურთიერთკავშირის კვლევის მეთოდი, რომელიც მსგავს შეცდომათა ანალიზს ემყარება და წყაროთა ურთიერთმიმართებებს დატოტვილი ხის მსგავსი სქემის - სტემის სახით წარმოადგენს, პირველად გერმანელმა მეცნიერმა კარლ ლახმანმა გამოიყენა 1950 წელს გამოცემული ლუკრეციუსის თხზულების „საგანთა ბუნებისათვის“

ტექსტის დასადგენად, მაგრამ მომდევნო წელს გარდაიცვალა და მეთოდის პრინციპები თეორიულად არ ჩამოუყალიბებია. მის მიერ გამოყენებულმა სტემატურმა კვლევამ დიდი ინტერესი გამოიწვია და ბევრი მიმდევარი გაუჩნდა. მათ შორის იყვნენ გერმანელი ფილოლოგები ფრიდრიხ რიჩლი და იაკობ ბერნესი, დანიელი იოჰან მედვიგი და მრავალი სხვა.

ლახმანის მეთოდის მთავარი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ ტექსტის დადგენა ხდება ნაშრომის სხვადასხვა ტრანსმისიებში მსგავსი შეცდომების გამოვლენის, სისტემატიზაციისა და ანალიზის საშუალებით. იმის გამო, რომ ძირითად ტექსტში შესატანი ვარიანტული წაკითხვის არჩევანი ემყარება „ერთნაირ შეცდომათა“ ანალიზს, ამ მეთოდს ზოგჯერ „ერთნაირი შეცდომების მეთოდდაც“ მოიხსენიებენ. ლახმანის სიახლე იყო კრიტიკული



ტექსტის მომზადების პროცესში ორი ეტაპის გამოყოფა, ესენია: რეცენზირება (recensio), რომელიც გულისხმობს ადრეული ფორმის დადგენას და სწორება (emendatio). ის განიხილავდა ყველა შეცდომას და აჯგუფებდა მათ ზოგად და ინდივიდუალურ შეცდომებად, რომელთა მიხედვითაც ადგენდა წყაროთა ოჯახურ ბუდეებს. ჰიპოთეტური ტექსტური

ტრადიციის სქემაში ასოებით აღნიშნული იყო ჩვენამდე მოღწეული ტექსტური მოწმეები, კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ასოებით კი – რექონსტრუქციის შედეგად მიღებულები. ლახმანი ახდენდა იმ პირდაპირი ასლების (იხ. აქ: ვ, თ, ი) ელიმინაციას (უკვედებას), რომლებიც არავითარ სხვაობას არ მოიცავდა და არ გამოდგებოდა არქეტიპის აღსადგენად. ამ მეთოდის ნაკლი ის იყო, რომ მას შეეძლო ხელნაწერთა ურთიერთმიმართების გარკვევა მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ისინი თითო წყაროდან იყო გადაწერილი.

ფრანგი ფილოლოგი ჯოზეფ ბედიე თავდაპირველად ლახმანის მეთოდს იყენებდა, მაგრამ მოგვიანებით საკუთარი კონცეფცია შეიმუშავა. მე-12 საუკუნის ერთი ფრანგული ტექსტის გამოცემაზე მუშაობისას, რომელსაც ჟან რენარს აკუთვნებენ, მან გადაწყვიტა, რომ ორიგინალის რესტავრაცია

კი არ უნდა ყოფილიყო ტექსტოლოგის მიზანი, არამედ საუკეთესო წყაროს გამოვლენა და მისი პუბლიკაცია მინიმალური ჩარევით. კარგი წყაროს ასარჩევად ის ტექსტის ვარიანტებს და მათ შორის გენეტიკურ ურთიერთმიმართებას ეყრდნობოდა. საუკეთესო ვარიანტის გამოცემის პრაქტიკა კარგახანს გამოიყენებოდა საფრანგეთსა და ესპანეთში შუასაუკუნეების ტექსტების გამოსაცემად.

მე-20 საუკუნის 20-იან წლებში გერმანელმა მეცნიერმა პოლ მაასმა თეორიულად ჩამოაყალიბა და განავითარა კარლ ლახმანის თეორია. მან ყურადღება მიაქცია იმას, რომ ზოგჯერ 100-მდე ხელნაწერი მომდინარეობდა ერთი, არცთუ გვიანდელი, წყაროდან და წამოჭრა საკითხი, ჰქონდა თუ არა აზრი, რომ „მემკვიდრეთა“ დიდი რაოდენობის გამო ამ ხელნაწერს უპირატესობა მინიჭებოდა ძველებთან შედარებით. მაასის აზრით, ტექსტის დადგენისას ნაირწყაობები უნდა შერჩეულიყო იმის მიხედვით, თუ რომელი მათგანი შეიძლებოდა ყოფილიყო არქეტიპში. მისი ძირითადი ამოსავალიც, ლახმანის მსგავსად, იყო შეცდომების ანალიზი, მაგრამ არც ის ითვალისწინებდა, რომ არქეტიპშიც შეიძლება იყოს შეცდომა. მაასმა დააკონკრეტა, რომ ტექსტოლოგის მიერ დადგენილი ტექსტი ოპტიმალურია და არა უნიკალური.

იტალიელი ფილოლოგის, ჯორჯიო პასკუალის, აზრით, მაასმა არასწორად გაიგო ლახმანის თეორიის ცალკეული ტერმინები, მაგრამ იგი აკრიტიკებდა არა მხოლოდ მაასს, არამედ ლახმანსაც. ამ თეორიის ნაკლად მას მიაჩნდა, რომ იგი ითვალისწინებს მხოლოდ ერთადერთი არქეტიპის არსებობას. პასკუალის ამის საწინააღმდეგოდ მოჰყავს არაერთი მაგალითი, რომლებშიც ტექსტს აშკარად რამდენიმე არქეტიპი აქვს. იგი გენეალოგიური მეთოდის გასაუმჯობესებლად საჭიროდ მიიჩნევდა ნაირწყაობების შეცდომად აღიარების პრინციპის დაზუსტებასაც.

ამერიკელმა მკვლევარმა ტელბოტ დონალდსონმა გენეალოგიური მეთოდის დახვეწის მიზნით, წამოაყენა წინადადება წყაროების შეფასებასთან დაკავშირებით. მისი აზრით, რომელიმე წყარო მთლიანად არასაარწმუნოდ არ უნდა ჩავთვალოთ მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მასში წაკითხვათა დიდი ნაწილი

არაარქეტიპულია. ამის დასადასტურებლად მან მოიხმო ჯეფრი ჩოსერის „კენტერბერული მოთხრობების“ მაგალითი. ამ ავტორისთვის მისაღები იყო ფორმა „wrighte“ (საშუალ. ინგლ. „მშრომელი“) რომელიც მისი თხზულების მხოლოდ სამ წყაროში ფიქსირდება. შესაბამისად, არსებული პრინციპით, ტექსტის დადგენისას ყველა დანარჩენი ხელნაწერის იგნორირება უნდა მომხდარიყო.

ამერიკელმა მეცნიერებმა ჯონ მენლიმ და ედიტ რიკერტმა კენტერბერული მოთხრობების გამოსაქვეყნებლად მზადებისას მოახდინეს გენეტიკური მეთოდის რევიზია. მათ ორიენტაცია აიღეს არა შეცდომების, არამედ ვარიანტების მიხედვით დაჯგუფებაზე, რადგან, მათი აზრით, მხოლოდ შეცდომებს არ უნდა გადაეწყვიტა ხელნაწერის კუთვნილება ამა თუ იმ ჯგუფისადმი. მენლიმ და რიკერტმა შემოიტანეს ტერმინები: „გენეტიკური ჯგუფი“, „დამთხვევათა ჯგუფი“ და „ჯგუფური ვარიანტი“.

ბრიტანელმა მეცნიერმა მარტინ ვესტმა 1973 წელს ჩამოაყალიბა მოსაზრება, რომ სტემატური ანალიზის მიზანია ტექსტის იმ სახით აღდგენა, როგორც იყო ავტორის გონებაში. ამ მიდგომის ნაკლი იმაში მდომარეობდა, რომ ზედმეტად იყო დამოკიდებული რედაქტორის გადაწყვეტილებაზე, რომელსაც უნდა განესაზღვრა, როგორი იყო ის თავდაპირველი ტექსტი, რომელიც ჯერ ქალაქში არ იყო გადატანილი.

დომ ჰენრი ქვენტინმა ყურადღება მიაქცია, რომ ლახმანის მიმდევრები ახდენდნენ ტექსტის ორიგინალის რექონსტრუქციას და არა არქეტიპისას, არადა, მისი თქმით, შეცდომები შეიძლება ყოფილიყო ორიგინალშიც, ამიტომ შეცდომების მიხედვით ხელნაწერთა დაჯგუფება არ იქნებოდა სწორი. ვულგატას (ბიბლიის ლათინური თარგმანი, რომელიც 383-406 წლებში გამოსცა წმიდა იერონიმემ) ტექსტის დადგენაზე მუშაობისას მან დაიწყო ტექსტის ვარიანტების და არა მხოლოდ შეცდომების შესწავლა.

გენეალოგიურ მეთოდს საქართველოში მე-18 საუკუნიდან იყენებენ.

ნეოსტემატური მეთოდი

რამდენადაც ლახმანის გენეალოგიური მეთოდი ვერ ითვალისწინებდა კონტამინაციების შემთხვევებს, ამ ხარვეზის დაძლევის მიზნით ბენ სალემანსმა, პიტერ რობინსონმა და მათმა კოლეგებმა შეიმუშავეს ახალი – ნეოლახმანური, ნეოსტემატური მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს არა მხოლოდ შეცდომების, არამედ ყოველგვარი ვარიანტული სხვაობების ანალიზს. მათ ფართოდ გამოიყენეს კომპიუტერის შესაძლებლობები და ჩამოაყალიბეს ახალი საგამომცემლო კონცეფცია. ისინი ტექსტს გამოსცემენ არა იმ მოტივით, რომ ეს არის ავტორის ორიგინალი ან ტექსტუალური ტრადიციის სათავე, არამედ როგორც ტექსტს, რომელსაც პოტენციურად შეუძლია ახსნას ამავე ნაშრომის ამ დროისთვის არსებული ყველა სხვა ტექსტი.

კომპიუტერულ პროგრამათაგან, რომლებსაც იყენებენ გენეტიკური კვლევების საწარმოებლად, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია მოლეკულური ბოლოგიისათვის შექმნილი PAUP (ფილოგენეტიკური ანალიზი პარსიმონიისა და სხვა მეთოდების გამოყენებით). მართალია, იგი მცენიერების სხვა დარგისთვის შეიქმნა, მაგრამ ტექსტოლოგიური კვლევებისთვისაც ძალზე მოსახერხებელია. პროგრამა ტექსტების კლადისტიკური ანალიზის (კლასიფიკაციის სპეციფიკური სისტემა) მეშვეობით, მათ გენეტიკურ ურთიერთმიმართებასა და ევოლუციას წარმოადგენს ხის მოდელის მსგავსი სქემის სახით. გარკვეული ხარვეზები ამ პროგრამასაც აქვს, მაგრამ ნეოსტემატიკა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია და თანდათან იხვეწება.

კოჰერენტულობაზე დამყარებული გენეალოგიური მეთოდი

კოჰერენტულობაზე (coherence – ერთიანი მთლიანობის ქმნადობის თვისება) დამყარებული გენეალოგიური მეთოდი ქალაქ მიუნსტერში ჩამოაყალიბა და ახალი აღთქმის „კათოლიკე ეპისტოლეების“ ბერძნულ-ენოვანი ტექსტების საკვლევად გამოიყენა გერმანელმა მეცნიერმა გერდ

მინკმა.

მეთოდი ითვალისწინებს ყველა არსებული ვარიანტული წაკითხვის ტექსტოლოგიური კვლევის საფუძველზე ტექსტის არქეტიპისკენ გზამკვლევი სტრუქტურების კვლევას და ამ არქეტიპული სახის შექმნას. მეთოდის მთავარი პრინციპი ის არის, რომ ტექსტურ მოწმეთა ურთიერთმიმართება ემყარება მათ ვარიანტულ წაკითხვათა ურთიერთმიმართებას. თუ „ა“ ტექსტის წაკითხვები წინ უსწრებს „ბ“ ტექსტისას, ჩნდება ვარაუდი, რომ „ა“ შეიძლება იყოს „ბ“-ს წინამორბედი, ანუ ტექსტი მიედინება „ა“-დან „ბ“-სკენ და დიაგრამა გვაჩვენებს ამ დინების მიმართულებას.

კარლ ლახმანისეული „მსგავს შეცდომებზე“ დამყარებული გენეალოგიური მეთოდი არქეტიპის რეკონსტრუქციას ნაბიჯ-ნაბიჯ ახდენდა დედუქციის გამოყენებით, კოჰერენტულობაზე დამყარებული გენეალოგიური მეთოდი კი არქეტიპს მოზაიკასავით აწყობს ცალკეული მონაცემებიდან. იგი ეყრდნობა არა ხელნაწერების, როგორც არტეფაქტების, არამედ მათში დაცული ტექსტების, ე. წ. ტექსტური მოწმეების შესწავლას, რადგან ტექსტი, რომელსაც ხელნაწერი შეიცავს, გენეალოგიური თვალსაზრისით შეიძლება ბევრად უფრო ადრეული იყოს, ვიდრე თავად ხელნაწერი. ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ, სხვა გენეალოგიური მეთოდებისაგან განსხვავებით, კოჰერენტულობაზე დამყარებული მეთოდი ორიენტირებულია კონტამინაციით გამოწვეული წინააღმდეგობების დაძლევაზე.

ძველი ტექსტების გადაწერა-გავრცელებისას ხშირად მიმართავდნენ კონტამინაციას, ანუ ტექსტს იწერდნენ არა ერთი წყაროდან, არამედ რამდენიმედან. გადამწერს შეიძლება წერის მთელ პროცესში პარალელურად ესარგებლა რამდენიმე დედნით და ტექსტის თითოეული ფრაზის ჩაწერამდე შეეჯერებინა ერთმანეთთან მის ხელთ არსებული მონაცემები, შემდეგ კი სკრიპტორიუმის პრინციპების, ან საკუთარი შეხედულებისამებრ, აერჩია თითოეული ნაირწაკითხვის ის ვერსია, რომელსაც დაეყრდნობოდა. მეორე მხრივ, შეიძლებოდა, რომ ტექსტის ერთი ნაწილი გადაეწერა ერთი წყაროდან, სხვა კი – სხვიდან. ამის მიზეზი შეიძლებოდა ყოფილიყო თუნდაც ერთ-ერთი ხელნაწერის რაღაც ნაწილის დაზიანება, ან ნაკლულობა.

შეიძლება ტექსტის გადამწერს ესარგებლა ერთი დედნით, მაგრამ თავად ეს წყარო ყოფილიყო კონტამინაციის გზით შექმნილი. რამდენიმე წინამორბედი წყაროდან წარმომავლობა ძალიან ართულებს ტექსტური მოწმეების გენეტიკური ურთიერთმიმართების გარკვევას. რაც უფრო მეტჯერ გადაიწერებოდა ტექსტი, მით უფრო შორდებოდა იგი პირველწყაროს. სტემატური სურათის აღსადგენად დიდ პრობლემებს ქმნის რომელიმე შუალედური რგოლის - შუალედური ტექსტური მოწმის - ჩვენამდე მოუღწევლობა. მეორე პრობლემური საკითხი, რომელიც ასევე ართულებს ტექსტურ მოწმეებს შორის გენეტიკური ურთიერთმიმართების გარკვევას, არის შემთხვევითობები, როდესაც ორ ყოველმხრივ განსხვავებულ ტექსტურ მოწმეში გვხვდება ცალკეული ერთნაირი ნაირწყაითხვეები და ამის მიზეზი შემთხვევითობაა და არა კონტამინაცია.

ტექსტური მოწმეების ისტორიასთან და გენეალოგიურ ურთიერთ-მიმართებასთან დაკავშირებით გამოთქმული ნებისმიერი ჰიპოთეზა უნდა ითვალისწინებდეს ორივე ასპექტს, როგორც კონტამინაციას, ისე ვარიანტული წაკითხვების შემთხვევით თანხვედრას. როდესაც ერთ ტექსტს ვადარებთ სხვას, ყოველთვის უნდა ვიფიქროთ, რომ მათგან თითოეულში შეიძლება იყოს როგორც მეორეზე ადრეული ვარიანტული წაკითხვები, ისე უფრო გვიანდელი. ტექსტოლოგიური ჰიპოთეზის გონივრულობაზე ერთ-ერთი მიმანიშნებელი არის მონაცემთა განმეორებადობა, მაგალითად, როდესაც ერთი დოკუმენტის ტექსტი არაერთ ვარიანტულ წაკითხვაში უსწრებს წინ მეორე დოკუმენტისას.

შინაგანი კოჰერენტულობა ახასიათებს მთელ ტექსტულურ ტრადიციას, მაგრამ ტექსტის მდგომარეობის ინდივიდუალურ გამოვლინებებს შორის კავშირი განპირობებულია სხვა სახისა და ხარისხის კოჰერენტულობით. ტექსტის მდგომარეობის განვითარებასთან ერთად, ტრადიციაში ჩნდება ძირითადი ტექსტური ნაკადი, რომლის ამა თუ იმ ადგილსაც იკავებს ინდივიდუალური ტექსტური მოწმე. ამა თუ იმ მოწმის პოზიციის მიმართება სხვასთან შეიძლება განისაზღვროს ამ ტექსტურ ნაკადში მისი პარამეტრების შესწავლით.

განსახილველი მეთოდისთვის ძალზე მნიშვნელოვანია კოჰერენტული ჯაჭვების შესწავლა და ტექსტური ნაკადის ანალიზი. მეთოდის სპეციფიკაში რომ გავერკვეთ, წინდაწინვე უნდა შევხვით მისთვის ფუნდამენტური კონცეპტების რაობას, ესენია: პრეგენეალოგიური კოჰერენტულობა, გენეალოგიური კოჰერენტულობა, ტექსტური ნაკადის დიაგრამა, სტემატური დიაგრამა და გლობალური სტემა.

პრეგენეალოგიური კოჰერენტულობა არის კონკრეტული ნაშრომის ორი წყაროს ვარიანტული თანხვედრების პროცენტული მიმართება ამავე ნაშრომის ყველა წყაროში დაფიქსირებული ნაირწაკითხვების საერთო რაოდენობასთან. იგი ერთნაირად ითვალისწინებს ნებისმიერი სახის სხვაობას, მცირესაც და დიდსაც. ტექსტურ მოწმევებს შორის ძლიერ პრეგენეალოგიურ კოჰერენტულობას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, თუ მათ ვარიანტებს შორის დიდი თანხვედრაა. პრეგენეალოგიური კოჰერენტულობის არარსებობა მიგვანიშნებს ვარიანტების შემთხვევითობაზე. მაგალითად, როდესაც ორ ტექსტს შორის თანხვედრები საერთოდ არ არის, გარდა ერთადერთი შემთხვევისა, დიდი ალბათობაა იმისა, რომ ეს თანხვედრა შემთხვევითი იყოს.

„კათოლიკე ეპისტოლეების“ ტექსტების კოჰერენტულობაზე დამყარებული გენეალოგიური მეთოდით კვლევის პირველი შედეგები გამოქვეყნდა 2012–2014 წლებში. მასში აღნიშნულია, რომ 123 ტექსტურ მოწმეში ფიქსირდება 3046 ვარიანტული წაკითხვა. მე-4 საუკუნის ორ ხელნაწერში, ვატიკანურსა და სინურში, ამ ნაირწაკითხვათაგან ერთგან სახეზეა 2999 და მეორეგან – 2613. შესაბამისად, ამ ტექსტური მოწმეების გენეალოგიური კოჰერენტულობა არის 87.1 % (2613 : 100 : 2999).

პრეგენეალოგიური კოჰერენტულობის ობიექტურ მოცემულობას ვიყენებთ კოჰერენტულობის მეორე ტიპის გენეალოგიური კოჰერენტულობის საკვლევად. იგი მნიშვნელოვანი საშუალებაა ვარიანტების ადგილობრივი სტემების განსასაზღვრად. ადგილობრივი სტემა ჰიპოთეტურად ასახავს, როგორ განვითარდა კონკრეტული ადგილის ვარიანტი და როგორია ტექსტური ნაკადის ძირითადი მიმართულება. ის ითვალისწინებს ვარიანტების

ადგილობრივი სტემების პირველ გამოვლინებას და საშუალებას გვაძლევს, განვსაზღვროთ თითოეული ტექსტური მოწმის პოტენციური წინამორბედი. როდესაც ერთი ვარიანტის დიაგრამას ვადგენთ, ტექსტურ მოწმეთა შორის წინამორბედობა დგინდება იმის მიხედვით, თუ რამდენ შემთხვევაში აქვს ამ ტექსტს სხვაზე ადრეული ვარიანტული წაკითხვა. სქემაში ყველა ტექსტს ერთი წინამორბედი შეესაბამება – ის, რომელიც მასთან პრეგენეალოგიური კოჰერენტულობით ყველაზე ახლოს დგას.

ეპისტოლეთა ტექსტების ადგილობრივი სტემების საკვლევად ყველა არსებული ვარიანტის ნაირწაკითხვები დაყვეს შემდეგ კატეგორიებად:

1. ა უფრო ადრეულია, ვიდრე ბ ($a \rightarrow b$)
2. ბ უფრო ადრეულია, ვიდრე ა ($a \leftarrow b$)
3. ისინი თანხვედებიან ($a = b$)
4. მათი ურთიერთკავშირი არაპირდაპირი, ან ძნელი გასარკვევია ($a ? b$).

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ვატიკანის ტექსტი უფრო ადრეულია 250 შემთხვევაში, სინური კი – 89 შემთხვევაში, მათ შორის გაურკვეველი მიმართებაა 36 შემთხვევაში, ხოლო არავითარი პირდაპირი კავშირი არ იკვეთება 15 შემთხვევაში. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვატიკანის ტექსტი უფრო ადრეულია სინურზე, ხოლო ის წაკითხვები, რომლებიც სინურში უფრო ადრეულია, გამოიწვია კონტამინაციამ, ეს წაკითხვები მოდის არა ვატიკანურიდან, არამედ სხვა წინამორბედიდან.

განვიხილავთ რამდენიმე შემთხვევას, რომელთა შედეგადაც გაირკვა ტექსტის ცალკეული ადგილების ადრეული წაკითხვები. პეტრე მოციქულის პირველ „კათოლიკე ეპისტოლეში“ მეოთხე თავის მე-16 მუხლი სინურ და ვატიკანურ წყაროებში სხვადასხვაგვარად იკითხება. ტექსტს: „ნუმცა ვის თქუნგანსა ევნების, ვითარცა კაცისმკვლელსა, გინა მპარავსა, გინა ძვრისმოქმედსა, გინა ვითარცა უცხოჲსა განმგესა. ხოლო უკუეთუ ვითარცა ქრისტეანესა, ნუ ჰრცხუნინ, არამედ აღიდებდინ ღმერთსა“ ერთგან მოჰყვება სიტყვები „ამ შემთხვევაში“, მეორეგან კი – „სახელითა მისითა“. ციტატის მეორე წაკითხვას („სახელითა მისითა“), რომელიც 8 ხელნაწერშია, არ იზიარებს უახლოეს წინამორბედთაგან არც ერთი. ეს მიგვანიშნებს სუსტ კოჰერენტულ კავშირზე და იმაზე, რომ მეორე ვარიანტი პირველისგან

არაერთგვარადად წარმოიქმნა. ამისგან განსხვავებით, პირველი ვარიანტის კოჰერენტულობა მყარია. შესაბამისად, გამოდის, რომ ახლო კონტექსტზე დაყრდნობით რამდენიმე გადაწყვერმა დამოუკიდებლად ერთნაირად „გაასწორა“ პირველი ტექსტური მოწმის ვარიანტი – „ამ შემთხვევაში“. ამას გარკვეული ლოგიკური ასხნაც აქვს, რადგან ეს წაკითხვა ნაკლებ ბუნებრივია და, საესებით შესაძლებელია, რომ ტექსტის გადაწერისას იგი დამაწერებს შეეცვალათ ფრაზით „სახელითა მისითა“, მით უფრო, რომ ამის მსგავსი ფრაზა ტექსტში ორი წინადადების წინაც გვხვდება (4.14): „იყუდრებოდი სახელისათვის ქრისტესისა“.

კოჰერენტულობაზე დამყარებული გენეალოგიური მეთოდით კვლევის შედეგად გასწორდა ეპისტოლეთა 34 ადგილი. მეტწილად ეს უმნიშვნელო სწორებებია, მაგრამ ზოგს აქვს კონცეპტუალური მნიშვნელობაც. მაგალითად, იუდა მოციქულის ეპისტოლეს მე-5 მუხლში ტექსტურ მოწმეთა უმრავლესობაში წერია „ღმერთმან ერთგზის ერი იგი ქუეყანით ეგვპტით იხსნა“, მაგრამ უფრო ადრეული აღმოჩნდა ვერსია, სადაც „ღმერთის“ ნაცვლად წერია „იესო“. ამავე მეთოდის გამოყენებით მტკიცდება, რომ უფრო ძველია პეტრე მოციქულის მეორე ეპისტოლეს მე-3 თავის მე-10 მუხლის ახლებური წაკითხვა, რომელსაც ნაკლები ტექსტული წყარო უჭერს მხარს. აქ ზმნას წინ „არ“ ნაწილაკი უზის და შინაარსი იცვლება „იპოვება“ („will be found“)-ს ნაცვლად წერია „არ იპოვება“ („will not be found“). ეს ადგილი ქართულ ტექსტში სხვა ლექსიკური წყობით არის წარმოდგენილი და ამიტომ სიტყვა-სიტყვით ვერ შევადარებთ. ამავე მეთოდის გამოყენებით კვლევამ დაადასტურა, რომ „კათოლიკე ეპისტოლეების“ მე-9 საუკუნისა და უფრო გვიანდელი ბიზანტიური ხელნაწერების ტექსტური მოწმეები უფრო ადრეული უნდა იყოს ბევრ მე-3-5 საუკუნეების ხელნაწერების ტექსტურ წყაროებზე. ამ მეთოდის გამოყენებამდე მათ სიძველეში ეჭვის შეტანა და უგულებელყოფა გამოიწვია შემთხვევითობებმა, რომელთა ახსნა იმხანად ვერ მოხერხდა.

როდესაც გენეალოგიური კოჰერენტულობის დადგენის გზით მოპოვებული ინფორმაცია გროვდება, შესაძლებელი ხდება ვარიაციის ცალკეულ ადგილებში ტექსტურ მოწმეთა კოჰერენტულობის განსაზღვრა. ტექსტურ მოწმეებს შორის ჩვენ მიერ დადგენილ ურთიერთმიმართებას

ვიყენებთ ვარიანტული წაკითხვების ყველაზე მეტად მოსალოდნელი ურთიერთმიმართების გასარკვევად. კვლევის ეს ეტაპი ხორციელდება ე. წ. „ძირითადი ტექსტური ნაკადის დიაგრამებით“. ეს დიაგრამები აკავშირებს ტექსტურ მოწმეებს თავიანთ პოტენციურ წინამორბედებთან და გვაჩვენებს ტექსტის განვითარების იმ გზებს, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობაშია არსებულ მონაცემებთან. ეს მონაცემები არის როგორც ობიექტური, როცა საქმე ეხება პრეგენეალოგიურ კოჰერენტულობას, ისე სუბიექტური, როცა ჩვენ მიერ არის დადგენილი ინდივიდუალურ ლოკალურ სტემებთან მიმართებით.

არსებობს სპეციალური კომპიუტერული პროგრამა, რომელსაც შეუძლია შეადგინოს ტექსტის ნებისმიერი კონკრეტული იკითხვის შესმცველი ტექსტური ნაკადის გენეალოგიურ კოჰერენტულობაზე დამყარებული დიაგრამა, სადაც ნაჩვენებია იქნება, რომელ ტექსტურ მოწმეებში გვაქვს ასეთი წაკითხვა და რა მიმართებაში არიან ერთმანეთთან ეს ტექსტური მოწმეები, ანუ რომელი რომლიდან მომდინარეობს. ეს დიაგრამა არ ითვალისწინებს გადამწერის მიერ იმ წყაროდან გადახვევას, რომელიც მიჩნეულია მის წინამორბედად, მაგრამ არსებობს ამ მონაცემის ფიქსირების შესაძლებლობაც. საშუალება გვაქვს შევასუსტოთ არქტიპის არჩევანის შემდგომ ტექსტური ნაკადის ე. წ. „დაკავშირებადობის“ რიცხვის შემცირებით. ეს ცვლადი სიდიდე განსაზღვრავს, რამდენად ახლოს უნდა იყვნენ დიაგრამაში წარმოდგენილი ტექსტური მოწმეები ერთმანეთთან. როცა „დაკავშირებადობა“ 10-ის ტოლია, ეს იმას ნიშნავს, რომ კონკრეტული წაკითხვისთვის კომპიუტერი სხვა წინამორბედის ძებნას მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიწყებს, თუ ყველაზე ახლო წინამორბედებად აღიარებული 10 ტექსტური მოწმიდან ეს წაკითხვა არც ერთში არ დაფიქსირდა. ის, თუ რამდენად ახლოს დგას ესა თუ ის წინამორბედი ტექსტურ მოწმესთან, დიაგრამაში აისახება დახრილი ხაზის შემდეგ წარმოდგენილი ციფრით ერთიდან ათამდე. მაგალითად, როცა გვაქვს 130/2, პირველი ციფრი ხელნაწერი წყაროს ნომერია, მეორე კი – ტექსტების სიახლოვის დონე. თუ ხელნაწერის ნომერს დახრილი ხაზი და მარჯვენა რიცხვი არ ახლავს, იმის ნიშანია, რომ ეს წაკითხვა უახლოეს წინამორბედთანვე ასეა წარმოდგენილი.

ტექსტური ნაკადის დიაგრამაზე ტექსტურ მოწმეთა შემაკავშირებელი ისრები ერთი მიმართულებითაა მიმართული – წინამორბედიდან მომდევნოსკენ, წინაპრიდან შთამომავლისკენ. ეს არის ძირითადი ტექსტური ნაკადი, მაგრამ კონტამინაციების შემთხვევაში არის ნაკადის საწინააღმდეგო მიმართულებაც, რადგან ყველა პოტენციურ შთამომავალში არის ვარიანტები, რომლებიც წინ უსწრებს თავის პოტენციურ წინაპარს.

სტემატური კოჰერენტულობა წარმოადგენს ოპტიმალური ქვესტემის განმსაზღვრელ სტემატურ კავშირს და მიგვანიშნებს ტექსტის კონტამინაციურ წარმომავლობაზე. ოპტიმალურ ქვესტემაში „შთამომავლის“ ვარიანტები, რომლებიც წინ უსწრებს ერთ სტემატურ „წინაპარს“, მიიჩნევა დამოკიდებულად სხვა რომელიმე უშუალო სტემატურ წინაპარზე. ძიებისას აღმოჩნდება, რომ მისი წაკითხვა ან რომელიმე სხვა წინაპრისას ემთხვევა, ან ცვლის ერთ-ერთი მათგანის ტექსტს. ოპტიმალურ ქვესტემაში შედის მხოლოდ ის წინამორბედი, რომელიც უკავშირდება ტექსტური მოწმის ერთ ინდივიდუალურ ფორმას. ეს წინამორბედი არის სტემატური წინამორბედი და არა პოტენციური წინამორბედი. ამიტომ ტექსტუალური ნაკადის დიაგრამა არ უნდა ავურიოთ სტემატურში. ტექსტური მოწმეები, რომლებიც გენეალოგიურად კოჰერენტულია ტექსტუალური ნაკადის დონის მიხედვით, არ არის ავტომატურად სტემატურად კოჰერენტულიც.

გენეალოგიური კოჰერენტულობისა და ტექსტური ნაკადის ანალიზი გვაძლევს საშუალებას, რომ ტექსტური ნაკადის სიძლიერისა და მისი მიმართულების სტაბილურობის საფუძველზე, სტემისმაგვარი გრაფიკის სახით წარმოვადგინოთ ძირითადი ტექსტური ნაკადები. ეს მტკიცებულებები ასახავს უფრო მაღალი დონის გენეალოგიურ კოჰერენტულობას და გვაძლევს გონივრულ მინიშნებას სტემაზე, რომელიც გვთავაზობს სტემატურ კოჰერენტულობას.

სტემატური კოჰერენტულობის განსასაზღვრად და ოპტიმალური ქვესტემების შესაქმნელად უნდა განისაზღვროს, ერთი პოტენციური წინამორბედის ტექსტუალურ ნაკადში შემავალი ვარიანტები შედის თუ არა სხვა წინამორბედის ტექსტუალურ ნაკადში. პოტენციური წინამორბედის თან-

ხვედრის დაბალი დონის შეთხვევაში იძებნება ვარიანტები, რომლებიც გვთავაზობს სტემატურ კოპერენტულობას.

გლობალური სტემა არის ყველა ტექსტური მოწმის ოპტიმალურ ქვესტემებზე დამყარებული ჰიპოთეზა, რომელიც ასახავს ტექსტის შედარებით ქრონოლოგიურ განვითარებას. მისი გრაფიკული სახე წარმოადგენს დატოტვილ სქემას, რომლის სათავეში არის ჰიპოთეტური არქექტიპი. მისგან დაშვებული ისრები უკავშირდება სხვადასხვა ტექსტური მოწმის აღმნიშვნელ ციფრებს, რომლებიდანაც, თავის მხრივ, ეშვება ახალი ისრები და უკავშირდება უკვე ამათგან გამოძვალ სხვა ტექსტურ მოწმეებს. როდესაც გლობალურ სტემაში რეკონსტრუირებულ საწყის ტექსტთან პირდაპირ არის დაკავშირებული კონკრეტული ტექსტი, ეს იმას ნიშნავს, რომ არც ერთი რეალურად არსებული სხვა ტექსტი მასთან ისე ახლოს არ დგას, როგორც რეკონსტრუირებული. თუ გლობალურ სტემაში თითოეულ ტექსტთან მივაწერთ საუკუნეს, რომელსაც ეკუთვნის მისი ხელნაწერი, დავინახავთ, რომ ყველაზე ძველი ხელნაწერები შეიძლება სულაც არ მოხვდეს სქემის ზედა საფეხურებზე. ეს იმის დამადასტურებელია, რომ ხელნაწერის ასაკი სხვა ცნებაა და მისი შემადგენელი ტექსტური მოწმისა – სხვა.

თუ წარმოვიდგენთ, რომ შემორჩენილია ტექსტის ყველა ასლი, ცნობილია თითოეული მათგანის წინამორბედი ტექსტი, ან ტექსტები (კონტამინაციის შემთხვევაში) და ყველა ასლის ყველა ნაირწაკითხვის წარმომავლობა, ტექსტურ მოწმეთა გლობალურ სტემაში, ვარიაციის ნებისმიერ ადგილზე გამოჩნდება ყველა ვარიანტს შორის არსებული გენეალოგიური ურთიერთკავშირები, როგორც ტექსტურ მოწმეებს შორის კოპერენტული ველების გენეალოგიური ურთიერთკავშირის ამსახველი.

ურთიერთკავშირი თითოეულ ტექსტსა და მის წინარე წყაროს (კონტამინაციის შემთხვევაში წყაროებს) შორის, უნდა ჩანდეს ვარიაციის ნებისმიერ ადგილას, ანუ, როდესაც ტექსტში ვარიანტული წაკითხვა ჩნდება, სქემამ უნდა ასახოს, რა მიმართებაშია ერთმანეთთან იმავე ვარიანტული წაკითხვის შემცველი ტექსტური მოწმეები, ხოლო თუ ასეთი მოწმეები არ არსებობს – რა მიმართებაშია ერთმანეთთან ის ტექსტური მოწმეები,

რომელთა შორისაც მოხდა ვარიანტის შეცვლა.

რამდენადაც ყველა ტექსტური მოწმე შეიძლება თავადაც გახდეს სხვა ტექსტური მოწმის წინამორბედი, კოპერენტულობის ჯაჭვები წარმოიშვება ფაქტობრივი მტკიცებულებების შიგნით. ეს ჯაჭვები გვეხმარება გავარკვიოთ, ვარიანტი უნიკალურია, თუ არაერთგანგვხვდება. იქ, სადაც ტექსტურ მოწმეებს შორის ჩნდება განსხვავება, კოპერენტულობის ჯაჭვები ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა ვარიანტის ფაქტობრივ მტკიცებულებებს.

გლობალურ სტემაში ტექსტურ მოწმეთა შორის ურთიერთმიმართება ვარიაციის ნებისმიერ ადგილას თავსებადია გლობალურ სტემაში მათ ურთიერთმიმართებასთან. რამდენადაც ვარიანტული მტკიცებულებები სტემაში ჩნდება კოპერენტული ველის სახით, ნებისმიერი ვარიანტის ერთიან მტკიცებულებათა ურთიერთდამოკიდებულება სხვა ვარიანტის ერთიან მტკიცებულებებთან და, შესაბამისად, თავად ვარიანტების ურთიერთდამოკიდებულება თავსებადია გლობალურ სტემასთან ვარიაციის ნებისმიერ ადგილას.

ზემოთ აღვნიშნეთ, როგორი იქნებოდა ისეთი წარმოსახვითი ტექსტური ტრადიციის კოპერენტულობაზე დამყარებული კვლევა, რომლის ყველა საჭირო საკვლევი მასალა გვექნებოდა ხელთ, მაგრამ რეალურად ასეთი თითქმის არ ხდება, რადგან ტექსტურ მოწმეთა დიდი ნაწილი დაკარგულია. შესაბამისად, არსებულ ტექსტურ წყაროებში ტექსტის მდგომარეობებს შორის ურთიერთმიმართება შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ, როგორც გენეალოგიური ჰიპოთეზა. ასეთი ჰიპოთეზა ობიექტურად ვერ მოახდენს ისტორიული პროცესის რეკონსტრუქციას, მაგრამ ტექსტოლოგის ამოცანაა, იპოვოს სტრუქტურა, რომელიც ყველაზე პირდაპირი გზით ასახავს გენეალოგიურ ურთიერთკავშირს ტექსტის ხელმისაწვდომ ვარიანტებს შორის. ასეთი სტრუქტურა ძალზე რთული და კომპლექსურია, მაგრამ მისი შექმნა ხელმისაწვდომი ხდება იმდენად, რამდენადაც ტექსტურ მოწმეთა გლობალური სტემა შედგება ნაკლები სირთულის სტრუქტურებისაგან – ვარიანტების ადგილობრივი სტემებისაგან, რომელთა შესახებაც ზემოთ გვექონდა საუბარი.

სტილემეტრია

სტილემეტრია არის მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს ტექსტების, ან მათი ნაწილების სტილური მახასიათებლების სისტემატიზაციას ტიპოლოგიური კლასიფიკაციის, ატრიბუციის, დათარიღების, დიაგნოსტიკის, რეკონსტრუქციისა და სხვა მიზნებისათვის. ტერმინი სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა მე-19 საუკუნის გერმანელმა ფილოლოგმა უილიამ დიტენბერგერმა და, ძირითადად, ითვალისწინებს სიხშირის კვლევას, სტატისტიკას.

სტილემეტრიული კვლევის დროს ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სემანტიკური მნიშვნელობის მქონე კომპონენტების გამოყენების სიხშირეს, არამედ ისეთ ასპექტებსაც კი, როგორცაა, მაგალითად, სიტყვების სიგრძე, დამხმარე აფიქსებისა და ნაწილაკების გამოყენება და სხვ.

შექმნილია არაერთი კომპიუტერული პროგრამა, რომლებიც სტილემეტრიის მეთოდის საფუძველზე აწარმოებს ტექსტოლოგიურ კვლევებს. განსაკუთრებით ხშირად ისინი გამოიყენება ატრიბუციისათვის. ყველაზე ფართოდ გავრცელებულია „The Signature Stylometric System“ და „Java Graphical Authorship Attribution Program“. სასურველია, რომ მოხდეს ამ პროგრამების ადაპტირება ქართულ გრაფემებზე, ან მსგავსი პროგრამების შექმნა ქართული უნიკოდისთვის, რომ ჩვენს მეცნიერებსაც ჰქონდეთ მსგავსი ფართომასშტაბიანი კვლევების ჩატარების საშუალება.

სტილემეტრიის მეთოდი იმდენად წარმატებულია, რომ ზოგიერთ ქვეყანაში წამოიჭრა პრივატულობასთან დაკავშირებით ადამიანთა უფლებების დაცვის საკითხი და საგანგებო პროგრამაც კი იქნა შემუშავებული, რომელიც გვასწავლის, როგორ მოვიქცეთ, რომ ვერ მოხდეს ჩვენ მიერ შექმნილი ტექსტის ატრიბუცია – „Deceiving Authorship Detection Tools“.

ხელნაწერის ამოკითხვის ეტაპობრივ-შრეობრივი მეთოდი

როდესაც ზოგიერთი ავტორის შავ ხელნაწერს დახედავ, გგონია, ლაბირინთში მოხვდი და არ იცი, როგორ დააღწიო თავი, არადა ხელნაწერის

სწორად ამოკითხვა ტექსტოლოგიის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა. ამ მიზნის განსახორციელებლად მეცნიერები სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა მეთოდს მიმართავდნენ, მაგრამ უკანასკნელ წლებში ციფრულმა ტექნოლოგიებმა ბევრად უფრო გააფართოვა ხელნაწერთა ამოკითხვისა და ზუსტი ტრანსკრიპტის შექმნის შესაძლებლობები. მას შემდეგ, რაც ციფრულ ვერსიებზე მუშაობით არაერთი რთული ხელნაწერის ამოკითხვა შეეძლოთ, გადაწყვიტეთ დავკვირვებოდით, რა მეთოდსა და ტექნოლოგიას ვიყენებდით მუშაობის პროცესში. შემდეგ ეს გამოცდილება თეორიულად ჩამოვაყალიბეთ და შევთავაზეთ დოქტორანტებს. რამდენადაც ისინი სხვადასხვა საუკუნის ტექსტებზე მუშაობენ, საინტერესო იყო, როგორ გაამართლებდა ახალი მეთოდი თითოეულის საკვლევ თემასთან მიმართებით. შედეგი ყველგან თვალსაჩინო იყო. იმ ხელნაწერებშიც კი, რომელთა ამოკითხვაც მათ თავდაპირველად სრულიად უიმედოდ მიაჩნდათ, ამ მეთოდის გამოყენების შემდეგ ძალიან ცოტა რამ დარჩა გაურკვეველი.

მეთოდს, რომელსაც ვიყენებდით, „ეტაპობრივ-შრეობრივი“ ვუწოდეთ. მისი არსი სხვადასხვა მიკრომეთოდის კომპლექსურ გამოყენებაში მდგომარეობს. ეს მეთოდებია: იდენტიფიცირების, გრაფიკული შედარების, კონტექსტური ანალიზის, ექსტრაექსტური (გარეექსტური) კვლევისა და გამორიცხვის.

ტექსტოლოგიური კვლევების შედეგთა ეფექტურობისათვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ საქმე დავიწყეთ ხელნაწერების მაღალხარისხიანი ციფრული ასლების შექმნით. ჩვენი მეთოდი სწორედ მათ გამოყენებას ემყარება. სხვა დადებით მხარეებთან ერთად, მეთოდის უპირატესობა ისიცაა, რომ იგი არ არის „ავრესიული“ და არ მოითხოვს ყველა სირთულის ერთად დაძლევას. ყველა ტექსტოლოგს ექნება გამოცდილი, რაოდენ სტრესული შავ, გაფერმკრთალებულ, ან დაზიანებულ ხელნაწერზე მუშაობა. ამიტომ სიმშვიდე და მიზანზე ორიენტირებულობა აქ ძალზე მნიშვნელოვანია.

კომპლექსური მეთოდი შედგება ეტაპებისაგან, რომელთაგან თითო-ეული ითვალისწინებს სხვადასხვა მიკრომეთოდის / მეთოდების გამოყენებით ამ კონკრეტულ ეტაპზე მიღწევადი ამოცანის შესრულებას. თითოეული

ეტაპის დასასრულს იშიფრება ხელნაწერის ერთი შრე. არ გველისხმობთ, აუცილებლად გაბმული ვრცელი მონაკვეთის გაშიფვრას. ამოკითხული ტექსტი შეიძლება მთელ ხელნაწერში იყოს გაფანტული აბზაცების, წინადადებების, ნაწყვეტი ფრაზების, სიტყვებისა და ზოგან ცალკეული გრაფემების სახითაც კი. თუ ტექსტის გამოსაცემად მომზადებას ვგეგმავთ, თითოეულ ეტაპზე კომპიუტერში ვკრეფთ ტექსტის იმ ნაწილს, რომლის იდენტიფიცირებაც ამ ეტაპზე მოხდა.

I ეტაპი და I შრე: რაც უნდა გავაკრული ხელით ნაწერთან გვექონდეს საქმე, უმრავლეს შემთხვევაში აქა-იქ მაინც არის შესაძლებელი გრაფემათა იდენტიფიცირება. თუ თავიდანვე მთელი ხელნაწერის ამოკითხვას არ შევეცდებით და მიზნად დავისახავთ მხოლოდ იმ სიტყვების, ან თუნდაც ცალკეული გრაფემების ამოკითხვას, რაც სირთულეს არ წარმოადგენს, ეს ეტაპი იოლად გადაილახება და მის ბოლოს ხელთ გვექნება მცირე მოცულობის აკრეფილი მასალა მაინც. მაგალითისთვის წარმოგიდგენთ, როგორ მიმდინარეობდა გრიგოლ ორბელიანის პირადი წერილის ბოლო 8 სტრიქონის (იხ. ილუსტრაცია N2) ამოკითხვის პროცესი. პირველ ეტაპზე ამოვიკითხეთ 219 ასო და 14 სიტყვა, რის შედეგადაც იდენტიფიცირებული ტექსტი გამოიყურებოდა ასე:

I შრე

გულით გამაღლ ბთ, რ მ ამ ზაფხულს თ ნის ნებართვ თ ვ ყავ -მო-
ს ენებით დ მხიარულ დ თქ ნს ლში. აქ ე გამ მი რეს პატარა ელიკი
კნიამ მა, ყ ე ამდ ნიმე საათ , ისაუმმეს, იჩაივაეს, მიიძინეს დ
წ დნენ

დ 24 ივლ ს ყირიმისა ნ. ელი ი კნიამს დ კნენასაც
მეორეს დღეს სურდ

[...]მა, მაგრამ მე არ ვ ცოდი დ მი ოდი თბილისში, ა

(219 ასო 14 სიტყვა)

II ეტაპი და II შრე: როცა იდენტიფიცირების მეთოდი თავის შესაძლებლობებს ამოწურავს, გადავდივართ გრაფიკული შედარების მეთოდზე. ჩვენ შევიმუშავეთ გარკვეული ტექნოლოგია და საშუალებები, რაც გვეხმარება

ამ მეთოდის გამოყენებაში. როცა ვიკვლევთ ერთი და იმავე ავტორის მთელ შემოქმედებას, ან ვსწავლობთ დიდი მოცულობის ხელნაწერებს სასურველი ვიზრუნოთ იმაზე, რომ წინდაწინვე შევქმნათ „გრაფემებისა და ლიგატურების ტიპურ მოხაზულობათა ცხრილი“ (იხ. ილუსტრაციები 3–5). ამ ცხრილში ანბანური თანმიმდევრობით განვათავსებთ გრაფემებისა და მათი გადაბმების (თუ საჭიროა, ციფრებისა და სხვადასხვა აღნიშვნებისაც) ამ ავტორისათვის დამახასიათებელი მოხაზულობების ნიმუშებს, რომლებსაც ვიღებთ (ბრძანებით „copy“) ხელნაწერთა ციფრული ასლებიდან. ასეთი სახის დამხმარე ბაზა განსაკუთრებით ეფექტურია იმ შემთხვევებში, თუ ავტორს წერის სპეციფიკური სტილი აქვს, ან გარკვეულ გრაფემებს თავისებურად წერს.

როდესაც ძნელად ამოსაკითხი ადგილის ამ ცხრილთან შედარება გვჭირდება, „ვორდის“ დოკუმენტში ვსვამთ ხელნაწერიდან გადაღებულ ამ ადგილის ფოტოს და მასუს მარჯვენა ღილაკით ვირჩევთ „Text Wrapping“-ს (ტექსტის შემოხვევა) და „In Front of Text“-ს (ტექსტის წინ). ეს საშუალებას მოგვცემს, ამოსაკითხი ადგილის ფოტო თავისუფლად ვამოძრაოთ დოკუმენტის ზედაპირზე, მივიტანოთ ნებისმიერ ადგილას და შევადაროთ ავტორის სხვადასხვა გრაფემას. როგორც ამ, ისე ნებისმიერ სხვა ეტაპზე დიდ როლს თამაშობს გამორიცხვის მეთოდი. ამ საფეხურზე, ძირითადად, იმ მასალას ამოვიკითხავთ, რის იდენტიფიცირებაშიც ავტორის სპეციფიკური ხელწერა გვიშლიდა ხელს. განხილულ კონკრეტულ შემთხვევაში, მეორე ეტაპზე ამოვიკითხეთ 34 ასო და დავასრულეთ 24 სიტყვის ამოკითხვა (იხ. ხაზგასმული და გამუქებული ასოები).

II შრე

გულით გმადლობთ, რომ ამ ბაფხულს თქვენის ნებართვით ვიყავი — მოსვენებით და მხიარულად თქვენს ლში. აქვე გამომიარეს პატარა ველიკი კნიაზ მა, ყვეს რამდენიმე საათი, ისაუბმეს, იჩაივავს, მიიძინეს და წავიდნენ

დ 24 ივლ ს ყირიმისაკენ. ველიკი კნიაზს და კნეინასაც მეორეს დღეს ჰსურდ , [...] მა, მაგრამ მე არ ვიცოდი და მიველოდი თბილისში, ა (34 ასო 24 სიტყვა)

III ეტაპი და III შრე: ლექსიკური იდენტიფიცირების მეთოდი. როდესაც გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნება ავტორის ხელწერაზე და ხელთ გვექნება ჩვენ მიერ შექმნილი „ტიპური ცხრილი“, შესაძლებელი გახდება ზოგიერთი ისეთი სიტყვის იდენტიფიცირებაც, რომლის დაწერილობაშიც ყველა ასო-ნიშანი იოლი ამოსაცნობი არ არის, რადგან არ ჰგავს ავტორისავე ტიპურ ხელწერას. როდესაც გადავდივართ ამ ეტაპზე და ვახდენთ სიტყვათა იდენტიფიცირებას, ამასთანავე, ვიწყებთ მეორე ცხრილის შედგენას, რომელსაც ჩვენ „გრაფემებისა და გადაბმების ატიპურ მოხაზულობათა ცხრილი“ ვუწოდებთ. აქ შევითანთ ყველა იმ შემთხვევას, სადაც ატიპური გრაფემის იდენტიფიცირებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ტიპური გრაფემების მეშვეობით მთლიანი სიტყვის ამოცნობამ და არა თვით ამ გრაფემების მოხაზულობამ. ახალი ცხრილის შესადგენად ასლიდან ამოჭრით ამ ატიპურ ფორმებს და ასევე ცხრილის სახით განვალაგებთ ანბანური თანმიმდევრობით. თუ გამოვლინდება ისეთი შემთხვევები, როცა მსგავსი მოხაზულობით სხვადასხვა შემთხვევაში აღნიშნულია სხვადასხვა გრაფემა, ან გრაფემათა კომპლექსი, აუცილებლად ანბანურ ჩამონათვალთან დახრილი ხაზით ჩავსვამთ იმ გრაფემებს, ან გრაფემათა კომპლექსებსაც, რომლებსაც ასევე აღნიშნავს ეს მოხაზულობა.

მაგალითად, გავრული ხელით წერისას მოკლე ჰორიზონტალური ხაზი შეიძლება აღნიშნავდეს ზოგან **ი**-ს და ზოგან **ო**-ს. ამ ინფორმაციას ანბანურ ჩამონათვალში ჩვენ ერთთანაც მივუთითებთ (**ი/ო**) და მეორესთანაც (**ო/ი**). თუ ასეთი შემთხვევები რომელიმე ავტორის ხელწერაში ძალზე ხშირია, შეგვიძლია შევექმნათ „პარადოქსულ მსგავსებათა ცხრილიც“, სადაც მხოლოდ მსგავს მაგალითებს შევითანთ. იმ სიტყვების ამოსაკითხად, სადაც ესა თუ ის „მრავალფუნქციური“ მოხაზულობაა გამოყენებული, რიგრიგობით ჩავსვამთ მის ჯერ ერთ და შემდეგ სხვა მნიშვნელობას და გრაფიკული შედარებისა და გამორიცხვის მეთოდებით მოვახდენთ სიტყვის იდენტიფიცირებას. იხ. მესამე ეტაპზე ამოკითხული მასალა. აქ წარმოდგენილია ის სიტყვები, რომელთა იდენტიფიცირებაშიც ცალკეული გრაფემების, ან ასოთა კომპლექსების თვით ამ ავტორისთვისაც კი არასტანდარტული მოხაზულობა გვიშლიდა ხელს.

გრიგოლ ორბელიანის ტექსტის განსახილველი მონაკვეთიდან ამ ეტაპზე ამოვიკითხეთ 11 ასო, რომელთა საშუალებითაც დავასრულეთ 4 სიტყვის ამოკითხვა (იხ. ხაზგასმული და გამუქებული ასოები).

III შრე

გულთ გმადლობთ, რომ ამ ზაფხულს თქვენის ნებართვით ვიყავ **გულ**-მო-სვენებით და მხიარულად თქვენს **სახლ**ში. აქვე გამომიარეს პატარა ველიკი კნიაზ მა, **დაჭყვეს** რამდენიმე საათი, ისაუბმეს, იჩაივავეს, მიიძინეს და წავიდნენ

დ 24 ივლისს ცირიმისაკენ. ველიკი კნიაზს და კნენისასც მეორეს დღეს ჰსურდ , [...]მა, მაგრამ მე არ ვიცოდი და მიველოდი თბილისში, ა

IV ეტაპი და IV შრე: ზოგჯერ საქმე უფრო რთულად არის და სიტყვაში იმდენი ატიბური გრაფემაა, რომ მისი ამოკითხვა ზემოხსენებული მეთოდებით არ ხერხდება. ამიტომ შემდეგ ეტაპზე მივმართავთ კონტექსტური კვლევის მეთოდს. თავდაპირველად ვიწყებთ იმ მომიჯნავე სიტყვებიდან, რომლებიც უკვე ამოკითხული გვაქვს. კონკრეტული სიტყვები ხშირად გვხვდება შესიტყვებებში სხვა კონკრეტულ სიტყვებთან, ან წინადადების სტრუქტურა ითვალისწინებს ამა თუ იმ ამოკითხული სიტყვის გვერდით კონკრეტულ მეტყველების ნაწილს. სინტაქსური კონტექსტიდან გამომდინარე, შეიძლება დავადგინოთ, რომ ამოსაკითხი სიტყვა აუცილებლად უნდა იყოს, მაგალითად: არსებითი სახელი მიცემით ბრუნვაში, ზმნა პირველი პირის მრავლობითში და სხვ. წინადადების სტრუქტურის გათვალისწინებით დადგენილი ეს სიტყვები ასოცირდება გარკვეულ აფიქსებთან, ეს ყველაფერი კი გვეხმარება ამოუკითხავი სიტყვის იდენტიფიცირებაში.

თუ მომიჯნავე სიტყვები ვერ დავგვეხმარა, გადავდივართ უფრო ფართო კონტექსტზე, რომელიც ითვალისწინებს ამოუკითხავი ადგილის ირგვლივ არსებული ყველა ამოკითხული სიტყვისა თუ ფრაზის ანალიზს, და მიზნის მიღწევამდე უფრო და უფრო ვაფართოვებთ საკვლევ არეალს, სანამ არ მოვიცავთ მთლიან ტექსტს, სათაურით, ეპიგრაფითა და ტექსტში შემავალი ყველა კომპონენტით. აქაც, ისევე როგორც წინა ეტაპზე, ხდება

ისეთი სიტყვების ამოცნობა, რომელთა დაწერილობაშიც არაერთი ატიპური გრაფემაა. ამიტომ ვაგრძელებთ „ატიპურ მოხაზულობათა ცხრილისა“ და „პარადოქსულ მსგავსებათა ცხრილის“ შევსებას. იხ. ამ ეტაპზე ამოკითხული 17 ასო, რომელთა მეშვეობითაც დავასრულეთ 4 სიტყვის ამოკითხვა (იხ. ხაზგასმული და გამუქებული ასოები).

IV შრე

გულით გმადლობთ, რომ ამ ზაფხულს თქვენის ნებართვით ვიყავ გულ-მოსვენებით და მხიარულად თქვენს სახლში. აქვე გამომიარეს პატარა ველიკი კნიაზებმა, დაჰყვეს რამდენიმე საათი, ისაუბმეს, იჩაივეს, მიიძინეს და წავიდნენ

დასასვენებლად 24 ივლისს ყირიმისაკენ. ველიკი კნიაზს და კნენასაც მეორეს დღეს ჰსურდათ, [...]მა, მაგრამ მე არ ვიცოდი და მიველოდი თბილისში, ვ~ა

V ეტაპი და V შრე: ამ ეტაპზე, რომელსაც ჩვენ ექსტრატექსტური კვლევა ვუწოდეთ, ვეყრდნობით ტექსტის გარეთ არსებულ წყაროებს. ვაგროვებთ ინფორმაციას ამოუცნობი სიტყვის თემის ირგვლივ, ვეძებთ სიტყვებს, რომლებიც შეიძლება მოერგოს ამოუცნობი ადგილების მოხაზულობასა და საწერ სივრცეს. ამისათვის, სიტუაციიდან გამომდინარე, ვიყენებთ სხვადასხვა ტიპის გამოცემებს, ყველაზე ხშირად კი ინტერნეტის საძიებო სისტემებს. იხ. ამ ეტაპზე ამოკითხული ერთი ცხრამეტასოიანი სიტყვა, რომლის იდენტიფიცირებაშიც დაგვეხმარა ამავე პერიოდის ბარათი, გაგზავნილი სხვა ადრესატისათვის (იხ. ხაზგასმული და გამუქებული სიტყვა).

V შრე

გულით გმადლობთ, რომ ამ ზაფხულს თქვენის ნებართვით ვიყავ გულ-მოსვენებით და მხიარულად თქვენს სახლში. აქვე გამომიარეს პატარა ველიკი კნიაზებმა, დაჰყვეს რამდენიმე საათი, ისაუბმეს, იჩაივეს, მიიძინეს და წავიდნენ

დასასვენებლად 24 ივლისს ყირიმისაკენ. ველიკი კნიაზს და კნენასაც მეორეს დღეს ჰსურდათ, ...მა, მაგრამ მე არ ვიცოდი და მიველოდი თბილისში, ვ~ა **დენერალ-დუბერნატორი**

როგორც ვხედავთ, თითოეულ ეტაპზე იხსნება ტექსტის ერთი შრე და ხდება მისი ერთი ნაწილის იდენტიფიცირება. თავიდან ეს შეიძლება გამოიყურებოდეს პატარა კუნძულებივით ამოუცნობი ტექსტის ზღვაში, მაგრამ ზემოხსენებული მეთოდების გამოყენებით ამ კუნძულებს თანდათან ემატება ახლები და ბოლოს შეიძლება ერთიან „მატერიალად“ კი იქცეს, ანუ ხელთ გვექონდეს იდენტიფიცირებული ტექსტი ზუსტი ტრანსკრიპტით. მაგრამ, თუ მაინც დარჩა თითო-ოროლა გაურკვეველი მოხაზულობა, კომპიუტერში აკრეფილ ტექსტში ამოუცნობ ადგილებს ვსვამთ ასლიდან ამოჭრილი ფოტოების სახით და ტექსტის პუბლიკაციამდე კოლეგებთან ერთად არ ვწყვეტთ ფიქრს ამოუცნობი ადგილების ამოკითხვაზე. თუ ლოგიკურად გამართლებული რაიმე სახის სავარაუდო წაკითხვა მაინც მოგვდის აზრად და გრაფიკული შედარების მეთოდიც ადასტურებს ასეთი წაკითხვის შესაძლებლობას, მას ვწერთ და ვაქვეყნებთ კვადრატული ფრჩხილებით, რაც მკითხველს მიანიშნებს, რომ ამ ადგილის წაკითხვასთან დაკავშირებით გარკვეული ეჭვი მაინც არსებობს. გრიგოლ ორბელიანის ამ ტექსტიდან გაუშიფრავი დაგვრჩა ერთადერთი სიტყვა, რომელიც ფურცლის დაზიანებულ ადგილას ეწერა და საერთოდ არ ჩანს.

სხვა მეთოდები

ისტორიულ-შედარებითი მეთოდი გულისხმობს შედარების გზით საერთოსა და ზოგადის გამოვლენას ისტორიულ მოვლენებში, ტექსტოლოგიისთვის – ტექსტებში. იგი გვეხმარება იმაში, რომ ემპირიული მასალა შევისწავლოთ როგორც განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, ისე – ჰორიზონტალურ ჭრილში და ერთმანეთთან შეპირისპირებით. მაგალითად, ეს მეთოდი შეგვიძლია გამოვიყენოთ ავტორის ხელწერის, ენის, ან სტილის შესასწავლად მოღვაწეობის სხვადასხვა ეტაპზე, ან ერთი ეპოქის სხვადასხვა ავტორის ხელწერის, ენისა და სტილის შედარებით კვლევაში. მისი საშუალებით შეგვიძლია დავაკვირდეთ თხზულების შემოქმედებითი განვითარების პროცესს და სხვ.

ატრიბუციული კვლევისას ამ მეთოდის გამოყენებით შეგვიძლია ერთმანეთს შევადაროთ ყველა პოტენციური ავტორის ნაწერები, ხოლო დათარიღების დროს, კონკრეტული ავტორის სხვადასხვა პერიოდის ტექსტები. განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება ისტორიულ-შედარებითი მეთოდი ტექსტების გენეტიკური ურთიერთმიმართების კვლევებში, როცა უნდა დადგინდეს მათი საერთო და განმასხვავებელი ნიშნები.

რამდენადაც ტექსტოლოგს ხშირად უხდება არაპროგნოზირებადი, უპრეცედენტო სიტუაციების ანალიზი, დიდი მნიშვნელობა აქვს **შემოქმედებითი მეთოდის** გამოყენებას. იგი გულისხმობს მკვლევრის კრეატიულ დამოკიდებულებას შესასწავლი საკითხისადმი. მისი საშუალებით ხდება პრობლემის ირგვლივ არსებული ინფორმაციის თავმოყრა, ანალიზი, მოვლენათა შორის ურთიერთკავშირის დადგენა და პრობლემის კომპლექსური შესწავლა. ხდება ეტაპობრივი გადასვლა კვლევის ერთი საფეხურიდან მეორეზე და კეთდება ექსკლუზიური დასკვნები.

კომპიუტერული ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ ჰუმანიტარულ მეცნიერებებში ფართოდ დაინერგა **მათემატიკური მოდელირების მეთოდი**, რომელიც უნივერსალურობით ხასიათდება. ამ მეთოდზეა დაფუძნებული კომპიუტერული პროგრამები, რომლებსაც იყენებს ტექსტოლოგია. ტექსტოლოგებისა და პროგრამისტების თანამშრომლობით კიდევ არაერთი სასარგებლო პროგრამა შეიძლება შეიქმნას.

პალეოგრაფიული კვლევის მეთოდი გამოიყენება ხელნაწერის დათარიღების, ან ავტორის იდენტიფიცირების მიზნით. იგი ითვალისწინებს ასოთა გრაფიკაზე, გადაბმაზე, განლაგებაზე, პროპორციებზე, საწერ მასალასა და ქაღალდზე დაკვირვებასა და მონაცემთა ანალიზს.

ბიბლიოგრაფიული მეთოდი, რომლის კონცეფციაც ითვალისწინებს წიგნების აღწერილობათა კვლევითი მიზნებისთვის გამოყენებას, პირველად შეიმუშავა ინგლისელმა ლიტერატურათმცოდნემ და ბიბლიოგრაფმა უოლტერ გრეგმა. მე-20 საუკუნის დასაწყისში მან წიგნების ფიზიკური აღწერილობების შედარებითი ანალიზით დაადგინა შექსპირის არაერთი თხზულების ტექსტი. კონცეფციის მიხედვით, წიგნი აღქმული იყო, როგორც ობიექტი, რომელსაც

სჭირდებოდა საფუძვლიანი კვლევა მრავალი სხვადასხვა კუთხით: წიგნის შექმნის ტექნიკური პროცედურა: ბეჭდვა, კორექტურა, აკინძვა, წიგნი, როგორც სავაჭრო ობიექტი, და სხვ. ბიბლიოგრაფიული კვლევების გამოყენება ტექსტოლოგიაში წახალისა იმ ფაქტმა, რომ ტექსტები სხვადასხვა გამოცემაში განიცდიდა დამახინჯებას.

ეკლექტიკური მეთოდი – გულისხმობს სხვადასხვა თეორიისა და კონცეფციის გამოყენებით ერთი სარწმუნო წყაროს შერჩევასა და მის გამოსაცემად მომზადებას. ემყარება ავტორის ინდივიდუალური სტილის ღრმა ანალიზს, ტექსტის გრამატიკულ მთლიანობას, აზრის მწყობრობას, ორთოგრაფიის ერთგვაროვნებას და სხვ.

დავალებები

1. ელექტრონულ ფოსტაზე გადმოგზავნილი ტექსტის ატრიბუციისთვის გამოიყენეთ გამორიცხვის მეთოდი და განსაზღვრეთ, დასახელებული ხუთი ავტორიდან რომელს შეიძლება ეკუთვნოდეს ეს ტექსტი?
2. რა პრინციპით ადგენდა კარლ ლახმანი ტექსტებს შორის გენეტიკურ კავშირს და რა ნაკლი ჰქონდა ამ მეთოდს?
3. მოიფიქრეთ, რომელი ქართული ტექსტუალური ტრადიციების საკვლევად გამოიყენებდით კოჰერენტულობაზე დამყარებულ გენეალოგიურ მეთოდს და ახსენით, რატომ?
4. დაასახელეთ, რა უპირატესობა აქვს კოჰერენტულობაზე დამყარებულ გენეალოგიურ მეთოდს სხვა, უფრო ადრეულ გენეალოგიურ მეთოდებთან შედარებით?
5. არაორდინალურ სიტუაციაში რომელ მეთოდს მიმართავს ტექსტოლოგი და რატომ?
6. ელექტრონული ფოსტით მიღებული ავტოგრაფის მიხედვით, შეადგინეთ ავტორის ხელწერისთვის დამახასიათებელ ტიპურ მოხაზულობათა

ცხრილი.

7. თქვენ მიერ შედგენილი ცხრილის გრაფიკული მოხაზულობები შეადარეთ 3–5 ილუსტრაციებზე წარმოდგენილს და გრაფოლოგიური ანალიზით გამოიტანეთ დასკვნა, ხომ არ ეკუთვნის ეს ხელნაწერი წარმოდგენილთაგან რომელიმე ავტორს?
8. ჩაატარეთ ელექტრონული ფოსტით მიღებული ტექსტის სტილის ანალიზი. გამოიყენეთ ორი ავტორის ტექსტების ციფრული კორპუსები და განსაზღვრეთ, რომელ მათგანს შეიძლება ეკუთვნოდეს იგი.
9. შექმენით მეილზე გადმოგზავნილი ავტოგრაფის ტრანსკრიპტი ხელნაწერის ამოკითხვის ეტაპობრივ-შრეობრივი მეთოდის გამოყენებით.
10. განიხილეთ ელექტრონული ფოსტით გადმოგზავნილი ტექსტოლოგიური სიტუაციური ამოცანები. განსაზღვრეთ, რა მეთოდებს გამოიყენებდით მათ გადასაჭრელად და რატომ?

დამატებითი ლიტერატურა

- ირმა რატიანი, ქართული ლიტერატურა ტექსტის კვლევის თანამედროვე მეთოდების კონტექსტში, „სჯანი“, 2006 №7.
- მაია ნინიძე, ციფრული ბაზებისა და კორპუსული ლინგვისტიკის მეთოდის გამოყენება ტექსტოლოგიასა და ლიტმცოდნეობაში, III საერთაშორისო კონფერენცია „ქართული ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები“, მასალები, 2013.
- Timpanaro, Sebastiano, *The genesis of Lachmann's method*, edited and translated by Glenn W. Most, Chicago: University of Chicago Press, 2005.
- Norbert Fuhr, *Information Retrieval Methods for Literary Texts*, *Jahrbuch für Computerphilologie* 5, 2003.

- Peter J. Gurry, A Simple Introduction To The Coherence-Based Genealogical Method (CBGM) The Journal of the Evangelical Theological Society, JETS 59/4, 2016
- Geoff Kemp (ed.) *Censorship Moments: Reading Texts in the History of Censorship and Freedom of Expression*, Bloomsbury Academic, 2015.
- *The Munster Method*, David C. Parker, Textual Scholarship and the Making of the New Testament, Oxford University Press, 2011.
- Martin L. West, *Textual Criticism and Editorial Technique Applicable to Greek and Latin Texts*, Stuttgart, 1973.
- Елена Родионова, *Лингвистические методы атрибуции и датировки литературных произведений: к проблеме «Корнель - Мольер»*, Санкт-Петербург, 2008.
- Балабанов П.И., О.В. Головань, *Метод Измерения Авторских И Культурно-Языковых Особенности Текстологического Материала На Основе Частотных Характеристик*, 2010.
- Виктор Молчанов, *Новейшие Методы Реконструкции Творческого Наследия Ф.М. Достоевского: Основы Оптико-Электронной Текстологии*, 2015.

III თავი: თხზულებათა წყაროები

ხელნაწერები

ტექსტი არ არის მატერიალური საგანი, არტეფაქტი. იგი აბსტრაქტული კონცეფცია, აზრი, იდეაა, მაგრამ ტექსტსა და მის არტეფაქტებს შორის სასიცოცხლო კავშირია. რამდენადაც უძველესი ტექსტები ვრცელდებოდა მხოლოდ ხელნაწერების სახით, მათი რაოდენობა კი შეზღუდული იყო, არსებული წყაროების, არტეფაქტების, დაკარგვის შემთხვევაში, ქრებოდა თავად ტექსტიც. სწორედ ასეთი საბედისწერო ისტორიის გამო, ესქილეს „აგამემნონისა“ და ჰორაციუსის „ოდების“ ტექსტებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია, ზოგი უძველესი ძეგლი კი მხოლოდ ნაწყვეტების სახით შემოგვრჩა. ასეთია მაგ., ძველი ბერძენი ლირიკოსის, მენანდრეს, ტექსტები.

კლასიკური და სასულიერო ხასიათის უძველესი ტექსტები, ისევე როგორც შუა საუკუნეების თხზულებათა დიდი ნაწილი, შემორჩენილი გვაქვს ხელნაწერების სახით. თითოეული ასეთი ხელნაწერი უნიკალური და პოლიგენურია (ერთმანეთს არ იმეორებს). მათ შეიძლება დამოუკიდებელი გამოცემაც კი ვუწოდოთ. ხელნაწერთა ურთიერთმიმართების კვლევა გვაჩვენებს მათ გენეალოგიას. შეიძლება რომელიღაც წყარო იყოს ტექსტის ერთადერთი შემორჩენილი ვერსია, მაგალითად, მენანდრეს (ძვ. წ. 4–3 სს.) კომედია „დისკოლუსის“ ერთადერთი წყაროა ეგვიპტეში ნაპოვნი პაპირუსები.

კვლევის შედეგად შეიძლება დავადგინოთ, რომ ერთი რომელიმე შემორჩენილი ხელნაწერი არის ყველა დანარჩენის წყარო, მაგ. მარკუს ტერენციუს ვარონის (ძვ. წ. 2–1 სს.) წიგნი ლათინური ენის შესახებ შემორჩენილია ხელნაწერებით, რომლებიც ერთი წყაროდან მომდინარეობს. შეიძლება ის წყარო, რომელსაც სხვები ეყრდნობა, იყოს დაკარგული. მაგალითად, დაკარგულია რომაელი ისტორიკოსის ველიუს პატერკულუსის (ძვ. წ. 19–ახ. წ. 31) ერთი თხზულების წყარო. ასევე შესაძლებელია, რომ ტექსტი შემორჩენილი იყოს უამრავი წყაროთი, მაგრამ მათი ურთიერთმიმართება ვერ დადგინდეს.

ინტერვალი ორიგინალსა და შემორჩენილ წყაროებს შორის შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. მაგალითად, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ 951 წელს შექმნილმა ტექსტმა ჩვენამდე XII საუკუნით დათარიღებული ხელნაწერის სახით მოაღწია, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტმა კი – მისი შექმნიდან ოთხი საუკუნით და უფრო გვიან გადაწერილი ნუსხებით. ტექსტის ტრანსმისიის ტრადიცია შეიძლება იყოს დინამური, ანუ იგი რეგულარულად მრავლდებოდა, ან სტატიკური – დიდი ხნის განმავლობაში სულ რამდენიმე წყარო შეიქმნას. ამას, ძირითადად, განაპირობებს ტექსტის შინაარსი და მისი აქტუალობა. ტექსტისადმი საკრალურ დამოკიდებულებას უნდა მივაწეროთ ის, რომ კარგად არის შემონახული არათუ წერილობითი სახით, არამედ საუკუნეების განმავლობაში ზეპირად გავრცელებული ზოგიერთი წიგნიც კი, მაგალითად, ძველი ინდური ვედები.

ხელნაწერთა დაცვა–შენახვის მნიშვნელობა

ხელნაწერებს, როგორც მრავლისმომცველი ინფორმაციის წყაროებს, უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიული და ფილოლოგიური კვლევებისათვის. შეიძლება ითქვას, რომ თითოეულ დაკარგულ ხელნაწერს თან მიჰყვება ჩვენი ისტორიის ნაწილი, რომელსაც ვეღარ აღვადგენთ. ამიტომ, მე-19 საუკუნეში, როდესაც ჩვენმა თანამემამულეებმა სრულად გააცნობიერეს ისტორიის მნიშვნელობა და დაიწყეს მისი მეცნიერული კვლევა, შეუდგნენ ბრუნვას ხელნაწერთა შეგროვებასა და საიმედოდ დაცვაზეც. 1898 წლის თებერვალში გამეთ „ივერიის“ ფურცლებზე ილია ჭავჭავაძე წერდა: „იერუსალმეთში და ათონის მთაზე არის მდიდარი ქართული ბიბლიოთეკა, რომელიც ვინ იცის – რამდენ ძვირფას მასალას შეიცავს ჩვენი ძველ ისტორიისა და ლიტერატურისათვის. სულის საქმეს გარდა, ეს ორი გარემოება უნდა გვაიძულებდეს, უნდა ხელს გვანძრევინებდეს ჩვენ, ახლანდელ ქართველებსა და გვაფიქრებინებდეს ამ ჩვენ ძვირფას საუნჯის უკან დაბრუნებაზედ. ვიმეორებთ, იერუსალმეთისა და ათონის მთისაკენ მარტო სულის საქმე კი არ მიგვიზიდავს, არამედ საერო საქმეც“.

იმ დროს მხოლოდ თითო-ორილა მეცნიერმა შეძლო ამ განძისთვის თვალის შევლება, მაგრამ იმის გამო, რომ მათი საქართველოში ჩამოტანა ვერ მოხერხდა, ადგილზე კი სათანადოდ არ იყო დაცული, ბევრი მათგანი ფურცელ-ფურცელ გაიყიდა სხვადასხვა ქვეყანაში. 1883 წელს სინას მთის წმინდა ეკატერინეს მონასტერში ალექსანდრე ცაგარელმა ნახა და აღწერა მე-7 საუკუნის ხანმეტი ლექციონარის 29 ფურცელი, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ ამ ტექსტის 27 ფურცელი აღმოაჩნდა ვენელ მხატვარს, ლეოპოლდ მილისს, რომლისგანაც შეიძინა გრაცის უნივერსიტეტის პროფესორმა ჰუგო შუხპარდტმა. ამავე ხელნაწერის თავფურცელი, როგორც ჩანს, ცალკე გაიყიდა, რადგან იგი მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან აღმოჩნდა პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში, ბოლო ფურცელი კი, სხვა სინური ხელნაწერების კიდევ 7 ფურცელთან ერთად, შეიძინა და სელი ოუქ კოლეჯის ბიბლიოთეკას გადასცა აღმოსავლეთმცოდნე ალფონს მანგანამ. ამ ბოლო ფურცელზე არის იოანე ზოსიმესეული 983 წლის ანდერძი.

მე-7 საუკუნის ქართულ ენაზე დაწერილი ხანმეტი ბიბლიური წიგნი მე-11 საუკუნეში დაუხევიათ და გამოუყენებიათ ებრაული თალმუდის ტექსტების დასაწერად. ამ პალიმფსესტის „იერემიას წინასწარმეტყველების“ ფურცლები მე-19 საუკუნის მიწურულს კაიროს ბენ ეზრას სინაგოგის ძველ ებრაულ ხელნაწერთა საცავიდან, გენიზადან, ჩარლზ ტეილორმა და სოლომონ შეჩტერმა კემბრიჯში გადაიტანეს.

ასე დაიფანტა უცხოეთში შექმნილი მრავალი ქართული ხელნაწერი, მაგრამ ქართული წერილობითი კულტურის ძეგლები დაცული და უსაფრთხოდ შენახული არც საქართველოს ტერიტორიაზე იყო. 1904 წელს ქართველი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე ბესარიონ ნიჟარაძე გულისტკივილით წერდა სვანეთის ხელნაწერთა მდგომარეობის შესახებ: „როდესაც სვანეთში ქრისტეს სწავლა აღყვავებული ყოფილა... მაშინ თითოეულს საყდარს ჰქონია ყველა საღვთო წერილის წიგნები ტყავზე დაწერილი. ამ 30 წლის წინეთაც რომ შესულიყავით რომელიმე მიყრუებულ სოფლის ეკლესიაში, კუთხეში ან თავისებურ საწიგნებზე ნახავდით გროვა-გროვად დაწყობილ საღვთო წერილის წიგნებს პერგამენტზე დაწერილს, ყდიანსა და უყდოს, ახლა კი დიდ

სოფლების შუაგულ ეკლესიაშიც ვეღარ ჰპოულობთ მათ. მანუსკრიპტები ან აფუშულ-დამპალან ანდა ვისაც მოუსწრია, წაუღია...“ ბესარიონ ნიჟარაძემ სხვადასხვა ეკლესიის გადასაყრელ ნივთებში მიაგნო ძვირფასი ხელნაწერების ცალკეულ ფურცლებს, ადიშის მაცხოვრის ტაძარში კი საარყე ქვაბში არჩვის რქებისა და ძველი ხატ-ჯვრების ნამტვრევების გვერდით იპოვა 897 წელს გადაწერილი სახარება.

იმ ხელნაწერთა დიდ ნაწილს, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, ტრაგიკული ისტორია აქვს. მაგალითად, 936-940 წლებში თეოდორეს მიერ შატბერდში გადაწერილი ჯრუჭის ოთხთავი, რომელიც შთამბეჭდავი მხატვრობით არის გაფორმებული, ერთ-ერთი თავდასხმის დროს ოსმალებს ჩაუვარდათ ხელთ და მე-16-17 საუკუნეში ხორასანში თერთმეტ ოქროს მონეტად გამოისყიდა მღვდელმა იოვანე არწიშვილმა. ასევე ოსმალებმა გაიტაცეს და მე-17 საუკუნეში მარიამ დედოფალმა დაიხსნა პარხლის მრავალთავი, რომელმაც შემოგვინახა უძველესი აგიოგრაფიული ძეგლის - „წმინდა შუშანიკის წამების“ ტექსტი. უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტია ამ და კიდევ მრავალი სხვა ხელნაწერის ასეთი შემთხვევითი დაბრუნება სამშობლოში, მაგრამ თავად შემთხვევითობის ფაქტი იმასაც მოწმობს, რამდენი მათი მსგავსი იქნება დაკარგული.

საქართველოს ხელნაწერთა საცავები

ხელნაწერი წიგნი ქართულ ოჯახში დიდ განძად ითვლებოდა და მას თაობიდან თაობებს გადასცემდნენ, მაგრამ სხვადასხვა გარემოების გამო მაინც ხდებოდა მათი საზღვარგარეთ გატანა. ქართლის სამეფოს გაუქმებისა და 1832 წლის შეთქმულების წარუმატებლობის შემდეგ, რუსეთში გასახლებულმა ბაგრატიონებმა და წარჩინებულებმა თან მრავალი ხელნაწერი წაიღეს. ეს საუნჯე ქვეყნის გარეთ რომ არ დარჩენილიყო, ქართველმა ახალგაზრდებმა, რომლებიც პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდნენ, მათი თავმოყრა მე-19 საუკუნის 50-იანი წლებიდანვე დაიწყეს. 1857 წელს დავით ჩუბინაშვილმა ილია ჭავჭავაძესა და პეტერბურგის ქართველ

სტუდენტთა წრეს გადასცა სალომე ბატონიშვილისეული 38 ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნი. 1880 წლიდან „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ პირდაპირ მოლაპარაკებებს აწარმოებდა ქართველ თავადაზნაურებთან ხელნაწერების შეგროვების მიზნით. გამგეობის წევრებს ევალებოდათ მოძიებული ხელნაწერების დათვალიერება, გაცნობა და მათი მნიშვნელობის შეფასება. თუ ხელნაწერი ძალზე მნიშვნელოვანი იყო და მფლობელი მის დათმობაზე არ თანხმდებოდა, გამოყოფდნენ თანხას, რომ ასლი გაკეთებულიყო. სხდომათა ოქმებში აღნუსხულია, ვინ რა ხელნაწერი შესწირა საზოგადოებას, რითია მნიშვნელოვანი და სხვ.

1885 წელს დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის ვაჟმა, ნიკო დადიანმა, საზოგადოებას შესწირა 169 ხელნაწერი და 10 ნაბეჭდი წიგნი. „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ხელმძღვანელობა საგანგებოდ ჩავიდა გორდში წიგნების აღსაწერად და ჩასაბარებლად. სწორედ ამ საზოგადოებისა და ხელნაწერთა დაცვა-შენახვის მნიშვნელობაში კარგად გაცნობიერებული მამულიშვილების დამსახურებაა ის, რომ მრავალი ხელნაწერი გადაურჩა დაკარგვასა და განადგურებას.

ხელნაწერთა შეგროვებისა და შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს: ექვთიმე თაყაიშვილმა, დავით კარიჭაშვილმა, დიმიტრი ბაქრაძემ, მოსე ჯანაშვილმა, თედო ჟორდანიამ და სხვებმა. თაყაიშვილი წერს: „გარკვეული მქონდა მუშაობის მთავარი მიზანი: რამდენადაც შეიძლებოდა და გარემოება ნებას მძლევედა, შემეკრიბა მასალა საქართველოს ისტორია-არქეოლოგიისათვის; ყოველი ძალ-ღონე მეხმარა ძეგლთა დაღუპვისა და დაკარგვისაგან გადასარჩენად. რაც შეიძლებოდა, მეტი გამოიმშვეურებინა და მისაწვდომი გამეხადა მკვლევართათვის. ეს მიმიჩნდა ჩვენი კულტურის ისტორიისათვის უმნიშვნელოვანეს საქმედ იმ პერიოდში – იმ რწმენით, რომ როდესაც ასეთი მასალა საკმაოდ დაგროვდებოდა, გამოჩნდებოდნენ ჩვენში მეცნიერები, რომლებიც ვეროვნად შეგვიდგენდნენ საქართველოს ისტორიას, გაგვიშუქებდნენ იმ მართლაცდა დიად კულტურას, რომელსაც ქართველმა ერმა მიაღწია ჯერ კიდევ შორეულ წარსულში“.

რამდენადაც უძველესი წერილობითი ძეგლები სასულიერო ხასიათისა

იყო, ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1888 წელს საეკლესიო მუზეუმის შექმნას. იგი მიზნად ისახავდა ძველი საეკლესიო ხელნაწერებისა და ხმარებიდან გამოსული ნივთების შეგროვებას. დიმიტრი ბაქრაძემ და ექვთიმე თაყაიშვილმა ხელნაწერები თავდაპირველად სვეტიცხოვლიდან ჩამოიტანეს, რომელსაც იმთავითვე მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა. საზოგადოებას წიგნების შესანახად სიონის ტაძრის ეზოში მდებარე შენობის მეორე სართული გამოუყვეს, ბიბლიოთეკის გამგედ კი თედო ჟორდანიას დანიშნეს და ამის შემდეგ სხვა ტაძრებიდანაც დაიწყეს წიგნების მოგროვება. 1907 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა დააარსა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება, რომელმაც ასევე დიდი რაოდენობით ხელნაწერებს მოუყარა თავი. 1958 წელს, როდესაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან გაიხსნა ხელნაწერთა ინსტიტუტი, ეს ფონდები მას გადაეცა.

ხელნაწერთა ინსტიტუტის სულისჩამდგმელი და მისი პირველი დირექტორი იყო ილია აბულაძე. ამ ინსტიტუტის დაარსება უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართველი ხალხის კულტურული ცხოვრების ისტორიაში. აქ ხორციელდებოდა და დღესაც გრძელდება ხელნაწერთა კომპლექსური შესწავლა: ხდება აღწერილობათა შედგენა, ტექსტების გამოქვეყნება, სტატიებისა და მონოგრაფიების შექმნა და სხვ. მეორე მხრივ, ყველაფერი კეთდება ხელნაწერთა საიმედო დაცვისა და ფონდების განუწყვეტელი შევსებისათვის. ამჟამად ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში 10 ათასამდე ხელნაწერია დაცული, რომელთაგან 1000-მდე მე-5-12 საუკუნეებისაა. ეს არის ქართული წერილობითი კულტურის ოქროს ფონდი.

1920 წელს საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ დააარსა რესპუბლიკის ცენტრალური სამეცნიერო არქივი, რომელიც დღეს საქართველოს ეროვნულ არქივად იწოდება. მის საცავებში 13 ათასზე მეტი წერილობითი ფონდი ინახება. აქ არის არაერთი უნიკალური ხელნაწერი, მათ შორის: მე-9 საუკუნის ოთხთავი და საგალობელთა ნაწყვეტები, მე-11 საუკუნის სამოციქულოს ფრაგმენტები და სხვ.

ქართული ლიტერატურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი მდიდარი და მნიშვნელოვანი საცავია გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული

ლიტერატურის მუზეუმი. აქ დაცული მასალა საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის როგორც თვით მუზეუმის დაარსებისა და ამ საქმეში სხვადასხვა პირთა მიერ შეტანილი წვლილის, ისე ქართველ მწერალთა არქივების შესახებ.

კოლაუ ნადირაძის გადმოცემით, ამ მუზეუმის დაარსების საკითხი პირველად 1919 წელს წამოჭრეს ტიციან ტაბიძემ და სანდრო ცირეკიძემ, მაგრამ იდეის განხორციელება მხოლოდ 1930 წელს გახდა შესაძლებელი. მას თავდაპირველად „მთაწმინდის მუზეუმ-პანთეონი“ ეწოდა და ქართველ მწერალთა განყოფილების გამგედ ტიციან ტაბიძე დაინიშნა. 1931 წელს, როდესაც მუზეუმის გამგე უკვე გიორგი ლეონიძე იყო, მის ფონდებში სულ 329 ექსპონატი ინახებოდა. ფონდის გასამდიდრებლად პოეტმა მის თანამედროვე ყველა მწერალსა და მოღვაწეს, გარდაცვლილთა შთამომავლებს, ნათესავებსა და ნაცნობებს სთხოვა, მუზეუმში დაებინავებინათ და დაღუპვისგან ეხსნათ მწერალთა ხელნაწერები, მემორიალური ნივთები, სურათები და წიგნები. საზოგადოება მოწოდებას დიდი გულისხმიერებით გამოეხმაურა. მუზეუმმა შეიძინა მწერალთა არქივები თუ ცალკეული ექსპონატები, ძვირფასი კოლექციების უმეტესობა კი მფლობელებმა უსასყიდლოდ გადასცეს სიძველეთა ახლად დაარსებულ საცავს. მწერლობასთან დაკავშირებული მასალები შემოვიდა საქართველოს მუზეუმის საისტორიო-საეთნოგრაფიო განყოფილებიდან, სათეატრო, ძველი ქართული ხელოვნებისა და რევოლუციის მუზეუმებიდან.

ფონდების შევსებისა და გამდიდრების მიზნით, ლიტერატურის მუზეუმი დღესაც სისტემატურად ყიდულობს, ან შემოწირულობით იღებს მწერალთა არქივებსა თუ ცალკეულ ხელნაწერებსა და დოკუმენტებს. ამჟამად მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში 120.000 დასახელების ხელნაწერია დაცული. ეს უნიკალური მასალა არამარტო საფონდო და საექსპოზიციო, არამედ საგამომცემლო საქმიანობის განვითარების საშუალებასაც იძლევა. ჯერ კიდევ 1940 წელს გიორგი ლეონიძემ დაიწყო აღმანახ „ლიტერატურის მატეანის“ გამოცემა და ამ საქმიანობას მუზეუმი კვლავ წარმატებით აგრძელებს. 2016–2017 წლებში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის

მხარდაჭერით აქ მომზადდა და გამოიცა ხელნაწერთა აღწერილობის ოთხი ტომი, რომლებშიც სამი ათასამდე ხელნაწერია აღწერილი, ერთვის პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლები და მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ტექსტოლოგთათვის.

ხელნაწერთა მდიდარი კოლექცია ინახება აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში. აქ მეტწილად თავმოყრილია იმერეთის, რაჭისა და ლეჩხუმის ეკლესია-მონასტრებიდან ჩამოტანილი ხელნაწერები. განსაკუთრებით ბევრია გელათის მონასტერში გადაწერილი ძეგლები, რადგან იქ საუკუნეების განმავლობაში დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა არსებობდა. არაერთი საინტერესო ხელნაწერია მესტიის, გორის, ზუგდიდის, მარტვილის, ბათუმის, თელავისა და საქართველოს სხვა ქალაქების მუზეუმებში.

უცხოეთის ხელნაწერთა საცავების ქართული კოლექციები

საქართველოს გარდა, ქართულ ხელნაწერთა მდიდარი კოლექციებია დაცული მსოფლიოს მრავალი ქალაქის მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში. მე-10 ს-ის დასასრულიდან საბაწმიდაზე მუსლიმ არაბთა მომძლავრების შემდეგ, ქართულმა კოლონიამ სინას მთაზე გადაინაცვლა და იქ გააგრძელა მოღვაწეობა. წმ. ევატერინეს მონასტრის საცავში 239 ქართული ხელნაწერი და ფრაგმენტი ინახება. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ხელნაწერი გაიფანტა და მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმში აღმოჩნდა, კვლავ მდიდარი ქართული კოლექციებია დაცული უძველეს ქართულ მწიგნობრულ კერებში – იერუსალიმსა და ათონის მთაზე. იერუსალმში დაცულია: დავით თბილელის მიერ გადაწერილი „მათეს სახარების თარგმანება“, „წინასწარმეტყველთა წიგნები“, „ეპისტოლეთა თარგმანება“, გრიგოლ ღვთისმეტყველის ჰომილიები, იოანე დამასკელის „გარდაცვალებისათვის წმიდისა ღმრთის—მშობელისა“, მამათა სწავლებანი „მარგალიტი“ და მრავალი სხვა ძველი ხელნაწერი. ათონის მთაზე დაცულია მე-10 საუკუნისა და შემდეგდროინდელი არაერთი მნიშვნელოვანი ხელნაწერი, მათ შორის: პატრისტიკულ–

აგიოგრაფიული, ჰომილეთიკური და მეტაფრასული კრებულები, გიორგი ათონელის „დიდი სვნაქსარი“, გიორგი ალექსანდრიელის „იოანე ოქროპირის ცხოვრება“ და მრავალი სხვა.

ძველ ქართულ წერილობით ძეგლთა მნიშვნელოვანი კოლექციაა დაცული პეტერბურგში, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. აქ ინახება გიორგი ავალიშვილის, მარი ბროსეს, თეიმურაზ ბაგრატიონის, პლატონ იოსელიანისა და სხვათა კოლექციები და არქივები, სულ 526 ხელნაწერი და 429 დოკუმენტი. სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცულ წერილობით ძეგლთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია: იოანე ზოსიმეს მიერ რედაქტირებული 951 წლის ასტრონომიული ტრაქტატი, 995 წლის ტბეთის ოთხთავი, მე-10 საუკუნის პირველი ნახევრის ქსნის ოთხთავის ფრაგმენტები, საგალობელთა კრებულები და სხვ. ძველი ქართული ხელნაწერები ინახება ერევანში, მესრობ მაშტოცის სახელობის ძველ ხელნაწერთა ინსტიტუტში – მატენადარანში და ეჩმიადინის საპატრიარქო ბიბლიოთეკაში.

პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცულია 29 ქართული ხელნაწერი. ვენის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში – 5, გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში – 5 და 2 ხელნაწერის ფრაგმენტები. გერმანიის ქალაქ გოტინგენში – მე-11 საუკუნის სირიულ-ქართული პალიმფსესტი, ჰალეს აღმოსავლეთმცოდნეობის საზოგადოების ბიბლიოთეკაში – 5 ხელნაწერი.

ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოძლეს ბიბლიოთეკაში დაცულ ხელნაწერთაგან უძველესია ქართულ-ებრაული პალიმფსესტი, იერემიას წინასწარმეტყველების ქართული თარგმანის ფრაგმენტებით. მდიდარი კოლექცია აქვს მარჯორი უორდროპის ფონდს. ბრიტანეთის მუზეუმში ინახება მრავალთავის მე-11 საუკუნით დათარიღებული ხელნაწერი, კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში – ხანმეტი იერემიას წინასწარმეტყველების ფრაგმენტები.

ვატიკანში დაცულია 17 ქართული ხელნაწერი და მრავალრიცხოვანი დოკუმენტები. მდიდარი კოლექციებია მარბურგისა და ტიუბინგენის უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებში. ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ

ნიუტონში ინახება მე-10 საუკუნეში გადაწერილი ბერთის ოთხთავი, პრისტონის უნივერსიტეტის ჟერარ გარიტის კოლექციაში – მე-10 საუკუნის ხელნაწერი – ალექსანდრე კვიპრელის „საკითხავი პოვნისათვის პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჯუარისა“ და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ ეს ისტორიული მნიშვნელობის ხელნაწერები ჩვენი ქვეყნის გარეთაა, მნიშვნელოვანია, რომ ისინი საიმედოდ არის დაცული და ხელმისაწვდომია. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება ამ კოლექციების ციფრული ასლები და მეცნიერებს შეუძლიათ მათზე მუშაობა.

არქივებში დაცული გამოუქვეყნებელი ტექსტები

ხელნაწერთა საცავებში დღემდე არის შემორჩენილი არათუ მხოლოდ ძველი, არამედ შედარებით ახალი ტექსტებიც, რომლებიც ჯერაც არ არის გამოქვეყნებული. ამიტომ ამა თუ იმ ავტორის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მზადებას აუცილებლად უნდა უსწრებდეს წინ ამ საცავების კატალოგთა გადამოწმება. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ჩატარებული ამგვარი ძიებისას აკაკი წერეთლის რამდენიმე ძალზე მნიშვნელოვანი ავტოგრაფი აღმოჩნდა.

ტექსტის პირველი პუბლიკაციისას ტექსტოლოგს განსაკუთრებული ძალისხმევა სჭირდება, როგორც მის ამოკითხვასა და ამავე ავტორის სხვა ტექსტებთან მიმართების გარკვევაზე, ისე ატრიბუციაზე, დათარიღებაზე, პირთა იდენტიფიცირებასა და სამეცნიერო აპარატის მომზადებაზე. წარმოგიდგინთ კვლევებს, რომლებიც ჩატარდა აკაკი წერეთლის საარქივო ფონდში დაცული რამდენიმე ასეთი ტექსტის მოსამზადებლად.

ორი ფურცლის მოცულობის უსათაურო ავტოგრაფი (ხეც, K N300), რომელიც ეხება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას, ხელმოუწერელია, მაგრამ კალიგრაფია აშკარად აკაკი წერეთლისეულია. ტექსტის დათარიღებაში დაგვეხმარა ერთი ეპიზოდი – მის დასაწყისშივე არის მოხსენიებული წმინდა სინოდში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის განხილვა. ამ ღონისძიების სხდომები ჩატარდა პეტერბურგში

1906 წლის 17-18 იანვარს და მას საქართველოს მხრიდან ესწრებოდნენ სწორედ წერილში ნახსენები ეპისკოპოსები — ლეონიდე ოქროპირიძე და კირიონ საძაგლიშვილი, რომლებიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ სხვადასხვა დროს გახდნენ მისი პატრიარქები. აქედან გამომდინარე, გავარკვიეთ, რომ სტატია 1906 წლის 18 იანვრის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი.

ავტოგრაფი გაკრული ხელით არის შესრულებული და მისი თემა იმ დროისათვის ძალზე აქტუალურ საკითხს, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას ეხება. მე-20 საუკუნის დასაწყისში არა მხოლოდ სამღვდლოება, მოწინავე ქართული საზოგადოებრივი ძალებიც აქტიურად იყვნენ ჩაბმული ამ საქმეში. ჩვენმა მწერლებმა – ილიამ, აკაკიმ, იაკობ გოგებაშვილმა და სხვებმა, გულდასმით შეისწავლეს ავტოკეფალიის აღდგენის ისტორიული წინაპირობები და ცდილობდნენ, თავიანთი მახვილი მხატვრული თუ ჟურნალისტური სიტყვით, ხელი შეეწყოთ ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტისთვის. ეს აშკარად დასტურდება ამ წერილიდანაც.

აკაკი წერეთელი წერს, რომ რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოში კათალიკოსობის გაუქმების შემდეგ მთელი ყურადღება გადატანილ იქნა გარუსების პოლიტიკაზე და განზე დარჩა სულიერება. სავარაუდოდ, წერილის რუსულ ენაზე დაწერა განაპირობა იმან, რომ ეს ინფორმაცია სწორედ რუსი მკითხველისთვის იყო განკუთვნილი, მაგრამ, სავარაუდოდ, ცენზურის გამო არ დაიბეჭდა.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აკაკი წერეთლის საარქივო ფონდში K 326 ნომრით დაცულია საქართველოს ეგზარქოსის წინაშე წარმოსათქმელი სიტყვის რუსულ ენაზე დაწერილი შავი ავტოგრაფი, უსათაურო, უთარილო და ხელმოუწერელი. ტექსტის შინაარსიდან ჩანს, რომ იმ პერიოდში რუსეთი ომში იყო ჩაბმული და ასევე იკვეთება ისიც, რომ სიტყვა უნდა წარმოთქმულიყო გელათის ტაძარში ღვთისმშობლის შობის დღეს, ანუ ძველი სტილით 8 სექტემბერს. ეგზარქოსის წინაშე სიტყვით გამოსვლას აკაკი წერეთელს ახალგაზრდობისას არავინ მიანდობდა და თვითონაც ვერ იქნებოდა ისეთი გაბედული და კრიტიკული, როგორც ამ ხელნაწერის ტექსტიდან ჩანს. ამ

დროისათვის იგი ასაკოვანი და სახელოვანი პიროვნება უნდა ყოფილიყო. ამაზე მიგვანიშნებს მისი სიტყვებიც: «с юных лет тяжелым камнем давит мне сердце». ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, რომ სსენებელი ომი 1914 წლის ზაფხულში დაწყებული პირველი მსოფლიო ომია და ღვთისმშობლის შობის დღესასწაული ამავე წლის 8 სექტემბერს გულისხმობს, ხელნაწერი კი ამ დღესასწაულამდეა დაწერილი.

1914 წლის 26 ივნისიდან საქართველოს ეგზარქოსი იყო პიტირიმ ოკნოვი. პიტირიმმა თავისი ლიბერალურ-ფარისევლური პოლიტიკით გარკვეული ნდობა მოიპოვა ქართულ საზოგადოებაში და, როგორც ჩანს, გელათის ტაძარში ღვთისმშობლის შობის დღეს წირვის ქართულად ჩატარებასთან დაკავშირებით მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გამო, მას იმედით უყურებდა აკაკი წერეთელიც. პოეტი ცდილობდა, რომ თავისი სიტყვით ახალი ეგზარქოსისთვის შეეხსენებია, რა როლი ითამაშა საქართველომ ქრისტიანობის დაცვაში და როგორ წმინდად ინახავდა მართლმადიდებლობას საუკუნეების მანძილზე.

ამავე ტექსტში საუბარია ორი მართლმადიდებელი ერის (ქართველებისა და რუსების) შეერთების როგორც დადებით, ისე ნაკლოვან მხარეებზე. უარყოფითთაგან განსაკუთრებით აქცენტირებულია ქართული ენის დევნა. სიტყვის ბოლოს აკაკი იმედს გამოთქვამს, რომ მწყემსმთავრის გადაწყვეტილება ნიშანია ქართული ეკლესიისადმი და იმ ენისადმი მისი პატივისცემისა, რომელზედაც ქართველები 16 საუკუნის განმავლობაში ასრულებდნენ ღვთისმსახურებას.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის აკაკი წერეთლის არქივში დაცულია აგრეთვე იმპერატორისადმი მიძღვნილი სიტყვის რუსულ ენაზე დაწერილი უსათაურო, უთარილო და ხელმოუწერილი შავი ხელნაწერები (ხეც, K N294). ბარათებზე არ არის მითითებული მეფის სახელი, მაგრამ, სავარაუდოდ, ნიკოლოზ II უნდა იგულისხმებოდეს. ამას გვაფიქრებინებს შემდეგი გარემოებანი: 1. წერილის შინაარსიდან გამომდინარე, ეს სიტყვა წმინდათქმული უნდა ყოფილიყო საქართველოში იმპერატორის სტუმრობისას («... грузины вдохновлённые присутствием высокого гостя»)

2. ამ სიტყვის წარმოთქმისას ქვეყანა ომში უნდა ყოფილიყო ჩაბმული («... даровал великой нашей родине прославления и победу над врагами») 3. ამ დროისათვის აკაკი უკვე იმდენად ცნობილი პიროვნება უნდა ყოფილიყო, რომ იმპერატორის წინაშე სიტყვით გამოსვლა ქართულ საზოგადოებას მისთვის მიენდო.

1914 წლის ნოემბერში, პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან რამდენიმე თვის შემდეგ, რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ II, რომელმაც არმიის მთავარსარდლობა საკუთარ თავზე აიღო და თურქეთის ფრონტისკენ მიემართებოდა, რამდენიმე დღით სტუმრობდა საქართველოს. სამეფო დაცვის უფროსის, გენერალ სპირიდოვიჩის, მოგონებების მიხედვით, 28 ნოემბერს ჩატარდა თბილისის წარჩინებულებთან შეხვედრა. აკაკი წერეთელი ამ დროს 74 წლის ცნობილი მწერალი და საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე პატივცემული პიროვნება იყო.

იმ ფაქტს, რომ აკაკი სწორედ ნიკოლოზ II-ის წინაშე წარმოსათქმელად ამზადებდა ამ სიტყვას, ადასტურებს მისსავე არქივში დაცული, 1914 წლის 5 დეკემბერს მისდამი მიწერილი ერთი ბარათი. წერილის ავტორია ანიკო მაჩაბელი და მისი შინაარსიდან ირკვევა, რომ აკაკი წერეთელი იმპერატორ ნიკოლოზ II-სთან შეხვედრაზე, სადაც სიტყვით უნდა გამოსულიყო, საერთოდ არ მისულა. ბარათში ვკითხულობთ: „ხელმწიფე იმპერატორი ბრძანდებოდა, მიკვირს, თქვენ რომ არ დაესწართ და არაფერი უთხარით. იქნება იმისთანა რამ გეთქვათ, რომ შევლებოდა ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს... ყოველ სიტყვას ყურადღებას აქცევდა და თქვენი ნახვა და რამე სიტყვის თქმა დიდი მნიშვნელოვანი იქნებოდა და დიდ რამეს მოგვიტანდა. ძლიერ, ძლიერ ვწუხვარ, რომ ეგრე ამისთანა დროს თქვენ დაიძალეთ. მე ყოველდღე გელოდით, აი, ეხლა შემოვა და ეხლა. ბოდიშს გიხდით, თუ ამ ჩემ სიტყვებით გაწყინეთ...“ ეს წერილი მოწმობს, რომ იმპერატორის წინაშე წარმოსათქმელი სიტყვის შავი ავტოგრაფები ნამდვილად ნიკოლოზ II-ისადმი მიმართული და 1914 წლის 28 ნოემბრამდეა დაწერილი.

მცხოვანი პოეტი 1915 წლის 26 იანვარს გარდაიცვალა, მანამდე კი კარგახანს ავადმყოფობდა და, სავარაუდოდ, ამ შეხვედრასაც ავადმყოფობის

გამო ვერ დაესწრო. იმპერატორთან შეხვედრა შედგა ცნობილი მეცენატის, დავით სარაჯიშვილის, ქვრივის, ეკატერინე ივანეს ასული ფორაქიშვილი-სარაჯიშვილის, სახლში. ღონისძიებას ესწრებოდა ქართველ დიდებულთა მთელი ელიტა. ცხადია, პოეტის ავადმყოფობა რომ არა, იგი ამ შეხვედრის ერთ-ერთი ყველაზე პატივსაცემი სტუმარი იქნებოდა და, თავისი მიმართებით იმპერატორისადმი, ვინ იცის, იქნებ მართლაც ცოტათი დაეთბო ქართულ-რუსული ურთიერთობები, მაგრამ არქივში ნაპოვნი ავტოგრაფი და მისი ტექსტოლოგიური ანალიზი ადასტურებს, რომ ის კი არ „დამალულა“, არამედ ავად გახდა და 2 თვეში გარდაიცვალა.

როგორც ვხედავთ, თვით კლასიკოსთა არქივებშიაც კი არის შემორჩენილი დღემდე გამოუქვეყნებელი ძალზე მნიშვნელოვანი ტექსტები, რომლებსაც აუცილებლად სჭირდება ტექსტოლოგიური ანალიზი, გამოქვეყნება და ქართველ მკითხველამდე მიტანა.

თხზულების გეგმა, ესკიზები და შავი ხელნაწერები

თუ ძველი ტექსტების ხელნაწერ ასლებსაც კი ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, გვიანდელ ტექსტებთან მიმართებით ასეთივე ღირებულება გააჩნია ავტოგრაფებს და ავტორის სიცოცხლისდროინდელ გამოცემებს.

ტექსტოლოგმა უნდა გაითვალისწინოს, რომ შავი და თეთრი ხელნაწერები ერთმანეთისაგან ფუნქციურად განსხვავდება. შავი იმთავითვე იქმნება იმის გაცნობიერებით, რომ იგი გარდამავალი ეტაპია და შემდგომში დაიხვეწება. თეთრ ხელნაწერში კი ავტორი უკვე საბოლოო სახეს აძლევს ტექსტს. თუ თეთრი ხელნაწერის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ის ტექსტის საბოლოო სახეს წარმოაჩენს, შავი ხელნაწერი, მისგან განსხვავებით, ასახავს ტექსტზე მუშაობის შემოქმედებით პროცესს. გასათვალისწინებელია, რომ ხელნაწერის გადათეთრებისას ავტორიც, გადამწერიც და ტექსტის ამკრეფიც მექანიკურად მოქმედებენ და იოლად უშვებენ შეცდომებს, მაშინ როდესაც შავი ავტოგრაფის წერისას ავტორი ყველაფერს იაზრებს და ყურადღებით ეკიდება (იხ. ილუსტრაცია N 6).

წარმოდგენელია თხზულების შემოქმედებითი ისტორიის კვლევა მისი ავანტექსტის: გვემის, ესკიზების, ფრაგმენტებისა და შავი ხელნაწერების დაწვრილებითი ანალიზის გარეშე, რადგან სწორედ ამ ტიპის ტექსტები წარმოაჩენს, როგორ ვითარდებოდა ავტორის შემოქმედებითი ჩანაფიქრი და როგორ ისხამდა ხორცს. მაგალითად, მოთხრობების „კოლა“ და „კაკო“ ავტოგრაფებიდან ჩანს, რომ მოღვაწეობის იმ ეტაპზე სამი თხზულება: „გლახის ნაამბობი“, „კაცია, ადამიანი?!“ და „კაკო ყაჩაღი“ ავტორს ჩაფიქრებული ჰქონდა ერთ ნაწარმოებად.

ავტოგრაფისეული შეცდომები

ტექსტოლოგიური კვლევებისთვის ყველაზე სარწმუნო წყარო მწერლის ავტოგრაფებია, მაგრამ ზოგჯერ მათშიაც გვხვდება შეცდომები. არსებობს ილია ჭავჭავაძის ლექსის – „მთვარეს“ (იგივე „უცხოეთში“) – ორი ავტოგრაფი, რომელთაგან დაწერის თარიღად ერთში 23 ივნისია მითითებული, მეორეში კი – 23 ივლისი. რიცხვის „23“ დამთხვევამ ამ ლექსის ორი ავტოგრაფის თარიღებში გვაფიქრებინა, ხომ არ იყო ეს მექანიკური შეცდომა და ორივეგან ერთი თარიღი ხომ არ მოიაზრებოდა.

ამის დასადგენად და ორი ავტოგრაფის ქრონოლოგიური თანმიმდევრობის გასარკვევად ჩავატარეთ საგანგებო კვლევა. მოვნიშნეთ ვარიანტებში განსხვავებული ადგილები და შევამოწმეთ, რომელი მათგანი იყო გათვალისწინებული 1892 წლის გამოცემაში (რადგან ტექსტების მხრივ, ეს გამოცემა ითვლება ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ერთ-ერთ ყველაზე სარწმუნო წყაროდ). კვლევამ გამოავლინა, რომ დასახელებული ორი ავტოგრაფიდან ის, რომელიც 23 ივნისით არის დათარიღებული, 23 ივლისით დათარიღებულზე უფრო გვიანდელია. 23 ივლისით დათარიღებულში მწერალს ჰქონდა ისეთი ვარიანტები, რომლებიც ბეჭდურ წყაროში აღარ გაუთვალისწინებია. წაკითხვები: „სძინავთ ნიავთა“, „სულ სხვაფრად გაბრწყინებული“, „და სულ სხვარვად დამშვიდებული“ მწერლის თხზულებათა სიცოცხლისდროინდელ კრებულში შევიდა „23 ივნისით“

დათარიღებული ავტოგრაფიდან. „23 ივლისით“ დათარიღებულში ამ წაკითხვების ნაცვლად წერია: „სძინავს ნიავსა“, „სხვა რიგათ დამშვიდებული“ და „ზეცა სულ სხვა ფრათ გაბრწყინებული“. რამდენადაც წარმოდგენილია, რომ „23 ივნისით“ დათარიღებული ტექსტი „23 ივლისით“ დათარიღებულზე გვიანდელი იყოს, აშკარაა, რომ ამ ორიდან ერთ-ერთ თარიღში შეცდომაა.

მსგავსი ვითარება აღმოჩნდა ილია ჭავჭავაძის ლექსთან – „მწუხარება“ – დაკავშირებითაც. ლიტერატურის მუზეუმში დაცულ, უფრო ადრე გადაწერილ რვეულში შეტანილ ავტოგრაფს აწერია „11 ივლისი“, ხელნაწერთა ცენტრში დაცულ უფრო გვიანდელ რვეულში ჩაწერილს კი – 11 ივნისი“. ამას გარდა, საგულისხმოა, რომ ლექსის „მეც შავს თვალებს...“ ერთადერთ ხელნაწერში თარიღად წერია „20 ივლისი“, ჟურნალ „ცისკრის“ ნაბეჭდ წყაროში კი, რომელიც ერთი წლის შემდეგ გამოვიდა, „20 ივნისი“.

თვეთა სახელები „ივნისი“ და „ივლისი“ იმ პერიოდში საბოლოოდ დამკვიდრებული არ იყო და უფრო ხშირად ძველ სახელებს ხმარობდნენ – „თიბათვე“ და „მკათათვე“. ათწლეულების შემდეგაც კი, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ოქმებში თარიღები ყველგან ასეა ჩაწერილი და სრულიად არ არის გამორიცხული, რომ ახალგაზრდა პოეტს ლექსების წერის დროს ზაფხულის თვეები ერთმანეთში არეოდა, მაგრამ გადაწერისას შეენიშნა ეს შეუსაბამობა (ენახა, რომ იმ ლექსს, რომელიც თიბათვეში აქვს შექმნილი, „ივლისი“ აწერია) და ახალ რვეულში, ან პუბლიკაციაში თვეთა სახელები ჩაესწორებინა.

ფაქტია, რომ სამივე შემთხვევაში, იქ, სადაც ადრეულ წყაროში „ივლისია“, შემდეგ „ივნისით“ არის ჩასწორებული. იმას, რომ გვიანდელ რვეულში ლექსის გადაწერისას ავტორს მექანიკურად კი არ გადაჰქონდა თარიღები, არამედ გააზრებულად, ისიც მოწმობს, რომ იგი ცვლიდა თარიღის ჩაწერის სტილს. „23-სა ივლისს, 1858 წელსა, სოფელი ტიარლევო“ / „1858-სა წელსა, 23-სა ივნისს, სოფ. ტიარლევო“; „ივლისის 20-სა დღესა, 1858 წელსა, სოფ. ტიარლევო“ / „1858-სა წელსა, 20-სა ივნისსა, სოფ. ტიარლევო“; „1860, 11 ივლისსა“ / „11 ივნისი, 1860 წ.“ და სხვ.

იმას, რომ ილია ჭავჭავაძეს ზაფხულის თვეების ახალი სახელები

ერთმანეთში ერეოდა, მოწმობს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში დაცული პირადი წერილი ნენე ჭავჭავაძე-ანდრონიკაშვილისადმი, რომელსაც დასაწყისში აწერია „13-სა მარიამობის თვეს“ და ბოლოში ავტორისავე ხელით, იმავე მელნით – „13-სა ივლისს“. აშკარაა, რომ 13 მარიამობისთვე და 13 ივლისი წერის მომენტში ავტორს ერთი და იგივე ეგონა.

ილია ჭავჭავაძის ერთი ცნობილი ლექსის სათაურია „1871 წლის 23 მაისი“. ერთადერთ ავტოგრაფში (ხეც N108, 167) მას აქვს ქვეშ მინაწერი „კომუნის დაცემის დღე“, მაგრამ მწერლის სიცოცხლეში ტექსტი ყველგან იბეჭდებოდა სათაურით „პარიჟი“, ქვეშ მინაწერის გარეშე. შეცდომა მდგომარეობს იმაში, რომ პარიზის კომუნა 23 მაისს არ დაცემულა, ეს მოხდა 28 მაისს. ეს სათაური რომ ნაბეჭდ წყაროებში ყოფილიყო, ვფიქრებდით, რომ ცენზურის თვალის ასახვევად შეცვალა ავტორმა, მაგრამ ის არის ხელნაწერ რვეულში, მკაფიოდ გამოყვანილი და ქვეშ აქვს მინაწერი, რომელიც ისედაც ააშკარავებს, რა თარიღს ეძღვნება. რამდენადაც ციფრები „3“ და „8“ მოხაზულობით ახლოსაა ერთმანეთთან, ვფიქრობთ, რომ ლექსის ავტორმა შეცდომა შავი ავტოგრაფიდან რვეულში მისი გადაწერისას დაუშვა და შემდეგ აქედან გავრცელდა.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, განხილული შემთხვევების მსგავს მოულოდნელობებს ტექსტოლოგი ხშირად აწყდება, მაგრამ სწორი მეცნიერული მეთოდების გამოყენებისას აუცილებლად გამოჩნდება სიტუაციის ლოგიკური ახსნა.

ხელნაწერში დაცულ ტექსტურ მოწმეთა ანალიზი

სასურველია, რომ თხზულებათა შემოქმედებითი ისტორიის კვლევას წინ უსწრებდეს არა მხოლოდ წყაროების, არამედ ტექსტურ მოწმეთა დაწვრილებითი ანალიზი, მათი თანმიმდევრობის გარკვევა და თითოეულის შეძლებისდაგვარად დათარიღება. ტერმინი „მოწმე“ („witness“), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თანამედროვე გენეალოგიურ კვლევებში ასახავს ტექსტის

განვითარების გარკვეულ ეტაპს, რომელიც ნაშრომშია წარმოდგენილი. თუ წყაროს ეტყობა სხვადასხვა პერიოდის რედაქტირების კვალი, მასში რამდენიმე ტექსტური მოწმე გამოიყოფა.

გალაკტიონ ტაბიძის არქივის დიგიტალიზაციამ და ავტოგრაფების მაღალი რეზოლუციის ციფრული ვერსიების არსებობამ ტექსტოლოგიური კვლევის შესაძლებლობები მნიშვნელოვნად გააფართოვა. საშუალება მოგვეცა, რომ ბევრად უფრო მეტი ინფორმაცია მოვიძიოთ და უფრო დაწვრილებით შევისწავლოთ თითოეულ ლექსზე მუშაობის შემოქმედებითი პროცესი.

გალაკტიონ ტაბიძის ლექსი, რომელსაც განსხვავებული სათაურები აქვს: „გამახსენდები და ისევ ზღვა მომენატრება“, „ელეგია განშორებისა“ და „ასპინძა“, შემორჩენილია ორი ავტოგრაფული წყაროსა და მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტის სახით, რომელიც ნასწორებია ავტორის მიერ. ლექსი მწერლის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა და ავტორიზებული პუბლიკაციები არ მოგვეპოვება. ზოგადად, ტექსტურ მოწმეთა ქრონოლოგიური თანმიმდევრობა ყოველთვის არ ემთხვევა წყაროთა ქრონოლოგიურ რიგს. გვიანდელი ავტოგრაფის შემდეგ ავტორმა შეიძლება სწორებები წინა წყაროშიც შეიტანოს, ტექსტის გამოქვეყნების შემდეგ ისევ მიუბრუნდეს ადრეულ ხელნაწერს და ა. შ.

ამიტომ ამ ლექსზე მუშაობის შემოქმედებითი პროცესის რეკონსტრუქციისათვის გადავწყვიტეთ, განგვეხილა არა ის წყაროები, რომლებიც გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში ინახება ნომრებით: სლმ, 862/2, სლმ, 862/1 (იხ. ილუსტრაციები N7, 8) და სლმ, 3315-16, არამედ მათში დაცული ტექსტური მოწმეები. ამ სამი დოკუმენტიდან გამოვყავით 9 ტექსტური მოწმე. წარმოგიდგენთ მათ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, ქვემოთ კი განვიხილავთ, რის საფუძველზე მოვახდინეთ მათი ასეთი განლაგება:

- A – სლმ, №862/2 ხელნაწერის პირველადი, იისფერი მელნით ნაწერი ტექსტი;
- B – სლმ, №862/2 ხელნაწერი, წითელი მელნით შეტანილი სწორებებით;
- C – სლმ, №862/2 ხელნაწერი, ლურჯი მელნით შეტანილი სწორებებით;

- D – სლმ, №862/2 ხელნაწერი, მოყავისფრო მელნით შეტანილი სწორელებით;
- E – სლმ, №862/1 ხელნაწერის წითელი მელნით ნაწერი ტექსტი;
- F – სლმ, №3315–16 მანქანაზე ნაბეჭდი ძირითადი ტექსტი;
- G – სლმ, №3315–16 მანქანაზე ნაბეჭდი, ლურჯი მელნით შეტანილი სწორელებით;
- H – სლმ, №862/1 ხელნაწერი, ლურჯი მელნით შეტანილი სწორელებით.
- I – სლმ, №862/1 ხელნაწერი, ლურჯი ფანქრით შეტანილი სწორელებით;

ყოველ ახალ ტექსტურ მოწმეში ვგულისხმობთ წინა მოწმის ტექსტურ ვერსიას იმ სწორელებით, რაც ამ კონკრეტულ ეტაპზე იქნა შეტანილი და არა მხოლოდ თავად ცვლილებებს. წარმოვადგენთ ვარიანტების კორპუსს, რომელშიც ნაირწაკითხვებთან ვუთითებთ ტექსტური მოწმის აღმნიშვნელ სიგლას (სიმბოლოს, ლიტერს), რომ უკეთ გავიაზროთ ტექსტზე ავტორის მუშაობის მთელი პროცესი. რამდენადაც №862/2 ლექსი თოთხმეტმარცვლიანია, დანარჩენ ორში კი მონაცვლეობს 9 და 5-მარცვლიანი ტაეპები, პირველი ვარიანტის მიხედვით ტექსტის ტაეპებად დაყოფას წარმოვადგენთ ორი დახრილი ხაზით, მეორისას კი – ერთით:

ტოლ-მეგობრებში¹ გული
 მხოლოდ / გრძნობით
 დათვრება. //
 ისეთი დღეა – მგოსანთ
 მეფეს² / რომ ეკადრება! //
 მაგრამ³ უეცრად სიხარული⁴ /
 მოიხადრება: //
 გამახსენდები⁵ და სიკვდილი⁶
 / მომენატრება! //
 ცას ვარსკვლავები⁷ მოჰფენია⁸ –
 / მშობლიურ⁹ ზეწრად –//
 მათთვის¹⁰ ჩემს გრძნობებს
 სიხარულის / ალი მიეცრათ¹¹.
 //
 რა სისავსება¹², რა სილაღე... /
 მაგრამ¹³ უეცრად //

1. ტოლ-მეგობრებში B => თვით ცხარე ომში BCDEFG; თვით-ცხარე ომში H => ისეთი დღეა HI.
2. მგოსანთ-მეფეს B => საქართველოს BC; გამარჯვებას DEFGHI.
3. შვებით G; მაგრამ EFGH
4. ყოველივე EFGHI
5. H გამახსენდები => HI რაღაც შემავართობს
6. B რაღაც სხვა; CD და ისევ; EFG და ისევ ზღვა; კვლავ ომი HI.
7. სილაუვარდე I
8. მოჰფენოდენ H; დაჰფენია I
9. ბრწყინვალე FGH
10. მათთვის E => -მათთან HI
11. ალი მიეცრათ H => გზა მიმოეცრათ HI
12. სისავსება H => სივრცე იყო HI; იყო => არის I

გამახსენდები და სიკვდილი¹⁴
/ მომენატრება! //
ამგვარი არის¹⁵ ჩემი ყოფნა /
დღითა და ღამით, //
ის უკურნებლად¹⁶ დაიდალა /
ამ მწარე შხამით¹⁷. //
საუკუნით რომ ლალი ვიყო - /
შენ¹⁸ ერთი¹⁹ წამით //
გამახსენდები²⁰ და
სიკვდილი²¹ / მომენატრება.
//

ეს ტკივილები²² ჩემს ყოფნაში /
ძველის ძველია //
ის²³ ტკივილები²⁴
ვერავისთვის / გამიმხელია. //
სიცოცხლე მიყვარს²⁵ -
მაგრამ, ვაი²⁶, / როგორ²⁷
ძნელია - //
გამახსენდები და სიცოცხლე²⁸
/ მომენატრება!!!

13. მაგრამ => ასე G;
14. რაღაც სხვა B; და ისევ CD; და ისევ ზღვა EFG; ისევ ზღვა H; კვლავ ომი HI.
15. არი.
16. უკურნებლად GH, უკურნებლად H.
17. ამ მწარე შხამით => უცნობ სიამით B; ამ უცნობ რამით EFG; ამ უცნობ რამით => ომების შხამით H; ომების => ასეთი I.
18. შენ H=> მტერი HI.
19. ერთი H=> ერთ HI
20. გამახსენდები H => გამახსენდება HI
21. რაღაც სხვა B; და ისევ CD; და ისევ ზღვა EFG; კვლავ ომი HI.
22. D განზორება; H ეს ტკივილები ჩემს ყოფნაში H => HI ყოველ ქართველში ომის ტრფობა HI.
23. მით G;
24. ის ტკივილები => მეც ასეთი ვარ და H; მეც ასეთი ვარ => მეც ხმალი მინდა I;
25. მიყვარს B => მინდა CDEFGHI;
26. მაგრამ ვაი როგორ => უშენოდ ის [ოხ რა] D; უშენოდ ის ოპ რა EFGH; უშენოდ => უომრად I.
27. რაღაც სხვა B; და ისევ CD; და ისევ ზღვა EFG; ისევ ზღვა => H კვლავ ომი HI.

ტექსტურ მოწმეთა ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დასადგენად, ძირითადად, ვეყრდნობით სწორებათა ანალიზს. თუ წყაროში სიტყვა გადახაზულია და მასთან მიწერილია ვარიანტული წაკითხვა, რომელიც მომდევნო ტექსტურ მოწმეში უცვლელად გადადის, მივიჩნევთ, რომ ამათგან ყველაზე ადრეულია ის, რომელშიც პირველად მოხდა ერთი წაკითხვის ჩანაცვლება მეორეთი, ხოლო ის ტექსტური მოწმეები, რომლებშიც ეს წაკითხვა პირდაპირ გადავიდა, უფრო გვიანდლებია. ქრონოლოგიის გასარკვევად ძალზე გამოვადგა იმაზე დაკვირვებაც, თუ რომელი წაკითხვა რომელი ფერის

მელნით, ან ფანქრით არის გადახაზული. მაგალითად, №862/2 ხელნაწერში ოთხგან გვაქვს შემთხვევა, როცა მელნისფრად შესრულებული ტექსტი გადახაზულია წითელი მელნით და ზემოდან მიწერილი აქვს ახალი სიტყვა წითლად, შემდეგ კი ეს წითელი გადახაზულია ლურჯი მელნით და ლურჯად აქვს მიწერილი ალტერნატიული წაკითხვა. შესაბამისად, ამ დოკუმენტში წითელი მელნით გაკეთებული სწორებები წინ უსწრებს ლურჯი მელნისას.

იგივე პრინციპი დაგვეხმარა №862/1 ხელნაწერში გაკეთებული სწორებების თანმიმდევრობის დადგენაშიც, რადგან ამ დოკუმენტზე გვიანდელი ავტორისეული ვარიანტი აღარ გვაქვს და იმის მიხედვით ვერ გადავამოწმებდით, პოეტმა რა იკითხვისები გადაიტანა მომდევნო წყაროში. წითელი მელნით ნაწერი ავტოგრაფი №862/1 ნასწორებია ლურჯი მელნითა და ლურჯი ფანქრით და ეს სწორებები არაერთგან კვეთს ერთმანეთს. მელანი თითქოს უფრო ზედა ფენაშია, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ფანქრით ნაწერი მელნისაზე უფრო ბაციანია, ვერ გამოვრიცხავდით, რომ ფანქრით მელნის ზემოდან ყოფილიყო ნაწერი და მელანი მაინც უფრო მკაფიოდ გამოჩენილიყო, გადაკვეთის ადგილებშიაც კი. მართლაც ასე აღმოჩნდა. გადახაზვებისა და ვარიანტული წაკითხვების კომპლექსურმა ანალიზმა მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ამ ხელნაწერში ფანქრით გაკეთებული სწორებები უფრო გვიანდელია. განვიხილოთ რამდენიმე ადგილი, რომლებიც ამ თანმიმდევრობაზე თვალნათლივ მიგვანიშნებს:

წითელი მელნით ნაწერი „მოჰფენია“ ლურჯი მელნით გადაკეთებულია მრავლობითის ფორმად „მოჰფენოდენ“. ლურჯი ფანქრით გადახაზულია „ვარსკვლავები“ და მის ნაცვლად წერია „სილაჟვარდე“. ამავე ფანქრით „მოჰფენია“-ში „მო“ შეცვლილია „და“ წინდებულთ. თავდაპირველად რომ ლურჯი ფანქრით გაკეთებულიყო სწორება და „ვარსკვლავები“ შეცვლილი ყოფილიყო „სილაჟვარდით“, ამ ქვემდებარესთან ზმნა-შემასმენელს მრავლობითი რიცხვის ფორმით (მოჰფენოდენ) არ ჩაწერდა ავტორი. ამიტომ უფრო სავარაუდოა, რომ ჯერ ლურჯი მელნით იყოს ნასწორები. რა თქმა უნდა, ლოგიკური იქნებოდა, რომ ლურჯი ფანქრით სწორებისას ავტორს „დაჰფენოდენ“-ის ნაცვლად აღედგინა მხოლობითის ფორმა „დაჰფენია“,

რაც არ არის გაკეთებული, მაგრამ, როგორც ხელნაწერებზე დაკვირვება გვიჩვენებს, ტექსტზე მუშაობისას გალაკტიონს შეჰქონდა ხოლმე მთავარი სწორებები და იოლად მისახვედრ წვრილმანებს ზოგჯერ ხელუხლებლად ტოვებდა.

წითელი მელნით ნაწერ ფრაზაში სიტყვა „სისავსეა“ ლურჯი მელნით არის გადახაზული და ზემოდან მიწერილი აქვს: „სივრცე იყო“, შემდეგ ლურჯი მელნით ნაწერი „იყო“ ლურჯი ფანქრით არის გადახაზული და გვერდით მიწერილი აქვს „არის“. შესაბამისად, ფრაზამ მიიღო სახე: „რა სივრცე არის“.

მესამე შემთხვევაში, ფრაზა „ამ უცნობ“ რაღაც ეტაპზე ჩანაცვლებულია სიტყვით „ომების“, შემდგომ ეტაპზე კი სიტყვით „ასეთი“. ლურჯი ფანქრით შეტანილი სწორება რომ უფრო ადრეული იყოს, მაშინ წითელი მელნით ნაწერი სიტყვები „ამ უცნობ“ გადახაზული იქნებოდა ლურჯი ფანქრით და არა ლურჯი მელნით. რეალურად კი ლურჯი ფანქრით გადახაზულია არა წითელი მელნით ნაწერი „ამ უცნობ“, არამედ მის ზემოთ ლურჯი მელნით მიწერილი „ომების“. საგულისხმოა კიდევ ერთი რამ: სიტყვის „შხამით“ შემდეგ წითელი მელნით ეწერა წერტილი. იგი ლურჯი მელნითაც არის დადასტურებული, მაგრამ ლურჯი ფანქრით ამას კიდევ ერთი წერტილი აქვს დამატებული ზემოთ და გადაკეთებულია ორწერტილად, რაც ჩასწორებულ ტექსტს კარგად მიესადაგება. ორი წერტილის შემდეგ განმარტებულია, რა იგულისხმება „ასეთ შხამში“ – „საუკუნით რომ ლალი ვიყო მტერი ერთ წამით / გამახსენდება და კვლავ ომი მომენატრება“.

ბუსტად ასეთივე ვითარებაა კიდევ ერთ ეპიზოდში. ფრაზაში: „ის ტკივილები ვერავისთვის გამიმხელია“ სიტყვები „ის ტკივილები“ გადახაზულია ლურჯი მელნით, ზემოდან მიწერილი აქვს „მეც ასეთი ვარ და“ და მარცვალთა რაოდენობის შესანარჩუნებლად სიტყვიდან „ვერავისთვის“ ამოღებულია „ა“ ხმოვანი (ვერვისთვის). ლურჯი ფანქრით აქვს გადახაზული არა თავდაპირველი, წითელი მელნით ნაწერი სიტყვები, არამედ ის სწორება, რომელიც შემოთავაზებული იყო ლურჯი მელნით: „მეც ასეთი ვარ“. ლურჯი ფანქრით სწორებისას ავტორი, მართალია, გადახაზავს ლურჯი მელნის იმ სწორებებს, რის სანაცვლოდაც ახალ წაკითხვებს გვთავაზობს, მაგრამ

ხელუხლებლად ტოვებს იმათ, რომლებიც ტექსტის ახალ ვერსიასაც სჭირდება. ასეთებია კავშირი „და“ და ნაცვალსახელი „ვერვისთვის“. ფრაზა საბოლოოდ იმართება ასე: „მეც ხმალი მინდა და ვერვისთვის გამიმხელია“.

შესაბამისად, ეს მაგალითიც იმაზე მეტყველებს, რომ №862/1 ხელნაწერში და, ზოგადად, ამ ლექსის ტექსტში, ყველაზე გვიან შეტანილი ცვლილებები განხორციელებულია ლურჯი ფანქრით.

ამ კუთხით განსაკუთრებით საინტერესოა ხელნაწერის ერთი ადგილი, სადაც პოეტმა ფრაზა „ისევ ზღვა“ ლურჯი მელნით გადახაზა და ჩაანაცვლა „კვლავ ომი“-თ, შემდეგ კი ლურჯი მელნით ნაწერი ეს სიტყვები ლურჯი ფანქრით გადახაზა და ამავე ფანქრით მიაწერა „აქ“. ვფიქრობთ, ეს იმაზე მიანიშნებს, რომ ამავე ფურცლის ქვედა მარჯვენა კუთხეში ლურჯი ფანქრით გაკეთებული ჩანაწერებით ავტორი ამ ადგილის შეცვლას ცდილობდა.

მსგავსი კვლევის საფუძველზე დადგინდა ლექსის სათაურის საბოლოო ვერსიაც. ამ ხელნაწერში ტექსტის ზემოთ თავდაპირველად ლურჯი მელნით მიწერილი იყო სამი ვარსკვლავი, რომლის ირგვლივაც ავტორს მართკუთხა პარალელებიპედი მიუხატავს, ბოლოს კი ზემოდან ლურჯი ფანქრით გადაუწერია „ასპინძა“.

D ტექსტურ მოწმეში ჩასწორებულია ერთადერთი ფრაზა: მაგრამ, ვაი, როგორ → უშენოდ ის [ოხ რა] და ამ ადგილას გვაქვს სწორების მხოლოდ ერთი ფენა. ამიტომ მისი ქრონოლოგიური მიმართება B და C მოწმეებთან გაგვიჭირდებოდა, რომ არა ერთი გარემოება. მართალია, ახალი ფრაზა „უშენოდ ის [ოხ რა]“ განსხვავებული, მოყავისფრო მელნით არის გაკეთებული, მაგრამ სიტყვები: „მაგრამ, ვაი, როგორ“ გადახაზულია ლურჯი მელნით. შესაბამისად, ამ წყაროში C ტექსტური მოწმე D-ზე უფრო ადრეულია.

მანქანაზე ნაბეჭდი ძირითადი ტექსტი F - №3315-16 უშუალოდ უნდა მოსდევდეს ხელნაწერის წითელი მელნით ნაწერ ტექსტს E - №862/1, მაგრამ მანქანაზე ნაბეჭდში ლურჯი მელნით შეტანილი ცვლილებები G - №3315-16 უფრო ადრეული უნდა იყოს, ვიდრე №862/1 ავტოგრაფის H და I შრეები.

მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტის თავდაპირველი ფენა, ორიოდ მექანიკურ შეცდომას თუ არ გავითვალისწინებთ, ზუსტად ემთხვევა №862/1 ხელნაწერის

სულ პირველი შრისას, რაც გვაფიქრებინებს, რომ მბეჭდავმა ამ წყაროთი ისარგებლა, მაგრამ ნაბეჭდი ტექსტის სწორებებთან დაკავშირებით ძალიან საინტერესო ვითარებაა. არც ერთი მათგანი არ არის გათვალისწინებული №862/1 ხელნაწერზე შემდგომი მუშაობისას. მათ შორის, არ არის გადატანილი არც სათაური.

სწორებათა ანალიზის შედეგად გვრჩება შთაბეჭდილება, რომ ისინი, შესაძლოა, რედაქტორის მითითებით იყოს გაკეთებული. ეს გვაფიქრებინა იმან, რომ ჩასწორებულ სიტყვებში ირეკლება მწერლის რაღაცით უკმაყოფილება. შესაძლოა, რედაქციისთვის მიუღებელი ყოფილიყო, რომ სიტყვებს: „ისეთი დღეა, გამარჯვებას რომ ეკადრება“ და „რა სისავესა, რა სილაღე“ მოსდევდა ხინჯის მომასწავებელი კავშირი „მაგრამ“. საგულისხმოა, რომ ნაბეჭდ ტექსტში ერთგან გადახაზულია სიტყვა „ტკივილები“, რომელიც ორჯერ მეორდებოდა. მომდევნო ფრაზაში: „ის ტკივილები“ კი გადახაზულია „ის“. ბუნებრივია, რომ, როცა ავტორი წინა სტროფიდან „ტკივილებს“ ამოიღებდა, მასთან დაკავშირებული ჩვენებითი ნაცვალსახელიც შესაცვლელი ექნებოდა. გალაკტიონმა, როგორც ჩანს, იმ ეტაპზე დააკმაყოფილა ეს მოთხოვნები და შეიტანა სწორებები: მაგრამ → შვებით; მაგრამ → ასე; ტკივილები → განშორება, ის → მით, მაგრამ არ შეხებია ასევე გადახაზულ სიტყვას „უკურნებლად“. როგორც ჩანს, ამ ლექსიკური ერთეულის შეცვლაზე მან ფიქრი გააგრძელა შემდგომ ეტაპზეც ხელნაწერ №862/1-ზე მუშაობისას. აქ წითელი მელნით ნაწერ ტექსტში ეს სიტყვა ლურჯად არის გადახაზული და იმავე ლურჯი მელნით ზემოდან ხელახლა აწერია იგივე სიტყვა – უკურნებლად. როგორც ჩანს, კვლავ ვერ შეეღია.

ნაბეჭდ ტექსტში გადახაზული სიტყვების ნაცვლად ჩაწერილი ალტერნატივები ნაჩქარევი ჩანს და შეიძლება იქვე, რედაქციაშიც კი, გაეკეთებინა ავტორს, რასაც ვერ ვიტყვით №862/1 ხელნაწერში შეტანილ სწორებებზე. აქ ამჟამად იკვეთება რთული შემოქმედებითი პროცესი, უამრავი სწორებით და დაუსრულებელი ტექსტით. მანქანაზე ნაბეჭდ ტექსტში შეტანილი სწორებების გაუთვალისწინებლობა წითელი მელნით ნაწერ ტექსტზე შემდგომი მუშაობისას (№862/1), როგორც აღვნიშნეთ, შეიძლება

განპირობებული ყოფილიყო იმით, რომ ეს რედაქტორის მითითებით იყო გაკეთებული და არა ავტორის სურვილით, მაგრამ ვერ გამოვრიცხავთ ვერც იმას, რომ მწერალს მეორე ავტოგრაფზე მუშაობა უბრალოდ ისეთ დროს გაეგრძელებინა, როცა მანქანაზე ნაბეჭდი ფურცლები ჯერ კიდევ რედაქციაში იყო და ამიტომ ვერ გაეთვალისწინებინა მასში შეტანილი ცვლილებები.

ტექსტის შემოქმედებითი ისტორიის კვლევისთვის ძალზე მნიშვნელოვანია პერიტექსტული და ეპიტექსტური კვლევები. პირველი გულისხმობს სათაურის, ქვესათაურის, წინათქმის, მიძღვნის ეპიგრაფის, ბოლოთქმისა და, ზოგადად, თხზულებასთან დაკავშირებული ისეთი ტექსტების კვლევას, რომლებიც არ არის მთავარი ტექსტის ნაწილი, მაგრამ გამოცემისას მასთან ერთად იბეჭდება ხოლმე, მეორე კი ითვალისწინებს იმ მასალის კვლევას, რომელიც გამოქვეყნებისას მთავარ ტექსტთან ერთად არ იბეჭდება, მაგრამ პირდაპირ კავშირშია მასთან. მაგ., განცხადება, რეკლამა, მიმოხილვა, ავტორის გამონათქვამები, მიმოწერა და ჩანაწერები მასთან და მის პუბლიკაციასთან დაკავშირებით და სხვ. ამ ტიპის მასალაში ხშირად არის ისეთი ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვანია შემოქმედებითი ისტორიის კვლევისათვის.

საკულისხმოა, რომ სამივე წყაროში სათაურები სწორებათა ბოლო ეტაპზე, ან მათი დასრულების შემდეგ არის მიწერილი. პირველ ხელნაწერში იგი სრულიად განსხვავებული ლურჯი ფანქრით არის წარმოდგენილი და ემყარება C ტექსტური მოწმის სწორებებს.

მანქანაზე გადაბეჭდილ წყაროში სათაური მიწერილი უნდა იყოს G ტექსტური მოწმის სწორებათა თანადროულად, რაზეც მიგვანიშნებს ერთნაირი მელანი და ტექსტსა და სათაურში გაჩენილი ერთი და იგივე სიტყვა – „განშორება“

მეორე ხელნაწერში სათაური მიწერილია იმავე ლურჯი ფანქრით, რომლითაც განხორციელებულია ტექსტის სწორებათა ყველაზე გვიანდელი ფენა. შესაბამისად, იგი I ტექსტური მოწმის თანადროულია.

განსახილველ ლექსთან დაკავშირებით, საინტერესო გამოდგა დაკვირვება წყაროებში ხელნაწერებთან მიწერილ ციფრებსა და ლექსის

შესახებ არქივში არსებულ ჩანაწერებზე. გალაკტიონის ავტოგრაფულ წყაროზე №862/2, რომელშიც ლექსის ყველაზე ადრეული მოწმეებია წარმოდგენილი, მიწერილია რამდენიმე არაბული ციფრი: სათაურის ზემოთ ლურჯი ფანქრით – „25“, ფურცლის მარჯვენა ზედა კუთხეში – წითელი ფანქრით დაწერილი და ლურჯი ფანქრით შემოხაზული „59“ და ფურცლის ქვედა მარჯვენა კუთხეში – მელნით მიწერილი და ამავე მელნით ირიბად ხაზგასმული „36“.

ამ ციფრების დანიშნულების გარკვევაში დიდი დახმარება გაგვიწია გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმის მიერ მომზადებულმა გალაკტიონის ციფრულმა არქივმა, რომელმაც საშუალება მოგვცა რამდენიმე დღეში გადაგვეთვალიერებინა თითოეული საარქივო ფურცელი, რასაც სხვა პირობებში თვეები დასჭირდებოდა. თავდაპირველად გავარკვიეთ წითელი ფანქრით მიწერილი და ლურჯი ფანქრით სამკუთხედში ჩასმული „59“-ის მნიშვნელობა. არქივში ასეთი სახით გაფორმებული ციფრები სხვა ხელნაწერებზეც შეგვხვდა. აღმოვაჩინეთ, რომ ეს ციფრები ემთხვევა იმ ნომრებს, რომლებიც ამავე ლექსებს აქვთ თხზულებათა მეცხრე ტომისთვის გალაკტიონის მიერ 1956 წლის 1 აგვისტოს შედგენილ ნუსხაში (დღიური 360, გვ. 11).

ამ დოკუმენტში 1956 წლის 12 აპრილით დათარიღებული ლექსი „ო, გაბაფხულო!“ 86 ნომრით არის და ლურჯ სამკუთხედში ჩასმული იგივე ნომერი აქვს ავტოგრაფში. ამავე ნუსხაში 43 ნომრით წარმოდგენილია 1956 წლის 20 მარტით დათარიღებული ლექსი „სადაც არ უნდა ვიქნეთ, მხოლოდ მშვიდობის წიგნით“ და მის ავტოგრაფზე მიწერილია ლურჯ სამკუთხედში ჩასმული წითელი 43. იმავე ნუსხაში 70 ნომრით შეტანილი ლექსის „მქუხარებენ მუხები“ ავტოგრაფს მიწერილი აქვს ლურჯ სამკუთხედში ჩასმული წითელი 70 და სხვ.

საინტერესო მინაწერს ვკითხულობთ ერთ-ერთ საარქივო ფურცელზე. აქ ასევე სამკუთხედში წერია: „1957 წელს, პარასკევს, 25 იანვარს IX ტომი გადაეცა სახელგამს“. ამ სახით გაფორმებულმა ჩანაწერმა ერთხელ კიდევ დაადასტურა ჩვენი ვარაუდი, რომ გალაკტიონს სამკუთხედში ჩასმული ციფრი მიზანდასახულად ჰქონდა შერჩეული IX ტომში შესატანი ლექსების

ერთგვარ მარკვრად, რომლითაც ძველი ხელნაწერების გადახედვისას უცებ გამოარჩევდა ამ ტომში შესატან მასალას.

ავტოგრაფების თვალყურებით მალე დავრწმუნდით, რომ, ჩვენი ხელნაწერის მსგავსად, სამკუთხედში ჩასმულის გარდა, დამატებითი ციფრები სხვა არტეფაქტებზეც არის აღბეჭდილი. მაგალითად, ლექსს „ნანგრევები“, სამკუთხედში ჩასმული 61-ის გარდა, ლურჯი ფანქრით მიწერილი აქვს „27“. როგორც გავარკვეით, ლექსი ამ ნომრით წარმოდგენილია ამავე მეცხრე ტომისთვის ცოტა უფრო ადრე, სავარაუდოდ, 1956 წლის 9 ივლისის შემდეგ შედგენილ ნუსხაში (დღიური 360, გვ. 3). თარიღის მითითებისას ვეყრდნობით ავტორის ჩანაწერს, რომლის მიხედვითაც, ამ ტომის შედგენა დაიწყო 9 ივლისს: „IX ტომი. დაწყებულია 1956 წ. 9 ივლისს“.

გადამოწმების შედეგად დავრწმუნდით, რომ ჩვენ მიერ განსახილველი ლექსის სათაურის ზემოთ ლურჯი ფანქრით მიწერილი „25“-ც ამავე ნუსხაში წარმოდგენილ მის ნომერს ემთხვევა (დღიური 360, გვ. 3).

ამ ლექსთან დაკავშირებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მესამე არაბული ციფრის „36“ ფუნქციის გარკვევა, რადგან ერთ-ერთ სამეცნიერო ნაშრომში (გაბოძე 2004: 273) იგი თარიღზე მინიშნებად მოიაზრებოდა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ციფრი მიწერილია ხელნაწერის ქვედა მარჯვენა კუთხეში ლურჯი მელნით და ირიბად ხაზგასმულია.

მსგავსად ხაზგასმულ ციფრებს არქივში მალე მივაკვლიეთ. მართალია, ბევრი მათგანი სხვადასხვა ფერის მელნით და ფანქრით იყო ნაწერი: სლმ, 1215, სლმ, 1224-1, სლმ, 1242, სლმ, 1608 და სხვა, მაგრამ აღმოჩნდა ზუსტად ასეთი ლურჯი მელნით ნაწერებიც: სლმ, 555, სლმ, 1210, სლმ, 1244-2, სლმ, 1247, სლმ, 1293, სლმ, 1250, სლმ, 1288, სლმ, 1297, სლმ, 1302 და სხვ.

გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა ხაზგასმულია ერთნიშნა და არა ორნიშნა ციფრი, რაც გამორიცხავს, რომ მასში წელი იგულისხმებოდეს. მაგ. იხ. ლექსების „ქალიშვილო, წიგნით...“ და „მოძღვნილი სულით და გულით...“ ავტოგრაფები (სლმ, 1287, სლმ, 1289).

არის ისეთი ავტოგრაფებიც, რომლებზეც, ამ ხაზგასმული ციფრების გარდა, იქვე, ტექსტის ბოლოში, მარცხენა მხარეს, როგორც გალაკტიონს

სჩვეოდა, ოთხნიშნა ციფრით მიწერილია წელიც. ლექსს „ჩემს გაჭირვებას...“ (სლმ, 1271) თარიღად აწერია 1909 წელი, ფურცლის მარჯვენა ქვედა კუთხეში კი არის ირიბად ხაზგასმული 15. ლექსს „სისხლის ღვარი ამდენი...“ (1608) თარიღად მიწერილი აქვს 1937, ხოლო ფურცლის მარჯვენა ქვედა კუთხეში წითელი ფანქრით წერია ირიბად ხაზგასმული 19. ლექსს „ყოველი დღე უნდა იყოს სიახლე“ თარიღად აწერია 1950 წელი, ფურცლის მარჯვენა ქვედა კუთხეში კი ლურჯი მელნით მიწერილია ხაზგასმული „25“.

ეს ირიბად ხაზგასმული ციფრები ხშირად ძირითადი ტექსტისგან განსხვავებული მელნით არის ნაწერი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ისინი ლექსზე მუშაობის პროცესისაგან დამოუკიდებლად, თხზულებათა ერთგვარი სისტემატიზაციის დროს არის მიწერილი. გალაკტიონს ჰქონდა სხვადასხვა დროს შექმნილი ძალიან ბევრი ლექსი, მათ შორის, უმეტესობა უსათაურო, ამგვარი ნუმერაციით კი მათ აღნუსხვასთან ერთად იდენტიფიცირებასაც ახდენდა. ამას ადასტურებს თაბახზე წითელი მელნით ნაწერი ლექსების დიდი კორპუსი, რომელშიც თითოეულ ტექსტს წერის პროცესშივე სათაურის ადგილას მიწერილი ჰქონდა მხოლოდ რიგითობის აღმნიშვნელი ციფრი. სწორედ ამ კორპუსიდან არის ამოღებული ჩვენ მიერ განსახილველი ლექსის მეორე ავტოგრაფი №862/1 და მას ნომრად აწერია იმავე წითელი მელნით შესრულებული „18 ა“. ლათინური ასოები a და b ციფრებთან ამ კორპუსის ზოგიერთ სხვა ფურცელზეც გვხვდება. ვფიქრობთ, ასეთ შემთხვევებში ავტორს შეშლია – ერთი ნომერი ორი სხვადასხვა ლექსისთვის მიუწერია და საერთო ნუმერაციიდან რომ არ ამოვარდნილიყო, დამატებით მიუწერია ლათინური ასოები.

ის ნუსხა, რომელშიც განსახილველი ლექსი 36-ე ნომრით იქნებოდა წარმოდგენილი და ამ ნუმარაციის მიხედვით გადაწერილი ტექსტები, სამწუხაროდ, შემორჩენილი არ არის, მაგრამ აშკარაა, რომ, როგორც ხაზგასმული, ისე წრეშემოვლებული ციფრები, ზემოთ განხილული სამკუთხედშემოვლებული და სათაურთან მიწერილი ციფრების მსგავსად, არის სისტემატიზაციის ნიშნები და არა თარიღები.

საინტერესოა პირველ ავტოგრაფზე ფურცლის ზედა მარცხენა კუთხეში

მიწერილი რომაული ციფრი II.

გალაკტიონის არქივში ასე ცალკე მდგომი რომაული ციფრები ტომის აღნიშვნას ემსახურება. მაგალითად, თაბახის ფურცლების შეკვრაში, რომელზეც წითელი მელნით გადაწერილი ლექსებია და სათაურების ნაცვლად, ძირითადად, შემოხაზული ნომრები აწერია, არაერთგან ვხვდებით ასე განმარტოებით მდგარ რომაულ ციფრებს. ისინი გვხვდება სხვადასხვა დროს სხვადასხვა მელნით ნაწერ ავტოგრაფებზეც.

ძალიან ყურადსაღებია, რომ ამ რომაული ციფრების დიდი ნაწილი სხვა ფერის მელნით არის ხოლმე გადახაზული. თუ ეს იმ ტომის ნომრებია, რომლებშიც გალაკტიონი ამ ლექსების შეტანას აპირებდა, და, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გამომცემლობა პოეტის მიერ წარდგენილი ლექსების დიდ ნაწილს არ ბეჭდავდა, სავსებით ბუნებრივია, რომ ასეთ ლექსებთან მიწერილი რომაული ციფრები პოეტს გადაეხაზა და ზოგჯერ, მოგვიანებით, ახალი, მზარდი ნომერი მიეწერა, ანუ გადაეწყვიტა ლექსის გადამუშავება და რომელიმე მომდევნო ტომში შეტანა.

ლექსები „დღეს ჩვენს ზღვაზე...“, „ნაკადულო...“ და „ოცნების მდიდარ ბაღში...“ რომლებსაც მიწერილი და შემდეგ გადახაზული აქვს რომაული ციფრი IV, ავტორის მიერ ჩაწერილია „IV ტომში არშეტანილი ლექსების“ ნუსხაში (დღიური 188). ეს ადასტურებს ჩვენს ვარაუდს, რომ რომაული ციფრებით ავტორი ინიშნავდა, თუ რომელ ტომში აპირებდა ლექსის შეტანას.

ამის საფუძველზე ნათელი ეფინება რამდენიმე საკითხს:

ა) რამდენადაც ჩვენ მიერ განსახილველი ლექსის პირველ ავტოგრაფს რომაული ციფრი II მიწერილი აქვს იმავე მელნით, რომლითაც მასში შეტანილია C ტექსტური მოწმის სწორებები, ეს ცვლილებებიც და მეორე ტომის აღმნიშვნელი რომაული ციფრის მიწერაც უნდა მომხდარიყო II ტომის გამომცემლობისთვის გადაცემამდე, 1934 წლის 20 ნოემბრამდე.

ბ) რამდენადაც თაბახის ფურცლებზე წითელი მელნით გადაწერილი ლექსების დასტაში, სადაც თითოეული ტექსტი წარმოდგენილია სათაურის ნაცვლად მიწერილი წრეში ჩახაზული არაბული ციფრით, რამდენიმე ლექსს რომაული ციფრებით მიწერილი აქვს II, ეს კორპუსი გადაწერილი უნდა

იყოს გალაკტიონ ტაბიძის თხზულებათა მეორე ტომის გამომცემლობისთვის გადაცემამდე. რამდენადაც ამ კორპუსში შედის ჩვენ მიერ განსახილველი ლექსის მეორე წყარო (ხელნაწერი №862/1), მისი პირველი შრეც 1934 წლის 20 ნოემბრამდე უნდა ყოფილიყო გადაწერილი.

გ) რამდენადაც ხელნაწერ №862/1-ის პირველი შრე უსათაუროა, ჩანს, რომ მეორე ტომის მზადების პერიოდში მას სათაური ჯერ კიდევ არ ჰქონია, ანუ პირველ ხელნაწერზე ლურჯი ფანქრით მიწერილი სათაური უფრო გვიანდელია. ამას ადასტურებს ისიც, რომ 1946 წლის 16 ივლისის ნუსხაში წარწერით: „თითქმის მზა მასალები“ (დღიური 174) ლექსი წარმოდგენილია ინციპიტით (საწყისი სიტყვებით): „121. თვით ცხარე ომში გული მხოლოდ...“.

დ) სათაურით „გამახსენდები და ისე“ ლექსი პირველად მოხსენიებულია 1947 წლის დღიურში (188) 19 და 26 ივნისის ჩანაწერებს შორის „IV ტომში არშეტანილი ლექსები“-ს ნუსხაში: „50. გამახსენდები და ისე - 116“. შესაბამისად, პირველი სათაური ტექსტს მიეცა 1946 წლის 16 ივლისიდან 1947 წლის 26 ივნისამდე.

ე) 1947 წლის ივნისის ჩანაწერი ჩვენთვის კიდევ ერთი დეტალით არის მნიშვნელოვანი. მის გასწვრივ წერია არაბული ციფრი 116. სწორედ 115-116 გვერდებზეა ეს ლექსი მესამე ხელნაწერ წყაროში – მანქანაზე გადაბეჭდილ მასალებში. აქედან შეიძლება კიდევ ორი საინტერესო დასკვნის გამოტანა: მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტი 1947 წლის ივნისზე ადრეულია და, რამდენადაც ნუსხაში ლექსი ძველი სათაურით არის და არა ახლით, ამ ტექსტზე სათაური „ელეგია განშორებისა“ იმ დროს მიწერილი არ უნდა ყოფილიყო.

იმ ფაქტს, რომ მეცხრე ტომის მზადების პირველ ეტაპზე გალაკტიონს ხელთ ლექსის პირველი ავტოგრაფი ჰქონდა, მოწმობს მასზე მიწერილი ციფრები „25“ და „59“, რომლებიც, როგორც დავადგინეთ, ამ ტომს უკავშირდება. იმ ეტაპზე რომ პოეტს სხვა ხელნაწერებზეც ჰქონოდა ნამუშევარი, ამ ავტოგრაფს არ მონიშნავდა ტომში შესატანად. შესაბამისად, წითელი მელნით გადაწერილი ავტოგრაფი და მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტი იმ დროს არც დასათაურებულები უნდა ყოფილიყო და არც ნასწორები. ეს ყველაფერი 1956 წლის 1 აგვისტოს შემდეგდროინდელია.

მართალია, ჩვენამდე მოღწეულია განსახილველი ლექსის მხოლოდ სამი წყარო, მაგრამ ეს ტექსტი ნახსენებია საარქივო ჩანაწერებშიც. მათგან ვიგებთ, რომ გალაკტიონი მის დაბეჭდვას ცდილობდა თხზულებათა IV ტომშიც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1947 წლის საარქივო ჩანაწერებში (დღიური 188) იგი მოხსენიებულია „მე-IV ტ-ში არშეტანილი ლექსები“-ს ნუსხაში, სათაურით „გამახსენდები და ისე“. საარქივო მასალებიდანვე ვიგებთ, რომ ამ ტომზე მუშაობა მწერალს 1939 წელს დაუწყია. ამ პერიოდის ერთ-ერთ დღიურში (422) ვკითხულობთ: „მასალები მე-IV ტომისათვის“ და „სუ დასამუშავებელი მასალები მე-IV ტომისათვის“. 1940 წელს (დღიური 137) მწერალს უკვე განსაზღვრული ჰქონდა რომ მე-4 ტომი მოცულობით იქნებოდა 20 ფორმა, სულ 12.000 სტრიქონი, 1941 წლის ჩანაწერიდან (დღიური 144) კი ვიგებთ, რომ „ტომის გამოცემა გეგმაში არ შეიტანეს“.

მე-4 ტომი გამოვიდა 1947 წელს. 1 ივლისს გალაკტიონი დღიურში იწერს: „ორ-სამ დღეში მზად იქნება ჩემი IV ტომი“, მაგრამ 1948 წლის ჩანაწერი (დღიური 201) გვამცნობს, რომ ამ ტომიდან ამოულიათ მისი 92 ლექსი („IV ტომში შეტანილი არაა 92 ლექსი, აფხაზეთის წიგნში – 70“), მათ შორის ჩვენ მიერ განსახილველიც. 1950 წლის ჩანაწერიდან (დღიური 590-5) კი ირკვევა, რომ მე-4 ტომიდან დარჩენილი მასალის შეტანას პოეტი გეგმავდა მე-5 ტომში: „შედარებული იქნას „ზღვა ახმაურდა“ და IV ტომი. რაც ამ წიგნებში შეტანილი არაა – გადაირჩეს, მანქანაზე გადაიბეჭდოს V ტომში შესატანად“.

1951 წლის დეკემბრის ჩანაწერში (დღიური 261) ვკითხულობთ: „IX ტომის დაწყება. თანაბრად V ტომისა“. რამდენადაც თხზულებათა მე-6 ტომიდან უკვე სხვა ჟანრის ნაწარმოებების ბეჭდვა იგეგმებოდა, როგორც ჩანს, მწერალს გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ გამოუქვეყნებლად დარჩენილი ლექსები, მე-5 ტომის გარდა, მე-9 ტომშიც გადაენაწილებინა. 1952 წელს გამოვიდა მეხუთე ტომი, მაგრამ ჩვენ მიერ განსახილველი ლექსი არც მასში შესულა. ამ პერიოდის შემდეგდროინდელ ჩანაწერებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლექსის სათაური გვხვდება მე-9 ტომისთვის შედგენილ ნუსხებში, მაგრამ ამ ტომის გამოცემა პოეტმა ვერ მოასწრო.

რამდენადაც ჩვენ ხელთ არ გვაქვს გამომცემლობისთვის გალაკტიონის

მიერ გადაცემული ტომი, ვერ ვიტყვით, მან საბოლოოდ დატოვა თუ არა მასში ეს ლექსი და, თუ დატოვა, სათაური შეუცვალა თუ არა. ამიტომ მხოლოდ ვარაუდები შეგვიძლია გამოვთქვათ. რაკი ცნობილია, რომ გალაკტიონმა მე-9 ტომის მასალა, და არა მხოლოდ ლექსების ჩამონათვალი, გამომცემლობას გადასცა 1957 წლის 25 იანვარს და, რაკი ეს ლექსი 1956 წლის 1 აგვისტოს ჩათვლით, მე-9 ტომის ყველა ნუსხაში არის შეტანილი, ვფიქრობთ, მოვლენები სხვადასხვაგვარად შეიძლება განვითარებულიყო:

ა) რამდენადაც ტექსტის წითელი მელნიტ ნაწერი წყარო (862/1) ადასტურებს, რომ გალაკტიონს ამ ტექსტზე მუშაობა 1956 წლის 1 აგვისტოს შემდეგაც გაუგრძელებია, მაგრამ არ დაუსრულებია, მას შეიძლება გადაეწვიტა, რომ იგი ტომში აღარ შეეტანა.

ბ) მეორე მხრივ, ვერ გამოვრიცხავთ ვერც იმას, რომ პოეტს ლექსზე მუშაობა სხვა ფურცელზე გაეგრძელებინა, დაესრულებინა და გამომცემლობისთვის გადაეცა. ამ მხრივ ძალზე საყურადღებოა სწორედ 1956 წლის 1 აგვისტოს ჩანაწერი, სადაც მეცხრე ტომში შესატან ამ ლექსთან მინიშნებულია, რომ ის გადასაწერია: „გამახსენდები და ისევ ზღვა მომენატრება. გადასაწერია“.

ლექსის მეორე ავტორგრაფში იმავე ლურჯი მელნიტ, რომლითაც ჩასწორებულია საწყისი სიტყვები და რეფრენი (თვით ცხარე ომში → ისეთი დღეა; გამახსენდები და ისევ ზღვა → რაღაც შემაკართობს და კვლავ ომი), მიწერილია „ასპინძა 1948“. რამდენადაც ეს ლექსი 1946 და 1947 წლის ჩანაწერებში უკვე იხსენიება, 1948 შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ მისი გადამუშავების თარიღი, მაგრამ იმდენად, რამდენადაც 1956 წლის 25 ივლისისა და 1 აგვისტოს ჩანაწერებშიც კი ლექსი ძველი ინციპიტით და სათაურით არის მოხსენიებული: „თვით ცხარე ომში... („გამახსენდები და ისევ ზღვა მომენატრება“)“ „გამახსენდები და ისევ ზღვა მომენატრება“, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს სწორებები 1956 წლის ამ თარიღებზე ადრინდელი ვერ იქნება. ძველი სათაური პირდაპირ კავშირში იყო ლექსის რეფრენტან და ეს რეფრენი რომ 1 აგვისტომდე შეცვლილიყო, ავტორი გამოსაცემი ტომის ნუსხაში ისევ ძველ სათაურს არ შეიტანდა. შესაბამისად, 1948 ვერც ლექსის დაწერის

თარიღი იქნება და ვერც რედაქტირების ამ ეტაპისა. იგივე შეიძლება ითქვას თარიღზე – „1952“ წელი, რომელიც 1956 წლის 25 ივლისის ნუსხაში (დღიური 363) ამ ლექსთან არის მიწერილი: „თვით ცხარე ომში... („გამახსენდები და ისევ ზღვა მომენატრება“) – 1952“. შესაბამისად, ვფიქრობთ, რომ ავტორს ორივე თარიღი ზეპირად აქვს მიწერილი.

ზემოთ მოვიხმეთ ერთი არგუმენტი, რომლის მიხედვითაც, ლექსის პირველი ვარიანტი 1934 წლის 20 ნოემბრამდე უნდა იყოს დაწერილი, მაგრამ დათარიღებასთან დაკავშირებით მსგავსი არგუმენტი ყოველთვის საჭიროებს გადამოწმებას და გამყარებას. რამდენადაც ხელთ არ გვაქვს არც მე-2 ტომში შესატანად გალაკტიონის მიერ მომზადებული ტექსტების კორპუსი, ან მათი ნუსხა, კვლევის ერთადერთ საშუალებად დავგვჩნა თავად ავტოგრაფი.

უთარილო ტექსტის კვლევისას დიდი ყურადღება ექცევა ავტორის ხელწერას, საწერ მასალას და ტექსტის გაფორმების დამახასიათებელ ნიშნებს. ამ მხრივ, ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმან, რომ პირველ წყაროში ლექსის სტროფები ერთმანეთისაგან გამოყოფილია სამ-სამი ვარსკვლავით. რამდენადაც ასეთი რამ სხვა ავტოგრაფებში შემჩნეული არ გვქონდა, გადავწყვიტეთ, გადაგვეთვალერებინა მწერლის არქივი და გავგვრკვია, ხომ არ ახასიათებდა გალაკტიონს სტროფების ერთმანეთისგან ამგვარი გამოყოფა მოღვაწეობის რომელიმე კონკრეტულ ეტაპზე. ციფრული არქივის გამოყენებით, მართლაც, მივაკვლიეთ, რომ ასეთი რამ (ტექსტის ნაწილების ერთმანეთისგან გამოყოფა სამი ვარსკვლავით) გვხვდება 1930–1932 წლების საერთო რვეულის ჩანაწერებში (დღიური 53). მათ შორის არის როგორც ლექსი, ასევე სხვა ტიპის მასალა.

საკულისხმოა, რომ ამ ასგვერდიანი რვეულის უმეტესი ნაწილი (67 გვერდი) ისევე იისფერი მელნით არის ნაწერი, როგორც ჩვენ მიერ განსახილველი ლექსის პირველი ავტოგრაფი, რაც მიგვანიშნებს, რომ 1930–1932 წლებში გალაკტიონი, ძირითადად, ამ ფერის მელანს იყენებდა. აქა-იქ დღიურები ნაწერია ფანქრითაც, მაგრამ ასეთი დიდი მოცულობის დოკუმენტში განსხვავებული (წითელი) მელნით სულ ორი პატარა მინაწერია გაკეთებული: ერთი – დღიურის დასაწყისში, მეორე კი შუა რვეულის თავისუფალ გვერდზე.

გარდა ამისა, მონიშნულია გარკვეული ადგილები იისფერი მელნით ნაწერ ტექსტში, რაც მიგვანიშნებს, რომ წითელი მელნით გაკეთებული ჩანაწერები გვიანდელი უნდა იყოს.

საყურადღებოა კიდევ ერთი რამ. ამავე დღიურში საკმაოდ ვრცელი ჩანაწერია ახალციხის რაიონის შესახებ და არის ასევე შენიშვნა, რომელიც პოეტის ახალციხეში მოგზაურობის გეგმაზე მიგვანიშნებს. გალაკტიონი წერს: „მოგზაურობა შეიძლება დაიწყოთ აპრილიდან (IV, V, VI, VII, VIII, IX). 1. თუშეთი, 2. ფშავეთი, 3. ხევსურეთი, 4. რაჭა, 5. ლეჩხუმი, 6. სვანეთი, 7. ახალციხის მხარე (სამცხე-საათაბაგო)“. რამდენადაც ეს შენიშვნა არის 1931 წლის ნოემბრისა და 1932 წლის 26 იანვრის ჩანაწერებს შორის, ახალციხეში გალაკტიონი, სავარაუდოდ, 1932 წელს უნდა ჩასულიყო. თუ ზემოხსენებულ არგუმენტს ამ დაკვირვების შედეგსაც დავუმატებთ, ვარაუდის დონეზე მაინც შეიძლება ითქვას, რომ ლექსის პირველი ვარიანტი 1930-1932 წლებშია დაწერილი.

ამრიგად, ტექსტოლოგიური კვლევის შედეგად ხელნაწერი წყაროებიდან გამოიკვეთა 9 ტექსტური მოწმე და თითოეულის სავარაუდო თარიღი:

A - 1930-1932 წლები;

B - არა უადრეს 1930-1932 წლებისა;

C, D — 1934 წლის 20 ნოემბრამდე;

E - 1934 წლის 20 ნოემბრამდე;

F - 1947 წლის 26 ივნისამდე;

პირველი სათაური - 1947 წლის 26 ივნისამდე;

G და მეორე სათაური - 1956 წლის 1 აგვისტოს შემდეგ;

H, I და მესამე სათაური - 1956 წლის 1 აგვისტოს შემდეგ.

ნაბეჭდები

ნაბეჭდი წყაროები იყოფა სიცოცხლისდროინდელად და გარდაცვალების შემდეგდროინდელად. მათი მნიშვნელობა განისაზღვრება იმის მიხედვით, მონაწილეობდა ავტორი პუბლიკაციის მომზადებაში თუ არა. ბეჭდურ წყაროში შეიძლება რაიმე ცვლილებები ჰქონდეს შეტანილი რედაქტორს, კორექტორს, ცენზორს. ტექსტი შეიძლება დამახინჯდეს აკრეფის, კორექტურის, ბეჭდვის, აკინძვის დროს.

ხელნაწერისგან განსხვავებით, გამოქვეყნებული ტექსტის ტირაჟი მონოგენურია, ერთმანეთის იდენტური. შესაბამისად, ერთმა მათგანმაც რომ მოაღწიოს ჩვენამდე, წარმოდგენა გვექნება მთელ გამოცემაზე, რამდენიმე ეგზემპლარის მოღწევის შემთხვევაში კი, შეგვიძლია ერთის დაზიანებული ადგილების ამოსაკითხად გამოვიყენოთ სხვა.

გამოქვეყნებისას ტექსტში შეიძლება გაჩნდეს სხვადასხვა სახის ცვლილება, რადგან ტრანსმისიის ეს სახე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გულისხმობს არაერთი პირის მონაწილეობას. ესენი არიან ასოთამწეობი, რედაქტორი, ან სარედაქციო საბჭო, ცენზორი და სხვ. თითოეულმა მათგანმა შეიძლება სერიოზული კვალი დააჩნიოს ტექსტს.

ბიბლიოთეკების საცავები და კატალოგები

დღესდღეობით ინფორმაციის მოძიება ბეჭდური გამოცემების შესახებ მნიშვნელოვნად გაიოლებულია ელექტრონული კატალოგების დახმარებით. ის ინფორმაცია, რომლის მიგნებასაც უამრავი საკატალოგო ბარათის გადათვალიერება სჭირდებოდა, საკუთარი პერსონალური კომპიუტერიდან ორიოდ წუთში შეგვიძლია მოვიპოვოთ.

ქართველ მწერალთა თხზულებების პირველადი წყაროების მისამართების მოპოვებაში დიდ დახმარებას გვიწევს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის, პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის და იოსებ

გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის კატალოგები, ხოლო წყაროების გაცნობა-შესწავლაში გვეხმარება მათი საცავები.

უცხოური გამოცემებისა და წიგნების ელექტრონული ვერსიების გაცნობა ყველაზე მეტად მოსახერხებელია საერთაშორისო ბიბლიოთეკათაშორისი ინფორმაციის გაცვლის პროგრამების დახმარებით.

პუბლიკაციების სანდოობის საკითხი

ამა თუ იმ მწერლის აღიარება დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ავთენტური სახით მიეწოდება მისი თხზულებები მკითხველს. ქართველ მეცნიერებს სულ უკვირდათ, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური გენია სათანადოდ მხოლოდ მე-19 საუკუნის 60-იან წლებში დაფასდა. ვისაც მხედველობიდან გამორჩა, რომ მისი თხზულებები 1852 წლიდან ქვეყნდებოდა ჟურნალ „ცისკარში“, ფიქრობდა, რომ მკითხველი არ იცნობდა მის ნაწერებს, მაგრამ ტექსტოლოგიური კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ამის მიზეზი იყო არა მისი თხზულებების გამოუქვეყნებლობა, არამედ ძალზე სერიოზული ხარვეზებით გამოქვეყნება.

1852 წელს გიორგი ერისთავმა ახლად დაარსებულ ჟურნალ „ცისკარში“ გამოაქვეყნა პოეტის ოთხი ლექსი, 1858 წელს განახლებულ „ცისკარში“ ივანე კერესელიძემ დაბეჭდა პოეტის სამი ლექსი და პოემა „ბედი ქართლისა“. მიუხედავად ამისა, 1860 წლის ივნისში, როდესაც ილია ჭავჭავაძემ ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის ოჯახში ნახა ბარათაშვილის ხელნაწერი რვეულები, ისეთი გაოგნებული და აღფრთოვანებული დარჩა, თითქოს ამ პოეტს საერთოდ არ იცნობდა და ეს ემოცია ლექსში ასე გამოხატა: „როს წარვიკითხე მისი ლექსები / ვერარა ვსთქვი რა განცვიფრებულმა!..“ ილია ჭავჭავაძის მეგობარი კობია აფხაზი ამ აღფრთოვანების მიზეზად სახელდებით ასახელებს ლექსს „ჩემს მერანს“ და პოემას „ბედი ქართლისა“.

როგორც აღვნიშნეთ, „ბედი ქართლისა“ 1858 წელს უკვე გამოქვეყნებული იყო ჟურნალ „ცისკარში“. ამ ერთადერთი ქართული ჟურნალის გამოსვლა იმდენად დიდი მოვლენა იყო, რომ არათუ მწერლები და

ლიტერატურით დაინტერესებული პირები, ნებისმიერი წიგნიერი ქართველი ეცნობოდა ხოლმე მას და წარმოუდგენელია, რომ ილია ჭავჭავაძეს, რომელიც პეტერბურგში ყოფნისასაც კითხულობდა ამ ჟურნალს, 1859 წელს საქართველოში რამდენიმე თვით ჩამოსვლის დროს მაინც არ ენახა მასში ბარათაშვილის პოემა. სიტუაციაში გასარკვევად საჭიროდ მივიჩნიეთ, შეგვესწავლა ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებათა ჟურნალ „ცისკრისეული“ ზემოხსენებული პუბლიკაციები.

„ცისკარში“ გამოქვეყნებული შვიდი ლექსის: „ბულბული ვარდზედ“, „ჩემი ლოცუა“, „ქალი“ („რად ჰყვედრი კაცსა...“), „...სულო ბოროტო“, „ლაშქრობა ქართველთა კავკასზე“, „გალობა სიტურფისა“ (შევიშრობ ცრემლსა...“) და „ჩვილი“ და პოემის „ბედი ქართლისა“ შედარებამ ავტოგრაფულ წყაროებთან გამოავლინა ძალიან ბევრი ისეთი წაკითხვა, რომელიც არც ერთ ხელნაწერში არ გვხვდება. „ცისკრის“ რედაქტორი ივანე კერესელიძე ცნობილი რომ ყოფილიყო გამოსაცემი ტექსტებისადმი კორექტული დამოკიდებულებით, შეიძლება ამის საფუძველზე გვეფიქრა, რომ თითოეული ტექსტის გამოქვეყნებისას მას ხელთ ჩვენთვის უცნობი წყაროები ჰქონდა, რომლებშიც სწორედ ისეთი წაკითხვები იყო, როგორიც „ცისკარში“ გამოქვეყნდა, მაგრამ ივანე კერესელიძე ცნობილი იყო სხვათა ტექსტებისადმი ზედმეტად თავისუფალი მიდგომით. მას შეეძლო შეეცვალა არა მხოლოდ ორთოგრაფია და ლექსიკა, არამედ ლექსის იდეური მხარეც კი. ზემოხსენებული რვა ტექსტის ავტოგრაფებისა და „ცისკრისეული“ პუბლიკაციების შედარებით შემდეგი სურათი მივიღეთ:

პოემიდან „ბედი ქართლისა“ ცენზურას სხვადასხვა ადგილიდან ამოღებული აქვს 59 ტაეპი და მათ ნაცვლად ჩასმულია მრავალწერტილები. ეს არის, ძირითადად, სოლომონ მსაჯულისა და მისი ცოლის, სოფიოს, სიტყვები. თხზულებაში წაშლილია ყოველგვარი პოლემიკისა და მეფის გადაწყვეტილების სისწორეში დაეჭვების კვალი. ამის გამო, ფაქტობრივად, არ არსებობს სიუჟეტური კვანძი, დაკარგულია მთელი დრამატიზმი და იდეური ჩანაფიქრი. ორგან გაბმული ტექსტიდან პირდაპირ არის ამოღებული სიტყვა „თავისუფლება“, რაც ამრს დაუსრულებელს და გაუგებარს ხდის. გარდა

ეროვნულ-პატრიოტულისა, ტექსტში ზოგიერთი ადგილი შეცვლილი, ან ამოღებულია რელიგიური ცენზურის გამოც. მაგალითად, მრავალწერტილით არის ჩანაცვლებული ვრცელი ეპიზოდი, რომელშიც ავტორის გარკვეული უკმაყოფილება ჩანს იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ ღვთის ნებით ერთი ადამიანი, მეფე, კამათლის გაგორებასავით მარტივად წყვეტს მთელი ერის ბედს და მის სიტყვას ემორჩილებიან ყველანი სულელნიც და ბრძენიც. გარდა ამისა, როგორც ჩანს, ცენზურამ, ან რედაქტორმა პოემის ფრაზის: „ჰი, ღმერთო, ღმერთო, ამაზედ მეტად / ნულარ განჰსწირავ ქართველთა ტანჯვად“ აზრი, მცირედმორწმუნეობად, ან მკრეხელობად მიიჩნიეს და შეცვალეს ასე: „ჰი ღმერთო! ვმადლობ შენს სამართალსა, / ჰგავს ღირსად შევხვდი ამა სასჯელსა“.

გარდა იმისა, რომ პოემიდან საცენზურო კომიტეტის თუ ჟურნალის თვითცენზურის მიზებით ამოღებულია უმნიშვნელოვანესი ნაწილი, ამ თხზულებაშიც და „ცისკარში“ დაბეჭდილ ბარათაშვილისეულ ლექსებშიც ბევრია რედაქტორის ჩარევით და ასოთამწყობის მიერ დაშვებული შეცდომით გამოწვეული ცვლილებებიც. ჩვენ ისინი კატეგორიულად დავყავით.

ცვლილებებია სიტყვათა მართლწერაში: ასოთშეერთება „ვე“-ს ნაცვლად ჩასმულია „უწ“, „ვ“-ს ნაცვლად – „უ“ და „ხ“-ს ნაცვლად – „ვ“, ზმნებიდან ამოღებულია მესამე თბიეჭტური პირის ნიშანი „ჰ“ და სხვ. მთლიანობაში, ბარათაშვილის 1852 და 1858 წლებში გამოქვეყნებულ მ ტექსტში გვაქვს ასამდე ასეთი ცვლილება.

ტექსტში შეტანილი ამა თუ იმ სახის ცვლილებით გამოწვეულია აზრის შეცვლა, ან გაბუნდოვანება: იმის გამო, რომ ტექსტში „ლამქრობა ქართველთა კავკასზე“, ავტოგრაფებისაგან განსხვავებით, აღარ არის დაკონკრეტებული, რომელ ბრძოლას და მებრძოლებს ეძღვნება იგი, ლექსის ბოლოს მეორე პირისადმი მიმართვა – „გიკურთხებენ“, რომელშიც ამ ბრძოლის მონაწილეები და მეთაური იგულისხმებოდა, გადატანილია პირველი პირის მრავლობითში და განზოგადებულია „გიკურთხებენ“. ამავე ტექსტში სიტყვის „სომხითი“, რომელიც გულისხმობს საქართველოს გარკვეულ ტერიტორიას, ნაცვლად წერია „სომხეთი“, საქართველოს მოსაზღვრე

ქვეყნის სახელი, რაც, ბუნებრივია, ამრს ცვლის. ლექსში „სულო ბოროტო“ და პოემაში „ბედი ქართლისა“ სიტყვის „მახვრალი“ (ნაღვლიანი) ნაცვლად წერია „მაშვრალი“ (დაღლილი). ლექსში „რად ჰყვედრი კაცსა“ ფრაზაში „გრძნობა, ესთ სანუკველი“, სადაც „ესთ“ ნიშნავს „ესრეთ“, ესოდენ“, „ცისკარში“ წერია „ერთ“, რაც ამრს გაურკვეველს ხდის. ლექსში „გალობა სიტურფისა“ რადიკალურ ამრობრივ ცვლილებას იწვევს ფრაზის „ვით არ ვადიდო“ შეცვლა წაკითხვით „ვითარ ვადიდო“, ასევე „ნიჭნი“ –ს შეცვლა ამ სიტყვის მხოლობითის ფორმით – „ნიჭი“, რადგან საუბარია ღვთიურ ნიჭებზე – უფლის ტალანტებზე. ლექსში „ჩემს მერანს“ ტაეპში „მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა, ვამცნო გულისა მე საიდუმლო!“ ნაცვლად „გულისა“ წერია „სულისა“, რითაც სათქმელი სხვაგვარ ინტერპრეტაციას იღებს. აქვე სხვა ტაეპში „და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!“ სიტყვის „ჰუნე“ (ცხენი, რაში) ნაცვლად წერია „ღონე“, რაც არც კონტექსტს შეეფერება და ამრსაც აბსოლუტურად აბუნდოვანებს.

პოემაში „ბედი ქართლისა“ ქართლის იმჟამინდელ „ყოფა-ცხოვრება“ – ბე საუბრისას ეს სიტყვა შეცვლილია „კეთილ ცხოვრებით“, მეფის „გულის წადილზე“ საუბრისას ეს სიტყვა შეცვლილია „სულის წადილით“. იქ, სადაც ნახსენებია რუსებთან „მტკიცე კავშირი – სარწმუნოება“, ავტოგრაფში ეს ორი სიტყვა ერთმანეთისგან ტირით არის გამოყოფილი, რაც მიუთითებს, რომ ეს კავშირი სწორედ სარწმუნოებასთან არის ასოცირებული, „ცისკარში“ კი ეს ორი სიტყვა ერთმანეთისგან მძიმით არის გამოყოფილი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ერთობის საფუძველი ცალკე მტკიცე კავშირია და ცალკე სარწმუნოება. ფრაზები, სადაც ავტორი ქართველებს მეორე პირში მიმართავს, „ცისკარში“ გადატანილია პირველი პირის მრავლობითში: გაქვთ] გუჟქუს, გააგონებ] გაგვაგონებ და სხვ.

ლექსში „ბულბული ვარდზედ“ პუნქტუაციის შეცვლით აბსურდული რამ იკითხება: ფრაზაში „გალობა ჰყვეს ჰაერში, განაღვიძეს ბულბული“ ავტოგრაფებში მძიმე არის სიტყვის „ჰაერში“ შემდეგ, ცისკარში კი გადატანილია სიტყვის „ჰყვეს“ შემდეგ. რის შედეგადაც გამოდის ასე: „ჰაერში განაღვიძეს ბულბული“, თითქოს ბულბული მძინარე დაფრინავდა. პოემაში

„ბედი ქართლისა“ ფრაზაში „ვით კაცსა ლიტონს“ სიტყვა „კაცსა“ შეცვლილია სიტყვით „ბატონს“, რითაც ფრაზა „ლიტონი კაცი“ დაკარგულია და აზრი გაბუნდოვანებულია. ერეკლე მეფეზე საუბრისას ფრაზაში „ქართველებისთვის ესთ თანამკვდარი“ ბოლო ორი სიტყვა შეცვლილია ასე – „ერთთანა მკვდარი“, რითაც აზრი დაკარგულია. ფრაზა „დუმილი ჰსუფევს“ შეცვლილია უაზრო ფრაზით „დუმილსა ჰხედავს“, იქ, სადაც საუბარია, რომ ალა-მაჰმად-ხანი ქალაქს დასჯერდა და „სხვით არ აღივსო მან საწყაული“, ბოლო სიტყვის ნაცვლად „ცისკარში“ „სასწაული“ წერია, რაც აზრის გაბუნდოვანებას იწვევს.

„ცისკრისეულ“ ზოგიერთ პუბლიკაციაში ხელნაწერის არასწორად ამოკითხვის, თუ ტექსტის აწყობისას დაშვებული შეცდომის გამო გვხვდება არარსებული სიტყვები: ლექსში „სულო ბოროტო“ სიტყვის „მსახვრალი“ (მომკადოებელი, მომსპობი, გამანადგურებელი) ნაცვლად წერია „მასვრა-ლი“. ლექსში „ბულბული ვარდზედ“ ვარდთან დაკავშირებით „ფურცენილის“ (ფურცელდაყრილის) ნაცვლად წერია „ფურტენილი“, „შეფვრფინვიდი“-ს (აღტაცებით ვუცქერდი) ნაცვლად – „შეფვრვინვიდი“, ფრაზაში „მსტინავი ღმობის ხმითა“ – „მსტინვალობისა“, „მოუკვდას“ ნაცვლად – „მოუკოდა“, ფრაზაში „მივალალებენ (ხმამალალი დამიტრებენ) სვავნი მყივარნი“ – „მივავალებენ“, ტაეპში „მეგობართა, ნათესავთ მოკლებული“ – „მოკლებული“ და ფრაზაში: „არ გიცვია სოფელი მომღერალი!“ – „მომღერალი“. სხვადასხვა ადგილას „ნუ თუ“-ს ნაცვლად გვხვდება „თუ ნუ“ და „რად“-ის ნაცვლად – „რდა“. თუ კონტექსტის დახმარებით მკითხველი ხვდება, რომ ეს მექანიკური შეცდომებია, მათი უარყოფითი შედეგი შემოიფარგლება იმით, რომ ლექსის ამ ადგილის გასაგებად მკითხველს გარკვეული ძალისხმევა სჭირდება და იკარგება პოემის უშუალო ზემოქმედების ესთეტიკური ეფექტი, მაგრამ არ არის გამორიცხული მოვლენათა უფრო რთული განვითარებაც. არა მხოლოდ მკითხველმა, სპეციალისტმაც კი შეიძლება იფიქროს, რომ არა არარსებულ, არამედ მისთვის უცნობ რაღაც ახალ სიტყვასთან აქვს საქმე.

გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის ლექსის – „მეც შავს თვალებს“ პუბლიკაცია ამავე „ცისკარში“. ავტოგრაფისეულ ფრაზაში „ვით ქარიშხალში აღმშფოთნი ზღვანი“, „აღმშფოთნის“ ნაცვლად წერია „ავ-ფთონი“ და

დღემდე გრძელდება კამათი იმის შესახებ, არსებობდა თუ არა ასეთი სიტყვა და იგი ტექსტში ავტორის მიერ იქნა შეტანილი, თუ არა. საყურადღებია, რომ ლექსის ამავე, „ცისკრისეულ“, წყაროში სხვა პარადოქსული წაკითხვებიცაა, მაგ. „განგიწევს“ ნაცვლად „განგიწევს“ და „მისის ნაპერწკლით“ ნაცვლად „ძირის ნაპერწკლით“.

„ავ-ფთონთან“ დაკავშირებით გამოთქმული სხვადასხვა მოსაზრებიდან შედარებით მისაღებია ლექსის ამ ადგილას „ფრთონა“ (ლელვა, რხევა) სიტყვიდან წარმოებული რაღაც ფორმის არსებობა, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ იმდროინდელ „ცისკარში“ ყოველი 10-დან ერთი სიტყვა მაინც შეცდომით ეწერა, არ უნდა ვიყოთ დარწმუნებულები, რომ აქ თუნდაც სიტყვა „ფრთონა“-დან წარმოებული ფორმა აუცილებლად „ავ-ფთონი“ იქნებოდა. „ცისკრის“ ლაფსუსების სტატისტიკა ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე ილია ჭავჭავაძის მიერ გამოგონებული იმ ახალი სიტყვებისა, რომლებიც ცხოვრებაში ერთზე მეტად არ გამოუყენებია. როცა გვაქვს ლექსის ამ ადგილის ავტოგრაფისეული ვარიანტი „აღმშფოთნი“, ვფიქრობთ, არავითარი აუცილებლობა არ არის, რომ აკადემიურ გამოცემაში ასეთი საეჭვო და საკამათო სიტყვა ჩავწეროთ მის ნაცვლად.

მიუხრუნდეთ ბარათაშვილის „ცისკრისეულ“ პუბლიკაციებს. აქ ხშირია ისეთი ცვლილებებიც, რომელთა მიზეზითაც დარღვეულია ლექსის მხატვრული მხარე: ფრაზაში „გარდაიარე კლდენი და ღრენი“ სიტყვიდან „გარდაიარე“ პირველი „რ“ ამოღებულია, რითაც სუსტდება ტაქტის ალიტერაცია. შეცვლილია ავტორისეული სარიტმო სიტყვები: „ვითა საკმეველს“ // „ჩემსა სალოცველს“ ჟურნალში შეცვლილია შემდეგნაირად: „ვითა საკმელსა“ // „ჩემს სალოცველსა“. ლექსში „ჩვილი“ სარიტმო სიტყვა „დაგხარის“ შეცვლილია სიტყვით „გიდარის“. ტაქტში „მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი“ სიტყვის „უკვლოდ“ ნაცვლად წერია „უკულოთა“, რითაც რიტმი ირღვევა - 14-ის ნაცვლად გვაქვს 15 მარცვალი. აქვე ფრაზაში „ცუდად ხომ მაინც არა ჩავივლის ეს განწირულის სულის კვეთება“ ნაწილაკის „არა“ ნაცვლად წერია „არ“, რითაც ასევე ირღვევა რიტმი - 20 მარცვლის ნაცვლად გვაქვს - 19. ფრაზაში „წყეულიმც იყოს დღე

იგი, როს შენთა აღთქმათა“ პირველ მუხლში გვაქვს მხოლოდ „წყეულმც დღე“, რის გამოც ტაეპში 14 მარცვლის ნაცვლად არის 8 და დარღვეულია რიტმი. ტაეპებში: „მხოლოდ კავშირი ესრეთთ[ა] სულთა ჰშობს სიყვარულსა“, „რომ[ე]ლით ნათლდება ყოვე[ლ]ი გრძნობა, გული და სული“ ორივეგან უნდა იყოს 14 მარცვალი, მაგრამ პირველში არის 15 და მეორეში – 16 (კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ხმოვნები ზედმეტია). ფრაზაში „ხმა ნაღარისა, ხმა ეს ბრძოლისა“ შინაგანი რითმა და რიტმი დარღვეულია იმით, რომ ბოლო ორი სიტყვა შეცვლილია შემდეგნაირად: „ესე ბრძოლის“ და სარითმი სიტყვების „ბრძოლისა // ქართლისა“ ნაცვლად არის „ბრძოლის // ქართლის“. სარითმი სიტყვებიდან „გულის–თქმას // სიტყვას“ პირველი ჩანაცვლებულია ფორმით „გულის–თქმათა“ და მოსაზღვრე რითმა დარღვეულია.

ყველა ეს ცვლილება მთლიანობაში რომ გავიაზროთ, არ გავიკვირდება, რომ ესოდენ შერყენილ ტექსტებს ისეთი დიდი შთაბეჭდილება ვერ მოეხდინა მკითხველზე, როგორსაც ბარათაშვილი იმსახურებდა. საზოგადოების მხრიდან მისი შემოქმედების აღქმისთვის საჭირო მზაობის ნაკლებობასთან ერთად, ვფიქრობთ, პუბლიკაციათა ამ ხარვეზებმაც განაპირობა დიდი რომანტიკოსის აღიარების დაგვიანება.

ბევრად უფრო რთულად არის საქმე, როდესაც არ არის შემორჩენილი კლასიკოსთა ავტოგრაფები და გვაქვს მხოლოდ პერიოდული პრესის პუბლიკაციები. ასეთი ვითარებაა ცნობილი ინგლისელი დრამატურგის, უილიამ შექსპირის, ნაწერებთან დაკავშირებით. გარდა იმისა, რომ მისი პიესების არც ერთი ავტოგრაფი არ არსებობს, საკმაოდ დიდი დრო არის გასული თითოეული თხზულების შექმნიდან მის პუბლიკაციამდე. ამიტომ რეალურად ვერც ერთ ამ წყაროს ვერ დავარქმევთ ორიგინალს. ელისაბედის ეპოქის მესტამბეებს ტექსტოლოგიური აკურატულობა ნაკლებად ახასიათებდათ. ამიტომ შეიძლება იყოს არა მხოლოდ უნებლიე შეცდომები, არამედ განზრახ ჩარევებიც, რაც მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინონ გამომცემლებმა.

შეცდომები ხშირია არა მხოლოდ ავტორის გარდაცვალების შემდეგ–დროინდელ პუბლიკაციებში, არამედ ავტორის სიცოცხლისდროინდელშიც.

ყველაზე ხშირად ეს ეხება თარიღებს, რადგან, როგორც ჩანს, მათში დაშვებულ შეცდომებს ავტორები ნაკლებ მტკივნეულად განიცდიდნენ, ვიდრე ტექსტიკულს. აკადემიურ გამოცემაში თითოეულ ასეთ შემთხვევას კვლევა და დაბუსტება სჭირდება.

სპეციფიკური ხელწერით გამოწვეული შეცდომები

ბარათაშვილის ლექსების „ჩემი ლოცვა“ და „სულო ბოროტო“ იმ ავტოგრაფებში, რომლებითაც ისარგებლა ჟურნალ „ცისკარის“ რედაქციამ მათი პუბლიკაციის დროს, ძახილის ნიშანს ვერტიკალური ხაზის ზედა ნაწილი მარცხნივ ჩამობრდილი აქვს, რის გამოც, ასოთამწყობებს, როგორც ჩანს, ბოლო ტაეპებში იგი კითხვის ნიშანი ეგონათ და ტექსტები ასე ააწყვეს: „მაშა დუმილიც მიმითვალე შენდამი ლოცვად?“ „ვაჲ მას, ვისაცა მოხვდეს ჴელი შენი მსახვრალი?“.

1836 წელს ალექსანდრე პუშკინმა ჟურნალ „სოვრემენნიკში“ გამოაქვეყნა თავისი „მოგზაურობა არზრუმში“. მეორე თავში, სადაც საუბარია თბილისის შესახებ და მოხმობილია მისი სახელის ეტიმოლოგია, Тбилис-ის ნაცვლად წერია Тбими. ეს მექანიკური შეცდომა თითქმის საუკუნის განმავლობაში გადადიოდა გამოცემიდან გამოცემაში, ვიდრე 1929 წელს, თხზულებათა სრული კრებულის მზადების დროს, ტექსტოლოგმა იური ტინიანოვმა პუშკინის ერთ-ერთ ხელნაწერში არ აღმოაჩინა სწორი წაკითხვა – Тбилис. ეს შეცდომაც ავტორის ხელწერით იყო გამოწვეული.

იმისათვის, რომ ტექსტოლოგმა მსგავსი შეცდომები არ დაუშვას და შეძლოს უკვე გაპარული ხარვეზების გამოსწორება, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ თითოეული ავტორის თხზულებათა გამოცემაზე მუშაობისას კარგად შეისწავლოს მისი ხელწერა და შეადგინოს როგორც ტიპურ, ისე ატიპურ მოხაზულობათა ცხრილები.

დავალეები

1. გამოიყენეთ საქართველოს ეროვნული არქივის საძიებო სისტემა და გააკეთეთ სია, რომელ არქივებს დაათვალიერებდით, რომ ამზადებდით იმ მწერლების თხზულებათა აკადემიურ გამოცემებს, რომელთა ჩამონათვალიც ელექტრონული ფოსტით გადმოგეგზავნათ.
2. აირჩიეთ ქართველი მწერალი, შემდეგ საქართველოს ეროვნული არქივის ელექტრონული გვერდიდან აირჩიეთ რომელიმე კოლექცია, სადაც შეიძლება დაცული იყოს მისი ნაწერები, ან საქმიანი ქაღალდები. ეწვიეთ არქივს და შეადგინეთ ბიბლიოგრაფია, რომელშიც წარმოდგენილი იქნება თქვენთვის ყველაზე საინტერესო მინიმუმ 10 წყარო, საარქივო ნომრების მითითებით.
3. აირჩიეთ ქართველი მწერალი. ეწვიეთ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს, გაეცანით ამ კონკრეტული მწერლის საარქივო მასალებს. შეადგინეთ ნუსხა თქვენთვის საინტერესო მინიმუმ 10 წყაროს დასახელებით და საარქივო ნომრების მითითებით.
4. აირჩიეთ ქართველი მწერალი. ეწვიეთ გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმს, გაეცანით ამ კონკრეტული მწერლის საარქივო მასალებს. შეადგინეთ ნუსხა თქვენთვის საინტერესო მინიმუმ 10 წყაროს დასახელებით და საარქივო ნომრების მითითებით.
5. შეადარეთ ერთმანეთს ორი ხელნაწერი. გამოიყენეთ გრაფოლოგიური ანალიზი და გამოიტანეთ დასკვნა, ეკუთვნის თუ არა ისინი ერთსა და იმავე პიროვნებას.
6. გაეცანით თქვენთვის ელექტრონული ფოსტით გადმოგზავნილ ეპიზოდს ცნობილი თხზულების ადრინდელი რედაქციიდან და იმსჯელეთ, რა ცვლილებები შეიტანა ავტორმა დასრულებულ ტექსტში.
7. შეადგინეთ თქვენთვის ელექტრონული ფოსტით გადმოგზავნილი

ტექსტის ტრანსკრიპტი. გაურკვეველი ადგილების ნაცვლად ჩასვით მრავალწერტილი, ვარაუდით ამოკითხული პასაჟები კი ჩასვით კვადრატულ ფრჩხილებში.

8. ელექტრონული ბიბლიოთეკა „ივერიელის“ დახმარებით, შეადგინეთ იმ ჟურნალების ნუსხა, რომლებიც გამოდიოდა საქართველოში 1880–1900 წლებში.
9. ელექტრონული ბიბლიოთეკა „ივერიელის“ დახმარებით, შეადგინეთ იმ გაზეთების ნუსხა, რომლებიც გამოდიოდა საქართველოში 2007–2012 წლებში.
10. გაიხსენეთ შემთხვევები, როცა ამა თუ იმ პუბლიკაციაში ტექსტის არასწორად დაბეჭდვა მის აზრს გაუგებარს ხდიდა.

დამატებითი ლიტერატურა

- ქართული ხელნაწერი წიგნი V–XIX სს., შეადგინეს: მაია კარანაძემ, ლელა შათირიშვილმა, ნესტან ჩხიკვაძემ, თამარ აბულაძის მონაწილეობით; თბილისი, 2010.
- ნინო დობორჯგინიძე, ტექსტის კვლევის ისტორიისათვის ძველ ქართულ ფილოლოგიაში, Folia Caucasia, იოსტ გიპერტის 55 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, ფრანკფურტი მაინზე, თბილისი, 2011.
- ზაზა ალექსიძე, თამარ ოთხმეზური, შუა საუკუნეების ხელნაწერთა ფორცაზებისა და პალიმფესტური ფურცლების ისტორიები, კადმოსი, თბ. 2011.
- დარეჯან თვალთვაძე, ეფრემ მცირის კოლოფონები, თბ., გამომცემლობა „ნეკერი“, 2009.
- Text Technologies and Textual Transmissions, Erick Kelemen,

Textual Editing And Criticism, An Introduction, W. W. Norton & Company, New York, London, 2009.

- David C. Parker, Textual Scholarship and the Making of the New Testament, Oxford University Press, 2011.
- Manuscript Textuality, Neil Fraistat Julia Flanders (Ed.) The Cambridge Companion to Textual Scholarship (Cambridge Companion to Literature, Cambridge University Press, 2013.
- David C. Parker, Manuscripts, Texts, Theology, Collected Paper 1977-2007, Walter Gruyter, Berlin, New York, 2009.
- Русакова Н. А., Автор-составитель, Текстология, Саратов, 2010.
- Данилевский И. Н., Повесть Временных Лет: Герменевтические Основы Источниковедения Летописных Текстов, Москва Аспект–Пресс 2004.
- Н.А. Герчикова, А.А. Ларин, Л.В. Хачатурян, Современные электронные технологии в текстологических исследованиях: методы графической обработки цифровых форм рукописных текстов, appeared on 10 Feb 2018 08:10:31 GMT.

IV თავი: ტექსტოლოგიის წვლილი აკადემიურ გამოცემაში

როგორც ტერმინის განმარტებაში აღვნიშნეთ, ტექსტოლოგია მოიცავს როგორც თეორიულ ანალიზსა და ფუნდამენტურ კვლევებს, ისე პრაქტიკულ საქმიანობას. მართალია, ვიზიარებთ იმ აზრს, რომ ტექსტოლოგიის ერთადერთი მიზანი გამოცემის მომზადება არ არის, მაგრამ ასევე ვაღიარებთ, რომ ყველაზე სრულად ტექსტოლოგიური საქმიანობის მრავალფეროვნება უკავშირდება აკადემიურ გამოცემას, კერძოდ კი, მწერლის თხზულებათა სრული კრებულის აკადემიურ გამოცემას. აქ წარმოდგენილია სხვადასხვა ჟანრის, თემატიკისა და სპეციფიკის ტექსტები, როგორც მხატვრული, ისე დოკუმენტური, როგორც დასრულებული, ისე დაუსრულებელი და სამუშაოც ყველაზე მრავალმხრივია.

თხზულებათა სრული აკადემიური გამოცემის მოსამზადებლად ტექსტოლოგს უხდება შემდეგი ამოცანების შესრულება: გამოცემის კონცეფციის შემუშავება რედაქტორ-გამომცემელთან, ან სარედაქციო კოლეგიასთან ერთად, ბიბლიოგრაფიის შედგენა, წყაროების მოძიება, აღნუსხვა, ურთიერთშეჯერება და ურთიერთმიმართების განსაზღვრა, ავთენტურობის შეფასება, ჟანრის დადგენა, გეგმა-პროსპექტის შედგენა, ვარიანტულ სხვაობათა აღნუსხვა; ძირითადი ტექსტის არჩევა, კრიტიკული ტექსტის დადგენა; კვლევების წარმოება ატრიბუციის, დათარიღების, კომენტარებისა და პირთა იდენტიფიკაციისათვის, თითოეული ტექსტისთვის პასპორტების შექმნა, ტექსტოლოგიური შენიშვნების, კომენტარებისა და საძიებლების მომზადება.

თხზულებათა აკადემიური გამოცემა ხშირად არაერთ ტომს მოიცავს და მის მომზადებაზე მუშაობს მეცნიერთა დიდი ჯგუფი. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია ჯგუფის კოორდინირებული მუშაობა და ინფორმაციულობის მაღალი დონე. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ტექსტოლოგიური მუშაობის თითოეული ეტაპის შედეგები იყოს გაციფრულებული. ეს გააიოლებს როგორც ინფორმაციის გავრცელებას მის მონაწილეთა შორის, ისე მასალის

მოდისციპლინებს. როგორც კი შემუშავდება საგამომცემლო კონცეფცია, იგი ელექტრონული სახით უნდა გაეგზავნოს გამოცემაზე მომუშავე ჯგუფის ყველა წევრს და, იმ შემთხვევაში, თუ პროექტის მსვლელობის რაიმე ეტაპზე გადაწყდება მისი კორექტირება, ეს კორექტირებული ვერსიაც აუცილებლად უნდა გაეგზავნოს თითოეულს. გამოცემის სისრულისათვის უნდა გაკეთდეს ფსევდონიმების ნუსხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მოძიებულ იქნეს ინფორმაცია სავარაუდო ხელმოუწერიელი პუბლიკაციების შესახებ.

მას შემდეგ, რაც შესწავლილ იქნება ხელნაწერთა არქივები და ბეჭდური გამოცემები, თხზულებათა ნუსხის მიხედვით უნდა გაკეთდეს წყაროთა ჩამონათვალი და გაეგზავნოს პროექტის ყველა მონაწილეს. როდესაც გადასამოწმებელი, ან დასაბუხსტებელია რაღაც ინფორმაცია, ძალზე მოსახერხებელია საკომენტარო ფანჯრებში ამის მითითება. ხელნაწერთა არქივებისა და ბეჭდური წყაროების შესახებ ინფორმაციის მოძიებამდე არ არის სასურველი გეგმა-პროსპექტის შედგენა, მაგრამ, როგორც კი ამ ინფორმაციას მოვიპოვებთ, უნდა დავიწყოთ მუშაობა გეგმა-პროსპექტის შედგენაზე. ეს ხშირად საკმაოდ შრომატევადი საქმეა და სერიოზული კვლევების ჩატარებას მოითხოვს. როგორც კი შედგება გეგმა-პროსპექტი, ისიც ციფრული სახით უნდა დაეგზავნოს პროექტის ყველა მონაწილეს.

ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასთან დაკავშირებით, ბევრად უფრო ეფექტური გახდა კორპუსული ტექსტოლოგიური კვლევები. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ბიბლიოგრაფიის შედგენის შემდეგ განისაზღვროს, რომელ წყაროს ავირჩევთ ძირითად ტექსტად და მოხდეს ამ ტექსტების დიგიტალიზაცია. რამდენადაც სრული აკადემიური კრებულის სახით, ძირითადად, გამოცემით კლასიკოსთა თხზულებებს, ეს არ შედის მხოლოდ ერთი ორგანიზაციის ინტერესებში, იგი საერთო ეროვნული საქმეა და სასურველი იქნება, თუ გამოინახება რაიმე სახის თანამშრომლობითი ფორმა, რომ ტექსტოლოგებს შეეძლოთ ხელნაწერთა მაღალი ხარისხის ციფრულ ასლებზე შეუზღუდავად მუშაობა.

რამდენადაც ტექსტოლოგის ამოცანებში შედის როგორც ბიბლიოგრაფიული სამუშაო, ისე ინფორმაციის მოძიება და ფუნდამენტური მეცნი-

ერული კვლევები, მას ესაჭიროება ხელნაწერებზე მუშაობის გამოცდილებაც და უახლესი ციფრული ტექნოლოგიების ფლობაც.

გამოცემის კონცეფცია და სტრატეგიული გეგმა

ყოველ სერიოზულ გამოცემას წინ უძღვის კონცეფციის შემუშავება, რაც რედაქტორ-გამომცემელთა კომპეტენციაა, მაგრამ ამ საქმეს ისინი აუცილებლად ტექსტოლოგებთან მჭიდრო კოორდინაციით უნდა აკეთებდნენ. ის პრინციპები და მოდელები, რასაც ისინი კონცეფციის ფარგლებში ერთობლივად შეიმუშავებენ, სწორედ ტექსტოლოგებმა უნდა განახორციელონ. მაგალითად, თუ გადაწყდება, რომ გამოცემაში თანამედროვე ნორმების მიხედვით გასწორდეს პუნქტუაცია, ტექსტოლოგებმა ეს პრინციპი მთელ გამოცემაში უნდა გაატარონ, თუ გადაწყდება, რომელი რუბრიკებისაგან უნდა შედგებოდეს სამეცნიერო პასპორტი, ტექსტოლოგებმა თითოეული ტექსტის პასპორტი ამ მოდელის მიხედვით უნდა შეადგინონ და სხვ. სწორედ ამიტომ ტექსტოლოგთა ჩართულობა კონცეფციის შემუშავების ეტაპზე და მათი აზრის გათვალისწინება აუცილებელია.

ბიბლიოგრაფიის შედგენა

სახელმძღვანელოში „ქართული ტექსტოლოგია“ ვკითხულობთ: „თხზულებათა სრული კრებულის აკადემიური გამოცემა მეტად საპასუხისმგებლო საქმეა... თავდაპირველად, აუცილებელია, შედგეს მწერლის თხზულებათა სრული ბიბლიოგრაფია, რომელშიც აისახება ავტორის მთელი შემოქმედება თავისი ყოველგვარი წვრილმანი“. პროექტზე მომუშავე ჯგუფმა ერთობლივად უნდა მოიძიოს ინფორმაცია ფსევდონიმებსა და ხელმოუწერელ ტექსტებზე.

ბიბლიოგრაფიის შედგენამდე უნდა გაკეთდეს თხზულებათა სია. ეს სამუშაო ნუსხა შეიძლება შედგეს ელექტრონული კატალოგებისა და უკვე არსებული გამოცემების სარჩევების მიხედვით. თუ მათ შორის არის

მეცნიერული გამოცემებიც, შეგვიძლია ასევე მოვიპოვოთ ინფორმაცია ანონიმური პუბლიკაციებისა და სავარაუდო თხზულებების შესახებ. პროექტის თითოეული მონაწილე მის მიერ მოძიებული სიახლის შესახებ ინფორმაციას უნდა აწვდიდეს კოორდინატორს, ან პროექტის ხელმძღვანელს. ამ სიახლეების დამატებით, ნუსხა რეგულარულად უნდა ივსებოდეს და ანბანურ რიგზე დალაგებული ეგზავნებოდეს გამოცემაზე მომუშავე ყველა ტექსტოლოგს.

ტექსტოლოგიური სამუშაო, ძირითადად, ავტორის პირველადი ბიბლიოგრაფიის შედგენით იწყება. ტექსტოლოგიური ასპექტებით ტექსტის საკვლევად აუცილებელია, რომ ვეყრდნობოდე მის ყველაზე ავთენტურ წყაროებს. უძველეს ტექსტებთან მიმართებით ეს არის ხოლმე მაქსიმალურად ადრეული ასლები, ხოლო გვიანდელ ტექსტებთან მიმართებით – ავტოგრაფები, ავტორიზებული ასლები და ავტორის სიცოცხლისდროინდელი ნაბეჭდი წყაროები.

პირველადი ბიბლიოგრაფიის შესადგენად აუცილებლად უნდა მოვიპოვოთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ფსევდონიმებს იყენებდა ეს ავტორი, ბეჭდავდა თუ არა ხელმოუწერლად და, თუ ასეა, რომელ პერიოდულ გამოცემებთან თანამშრომლობდა.

ავტოგრაფებისა და ავტორიზებული ასლების ბიბლიოგრაფიული ნუსხის შესადგენად უნდა მივმართოთ ყველა იმ არქივსა და საცავს, სადაც შეიძლება ინახებოდეს ეს დოკუმენტები. მაგალითად, ქართველ მწერალთა თხზულებების აკადემიური გამოცემების მოსამზადებლად აუცილებლად ვსწავლობთ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, საქართველოს ეროვნული არქივის, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმისა და ამა თუ იმ კონკრეტული ავტორების სახლმუზეუმთა კატალოგებს. ვიწერთ ინფორმაციას თითოეული ტექსტის შესახებ, ვუთითებთ საარქივო ნომერს და გვერდებს. შემდეგ თითოეული არქივიდან მოპოვებულ ამ ინფორმაციას ვალაგებთ ტექსტების მიხედვით და ვიწყებთ ნაბეჭდი წყაროების ბიბლიოგრაფიის შედგენას.

ქართულ ბეჭდურ გამოცემათა ყველაზე სრული კატალოგი აქვს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას. თან ეს კატალოგი

გაციფრულებული და იოლი მოსახმარია. შესაბამისად, სულ რამდენიმე წუთში შეგვიძლია შევადგინოთ ამა თუ იმ ავტორის პუბლიკაციათა საკმაოდ ვრცელი ნუსხა. აუცილებელია, რომ ვეძებოთ წლების მიხედვით როგორც წიგნებში, ისე ჟურნალებსა და გაზეთებში. შემდეგ მთელი ეს ინფორმაცია უნდა დავალაგოთ ტექსტების მიხედვით. აუცილებლად უნდა მივაქციოთ ყურადღება იმას, რომ ერთი ტექსტი შეიძლება რამდენიმე განსხვავებული სათაურით, ან უსათაუროდ იყოს წარმოდგენილი. ამიტომ აუცილებლად უნდა გადავხედოთ ტექსტებს და გავარკვიოთ მათი ურთიერთმიმართება.

თავდაპირველად აკადემიურ გამოცემაში, ძირითადად, ვუთითებდით მხოლოდ ხელნაწერ და ბეჭდურ წყაროებს, მაგრამ დროთა ვითარებაში საჭირო გახდება აუდიო და ვიდეოჩანაწერების მითითებაც, რამდენადაც ამ ტიპის ავთენტური მასალაც არანაკლებ საინტერესოა ტექსტოლოგისთვის.

ხელნაწერთა ბიბლიოგრაფიის შედგენისას ავტორის არქივში შეიძლება წავაწყდეთ ტექსტებს, რომლებიც მისი ხელით არის გადაწერილი, მაგრამ მას არ ეკუთვნის, ან ისეთებს, რომლებიც მისია, მაგრამ სხვის მიერ გადაწერილი ასლის სახით არის დაცული. ასეთ შემთხვევებში აუცილებელი ხდება როგორც ამ ტექსტებთან დაკავშირებით არსებული დამატებითი ინფორმაციის მოძიება, ისე შემდგომი კვლევის ჩატარება.

გამოცემის გეგმა-პროსპექტი

ტექსტების ურთიერთმიმართება

მწერლის არქივში ხშირად ვხვდებით დაუსრულებელ და უსათაურო ტექსტებს და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გაირკვეს მათი რაობა – დამოუკიდებელი თხზულებებია, თუ რაღაცის ნაწილები.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ აკაკი წერეთლის ავტოგრაფულ კრებულში (71, 11v-12r), სადაც ნაწარმოებები პოეტის მიერვე არის დანომრილი, მეთვრამეტე ნომრით გაერთიანებულია ორი ტექსტი: ერთს აწერია „ნაწყვეტი“, მეორეს კი – „ნინოს სიმღერა“. მეორე ავტოგრაფულ

კრებულში, რომელიც ქართული ლიტერატურის მუზეუმშია დაცული, ამათგან მხოლოდ „ნინოს სიმღერა“ შეტანილი (17662.). ავტორის სიცოცხლეში ამ ორი ტექსტიდან არც ერთი არ გამოქვეყნებულა, მისი გარდაცვალების შემდგომ გამოცემებში კი იხეჭდება ან მხოლოდ „ნინოს სიმღერა“, ან ორივე ტექსტი, მაგრამ სხვადასხვა ტომში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნაწყვეტებსა და დაუსრულებელ ჩანაწერებს საგანგებო კვლევა სჭირდება სხვა ტექსტებთან მათი შესაძლო კავშირის გამოსავლენად და, ბუნებრივია, ეს მით უფრო დასაკვირვებელი და შესასწავლია, როდესაც ავტორი ორ ტექსტს ერთი ნომრის ქვეშ აერთიანებს, ისე როგორც ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოხდა.

პირველი ტექსტის შინაარსიდან, რომელსაც აწერია „ნაწყვეტი“, ჩანს, რომ ეს არის გადიის მიმართვა თავისი გაზრდილი წარჩინებული ქალისადმი. შინაარსის მიხედვით, ეს სიტყვები ნათქვამი უნდა იყოს მაშინ, როცა გაზრდილი, რომელიც უნდა იყოს რომელიღაც საგვარეულოს ერთადერთი იმედი („შენი დედ-მამის საგვარეულოს, / აბა, შენს მეტი რა აბადია?“) რაღაცაზე წუხს და ტირის („თავს ნუ იწუხებ“, „ნუ სტირი“). გადია ამშვიდებს, რომ ადამიანის ბედს ზეცა განაგებს და იმედი არავინ უნდა დაკარგოს. ამ ქალბატონს კი, მისი თქმით, დაბადებიდან დაჰყვა ორი „საქორე“ (თმის საფარის ცენტრალური ნაწილი, საიდანაც თმა ნაწილდება ადამიანის თავის სხვადასხვა მიმართულებით), რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ მეორედ გათხოვებაც მოუხდებოდა და, თუ პირველი ხანმოკლე და უიღბლო იყო, მეორე ხანგრძლივ ბედნიერებას უქადდა. ამიტომ გადია სთხოვს გაზრდილს, რომ სასოწარკვეთილებას ნუ მიეცემა და თავის ახალგაზრდობას უდროოდ ნუ დააჭკნობს.

მეორე ტექსტს სათაურად აწერია „ნინოს სიმღერა“. ეს არის ახალგაზრდა ქალის მოთქმა თავის უბედობაზე. შინაარსიდან ჩანს, რომ იგი დაქვრივებული უნდა იყოს (ვარსკვლავი დაღუპული“, „ტრფობასაც ვერ შეძლებს / მეორეთ ჩემი გული“, „მე შენ სხვაზედ ვერ გაცვლი / ჩემი სიცოცხლის მტრედ“) და მთხოვნელები უნდა აწუხებდნენ („არ მინდა ღენერალი“, „შორს ჩემგან, თავადო!..“). როგორც ვხედავთ, ამ ლექსებს მხოლოდ

საერთო ნომერი კი არა, შინაარსობრივი კავშირიც აერთიანებთ. საესეებით შესაძლებელია, რომ ასეთ სასოწარკვეთილებაში მყოფი პერსონაჟი „ნინო“ მის გადას იმ სიტყვებით გაემხნეებია, რომლებიც ავტორგაფულ რვეულში „ნაწევების“ სათაურით არის შეტანილი.

„ნინოს სიმღერა“, მიუხედავად იმისა, რომ აკაკისთვის ჩვეული მარტივი, ტკბილი ენითა და მელოდირობით გამოირჩევა, დამოუკიდებელი, სრულფასოვანი ტექსტი არ არის და მწერლის თხზულებათა რჩეულებში არ უნდა იბეჭდებოდეს. ავტორს იგი ასეთად რომ არ ჩაეთვალა, თავადაც გამოაქვეყნებდა, მაგრამ ფაქტია, რომ 1862 წელს დაწერილი ეს ტექსტი ერთხელაც კი არსად დაუბეჭდავს.

აკაკი წერეთლის პოეზიაზე ავტორის სიცოცხლეშივე დიდი მოთხოვნა იყო და პოეტს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები გამუდმებით სთხოვდნენ მასალის მიწოდებას, გამოსული იყო მისი კრებულებიც და „ნინოს სიმღერა“ რომ დასრულებულ და სრულფასოვან ნაწარმოებად მიეჩნია, ავტორი მას აუცილებლად გამოაქვეყნებდა.

ამ ორი ტექსტის გამოუქვეყნებლობის მიზეზად ცენზურას ვერ დავასახელებთ, რადგან მათში რაიმე აკრძალული თემა არ არის წამოჭრილი. აკაკი წერეთლის გამოუქვეყნებელი ლექსებიდან ზოგი პატრიოტული განწყობის გამო ვერ იბეჭდებოდა („შამილის სიმღერა“, „შიქასტა“, პასუხი ილია მამაცაშვილს“ და სხვ.), ზოგი კონკრეტული პიროვნებების კრიტიკის გამო („ხარაბუბა ღენერალს“, „ასათიანებს“ და სხვ.), ავტორის სიცოცხლეში ასევე არ გამოქვეყნებულა მსუბუქი სატრფიალო ლექსები, სხვადასხვა პირთა ალბომებში ჩაწერილი ექსპრომტები, ეპიტაფიები და სხვ. „ნინოს სიმღერა“ ჩამოთვლილთაგან არც ერთ კატეგორიაში არ შედის. ამიტომ ვფიქრობთ, რომ საქმე დაუსრულებელ თხზულებასთან უნდა გვექონდეს.

აკაკის ლექსების სათაურებში ხშირად გვხვდება ქალთა სახელები, მაგ. „მარიამს“, „ალექსანდრა“, „კატოს“, „ტასოს ხაჟო“ და სხვა და ყველგან იგრძნობა, რომ პოეტს კონკრეტული პიროვნებები ჰყავს ნაგულისხმევი. იგი ამ ლექსებით მათ ეხმიანება, „ნინოს სიმღერის“ ნინო კი უფრო ეპიკურ პერსონაჟს ჰყავს, ვიდრე ცოცხალ ადრესატს. აკაკი წერეთლის პოეზიაში, ისევე

როგორც სხვა ავტორებთან, ლექსების სათაურებში ხშირად გვხვდება სიტყვა „სიმღერა“, მაგრამ, გარდა ამისა, ამავე სათაურით ცალკეული პოეტური მონაკვეთები გამოყოფილია მის ეპიკურ და ისტორიულ თხზულებებში, მაგალითად, „ნათელას სიმღერა“ პოემაში „ნათელა“, „დედის სიმღერა“, „ცოლის სიმღერა“, „დის სიმღერა“ – ლეგენდაში „გოგია მეჩონგურე“. ამრიგად, „ნინოს სიმღერაც“ შეიძლება იყოს ნაწყვეტი რომელიმე ვრცელი ნაწარმოების ადრეული ვარიანტის, ან დაუმთავრებელი თხზულებისა.

სიტყვა „სიმღერა“ ტექსტების სათაურში აუცილებლად სასიმღერო ტექსტთან არ ასოცირდება. ამით ავტორი უფრო წრფელ განცდებზე მიგვანიშნებს, სიმღერასავით გულიდან ამოთქმულზე. „ნინოს სიმღერა“ უნდა იყოს ეპიკური გმირის, ნინოს, წრფელი განცდები, ნაწყვეტი კი – მისი გადიისა. მართალია, „ნინოს სიმღერის“ და „ნაწყვეტის“ ტექსტები სხვადასხვა სალექსო საზომით არის დაწერილი, მაგრამ ასეთ მოვლენას აკაკის არაერთ პოემაში ვხვდებით, შესაბამისად, ეს ხელს არ გვიშლის იმის წარმოდგენაში, რომ ეს ორი ტექსტი შეიძლება ერთი თხზულების ნაწილები იყოს.

„ნინოს სიმღერის“ მეორე ტექსტისგან განცალკევებით და პოეტის „რჩეულებში“ მისი მოთავსებით ცნობილი ლირიკული ლექსების გვერდით, მკითხველი შეიძლება შეცდომაში შევიდეს და წარმოიდგინოს, რომ ეს ნინო რეალურად არსებული პირია, მით უფრო, თუ ტექსტს არ ექნება დართული სათანადო კომენტარები. განმარტების გარეშე მკითხველმა ისიც კი შეიძლება იფიქროს, რომ ნინო გარკვეული სოციალური ფენების (გენერალი, თავადი) წინააღმდეგ არის განწყობილი და ტექსტს სრულიად განსხვავებული ინტერპრეტაცია მისცეს. გადასა და ნინოს პოეტური დიალოგი ჩამოჰგავს ერთ ეპიზოდს პოემიდან „ნათელა“, სადაც ასევე არის ნათელასა და გამზრდელის საუბარი ნათელას სასოწარკვეთილების ჟამს. გადას აქაც უფრო ოპტიმისტია, როცა ნათელა ფიქრობს, რომ მის მიერ შეკერილი ჩოხით მოსილი რაინდი დაიღუპა, სწორედ ის ანუგეშებს თავის გაზრდილს. ნათელაც, ისევე როგორც ნინო, დაობლებულია და თავისი დედ-მამის საგვარეულოს ერთადერთი იმედია. პოემის დასაწყისში მასაც უამრავი მთხოვნელი ჰყავს („მთლად მოეხიბლა ქვეყანა ნათელას ციურ სახესა /გუნდად და გუნდად მოატყდეს /

გმირები მოდინახესა“) და ყველას უარს ეუბნება („ჯერ ჩემი გული ყველასთვის / როგორც სამარე, გრილია“). პოემის ერთ-ერთ ადრეულ ვარიანტში მთავარ გმირს „შუქურა“ ერქვა და შემდეგ შეცვალა ავტორმა „ნათელათი“. ასევე ვერ გამოვრიცხავთ, რომ კიდევ უფრო ადრე პერსონაჟის სახელად პოეტს „ნინო“ ჰქონოდა ჩაფიქრებული.

ბოგვერ თხზულების გვიანდელ ვარიანტში ადრეული ვერსიიდან გადადის დეტალი, რომელსაც წინა ეპიზოდებთან აღარაფერი აკავშირებს, მაგალითად, ილია ჭავჭავაძის მოთხრობის „კაცია – ადამიანი?!“ პერსონაჟის, ლუარსაბის, ცოლს თავდაპირველ ვარიანტში „ქეთევანი“ ერქვა. ავტორმა მოგვიანებით ჩაანაცვლა იგი „დარეჯანი“, მაგრამ ტექსტის ერთ ეპიზოდში, გადაწერისას, ამ ცვლილების შეტანა დავიწყებია და პირველ პუბლიკაციაში იმ ადგილას ისევ „ქეთევანი“ დარჩა. პოემა „ნათელაში“ ნათქვამია, რომ ჩოხა, რომელიც ნათელამ შეკერა თავისი მომავალი მეუღლისთვის, ცრემლით იყო განბანილი, მაგრამ არ არის დაკონკრეტებული ცრემლის მიზეზი. შესაძლოა, აქ საუბარი იყოს სწორედ პირველ ქმარზე გლოვისას დაღვრილ ცრემლებზე, რაც პოემაში აღარ ჩანს.

არსებული მონაცემებით იმის მტკიცება, რომ ეს ორი ტექსტი „ნათელას“ ადრეული ვარიანტებია, შეუძლებელია, მაგრამ ის კი შეიძლება ვთქვათ, რომ ისინი არ არის დამოუკიდებელი ლირიკული ნაწარმოებები, არამედ არის ეპიკური თხზულების ნაწილები, რომლებსაც დასრულებული სახე არა აქვს.

როდესაც შევადგენთ გამოცემაში შესატანი მასალის სრულ ბიბლიოგრაფიას და დავალაგებთ მათ ტექსტების მიხედვით, შემდეგ უნდა ვიფიქროთ ამ ტექსტების კლასიფიკაციაზე. აკადემიური გამოცემა იცავს ჟანრობრივ-ქრონოლოგიურ პრინციპს, ანუ ტექსტები დალაგებულია ჟანრების, ჟანრის შიგნით კი – ქრონოლოგიის მიხედვით.

მასალის კლასიფიკაცია

როდესაც დავიწყებთ ტექსტების მოწესრიგებას ჟანრობრივ-ქრონოლოგიური პრინციპით, შეიძლება გამოიკვეთოს სირთულეები, მაგალითად,

რომელიმე ტექსტის ჟანრი რთული დასადგენი იყოს და აზრთა სხვადასხვაობას იწვევდეს, ან რომელიმე ტექსტთან თარიღი არ იყოს მითითებული და დადგენას საჭიროებდეს. ამიტომ ტექსტოლოგის პრაქტიკულ ამოცანებს მუდამ ახლავს ფუნდამენტური კვლევები.

როდესაც გვაქვს ბევრი დაუთარიღებელი ტექსტი, პირველ რიგში, ვცდილობთ მიახლოებული სიზუსტით მაინც დავადგინოთ მათი დაწერის დრო, მაგრამ თუ ესეც არ ხერხდება, ვაჯგუფებთ ქვეჟანრებად (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მათ შიგნით კი განვალაგებთ ანბანურ რიგზე.

იმის გამო, რომ კლასიკოსთა ნაწერების სრული კრებულის შედგენისას თავს იყრის ათობით ტომის მასალა და ტომებს გამოსაცემად სხვადასხვა მეცნიერი ამზადებს, ამ უზარმაზარი ტექსტური კორპუსის სწორად ორგანიზება რთული საქმეა. არაერთი შემთხვევა ყოფილა, როდესაც ერთი და იგივე ტექსტი თხზულებათა კრებულებში ორჯერ დაბეჭდილა – თარგმანებში და გადმოკეთებულებში, სათაურით და უსათაუროდ, თარიღიანებში და უთარიღოებში და სხვ. ციფრული კორპუსები საშუალებას გვაძლევს, რომ თავიდან ავიცილოთ ყველა ეს პრობლემა, მაგრამ ამისათვის საჭიროა გამოსაცემად მომზადებული მთლიანი მასალის გადამოწმება საძიებო სისტემის დახმარებით.

გეგმა-პროსპექტის შედგენამდე, აუცილებლად არის გადასაწყვეტი ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიც არის:

ა) ძირითად ნაწილში დავებუჯდოთ ტექსტი, თუ სავარაუდოში: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ანონიმური ტექსტის შეტანას ბიბლიოგრაფიაში წინ უნდა უსწრებდეს მისი ავტორობის საკითხის გარკვევა, მაგრამ ეს საკმაოდ რთული საკითხია და ხშირად აბსოლუტური სიზუსტით ვერ ხერხდება. ამიტომ, თუ ვთვლით, რომ თხზულება ამ ავტორს ეკუთვნის, მაგრამ სრულიად დამაჯერებლად ვერ ვამტკიცებთ, უმჯობესია, რომ იგი განვათავსოთ განყოფილებაში სახელწოდებით – „სავარაუდონი“ („Dubia“). გეგმა-პროსპექტის შედგენამდე ყველა ტექსტთან მიმართებით უნდა გვექონდეს გადაწყვეტილი, რა სტატუსით დაიბეჭდება იგი მწერლის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში, როგორც მისი ნაწარმოები, თუ – როგორც

სავარაუდოდ მისი.

ბ) ესა თუ ის წყარო მეორესთან მიმართებით ვარიანტია, თუ რედაქცია: იმის გადასაწყვეტად, თუ რა მიმართებაშია ერთმანეთთან ორი ტექსტი – ისინი ერთმანეთის ვარიანტებია, თუ სხვადასხვა რედაქცია – ასევე უნდა ჩატარდეს წინასწარი კვლევა. რაც უნდა ბევრი იყოს ტექსტის ორ წყაროს შორის განსხვავება სიტყვების მართლწერაში, ლექსიკაში, თუნდაც იყოს არაერთი ფრაზა ჩამატებული, ან გამოკლებული, თუ მათ შორის არსებითი, კონცეპტუალური, ჟანრობრივი, ან ენობრივი განსხვავება არ არის, ისინი მაინც ვარიანტებად ითვლება, მაგრამ, თუ ტექსტის სიუჟეტმა, რომელიმე ნარატივმა, პესონაჟის სახემ, ავტორისეულმა პოზიციამ, ან სხვა კონცეპტუალურმა ელემენტმა განიცადა ცვლილება, რაც არ უნდა პატარა ტექსტური მოცულობის იყოს ეს ცვლილება, ტექსტი მაინც რედაქციად უნდა ჩაითვალოს. მაგალითად, ილია ჭავჭავაძის ტექსტები – „იანიჩარი“ და „კანვოელი“ – ერთმანეთის რედაქციებია და არა ვარიანტები, მიუხედავად იმისა, რომ მათში მხოლოდ სათაური და ორიოდ ფრაზაა განსხვავებული.

როდესაც ურთიერთმიმართების გასარკვევად შესადარებელია არა მცირე ზომის ტექსტები (მაგალითად, ლექსები), არამედ ვრცელი მხატვრული, ან პუბლიცისტური თხზულებები, ციფრულ კორპუსებს მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა შეუძლია. მათი მეშვეობით იოლად ვპოულობთ ტექსტებში მსგავს ეპიზოდებსა და ფრაზებს (მათი არსებობის შემთხვევაში). ეს ხერხი განსაკუთრებით ეფექტურია უსათაურო, დაუმთავრებელ თხზულებებზე მუშაობისას მათი სხვა წყაროების გამოვლენის მიზნით.

გ) ესა თუ ის წყარო მეორის რედაქციაა, თუ სხვა ნაწარმოები: შემოქმედებითი მუშაობის პროცესში ნაწარმოებმა შეიძლება განიცადოს ცვლილებები მრავალი სხვადასხვა მიმართულებით – შეიცვალოს სათაური, სიუჟეტი, პერსონაჟის სახე, სახელები და სხვ. ჩაფიქრებული ერთი ნაწარმოები შეიძლება დანაწილდეს თემებად და შეიქმნას რამდენიმე დამოუკიდებელი თხზულება, ან, პირიქით, რამდენიმე სიუჟეტი გაერთიანდეს ერთ თხზულებაში. რა არის ასეთ დროს ის დასაყრდენი, რაც გავვამიჯნინებს ერთმანეთისგან დამოუკიდებელ ნაწარმოებებს? ამ საყრდენად სათაური ნამდვილად ვერ

ჩაითვლება, რადგან ბევრ მწერალს აქვს ერთნაირი სათაურის რამდენიმე თხზულება, თან, ავტორმა შეიძლება დასრულებულ ნაწარმოებს შეუცვალოს სათაური და თხზულებას მხოლოდ ამიტომ დამოუკიდებელ ერთეულად ვერ ჩავთვლით.

ვფიქრობთ, რომ, თუ მწერლის რომელიმე ავტოგრაფში ჩანს ისეთი შემოქმედებითი ძიებები, რომლებიც განვითარდა სხვა დასათაურების დასრულებულ ნაწარმოებში, ეს ურთიერთმიმართება აკადემიურ გამოცემაში მითითებული უნდა იყოს და, ტომის შემდგენლებისა და რედაქტორების შეხედულებისამებრ, შეიძლება რედაქციადაც დაიბეჭდოს. მთავარია, რომ ამ მხრივ მთელ გამოცემაში ერთიანი პრინციპი გატარდეს და თითოეული გადაწყვეტილება იყოს არგუმენტირებული.

დ) არის თუ არა ერთმანეთთან კავშირში ორი ნაწყვეტი: მწერლის არქივებში ხშირად გვხვდება ისეთი უსათაურო ავტოგრაფული ნაწყვეტებიც, რომლებიც ერთი ჩანაფიქრის სხვადასხვა ეპიზოდს ასახავს, რის გამოც მათ შორის კავშირის დანახვა, მხოლოდ ტექსტების შინაარსის საფუძველზე, განსაკუთრებით რთულია და ამაში ვერც კორპუსული ანალიზი დაგვეხმარება. ასეთ ვითარებაში, შემოქმედებითი მიდგომა და ტექსტების ჩაღრმავებული კვლევა საჭირო მსგავსი ელემენტების გამოსავლენად.

ე) როდის დაიწერა ნაწარმოები: იმისათვის, რომ სხვადასხვა წყაროში სხვადასხვაგვარად დათარიღებული (ან ერთგან უთარიღო და მეორეგან – თარიღიანი) ტექსტი აკადემიურ გამოცემაში ორჯერ არ მოხვდეს, ან ისეთი ტექსტები არ შევიდეს „უთარიღონის“ განყოფილებაში, რომელთა დათარიღებაც შესაძლებელია, აუცილებელია, რომ გამოცემის გეგმა-პროსპექტის შედგენამდე ჩატარდეს საფუძვლიანი ტექსტოლოგიური კვლევა, მაგრამ, თუ სიახლე გეგმა-პროსპექტის შედგენის შემდეგ გამოვლინდა, აუცილებლად უნდა მოხდეს მასში კორექტივების შეტანა.

აკადემიურ გამოცემაში ამა თუ იმ ტექსტთან დაკავშირებული ავან-ტექსტები: მონახაზი, გეგმა, ჩანაწერი, ფრაგმენტი, სრულად, ან ვარიანტული ცვლილებების ნუსხის სახით წარმოდგენილი, იბეჭდება ამ ნაწარმოების სამეცნიერო აპარატში, ხოლო, რაც შეეხება იმ მონახაზებს, ჩანაწერებსა

და დაუსრულებელ ტექსტებს, რომლებიც არ არის სხვა ნაწარმოებებთან კავშირში, ქვეყნდება დაუსრულებელი თხზულებების განყოფილებაში.

აკადემიური გამოცემის გეგმა-პროსპექტის სამუშაო ვერსია არქივებში მუშაობისას თან უნდა ვიქონიოთ და უცხო მასალის პოვნის შემთხვევაში, გადავამოწმოთ, შედის ეს ტექსტი ჩვენს სიაში, თუ არა. ასეთი მუდმივად განახლებადი სიის ხელმისაწვდომობა გამოცემაზე მომუშავე ჯგუფისათვის, თავიდან აგვაცილებს ტექსტის გამეორებას სხვადასხვა ტომში.

ვრცელ აკადემიურ გამოცემაში ერთი და იმავე ტექსტის ორჯერ დაბეჭდვას, ან საერთოდ გამორჩენას იწვევს ხოლმე ის, რომ ცალსახად არ არის დადგენილი ტექსტის ავტორობის საკითხი, მაგალითად, თარგმანია თუ მიბაძვა. თუ თარგმანია, თარგმანებთან ერთად უნდა დაიბეჭდოს, მაგრამ, თუ მიბაძვაა – ორიგინალურ თხზულებებთან. გამოცემაში ტექსტის ორგან დაბეჭდვა შეიძლება გამოიწვიოს იმან, რომ სხვადასხვა წყაროში სხვადასხვა სათაური აქვს, ან სხვადასხვა თარიღები. მაგალითად, ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ოცტომეულში ლექსი „მეცა მქონია კარგი მამული...“ ორჯერ დაიბეჭდა: ერთხელ ორიგინალური თხზულებების ტომში, მეორედ კი – თარგმანებისაში. ეს გაუგებრობა გამოიწვია იმან, რომ ლექსი მიბაძვაა და დგას თარგმანისა და ორიგინალური თხზულების ზღვარზე.

ჟანრებისა და ქრონოლოგიის მიხედვით მასალის დალაგება

ზოგჯერ სირთულეებს ვაწყდებით თხზულების ამა თუ იმ ჟანრისათვის მიკუთვნების გადაწყვეტილების მიღებისას. გამოცემის კონცეფციის შემუშავებისას აუცილებლად უნდა განისაზღვროს ისიც, მხატვრულ-დოკუმენტური თხზულებები ცალკე დაიბეჭდოს, მხატვრულებთან, თუ დოკუმენტურებთან. უკეთ რომ გავიაზროთ, რა ტიპის ტექსტებზეა საუბარი, თვალი გადავავლოთ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა ფშაველას წერილებს გამოგონილი სიუჟეტებისა და ტიპაჟების: სფირიდონისა და თადეოზის, მამუკასა და ექვთიმეს, ივანიკასა და გოჯასპირის მონაწილეობით.

ბიძა-ძმისწული – თადეოზი და სფირიდონი – ილიამ თავის ნაწერებში

პირველად 1863 წელს შემოიყვანა ციკლში „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“. მწერლის მიზანი იყო ეჩვენებინა „მამებისა“ და „შვილების“ ტიპური სახეები, მათი ღირებულებები, მისწრაფებები და შეხედულებები კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით. მართალია, ამ ტექსტების მიზანდასახულობა პუბლიცისტურია, მაგრამ პერსონაჟების სახეთა წარმოსახენად ავტორი მხატვრულ ხერხებს იყენებს.

ყველა ის საკითხი, რაც „სფირიდონისა და თადეოზის ბაასშია“ განხილული, ილიამ მანამდეც წამოჭრა დოკუმენტურ პუბლიცისტურ წერილებში, მაგრამ იქ მეცნიერულად მსჯელობდა, აქ კი ყველა პრობლემას მარტივად განიხილავს, რომ უფრო გასაგები გახადოს სწორედ თადეოზის მსგავსი მკითხველისთვის. წერილების მიმზიდველობას ისიც განაპირობებს, რომ მონაწილეებს მასში, განსხვავებული შეხედულებების გარდა, სხვადასხვაგვარი მეტყველება და განწყობა შემოაქვთ.

„საქართველოს მოამბეში“ „სფირიდონისა და თადეოზის ბაასის“ სამი სტატია დაიბეჭდა, 80-იან წლებში კი მწერალმა პაექრობას პირადი წერილების სახე მისცა („წერილები გადაღმითგან“, 1886-1890). როგორც დიალოგის, ისე მიმოწერის ფორმის არჩევისას ავტორები, ძირითადად, ერთი რომელიმე პერსონაჟის პირით გადმოგვცემენ საკუთარ დამოკიდებულებას, თავის ნაცვლად მას ამეტყველებენ. ასეთი ილიასათვის სფირიდონია. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მიმოწერაში მთავარი როლი მას დაეკისრა. ყველა წერილი სფირიდონის მიერ არის დაწერილი და მათშივეა ინფორმაცია თადეოზის პასუხების შესახებაც. ავტორმა დიალოგიდან მიმოწერაზე გადასვლის ფაქტს სიუჟეტური ახსნა მოუძებნა, ვითომდა თადეოზი მოხუცდა, ქალაქში ვედარ ჩამოდიოდა, ბიძა-ძმისწული ერთმანეთს ვერ ხვდებოდა და საუბრებიც ამიტომ აღარ იმართებოდა, მაგრამ რეალურად მწერალს დასჭირდა ცოტა უფრო ვრცელი და ჩაღრმავებული მსჯელობა, რასაც წერილის ფორმა უკეთ დაიტევდა.

80-90-იან წლებში ილიას მიერ ნაცად ხერხს ვაჟა-ფშაველამაც მიმართა. მან „ივერიაში“ გამოაქვეყნა ეპისტოლური ფორმით დაწერილი სტატიების სერია, რომელშიც შემოიყვანა პერსონაჟები – მამუკა და ექვთიმე

(„წერილი მეგობართან“, 1889–1893).

ამ სახეებშიც იმდროინდელი საზოგადოების ცალკეული წრეებია განზოგადებული. სფირიდონისა და თადეოზისგან განსხვავებით, ისინი ერთი თაობის წარმომადგენლები არიან, ერთად სწავლობდნენ და ერთნაირი განათლება მიიღეს, მაგრამ ცხოვრების წესი და მიზანდასახულობა რადიკალურად განსხვავებული აქვთ. მამუკასთვის მთავარი ეროვნული ღირებულებებია, ექვთიმესთვის კი – პირადი კეთილდღეობა. წერილები თავიდან მშვიდი, კეთილგანწყობილი კილოთია დაწერილი, მაგრამ ბოლო ორ ბარათში ურთიერთობა ძალიან მწვავედება. მხატვრული სიუჟეტის მსგავსად, გარკვევით იკვეთება კვანძის შეკვრა და გახსნა. ექვთიმეს შესახებ მოულოდნელად ვიგებთ ბევრ ისეთ რამეს, რაც მასზე წარმოდგენას გვიცვლის.

წერილებისთემატიკასაქაცგანაპირობებსარჩეულტიპაჟთანტერესების სფერო. ამ შემთხვევაში იგი მოიცავს საკითხებს სათავადაზნაურო ბანკის, პოლიტიკური მიმდინარეობების, ქართველთა ნიჰილისტობის, ეროვნული თვითშეგნების არქონის, კარიერიზმის, ზნე-ჩვეულებების, მშობლიურ ენაზე სწავლების აუცილებლობის და სხვ. შესახებ. წერილებში შიგადაშიგ ჩართულია ლექსები, რომელთა დიდი ნაწილიც განსახილველი საკითხებიდან გამომდინარეობს და სპეციალურად სტატიებისთვის დაწერილი ჩანს. მამუკასა და ექვთიმეს მიმოწერა, მათი შეხედულებების, მიზანდასახულობისა და ხასიათების გარდა, განსხვავებულია ენითა და სტილითაც. პირველი, ჩვეულებრივ, სასაუბრო ენაზე წერს და ხშირად იყენებს ქართულ ანდაზებს, მეორის წერილები კი აჭრელებულია რუსული ფრაზებით.

90–იან წლებშივე მხატვრული ტიპაჟები და გამოგონილი სიუჟეტი აკაკი წერეთელმაც გამოიყენა („სახუმარო გასართობი“, 1893–1897). მანაც, ილიას პირველი ციკლის მსგავსად, დიალოგის ფორმას მიმართა. რამდენადაც იმ პერიოდში ბანკის საკითხებთან დაკავშირებით გამწვავებული იყო დაპირისპირება დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს წარმომადგენლებს შორის, მწერალმა დიალოგის მონაწილეებად ამ მხარეთა ტიპური წარმომადგენლები აირჩია – ივანიკა და გოჯასპირი. კამათის ტონი არც აქ არის ცხარე და ორი პერსონაჟიდან უფრო აქტიურია ის, რომელიც

ავტორისეულ პოზიციას იცავს. ამ შემთხვევაში ეს არის ივანიკა. პერსონაჟთა სამეტყველო სტილი მნიშვნელოვნად განსხვავებულია ერთმანეთისგან. აღმოსავლელი გოჯასპირი, ძირითადად, სალიტერატურო ენაზე მეტყველებს, ივანიკას საუბარში კი უხვადაა დასავლური დიალექტიზმები და დამახინჯებული ნასესხები სიტყვები, მაგ.: „მარა“, „მიჩიკინებს“, „რაცხა“, „ლედახტორი“ და სხვ.

დილოგებიდან ჩანს როგორც პერსონაჟთა პირადი პრობლემები, რაც წმინდად მხატვრული გამოწვავაა, ისე რეალური საზოგადოებრივი ვითარება. ხშირად არის გაკრიტიკებული გაზეთი „ივერია“ და სათავადაზნაურო ბანკი, ეჭვია გამოთქმული საგაზეთო რეკლამების სანდოობაზე, ბანკის ხელმძღვანელობის უანგარობაზე და სხვ. სტატიებში მწერალი იყენებს სხვადასხვა ტროპს, განსაკუთრებით ხშირად – ჰიპერბოლას და ალევორიას. ბანკის ხელმძღვანელობას უცხო ცხოველებად – ოხტიობავრად და პლემიობავრად, სხვაგან კი ღორკუდეიდ და გოჭკუდეიდ წარმოაჩენს და სარკასტულად აღწერს მათ ორთაბრძოლას. ყოველივე ეს გაფორმებულია აკაკისთვის დამახასიათებელი სატირულ-იუმორისტული სახეებით და შესაბამისი ლექსიკით, რის გამოც წერილები მსუბუქად იკითხება.

განხილული სამი ციკლი ფორმისა და მიზანდასახულობის მხრივ ერთნაირია. სამივეგან არის გამოგონილი სიუჟეტი და პერსონაჟები, მიზანი კი პუბლიცისტურია. ქართველ მწერალთა შემოქმედებაში კიდევ არაერთი ასეთი ტექსტია, რომლებშიც შერწყმულია მხატვრული და დოკუმენტალისტური ელემენტები.

ამგვარი ტექსტების რაობაზე ბევრს წერენ უცხოელი მეცნიერები. ერთნი მიიჩნევენ, რომ ეს არსებითად პუბლიცისტიკაა და სხვა პუბლიცისტური წერილებისაგან გამოყოფილი არ უნდა იყოს, მეორენი კი ამ ტექსტების ცალკე დაჯგუფების მომხრენი არიან. რუსი მეცნიერის, ლარისა მიხაილოვას, აზრით: „სწორედ იმიტომ, რომ დოკუმენტალურობა, როგორც ფელეტონის ტიპოლოგიური ნიშანი, წარმოადგენს ჟანრის მხატვრული სტრუქტურის ელემენტს, გამოგონილი ფაქტები და სახეები, რომლებიც შემოტანილია ფელეტონის ქსოვილში, აღიქმება, როგორც ყოველდღიური, დოკუმენტური,

სარწმუნო ფაქტების კანონზომიერი განზოგადება. ამ ასპექტში ფელეტონი არის დოკუმენტური ჟანრი და მისი დაყოფა ბელეტრიზებულიად და პუბლიცისტურად ძალზე პირობითია“.

ამავე აზრს ავითარებს ამერიკელი მეცნიერი შელი ფიშკინი: „მოვიდა დრო, რომ მოიხსნას საზღვრები, რომლებიც ერთმანეთისგან აცალკევებს ჟურნალისტიკისა და მხატვრული ლიტერატურის შემოქმედთა სამყარებს“. მეცნიერი ამას ფაქტისა და გამონაგონის ქორწილს უწოდებს. ლენარდ დევისის თვალსაზრისით, ეს საზღვრები არც იმთავითვე ყოფილა მყარი, რადგან ჟურნალისტიკასა და რომანს, მისი თქმით, საერთო ძირები აქვს მე-16 – მე-17 საუკუნეების განუყოფელი დისკურსის მქონე ლიტერატურაში. ნორმან სომსი და მარკ კრამერი მხატვრული პუბლიცისტიკის („Literary Journalism“) ერთ-ერთ პირველ წარმომადგენლად დანიელ დეფოს მიიჩნევენ.

როგორც აღვნიშნეთ, არსებობს განსხვავებული მოსაზრებებიც, რომელთა მიხედვითაც: მხატვრულ-დოკუმენტური ლიტერატურა ჩამოყალიბების აქტიურ პროცესში მყოფი მხატვრული სტილია, რომლის სპეციფიკაც არის დოკუმენტალიზმის გამოყენება ესთეტიკური მიზნებისათვის. აქ კონკრეტული ფაქტები სახეების მნიშვნელობას იძენს, რეალურ მოვლენათა სისტემა ეპიკურ სიუჟეტად იქცევა, პირადი განსჯა და ავტორ-მთხრობელის ასოციაციები – ლირიკულ სიუჟეტად, საზოგადოებრივი ძალების შეჯახება, რეალურ ადამიანთა დაპირისპირება და ავტორ-მთხრობელის სულში მიმდინარე შინაგანი ბრძოლა კი – თხზულების კონფლიქტებად. ასევე წერენ, რომ ფაქტობრივი სიზუსტე ამ ტიპის ტექსტებში მხატვრული ზემოქმედების დომინანტური საშუალებაა და არა თვითმიზანი. ფაქტები გარდაიქმნება ხატიდებებად და ხატ-პერსონაჟებად, რომლებიც მჭიდრო კავშირშია თვითავტორის ხატთან და ქმნის ლირიკულ-ეპიკურ სამყაროს. მხატვრული დოკუმენტალობა არის არა მხოლოდ სტილის ელემენტი, არამედ ფორმადქმნადობის პრინციპი, რომელიც აღწევს ტექსტის ყველა სტრუქტურულ კომპონენტში.

ჟანრობრივი იდენტიფიკაციის სირთულეს მხოლოდ მხატვრულ პუბლიცისტიკაში არ ვაწყდებით და ეს პრობლემა, ალბათ, ეპოქების მიხედვით უნდა იქნეს შესწავლილი. მე-19 და მე-20 საუკუნეების ლიტერატურაში

თავი იჩინა ჟანრობრივი დაყოფის ატროფიის ტენდენციამ. მწერლები სულ უფრო იშვიათად იყენებდნენ მკვეთრად რეგლამენტირებულ სტრუქტურებს, რომლებიც ანაქრონიზმებად აღიქმებოდა. ეპოსშიც, ლირიკაშიც და დრამაშიც წამყვანი ადგილი დაიკავა ისეთმა სინთეზურმა ფორმებმა, რომლებიც ძნელი მისაკუთვნებელია რომელიმე ჟანრისათვის. შემდეგ ეს ტენდენცია კიდევ უფრო გაძლიერდა. თუ „აფრიკის მწვანე მთებში“ ჰემინგუეი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ცდილობდა შეექმნა რაღაც შუალედური ჟურნალისტიკასა და მხატვრულ გამონაგონს შორის, მოგვიანებით ედგარ ლორენს დოქტორუმ განაცხადა, რომ „უკვე აღარ არსებობს ცალკე მხატვრული ლიტერატურა და ცალკე არამხატვრული – არის მხოლოდ ნარატივი“.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, ძნელი მისახვედრი არ არის, რა რთული საკითხების გადაჭრა უხდება ტექსტოლოგს. ამიტომ სასურველია, რომ იგი მჭიდროდ თანამშრომლობდეს ლიტერატურის თეორეტიკოსებთანაც.

ძალზე ძნელია პროექტის დასაწყისშივე ისეთი ზუსტი გეგმა-პროსპექტის შედგენა, რომელშიც მისი მსვლელობის განმავლობაში არაფერი იქნება შესაცვლელი. შეიძლება გაირკვეს ისეთი ტექსტის თარიღი, რომლის დათარიღებაც გეგმა-პროსპექტის შედგენამდე ვერ მოხერხდა; შეიძლება დაზუსტდეს რომელიმე ტექსტის ჟანრი, ან მისი ურთიერთმიმართება სხვა ტექსტისადმი და სხვ. ამის გამო გეგმა-პროსპექტიც, ფაქტობრივად, პროექტთან ერთად იხვეწება. როდესაც მასალა ტომებშია გადანაწილებული, თითოეულ ტომს თავისი შემდგენელი ან შემდგენლები ჰყავს და მათ უკვე აქვთ ნამუშევარი ამ მასალაზე. მისი სხვა ტომში გადატანისას აუცილებლად უნდა იყოს დაცული ინტელექტუალური საკუთრების პრინციპი და მითითებული იყოს მასალის მომზადებელი.

აკადემიური გამოცემის ხარისხი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მასზე მომუშავე ტექსტოლოგთა ჯგუფის კოორდინირებულ მუშაობასა და შრომის სწორ გადანაწილებაზე. სასურველია, რომ ბიბლიოგრაფიის შედგენიდან დაწყებული ტომების გამოსაცემად მომზადების დასრულებამდე, თითოეულს ჰქონდეს იმის შეგრძნება, რომ გარკვეულწილად პასუხისმგებელია მთელ გამოცემაზე. პროექტი ბევრად უფრო წარმატებული

იქნება, თუ მასზე მომუშავე მთელ ჯგუფს ეცოდინება გამოცემის პრობლემური საკითხები და იფიქრებს მათზე. ბიბლიოგრაფიის შედგენის ეტაპზე ეს იქნება თითოეული ახალი წყაროს მოძიება, მასალის ტომებში გადანაწილების შემდეგ კი – ნებისმიერ ტომში შემაჯავალი ტექსტის ატრიბუცია, ხელნაწერის ამოუკითხავი ადგილი, დაუდგენელი თარიღი, ადრესატი, მოხსენიებული პირი, რთული საკომენტარო ფრაზა და სხვ. სხვის ტომში შემაჯავალ ასეთ პრობლემურ საკითხებზე სამუშაოდ პროექტის თითოეული მონაწილის მოტივაციის ასამაღლებლად სასურველია, რომ პროექტის მსვლელობის განმავლობაში ქვეყნდებოდეს ერთგვარი საანგარიშო სტატიები, რომლებშიც აღწერილი იქნება საერთო პრობლემების გადაჭრაში თითოეული მონაწილის მიერ შეტანილი წვლილი.

სპეციფიკური რუბრიკები

როგორც აღვნიშნეთ, აკადემიურ გამოცემაში მასალა ჟანრობრივ-ქრონოლოგიური პრინციპით ლაგდება, მაგრამ გამომცემელთა სტრატეგიის მიხედვით, ზოგჯერ გამოცემაში გამოყოფენ ხოლმე განყოფილებებს: „კოლექტიური“, „ყრმობისდროინდელი“, „სავარაუდო“ და სხვ.

„კოლექტიურში“ შეიძლება შევიდეს თანაავტორობით შექმნილი ტექსტები (იხ. ილუსტრაცია N 9), ან ამა თუ იმ ავტორის მიერ იმდენად სერიოზულად რედაქტირებული სხვისი ტექსტი, რომ იგი უკვე თანაავტორად ჩაითვალოს.

ზოგჯერ ნაწარმოებს მითითებული აქვს, რომ გაგრძელება მოჰყვება, მაგრამ რეალურად არ გრძელდება და ტექსტის ანალიზიც იმაზე მიგვანიშნებს, რომ იგი დასრულებულობის შთაბეჭდილებას უფრო ტოვებს. ასეთია, მაგალითად, ილია ჭავჭავაძის ეტიუდი „უცნაური ამბავი“. ამიტომ, ვიდრე გადავწყვეტდეთ ასეთი ტექსტების ცალკე რუბრიკაში შეტანას, აუცილებლად უნდა ჩატარდეს კვლევა.

„სავარაუდონის“ რუბრიკაში იბეჭდება ხოლმე ისეთი ტექსტები, რომელთა ავტორობასთან დაკავშირებითაც გარკვეული მეცნიერული

არგუმენტირება არსებობს, მაგრამ საკითხი საბოლოოდ დაზუსტებულად ვერ ჩაითვლება. ზოგ შემთხვევაში, ასეთი თხზულებების რაოდენობა იმდენად დიდია, რომ შეიძლება ეს რუბრიკა ცალკე ტომდაც კი გამოიყოს. ასეთია, მაგალითად, ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ოცტომეულის მე-15 ტომი, რომელშიც დაბეჭდილია მისი ხელმოუწერლად გამოქვეყნებული პუბლიცისტური ნაწარმოებების დიდი ნაწილი.

არაერთ აკადემიურ გამოცემაში ცალკეა გამოყოფილი „ყრმობის-დროინდელი თხზულებები“, მაგრამ ამ პრინციპთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ქრონოლოგიური პრინციპის დარღვევა ყრმობისდროინდელი ნაწერების ცალკე გამოსაყოფად არ ღირს.

ძირითადი წყაროს არჩევა

აკადემიურ გამოცემაში ძირითად წყაროდ უმრავლეს შემთხვევაში იბეჭდება ავტორის ბოლო ნების გამომხატველი ტექსტი. ეს შეიძლება იყოს როგორც ავტოგრაფი, ისე სიცოცხლისდროინდელი პუბლიკაცია, რომლის მომზადებაშიც უშუალოდ მონაწილეობდა მწერალი.

ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძე ძალიან აქტიურად იყო ჩართული თავისი თხზულებების ოთხტომეულის მომზადებაში, რომლის გამოცემაც 1892 წელს დაიწყო. ბევრი ტექსტი ბოლოჯერ მან სწორედ ამ გამოცემისთვის გადაამუშავა. ამიტომ იმ თხზულებათა ძირითად წყაროდ, რომლებიც ამ გამოცემაში დაიბეჭდა, აკადემიური ოცტომეულის მომზადებისას გამოყენებულ იქნა ეს ოთხი ტომი.

თუ მწერალი ნაკლებად ერეოდა თავისი თხზულებების გამოცემაში, ან თუ ვიცით, რომ ეს გამოცემები გადიოდა თავისუფალ რედაქტირებას და მკაცრ ცენზურას, ძირითად წყაროდ ვირჩევთ ავტოგრაფებს. არის შემთხვევები, როცა ავტორის ბოლო ნების ამსახველი წყარო არასრულია. ასეთ შემთხვევაში შეგვიძლია მივმართოთ კონტამინაციას, ტექსტის ის ნაწილი, რომელიც ამ წყაროში არის წარმოდგენილი, დავბეჭდოთ მის მიხედვით, დანარჩენი კი – სხვა წყაროზე დაყრდნობით. თუ მთელ გამოცემაში ძირითად ტექსტად შეგვაქვს

რომელიმე ერთ წყაროში წარმოდგენილი ტექსტები, როგორც ეს იყო ილია ჭავჭავაძის 1892 წლის გამოცემის შემთხვევაში, ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ძირითად ტექსტად ყველგან ვიყენებთ ამ წყაროს, შეგვაქვს სამეცნიერო აპარატის წინასიტყვაობაში, მაგრამ, თუ ძირითად ტექსტს ვიღებთ სხვადასხვა წყაროდან, მაშინ ამის შესახებ ვწერთ თითოეული ტექსტის პასპორტში, სადაც ძირითადი წყაროს აღმნიშვნელად ვიყენებთ ხოლმე A ლიტერს.

კანონიკური ტექსტის დადგენა

ტექსტოლოგიის მთავარი ამოცანაა, წარმოადგინოს გამოსაცემი ტექსტი სწორი, კანონიკური სახით. მაგრამ რა იგულისხმება სწორსა და კანონიკურში, ამასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. მე-19 საუკუნის შუა წლებამდე, ძირითადად, დიპლომატიურ გამოცემებს ახორციელებდნენ, ანუ გამოსცემდნენ ტექსტს რომელიმე ერთ წყაროზე დაყრდნობით. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება კრიტიკული გამოცემები. მე-20 საუკუნის ტექსტოლოგიაში დიდი ადგილი ეთმობა ავტორის ნებისადმი ფსიქოლოგიურ მიდგომას.

როგორც აღვნიშნეთ, ტექსტოლოგს მოეთხოვება პირველწყაროსთან მაქსიმალურად მიახლოებული ტექსტური ვერსიის დადგენა. თუ ტექსტს ერთზე მეტი წყარო აქვს, ეს ამოცანა სამი ფაზისაგან შედგება: რეცენზირება, შეჯერება (კოლაცია) და შესწორება. რეცენზირების (recensio) ეტაპზე ხდება ტექსტის პირვანდელი ფორმის დადგენა. ამისათვის ტექსტოლოგი ეყრდნობა როგორც შიდა, ისე გარე წყაროებს. შიდა წყაროებში იგულისხმება ტექსტის ყველა არსებული ხელნაწერი და პუბლიკაცია, ასევე ციტირებები და სხვა ენებზე შემორჩენილი რედაქციები. როცა ტექსტს ერთი წყარო აქვს, ვარიანტების შეჯერების ეტაპი გამოირიცხება. გარე წყაროებმა შეიძლება მოგვაწოდოს ინფორმაცია, როგორ შეიქმნა ხელნაწერი. გარე წყაროების ინფორმაცია მეტია ბეჭდურ გამოცემებთან დაკავშირებით. მის მიხედვით ხშირად წყდება კონიექტურისა და ტექსტის რეკონსტრუქციის საკითხი. რეცენზირების ეტაპზე იკვეთება ზოგჯერ ორი-სამი, სავარაუდოდ,

ავტორისეული წაკითხვა. შეჯერების ფაზაზე დგინდება, რომელი წაკითხვებია ავთენტური. ჩასწორების ეტაპზე კი ხდება ტექსტის წყაროსთვის არქექტიპული სახის დაბრუნება. კონიექტურის დროს, ხშირად ხდება საჭირო იმის გარკვევა, რომელი წაკითხვიდან შეიძლებოდა გაჩენილიყო ესა თუ ის წაკითხვა.

კონიექტურას ვუწოდებთ ტექსტის მხოლოდ ისეთ სწორება-რეკონსტრუქციას, როდესაც მსგავსი ვარიანტი არ ფიქსირდება ჩვენ ხელთ არსებულ არც ერთ წყაროში და ცვლილება შეგვაქვს არაპირდაპირი მონაცემების საფუძველზე, გარეშე წყაროებისა და ფაქტორების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, კონიექტურას დივინატორულ კრიტიკასაც უწოდებენ (ლათ. „divinatio“ – ამოცნობის უნარი). კონიექტურის საფუძველი შეიძლება გახდეს თავად წყაროში რაიმე მინიშნების არსებობა, ტექსტის ლოგიკა, მისი წარმოშობის ისტორიული პირობები, მხატვრული სტრუქტურა (მაგ. რითმა, რიტმი), მიმართება სხვა ძეგლებთან და ა. შ. კონიექტურის დროს ტექსტოლოგმა არ უნდა გადალახოს ზღვარი ფილოლოგიასა და პოეტურ იმიტაციას შორის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არ უნდა გაითვალისწინოს ესთეტიკური მხარე. აქ ორივე მნიშვნელოვანია, ფაქტიც და გემოვნებაც. უბრალოდ, გადაწყვეტილება უნდა იყოს ობიექტური და არა გამომცემლის პირად გემოვნებაზე დაფუძნებული.

ტექსტის დადგენა პრობლემურია არა მხოლოდ ძველ წყაროებთან მიმართებით, არამედ შედარებით გვიანდლებთანაც, თუ ისინი დაზიანებული, ან არასრული ავტოგრაფების სახით არის მოღწეული. ასეთებია, მაგალითად, ალექსანდრე გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“ და მიხეილ ლერმონტოვის „დემონი“, რომელთა სრული ავტორისეული ვერსიები არ შემორჩენილა.

კანონიკური ტექსტის დასადგენად, სხვადასხვა ტიპის წყაროსთან მიმართებით სხვადასხვაგვარი სტრატეგიის გამოყენებაა საჭირო. თუ ძირითად ტექსტად ვირჩევთ მწერლის ავტოგრაფს, მაშინ უნდა შევეცადოთ, რომ შევქმნათ მისი ზუსტი ტრანსკრიპტი და მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოვიყენოთ სხვა წყაროთა წაკითხვების მიხედვით სწორებების შეტანა, ან კონიექტურა, თუ არჩეულ ხელნაწერში რაიმე ნაკლები, ან საეჭვოა.

თუ ძირითად ტექსტად ბეჭდურ წყაროს ვიყენებთ, აუცილებელია

რედაქტორისა და ცენზურის ჩარევების, ან ბეჭდური ლაფსუსების გამორიცხვა. ამ მიზნით შეგვიძლია გამოვიყენოთ როგორც ტექსტის სხვა წყაროები, ისე გამომცემლებთან და გამოცემასთან დაკავშირებული სხვადასხვა ხასიათის დამატებითი ინფორმაცია.

როდესაც მეცნიერული კვლევის შედეგად ირკვევა, რომ ტექსტში იყო უზუსტობები და ახალ გამოცემაში ხდება მათი შეცვლა, არათუ რიგით მკითხველებს, ზოგჯერ მეცნიერებსაც უჭირთ ამ ცვლილებებთან შეგუება, მაგრამ, თუ სწორებები ობიექტური და არგუმენტირებულია, მათი გათვალისწინება აუცილებელია. იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ ძნელად ეგუებიან ადამიანები ტექსტში ცვლილების შეტანას, უცხოელი ტექსტოლოგები ხშირად იშველიებენ ასეთ ისტორიას: ერთი კათოლიკე მღვდელი ღვთისმსახურების დროს არასწორად გამოთქვამდა ლათინურ სიტყვას *sumpsimus* და, მიუხედავად იმისა, რომ არაერთგზის მიუთითეს, კვლავ და კვლავ იმეორებდა *umpsimus*, ასეთი სიტყვა კი საერთოდ არ არსებობდა. ეს ანალოგია პირველად გამოიყენა ცნობილმა ჰოლანდიელმა ჰუმანისტმა და თეოლოგმა ერაზმ როტერდამელმა (*Desiderius Erasmus Roterodamus*) 1516 წელს ინგლისელი მეგობარი მღვდლისთვის გაგზავნილ წერილში. იგი გულსტკივილით საუბრობდა მის მიერ გამოცემული ბერძნული ახალი აღთქმის ტექსტში შეტანილი სწორებებისადმი საზოგადოების უარყოფით დამოკიდებულებაზე. მის მიერ გამოყენებული ეს შედარება შემდეგ სხვებმაც აიტაცეს და ფრაზა „მამფსიმუს–სამფსიმუს“ ცვლილებების ჯიუტად მიუღებლობის გამომხატველ იდიომად იქცა.

რამდენადაც ტექსტოლოგი დამოკიდებულია იმ ტექსტებზე, რომლებიც მისთვის არის ხელმისაწვდომი, ახალადმოჩენილმა წყარომ შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა მოითხოვოს მანამდე გამოცემულ ტექსტში. ასეთი ცვლილებები უხვად იქნა შეტანილი „ბიბლიის განახლებულ ვერსიაში“ და „თანამედროვე ინგლისურ ბიბლიაში“, რომლებიც მას შემდეგ გამოიცა, რაც 1947 წელს ყუმრანის გამოქვეყნებულ ალმონჩინეს ე. წ. „მკვდარი ზღვის გრაგნილები“ და გაშიფრეს ძველი ტექსტები.

ახალი წყაროების აღმოჩენამ შეიძლება ცვლილებების შეტანა

მოითხოვოს არა მხოლოდ კონკრეტულ ტექსტში, არამედ ზოგად თეორიებშიც. მაგალითად, ქართული ენის ისტორიულ განვითარებასთან დაკავშირებით, მეცნიერებს ახალი დასკვნების გამოტანის საშუალება მისცა ხანმეტი ტექსტების აღმოჩენამ, ქართული დამწერლობის წარმომავლობასთან დაკავშირებით – ნეკრესის, რუსთავისა და ნაზარეთის წარწერებმა, რომელთა სტილი სხვა ეპიგრაფიკული ძეგლების სტილისაგან განსხვავებულია და სხვ. აკადემიური გამოცემა ინერციით არ უნდა იმეორებდეს წინა გამოცემების მიდგომებს და, თუ კვლევათა შედეგები მოითხოვს ტექსტის ფუნდამენტურ ცვლილებას, ეს უნდა გაკეთდეს.

იმის საუკეთესო მაგალითად, რომ მნიშვნელოვანი აღმოჩენები კვლავაც შეიძლება გველოდეს წინ, საკმარისია თუნდაც მკვდარი ზღვის გრაგნილების ისტორიის გახსენება. 1947 წელს ახალგაზრდა ბედუინმა მწყემსმა ყუმრანის ერთ-ერთ გამოქვაბულში ქვის შეგდებისას გაიგონა, ჭურჭლის გატეხის ხმა და ადგილზე მისვლისას იპოვა პირველი ნაწილი იმისა, რაც მოგვიანებით მკვდარი ზღვის გრაგნილების სახელწოდებით გახდა ცნობილი. ამ გრაგნილებზე ძველი ხელნაწერებია, რომელთა უმეტესობა დაწერილია ებრაულ ენაზე, ზოგი – არამეულზე და რამდენიმე – ბერძნულზე. ბევრი მათგანი 2 000 წელზე მეტი ხნისაა. ძიების შედეგად სხვა გამოქვაბულებშიც იქნა აღმოჩენილი გრაგნილები და მათი ფრაგმენტები. სულ 1947–1956 წლებში მკვდარი ზღვის მახლობლად 11 სხვადასხვა გამოქვაბულში აღმოჩნდა დაახლოებით 800 ხელნაწერი. აქედან 200–მდე არის ბიბლიის სხვადასხვა ნაწყვეტის ასლები, დანარჩენი კი – არაბიბლიური ტექსტები.

სამეცნიერო აპარატი

აკადემიური გამოცემის მეორე განსაკუთრებული ღირსება მისი სამეცნიერო აპარატია. მიუხედავად იმისა, რომ ამ აპარატში ინფორმაცია მაქსიმალურად კომპაქტურად შედის, თითოეულის მომზადებას წინ უსწრებს ხანგრძლივი, ფუნდამენტური კვლევები. ეს განაპირობებს გამოცემის ინფორმაციულობასა და სანდოობას.

ტექსტოლოგიური პასპორტი

აკადემიური გამოცემის პირველ ნაწილში იბეჭდება თხზულებათა ძირითადი ტექსტები, მეორე ნაწილში კი – სამეცნიერო აპარატი. ამ აპარატს წინ უძღვის პრეამბულა სათაურით „ტექსტისათვის“, რომელიც ასრულებს მოკლე გამკველვის როლს და ეხმარება მკითხველს სამეცნიერო აპარატის გამოყენებაში. ამ პრეამბულაში გადმოცემულია პასპორტების, ვარიანტების, შენიშვნების, კომენტარებისა და საძიებლების შედგენის წესი, მოცემულია სიმბოლური აღნიშვნებისა და შემოკლებების მნიშვნელობა.

თუ ტომში შემავალი დაუთარილებელი ტექსტების დიდი ნაწილი თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით, ამის შესახებ პრეამბულაში აღვნიშნავთ და ვიტყვით, რომ ცალკეულ ტექსტებთან დაკავშირებით დათარიღებაზე ვისაუბრებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რაღაც სხვა მონაცემების საფუძველზე ვახდენთ დათარიღებას და არა პირველი პუბლიკაციით. ანუ, აქ არის მოცემული ისეთი ზოგადი ინფორმაცია, რომელიც ყველას, ან ტექსტების დიდ ნაწილს ეხება და პრეამბულაში ამის თქმით თავიდან ვიცილებთ ამ ინფორმაციის თითოეული ტექსტის პასპორტში გამეორებას.

გემოთ განხილული გვქონდა ტექსტის სამეცნიერო პასპორტის შედგენასთან დაკავშირებული ძირითადი პრინციპი – მისი დოკუმენტურობა და სიზუსტე. ტექსტოლოგმა პასპორტში ტექსტიდან ზუსტად უნდა გადმოიტანოს სათაურიც, ქვესათაურიც, დათარიღებისა და ხელმოწერის ფორმებიც და არ უნდა დაუშვას მცირეოდენი უზუსტობა. რაც შეეხება პასპორტის რუბრიკებს, იგი გამოცემის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება შეიცვალოს.

ვარიანტები და ვარიანტული კორპუსი

გარდა იმისა, რომ ტექსტზე მუშაობისას მასში სწორებები შეაქვს თავად ავტორს, ცვლილებები ჩნდება მასალის თითოეული ტრანსმისიის – გადაწერის,

გადაბეჭდვის, კომპიუტერში შეყვანის დროსაც. ზოგ შემთხვევაში ეს კეთდება გააზრებულად, ზოგჯერ კი – მექანიკურად. გადამწერი იქნება ეს, მბეჭდავი, თუ ტექსტის ამკრეფი, შეცდომის დაშვებისაგან არავინაა დაზღვეული. როგორც კი ჩნდება ვარიანტები, იწყება ტექსტოლოგის საქმე. მან უნდა განსაზღვროს, ვის ეკუთვნის ვარიანტული წაკითხვა და რით არის ის გამოწვეული. ცვლილების მიზეზი ასევე შეიძლება იყოს ტექსტის მექანიკური დაზიანება, მისი ნაწილის მექანიკური გამოტოვება, არასწორად ამოკითხვა, ტექსტის ენის, ან განხილული თემის არცოდნა, უყურადღებობა, უპასუხისმგებლობა, ან სულაც ტექსტის განზრახ ჩასწორება. ტექსტოლოგის ამოცანაა, გაათავისუფლოს ტექსტი მექანიკური შეცდომებისა და სხვათა ჩარევებისაგან და მიაწოდოს მკითხველს ავთენტური სახით.

უძველეს ტექსტებს, განსაკუთრებით, ბიბლიურს, ძალიან ბევრი ვარიანტი აქვს. მაგალითად, იოანეს სახარების მე-18 თავი არის ბერძნულ 1500 ხელნაწერში. ამათგან 1186 ვარიანტული წაკითხვაა, რომლებიც ხელნაწერთა უმცირესობაში გვხვდება. 555 წაკითხვა არის მხოლოდ თითო წყაროში, 163 – ორში და 91 – სამში. მხოლოდ 20 წაკითხვაა, რომელიც მეორდება 100-ზე მეტ ხელნაწერში. რა თქმა უნდა, ასეთ ვითარებაში ტექსტის დადგენა ძალიან რთულია.

ვერტიკალური ტრანსმისია ეწოდება, როდესაც ტექსტის შედგენა ერთი წყაროდან ხდება, მაგრამ, თუ ერთზე მეტ წყაროს ვეყრდნობით, ჰქვია ჰორიზონტალური (ასევე უწოდებენ ღიას და კონტამინირებულს) ტრანსმისია. ასეთი ტექსტის სტემატური ანალიზი გაცილებით რთულია. მეცნიერული გამოცემების დროს ტექსტოლოგებმა რამდენიმე ვარიანტის მონაცემების მიხედვით ტექსტის დადგენა და კონტამინაცია დაიწყეს იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ შეიძლება, არც ერთი ვარიანტი არ იყოს სრულყოფილი.

ვარიანტებს ვუწოდებთ ტექსტის ტრანსმისიებს შორის არსებულ ნებისმიერი სახის ცვლილებებს, რომლებიც არ ახდენს გავლენას თხზულების შემოქმედებით ჩანაფიქრსა და მის მთავარ იდეაზე, მაგრამ, თუ ცვლილების არსი ამ საზღვრებს სცდება, მას უკვე მივიჩნევთ ტექსტის ახალ რედაქციად და

არა ვარიანტად.

აკადემიურ გამოცემას ახლავს ვარიანტების კორპუსი, რომელშიც წარმოდგენილია ყველა არსებული ავთანტური წყაროს მონაცემები. ვარიანტული კორპუსის მეშვეობით მკითხველს შეუძლია სრული სახით წარმოიდგინოს ტექსტის თითოეული ტრანსმისიის დროს მასში გაჩენილი ცვლილებები. ვარიანტული კორპუსის შედგენა შრომატევადი, მაგრამ საპასუხისმგებლო საქმეა და დიდი მნიშვნელობა აქვს მის ზუსტად და ამომწურავად მომზადებას. მეცნიერთა დიდი ნაწილი, რომელიც ამ კონკრეტული ტექსტის კვლევას გააგრძელებს ლიტერატურათმცოდნეობის, ენათმეცნიერების, ისტორიოგრაფიის, ან სხვა კუთხით, ძირითადად, აკადემიურ გამოცემაში წარმოდგენილ ამ ვარიანტულ კორპუსს დაეყრდნობა.

რედაქციები

ტექსტის წყაროებს შორის სხვაობებს რედაქციას იმ შემთხვევაში ვუწოდებთ, თუ მათ შორის არსებითი განსხვავებაა შინაარსის გამოხატვის მხატვრულ ფორმაში, ან ჩანაფიქრში, თუ შეცვლილია ფინალური ეპიზოდი, ან რადიკალურად მნიშვნელოვანი სხვა რამ. ვარიანტებისგან განსხვავებით, ტექსტის რედაქციები სრულად იბეჭდება აკადემიური გამოცემის სამეცნიერო აპარატში და, თუ რომელიმე წყარო ამ რედაქციასთან უფრო ახლო ვარიანტულ სხვაობებს ავლენს, ამ რედაქციას ცალკე უკეთდება ვარიანტული კორპუსი. მაგალითად, ილია ჭავჭავაძის პოემა „აჩრდილის“ ადრეული რედაქცია მწერლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის (ოცტომეული) პირველ ტომში ცალკე არის დაბეჭდილი თავის ვარიანტულ წაკითხვებთან ერთად.

ზოგ შემთხვევაში წყაროებს შორის მოცულობით მცირე, მაგრამ ძალზე არსებითი სხვაობაა. ვფიქრობთ, ასეთ შემთხვევაში ახალი რედაქცია შეიძლება მთლიანად არ დაგებულთ გამოცემაში ერთნაირი ნაწილების ორგზის ბეჭდვის მოუხერხებლობის გამო, მაგრამ ის აუცილებლად უნდა იყოს აღნიშნული, რომ ეს ახალი რედაქციაა და არა უბრალოდ ვარიანტი.

ამა თუ იმ თხზულების ავტორისეული თარგმანი მის რედაქციად

ითვლება. თარგმნასაც, ისევე როგორც თავად თხზულების შექმნას, შეიძლება ჰქონდეს განსაკუთრებული მოტივაცია, მაგალითად, მკითხველთა არეალის გაფართოება, ისტორიული ვითარება, ტექსტის სხვა ენაზე პუბლიკაციის შესაძლებლობა და სხვ. როდესაც მწერალი უცხო ენას სრულყოფილად ფლობს, ტექსტი შეიძლება უცხო ენაზევე შეიქმნას. ზოგ მათგანს ავტორი შემდეგ თარგმნის მშობლიურ ენაზე, ზოგი კი შეიძლება არც თარგმნოს. ასე დარჩა ავტორის მიერ უთარგმნელი გრიგოლ რობაქიძის გერმანულენოვანი არაჩვეულებრივი თხზულებები, მათ შორის, „ჩაკლული სული“. რედაქციათა ურთიერთმიმართების კვლევისას, ძირითადად, შედარებით მეთოდს ვიყენებთ და ვარკვევთ, რომელი მათგანია უფრო ადრეული. არის შემთხვევები, როდესაც თარგმანის ავტოგრაფი არ მოგვეპოვება და ჩვენი გასარკვევია, იგი ავტორისეულია, თუ არა. ამის დადგენაშიც ტექსტების შედარებითი კვლევა გვეხმარება.

მე-19 საუკუნეში ჩვენი თანამემამულეები გიმნაზიაში რუსულს გაძლიერებულად სწავლობდნენ და უმაღლეს განათლებასაც რუსულად იღებდნენ. ამიტომ მათთვის არავითარ სირთულეს არ წარმოადგენდა თხზულების რუსულად დაწერა, ან საკუთარი ტექსტების რუსულად თარგმნა. ამას ადასტურებს ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძისა და სხვათა რუსულენოვანი ავტოგრაფებიც.

ცნობილია, რომ სატირული ლექსების ციკლი „გამოცანები“ ილია ჭავჭავაძემ დაწერა 1871 წელს და იგი განაპირობა თავადაზნაურთა უფროსი თაობის ქმედებამ. საქართველოში ჩამოსულ იმპერატორ ალექსანდრე II-ს მათ უნივერსიტეტის დაარსების ნაცვლად (ამას ითხოვდნენ „თერგდალეულები“, ანუ განათლებული ახალგაზრდა თაობა) კადეტთა კორპუსის გახსნა სთხოვეს, რაც ისედაც იყო დაგეგმილი. ილია ჭავჭავაძემ პასკვილები დაწერა მათზე, ვინც ეს გადაწყვეტილება მიიღო.

ბუნებრივია, იმპერიის მაღალჩინოსნებზე შექმნილ სატირულ გამოცანებს არავინ გამოაქვეყნებდა. ამიტომ ისინი ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა და თან ავტორის მითითების გარეშე. საკუთარ ავტორობას მაღავდა თავად ილიაც. მან „გამოცანები“ დუშეთიდან თბილისში

გასავრცელებლად გაუგზავნა თავის მეგობარ დავით ერისთავს და სთხოვა, რომ ავტორის ვინაობის გამხელის გარეშე გაევერცელებინა. რამდენადაც ეს ლექსები არა მხოლოდ იმპერიის ცალკეული ჩინოვნიკებისადმი, არამედ, ზოგადად, იმპერიული პოლიტიკისადმიც იყო მიმართული, სასურველი იყო, რომ მას რუსულენოვანი მოსახლეობაც გაცნობოდა. დავით ერისთავის გარდა, ორი გამოცანა თავად ილიამაც თარგმნა. მის მიერ თარგმნილი გამოცანები ეძღვნებოდა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლს, გენერალ-ლეიტენანტ რევამ ივანეს ძე ანდრონიკაშვილს და სენატორსა და სახელმწიფო საბჭოს წევრ გიორგი კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანელს.

თარგმანის განწყობა და სატირული კილო ზუსტად ისეთივეა, როგორც ორიგინალისა. ტექსტებს შორის არ არის ფაქტობრივი სხვაობები, ლექსიკის სიმდიდრე და სტილის მოქნილობა კი მიგვანიშნებს, რომ ილია რუსულ ენას სრულყოფილად ფლობდა და ამ ენაზე არაჩვეულებრივად შეეძლო თარგმნა. „გამოცანების“ ეს თარგმანები, როგორც ტექსტის უცხოენოვანი რედაქციები, დაიბეჭდა აკადემიური გამოცემის სამეცნიერო აპარატში.

საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობიდან და თემების სპეციფიკიდან გამომდინარე, აკაკი წერეთელს არაერთი ფელეტონი და პუბლიცისტური წერილი აქვს დაწერილი რუსულ ენაზე. ამ მასალის ერთი ნაწილი დაიბეჭდა მწერლის რუსული ნაწერების ტომში, მაგრამ ტექსტების მთელი რიგი, საბჭოთა ცენზურისა თუ სხვა მიზეზების გამო, თხუთმეტომეულში არ შესულა.

სტატია «Два сна» (Воспоминание старика) გამოქვეყნდა გაზ. «Кавказ»-ის 1906 წლის 14 იანვრის ნომერში. ტექსტს ბოლოში აქვს ხელმოწერა – «Акакий Церетели», რის გამოც, ვფიქრობთ, რომ თარგმანი ავტორისეულია. სხვა შემთხვევაში, ტექსტებთან მთარგმნელიც არის ხოლმე დასახელებული. წერილის ქართული რედაქცია, ასეთივე სათაურით – „ორი სიზმარი“, თითქმის ერთი წლით ადრე, 1905 წლის მარტში, გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში“. მწერლის თხზულებათა თხუთმეტომეულში ამ ტექსტის არც ქართული რედაქციაა დაბეჭდილი და არც რუსული, რაც, ჩვენი აზრით, რელიგიური თემატიკისადმი საბჭოთა ცენზურის დამოკიდებულებით

შეიძლება აიხსნას.

ვერც ამ და ვერც ნებისმიერ სხვა წერილთან დაკავშირებით, რომლის რუსული ავტოგრაფი არ მოგვეპოვება, ტექსტი კი ქართულადაც არსებობს, დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, რომ თარგმანი მთლიანად ავტორის მიერ არის შესრულებული, მაგრამ ჩვენ მიერ განხილულ თითოეულ შემთხვევაში, ქართული და რუსული ტექსტების შედარება გვარწმუნებს, რომ რუსული ტექსტი ავტორის ჩარევის გარეშე არ იქმნებოდა.

იქ, სადაც ქართულში წერია: „ათი წლისა თუ ვიქნებოდი“, რუსულში ასაკი დაკონკრეტებულია, ფაქტობრივად, შეცვლილი. იქ, სადაც ქართულ ტექსტში არის დროის ინტერვალზე ზოგადი მინიშნება, რუსულ ტექსტში ეს ინტერვალი დაკონკრეტებულია. ქართულად ვკითხულობთ: „ენა, რომელზეც საუკუნეების განმავლობაში ასრულებდნენ ჩვენი წმინდა მამები ღვთის სამსახურს“, რუსულში კი წერია: «Язык, на котором почти 18 веков совершали богослужение» და სხვ.

მწერლის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში დაიბეჭდება ტექსტის როგორც ქართული, ისე რუსული ვერსია. ქართული დათარიღდება მისი პირველი პუბლიკაციის მიხედვით, რუსულ რედაქციას კი მიეცემა ფართო თარიღი, რომლის ბოლო ზღვრად მონიშნული იქნება 1906 წლის 13 იანვარი — რუსული ტექსტის დასაბეჭდად ცენზურის მიერ გაცემული ნებართვის თარიღი.

ტექსტოლოგიური შენიშვნები

ზოგჯერ საჭიროება მოითხოვს, რომ ტექსტს დართული ჰქონდეს შენიშვნა მის რომელიმე წყაროსთან, ან ავტორისეულ ფაქტობრივ უზუსტობასთან დაკავშირებით და სხვ. აკაკი წერეთლის მოგონებაში, რომელშიც აღწერს რუსეთის იმპერატორის, ალექსანდრე II-ის, საქართველოში ჩამოსვლისა და ქართველი თავადაზნაურობის ერთი ნაწილის მიერ მისთვის უნივერსიტეტის ნაცვლად კადეტთა კორპუსის გახსნის თხოვნის ისტორიას, არასწორად არის მითითებული წელი. 1871-ის ნაცვლად წერია 1870. ასეთ უზუსტობას აუცილებლად სჭირდება შენიშვნის გაკეთება.

სასურველია, რომ აკადემიური გამოცემის ძირითად ტექსტში მუქად იყოს დაბეჭდილი ის გრაფემები, რომლებიც მხატვრულ-გრაფიკული ხერხების (აკროსტიქი, მემოსტიქი, ზმა და სხვ.) შექმნაში მონაწილეობს, სამეცნიერო აპარატში კი შენიშვნის სახით აღნიშნული იყოს მათი აგების პრინციპი. აკაკი წერეთლის ლექსი „სახსოვარი“, რომელიც მის ნათესავ პატარა გოგონას ეძღვნება (ტ. 2, გვ. 319), აკროსტიქია, რომელშიც იკითხება „ივლიტა წერეთელი“, მაგრამ ეს აკროსტიქი არ არის აგებული მხოლოდ ტაეზთა პირველი გრაფემებით. მესამე ტაეზიდან პირველი ოთხი ასოა გამოყენებული, მეოთხე ტაეზი კი აკროსტიქის შექმნაში არ მონაწილეობს. ამიტომ მისი ამოკითხვა არაპროფესიონალ მკითხველს გაუჭირდება, თუ სამეცნიერო აპარატში შესაბამისი შენიშვნა არ იქნება.

კომენტარი და მისი სახეები

კომენტარს უწოდებენ გამოცემლის განმარტებას ტექსტთან დაკავშირებულ ყველა იმ საკითხზე, რაც მკითხველისათვის ბუნდოვანი, ან გაუგებარი შეიძლება იყოს. ტექსტისთვის კომენტარების დართვის საჭიროებას ადამიანები უძველესი დროიდან გრძნობდნენ. ასურულ თიხის ფირფიტებზე აღბეჭდილ ძველი წელთაღრიცხვის მე-7 საუკუნის თხზულებებს უკვე ახლავს იმ დროისათვის მოძველებული და გაუგებარი სიტყვების განმარტება. ქრისტიანულ ეპოქაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა საღმრთო წერილისა და სასულიერო წიგნების კომენტირებას. ქართულ ენაზე მოგვეპოვება ეგზეგეტიკური ლიტერატურის ძველი თარგმანები. მათ შორისაა: იოანე ოქროპირის სახარებების თარგმანება, ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთათჳს“ (დაბადების თარგმანება), კომპილაციური კრებული „ფსალმუნთა თარგმანება“, რომელშიც გაერთიანებულია სხვადასხვა დროს მოღვაწე წმინდა მამების, მათ შორის, ათანასე და კირილე ალექსანდრიელის, განმარტებები და სხვ.

კომენტარს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მას შემდეგ, რაც დაიწყო წიგნების ბეჭდურად გამოცემა. მდიდარი კომენტარები ახლავს

ვახტანგ მეექვსის მიერ 1712 წელს გამოცემულ „ვეფხისტყაოსანს“.

კომენტარის დართვის პრინციპები, სტილი და მოცულობა განპირობებულია გამოცემის ხასიათით და გამოსაცემი ტექსტის სპეციფიკით. პოპულარულ გამოცემას სხვა ტიპის კომენტარი უნდა გაუკეთდეს, სახელმძღვანელოს – სხვა და აკადემიურს – სხვა.

პოპულარულ გამოცემებში გამოიყენება კომენტარის მხოლოდ ერთი სახე – რეალური კომენტარი, ხოლო აკადემიურში იგი სხვადასხვა სახისაა. რუსი ტექსტოლოგი ბორის ტომაშევსკი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა კომენტარების კლასიფიკაციას და გამოყოფდა მის შვიდ სახეს. პირველს მეცნიერი უწოდებდა ისტორიულ-ტექსტობრივ და ბიბლიოგრაფიულ კომენტარს. ამ კომენტარის მიზანია ტექსტის შექმნის სრული ისტორიის წარმოჩენა, ყველა ხელნაწერისა და ავტორის სიცოცხლისდროინდელი წყაროს აღნუსხვა და დახასიათება.

სარედაქციო-საგამომცემლო კომენტარში საუბარია ვარიანტებზე, რედაქციებსა და ძირითადი წყაროს შერჩევის პრინციპზე.

ისტორიულ-ლიტერატურული კომენტარი აღწერს ამ ნაწარმოების მიმართებას ავტორის ბიოგრაფიასთან და ადგილს როგორც მის შემოქმედებაში, ისე იმ პერიოდის ლიტერატურაში. აქვე უნდა შედიოდეს ავტორისა და მისი თანამედროვეების დამოკიდებულება და აზრი ამ ნაწარმოებზე, რომლებიც ასახულია კრიტიკულ წერილებში, მემუარებში, პირად მიმოწერაში და სხვ.

კრიტიკულ კომენტარში შეიძლება შედიოდეს ნაწარმოების შესახებ არსებული კრიტიკული ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია და არა იდეურ-მხატვრული ანალიზი. ზოგადად, სამეცნიერო აპარატი უნდა იყოს დოკუმენტური და მაქსიმალურად ობიექტური.

ლინგვისტური კომენტარი გულისხმობს მწერლის ენობრივი თავისებურებების ანალიზს და მის მიერ გამოყენებული სპეციფიკური ლექსიკის განმარტებას.

ლიტერატურულ კომენტარში შეიძლება შედიოდეს თხზულების პოეტიკის, მაგალითად, ლექსთწყობის ანალიზი.

ყველაზე მნიშვნელოვნად არის მიჩნეული რეალური კომენტარი, რომელიც უნდა ეხმარებოდეს მკითხველს ტექსტის ამა თუ იმ ფრაზის გაგებაში. რეალური კომენტარი არ უნდა შემოიფარგლებოდეს ამავე ტექსტში დაცული ინფორმაციით.

სხვა მეცნიერები (პროხოროვი, ლიტენშტეინი) ტომაშევსკისგან განსხვავებით, კომენტარის მხოლოდ ოთხ სახეს გამოყოფენ: ტექსტოლოგიურს, ისტორიულ-ლიტერატურულს, რეალურსა და ლინგვისტურს. სამეცნიერო აპარატის წინ წამძღვარებულ სარედაქციო განმარტებით წერილში წარმოდგენილია ხოლმე კომენტარებისა და სამეცნიერო აპარატის სხვა ელემენტების შედგენის პრინციპები.

კომენტარების მეორე, ნაკლებ დიფერენცირებული, კლასიფიკაციის მიხედვით, ტექსტოლოგიური კომენტარი აერთიანებს როგორც ისტორიულ-ტექსტობრივს, ანუ ბიბლიოგრაფიულს, ისე სარედაქციო-საგამომცემლო კომენტარებს და მოიცავს სრულ ინფორმაციას ტექსტის ვარიანტებისა და რედაქციების შესახებ.

კომენტარი არ უნდა დაემსგავსოს ზოგად ანოტაციას. თუ საუბარია პიროვნებაზე, კომენტარში მისი დაბადება-გარდაცვალების წლებისა და პროფესიის მითითება კი არ არის საჭირო, არამედ იმისა, თუ რა თვალსაზრისით არის ნახსენები ეს პირი მოცემულ კონტექსტში. ცნობილი ტექსტოლოგის, ლამარა გვარამაძის, აზრით, „ტექსტის დაკვირვებული ანალიზის უგულუბელყოფა და სწრაფვა ენციკლოპედიიდან მზა ცნობების ამოკრეფისაკენ სერიოზულ, მეცნიერულ სახეს უკარგავს გამოცემას“. მეორე ნაკლი, რომელიც კომენტარებს აქვს ხოლმე, არის საკომენტაროდ მარტივი, ისედაც ყველასათვის გასაგები მასალის გამოტანა. ამ გზით ხშირად ინიღბება იმ ადგილების უკომენტაროდ დატოვება, რომლებიც უფრო რთული განსამარტავია.

რეალური კომენტარი გულისხმობს ციტატების ავტორისა და წყაროს მითითებასაც და, საჭიროების შემთხვევაში, იმის აღნიშვნასაც, თუ რა აზრით არის გამოყენებული ციტატა მოცემულ კონტექსტში. როდესაც ავტორი ახდენს სხვისი ციტატის ტრანსფორმირებას, საჭიროა მიეთითოს, როგორ იკითხება

ეს ციტატა თავდაპირველ წყაროში.

ტექსტოლოგმა სწორედ რეალურ კომენტარში უნდა ახსნას ავტორის მიერ დაშვებული შეცდომები, რომელთა გასწორებაც თავად ტექსტში არ შეიძლება. აქ ვაწყდებით ერთ პრობლემას: თუ კომენტარს შეცდომის შესახებ მოვათავსებთ სამეცნიერო აპარატში, რიგითი მკითხველი, რომელიც მხოლოდ ტექსტს კითხულობს, მას ვერასოდეს ნახავს. სასურველი იქნებოდა ამ ინფორმაციის ტექსტთან სქოლიოში ჩატანა, მაგრამ ეს არის ტექსტოლოგიური შენიშვნის და არა კომენტარის ადგილი. მეცნიერთა ერთი ნაწილი მაინც მიიჩნევს, რომ ავტორის ტექსტთან სქოლიოში უნდა თავსდებოდეს არა მხოლოდ ტექსტოლოგიური შენიშვნები, არამედ ტექსტში ავტორის მიერ დაშვებულ შეცდომებთან დაკავშირებული კომენტარებიც.

ლინგვისტური კომენტარი გულისხმობს მკითხველისათვის უცნობი სიტყვების (უცხო სიტყვები, არქაიზმები, ნეოლოგიზმები, ბარბარიზმები, დიალექტიზმები) განმარტებასა და მწერლის ენის სპეციფიკის ანალიზს. მათ მიერ ნახმარ უცხო სიტყვებს ზოგჯერ ავტორები თავადვე განმარტავენ სქოლიოში. მაგალითად, პუშკინს „კავკასიის ტყვეში“ განმარტებული აქვს ეთნიკური ტერმინები, გოგოლს თავისი მოთხრობების კრებულისთვის „სადამოები დიკანის მახლობლად, ხუტორში“ დართული აქვს უკრაინული სიტყვების მთელი ლექსიკონი. სამწუხაროდ, თანამედროვე გამოცემებს იშვიათად აქვთ ასეთი ტიპის სრულყოფილი კომენტარი. ამ მხრივ სასიამოვნო გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის მრავალტომეული, რომლის თითოეულ წიგნს ახლავს ლექსიკონი.

როდესაც ტექსტოლოგი აკეთებს კომენტარს, იგი ითვალისწინებს მისი თანამედროვე მკითხველის საჭიროებებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეს კომენტარები ასევე მიესადაგება მომავალ მკითხველებსაც. ამიტომ ტექსტი დროთა განმავლობაში საჭიროებს კომენტარების განახლებას.

კომენტარი და ინტერპრეტაცია მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთ-მანეთისგან. კომენტარი ეხება ტექსტის ერთ სიბრტყეს, მის ზედაპირს, ინტერპრეტაცია კი მის სიღრმეს და იმას, რაც მის უკან არის.

კომენტარის დიდი მოცულობა მისაღები არ არის. იგი უნდა იყოს პრობლემაზე ორიენტირებული და კომპაქტური.

სახელმძღვანელოში „ქართული ტექსტოლოგია“ ვკითხულობთ: „ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ ციტატას, რომელიც მწერალს გადასხვა-ფერებულად აქვს მოტანილი. აქ უნდა მიეთითოს არა მხოლოდ ციტატის სწორი ფორმა, არამედ შეძლებისამებრ, ისიც, რითაა გამოწვეული, რით აიხსნება ასეთი შეცვლილი ფორმა“.

ალექსანდრე მოროზოვის სტატიაში „კომენტარები, რომლებიც არაფერს არ გვიხსნიან“ ნათქვამია, რომ „მოჩვენებითი ზრუნვა გამოგონილი მკითხველის საერთო განათლებაზე, მკითხველისა, რომელიც კომენტატორს ახალშობილ ყრმად ესახება, ქმნის კომენტარის ფორმალურ სახეს, სინამდვილეში კი ხელს უწყობს ტექსტის ძნელი ადგილების საქმიანი ახსნისაგან თავის დაძვრენას“. საკომენტაროდ გამოტანილი უნდა იყოს ყველა ფრაზა, რომელიც შეიძლება მკითხველისათვის გაუგებარი იყოს და კომენტარში მოცემული უნდა იყოს ისეთი განმარტება, რომელიც მკითხველს დაეხმარება სათქმელის გაგებაში. არ არის საჭირო ისეთი ფრაზების კომენტირება, რომელთა შინაარსიც ტექსტიდანაც სრულყოფილად ჩანს.

რეალური კომენტარი კეთდება არა მხოლოდ მაშინ, როცა მკითხველს კითხვა უჩნდება ტექსტის კითხვისას, არამედ მაშინაც, თუ ეს კითხვა შეიძლება არ გაუჩნდეს, მაგრამ ტომის შემდგენელი ხედავს, რომ კონკრეტული განმარტების მიწოდების გარეშე, მკითხველი სრულყოფილად ვერ აღიქვამს ტექსტს.

რეალური კომენტარი

რეალური კომენტარი სჭირდება ყველა ჟანრის ნაწარმოებს, მათ შორის, პოეზიასაც. აკაკი წერეთელს 1899 წელს დაწერილ ლექსში „ახირებული სტუმრობა“ (ტ. 2, გვ. 380), აქვს ასეთი ფრაზები: „რა უნდა უთხრას ქართველმა / შემოხიზნულსა ვანელსა.../ ჩაჰკიდა ხელი ყველაფერს... ეს ჩემი იყო ყველაო“, რომელთა გაგებაც კომენტარის გარეშე მკითხველს

გაუჭირდება. იმის გასაგებად, თუ ვინ იგულისხმება ამ ახირებულ სტუმარში და რის დაჩემებაზეა საუბარი ციტირებულ ფრაზაში, საჭიროა, რომ კომენტარის საშუალებით მკითხველს მივაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია. ვანი იყო ურარტუს დედაქალაქი. მისი ლურსმული წარწერები ეკუთვნის ასურელთა ეპოქას, სომხური ტომები კი არმენიაში უფრო გვიან, აქემენიდების დროიდან მოვიდნენ. ამიტომ, საზოგადოების დასარწმუნებლად, რომ ვანის ლურსმული წარწერები მათი აქ მოსვლის შემდეგ შეიქმნა და მათი კულტურის ნაწილია, სომეხი მეცნიერები ამტკიცებდნენ, რომ წარწერები გვიანდელი – აქემენიდების დროინდელია. ამ მიზნით, სომხურ ჟურნალ „არარატში“ გამოსაქვეყნებლად ლურსმულ წარწერას ისე შეუცვალეს სახე, რომ აქემენიდების დროინდელს დამსგავსებოდა. შესაბამისად, ლექსში ვანის ტერიტორიაზე გვიან შემოხიზნულ და უსაფუძვლო პრეტენზიების მქონე ხალხზეა საუბარი.

აუცილებლად სჭირდება კომენტარი ამავე ლექსის კიდევ ერთ ფრაზას, რომელსაც ამბობს ამ უსაფუძვლო პრეტენზიების მქონე ხალხი: „ამაში მოწმეც ბევრი მყავს / შენივე ქვეყნის შვილიო“. აქ, უპირველეს ყოვლისა, უნდა იგულისხმებოდეს დედით ქართველი, საქართველოში დაბადებული და გამზრდილი ცნობილი მეცნიერი ნიკო მარი, რომელთანაც ამ ლექსის დაწერამდე ერთი წლით ადრე, 1898 წელს, ცხარე პოლემიკა ჰქონდა გამართული აკაკის სწორედ სომხეთისა და საქართველოს ისტორიის საკითხებზე. „აკაკის კრებულის“ NN 5-ში გამოქვეყნებულ სტატიას „ისტორიული განხილვა სახელწოდების: არმენის, ჰაიასტანის და სომხეთის“. კრებულში „Братская помощь Армянам“ გამოეხმაურა ნიკო მარი წერილით „Отповеди Акакию“. აკაკიმ თავისი კრებულის N 7-ში დაწერა: „პროფესორ მარრის საპასუხოდ“. მარმა კი გაზეთ «Новое Обозрение»-ში დაბეჭდა „Вместо ответа публицисту поэту“. ზემოხსენებულ ციტატაში მინიშნებულია, რომ სომეხთა ამ უსაფუძვლო პრეტენზიებს მხარს უჭერდა ნიკო მარი.

აკაკი წერეთლის ლექსში „არაბი ფაშა“ (ტ. 2, გვ. 439) არის ციტატები: „გაბრიყვდა არაბი-ფაშა“ და „სხვისი იმედი რას არგებს თავისუფლების მძებნელსა“. კომენტარში აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ ეგვიპტის

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის, არაბი ფაშას, აჯანყება თურქული მმართველობის წინააღმდეგ წაახალისა ინგლისმა, რომელსაც თავად უნდოდა ეგვიპტის კოლონიზაცია. მან „არაბი ფაშას“ (Ораби Паша) ხელით განდევნა ეგვიპტიდან თურქების მმართველობა და შემდეგ თავად დაიპყრო იგი.

ამავე ლექსში კომენტარი სჭირდება ფრაზას: „უსამართლობა წინ მიდის / კანონიერის გზებითა: / სრული უფლება ეძლევა / სხვადასხვა კონგრესებითა.“ მასში, სავარაუდოდ, იგულისხმება 1878 წლის ბერლინის კონგრესი, რომელიც მოიწვიეს დიდმა ბრიტანეთმა და ავსტია-უნგრეთმა 1878 წლის სან-სტეფანოს სამშვიდობო ხელშეკრულების გადასახედად და რომელმაც, ფაქტობრივად, სანქცია მისცა ოკუპაციების იმ ტალღას, რომელიც მას მოჰყვა, მათ შორის, ინგლისის მიერ ეგვიპტის კოლონიზაციას. კომენტარების გარეშე მკითხველისათვის გაუგებარი დარჩება ლექსის სათქმელი და თითოეული დაინტერესებული პირი იძულებული გახდება, ცალ—ცალკე ეძიოს ეს ინფორმაცია.

ბევრი რამ მოითხოვს განმარტებას ქართველ მწერალთა პირად წერილებშიც. 1873 წლის 19 ივლისს მეუღლისთვის გაგზავნილი წერილის ბოლოს (ტ. 18, გვ. 124) ილია ჭავჭავაძე წერს: «**Передай по секрету Дмитрию, что я насчет статьи о красноводском отряде веду переговоры с редакциею Московских ведомостей. Переговоры ещё не окончены**». სხენებული რაზმის ისტორიის შესწავლამ გამოავლინა საინტერესო ფაქტები, რომლებიც უკავშირდება 1873 წლის მოვლენებს და დიმიტრი სტაროსელკის კავშირს მათთან. 1873 წლის თებერვლიდან კრასნოვოდსკის რაზმი, რომლის მეთაურიც იყო ვასილი ივანეს ძე მარკობოვი, მონაწილეობდა რუსეთის იმპერიის მიერ შუა აზიის დაპყრობაში, კერძოდ, ხივის ექსპედიციაში, მაგრამ დანიშნულების ადგილს ვერ მიაღწია. მეთაურს ბრალი დასდეს, რომ წინასწარ არ შეისწავლა ყარაყუმის უდაბნოს ჭები, მეომრები უწყლოდ დატოვა და იძულებული გახდა, 22 აპრილს უკან დაბრუნებულიყო. 1873 წლის 25 მაისიდან 8 ივნისამდე ბაქოს გუბერნატორი დიმიტრი სტაროსელსკი კავკასიის მეფისნაცვლმა, მიხეილ ნიკოლოზის ძე

რომანოვმა, საგანგებოდ მიავლინა კრასნოვოდსკში ამ საქმის დეტალების გასარკვევად. საკითხის შესწავლის შემდეგ მარკოზოვს მოუხსნეს ბრალდება და მიიჩნიეს, რომ უკან დახევის ბრძანებით მან მეომრები სიკვდილს გადაარჩინა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფრაზის კომენტირება იმ შემთხვევაში, როცა დიდი ალბათობა არსებობს იმისა, რომ მკითხველმა მას სხვაგვარი ინტერპრეტაცია მისცეს. აკაკი წერეთლის ლექსში „ირაკლის საფლავზე“ განსამარტავია ფრაზა „ის ჰგლოვდა საფლავს იუდის“. საქართველოში 70 წლის განმავლობაში გაბატონებული ათეისტური რეჟიმის შემდეგ, ჩვენი საზოგადოების რელიგიური წიგნიერების დონემ დაბლა დაიწია, რის გამოც სახელ „იუდასთან“, ძირითადად, იუდა ისკარიოტელი ასოცირდება. ამიტომ აუცილებელია იმის განმარტება, რომ აქ იგულისხმება არა იუდა ისკარიოტელი, არამედ იუდეველთა წინაპარი პატრიარქი იუდა — იაკობის მეოთხე შვილი (დაბად. 29.35), რომლის მიხედვითაც ეწოდა ძველი პალესტინის მცხოვრებთ იუდეველები და თვით მიწას იუდეა.

ლინგვისტური კომენტარი

როდესაც ტექსტში ნახსენებია ისეთი უცხო სიტყვები, დიალექტიზმები, არქაიზმები, ნეოლოგიზმები, ან დარგობრივი ტერმინები, რომლებიც შეიძლება მკითხველისთვის გაუგებარი იყოს, საჭიროა კომენტარებში მათი განმარტება და, თუ ასეთი სიტყვები დიდი რაოდენობით არის, აკადემიურ გამოცემას ურთავენ ლექსიკონს.

ლინგვისტური კომენტარი სჭირდება არა მხოლოდ ძველ ტექსტებს, არამედ XIX–XXI საუკუნეების ავტორებისასაც. მაგალითად, აკაკი წერეთლის ლექსში „ობოლი“ (ტ. 2, გვ. 293) ნახსენებია კუდური დედინაცვალი, რომელშიც კუდიანი, გრძელი იგულისხმება. მისსავე ლექსში „თვალეზო“ ნახსენებია სიტყვა „გაღალვა“, რაც ავი თვალის მიერ მონუსხვას, მოჯადოებას ნიშნავს.

ზოგჯერ პოეტები ქმნიან ახალ სიტყვებს, ან ახალი შინაარსით

იყენებენ უკვე არსებულს. ლექსებში „მგოსანი“ (ტ. 2, 384), „გედი“ (ტ. 2, გვ 198), „მწუხრი“ (ტ. 2, 258) „ანდერძი“ (ტ. 2, 274) აკაკი იყენებს ახალ სიტყვას „ზევსური“: „ზევსური მისი უტყუარია“, „საამქვეყნო ზარია, / საიმქვეყნო ზევსური“, „ტკბილ-ზევსური, მწარე ზარი“ და „შაშვმა მისტვინოს ზევსური“. ამ სიტყვის მნიშვნელობასთან დაკავშირებით სხვადასხვაგვარი აზრია გამოთქმული. ყველაზე ლოგიკურად გვეჩვენება მკვლევარ მერაბ ლაღანიძის განმარტება, რომ „ზევსური“ ღვთაებისადმი მიმართული ზეციური მიზანსწრაფვის საგალობელია, რომელშიც სამყაროს მთლიანობა და განუყოფლობაა ასახული.

აკაკი წერეთელს ლექსში „პანორამა“ (ტ. 2, გვ. 287) აქვს ასეთი ფრაზა: „ჩაიბისმარკა: არ დასწვა არც მწვადი და არც შამფური“. ამ ფრაზის კომენტარში იმის აღნიშვნა, რომ ფონ ბისმარკ-შენჯაუზენი იყო გერმანიის იმპერიის დამაარსებელი და პირველი რაიხკანცლერი, მკითხველის ცნობის-მოყვარებას იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ აქცია მისი გვარი ზმნად პოეტმა და რატომ გამოიყენა ასეთ კონტექსტში, ვერ დააკმაყოფილებს. საჭიროა იმის აღნიშვნა, რომ ისტორიკოსები და პოლიტიკოსები ბისმარკის თვისებათაგან ერთხმად გამოყოფენ ცბიერებას და ორმხრივ დიპლომატიას, რაც კონტექსტს ზუსტად ერგება.

პერიტექსტის კომენტარი

პერიტექსტის ყველაზე გავრცელებული სახეებია: ტექსტის სათაური, ქვესათაური, ეპიგრაფი, სათაურის ქვეშ მინაწერი და მიძღვნა. პერიტექსტები, როგორც წესი, ყველაზე კონდენსირებულად ასახავს ტექსტის მთავარ სათქმელს. ამიტომ, საჭიროების შემთხვევაში, მათი კომენტირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

სათაური

ზოგჯერ სათაური, ან მისი ნაწილი მკითხველისათვის შეიძლება გაუგე-

ბარი იყოს. კომენტარს აუცილებლად საჭიროებს აკაკი წერეთლის ლექსის – „ვარდის“ ხმაზედ“ – სათაური (ტ. 1, 141). სიტყვა „ვარდი“ ბრჭყალებშია ჩასმული და, ვფიქრობთ, უნდა მიგვანიშნებდეს სიმღერის ტექსტზე. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში, რომელიც მან ეკატერინე ჭავჭავაძეს უძღვნა, სქოლიოში ვკითხულობთ ფრაზის „ვარდსა და ბულბულს მოეღიხინარე“ განმარტებას: „ვარდი და ბულბული“ ლექსია სამღერალო, რუსულიდამ თარგმნილი თ–ის ჭავჭავაძისაგან“. დღემდე საკამათოდ რჩება, ალექსანდრე ჭავჭავაძემ თარგმნა ეს ლექსი რუსულიდან, თუ რუსმა მწერალმა ოდოევსკიმ – ალექსანდრე ჭავჭავაძისგან, მაგრამ ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ ლექსს (იგი განსხვავებული სათაურითაც გვხვდება – „მაისის ვარდმან“) ბულბულისა და ვარდის ერთგვარი დიალოგის სახე აქვს და სავსებით შეიძლება, რომ მასში „ვარდის“ ტექსტისთვის აკაკის „ვარდის ხმა“ ეწოდებინა და მის გამომხატურებად დაეწერა თავისი ლექსი.

სასიმღერო ლექსის მიხედვით, ბულბულს, რომელიც თავგამოდებული უმტკიცებს ვარდს თავის სიყვარულს, ვარდი არ უჯერებს და გამოთქვამს მისი გრძნობისადმი უნდობლობას. ოდოევსკისთან ვარდი ეუბნება ბულბულს: **За-чем мне слушать? Слишком громко / Поешь ты про свою любовь.** ჭავჭავაძესთან კი ვარდი ბულბულის მრავალსიტყვაობას მის სიმთვრალეს მიაწერს და ეუბნება: „შეიმცერ ცრემლთა მრავლობა, / და ვალაღებით გალობა / ნიაგმან გბეროს, გაგიქროს – / თუ არ სახმილი, – მთვრალობა“. შესაბამისად, ვარდის ხმის ხსენება აკაკის ლექსში იმაზე მიმანიშნებელი უნდა იყოს, რომ პოეტს არ სწამს იმისი გრძნობის გულწრფელობა, ვისაც ეკამათება.

ვარდისადმი ბულბულის „უპასუხისმგებლო“ დამოკიდებულების თემა გააგრძელა ნიკოლოზ ბარათაშვილმა ლექსში „ბულბული ვარდზედ“, სადაც ვარდის ჩამოფურცვლაში ბულბული თავს იდანაშაულებს: „მქონდა მცირე წადილი, ვერ მივხვდი კი ძნელობას: მსურდა გაშლა ვარდისა, არ ვჭფიქრობდი დაჭკნობას!“ ამდენად, ეს სახეები და ვარდისა და ბულბულის, აღმოსავლური სტერეოტიპისაგან განსხვავებული, ეს მოტივი საკმაოდ გავრცელებული იყო მე-19 საუკუნეში და მასზე ალუზია თანამედროვეთათვის იოლი აღსაქმელი იქნებოდა, მაგრამ დღესდღეობით აუცილებლად საჭიროებს კომენტარს.

გარდა ამისა, ამ ლექსის ავტორისეული ჩანაფიქრის აღსაქმელად დიდი მნიშვნელობა აქვს მეორე პერიტექსტის, მიძღვნის, განმარტებასაც. ანა მუსხელიშვილისა, ვისაც უძღვნა აკაკიმ ეს ლექსი, იყო პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, ბესარიონ ღოღობერიძის, ქალიშვილი. ანა ღოღობერიძე-მუსხელიშვილისა აქტიურად იყო ჩამბული მე-19 საუკუნის ლიტერატურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი მხარში ედგა იაკობ გოგებაშვილს საგანმანათლებლო საქმეებში და 1871 წელს, ანუ იმ წელს, როდესაც აკაკიმ უძღვნა ეს ლექსი, დიდი მამულიშვილური საქმე წამოიწყო – ახალციხეში, ნაქირავებ სახლში, დააარსა ქალთა უფასო სკოლა და თავადვე დაიწყო იქ მასწავლებლობა.

ამ კომენტარის შემდეგ მკითხველისთვის იოლი გასაგები გახდება ადრესატისადმი პატივისცემა, რომელიც ლექსში „ვარდის ხმაზედ“ აშკარად ჩანს, მაგრამ, მეორე მხრივ, მას აუცილებლად დააბნევს ის შეფარული ტკივილი, თუ საყვედური, რომელიც ასევე იგრძნობა ამ ტექსტში. ამიტომ აუცილებლად არის განსამარტავი, თუ რატომ გახდა სწორედ ანასადმი მიძღვნილ ლექსში განსახილველი „სიმართლისათვის მსახურების“ თემა და რაზე მიანიშნებს სიტყვები: „გამიქვავდეს მაშინ ენა, / თუ რომ ვინმეს მივეფერო“ „და მანც არ აღვიარებ / შავს თეთრად და თეთრსა შავად“.

ანას მამა, ცნობილი საზოგადო მოღვაწე ბესარიონ ღოღობერიძე, რომელიც თავდაპირველად სამოციანელების თანამოაზრე იყო, სწორედ 1871 წელს, ამ ლექსის დაწერის წელს, როდესაც საქართველოში ჩამოსული იყო რუსეთის იმპერატორი, განუდგა თერგდალეულებს და მხარი დაუჭირა მეფისათვის არა უნივერსიტეტის, არამედ კადეტთა კორპუსის გახსნის თხოვნას. ილია ჭავჭავაძემ ბესარიონ ღოღობერიძე ამ ფაქტის გამო თავის „გამოცანებში“ „ქვემძრომ ხვლიკად“ მოიხსენია, აკაკიმ კი ანასთან პოეტური გასაუბრებით მისი მამის მიერ გადადგმული ნაბიჯი ვიდაცისთვის საამებლად სიმართლის წინააღმდეგ გამოსვლად შეაფასა და ერთგვარად შესჩვილა მას, როგორც ახლობელს. მკითხველისთვის ყოველივე ამის განმარტება კიდევ იმითომ არის საჭირო, რომ არც ილიას და არც აკაკის მხრიდან ეს არ იყო უფროსი თანამემამულისადმი მათი საბოლოო აზრი. ამ ფაქტის შემდეგ

ბესარიონ ღოღობერიძემ იმდენი სასიკეთო რამ გააკეთა საქართველოსთვის, რომ მისდამი ორივე პოეტის დამოკიდებულება რადიკალურად შეიცვალა.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში, სპეციალურ სამეცნიერო ნაშრომებსა და წინა მათიანეშიც დაბეჭდილი იყო, რომ 1861 წლის „ცისკრის“ №6-ში გამოქვეყნებული სტატია არის გამოხმაურება ბ. ჯორჯაძის, რევამ ერისთავის და გ. ბარათაშვილის წერილებზე, რომლებიც ამავე ჟურნალის წინა ნომერში დაიბეჭდა, მაგრამ არავინ აქცევდა ყურადღებას ამ სტატიის სრულ სათაურს „პასუხი, უძღვნი თ. ალ. ვახტანგის ძე ორბელიანს და იმ პირთა, ვინც ყურადღება აღირსეს ამ სტატიასა“. ჩვენ დავინტერესდით, რა შუაში იყო აქ ალექსანდრე ორბელიანის ხსენება. თავდაპირველად ვიფიქრეთ, რომ ილიას წერილს ისიც გამოეხმაურა, მაგრამ „ცისკრის“ იმ ნომერში, რომელიც მისი სტატიის გამოქვეყნების შემდეგ დაიბეჭდა და რომელშიც ასევე გამოქვეყნდა მასზე საპასუხო სამი წერილი, ალექსანდრე ორბელიანს არაფერი დაუბეჭდავს. მეორე მხრივ, საგულისხმოა, რომ მასა და დიმიტრი ბაქრაძეს შორის წინა წლის ნომერებში გამართული იყო პაექრობა ქართული სალიტერატურო ენის საკითხებთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, ეს არის მიზეზი იმისა, რომ, გარდა პირადად მისი სტატიის ოპონენტებისა, ილია მასაც უძღვნის თავის სტატიას.

ქვესათაური

მოთხრობას „სარჩობელაზედ“ ქვესათაურად აქვს „პატარა ამბავი“. მეცნიერთა აზრი იმასთან დაკავშირებით, თუ რაზე მიგვანიშნებს ეს ქვესათაური, განსხვავებულია. ერთი მოსაზრებით, სიტყვა „პატარა“ აქ ჟანრის აღმნიშვნელი და „ნოველის“ ტოლფასია, მეორით კი, ამ სიტყვას მხატვრულ-ესთეტიკური დატვირთვა აქვს. მხატვრულ ეფექტს ქმნის სათაურის ქვეშ მინაწერისა და ტექსტის შინაარსის კონტრასტი, რომელმაც მკითხველში დაახლოებით ასეთი განცდა უნდა გამოიწვიოს: „ვითომ პატარა ამბავია ეს? ვითომ პეტრე, რომელსაც კაცის კვლის სანახავად „გამოუქნელ მოზვერსავით“ გაუწია გულმა, არაფერ შუაშია?“

სიტუაციაში გასარკვევად, ვნახოთ, როგორ იყენებს ილია ჭავჭავაძე მხატვრულ პროზაში ფრაზებს „დიდი ამბავი“ და „პატარა ამბავი“. ორივე მათგანი გვხვდება ეტიუდში „უცნაური ამბავი“ (!). წინადადებაში: „პატარა პატიკოს ამბავი — დიდი ამბავია“, „დიდი ამბავი“ აშკარად „მნიშვნელოვანი“ ამბის ტოლფასია. რაც შეეხება წინადადებას, „პატარა ამბავია ეგ შენი ნაამბობი, მაგრამ დიდი საზიდი, დიდი გასატანი, დიდი გასაბედია...“ კონტექსტის მიხედვით, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ამ წინადადებაში საუბარია ისეთ ამბავზე, რომელიც ვითომდა წვრილმანია, მაგრამ რეალურად ძალიან მნიშვნელოვანია. საუბარია ბავშვზე, რომელიც განსაკუთრებული სულიერებით არის დაჯილდოებული.

როგორც ვხედავთ, ტექსტში, რომელსაც ჰქვია „უცნაური ამბავი“, ილია თითქოს ცდილობს სათაურთან შესმიანებას. მოხმობილი ორივე წინადადება ტექსტის მთავარ სათქმელს უკავშირდება. მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ ასევე გვხვდება მინაწერთან „პატარა ამბავი“ დაკავშირებული ფრაზა: „მამ მართალი იყო ის ამბავი!..“ საქმე ეხება ჩამოხრჩობის ფაქტს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ილია ჭავჭავაძე პროზაული ჟანრების სახელწოდებებს იცნობდა. იმავე ტექსტს „უცნაური ამბავი“ ქვეშ მიწერილი აქვს „ეტიუდი“. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ, თუ სიტყვა „ნოველა“ დასჭირდებოდა, მის ნაცვლად „პატარა ამბავს“ არ გამოიყენებდა.

ეპიგრაფი

სათაურის მსგავსად, უმრავლეს შემთხვევაში ეპიგრაფიც ავტორის მთავარ სათქმელს ასახავს, მაგრამ აქაც, როგორც ქვეშ მინაწერ „პატარა ამბავის“ შემთხვევაში, ეს შეიძლება კონტრასტის გამოყენებით მოხდეს. მაგალითად, კვლევამ დაადასტურა, რომ ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში ეპიგრაფი ხშირად გამოხატავს არა თხზულების მთავარ სათქმელს, არამედ ისეთ სენტენციას, რომელსაც არსებითად უპირისპირდება მოცემული მხატვრული ტექსტი. აქედან გამომდინარე, ცხადია, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მისი კომენტარებით აღჭურვა მკითხველის მიერ ტექსტის

სრულყოფილი აღქმისათვის.

ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთ უსათაურო ლექსს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ლერმონტოვის სიტყვები: „Да вряд ли есть родство души...“ (არა მგონია, არსებობდეს სულთა ნათესაობა). რამდენადაც თავად ლექსი მთავრდება ფრაზით: „ეხლა კი მწამს, რომ ჰქონია / თვისტომობა სულთან სულსა“, ამკარაა, რომ ილია ჭავჭავაძის ეს ტექსტი შეიქმნა არა მიხეილ ლერმონტოვის ეპიგრაფში ციტირებული აზრის გასაგრძელებლად და გასაზიარებლად, არამედ მასთან დასაპირისპირებლად.

ნაწარმოების შინაარსთან და ავტორისეულ სათქმელთან კონტრასტულ მიმართებაშია მოთხრობის „გლახის ნაამბობი“ ეპიგრაფიც: „რა ჰქმნას კარგმა მონარდემმა, დროზედ შაში თუ არ მოვა“ (იგულისხმება, რომ მოგება კამათლის მოსვლაზეა დამოკიდებული). იგი უპირისპირდება ერთ-ერთი პერსონაჟის, მღვდლის, მიერ პროტაგონისტისთვის მიცემულ დარიგებას: „რაც შეგვეძლოს, ჩვენ ისა ვქნათ, ღმერთიც ჩვენგან იმასა თხოულობს და კაციცა...“. თუ მხედველობაში ვიქონიებთ მოთხრობის ფაბულას და მთავარი გმირის, გაბრიელის, თავგადასავალს, ეპიგრაფი თითქოს მიგვანიშნებს, რომ პროტაგონისტი არაფერ შუაშია, უბრალოდ მოხდა ისე, რომ ბედისწერამ „შაში არ გაუგორა“, მაგრამ სრულიად საწინააღმდეგოზე მიგვანიშნებს მღვდლის ზემოხსენებული სიტყვები. მართალია, გაბრიელი ვერ აღკვეთავდა იმ ბოროტებას, რაც დათიკომ ჩაიდინა, მაგრამ შეეძლო, ბოროტებაზე ბოროტებითვე არ ეპასუხა და უზიარებლად არ მოეკლა მასთან ძმასავით თანშემზრდილი ახალგაზრდა თავადი.

ალეგორიულ ლექსს „გუთნისდედა“, რომელიც მძაფრი, ეგზისტენციალური საფიქრალით არის დატვირთული, მსუბუქი ფოლკლორული ეპიგრაფი აქვს: „გადი-გამოდი, გუთანო, / ღირღიტავ, ბანი უთხარო“. აქაც განსაკუთრებულ მხატვრულ ეფექტს ქმნის ეპიგრაფისა და ტექსტის შინაარსის კონტრასტი.

სათაურის ქვეშ მინაწერი

ილია ჭავჭავაძის ლექსს „ჩემი თარიარალი“ მიწერილი აქვს: „მიბაძვა ალ. ჭავჭავაძისადმი“. თავისი ფორმით და ლეიტმოტივით, ის მართლაც ჰგავს ალ. ჭავჭავაძის „მუხამბაზ ლათაიურს“, მაგრამ შინაარსით აშკარა დაპირისპირებაა მასთან და არა მიბაძვა. თუ ქართველი რომანტიკოსის ლექსი დარდიმანდულ, ბოჰემურ განწყობას ქმნის, ილია ჭავჭავაძისა ეროვნული პრობლემატიკით დატვირთული და პატრიოტული სულით განმსჭვალულია. სათანადო კომენტარის გარეშე, მკითხველი ამას ჩვეულებრივ „მიბაძვად“ ჩათვლის და დაიკარგება მთავარი აზრი – თერგდალეულთა პრეტენზია მამათა თაობისადმი, რომ დროსტარებასა და ბრძოლებში გართულებს დავიწყებული ჰქონდათ, რა მდგომარეობაში იყო მათი ქვეყანა და ვის გამო.

აკაკი წერეთლის ლექსს „პატარძალი“ (ტ. 2, 94) სათაურის ქვეშ მიწერილი აქვს „სოლომანის ნაამბობი“ და, ბუნებრივია, რომ ლექსის ალეგორიული შინაარსის ამოსაცნობად სწორედ ამ სოლომონის ვინაობის გახსნაა საჭირო. ამიტომ კომენტარში განმარტებული უნდა იყოს, რომ სოლომანი ერეკლე მეფის მსაჯული სოლომონ ლიონიძეა, ლექსში მოხსენიებული „ბატონი“ კი – თავად ერეკლე მეფე, რომელმაც „პატარძალი“ – საქართველო – ერთმორწმუნე ძლიერ „ცხრამთაგადადამელს“ – რუსეთს – მიათხოვა, რომელსაც „ხმელეთი საბურთაოდ აქვს, ნავებით ჭედავს ზღვასაო“. ამ კომენტარს უკავშირდება მეორე პარატექსტიც – თარიღი. ლექსი 1883 წელს არის დაწერილი, ქართლ-კახეთსა და რუსეთს შორის დადებული სამეგობრო შეთანხმების, გეორგიევსკის ტრაქტატის, ხელმოწერის 100 წლისთავზე.

მიძღვნა

აკაკი წერეთლის ლექსს „ახირებული სტუმრობა“ (ტ. 2, გვ. 380) სათაურის ქვეშ აწერია „ვუძღვნი ისტორიკოსს ეზოვს“. გერასიმ არტემის ძე ეზოვი არის ავტორი წიგნისა „Сношения Петра Великого с Армян-

ским Народом“, რომელიც ამ ლექსის დაწერის წინა წელს (1898) გამოვიდა და სადაც მიკერძოებულად არის განხილული სომხეთისა და საქართველოს ისტორია. ავტორი ყველაფერში ცდილობს სომეხთა განდიდებას და ქართველთა დაკნინებას. ეს თემა რომ 1899 წელსაც ძალიან აქტუალური იყო, ამას ისიც მოწმობს, რომ სწორედ ამ წელს პირველად დაბეჭდილ თავის ნარკვევ „ქვათა ღაღადში“ ილია ჭავჭავაძემ ეზოვის ხსენებული წიგნის კრიტიკას თექვსმეტი გვერდი დაუთმო. შესაბამისად, მკითხველისთვის ამ ინფორმაციის მიწოდება ძალზე მნიშვნელოვანია.

საძიებლები

აკადემიურ გამოცემას განსაკუთრებით ამდიდრებს სხვადასხვა ტიპის საძიებელი. ის მკითხველს ეხმარება, რომ ტექსტში მოიძიოს ისტორიულ პირთა და გეოგრაფიული სახელები, ეთნონიმების, წიგნების, ჟურნალ-გაზეთების, თეატრალური წარმოდგენებისა და სხვ. სახელწოდებები და, თუ საძიებლები ანოტირებულია, მიიღოს მათ შესახებ დამატებითი ინფორმაცია. იმას, თუ რა ტიპის საძიებლები უნდა დაერთოს გამოცემას, განაპირობებს მისი შინაარსობრივი შედგენილობა და დანიშნულება. მაგალითად, ეთნონიმთა საძიებელს მეტწილად ურთავენ ისტორიული ხასიათის მქონე წიგნებს, თეატრალური წარმოდგენებისას – ისეთ გამოცემას, რომელშიც წარმოდგენილია თეატრალური რეცენზიები, ჟურნალ-გაზეთებისას კი – ისეთს, რომელშიც განხილულია პრესაში გამოქვეყნებული წერილების მიმოხილვა და სხვ.

პირთა საძიებელი ამავე პირზე მიმანიშნებელი ფრაზის კომენტარისგან იმით განსხვავდება, რომ კომენტარი მკითხველს ეხმარება გაიგოს, რა ფუნქცია აქვს კონკრეტულ კონტექსტში ამ პირის ხსენებას, საძიებელი კი ამავე პირის შესახებ გვაწვდის ზოგად ინფორმაციას, რომელიც შეიძლება სულაც არ იყოს წარმოდგენილ ტექსტთან კავშირში.

პირთა საძიებელი

მნიშვნელოვანია, რომ აკადემიურ გამოცემაში საძიებლები იყოს ანოტირებული, მაგრამ ის პირები თუ გეოგრაფიული სახელები, რომლებიც საშუალო განათლების მქონე ყველა მკითხველმა იცის, არ საჭიროებს განმარტებას. ანოტაცია უნდა იყოს მოკლე (შეთანხმებისამებრ, 2–3 წინადადება).

საძიებლებში უნდა გავიტანოთ მასალა მხოლოდ ტექსტიდან და არა სამეცნიერო აპარატიდან, რადგან სამეცნიერო აპარატი ტექსტის ანალიზს ემსახურება, მაგრამ, თუ გვსურს, რომ საძიებლები სამეცნიერო აპარატსაც გავუკეთოთ, იგი აუცილებლად ცალკე უნდა იყოს გამოყოფილი და არ უნდა იყოს აღრეული ტექსტის საძიებლებთან.

პირთა საძიებლებში მხატვრული პერსონაჟების გატანა არ არის საჭირო. ასევე არ არის საჭირო სხვადასხვა სახელით ცალ–ცალკე გატანილი ერთი და იმავე პიროვნების ორივეგან ანოტირება. თუ პიროვნება ტექსტში სხვადასხვა სახელით არის მოხსენიებული, ანოტაცია მხოლოდ ერთ მათგანს უნდა გავუკეთოთ, სხვებთან კი მხოლოდ უნდა მივუთითოთ გვერდები და მივანიშნოთ ამ ანოტაციაზე. მაგალითად, თუ ანოტაციას მივუწერთ ეგნატე ინგლოროყვას, მაშინ ეგნატე ნინოშვილთან უნდა მივუთითოთ: „იხ. ეგნატე ინგლოროყვა“, მაგრამ გვერდები უნდა მივაწეროთ იმის მიხედვით, სად რომელი სახელით არის მოხსენიებული.

საძიებლებში ერთი სახელისა და გვარის მქონე სხვადასხვა პირი ცალ–ცალკე უნდა იყოს გატანილი.

სხვა ტიპის საძიებლები

აკადემიურ გამოცემას ხშირად ურთავენ თემატურ საძიებელს, რომელიც მკითხველს ეხმარება მისთვის საინტერესო თემების უცებ მოძიებაში. თემატურ საძიებელში მეტწილად ვუთითებთ არა ცალკეულ გვერდებს, არამედ ინტერვალს, რომელიც არაერთ გვერდს მოიცავს. თუ ტექსტში რაღაც

გაკვერით არის ნახსენები, თემატურ საძიებელში მისი გატანა საჭირო არ არის.

როდესაც გამოცემაში, ან მის შემადგენელ ტომში იმაზე მეტი ტექსტია, რომ მკითხველმა ერთი თვალის გადავლებით იპოვოს მისთვის სასურველი, მას ურთავნ ტექსტების ანბანურ საძიებელს, რომელიც გვეხმარება ტექსტის უცებ პოვნაში. რაც უფრო დიდია ტექსტების რაოდენობა, მით უფრო მნიშვნელოვანია ამ ტიპის საძიებელი.

რამდენადაც აკადემიურ გამოცემაში კვლევის შედეგად ხდება ძირითადი წყაროს შერჩევა და ტექსტი იბეჭდება ამ წყაროში წარმოდგენილი სახელწოდებით, მისი სათაური შეიძლება არ ემთხვეოდეს ამავე ტექსტის სათაურს, რომელიც პოპულარულ გამოცემებში იბეჭდება და რომლითაც მას იცნობს ფართო საზოგადოება. მაგალითად აკაკი წერეთლის თხზულებათა ოცტომეულის I ტომში სათაურით „ვარდის“ ხმაზედ“ (გვ. 141) დაბეჭდილია ლექსი, რომელიც პოეტის რჩეულებსა და ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოებში ყველგან იბეჭდებოდა სათაურით „ჩანგური“. ეს ყველასათვის კარგად ცნობილი ლექსია, რომელიც იწყება სიტყვებით: „მე ჩანგური მისთვის მინდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს...“ მაგრამ დაინტერესებული მკითხველი მას ტომში ვერ იპოვებს, რადგან არ ეცოდინება მისი ალტერნატიული სათაური. ასეთივე ვითარებაა სხვა ლექსებთან დაკავშირებითაც, მაგალითად ლექსს, რომელიც დაბეჭდილია სათაურით „სიმღერა“, მწერლის თხზულებათა თხუთმეტტომეულიდან მკითხველი იცნობს სათაურით „მთვარე“, ლექსს „ავადმყოფი“ – სათაურით „სნეული“ და სხვ.

იმისათვის, რომ აკადემიური გამოცემიდან ინფორმაციის მიღება უფრო ხელმისაწვდომი გახდეს, 2012 წელს ნიკო ლორთქიფანიძის თხზულებათა ციფრული ბიბლიოგრაფიის შედგენისას შევიმუშავეთ პრინციპი, რომელიც ტექსტის მოძიებას აადვილებს. საძიებლის ანბანურ რიგში ჩავსვით ტექსტების ვარიანტული სათაურებიც და თითოეულის გასწვრივ მივუთითეთ ყველა სხვა არსებული სათაური. სასურველია, რომ ამავე პრინციპით მომზადდეს აკადემიური გამოცემების თხზულებათა ანბანური საძიებლებიც. ეს მკითხველს საშუალებას მისცემს, ტექსტი იპოვოს მისთვის ნაცნობი

ნებისმიერი სათაურით.

თუ ვამზადებთ მწერლის თხზულებათა სრულ კრებულს, რომელშიც რამდენიმე ტომი ეთმობა ერთნაირი ჟანრის ნაწარმოებებს, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ გამოცემას დაერთოს საცნობარო ხასიათის ტომიც, რომელშიც წარმოდგენილი იქნება თითოეული ტომის შედგენილობა და იქნება ერთიანი ანბანური საძიებელი, ტომების მითითებით.

დავალებები

1. რით განსხვავდება ბიბლიოგრაფიის შედგენა გეგმა-პროსპექტის შედგენისგან?
2. ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი იმასთან დაკავშირებით, საჭიროა თუ არა აკადემიურ გამოცემაში ისეთი რუბრიკის გამოყოფა, როგორიცაა „ყრმობისდროინდელი თხზულებები“.
3. გაეცანით თქვენთვის ელექტრონული ფოსტით გადმოგზავნილი ტექსტის წყაროებს და გამოთქვით აზრი ძირითადი წყაროს არჩევასთან დაკავშირებით.
4. გაეცანით თქვენთვის ელექტრონული ფოსტით გადმოგზავნილი ტექსტის წყაროებს და შემოგვთავაზეთ ძირითადი ტექსტის თქვენეული ვარიანტი, ტექსტოლოგიური შენიშვნით.
5. რა ინფორმაციას გვაწვდის ტექსტოლოგიური პასპორტი ტექსტის შესახებ?
6. გაეცანით თქვენთვის ელექტრონული ფოსტით გადმოგზავნილი ტექსტის სამ ვარიანტს და შეადგინეთ ვარიანტულ სხვაობათა ნუსხა.
7. გაეცანით თქვენთვის ელექტრონული ფოსტით გადმოგზავნილი ტექსტის ვერსიებს და განსაზღვრეთ, ისინი ერთმანეთის რედაქციებია თუ ვარიანტები.

8. ამოწერეთ თქვენთვის ელექტრონული ფოსტით გადმოგზავნილი ტექსტიდან მასალა ლინგვისტური კომენტარისთვის და დაწერეთ კომენტარები.
9. გაეცანით ინფორმაციას ელექტრონული ფოსტით მიღებული ტექსტის ერთ-ერთი ვარიანტის შესახებ და მის საფუძველზე დაწერეთ მოკლე ტექსტოლოგიური შენიშვნა.
10. თქვენთვის ელექტრონული ფოსტით გადმოგზავნილი ტექსტიდან ამოწერეთ საძიებლებში გასატანი მასალა და მოამზადეთ საძიებლები.

დამატებითი ლიტერატურა

- რენე უელეკი, ოსტინ უორენი, „ლიტერატურის თეორია“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2010.
- მაია ნინიძე, კლასიკოსთა თხზულებების აკადემიური გამოცემა და თანამედროვე ტექნოლოგიები, ჟ. სჯანი, 2014, № 15.
- ზ. ჭუმბურიძე, სალიტერატურო ენა და მწერლობა, თბ., 1962.
- ნათია სიხარულიძე, გალაკტიონ ტაბიძის ორი ლექსის გენეზისისათვის, იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. გ-ბა „ჯეოპრინტი“, თბილისი, 2016.

Neil Fraistat Julia Flanders (Ed.) *The Cambridge Companion to Textual Scholarship* (Cambridge Companion to Literature, Cambridge University Press, 2013.

- Erick Kelemen, *Textual Editing And Criticism, An Introduction*, W. W. Norton & Company, New York, London, 2009.
- David C. Parker, *Textual Scholarship and the Making of the New Testament*, Oxford University Press, 2011.

- Козьмина, Елена Юрьевна, Комментирование художественных текстов, Екатеринбург Издательство Уральского университета, 2015.
- Козьмина Е. Ю., Комментирование художественных текстов, Екатеринбург Издательство Уральского университета, 2015.
- Перцов Н.В., И.А. Пильщиков, О Лингвистических Аспектах Текстологии, 2011 г.
- Русакова Н. А., Автор-составитель, Текстология, Саратов, 2010.
- Омилянчук С.П, Методическое руководство по изучению дисциплины «Текстология», для специальности «Издательское дело и редактирование», Электронное издание подготовлено коллективом Центра дистанционного образования МГУП, 2006.

V თავი: ფუნდამენტური ტექსტოლოგიური კვლევები

ატრიბუცია

ავტორობის საკითხი სხვადასხვა ეპოქაში

ატრიბუცია ლათინური წარმოშობის სიტყვაა და „მიკუთვნებას“ ნიშნავს. ტექსტოლოგიაში იგი გულისხმობს ავტორის იდენტიფიკაციას და თხზულების მიკუთვნებას კონკრეტული პირისადმი. ამგვარი კვლევა საჭირო ხდება, როცა ნაწარმოები მოგვეპოვება ხელნაწერის სახით, სადაც ავტორი მითითებული არ არის და იმ შემთხვევაში, თუ თხზულება გამოქვეყნებულია ანონიმურად ან ფსევდონიმით.

ატრიბუცია მჭიდრო კავშირშია ავტორობის საკითხისადმი როგორც თვით შემოქმედის, ისე საზოგადოების დამოკიდებულებასთან, რაც სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებული იყო. ზეპირსიტყვიერების უძველესმა ნიმუშებმა ჩვენამდე ისე მოაღწია, რომ შემქმნელთა ვინაობა არ შემოუნახავს. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ამბავი, „ლექსო, ამოგთქომ“, „შენ ჩემო დიდო იმედო“ და თუნდაც მათზე ბევრად ნაკლები ღირებულების ნებისმიერი თხზულება აუცილებლად გულისხმობს ავტორს, რომლის სახელიც სამუდამოდ დაკარგულია და შემოქმედის პატივი იმ ერს გადაეცა, რომლის წიაღშიც იშვა უცნობი მწერალი, ხალხს, რომელმაც შეიყვარა, გაითავისა და თაობიდან თაობებს გადასცა ეს მარგალიტები. უძველეს ფოლკლორულ თხზულებებთან მიმართებით ცალკეულ ავტორზე ვერ ვილაპარაკებთ, რადგან საუკუნეების მანძილზე ნებისმიერ მთქმელს შეეძლო მათში ცვლილებების შეტანა.

წერილობითი სახით მოღწეულ უძველეს ძეგლებში, დღევანდელისაგან განსხვავებით, ავტორი საგანგებოდ, ცალკე გაცხადებული არ არის. აგიოგრაფიულ და ეპიკურ თხზულებებში მათი ვინაობა ზოგჯერ ტექსტიმეორე ნახსენები, პოეზიაში კი კიდურწერილობაშია შეფარული. აქედან გახდა ჩვენთვის ცნობილი არაერთი უმნიშვნელოვანესი თხზულების ავტორთა ვინაობა, მაგ. „შუშანიკის წამების“, „აბოს წამების“, „დასდებელნი წმიდისა აღდგომისანის“ და „შობის საგალობლის“ ავტორები: იაკობ ხუცესი, იოვანე

საბანისძე, კურდანი, ფილიპე ბეთლემელი და სხვანი. ტექსტში მოცემული ინფორმაცია ავტორების შესახებ უმეტეს შემთხვევაში ძალიან მწირია, მაგრამ იგი საფუძველს გვაძლევს მწერლის ვინაობის, სადაურობის, ბიოგრაფიისა და ლიტერატურული მემკვიდრეობის შემდგომი კვლევა-ძიებისათვის. ასე მიგვიყვანა იაკობის სახელმა („შუშანიკის წამება“) ცურტავის ეპისკოპოსთან, პალესტინაში კი გვაპოვნინა რუსთველის სავარაუდო სახელი – შოთა.

ძველ ძეგლებში ავტორისეული პიროვნული სახე მკაფიოდ არ იკვეთება, ინტერპოლაციების გამო საიმედოდ არ არის დაცული თხზულების ავთენტურობა, დროის სიშორისა და ისტორიული ქართვეილების შედეგად დარღვეულია ტექსტის მთლიანობა – იგი ხშირად ნაკლულია, ან სულაც მხოლოდ ნაწყვეტის სახით არის მოღწეული. ამის გამო ქართული მწერლობის ეს პერიოდი ავტორობის საკითხთან დაკავშირებით ფოლკლორულ ტექსტებსაც ისევე ენათესავება, როგორც ავტორიზებულს.

მე-17 საუკუნიდან თანდათან უფრო გამოიკვეთა ავტორის ინდივიდუალური სახე, ზოგან კი, მაგალითად დავით გურამიშვილთან, თვით თხზულებაშივე გაჩნდა ბიოგრაფიული ელემენტები. მოქმედ პირთა პერსონალური საწყისის ზრდასთან ერთად, გაიზარდა ავტორის პიროვნული ინდივიდუალიზმიც, რომანტიკოსების შემოქმედებაში კი, მწერლის სახე მისი შემოქმედების განუყრელი ნაწილი გახდა.

თხზულებათა ანონიმურობის მიზეზები, ისევე, როგორც უცნობ ავტორთა ძიების გზები, სხვადასხვა ეპოქასთან მიმართებით განსხვავებულია. ფაქტობრივად, არ არსებობს არავითარი საშუალება უძველესი ფოლკლორული ძეგლების შემქმნელთა ვინაობის დასადგენად. რამდენადაც სასულიერო მწერლობა საერთო თემითა და მიზანსწრაფვით შეკავშირებული ერთი გრანდიოზული მთლიანობაა და ამ პერიოდის ავტორი ნაკლებად ცდილობს თავისი ინდივიდუალობის გამოვლენას, თუ შემოქმედის სახელი ტექსტშივე არ არის მოხსენიებული, ძალზე მცირეა თხზულების ანალიზით ავტორის ვინაობის დადგენის შესაძლებლობა. აქ, ალბათ, შეუძლებელია ისეთი ენობრივი, ან სტილური სპეციფიკური ნიშნების გამოკვეთა, რომლებიც ავტორებს მნიშვნელოვნად განასხვავებდა ერთმანეთისგან

და შეგვადლებინებდა მათი ვინაობის დადგენას. ერთადერთი ქმედითი საშუალება ასეთ შემთხვევაში ისტორიულ წყაროებში რაიმე მინიშნების პოვნაა.

ავტორთა სახელების ცოდნის შემთხვევაშიაც კი, მათ შესახებ ზოგადი ინფორმაცია ძალიან მწირია. ამის გამო, მეცნიერების წინსვლისა და კვლევის მეთოდების დახვეწის მიუხედავად, შეუძლებელი აღმოჩნდა ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლების ავტორთა დადგენა, როგორებიცაა: „ევსტათი მცხეთელის“, „კოლაელ ყრმათა“ და „კონსტანტი კახის“ წამებანი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და მრავალი სხვა.

ამ პერიოდის ლიტერატურაში ხშირად ავტორის სახელის დადგენაც ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან სახელის უკან არავითარი დამატებითი ინფორმაცია არ არსებობს. თვით „ვეფხისტყაოსანშიც“ რუსთველი კი არის მოხსენიებული პოემის შემქმნელად, მაგრამ უცნობი რჩება არა მხოლოდ მისი ბიოგრაფია, არამედ თვით ამ სიტყვის, „რუსთველის“, მნიშვნელობაც, სადაურობაზე მიმანიშნებელია ის, თუ საქმიანობაზე, რუსთავის მკვიდრს ნიშნავს, მის მფლობელს, თუ მღვდელმთავარს და სხვ. დაუდგენელია ისიც კი, რომელ რუსთავს ეხება საქმე – ჰერეთისას თუ მესხეთისას. ყოველივე ამის შესახებ არაერთი განსხვავებული ვარაუდია გამოთქმული, მაგრამ დოკუმენტური წყაროების არარსებობის გამო, ვერც ერთი მათგანი ცალსახად ვერ მკვიდრდება.

მხატვრული ძეგლის ავტორის შესახებ ინფორმაციის სიმრავლეს და მრავალმხრივობას დიდი მნიშვნელობა აქვს ნაწარმოების სიმბოლურ-ალეგორიული ქვეტექსტებისა და იდეური ჩანაფიქრის გასახსნელად. იმის გამო, რომ „ვეფხისტყაოსანში“ მწერლის მსოფლმხედველობა პირდაპირ გაცხადებული არ არის, ამბავი კი სპარსულადაა შენიღბული, კარგა ხანს ეჭვქვეშ იდგა რუსთველის ქრისტიანული აღმსარებლობა და ამ მიზეზით არაერთი სახისმეტყველებითი ასპექტი რჩებოდა გაუხსნელი. არათუ ანონიმურობა, ავტორის შესახებ ინფორმაციის სიმწირეც მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა, რომელიც ხელს გვიშლის ტექსტის ავტორისეული ვარიანტის დაცვაშიც და მის სრულყოფილ აღქმაშიც. ამდენად, შეიძლება ითქვას,

რომ ავტორის იდენტიფიკაცია და მის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოპოვება ტექსტოლოგიური და, ზოგადად, ფილოლოგიური კვლევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საყრდენი და საფუძველია.

ლიტერატურათმცოდნეობითი ასპექტების კვლევისას ხშირად გვეხმარება მწერლის ლიტერატურული კრედიტი, მისი შემოქმედებითი მეთოდისა და მრავალი სხვა ინდივიდუალური ასპექტის ცოდნა. თხზულების ანონიმურობის შემთხვევაში კი, ყველა ამ დამხმარე საშუალებას მოკლებულნი ვართ, უფრო მეტიც, არ გვაქვს შესაძლებლობა, შევადაროთ იგი ამავე ავტორის სხვა თხზულებებს.

ატრიბუცია ახალ და უახლეს მწერლობაშიც არაერთ პრობლემასთან არის დაკავშირებული. ავტორის სახელის დაკონკრეტებას აქ ბევრად უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ გზით ნაწარმოების არეალში შემოდის იმავე შემოქმედის სხვა თხზულებები და მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ არსებული ინფორმაცია. გარდა იმისა, რომ ეს საჭიროა ტექსტის სწორი აღქმისათვის, მას ისტორიული მნიშვნელობაც აქვს, რადგან ავსებს და სრულყოფს ამა თუ იმ მწერლის შესახებ ჩვენს წარმოდგენას.

ფალსიფიკაცია და ინტერპოლაცია

გაყალბებული შეიძლება იყოს როგორც საქმიანი ქაღალდი, ისე მხატვრული ტექსტი. მაგალითად, ფალსიფიცირებული აღმოჩნდა ჩუქების საბუთი, რომელიც ვითომდა რომის იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა უძღვნა რომის პაპ სილვესტრს. ასევე სხვისი დაწერილი აღმოჩნდა ალექსანდრე პუშკინის დრამის „ქალთევზა“ ფინალური ნაწილი.

შეიძლება ფალსიფიცირებული იყოს არა მთლიანი ტექსტი, არამედ მისი ნაწილები. ასეთი ჩანარებები, ანუ ინტერპოლაციები, უხვად არის „ვეფხისტყაოსანში“.

მტკიცებულებას, რომლის მიხედვითაც, თხზულება იმ ავტორს არ მიეკუთვნება, ვისაც ვარაუდობდნენ, ასევე ნიშანს, რომელსაც იყენებდნენ ტექსტიდან ამოსაღები ადგილების მოსანიშნად, ეწოდება ატეთება. მთლიანი

ტექსტის, ან მისი ნაწილის ფალსიფიცირებას სხვადასხვა მიზეზი აქვს ხოლმე. ზოგჯერ ამა თუ იმ ავტორის ციტატას გადააკეთებენ, რომ საკუთარ მიზანდასახულობას მიუსადაგონ.

მაგალითად, ილია ჭავჭავაძის მხატვრული ტექსტების ინტერპრეტირებასთან დაკავშირებული პოლემიკისას გადააკეთეს მისი ციტატა: „ყოველი აზრი, ყოველი საქმე, ცხოვრებისათვის ასე თუ ისე შესაწყნარებელი, იმავე არსებობისთვის ბრძოლის კანონს ექვემდებარება, როგორც სხვა ყოველი ამ ქვეყნიერობაზე, და ისე არ იჩენს თავს, რომ ან ყოფილს აზრს, ან საქმეს წინ არ შეეხალოს და ომი არ გადაუხადოს ადგილის დასაჭერად“ (იხ. „ივერია“, 1892, №20, თხზ. აკად. გამოც 20 ტომად, ტ. 5, გვ. 252). „შესაწყნარებელ“ ფორმასთან „არს“ ზმნის ტოლფასი სუფიქსის („ა“) და კავშირის („და“) ჩასმით გადააკეთეს ასე: „ყოველი საქმე, ყოველი აზრი ცხოვრებისათვის შესაწყნარებელია და იმავე არსებობისთვის ბრძოლის კანონს ექვემდებარება“. ტექსტის ასეთი მოდიფიცირება საჭირო გახდა იმის დასამტკიცებლად, თითქოს მწერალი ყოველგვარ აზრს ერთნაირად შესაწყნარებლად მიიჩნევდა და, შესაბამისად, მისი თხზულებების ნებისმიერი სახის ინტერპრეტაციას ერთნაირი მეცნიერული ღირებულება აქვს. რეალურად ილია სრულიად საპირისპიროს ამბობს. ის საუბრობს მხოლოდ „შესაწყნარებელ“ აზრებზე და მათ უცილობელ დაპირისპირებაზე სხვა აზრებთან.

საბჭოთა კავშირი ათეისტური სახელმწიფო იყო და ხშირად ხდებოდა კლასიკოსთა ნააზრევინად რელიგიური თემების ამოღება ან გადაკეთება. ილია ჭავჭავაძის მოთხრობის „გლახის ნაამბობი“ რელიგიური დისკურსის მიჩქმალვის მიზნით მე-ნ კლასის „ქართული ლიტერატურის“ სახელმძღვანელოში მოხდა მოთხრობის ნაწყვეტის ფინალური ფრაზის ფალსიფიცირება. ილია ჭავჭავაძის ტექსტის ყველა ავთენტურ წყაროში წერია: „სხვა შენთვის და შენ სხვისთვის. აი, გზა ცხოვრებისა, აი, ხიდი ცხოვრებისა, აი, გასაღები სამოთხისა!..“, სახელმძღვანელოში კი ტექსტი დაიბეჭდა ასეთი სახით: „სხვა შენთვის და შენ სხვისთვის. აი, გზა ცხოვრებისა, აი, ხიდი ცხოვრებისა, აი, გასაღები ცხოვრებისა!..“ „ცხოვრებისა“ და „სამოთხის“

„ცხოვრებით“ ჩანაცვლებით და ამ უკანასკნელის სამჯერ გამეორებით ეფექტური მხატვრული გრადაციის ნაცვლად მივიღეთ ტავტოლოგია, რამაც დააკნინა ტექსტის მხატვრული ღირსება და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არსებითად შეიცვალა როგორც ამ ეპიზოდისთვის, ისე მთლიანად თხზულებისთვის უმნიშვნელოვანესი ფრაზის არსი. ტექსტის ავტორი აქცენტს აკეთებდა იმქვეყნიურ ცხოვრებაზე, ფალსიფიცირებულ ტექსტში კი მთელი ყურადღება კონცენტრირდა ამქვეყნიურზე.

კლასიკოსთა აკადემიური გამოცემების ტექსტებში იდეოლოგიური ცენზურა ტექსტის შეცვლას მისგან ცალკეული ადგილების ამოღებას, კუპირებას ამჯობინებდა, მაგრამ იქაც კი არის გაყალბების შემთხვევები, რის გამოც ტექსტოლოგს დიდი სიფრთხილე მართებს ტექსტის დადგენისას.

ატრიბუციის სანდოობის ხარისხი

ჩვენ შევეცადეთ ჩამოგვეყალიბებინა კვლევის ის ხერხები და მეთოდები, რომლებიც ხელს გვიწყობს უცნობი ავტორის ვინაობის დადგენაში, მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ცალ-ცალკე აღებული არც ერთი მათგანი არ არის დაბღვეული ცდომილებისაგან.

როცა ესა თუ ის თხზულება კონკრეტული ავტორის ხელმოწერით მის სიცოცხლეშივე იბეჭდება, მისი ავტორობა თითქოსდა არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს, მაგრამ გვხვდება იშვიათი უცნაური გამონაკლისები. 1922 და 1923 წლებში გაზეთ „ტრიბუნაში“ გალაკტიონ ტაბიძის ხელმოწერით (N241, N415) დაიბეჭდა ორი ლექსი, რომლებიც სინამდვილეში მისი პაროდია იყო.

მწერლის ავტოგრაფების უმრავლესობა მის არქივში არის ხოლმე დაცული, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ, რასაც იქ ვიპოვით, ყველაფერი მისი დაწერილია. მას შეიძლება თავისი ხელით გადაწერილი ჰქონდეს სხვა ავტორის, ან ხალხური თხზულებაც. ალექსანდრე ყაზბეგის ავტოგრაფებს შორის აღმოჩნდა მის მიერ გადაწერილი ლექსი „ეს გაზაფხულიც მოვიდა“ და ყაზბეგისეულად იქნა მიჩნეული, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს ლექსი ვაჟა-ფშაველას სიცოცხლეშივე იყო გამოქვეყნებული, როგორც მისი დაწერილი.

ალექსანდრე ყაზბეგის ფონდში ასევე დაცულია მწერლის მიერ გადაწერილი არაერთი ფოლკლორული ტექსტი, რადგან ის აგროვებდა ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს. ლექსები „ნადირობა“, „ულვაშგაკრეჭილი“ და „ზოზინა“ დაიბეჭდა მისი ოთხტომეულის მე-3 ტომში და თხუთმეტომეულშიც განმეორდა. ეს ლექსები ხალხურია და ყაზბეგისავე სიცოცხლეში გამოქვეყნდა ჟურნალ „ივერიაში“ 1885 წლის N12-ში. ასეთივე გაუგებრობა გამოიწვია მირზა გელოვანის უბის წიგნაკში მისი ხელით გადაწერილი გალაკტიონისეული ლექსის – „გაზღვას“ მოხვედრამ.

ჩვენ ვიზიარებთ იოსებ ლორთქიფანიძის აზრს იმის შესახებ, რომ: „ავტოგრაფი აუცილებელ საბუთად შეიძლება გახდეს მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც პალეოგრაფიული და ისტორიულ-ლიტერატურული ანალიზით დამტკიცებული იქნება მისი ავტორისეულობა“. ამიტომ მიგვაჩნია, რომ მიკვლევული ავტოგრაფის თხზულებათა კრებულში შეტანამდე საჭიროა მათი ყოველმხრივი შესწავლა.

დასახელებული ხელნაწერები გადამწერის ხელით ნასწორები არ ყოფილა და ტექსტზე მუშაობის კვალი არ აჩნდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ გადამწერის ხელით შეტანილი სწორებების არსებობის შემთხვევაშიაც კი, დარწმუნებულები ვერ ვიქნებით, რომ თხზულება ამ პირისაა. აკაკი წერეთელი ლექსის წერის დროს ზოგჯერ ტექსტს სხვას კარნახობდა და კარნახითვე ასწორებინებდა (იხ. ილუსტრაცია N 10). ამიტომ შემოგვრჩა კირილე ლორთქიფანიძის მიერ ჩაწერილი მისი რამდენიმე ლექსი ამავე მოღვაწის სწორებებით. ეს თხზულებები აკაკის სიცოცხლეშივე რომ არ გამოქვეყნებულიყო მისი სახელით, საარქივო დოკუმენტები შეცდომაში შეგვიყვანდა, ლექსი კირილე ლორთქიფანიძისა გვეგონებოდა. როგორც ვხედავთ, თითქოსდა უტყუარი საარქივო მასალებიც კი გადამოწმებას მოითხოვს ატრიბუციისათვის მნიშვნელოვანი სხვა ასპექტების მხრივაც.

ყოველთვის საიმედო დასაყრდენი ვერ იქნება ვერც ბიბლიოგრაფიული ნუსხები. აქ შეიძლება საქმე გვქონდეს როგორც მექანიკურ შეცდომებთან და რაიმეს უნებლიე გამორჩენასთან, ისე სხვადასხვა მიზეზით განპირობებულ შეგნებულ გამოტოვებასთანაც. მკვლევარ ლევან ჭრელაშვილის ვარაუდით,

თედო სახოკიამ ილია ჭავჭავაძის ბიბლიოგრაფიაში, რომელიც 1917-1920 წლებში შეადგინა, შეგნებულად არ შეიტანა „ახალმოსულის“ ფსევდონიმი დაბეჭდილი მისი პოლემიკა ნოე ჟორდანიასთან – „პატარა საუბრები“, რადგან ჟორდანიას იმ დროს სახელმწიფოს მეთაური იყო.

არცთუ იშვიათია ისეთი შემთხვევები, როცა თავად ავტორებსაც ავიწყდებათ თავიანთი პუბლიკაციების ზუსტი დრო და ადგილი. ვაჟა-ფშაველას ახსოვდა, რომ წერა 1878 წელს დაიწყო, სინამდვილეში კი აღმოჩნდა, რომ მისი პირველი კორესპოდენცია გამოქვეყნდა 1879 წელს. ეს იყო “წერილი ხევსურეთიდან”, რომელიც დაიბეჭდა გამ. “დროების” N11-ში.

უფრო რთულ მოვლენასთან გვაქვს საქმე, როდესაც ავტორიარება შეიძლება ცალბი იყოს და პიროვნება ცდილობდეს სხვისი თხზულების მითვისებას. ასეთ დასკვნამდე მივყავართ იმ ჩანაწერებს, რომლებიც ელენე ბაქრაძე-ბერიშვილის არქივში აღმოჩნდა. მკვლევარი გიორგი ჯავახიშვილი ამტკიცებს, რომ პაოლო იაშვილისად ცნობილი ლექსების მთელი ციკლი ელენე ბაქრაძისავე განცხადებით მას ეკუთვნის: «Считаю глупостью поднимать шумиху из-за 15 стихотворений». «Юная поэтесса взяла с Паоло слово никому не говорить об ее авторстве. Слово это соблюдалось» «Не раз он просил разрешения раскрыть тайну, но каждый раз склонялся на просьбы Элли». მკვლევარ ზეინაბ ლომჯარიას აზრით, ელენე ბაქრაძის თვითალიარება არ არის სარწმუნო. მეცნიერს ამის დასამტკიცებლად არაერთი არგუმენტი მოჰყავს, მაგრამ ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით მაინც რჩება კითხვები. ვფიქრობთ, არ უნდა გამოვრიცხოთ მესამე ვერსიაც, შეიძლება ამ ლექსების თავდაპირველი რედაქციები, მართლაც, ეკუთვნოდა ელენე ბაქრაძეს, მაგრამ პაოლომ მოახდინა მათი საფუძვლიანი სწორება და მისცა ის საბოლოო მხატვრულ-ესთეტიკური სახე, რომლითაც ფასობს ეს თხზულებები. ასეთ შემთხვევაში ისინი თანაავტორებად უნდა მივიჩნიოთ.

არაერთი შემთხვევა ყოფილა, როდესაც სხვისი თხზულების, ან თხზულებების მითვისებაში ბრალს სდებდნენ საყოველთაოდ ცნობილ მწერლებს (ალექსანდრე ყაზბეგს, ჭაბუა ამირეჯიბს და სხვ.) და ეს დავა

დღემდე გრძელდება. არსებობს თანამედროვეთა გადმოცემები, როგორ ქმნიდნენ ეს ავტორები თავიანთ თხზულებებს მათ თვალწინ, მოიპოვება შემოქმედებითი პროცესის ამსახველი ავტოგრაფები (იხ. ილუსტრაცია N 11) და სხვ., მაგრამ საზოგადოებას თითქოს სენსაცია უფრო იზიდავს, ვიდრე სიმათლის ძიება. ხელალებით ვერაფრის მტკიცებას ვერ დავიწყებთ, მით უფრო, რომ ამ კონკრეტულ მწერალთა თხზულებების ატრიბუციაზე არ გვიმუშავია, მაგრამ არ შეგვიძლია, ზოგადად არ ვთქვათ, რომ მათ, ვინც ასეთ საკითხს წამოჭრის, უნდა შეეძლოთ შეურყეველი საბუთების წარმოდგენა და კონტრარგუმენტების გაბათილება.

ატრიბუციის საკითხის გადაჭრასთან დაკავშირებით მეცნიერებს ხშირად განსხვავებული ორიენტირები აქვთ. ზოგი დოკუმენტურ საბუთებს ანიჭებს გადამწყვეტ მნიშვნელობას. მაგალითად, უკრაინელი ტექსტოლოგი პაველ ბერკოვი წერს: „ანონიმური და ფსევდონიმური თხზულების ავტორის დადგენა, სავარაუდო პირისადმი მისი კუთვნილების უტყუარი დოკუმენტური დადასტურების მიკვლევამდე, მხოლოდ სამუშაო ჰიპოთეზად უნდა ჩაითვალოს“. განსხვავებული აზრისანი იყვნენ ცნობილი ტექსტოლოგები სოლომონ რეისერი და ლილია ოპულსკაია. ეს უკანასკნელი წერს: „ატრიბუციის ჭეშმარიტების უმაღლესი კრიტერიუმი არის არა დოკუმენტური, არამედ ისტორიული და ფილოლოგიური ანალიზი, რომელიც ადგენს მოძიებული დოკუმენტების ავტორიტეტულობას, მართებულად განმარტავს მათ შინაარსს და აქარწყლებს ყოველგვარ სიყალბეს“.

საკითხის შესწავლამ ჩვენ ერთ რამეში დაგვარწმუნა, რომ ატრიბუციული კვლევის არც ერთი ასპექტი არ არის კატეგორიულად მყარი, ყველას გააჩნია შეცდომის თეორიული ალბათობა. ამიტომ ნებისმიერი სახის ანონიმური და ფსევდონიმით გამოქვეყნებული თხზულება ყოველმხრივ, კომპლექსურად უნდა იქნეს შესწავლილი. შემდეგ, მიღებული შედეგები უნდა დაჯამდეს და გაკეთდეს დასკვნა, რამდენად დარწმუნებული ვართ, რომ ეს თხზულება ამა თუ იმ ავტორს უნდა ეკუთვნოდეს. ცალსახა დასკვნის გაკეთება არ არის მართებული. დავუშვათ, მწერალს შეეშალა რაღაც თვითალიარებისას, დავუშვათ, ავტორობაზე პრეტენზიის მქონე პიროვნება მიმოვისებელია, მის

განაცხადს კი ჩვენ თვითადიარებას ვუწოდებთ. ხომ შეიძლება, რომ აკაკი წერეთლის მსგავსად, ვინმეს კიდევ ჰქონდეს ასეთი ჩვეულება – კარნახით სხვას აწერინებდეს თავის ლექსს და სხვასვე ასწორებინებდეს და იმ ჩანაწერის საფუძველზე თხზულება ჩვენ იმ სხვას მივაკუთვნოთ და არა რეალურ ავტორს. ბევრი ასეთი დაშვება და ვარაუდი შეიძლება წარმოვიდგინოთ, მაგრამ მდგომარეობა გამოუვალი მაინც არ არის და ავტორის ძიებაზე ხელი არ უნდა ავიღოთ.

ჩვენი ვალია, შეძლებისდაგვარად კომპლექსურად შევისწავლოთ ტექსტი და მის შესახებ არსებული ყველანაირი ინფორმაცია, გავითვალისწინოთ ტექსტოლოგიური გამოცდილება, სავარაუდო ავტორების პიროვნული მახასიათებლები და საკითხი ვიკვლიოთ ყოველმხრივ.

კომპლექსური ატრიბუციული კვლევა

1965 წელს მკვლევარმა სოლომონ ცაიშვილმა გამოთქვა აზრი, რომ მამია გურიელის ნეკროლოგი, გაზეთ „ივერიის“ სარედაქციო გვერდზე ხელმოუწერლად გამოქვეყნებული სხვა სტატიების მსგავსად, ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის. საგულისხმოა, რომ 1891 წლის 3 აგვისტოს დაბეჭდილ ამ ნეკროლოგს, ისევე როგორც იმავე წლის 9 ივნისს გამოქვეყნებულ დავით იესეს ძე ჩუბინაშვილისას (ადიარებულია ილია ჭავჭავაძისეულად და იბეჭდება მის თხზულებათა გამოცემებში), სათაურის ნაცვლად წინ უძღვის შავ არშიაში ჩასმული ჯვარი, გარდაცვლილის სახელი, გვარი და მამის სახელი. რამდენადაც ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის შემდგენლებმა ეს მოსაზრება არ გაიზიარეს და მამია გურიელის ნეკროლოგი არ იქნა შეტანილი მწერლის არც პუბლიცისტიკის ტომებში და არც „სავარაუდოთა“ განყოფილებაში, გადაწყვიტეთ, გავვეგრძელებინა ატრიბუციული კვლევა და ჩავვეტარებინა ტექსტის შედარებითი ენობრივ-სტილური ანალიზი.

მამია გურიელის ნეკროლოგის ენა სავსებით შეესაბამება ილია ჭავჭავაძისას: 1. მისთვის დამახასიათებელია მსაზღვრელ-საზღვრულის

პოსტპოზიციური წყობა ბრუნვაში სრული შეთანხმებით (შდრ. „ცეცხლს ქვეყნის სიყვარულისას“ / „ფასს მამულის ღირებულებისას“, „რწმენას ადამიანის სიკეთისას“ და სხვ.); 2. –ავ თემის ნიშნის შენაცვლება –ამ თემის ნიშანთან (შდრ. „საით უზავს თავს“), ან –ებ თემის ნიშანთან (შდრ. „დაჰბადავს ჩვენში“ და სხვ.); 3. „იგი“ ჩვენებითი ნაცვალსახელის გამოყენება რთული წინადადების დასაწყისში (შდრ. „იგი გაზეთი, საიდამაც ეს ამბავი ჩვენ ამოვწერეთ“, „იგი ძვირფასი ჭირნახული, რომლის მოყვანასაც ხელს უწყობს...“ / „იგი სურვილი საქმის გაკეთებისა თანდათან უფრო ძლიერდება და, რამდენადაც უფრო...“).

მსგავსია სტატიის ავტორისა და ილია ჭავჭავაძის ლექსიკა და ცალკეული ფრაზებიც: 1. აბრთან და არგუმენტებთან დაკავშირებით მწერალი ხშირად იყენებს ზმნას „აწონ–დაწონ“ (შდრ. „საქმეს საბუთები მოუხხრიკოს, ასწონ–დასწონოს ღირსება საბუთებისა...“ „თავის სასწორზე არ ასწონ–დასწონოს ან საჰოლდ, ან საარაოდ“ / „ასწონ–დასწონის, კომპრომისებს მოძებნის...“); 2. ილია ჭავჭავაძე ძალიან ხშირად იყენებს სიტყვას „ჰლამოდა“: „ჰლამოდა შეერყია მთელი ევროპა“, „ჰლამოდა თავისად გამოყენებას“, „მივიდა და ჰლამოდა აყენებას“, „ჰლამოდა ცას იქით მიეწვდინა თვალი“, „ჰლამოდა ხმლის გაშიშვლებას“, „სამაგიეროს გადახდას ჰლამოდეს“, გურიელის ნეკროლოგშიც გვხვდება ასეთი ფრაზა: „ჰლამოდა გულის ფიცრით კლდის გატეხასა“. ზმნის ასეთი ფორმა გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“, „ვისრამიანსა“ და შუა საუკუნეების სხვა ძეგლებში, მაგრამ მე-19 საუკუნის მწერლებთან მას ვერ მივაგენით; 3. სიმრავლის გამოსახატად მწერალი ხშირად იყენებს ფრაზას „ასი და ათასი“. ასეთივე ფრაზა გვხვდება გურიელის ნეკროლოგშიც (შდრ. „იქ, საცა ასისა და ათასის კაცის სიცოცხლეა...“ / „ასისა და ათასის თავგამოდებული შრომა და ჯაფა“). თავის მართლებებზე საუბრისას ილია ჭავჭავაძე იყენებს ფორმას „მართლულობს“, იხ. „თავს იმით მართლულობს“, „ვინც იმით მართლულობს თავს“ და სხვ. ხელმოუწერელ ნეკროლოგშიც ასეთი ფორმა გვხვდება: „იმითი მართლულობდნენ თავს“. ასევე დამახასიათებელია ილია ჭავჭავაძისთვის „სადაც“ მიმართებითი ზმნიზმის „საცა“ ფორმით გამოყენება და სიტყვის „შემძლებელობა“ ხშირი ხმარება.

დიდი მსგავსებაა ამ ნეკროლოგსა და ილიას სტატიებს შორის სტილის,

ტექსტის ერთიანი სტრუქტურისა და სხვადასხვა მონაკვეთის აგებულების მხრივაც. ალექსანდრე როინაშვილის ნეკროლოგში მწერალი სვამს კითხვას: „რა იყო და ვინ იყო ალექსანდრე როინაშვილი, რომ მისმა უჩინარმა სახელმა იმოდენა ხალხი მიიზიდა... და შემდეგ მეორდება მსგავსი სტრუქტურის მქონე წინადადებების წყება ერთნაირი დასაწყისით – „იგი იყო...“ („იგი იყო უბრალო გლუხვაცის შვილი...“ „იგი იყო მოსილი იმ წმინდა მადლითა...“ „იგი იყო მხნე, გამრჯელი და უკანდაუხეველი...“ ზუსტად ასეთსავე სტრუქტურას ვხვდებით მამია გურიელის ნეკროლოგშიც. ამჯერად კითხვა ასეთია: „რითი იყო ძვირფასი მამია?“ პასუხები კი იწყება ფრაზით: „იმით, რომ“ („იმით, რომ მეტად უყვარდა თავისი სამშობლო...“ „იმით, რომ მზად იყო წვეთ-წვეთობით დაექცია მისთვის სისხლი...“ „იმით რომ ტანჯვა და წამება მისთვის ღზინად უჩნდა...“ და სხვ.).

ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური სტილისთვის დამახასიათებელია სამეტყველო ლექსიკური ერთეულების გამოყენება. იგი ხშირად ხმარობს ჩვენებით ნაწილავს – „აი“: „ამ გამგეობის განაჩენში აი რასა სწერს“; „მაჰმადიანთა მწერალი ალ-აინი აი რასა სწერს“; „სხვათა შორის, აი, რა სამართლიან აზრს ამბობს...“. მსგავსი შემთხვევები არის გურიელის ნეკროლოგშიც: „ერთს თავისს მეგობარს აი რასა სწერს, სხვათა შორის“; „აი ასეთი ტანჯული, ასეთი ცეცხლწაკიდებული იყო ეს ბოლმითა და ვარამით სავსე მგოსანი“.

ადამიანის ცხოვრების კრედოს აღსანიშნად ილია ჭავჭავაძე იყენებს ხოლმე გამოთქმას, რომ ასეთია მისი „სიმბოლო სარწმუნოებისა“. ასეთი რამ გვხვდება განსახილველ ნეკროლოგშიც (შდრ. „ეს არის თქვენი სიმბოლო სარწმუნოებისა?...“ / „იმისი ფილოსოფია, იმისი სიმბოლო სარწმუნოებისა იყო იმისი „ალავერდი“).

ილია ჭავჭავაძეს ბევრგან ახასიათებს ადამიანის უდიდესი სურვილისა და მისწრაფების წყურვილთან შედარება, რომელიც მის გულში ჩნდება. ასეთი რამ გვხვდება განსახილველ სტატიაშიც (შდრ: „ჩვენი საზოგადოება, ჩვენი დიდ-პატარაობა გააღვიძებს თავის გულში მადლის ქმნის წყურვილსა“ / „ჩააქრობს თავისს გულში... იმ წყურვილს თავის ნატვრა-სურვილის

განხორციელებისას“).

ილია ჭავჭავაძისთვის ძალიან დამახასიათებელია ანდაზების ხშირი გამოყენება, მაგრამ მათ იგი მოიხმობს ან იმიტომ, რომ ეთანხმება, ან იმიტომ, რომ უპირისპირდება. ნეკროლოგში ვკითხულობთ: „ვინც მამიასავით მძლავრის სულისა არ არის, ის მალე მიატოვებს თავის სურვილს: საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგანაო, იტყვის და ნელ–ნელა ჩააქრობს თავის გულში იმ ცეცხლს ქვეყნის სიყვარულისას... მამია ასეთს ფილოსოფოსობას არ ეწყობოდა, ასეთს კომპრომისებს არ სწყალობდა...“ ზემოხსენებული ანდაზის მოწოდებას გაცლის შესახებ მწერალი უპირისპირდება „ოთარაანთ ქვრივშიც“, ერთ პირად წერილში კი მის თავისებურ ინტერპრეტაციას გვთავაზობს: „საცა არა ჰსჯობს, დაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან“ და შემდეგ იქვე განმარტავს: „დაცლის მაგიერ რუსთველი გაცლას ამბობს. მეც ვიცი „ვეფხვისტყაოსანი“, მაგრამ ჩვენს ეხლანდელს მდგომიარობას დაცლა უფრო უხდება, ვიდრე გაცლა“ (ტ. 18, გვ. 162). სიტყვა „დაცლა“ აქ „დაცდის“ მნიშვნელობით არის.

ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილები ხშირად მთავრდება პოეტური ციტატებით. მაგალითად, დიმიტრი ყიფიანის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაწერილ ერთ–ერთ წერილს იგი ამთავრებს ასე: „ამისთანა იშვიათს ვაცებზეა ნათქვამი: „მოკვდა და თავის ანდერძით / აწ ისევ საქმობს მკვდარიო“. მამია გურიელის ნეკროლოგიც მსგავსი შემაჯამებელი ფრაზით და პოეტური ციტატით მთავრდება: „არ მოუხადა ქედი გარემოებას... და ვიდრე ცოცხალი იყო, „ფეხი მთებრ ედგა ქვეყანად, / ტინურად დამტკიცებული, / ვითა ქარქვეტი ქართაგან / ვერ იქმნა მოტაცებული“. ილია ჭავჭავაძისაგან სწორედ ასე სჩვეოდა სტატიის დამასრულებელი პოეტური ციტატის მორგება ბოლო წინადადებით გამოხატულ შინაარსთან.

გაზეთების ციფრულ კატალოგებში მსგავსი მაგალითების ძიებისას ჩვენ მივაგენით მამია გურიელის გარდაცვალებამდე სამი წლით ადრე, 1888 წლის მარტში, ზუსტად ასე, „ივერიის“ სარედაქციო გვერდზე უსათაუროდ და ხელმოუწერლად გამოქვეყნებულ სტატიას, რომლის ილიასეულობაც უკვე დამტკიცებულია და მის თხზულებათა ოცთომეულშიც არის შეტანილი (ტ. 10, გვ.

146–150) და რომელიც მთავრდება სულხან–საბასეული ამავე ციტატით: „სნა მხნეობასა და გარჯაშია. ესე უნდა მოიქცეს ყველა, ვისაც ჰსურს „ფეხი მთებრ დასდგას ქვეყანად, / ტინურად დამტკიცებული, / ვითა ქარქვეტი ქართავან, / არ იქმნას მოტაცებული“. როგორც ვხედავთ, ილია ჭავჭავაძეც, ამ სტატიის ავტორის მსგავსად, ციტირებული ფრაზის ზმნების პირის, დროისა და რიცხვის ფორმებს კონტექსტს უსადაგებს. გურიელის ნეკროლოგში თუ სიტუაციას წარსული დრო შეესაბამებოდა და ზმნებმა მიიღო ფორმა „მთებრ ედგა“ და „ვერ იქმნა“, ამჯერად იგივე ზმნები იღებს ფორმას: „მთებრ დასდგას“ და „არ იქმნას“. საგულისხმოა, რომ სულხან–საბასთან ეს ფრაზა ორივე სტატიისგან განსხვავებული ფორმითაა წარმოდგენილი: „მთებრ დადგი“ და „არ იქმნა“ და ავტორებმა (თუ ერთმა ავტორმა – ილია ჭავჭავაძემ) მოახდინეს მისი ტრანსფორმაცია კონტექსტთან მისასადაგებლად.

მამია გურიელი 1891 წლის 25 ივლისს გარდაიცვალა. 26 ივლისს გაზეთ „ივერიაში“ უკვე დაიბეჭდა ლექსი სათაურით „არჩილური შვილთავი (საამდროო ამოცანები)“, რომელშიც აკროსტიქურად იკითხებოდა „მამიას“. ამ დროს ილია ჭავჭავაძე პეტერბურგში იმყოფებოდა. როგორც ჩანს, სწორედ ამიტომ დაავიანა მისმა ნეკროლოგმა და მხოლოდ 9 დღის შემდეგ, 3 აგვისტოს, გამოქვეყნდა. სხვა შემთხვევაში, გამოსათხოვარ წერილებს იგი გაზეთში უახლოეს დღეებშივე აქვეყნებდა.

შედევები რომ შევაჯამოთ, ილია ჭავჭავაძის ავტორობის სასარგებლოდ მეტყველებს შემდეგი არგუმენტები:

- ა) სტატია ხელმოუწერლად დაიბეჭდა იმ გაზეთის სარედაქციო გვერდზე, რომლის რედაქტორიც ილია ჭავჭავაძე იყო და ისეთივე ფორმით, როგორც იმავე ხასიათის სხვა წერილი (ნეკროლოგი).
- ბ) ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიებში დღემდე არ არის მითითებული ამ სტატიის ავტორად რომელიმე სხვა პირი.
- გ) ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტური წერილების ნახევარზე მეტი სწორედ ასევე ხელმოუწერლად იბეჭდებოდა „ივერიის“ მეთაურებად მისი რედაქტორობის პერიოდში.
- დ) მწერალი კარგად იცნობდა მამია გურიელს. ნეკროლოგის ავტორი, თუ არა

ახლო ნაცნობს, თავის ტოლსა და სწორს, გარდაცვლილს ვერ მოიხსენიებდა მხოლოდ სახელით და ვერ იტყოდა: „მამია ცოტას სწერდა...“.

- ე) შინაარსობრივმა, ენობრივმა და სტილისტურმა ანალიზმა გამოავლინა ილია ჭავჭავაძისათვის დამახასიათებელი არაერთი თავისებურება.
- ვ) სტატიაში მამია გურიელი ილია ჭავჭავაძის მიერ ხშირად ციტირებულ და დიდად პატივცემულ რუს მწერალსა და საზოგადო მოღვაწესთან, ბელინსკისთან, არის შედარებული იმით, რომ ორივენი გატეხა „დიდმა მხნეობამ და მასთან შეუძლებლობამ საქმის გაკეთებისამ“.
- ზ) ილია ჭავჭავაძეს ეხერხებოდა პოეტის სულის სიღრმეში ჩახედვა, მისი განცდების ამოცნობა. მამია გურიელის ტკივილად სტატიის ავტორი სახავს იმას, რომ იგი ბევრის შემძლე, დიდი გაქანების ადამიანი იყო და სამოქმედო ასპარეზი მოსპობილი ჰქონდა. მთავარი ტკივილი, რაც გურიის მთავართა შთამომავალ მამია გურიელს ჰქონდა და რამაც გაუუკუღმართა მთელი ცხოვრება, უკავშირდებოდა რუსეთის ხელისუფლების მიერ გურიის სამთავროს გაუქმებას. ამ ტკივილზე სტატიის ავტორი აშკარად ვერ ისაუბრებდა, შეფარვით უნდა ეთქვა და ეს ისეთ დონეზე გაკეთებული, რომ ძნელი სათქმელია, ილია ჭავჭავაძის გარდა სხვა ვინ შეძლებდა ამის ასე ოსტატურად გაკეთებას. სტატიას წამძღვარებული აქვს ვახტანგ VI-ისეული ფრაზა, მის მიერ თარგმნილი „ქილილა და დამანადან“: „გულის საუნჯე მაქვს სავსე / საიდუმლოთა სპეკალთა,/ მაგრამ ვერ გავხსნი, ვერ გეტყვი,/ ენაზე მასმენ ეკალთა“. თავად ტექსტში სტატიის ავტორი წერს: „...რადგან არც ყველაფრის დაბეჭდვა შეიძლებოდა, რაც „მის გულის საუნჯიდან საიდუმლო სპეკალი“ ამოვიდოდა, არც წერასა და სიტყვას აძლევდა იმდენს მნიშვნელობას...“.
- თ) რამდენადაც ილია 25 ივლისს პეტერბურგში იყო, ნეკროლოგი გაზეთში არა მომდევნო დღეებში, არამედ მამია გურიელის გარდაცვალებიდან 9 დღის შემდეგ გამოქვეყნდა.

ვფიქრობთ, წარმოებული კვლევა და ჩამოთვლილი არგუმენტები იმაზე მეტყველებს, რომ სტატია ილია ჭავჭავაძისა უნდა იყოს და იგი, „სავარაუდოს“ სტატუსით და „დამატებანის“ სახით, უნდა შევიდეს მის თხზულებათა მე-19 ტომში.

თარგმნილი ტექსტის ავტორობის დადგენა

მე-19 საუკუნის ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ თარგმანებს ხშირად არ აწერია მთარგმნელისა და ორიგინალის ავტორის ვინაობა. ასეთ შემთხვევაში ატრიბუციული კვლევა მიმართულია ორივე მიმართულებით და თითოეულ შემთხვევაში საჭიროა სხვადასხვაგვარი სტრატეგია.

1878 წელს გაზეთ „ივერიაში“ ავტორისა და მთარგმნელის მიუთითებლად გამოქვეყნებული ნოველით — „უბინაო კაცი ნუიორკში“ საზოგადოება დაინტერესდა მას შემდეგ, რაც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში აღმოჩნდა ამ ტექსტის გაზეთ „ივერიიდან“ გადაწერილი პირი და ცნობილმა ტექსტოლოგმა ლევან ჭრელაშვილმა დაასაბუთა, რომ ეს ნოველი და იმავე არქივში დაცული, ასევე ჟურნალ-გაზეთებიდან გადაწერილი ილია ჭავჭავაძის თხზულებები და თარგმანები, შესრულებული იყო ერთი ხელწერით.

მკვლევარმა მოიძია საბუთები, რომელთა მიხედვითაც, 1892 წელს ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულისთვის პერიოდული პრესის ფურცლებიდან მისი ტექსტების გადასაწერად გამომცემლობას სპეციალური ხელშეკრულება გაუფორმებია კონკრეტულ პირებთან. რამდენადაც იმ დროს ილია ცოცხალი იყო და გამოცემა მისი მეთვალყურეობით ხორციელდებოდა, მიჩნეულ იქნა, რომ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ამ ხელნაწერ ასლებს ილია ჭავჭავაძის ანონიმური თხზულებების ატრიბუციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა მინიჭებოდა. ეს მოსაზრება გაიზიარა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ოცტომეულის სარედაქციო საბჭომ და გადაწყდა, რომ ზემოხსენებული თარგმანი შეტანილიყო მწერლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის შესაბამის ტომში.

მე-19 საუკუნის 70-იან წლებში, როცა ჯერ კიდევ არ იყო შემუშავებული ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, ენობრივი თვალსაზრისით ძალიან დიდი სიჭრელე გვაქვს. თითოეულ მწერალს აქვს მისთვის დამახასიათებელი ლექსიკა, გრამატიკული ფორმები და მართლწერა, რასაც ტექსტოლოგები ხშირად ვიყენებთ ავტორის იდენტიფიცირებისათვის. ზემოხსენებული თარგმანის ატრიბუციის გასამყარებლადაც ჩავატარეთ მასში

და ილია ჭავჭავაძის ცნობილ ნაწერებში ხშირად გამეორებული გრამატიკული ფორმების, ლექსიკისა და მართლწერის შედარებითი კვლევა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით. შედეგი დადებითი მივიღეთ. მსგავსება თვალსაჩინოა.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც მეცნიერებს უნდა გადაეჭრათ, იყო ტექსტის ავტორის დადგენა.

თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში ნოველის გამოქვეყნებას წინ უსწრებდა ტექსტოლოგიური ძიებები მისი ავტორისა და თარგმანის წყაროს დასადგენად. რამდენადაც ცნობილი იყო, რომ ილია ჭავჭავაძე ინგლისურენოვან ტექსტებს, ძირითადად, რუსული თარგმანებიდან ასრულებდა, მკვლევარმა ნათელა ჩიტაურმა შეისწავლა შესაბამისი წლების რუსული პრესა და მიაკვლია შუალედურ თარგმანს. ტექსტს მსგავსი სათაური ჰქონდა და A. II.-ს ხელმოწერით (ამ ფსევდონიმს იყენებდა მწერალი და მთარგმნელი ალექსეი პლეშჩევი) იყო გამოქვეყნებული ჟურნალში „Отечественные записки“. მეცნიერმა გამოთქვა ვარაუდი ტექსტის ავტორთან დაკავშირებითაც. მისი აზრით, ეს უნდა ყოფილიყო ამერიკელი მწერალი ბრეტ ჰარტი, რადგან პლეშჩევი ხშირად თარგმნიდა მის ნოველებს და თან ამ ავტორს რამდენიმე ნოველა ჰქონდა დაწერილი მაწანწალაებზე.

2002 წელს ჟურნალში „ლიტერატურული ძიებანი“ გამოვთქვით მოსაზრება, რომ ტექსტის ავტორი ბრეტ ჰარტი ვერ იქნებოდა, რადგან მისი სტილი და დამოკიდებულება ნოველაში წარმოდგენილი თემისადმი რადიკალურად განსხვავდება ნოველის ავტორისეულისაგან. ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ ბრეტ ჰარტის ნოველებიდან მოხმობილი ამონარიდები შედარებული გვექონდა ილია ჭავჭავაძის მიერ თარგმნილ ნოველასთან. ასეთივე შედარებითი კვლევის საფუძველზე გამოვთქვამდით ვარაუდს, რომ „უბინაო კაცი ნუიორკში“ სხვა ამერიკელი ავტორების თხზულებებზე მეტ სიახლოვეს ავლენს ჰერმან მელვილის ნოველებთან, მაგრამ, მიუხედავად უხვი პარალელების მოხმობისა, იქვე აღვნიშნავდით: „ინდივიდუალურ სტილზე საფუძვლიანი დაკვირვება თარგმანის მეშვეობით თითქმის წარმოდგენელია. ასეთ კვლევას ატრიბუციისათვის არ შეიძლება ჰქონდეს

საბოლოო, მეცნიერული დასკვნის გამოტანის პრეტენზია“.

ასე რომ, კვლევის შემდგომი მიზანი გახდა თხზულების ორიგინალის პოვნა. იმ შემთხვევაშიაც კი, თუ მის პუბლიკაციასთან არ იქნებოდა მითითებული ავტორის ვინაობა (რაც იმ პერიოდისათვის ძალიან დამახასიათებელი იყო), ორიგინალური ტექსტი მეტ საშუალებას მოგვცემდა ატრიბუციისათვის, მით უფრო, თუ ამ კვლევებში ჩაერთვებოდნენ ამერიკელი ტექსტოლოგებიც.

თავდაპირველად ვიფიქრეთ, რომ ორიგინალის კვალს გვაპოვნინებდა რუსი მთარგმნელის, ალექსეი პლეშჩევის, შემოქმედების შესწავლა და იმ წყაროების მოძიება, რომლიდანაც იგი თარგმნიდა ხოლმე. საკითხის შესწავლის შემდეგ მივხვდით, რომ ეს უკიდურესად რთული იქნებოდა, რადგან აღმოჩნდა, რომ ალექსეი პლეშჩევი ინგლისურ ტექსტებს ორიგინალიდან არ თარგმნიდა. ამისათვის იყენებდა გერმანულ, ან ფრანგულ შუალედურ თარგმანებს. ამიტომ გადავწყვიტეთ, ორიენტაცია პირდაპირ ორიგინალზე აგვედო.

რამდენადაც ვეძებდით ტექსტს, რომლის ზუსტი სათაურიც არ ვიცოდით, ჩამოვწერეთ რუსული ტექსტის სათაურის ყველა შესაძლო ინგლისური შესატყვისი და დავეწყეთ ძებნა სხვადასხვა ენციკლოპედიურ გამოცემასა და ცნობარში, შემდეგ კი – ინტერნეტში. ამან რომ შედეგი არ გამოიღო, შევეუდექით ტექსტის შინაარსის შესაბამისი, ოღონდ ოდნავ განსხვავებული სათაურების ძებნას, მაგრამ მოძიებულ ტექსტთაგან არც ერთი არ აღმოჩნდა ჩვენთვის საინტერესო დედანი. ასეთებიდან შეგვიძლია დავასახელოთ ჰერმან მელვილის ნოველა დიპტიხი „ღარიბის პუდინგი და მდიდრის ნამცეცები“ და რაბორგის „ნიუ-იორკის უსახლკაროები“. პარალელურად მიმოწერა გვექონდა ამერიკელ ლიტერატურათმცოდნეებთან, მაგრამ მათმა კონსულტაციებმაც ვერ მიგვიყვანა კონკრეტულ შედეგამდე.

გადავწყვიტეთ სავარაუდო ავტორთა ჩამონათვალის შემჭიდროვება, რისი ერთ-ერთი საუკეთესო გზაც ტექსტის დათარიღება იყო. ამისათვის ყურადღებით შევისწავლეთ იგი ისეთი რეალიების საპოვნელად, რომლებიც დათარიღებაში დაგვეხმარებოდა. რამდენადაც რუსული შუალედური წყარო

უფრო ვრცელია და ორიგინალთან უფრო ახლოს მყოფი, ძირითადად, მას ვიყენებდით.

ნოველის დაწერის მაქსიმალურ ქრონოლოგიურ მიჯნად ავიღეთ რუსულ ჟურნალში მისი პუბლიკაციის დრო –1877 წელი და შევუდევით კვლევას დროის ქვედა მიჯნის განსასაზღვრად. რუსულ ტექსტში აღმოჩნდა ერთი დეტალი, რომელიც დაგვცხმარა დროის ქვედა ზღვრის განსაზღვრაში. ნოველის დასაწყისშივე, სადაც ნათქვამია, რომ ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ტეტლოუები გამოვიდნენ ნიუ-იორკის ერთ-ერთ საკონცერტო დარბაზ – სტეინ-ვეი-პოლიდან, ვკითხულობთ: „ახალგაზრდა წყვილი იშვიათად იმეტებდა დოლარებს თომასის კონცერტისთვის, მაგრამ ამ საღამოს გარისკეს და კმაყოფილები ბრუნდებოდნენ“. ჩვენ დაგვანტერესა მუსიკოს ტომასის / თომასის ვინაობამ. სამუსიკო ენციკლოპედიაში „Grove“s Dictionary of Music and Musicians“ ამოვიკითხეთ, რომ იმ დროისათვის ცნობილი მევიოლინის – თეოდორ ტომასის (Theodore Thomas) ოჯახი 1845 წელს გადასახლდა გერმანიიდან შეერთებულ შტატებში, კერძოდ, ნიუ-იორკში. იქვე დაკონკრეტებული იყო ისიც, თუ რომელ წელს რომელ დარბაზში ატარებდა იგი კონცერტებს. მათგან ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ 1872 წელს მან 60 კაცისაგან შემდგარი ორკესტრის თანხლებით დაიწყო კონცერტების სერია და 1878 წლამდე რეგულარულად უკრავდა სტეინ-ვეი პოლში. რადგან ნოველაში სწორედ ერთ-ერთი ამ კონცერტთაგანია ნახსენები, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იგი 1872 წელზე ადრე არ შეიძლება იყოს დაწერილი და რომ მისი შექმნის სავარაუდო დრო დაიყვანება 1872-1877 წლებზე.

ნაწარმოების შექმნის დროის განსაზღვრა, ჩვენი აზრით, ბევრად გააიოლებდა დასახულ ამოცანას, შეამცირებდა იმ სავარაუდო მწერალთა რიცხვს, რომელთა შორისაც უნდა გვეძებნა ანონიმი ავტორი. ამერიკელ ნოველისტთაგან ირვინგი (გარდ. 1859), პო (გარდ. 1849), ჰოთორნი (გარდ. 1864), კროკეტი (გარდ. 1836) და უორდი (გარდ. 1867) 1872 წლამდე გარდაიცვალნენ, გარლანდს (დაიბ. 1860), კრინსს (დაიბ. 1871) და ო“ჰენრის (დაიბ. 1862) 1877 წელსაც კი არ ჰქონდათ დაწყებული მოღვაწეობა და, ამდენად, ვერც ერთი მათგანი ვერ იქნებოდა 1872-1877 წლებში დაწერილი

ნოველის ავტორი, მაგრამ სავარაუდო ავტორთა სია მაინც ისეთი დიდი რჩებოდა, რომ მათი თხზულებების გადათვალისწინებას ჩვენთვის საინტერესო ტექსტის საპოვნელად ვერ შევძლებდით. ამიტომ გადავწყვიტეთ ტაქტიკის შეცვლა.

ნოველის ჟანრის წარმოშობა ამერიკაში პირდაპირ უკავშირდებოდა პრესის განვითარებას და ნოველათა უდიდესი ნაწილი პირველად ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა. შესაბამისად, სავარაუდო იყო, რომ ჩვენთვის საინტერესო ნოველაც 1872-1877 წლებში გამოსულ რომელიმე ლიტერატურულ ჟურნალში, ან გაზეთში (მოცულობიდან გამომდინარე, უფრო ჟურნალში) ყოფილიყო დაბეჭდილი. ამ 5-ნ წლის პრესის გადათვალისწინება ბევრად უფრო იოლი იქნებოდა, ვიდრე იმავე წლებში მოღვაწე ყველა ამერიკელი მწერლის თხზულებათა სრული ჩამონათვალისა და შემდეგ მსგავსი დასათაურების ტექსტების მოპოვება. შესაბამისად, გადავწყვიტეთ, რომ საძიებელი ტექსტის საპოვნელად საჭირო იყო, სათაურებისთვის ყურადღების მიუქცევლად, 1872-1877 წლებში ამერიკულ ლიტერატურულ ჟურნალებში დაბეჭდილ ნოველათა ტექსტების გადახედვა მსგავსი შინაარსის იდენტიფიცირების მიზნით. ამერიკის შეერთებულ შტატებში სტაჟირებაზე მყოფი ახალგაზრდა ქართველი პროფესორის, ნინო სოზაშვილის, დახმარებით სწორედ ამ გზით მივაკვლიეთ ჩვენთვის საინტერესო ტექსტს, რომელსაც იგივე შინაარსი, მაგრამ სულ სხვა სათაური ჰქონდა – „გარიყული“ („Left Out“) და ეკუთვნოდა ამერიკელ მწერალ ჯორჯ პარსონს ლეთროპს. ნოველა დაიბეჭდა ამერიკულ ჟურნალში – „Atlantic Monthly“.

ლეთროპი იმ დროს ამ ჟურნალის ასოცირებული რედაქტორი იყო და ხშირად აქვეყნებდა მასში თავის თხზულებებს. ამრიგად, გაირკვა ილია ჭავჭავაძის მიერ თარგმნილი ნოველის ავტორის ვინაობა. აღმოჩნდა, რომ ტექსტის სათაური, მართლაც, სრულიად განსხვავებული იყო და იმიტომაც ვერ მივაკვლიეთ ვერც ერთ ცნობარში, მაგრამ ტექსტი ანონიმურად არ იყო გამოქვეყნებული, ავტორის ვინაობა მასთან სრულად იყო მითითებული.

დათარიღება

გრაფოლოგიური და ენობრივი ანალიზი

ხელნაწერთა მიახლოებითი დათარიღება შეიძლება გრაფოლოგიური ანალიზით. ძველ ტექსტებთან და უცნობ გადამწერებთან მიმართებით საშუალება გვაქვს ტექსტის გრაფემათა მოხაზულობა შევადაროთ სხვადასხვა საუკუნის ტექსტებისას, ხოლო თუ საქმე ეხება ნაცნობი ავტორის უთარილო ხელნაწერს, ყურადღებით უნდა იქნეს შესწავლილი მისი ხელწერა მოღვაწეობის სხვადასხვა ეტაპზე. მნიშვნელოვანია, რომ განალიზდეს არა მხოლოდ თითოეული ასოს მოხაზულობა, არამედ ასოთშეერთებებისაც, ციფრებისაც, სასვენი ნიშნებისაც და სხვ.

დათარიღების კიდევ ერთი ფართოდ გავრცელებული და ეფექტური ხერხია ტექსტის ენობრივი ანალიზი. დაკვირვების ობიექტი შეიძლება იყოს როგორც ორთოგრაფია და ლექსიკა, ისე მორფოლოგია და სინტაქსი. ქართული წერილობითი კულტურის ისტორიის კვლევისას ამ ხერხის ყველაზე ეფექტური გამოყენება უკავშირდება ე. წ. „ხანმეტობას“. ჯერ კიდევ ვრცელი ხანმეტი ხელნაწერების აღმოჩენამდე, „ხან“-პრეფიქსიანი სიტყვის შემცველი სულ რამდენიმე წარწერის საფუძველზე აკაკი შანიძეს გაუჩნდა ეჭვი, რომ მე-5 საუკუნემდე II სუბიექტური და III ობიექტური პირის ნიშანი უნდა ყოფილიყო „ხ“ და არა „ჰ“, როგორც ეს უფრო გვიანდელ ძეგლებშია. „ხანმეტი“ ტექსტები (ნუსხები რომლებშიც II სუბიექტური და III ობიექტური პირის ნიშნად „ხ“ პრეფიქსია გამოყენებული) მე-8 საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით გვხვდება, მაგრამ უკვე მე-7 საუკუნის დასაწყისიდან ეს პირის ნიშანი იცვლება „ჰ“-თი. ჩვენამდე მოღწეული პირველი ჰაემეტი ძეგლია წყისის წარწერა (616-619). მე-8 საუკუნის იერუსალიმის განჩინების ჰაემეტ ტექსტში „ჰ“-ს ნაცვლად აქა-იქ გვხვდება „ხ“ პრეფიქსიც, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ზეპირ მეტყველებაში პირის ნიშნად უკვე „ს“ იხმარებოდა. გიორგი მთაწმინდელი მის მიერ რედაქტირებული ოთხთავის ანდერაშში თავად იყენებს ტერმინს „ხანმეტი“ ოთხთავის უფრო ადრეული ნუსხის აღსანიშნად.

პალეოგრაფია მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ჩვენ ხელთ

არსებული მასალის სიმდიდრეზე. აკაკი შანიძემ ვარაუდი ხანმეტობის მოვლენაზე გამოთქვა მხოლოდ მცხეთისა და ბოლნისის წარწერების საფუძველზე, ივანე ჯავახიშვილის მიერ ხანმეტი ტექსტების აღმოჩენამდე. ერთი ასეთი მოგონებაც არსებობს: მოსკოვში ყოფნისას კორნელი კეკელიძეს რიტორიკულად უთქვამს, რა იქნება, სადმე ამოგორდეს ქვა მეექვსე საუკუნის წარწერით, ასე თხუთმეტიოდე სტრიქონით. აკაკი შანიძეს კი არაჩვეულებრივი მეცნიერული ალღოთი უპასუხია, „სულ ხანებით („ხ“ პრეფიქსით) იქნება სავსე“. მართლაც, სულ მოკლე ხანში ივანე ჯავახიშვილმა ვერ ოქსფორდში დაცული ქართული პალიმფსესტის ორ ფურცელზე მიაკვლია ხანმეტობის კვალს, შემდეგ კი ქართულ კოლექციებში მიაგნო „იერემიას წინასწარმეტყველების“, „ოთხთავის“, „დაბადებისა“ და სხვა ხანმეტ ტექსტებს, რომლებიც VI–VII საუკუნეებით დაათარიღა.

ამ სიახლეებით აღფრთოვანებული აკაკი შანიძე წერს, რომ ვერ წარმოიდგენდა, თუ მის მიერ რამდენიმე ხანმეტი ფორმის აღმოჩენას „მოჰყვებოდა რევიზია ქართული პალიმფსესტებისა ჩვენს წიგნთსაცავებში და აღმოჩენა იმავე პროფ. ჯავახიშვილის მიერ უძველესი ქართული ლიტერატურის ძეგლებისა. როგორ ვიფიქრებდი, თუ ზემორე დასახელებულს ჩემს გამოკვლევაში მოყვანილს რამდენიმე გასაკვირველ ფორმას ასე მალე გამოუჩნდებოდა აუარებელი პარალელები, მხოლოდ არა მიწიდან ამოღებულ ქვის წარწერებში, არამედ გადარეცხილ–გადაფხეკილი ეტრატის ფურცლებზე, ხოლო თვით გამოკვლევა ისე მალე დაძველდებოდა ამ ახალი აღმოჩენის გამო, რომ სტამბაში უდროოდ დაბერებულს ორიოდე სიჭაბუკის დღეც კი არ ეღირსებოდა ცოტა ადრე გამოქვეყნებით“.

1926 წელს, ქართულ პალიმფსესტებს შორის უძველესი ხელნაწერების აღმოჩენის შემდეგ, ივანე ჯავახიშვილი წერდა: „გმა, სადაც უნდა ვეძიოთ უძველესი ქართული მწერლობისა და დამწერლობის ძეგლები, უკვე გამორკვეულია: პალიმფსესტები და დედამიწის სიღრმეებში ჩამარხული წარწერები ბევრს ახალსა და საინტერესოს გვიქადაიან. თუ ეხლავ, როდესაც ჩვენ ხელნაწერთა სისტემატურ აღწერილობას მხოლოდ ვიწყებთ და არქეოლოგიურ კვლევა–ძიებას ჩვენში იშვიათად თუ შეუწუხებია დროთა

განმავლობაში მიწაში ჩაფლული ნაშთები, ასეთი უხვი სამკალი გვაქვს, მე დარწმუნებული ვარ, მომავალი კვლევა-ძიება ქართულ მეცნიერებას ბრწყინვალე აღმოჩენათა შესაძლებლობას უქადის“.

ფართო და წყვეტილი თარიღები

სამწუხაროდ, ყოველთვის არ ხერხდება ტექსტის ზუსტად დათარიღება, მაგრამ, როგორც ავტორის ბიოგრაფიისა და შემოქმედებითი განვითარების კვლევისთვის, ისე აკადემიური გამოცემისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს თარიღის თუნდაც მიახლოებით განსაზღვრას. როდესაც ვახერხებთ დროის სავარაუდო როგორც ქვედა, ისე ზედა ზღვრის დადგენას, ანუ ვარკვევთ ინტერვალს, თხზულებათა ქრონოლოგიურ რიგში ეს ტექსტი თავსდება თარიღის ზედა ზღვრის მიხედვით.

ილია ჭავჭავაძე წერილში სერგეი მესხისადმი, რომელშიც საუბარია ალაზნის არხის ანდრონიკაშვილისეულ პროექტზე, წერს: „თუ რედაქცია ძალიან მოწადინებულია, რომ ამ საგანზედ თქვას რამე, აი რა უნდა თქვას...“ და მუხლებად არის ჩამოყალიბებული ეს სათქმელი. შესაბამისად, ეს ბარათი დაწერილია გაზეთ „დროების“ 1873 წლის 9 მარტის ნომრის გამოსვლიდან, სადაც დაიბეჭდა „თ. გ. ანდრონიკოვის პროექტი ალაზნიდგან არხის გამოყვანის თაობაზე“, 23 მარტამდე, როდესაც გამოქვეყნდა სერგეი მესხის სტატია ამ არხის შესახებ.

ტექსტს წყვეტილ თარიღს ვაძლევთ, როცა ცნობილია მასზე მუშაობის დასაწყისი და დასასრული, მაგრამ არ ჩანს, რომ მათ შორის ინტერვალში ავტორი მუშაობას აგრძელებდა. ამ პრინციპით ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობი“ თხზულებათა აკადემიური გამოცემის შემდგენელთა მიერ დათარიღებულია ასე: 1859, 1862 — 1873, მაგრამ გამოცემაში იგივე პრინციპი არ არის გამოყენებული „მგზავრის წერილების“ მიმართ. „მგზავრის წერილები“ პირველად 1871 წელს გამოქვეყნდა და ერთ-ერთ ავტოგრაფზე (ხეც. №149) არის ცენზორის მინაწერი: „Дозволено цензурою 23 июня 1871 года“. 1892 წლის „ქართველთა ამხანაგობის“ გამოცემაში ტექსტი 1861

წლით არის დათარიღებული. ამიტომ მწერლის თხზულებათა ოცტომეულის მე-2 ტომის შემდგენლებმა მოთხრობას თარიღად 1861 წელი მიაწერეს. ამავე გამოცემის სამეცნიერო აპარატში არის შენიშვნა, რომ ციტატა: „იქნება ასე სამოცდაათი წელიწადი“, რომელიც ტექსტში საქართველოს რუსეთთან შეერთებასთან დაკავშირებით არის გამოყენებული, ტექსტის 1871 წელს (და არა 1861) დაწერაზე მიგვანიშნებს, მაგრამ დათარიღებისას ეს მანც არ იქნა გათვალისწინებული. რეალურად, არ ვიცით, 1861 წელს მოთხრობა დასრულებული იყო თუ არა, ან კიდევ რამდენი რამ შეცვალა ავტორმა ტექსტში, მაგრამ, რამდენადაც გვაქვს რეალური დადასტურება იმისა, რომ 1871 წელს ტექსტში ცვლილება იქნა შეტანილი, ვფიქრობთ, ამ თხზულებასაც წყვეტილი თარიღი უნდა მივცეთ: „1861, 1871 23 ივნისამდე“.

დროის ქვედა და ზედა ზღვარი

როდესაც კვლევის შედეგად ხერხდება სავარაუდო თარიღის მხოლოდ ქვედა ზღვრის დადგენა, მაშინ თხზულებათა ქრონოლოგიაში მას ამ თარიღის მიხედვით ვათავსებთ. ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთ პირად წერილში თავისი დის – ელისაბედისადმი პირდაპირ ჩანს, რომ ელისაბედ ჭავჭავაძის ქმარი გარდაცვლილია („ხელი მოაწერე ასე: „ქვრივი ღენერალ ლეიტენანტისა ელისაბედ გრიგოლის ასული საგინოვისა“). რამდენადაც ალექსანდრე საგინაშვილი გარდაიცვალა 1887 წლის 6 აპრილს, ბარათს ვათარიღებთ 1887 წლის 6 აპრილის შემდგომი პერიოდით.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ოცტომეულში ბევრი პირადი წერილის თარიღი არასწორად არის დადგენილი. მაგალითად, 1890–იანი წლებით არის დათარიღებული მისი წერილი იონა მეუნარგისადმი (გვ. 205), რომელშიც საუბარია სალომე დადიანი-მიურატის მამულების დაგირავებით ბანკიდან სესხის გატანაზე. წერილის სამეცნიერო აპარატში ვკითხვლობთ: „მასში საუბარია მამულების დაგირავებაზე, რომლის კრიტერიუმები უკვე დიდი ხნის დადგენილი და გარკვეულია. ამგვარი ვითარება კი აღინიშნება 1890–იან წლებში“. წერილში ნათქვამია, რომ ბანკი სესხად გასცემს მამულის ფასის

60%-ს. 1888 წლის 12 დეკემბრის პუბლიკაციაში, რომელიც გაზ. „ივერიის“ N271-ში გამოქვეყნდა, ილია განმარტავს სათავადაზნაურო ბანკიდან სესხის აღების პირობებს: „სესხად მიეცემა 60% იქილამ, რამოდენადაც დაფასებული იქმნება მამული“. შესაბამისად, ეს წესები 1888 წელს უკვე არსებობდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ სალომე დადიანი-მიურატისა ქმრის გარდაცვალების შემდეგაც (გარდ. 1895) აგრძელებდა მეურნეობას და ილიასაც ბანკთან კავშირი გაწყვეტილი არ ჰქონდა, ვერ შემოვიფარგლებით ვერც მხოლოდ 1880-იანი წლების ბოლოთი და ვერც 1890-იანებით და წერილს ასე ვათარილებთ: 1888 წლის შემდეგ.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ოცტომეულის მე-17 ტომში 1858 წლით არის დათარიღებული წერილი ვაბრიელ სულხანიშვილისადმი, რომელშიც ნახსენებია „მოლაყბის“ ფსევდონიმით „ცისკარში“ დაბეჭდილი პირველი პუბლიკაციები („უნდა გენახა, რა სიჩქარით გადადიოდა ხელიდამ ხელში ის ბედნიერი „ცისკრის“ ნომრები“). „მოლაყბის“ ფსევდონიმით პირველი წერილები „ცისკარში“ გამოქვეყნდა 1858 წლის პირველ და მესამე ნომრებში. შესაბამისად, ბარათი, რომელშიც მოლაყბის ეს „სტატიებია“ ნახსენები, დაწერილი უნდა იყოს 1858 წლის მარტის შემდეგ.

ხშირია შემთხვევები, როცა კვლევის შედეგად ვახერხებთ თარიღის მხოლოდ ზედა ზღვრის დადგენას. ბუნებრივია, ტექსტოლოგიური წესების მიხედვით, ასეთი ტექსტები ქრონოლოგიაში თავსდება ამ თარიღის მიხედვით. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ოცტომეულში 1907 წლის ივნის-ივლისით არის დათარიღებული ილია ჭავჭავაძის წერილი დიმიტრი ჯაშისადმი (255). რამდენადაც ცნობილია მისი მოურავად დანიშვნის დრო (18 ივნისი), წერილიდან კი ჩანს, რომ ბარათი მის დანიშვნამდე დაწერილი, მას ვათარილებთ 1907 წლის 18 ივნისამდე პერიოდით.

ოცტომეულში 1873 წლით არის დათარიღებული (გვ. 56-57) და რუსეთიდან გამოგზავნილი წერილების შემდეგ არის მოთავსებული დუშეთიდან ბაქოში თავისი ცოლისდის - ეკატერინე გურამიშვილი-სტაროსელსკაიასთვის გაგზავნილი ბარათი, რომელიც, როგორც ჩანს, დაუმთავრებელია. რამდენადაც წერილიდან ჩანს, რომ დიმიტრი სტაროსელსკი იმ დროს უკვე

ბაქოს გუბერნატორია, ბარათი 1872 წლის 29 მარტზე ადრე ვერ იქნება დაწერილი და, რადგან იგი დუშეთიდან არის გაგზავნილი, ვერც 1873 წელზე გვიანდელი იქნება. მის უფრო ზუსტ დათარიღებაში დაგვეხმარა ფრაზა „როცა ოციათასს თუმანს მოვიგებთ, უსათუოდ მოვალთ ბაქოს“. საგულისხმოა, რომ მეუღლისთვის 1873 წლის 1 თებერვალს გაგზავნილი წერილის მიხედვით, ლატარიის გათამაშება, რომლითაც ამ თანხის მოგება შეიძლებოდა, უნდა ჩატარებულიყო მარტში: „ნეტავი ამ მარტში მაინც მოვიგოთ ოციათასი თუმანი, რომ ყველანი დავბედნიერდეთ“. შესაბამისად, წერილი, რომელიც ცოლისდას გაუგზავნა, დაწერილი უნდა იყოს 1873 წლის მარტამდე.

ილია ჭავჭავაძის ავტოგრაფებს შორის არის ერთი უთარილო ლექსი: „რითაც ვიყავ მოქადული, / ყველა მე შენ განაცვალე, / მე უშენოდ აღარა მწამს / არც დღეისი, არცა ხვალე...“ ნაწარმოები პირველად გამოქვეყნდა მწერლის თხზულებათა ცხრატომეულში, სადაც ნაბეჭდ ტექსტს ბოლოში აწერია 80-90-იანი წლები, ქრონოლოგიური სიის სქოლიოში კი დათარიღებულია 90-იან-900-იანი წლებით.

ვიდრე დათარიღებას შევეცდებოდეთ, გადავწყვიტეთ გაგვერკვია ლექსის ადრესატი. მასში ავტორი მეორე პირში მიმართავს ვიღაცას, ვისაც ამ ქვეყნად ყველაფერი ანაცვალა და მსხვერპლად შესწირა და ვისი ხატებაც გულიდან მაინც არ ამოუშლია. ილია ჭავჭავაძეს დაწერილი აქვს რამდენიმე სატრფიალო ლექსი, მაგრამ ასეთი გრძნობა, რომ ვინმესთვის ყველაფერი შეეწიროს და მასზე ლოცულობდეს, არც ერთში არ ჩანს (შდრ.: „ან შენ მაშინ რა იცოდი, / ან შენმ გიჟმა რა იცოდა, / რომ ის კოცნა ბოლოს გესლად შენის გმობით შემეცვლოდა“). ასეთი წარუშლელი გრძნობა ილიას მხოლოდ სამშობლოსადმი ჰქონდა (შდრ. „და მე არ ვჩივი, – მიხარია, რომ ეგრეთ ჰშვრება / ჩემი ცხოვრება შენსა ფიქრში, შენს სიყვარულში“, შდრ „აჩრდილიდან“: „მამულისა და რჯულისათვის იგი იბრძოდა, / ორივე დაიცვა, მაგრამ ყველა მათ ანაცვალა“). შესაბამისად, ლექსი დაწერილი უნდა იყოს ზოგადი განწყობით და არა კონკრეტული ადამიანისადმი ტრფობით.

ამ ლექსის დათარიღება ავტოგრაფის კალიგრაფიით ვერ ხერხდება, სამშობლოს თემამზე დაწერილი მსგავსი განწყობის ლექსები

და აქ გამოყენებული სალექსო ფორმაც ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ყველა ეტაპზე გვხვდება. რაც შეეხება ენასა და სტილს, სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება 60-იანი წლების შემდეგდროინდელი ლირიკული ლექსების ასეთივე შავი ავტოგრაფები, რომლებიც საშუალებას მოგვცემდა გვეთქვა, რომ იმ შემოქმედებითი ეტაპის პოეტური ტექსტების პირველ მონახაზებსაც კი განსხვავებული ენა, ან სტილი აქვს. მეორე მხრივ, ვფიქრობთ, დაგვეხმარება ერთი გარეშე დეტალი – ავტოგრაფის პირველსავე ვარიანტში არის ფრაზა, რომელიც, სავარაუდოდ, ლექსის მთავარი ბირთვი, მისი უმნიშვნელოვანესი სახე უნდა ყოფილიყო. ეს არის სამშობლოს შედარება ხატთან: „მხოლოდ გულში შენი სახე, / ვითა ხატი, მისვენია. / მას ვლოცულობ, მე დღედაღამ / მას შევხარი, მას შევეცქერი“. წარმოდგენელია, რომ ლექსში ამ მხატვრული სახის გამოყენება ილია ჭავჭავაძის განეზრახა აკაკი წერეთლის ცნობილი ლექსის – „ხატის წინ“ გამოქვეყნების შემდეგ, რომელშიც სამშობლო ასევე ხატთან შედარებული: „ჩემი ხატია სამშობლო, / სახატე – მთელი ქვეყანა“. ლექსის წერის დაწყება ზუსტად იმავე სახეზე, რომელიც უკვე არაჩვეულებრივად გამოიყენა სხვა პოეტმა, ნაკლებ სავარაუდოა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ილიამ თავისი უკანასკნელი ლექსი დაწერა 1894 წელს და ისიც გარკვეული გარემოებებით იყო გამოწვეული – 1883 წელს ვახტანგ ორბელიანმა გამოაქვეყნა პოეტური შეხმიანება მის ლექსზე „ჩემო კარგო ქვეყანავ...“ სათაურით „მშობელი ქვეყნის პასუხი“, რომელშიც გარკვეული სკეპტიციზმი ჩანდა ქვეყნის მოწყენის მიზეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით: „მკითხე, ჩემო პოეტო, რაზედ მომიწყენია? / ნება მომეც, მეც გკითხო, შენ კი მოგილხენია? / მეუბნები, მარწმუნებ: „მომავალი ჩვენია“./ მაგვარი იმედები ჩემს ყურს ბევრჯელ სმენია...“

1894 წელს, როდესაც დაპირისპირება იმ თაობის შიგნით, რომელიც ქვეყანას ბედნიერ მომავალს უქადადა, იმდენად გამწვავდა, რომ საერთო, საქვეყნო საქმის ნგრევა დაიწყო (მდგომარეობა ბანკში, ჟურნალ-გაზეთების დაპირისპირება), ილიამ საჭიროდ ჩათვალა გამოსმაურებოდა იმ ხანად უკვე გარდაცვლილი ვახტანგ ორბელიანის პასუხს და ახალი გადასახედიდან ეჩვენებინა „ქვეყნის პასუხი“: „მე სამოთხე ვარ და თქვენ კი, თქვენ კი!.../

ვანი, ძე ჩემი ბედკრულ, უძლური!.. / იქ თვით სამოთხეც ჯოჯოხეთია, / სად თვის შხამს ანთხევს მტრობა და შური“. ეს ლექსი იყო მამულიშვილებისა და მამულის ურთიერთდამოკიდებულების ამსახველი ძალიან მნიშვნელოვანი შემაჯამებელი ტექსტი და მისი დაწერა არ ნიშნავს, რომ ილია ჭავჭავაძემ ლექსების წერას კვლავ მიჰყო ხელი. 1894 წლის შემდეგ მას არც ერთი პოეტური ტექსტი აღარ დაუწერია. შესაბამისად, ზემოხსენებული უსათაურო და უთარილო თხზულება აკაკი წერეთლის ლექსის „ხატის წინ“ გამოქვეყნებამდე დაწერილი ჩანს და 1894 წლის 28 აგვისტომდე პერიოდით უნდა დავათარილოთ.

მხატვრული ტექსტების დათარიღება

1938 წელს გიორგი ლეონიძემ მიაკვლია ილია ჭავჭავაძის ორ, მანამდე უცნობ, ყრმობისდროინდელ პოეტურ ტექსტს, მიიჩნია, რომ ერთ-ერთი მათგანი მეორის გაგრძელებას წარმოადგენდა და გამოაქვეყნა საერთო სათაურით – „ჩალაუბანი“. მწერლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის პირველი ტომის შემდგენლებმა (1987) არ გაიზიარეს მოსაზრება ამ ტექსტების ურთიერთკავშირზე და ისინი დაბეჭდეს ცალ-ცალკე: „რწყილთაგან ტანჯვაი და მათი ანბავი“ და „...დავსწერ სოფლისა ქებასა“.

ტექსტების დათარიღებისას 1848 წლით და 1840-იანი წლების დამლევით, მეცნიერები ეყრდნობოდნენ კოხტა აფხაზის მოგონებას, სადაც იგი წერს, რომ ლექსში „რწყილთაგან ტანჯვაი...“ აღწერილი მოვლენების დროს „ილია იქნებოდა ასე 11 წლისა“. სამწუხაროდ, ყურადღების მიღმა დარჩა იმავე მოგონებაში არსებული სხვა მინიშნება – „კარდანახში ვიყავით [ორივე გემნაზიელები]“. ილია გიმნაზიაში 14 წლის ასაკში – 1851 წელს შევიდა. შესაბამისად, კოხტა აფხაზის მოგონება აშკარად წინააღმდეგობრივია და ზემოხსენებული ორი დეტალიდან ერთი არასწორია. ფრაზა „იქნებოდა ასე 11 წლისა“ მიგვანიშნებს, რომ მოგონების ავტორს ასაკი ზუსტად არ ახსოვს. მეორე მხრივ, ჩვენთვის ცნობილია, რომ ილია და კოხტა აფხაზი ერთად სწავლობდნენ გიმნაზიაში და შემდეგ პეტერბურგის უნივერსიტეტში, მაგრამ

არავითარი ინფორმაცია არ გვაქვს იმის შესახებ, იცნობდნენ თუ არა ისინი ერთმანეთს 1851 წლამდე. მათ სოფლებს – ყვარელს და კარდანახს – სულ ცოტა 30 კილომეტრი მაინც აშორებს ერთმანეთისგან.

საფიქრებელია, რომ ამ ორი ყმაწვილის დაახლოებისთვის გიმნაზიაში, ერთმანეთის გვერდიგვერდ აღმოჩენასთან ერთად, ხელი შეეწყო 1851 წელს ილია ჭავჭავაძის დის, ნინოს, გათხოვებას ნიკოლოზ აფხაზზე და ამ ორი გვარის დანათესალებას. შესაბამისად, ბევრად უფრო სავარაუდოა, რომ ლექსი 1851 წლის შემდეგ იყოს დაწერილი და კობტა აფხაზს ილიას ასაკის მითითებისას დაეშვა შეცდომა. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ამ ორი ტექსტისა და თავისი დის – ნინოსადმი მიწერილი კიდევ ერთი ლექსის – „ჩემი გონებიდგან განუშორებელი დაო ნინავ!“ ურთიერთმიმართების შესწავლა.

რატომ მიიჩნია გიორგი ლეონიძემ, რომ მის მიერ ნაპოვნი ორი ტექსტი ერთმანეთის გაგრძელება იყო? აქვს თუ არა ამ მოსაზრებას ობიექტური საფუძვლები?

1. ორივე ლექსი დაწერილია სოფელ ჩალაუბანზე. როგორც კობტა აფხაზის მოგონებიდან ჩანს, ამ სოფელში ის და ილია ჭავჭავაძე გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო მოხვდნენ: „ჩვენს სოფელში კარდანახში ვიყავით [ორივე გემნაზიელები]... ოცი თუ თხუთმეტი ვერსის მანძილზე მამაჩემს მამითადი ჰქონდა. ჩვენც იქ წავედით... საღამოთი შინისაკენ დავბრუნდით და კარდანახამდინ რო ასე 7 ვერსის სავალი დაგვრჩა, კოკისპირული წვიმა დაუშვა და მთელი ნიაღვარი მოვარდა. მეტი გზა არ იყო, შევბრუნდით ახლო მდებარე სოფელში ჩალაუბანში და ღამეც იქ გავატარეთ. მაგრამ მთელი ღამე არ მოგვითვლემია. ერთს გლეხკაცის სახლში ვიწექით და ღამე იმოდენა მკბენარი (რწყილები) დაგვეხვია, რომ გათენებისას გამოვარდით“. ჩალაუბანში ილიას ახლობლები არ ჰყოლია (წინააღმდეგ შემთხვევაში, უცნობი გლეხისას არ გაათევდნენ ღამეს) და რომ არა ეს ერთი უცნაური შემთხვევა, ნაკლებ სავარაუდოა, რომ მას ამ სოფელზე ლექსის (მით უფრო, ორი ლექსის) დაწერა მოსვლოდა აზრად.

2. ორივე ლექსი დაწერილია „ვეფხისტყაოსნის“ მიბაძვით და შაირის პოეტური ფორმით („დღესა ერთსა რწყილთა მეფეს სენი ძველი გაუახლდა“ /

„დავსწერ სოფლისა ქებასა მე ყრმაჲ გამოუცდელი“)

3. აკადემიურ გამოცემაში უფრო გვიანდელად მიჩნეული უსათაურო ტექსტი ბევრი ასპექტით – ავტორის ვინაობის მინიშნებით („სახელათა მძევს ილია“), პოეზიის ავკარგინობის შესახებ მსჯელობით („ნუ გეგონოსთ, რომ მე მინდა პოეტობის სახელდება“, „როგორც ხმასა ყორანისას ბულბული არ მოიწონებს, / ისე ჩემსა ლექსთ–თხზულებას პოეტი არ შეიწყნარებს“, „მისთვის მოვიხმე კალამი და სრული გონიერება“), ღვთისადმი მიმართვებით („ეჰა, ღმერთო, შენ ხომ იც“, „ვახსენოთ ღმერთი, დავიწყეთ ქებაი მისი სოფლისა“) „ვეფხისტყაოსნის“ შესავალს მოგვაგონებს. ამასთანავე, მეორე ტექსტის სათაური – „რწყილთაგან ტანჯვაი და მათი ანბავი“ — „ვეფხისტყაოსნის“ იმ თავების სათაურებს წააგავს, რომლებშიც სიუჟეტი ვითარდება. შესაბამისად, სწორედ აქ გვხვდება საგმირო ეპიზოდების პაროდირებაც („შემომესიგნეს იგინი, გაიმართა დიდი ბრძოლა... ზოგსა ვხოცდი, ზოგსა ვსტყორცნი, ზოგი სადღაც დამემალა... რომელი რომელს შევსტყორცნე, დაიხოცნენ უბრუნველათ“).

4. პირველი ტექსტის პირველივე ფრაზა „კვლავ მოგიტხრობთ ჩემს ანბავსა“ აშკარად მიგვანიშნებს, რომ მას კიდევ რაღაც მსგავსი ტექსტი უსწრებდა წინ.

5. აკადემიურ გამოცემაში უფრო გვიანდელად მიჩნეული ტექსტი მთავრდება მინაწერით „ქება დასრულდა“, ხოლო უფრო ადრეულად მიჩნეული ტექსტი მთავრდება სიტყვებით „სრულ იქმნა“. ჩვენი აზრით, ტექსტების ბოლოს ამ ერთნაირი სტილის მინაწერების არსებობაც მათ ერთიანობაზე უნდა მიგვანიშნებდეს, კერძოდ, უნდა მოწმობდეს, რომ ერთ შემთხვევაში დასრულდა თხზულების ქებითი ნაწილი, მეორეგან კი დასრულდა მთლიანი ტექსტი. შესაბამისად, მათი თანმიმდევრობა აკადემიურ გამოცემაში არასწორია.

ნინოსადმი მიწერილი ლექსი – „ჩემო გონებიდგან განუშორებელო დაო ნინავ!“ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში მართებულად არის დათარიღებული 1852 წლით, რადგან მასში მოხსენიებულია ილიას დისწული გივო აფხაზი. ილიას დამ, ნინომ, და ნიკოლოზ აფხაზმა იქორწინეს

1851 წლის 11 თებერვალს. მათი პირველი ვაჟი გიგო იმავე წლის ბოლოსაც რომ დაბადებულიყო, ლექსი მაშინვე ვერ იქნება დაწერილი, რადგან აქ გიგოს ნათლობაც არის ნახსენები („და შემწეობას მისთვის მასსა ვთხოვ, ვისთვის მან თეთრი იმოსა“). შესაბამისად, უფრო სავარაუდოა 1852 წელი. რაც შეეხება ამ ლექსისა და ზემოხსენებული ტექსტების ურთიერთმიმართებას, ნინოსადმი მიძღვნილ ლექსში პირდაპირ არის აღნიშნული, რომ „ჩალაუბნის ქებაც“ ავტორს ამ ტექსტთან ერთად მიუერთმევია თავისი დისთვის („ამ წიგნთან გიძღვნი ჩალაუბანის ქებას“).

აქ რომ სწორედ ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ ტექსტზეა საუბარი, მიგვანიშნებს პარალელები: „გიძღვნი ჩალაუბნის ქებას“ / „დავსწერ სოფლისას ქებასა... ქებაი მისი სოფლისა... ქება დასრულდა“. ასევე შდრ. „მრავალსა ჰპოვებ მუნ შეცოდებას“ / „ვიცი, ამის წამკითხველი შეცდომასაც ბევრსა პოებს“ და სხვ. ცხადი ხდება, რომ 1852 წელს ილია სწევეია თავის დას და მისდამი მიძღვნილ ლექსთან ერთად მიუერთმევია ჩალაუბნის ქებაც, რომელიც იმავე პერიოდში უნდა შეექმნა. შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ამ დროს მას „რწყილთაგან ტანჯვაი“, რომელიც ჩალაუბნის ქების გაგრძელებას წარმოადგენს, ვერ არ ჰქონდა დაწერილი, მაგრამ ტექსტის ქვეშ მინაწერი – „ქება დასრულდა“ მიგვანიშნებს თხზულების ერთი ეტაპის დასრულებაზე და არა მის მთლიანად დასრულებაზე. ტექსტის ბოლომდე დასრულების აღმნიშვნელი მინაწერი – „სრულ იქმნა“ გვხვდება სწორედ მეორე ტექსტის – „რწყილთაგან ტანჯვაის...“ ბოლოს (საგულისხმოა, რომ მსგავსი წარწერა გვხვდება ნინოსადმი მიძღვნილ ლექსთანაც მის ადრეულ ავტოგრაფში. ტექსტს ბოლოში მიწერილი აქვს: „გათავდა ეს ლექსი“).

რამდენადაც კოხტა აფხაზის მოგონებაში ნახსენებია „მამითადი“ და გამოძინება კაკლის ხის ქვეშ („მამაჩემს მამითადი ჰქონდა... ღამე იმოღენა მკბენარი (რწყილები) დაგვეხვია, რომ გათენებისას გამოვარდით გარეთ ლოგინებითურთ... ერთს დიდ კაკლის ქვეშ გავშალეთ და ცოტა მაინც გამოვიძინეთ“), ვფიქრობთ, რომ იგი 1852 წლის ზაფხულში უნდა იყოს შექმნილი ჩალაუბნის ქებასთან ერთად. საგულისხმოა, რომ სტილით და მხატვრული ღირებულებით სამივე ლექსი თანაბარი დონისაა და არ არის

საფიქრებელი, რომ მათ 4 წელი აშორებდეს ერთმანეთს. ჩალაუბნის შესახებ დაწერილ ლექსებზე ვერ ვიტყვით, რომ ისინი „შედევრებია“, მაგრამ საკმაოდ მდიდარი ლექსიკა, დახვეწილი იუმორი და მარჯვე პაროდირება, ჩვენი აზრით, 11 წლის ყმაწვილისგან, თუნდაც იგი გენიოსად იყოს დაბადებული, ნაკლებ მოსალოდნელია და ეს ლექსები, ამ მოსაზრებითაც, დაწერილი უნდა იყოს არა 1848 წელს, არამედ უფრო გვიან.

მართალია, ჩვენ მიერ მოხმობილი არგუმენტების მიხედვით, 1852 წელი არის სავარაუდოდ ქრონოლოგიური ჩარჩოების ქვედა ზღვარი და ეს ლექსები, იმავე არგუმენტების გათვალისწინებით, ილიას შეიძლება გიმნაზიაში სწავლის მომდევნო წლებშიც დაეწერა (1857 წლამდე), მაგრამ არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ამ თარიღს უჭერს მხარს. ილიას პეტერბურგში გამგზავრებამდე ნინოს უკვე, როგორც ჩანს, ოთხივე შვილი გაჩენილი ჰყავდა, რადგან 1859 წლის 18 თებერვალს, ვიდრე პეტერბურგში გამგზავრების შემდეგ პირველად ჩამოვიდოდა საქართველოში, რუსეთიდან გამოგზავნილ წერილში ილია ისე ახსენებს მის „ბიჭ-ბუჭულებს“ (ნინოს სამი ვაჟი ჰყავდა) და „უბესთაესთა ხერუბომ მაიკოს“ (მაიკო მისი მეოთხე შვილი იყო), რომ აშკარად ყველა ბავშვი ნანახი ჰყავს და ისინი მის პეტერბურგში გამგზავრებამდე - 1857 წლის ივლისის შუა რიცხვებამდე არიან დაბადებული. შესაბამისად, 1853-1854 წლებში ნინოს, სავარაუდოდ, მეორე ბავშვი მაინც უნდა ჰყოლოდა, ლექსში კი ნახსენებია მხოლოდ გიგო, რაც, ასეთ შემთხვევაში, ალოგიკურია.

საგულისხმოა კიდევ ერთი რამ - ზემოხსენებულ სამივე ლექსს ისეთი ხალისი და სილაღე ეტყობა, რომ არა გვგონია, იმ დროს ილიას და მის დას ახალგადატანილი ჰქონოდათ მამის გარდაცვალება (გრიგოლ ჭავჭავაძე გარდაიცვალა 1852 წლის 10 დეკემბერს) და უფროსი ძმის დაღუპვა (1854 წლის 3 ივლისს). ვფიქრობთ, ასაკობრივ სიმწიფესთან ერთად, ამ ორმა ტრაგედიაშემდეგ განაპირობა ჭაბუკი ილიას მეტამორფოზა, რომელიც აშკარად დაეტყო 1852 წლის მომდევნო პერიოდის მის ლექსებს: „სიტკბოება თვის მამულში“, „ჭაბუკობაზე“, *** („დაღონებული, არ ვიცი, რაზედ“) და „მოთქმა საწყლისა“.

წლის დადგენა დღისა და რიცხვის, ან დღესასწაულის მიხედვით

პირად წერილებში ძალიან ხშირია შემთხვევები, როცა ავტორს მიწერილი აქვს თვე, რიცხვი და კვირის დღე, წლის გარეშე. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში დაუთარიღებელ წერილებთან იყო დაბეჭდილი მეუღლისთვის თბილისიდან საგურამოში გაგზავნილი ბარათი, რომელსაც აწერია: „ნ სექტემბერი, კვირა“ (ტ. 18, გვ. 229) და, რომლის მიხედვითაც, არტურ ლაისტი იმ დროს ილიასთან საგურამოში იმყოფება. არტურ ლაისტის საქართველოში პირველი და მეორე ჩამოსვლისას ნ სექტემბერი კვირა დღეს არ ემთხვევა. ამიტომ საფიქრებელია, რომ წერილი დაწერილი იყოს 1892 წლის შემდეგ, როცა იგი საბოლოოდ დამკვიდრდა საქართველოში. ამ პერიოდში ნ სექტემბერი კვირა დღეს ემთხვევა 1892 და 1898 წლებში. ბარათის უფრო ზუსტად დათარიღებაში დაგვეხმარა წერილის ერთი ფრაზა: „რკინიგზის მისვლა-მოსვლის დრო შეცვალეს. ასე რომ, სამ საათზე აღარ გამოდის აქედამ საღამოს პოემდი“. წერილების კორპუსის კვლევამ გვაჩვენა, რომ სამსაათიან მატარებელს ილია ახსენებს 1895 წლის ჩათვლით (ტ. 18, გვ. 239, 252). შესაბამისად, დადგინდა, რომ ბარათი 1895 წლის შემდეგ, 1898 წლის ნ სექტემბერს, უნდა იყოს დაწერილი.

თბილისიდან ყვარელში ილია ჭავჭავაძის მიერ მეუღლისთვის გაგზავნილ ერთ-ერთ ბარათს აწერია 2 სექტემბერი (გვ. 185), მაგრამ არ არის მითითებული წელი. წერილის ფრაზა: „გუშინ ამორჩევა იყო ნაბლიუდატელნი კომიტეტისა“ მიგვანიშნებს, რომ 1 სექტემბერს უნდა ყოფილიყო საადგილმამულო ბანკის სამეთვალყურეო კომიტეტის არჩევნები, ეს კი ემთხვევა 1874 წლის მოვლენებს. შესაბამისად, ბარათს ვათარიღებთ 1874 წლის 2 სექტემბრით.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ოცტომეულში 1890 წლის შემდგომი პერიოდით იყო დათარიღებული 19 ოქტომბრის წერილი ნიკო ხიზანიშვილისადმი (146), რომელშიც ადრესანტი მას იმავე დღეს ეპატიუება საგურამოში. ბარათში ნახსენებია, რომ ორშაბათი უქმე დღეა. 19 ოქტომბრის მომდევნო დღეებში უქმე იყო ხოლმე 22 ოქტომბერი – 1612 წელს რუსეთის

იმპერიის სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და რომანოვების დინასტიის გამეფების დღე. 1886 წლიდან (გაბეთ „ივერიის“ გამოცემიდან იწყება ილიას რეგულარული საქმიანი ურთიერთობა წერილში ნახსენებ გრიგოლ და ალექსანდრე ყიფშიძეებთან) 1900 წლამდე (როცა მან ავადმყოფობა დაიწყო და ორდღიან წვეულებებზე ნაკლებად ფიქრობდა) 22 ოქტომბერი ორშაბათ დღეს ემთხვევა მხოლოდ 1890 წელს. შესაბამისად, ბარათი 1890 წლის 19 ოქტომბერს უნდა იყოს დაწერილი.

ოცტომბელში 1894 წლით არის დათარიღებული წერილი კოლა ერისთავისადმი (გვ. 169–170), რომელშიც საუბარია ვახტანგ ორბელიანის ლექსების წიგნისათვის ილია ჭავჭავაძის მიერ დაწერილ ბიოგრაფიაზე. წიგნი 1894 წელს გამოვიდა, მაგრამ ცენზურის ნებართვა გაცემულია 1892 წელს. ბარათის შინაარსიდან ჩანს, რომ ის დიდ სამშაბათამდეა დაწერილი („დიდი მარხვის სამშაბათამდე ამისათვის მე აღარ მეცლება“), რაც საშუალებას გვაძლევს, რომ თარიღი კიდევ უფრო დავაზუსტოთ. დიდი სამშაბათი 1892 წელს ემთხვევა 31 მარტს. შესაბამისად, ბარათი ამ რიცხვამდეა დაწერილი.

თარიღის დადგენა მოვლენათა ისტორიულ–შედარებითი ანალიზით

ტექსტის თარიღის დასადგენად ძალზე მნიშვნელოვანია მისი სიღრმისეული ანალიზი და ისეთი ეპიზოდების გამოკვეთა, რომლებიც სხვა ისტორიულ მოვლენებთან შედარებითი კვლევის საშუალებას მოგვცემს. ამ ხერხით როგორც ძველი, ისე ახალი მწერლობის არაერთი მხატვრული და დოკუმენტური ტექსტის დათარიღება გახდა შესაძლებელი. მათ შორის არის „წამება ჯმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ“, „შრომაჲ დამოღუაწება ღირსად ცხოვრებისაჲ ჯმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი“, ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებები და სხვ.

ილია ჭავჭავაძის ერთ–ერთი წერილი თავისი დის – ელისაბედისადმი, რომელიც 29 იანვრით არის დათარიღებული, მაგრამ წელი მითითებული არა აქვს, ოცტომბელში (გვ. 30) დათარიღებულია 1870 წლის შემდეგი

პერიოდით, ლიტერატურის მუზეუმის გამოცემაში კი – 1873 წლით. ამ ბარათში ილია ელისაბედს ატყობინებს, რომ მომდევნო დღეს, დილის თერთმეტ საათზე, გრიგოლ ორბელიანთან თავმოყრას აპირებენ ლევან მელიქიშვილი, გიორგი რევაზის ძე ერისთავი, ივანე მუხრანბატონი და სხვა პირები რაღაც მნიშვნელოვან საქმესთან დაკავშირებით და სთხოვს, რომ ელისაბედის ქმარი, ალექსანდრე საგინაშვილიც, მივიდეს. ილია არ ასახელებს, რა საქმეა ეს, ან ვინ არის მისი ინიციატორი, მაგრამ ამბობს, რომ ეს პირი თავად ესტუმრა მას იმ დღეს და სთხოვა საგინაშვილის დაპატივება. ბარათი შორიდან არ უნდა იყოს გაგზავნილი. იგი ლიზას იმ დღესვე უნდა მიეღო, რომ ალექსანდრეს მეორე დღით შეხვედრამე მისვლა მოესწრო. წერილის სიტყვებიც „ამ საქმის დამწყობი ჩემთან შემოვიდა“ და „მე ჯერ კიდევ შინ ვარ შემწყვედელი“ უფრო იმაზე მიგვანიშნებს, რომ ის და ელისაბედი შორს არ არიან ერთმანეთისგან – ორივე თბილისშია თავ-თავის სახლებში.

ბარათში მოხსენიებული ფაქტი – 30 იანვარს გრიგოლ ორბელიანთან თავშეყრა რაღაც მნიშვნელოვანი საქმის დასაწყებად, საშუალებას იძლევა, რომ წერილი უფრო ზუსტად დავათარილოთ. 1878 წლის 30 იანვარს სწორედ გრიგოლ ორბელიანის სახლში მოხდა საზოგადო მოღვაწეთა შეხვედრა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წესდების განსახილველად. შესაბამისად, წერილს ვათარილებთ 1878 წლის 29 იანვრით.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ოცტომეულში „უთარილოების“ განყოფილებაშია დაბეჭდილი ილია ბახტაძისთვის გაგზავნილი მოკლე ბარათი (გვ. 259), რომელშიც ილია ჭავჭავაძე სწერს, რომ მისი კორესპონდენცია ცოტათი ჩაასწორა და გამოაქვეყნა. გარდა ამისა, იქვე სთავაზობს, კიდევ გაუგზავნოს მასალები. წერილის სამეცნიერო აპარატში ვკითხულობთ: „ამის შესახებ აღნიშნავს ი. ბახტაძე თავის მოგონებებში: „ვიქნებოდი ასე 19 წლისა, როდესაც გაზეთ „ივერიას“ ხონიდან გაუგზავნენ პატარა კორესპონდენცია. ილია ჭავჭავაძემ ჩემი კორესპონდენცია ისე გადააკეთა, იმდენი შესწორებები შეიტანა შიგ, რომ როდესაც გამოქვეყნდა, დავეჭვდი, არავის არ ვუუბნებოდი, რომ ჩემი წერილი იყო“. ილია ბახტაძე დაიბადა 1859 წელს, შესაბამისად, 19 წლისა იქნებოდა 1878 წელს.

1878 წელს გაზეთ „ივერიაში“ ილია ბახტაძის სახელით დაიბეჭდა ერთი თარგმანი რუსულიდან, მაგრამ ამავე წელს და ამავე გაზეთში ფსევდონიმით „სოფლელი“ გამოქვეყნდა ორი კორესპონდენცია ხონიდან. მართალია, ეს ფსევდონიმი დღემდე გაუხსნელი იყო, მაგრამ, ვფიქრობთ, ილია ჭავჭავაძის წერილი და ბახტაძის მოგონება მიგვანიშნებს, რომ ეს სწორედ ილია ბახტაძის ფსევდონიმაა. მისი მოგონების სიტყვებიც: „არავის არ ვეუბნებოდი, რომ ჩემი წერილი იყო“, ფაქტობრივად მოწმობს, რომ კორესპონდენცია ანონიმურად იყო გამოქვეყნებული. თუ სტატიასთან მისი სახელი და გვარი იქნებოდა მითითებული, თქმა რაღად დასჭირდებოდა, ვისი იყო. რამდენადაც ილიას ბარათიდან ჩანს, რომ საუბარია ბახტაძის პირველ კორესპონდენციაზე და სთხოვს, რომ კიდევ გაუგზავნოს, ბარათი დაწერილი ჩანს პირველი კორესპონდენციის დაბეჭდვის (იხ. „შესწორებები შევიტანე და დაგიბეჭდე“), ანუ 1878 წლის 29 ივნისის შემდეგ.

ილიას მიერ გრიგოლ ყიფშიძისთვის გაგზავნილ ერთ მოკლე ბარათში ვკითხულობთ: „ივერიაში“ წავიკითხე, რომ ლონდონიდან რაღაც წერილი მოგვსლიათ ღვინის თაობაზე. ხომ მოგეხსენებათ, რა საინტერესოა ეგ ამბავი ჩემთვის და გთხოვთ, თვით წერილიც მიბოძოთ წასაკითხად და, თუ სხვა ამბავიც იცოდეთ, მაცნობოთ“. როგორც ვხედავთ, წერილში საუბარია ღვინოსთან დაკავშირებით ლონდონიდან მიღებულ რაღაც წერილზე, რომლის შესახებაც ინფორმაცია დაიბეჭდა „ივერიაში“. 1893 წლის მაისში კახური ღვინის ლონდონის გამოფენაზე გაგზავნის შემდეგ, 1893 წლის 22 ივლისს, „ივერიაში“ (N 155, გვ. 1) დაიბეჭდა შემდეგი სახის ინფორმაცია: „ლონდონიდან გვწერენ, რომ იქ რავდენსამე კომერსანტს განუზრახავს შეადგინონ კამპანია კახურის ღვინის საზღვარ გარედ გასატანად... თუ გამოფენაზე სადმე გაგზავნილა კახური ღვინო და გამგზავნთ მოწმობები აქვთ, საჭიროა ეს ქაღალდები გამოგვიგზავნოთ და შეგვატყობინოთ, ვინ არიან, სახელდობრ, დამფუძნებელნი ახალ საზოგადოებისა და ვისგან შესდგება ადმინისტრაციაო“.

ვფიქრობთ, გრიგოლ ყიფშიძისთვის გაგზავნილ ბარათში სწორედ ამ პუბლიკაციაზე უნდა იყოს საუბარი. როგორც ჩანს, 1893 წელს საგურამოში

ილიაობის აღნიშვნის შემდეგ მწერალი იქვე დარჩა. ასეთ დროს სარედაქციო სამუშაოებში მას ეხმარებოდა ხოლმე გრიგოლ ყიფშიძე. 1893 წელს გაზეთში ასევე აქტიურად თანამშრომლობდა მისი ძმა ალექსანდრე. სწორედ ამიტომ უნდა იყოს ნათქვამი მრავლობითში: „წერილი მოგსვლიათ“. იქვე ნახსენებ „მოსეში“ კი („წერილი მოსეს მიეცით და ის გამომიგზავნის“) – უნდა იგულისხმებოდეს მკვლევარი და პუბლიცისტი მოსე ჯანაშვილი. რამდენადაც საგურამოში მყოფ ილიას გაზეთებს რეგულარულად უგზავნიდნენ, იგი 22 ივლისის ნომერს მალევე წაიკითხავდა და, რაკილა ძალიან დაინტერესებული იყო, გიგასაც დროულად შეეხმებოდა. შესაბამისად, ბარათს ვათარიღებთ 1893 წლის 22 ივლისის მომდევნო დღეებით.

ბიოგრაფიული დეტალების მიხედვით დათარიღება

ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიული დეტალების გათვალისწინებით მოხერხდა მწერლის თხზულებათა ოცტომეულში 1864 წლით დათარიღებული წერილის დაწერის დროის დაზუსტება. ილია მეუღლეს ატყობინებს, რომ ახალ სამსახურს იწყებს და ვერ ჩააკითხავს. წუხს, რომ ვერავის გამოემშვიდობა. ამასთანავე, სთხოვს, რომ იქ მყოფ დიმიტრი ვეზიროვს გამოჰყვეს. წერილი უთარიღოა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მისი ერთი ეპიზოდის შინაარსს: „ჩემსა და შენს კარტოჩკებს გიგზავნი, ლევან გურიელს, ნიკოლაი სიმონიჩს ღოღობერიძეს, ღრანცოს, ვასილ თუმანოვს მგონი აქვს, თუ არა აქვს, იმასაც მიეც“, ოღონდ ტერიტორიულად უნდა იყოს იქ, სადაც იმყოფებოდნენ ლევან გურიელი (ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი), ნიკოლოზ სიმონის ძე აბაშიძე (1864 წელს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიის მმართველი) და ღოღობერიძე (ილიას სტუდენტობისდროინდელი მეგობრის, ნიკოლოზ ღოღობერიძის, ოჯახი წარმოშობით ქუთაისიდან იყო და მისი ძმებიც იქ ცხოვრობდნენ).

ამავე წერილიდან ჩანს, რომ ილია მუშაობას იწყებს იგორ პავლეს ძე სტარიცკისთან, რომელიც იყო კავკასიაში სასამართლო რეფორმის ერთ-ერთი ორგანიზატორი და თბილისის სასამართლო პალატის პირველი

თავმჯდომარე. ილიამ ეს ახალი სამსახური – მომრიგებელ მოსამართლედ დაიწყო 1864 წლის 8 ნოემბერს. შესაბამისად, ბარათი დაწერილია სასამართლო რეფორმაზე იმპერატორ ალექსანდრე II-ის ხელმოწერიდან (4 ნოემბერი, 1864) 8 ნოემბრამდე – 1864 წლის 4–8 ნოემბერს.

კორპუსული კვლევით დათარიღება

როდესაც დასათარიღებელ ტექსტში არის ისეთი ინფორმაცია, რის შესახებაც შეიძლება საუბარი იყოს იმავე ავტორის სხვა ტექსტებშიც, ძალზე მოსახერხებელია მწერლის თხზულებათა კორპუსების გამოყენება. მაგალითად, ამ მხრივ დიდი დახმარება გავიწიია ილია ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური მემკვიდრეობის კორპუსებმა.

მოსკოვიდან პეტერბურგში ვასილ მაჩაბლისთვის გაგზავნილი ერთი წერილი (გვ. 57) ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ოცტომეულში დათარიღებულია 1873 წლით, მაგრამ ბარათის შინაარსი იძლევა თარიღის უფრო დაკონკრეტების საშუალებას. მის მიხედვით, ილია მოსკოვის ბანკში ჯერ არ არის დაშვებული საბანკო საქმეების შესასწავლად. 3 აგვისტოს წერილის მიხედვითაც, ასეთივე ვითარებაა მოსკოვის ბანკთან დაკავშირებით, 1 სექტემბრის წერილიდან კი ჩანს, რომ უკვე ამთავრებს ამ ბანკში საქმიანობას. შესაბამისად, ბარათი 1873 წლის 1 სექტემბრამდე უნდა იყოს დაწერილი, მაგრამ 3 აგვისტომდე თუ უფრო ადრე, ამის გარკვევაში გვეხმარება 3 აგვისტოსა და უთარილო წერილის შედარებითი ანალიზი. უთარილო ბარათში ვკითხულობთ: „თქვენ, ესე იგი, შენ და მდივანს, ბევრნი ნაცნობები გყვანან; იქნება იმათის შემწეობით მეც გზა გამეხსნას“. ამ ფრაზას აშკარად ეტყობა, რომ ალექსანდრე (ასლან) მდივნის ამ საქმეში დახმარების საკითხს ვასილ მაჩაბელთან წერილის ავტორი პირველად წამოჭრის, 3 აგვისტოს წერილიდან კი ჩანს, რომ მდივნისთვის უკვე წერილიც კი გაუგზავნია დახმარების თხოვნით და პასუხის დაგვიანების გამო წუხს: „ამას წინად მდივანს მოვსწერე ვინაობა აქაურის ბანკების უპრაველიაუშჩებისა (მმართველებისა) და ვჰსთხოვე, რომ მის ნაცნობთა შუამდგომელობით, ანუ ბარიატინსკის მეოხებით, რაიმე

ღონისძიება მოგვენიჭოს აქაურ ბანკებში შესვლის თაობაზედ“. შესაბამისად, ბარათი დაწერილი უნდა იყოს 3 აგვისტოს წერილზე რამდენიმე დღით ადრე მაინც და მას ვათარილებთ 1873 წლის ივლისის ბოლომდე პერიოდით.

ოცტომეულში 1873 წლის აგვისტოთია დათარიღებული თავისი დის – ნინოსთვის გაგზავნილი ერთი წერილი (გვ. 49), რომელშიც ილია ატყობინებს, რომ ბანკის საქმეების მოგვარება ჭიანჭურდება, რადგან ვერც ერთ ბანკში ვერ შეაღწია საქმის შესასწავლად. სთხოვს, რომ ყვარლის მამულის შემოსავლიდან რამე გაყიდოს და ოციოდე თუმანი გაუგზავნოს. წერილის მიხედვით, მას მოსკოვის საკრედიტო საზოგადოებაში შეღწევა ჯერ არ ჰქონდა მოხერხებული, 25 აგვისტოს ბარათში ვასილ მაჩაბლისადმი კი სიხარულს გამოთქვამს, რომ ეს საქმე წინა დღეს, 24–ში, უკვე მოგვარებული ჰქონდა. იმავე ადრესატისადმი 21 აგვისტოს გაგზავნილ წერილში, მართალია, საქმე ჯერ მოგვარებული არ არის, მაგრამ იმ დღეებში ელის მის დაგვირგვინებას. რამდენადაც დისადმი გაგზავნილ ბარათში არათუ საქმის მოგვარების სიხარული, მსგავსი იმედებიც კი არ ჩანს, იგი 1873 წლის 21 აგვისტომდე უნდა იყოს დაწერილი.

ოცტომეულში 1905 წლის დეკემბრით არის დათარიღებული ილია ჭავჭავაძის წერილი ალექსანდრე ცაგარლისადმი (გვ. 245), რომელშიც უყვება სინოდის ობერპროკურორ ალექსანდრე ობოლენსკისთან ვიზიტის შედეგებს. სხვადასხვა წყაროდან ირკვევა, რომ ალექსანდრე ცაგარელი აქტიურად იყო ჩაბმული ავტოკეფალიის აღდგენისათვის ჩატარებულ ღონისძიებებში. 1905 წლის 4 დეკემბერს მღვდელ იოსებ ჩიჯავაძისადმი ეპისკოპოს კირიონის მიერ გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ იმ დროისათვის მისი და ობოლენსკის შეხვედრა ავტოკეფალიის საკითხებზე ჯერ არ იყო შემდგარი („ხვალ შევეცდები ობოლენსკი ვნახო და ჩვენ საქმეზედ ჩამოვუგდო ლაპარაკი“), მაგრამ მან წინასწარ იცოდა ალექსანდრე ცაგარლისგან, რომ ობოლენსკი ამ საკითხისადმი უარყოფითად იყო განწყობილი („იგი წინააღმდეგი ყოფილა ჩვენი ეკლესიის თვითმმართველობისა, როგორც ცაგარელმა გადმომცა“). შეიძლება გვეფიქრა, რომ ილიას შეხვედრა ობოლენსკისთან 4 დეკემბრამდე შედგა, წერილიც 4 დეკემბრამდე გაუგზავნა ცაგარელს და ეს

ინფორმაცია იქიდან ჰქონდა, მაგრამ ასე ვერ იქნებოდა, რადგან 1905 წელს ილია ჭავჭავაძე პეტერბურგში მხოლოდ 29 ნოემბერს გაემგზავრა და ეს ყველაფერი 4 დეკემბრამდე ვერ მოესწრებოდა.

მეორემხრივ, საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ეპისკოპოს კირიონის მეორე წერილი, რომელიც 1906 წლის 3 ივნისს არის დაწერილი: „დღეს ღამის ათ საათზედ ცაგარელისგან მომივიდა წერილი – ეს არის, ახლა გავიგე თქვენი აქ მობრძანებაო. დღეს სადილად ჩემთან უნდა იყვნენ ილია ჭავჭავაძე და გიორგი ჟურული. ხვალ მიდიან და თუ არ დაიბარებთ აქ მობრძანებას, ძალიან გვასიამოვნებთო. თუმცა გვიანი იყო მაგრამ გავემგზავრე. ჩემი მისვლა ძალიან ესიამოვნათ. ილიას და გიორგი ჟურულს ენახათ ობოლენსკი, რომელსაც ეთქვა მათთვის, რომ ერთ სამეფოში ორი ავტოკეფალური ეკლესია მოუხერხებელიაო... თქვენ კანონიერ საფუძველზედ იდექით, ნურც აქეთ გადმოუხვევთ, ნურც იქით. ყველა მოთხოვნებში ზომიერება იქონიეთ“.

ილია ჭავჭავაძე ობოლენსკის 1905 წლის ბოლოს, ან თუნდაც 1906-ის დასაწყისში რომ შეხვედროდა, ამას ეპისკოპოს კირიონს მანამდეც მოუყვებოდა, რადგან 1906 წლის 2 მაისს ისინი ერთად გაემგზავრნენ თბილისიდან პეტერბურგში. ცხადია, რომ შეხვედრა მაისის პირველი დეკადიდან 3 ივნისამდე უნდა მომხდარიყო და ალექსანდრე ცაგარლისადმი წერილიც ამ შეხვედრის შემდეგ უნდა იყოს დაწერილი.

ყურადღებას იქცევს ცაგარლისადმი მიწერილი ბარათის ბოლო ფრაზა: „დაწვრილებით მაშინ მოგახსენებთ, როცა შენთან მოვალთ“ და ეპისკოპოს კირიონის სიტყვები 3 ივნისის წერილიდან, სადაც გადმოცემულია ცაგარლის წერილის სიტყვები: „დღეს სადილად ჩემთან უნდა იყვნენ ილია ჭავჭავაძე და გიორგი ჟურული. ხვალ მიდიან და თუ არ დაიბარებთ აქ მობრძანებას, ძალიან გვასიამოვნებთო“. სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ წერს ეპისკოპოსი: „ილიას და გიორგი ჟურულს ენახათ ობოლენსკი, რომელსაც ეთქვა...“ შესაბამისად, ილია და გიორგი ჟურულიც ცაგარელთან 3 ივნისს უნდა მისულიყვნენ ობოლენსკისთან შეხვედრის ამბებით, შეხვედრა და ილიას წერილი ალექსანდრე ცაგარლისადმი კი უნდა დავათარილოთ 1906 წლის 3 ივნისამდე პერიოდით.

ორი წერილი, რომელთაგან ოცტომეულში ერთი 1901 წლით არის დათარიღებული (გვ. 224-225), მეორე კი უთარიღოებშია დაბეჭდილი (გვ. 236), აშკარად ერთ პერიოდშია დაწერილი და ასეთივე თანმიმდევრობით. პირველ წერილში ნათქვამია, რომ ილია ჭავჭავაძე მოლაპარაკებას აწარმოებს ზუბალაშვილთან სახლის თაობაზე („მგონია, ზუბალოვის სახლებზედ მოვრიგდეთ და თუ მოვრიგდები, შენც ჩამოგიყვან, რომ დავბინავდეთ“), მეორეში ვკითხულობთ: „ზუბალოვთან საქმე გავაკეთე: ოცს ამ თვეს გადავალთ და შენც ჩამოხვალ, რომ გადავიდეთ“. პირველ წერილში ვრცლად არის საუბარი იმაზე, რომ ვასილ მახაბელი ბავშვის ნათლობას აპირებს, მეორე წერილში კი ვკითხულობთ: „მე ეს-ეს არის მივდივარ მახაბლისას“. პირველი წერილი 1901 წლით, როგორც ჩანს, იმიტომ დაათარიღეს, რომ მასში ნახსენებია საზღვარგარეთ წასვლა „თუ ცოცხლები ვიქნებით, კულავ სამზღვარგარედ წავიდეთ, რომ შენც იწამლო და მეც“. „კულავ გაზაფხულზედ ვახსენოთ ღმერთი და სამზღვარგარეთ წავიდეთ. მეც, ხომ იცი, ავადა ვარ და წამლობა მინდა“, „რაკი ეგრეა და ყურთა სმენის საქმე ეგრე გაწუხებს, მეტი გზა აღარ არის, კულავ გაზაფხულზედ ვახსენოთ ღმერთი და სამზღვარგარეთ წავიდეთ“. როგორც ვხედავთ, სამივე წინადადებაში მეორდება ერთი და იგივე სიტყვა „კულავ“, რომელიც თანამედროვე ქართულში გამოიყენება მნიშვნელობით „ისევ“. როგორც ჩანს, ამ მნიშვნელობით აღიქვას იგი მეცნიერებმა და, რამდენადაც ილია ჭავჭავაძე და მისი მეუღლე სამზღვარგარეთ 1900 წელს იყვნენ, ჩათვალეს, რომ იქ ისევ წასვლაზე 1901 წელს შეიძლებოდა ესაუბრათ.

რამდენადაც ამ წერილებში არის რამდენიმე რეალია, რომლებიც არ ესადაგება 1901 წელს, გადავწყვიტეთ, დავკვირვებოდით, რა მნიშვნელობით იყენებს ილია სიტყვას „კულავ“ და მივედიტიმდასკვნამდე, რომ იგი მას იყენებს მნიშვნელობით „მომავალში“, „მომავალ“. „კულავ სამზღვარგარედ წავიდე“ ნიშნავს: მომავალში სამზღვარგარეთ წავიდეთ, „კულავ გაზაფხულზედ“ – მომავალ გაზაფხულზე. მოვიხიზობთ ამ სიტყვის გამოყენების მაგალითებს მისი სხვა პირადი წერილებიდან: „არა უშავს რა, თუ წელს არ მოვივით, კულავ კი 200.000 მანეთი ჯიბეშია“ (მნიშვნელობით „მომავალში“). „კულავ თიბათვეს

ის კურსს დაასრულებს და უნდა აქავს სამსახურში შევიდეს, რომ აკადემიისათვის მოემზადოს“ (ნიშნავს „მომავალ თიბათვეს“), „მე ვერა ვარ კარგად, ჩემი სიმრთელეც ძალიან დაშლილია. თუ ღმერთმა ბოლო არ მამილო, კულავ ამ დროს დავბრუნდები შინ კურს გათავებული (ნიშნავს „მომავალი წლის ამ დროს“). შესაბამისად, ის რეალია, რაც გვაფიქრებინებდა, რომ წერილი 1901 წელს არის დაწერილი, გამოირიცხა. დაგვრჩა ორსავე წერილში არსებული შეთანხმება ზუბალაშვილთან და ვასილ მაჩაბლის შვილის ნათლობა.

ვასილ მაჩაბელს პირველი შვილი, გიორგი, 1885 წელს შეეძინა. შესაბამისად, წერილების დაწერის თარიღი ამ წლიდან არის სავარაუდო. მეორე წერილში ნახსენებია ჟურნალი „Изящная литература“, რომელიც 1883–1885 წლებში გამოდიოდა და ნაკლებ სავარაუდოა, რომ ილია ჭავჭავაძეს მეუღლისთვის ჟურნალის რამდენიმე წლის წინ გამოსული ნომერი გაეგზავნა. შესაბამისად, ეს შეიძლება მაჩაბლის სწორედ პირველი ბავშვის ნათლობა ყოფილიყო. გემოხსენებული პირველი წერილიდან ჩანს, რომ იმ დროს არტურ ლაისტი საგურამოშია. მართალია, გერმანელი მწერალი 1892 წლიდან საბოლოოდ დასახლდა საქართველოში, მაგრამ მანამდე ბოლოს სწორედ 1885 წლის 5 აგვისტოს ჩამოვიდა და საგურამოში მუშაობდა ქართული პოეზიის თარგმანებზე.

1892 წელს ილია ჭავჭავაძისა და ვასილ მაჩაბლის ურთიერთობა იმდენად დაძაბული იყო, რომ ერთის მიერ მეორის ნათლობაზე მიწვევა ნაკლებ სავარაუდოა. პირველ წერილში ნათქვამია, რომ ვასილ მაჩაბელმა ნათლობაზე ქალებიდან მხოლოდ ელისაბედ საგინაშვილი დაპატიჟა („მართო ჩემი და ლიზა მიუწვევია“). ალექსანდრე საგინაშვილი რომ იმ დროს ცოცხალი არ ყოფილიყო, ქვრივი ელისაბედის დაპატიჟება წვეულებაზე, სადაც, ძირითადად, მამაკაცები იყვნენ მიწვეულები, გასაკვირი იქნებოდა. ალექსანდრე საგინაშვილი კი გარდაიცვალა 1887 წლის აპრილში. ეს ფაქტიც მხარს უჭერს წერილის დათარიღებას 1885 წლით.

რაც შეეხება ზუბალაშვილთან მოლაპარაკებას სახლის თაობაზე, საუბარია ახალ-ბებუთოვის (ამჟამად ასათიანის) ქუჩაზე მდებარე სახლზე. ეს მისამართი უკვე მითითებულია ჟურნალ „ივერიის“ 1884 წლის ნოემბერ-

დეკემბრის ნომერზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ილია და ოლღა ბინადაც მაშინვე იქ უნდა ყოფილიყვნენ, იმის შესახებ კი არაერთი მოგონება არსებობს, რომ 1885 წლის დასასრულს და ახალი წლის დადგომას ნამდვილად იქ შეხვდნენ. რამდენადაც არტურ ლაისტი საქართველოში 1885 წლის 5 აგვისტოს ჩამოვიდა, ორივე ბარათი დაწერილი უნდა იყოს ამ თარიღის შემდეგ.

თხზულებათა შემოქმედებითი ისტორია

ავანტექსტი

ავანტექსტი (avant-texte) აღნიშნავს იმ დოკუმენტებს, რომლებიც წინ უსწრებს თხზულებას მის ჩამოყალიბებამდე და რომლებიც უკავშირდება მას. ტერმინი დაამკვიდრა ფრანგული გენეტიკური კრიტიკის წარმომადგენელმა ჯინ ბულემინ ნოელმა (Jean Bellemin-Noel). ავანტექსტი გულისხმობს ხელნაწერებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და, შესაბამისად, ასახავს თხზულებაზე მუშაობის პროცესს. ავანტექსტის მოწესრიგება და თანმიმდევრული შესწავლა გვეხმარება ავტორის შემეცნებითი და შემოქმედებითი პროცესის წარმოდგენაში.

მწერალთა არქივებში ვხვდებით ტექსტებს, რომელთა რაობის გარკვევაც საგანგებო კვლევას მოითხოვს. ასეთი ტექსტები ხშირად ცალკე რეველში, ან ფურცლებზეა ნაწერი და უმეტეს შემთხვევაში სათაურიც არა აქვს. ამიტომ საჭიროა დადგინდეს, ხომ არ არის იგი რომელიმე სხვა ტექსტის ფრაგმენტი, ადრეული წყარო, შესაძლო გაგრძელება და სხვ. თუ კვლევის შედეგად გამოიკვეთა ამ ტექსტის კავშირი რომელიმე სხვა თხზულებასთან, ვცდილობთ დავადგინოთ, კონკრეტულად რა ურთიერთმიმართებაა მათ შორის, ისინი ერთმანეთის ვარიანტებია, რედაქციები, ერთი მეორის ფრაგმენტია თუ სხვ. ამის გარკვევის შემდეგ მათი ურთიერთმიმართება სათანადოდ აისახება მწერლის თხზულებათა აკადემიურ გამოცემაში – თუ ეს არის რომელიმე ტექსტის ფრაგმენტი, ვარიანტი, ან რედაქცია, გამოქვეყნდება

მის სამეცნიერო აპარატში, ან აისახება ვარიანტებში.

აკაკი წერეთლის თხზულებათა თხუთმეტტომეულის რუსული ნაწერების ტომში ცალ-ცალკეა დაბეჭდილი ორი ტექსტის «Кое о чѣм» და «Сказка про белого бычка». კვლევამ დაგვარწმუნა, რომ მეორე ტექსტი არის პირველის ნაწყვეტი და გამოცემაში მათი ცალ-ცალკე დაბეჭდვა გამოიწვია იმან, რომ დროულად ვერ მოხერხდა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული უსათაურო, შავი ავტოგრაფის (N 298) დაკავშირება «Новое обозрение»-ში 1892 წლის 26 აპრილს (N 2866) გამოქვეყნებულ ტექსტთან «Кое о чѣм». ამიტომ მისცეს ავტოგრაფის ტექსტს ახალი სათაური და იმავე ტომში ცალკე დაბეჭდეს.

ილია ჭავჭავაძის მოთხრობების „კაცია – ადამიანი?!“ და „გლახის ნაამბობი“ და პოემის „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ ადრეული რედაქციები მწერლის არქივში დაცულია სათაურებით „კოლა“ და „კაკო“ და მათ შესწავლას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სამივე თხზულების შემოქმედებითი ისტორიის კვლევისათვის.

ლექსი „მეფანტურე“ ილიას თავდაპირველად დამოუკიდებელ თხზულებად ჰქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ შემდეგ მცირე რედაქციული ცვლილებით წინ წაუძღვარა პოემას „მეფე დიმიტრი თავდადებული“.

პრეტექსტი

მხატვრული თუ დოკუმენტური ტექსტის შექმნა მწერალს შეიძლება შთააგონოს სხვა წერილობითმა ტექსტმა, ისტორიულმა მოვლენამ, ზეპირმა გადმოცემამ და სხვ.

ქართულ ლიტერატურაში ძალზე ხშირია ლეგენდის მიხედვით შექმნილი ტექსტები და მეცნიერები გულდასმით იკვლევენ, რა აიღო ავტორმა ლეგენდიდან, რა შეცვალა და რა დაამატა. ილია ჭავჭავაძის პოემა „განდევილს“ ქვეშ მიწერილი აქვს „ლეგენდა“, მაგრამ მწერლის თხზულებათა არც ერთ კრებულში არ არის მითითებული, კონკრეტულად რა ლეგენდა დაედო მას საფუძვლად. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული იყო მოსაზრებები,

რომ პოემის პრეტექსტი შეიძლება ყოფილიყო რეალურად არსებული განდევნილი ბერების – ბესარიონ ფავლენიშვილის, ან ღურბელა (სტეფანე) ფიცხელაურის – ცხოვრების შესახებ არსებული გადმოცემები, მაგრამ ამ მოსაზრებათა ავტორები ვერ ხსნიდნენ, კონკრეტულად რით ჰგავდა ილია ჭავჭავაძის პოემის პერსონაჟის ცხოვრება ამ ბერებისას. როდესაც პოემას და ზეპირი გადმოცემის ჩანაწერს შორის დროის დიდი ინტერვალია, ლეგენდისა და ლიტერატურული თხზულების ურთიერთმიმართების გარკვევა ადრეული ბეჭდური წყაროს არარსებობის შემთხვევაში შეუძლებელია, რადგან ზეპირსიტყვიერებისა და ლიტერატურის კავშირი და გავლენა ორმხრივია. არა მხოლოდ ლიტერატურული ნაწარმოებები იქმნება ლეგენდების საფუძველზე, არამედ ლეგენდებიც საზრდოობს და ივსება ლიტერატურიდან. ამიტომ, ადრეული ბეჭდური წყაროს გარეშე დაბეჭდვით ვერ ვიტყვით, რომ მე-20 საუკუნეში ჩაწერილ ლეგენდას არ განუცდია მე-19 საუკუნეში უაღრესად პოპულარული ამ თხზულების გავლენა.

2016 წელს, „ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მატეანის“ მზადებისას, გაზეთ „Новое обозрение“-ში (1889, N19680) წავაწყდით სტატიას („Легенда о „Гандегили“), რომელშიც დაწვრილებით იყო მოთხრობილი ის ლეგენდა, რომელიც საფუძველად დაედო პოემა „განდევნილს“. სტატია პოემის პირველი პუბლიკაციიდან ექვსი წლის შემდეგ არის დაბეჭდილი, მისი ავტორი, ილია ბახტაძე, პირადად იცნობდა ილია ჭავჭავაძეს, თანამშრომლობდა მასთან და, შესაბამისად, მის მიერ მწერლის სიცოცხლეშივე გამოქვეყნებული ინფორმაცია სარწმუნო უნდა იყოს. ბახტაძის სტატიიდან ვიგებთ შემდეგს:

1. ილია ჭავჭავაძემ თავისი პოემა სწორედ ამ ლეგენდის საფუძველზე შექმნა. 2. ლეგენდა მოგვითხრობს მცინვარზე დაყუდებული ბერის ისტორიას, რომელიც იქ სამძოსთან ერთად მივიდა, მაგრამ ცალკე სენაკში განმარტოვდა და განსაკუთრებულ სულიერ სიმაღლეს მიაღწია. ღვთისთვის მისი ღვაწლის სათნოობის გამომხატველი იყო სასწაული – დილის ლოცვისას სენაკში შემოსულ მზის სხივზე ბერი წმინდა წიგნებით საესე აბგას ჰკიდებდა. ამ საღვთო ნიშნით გამხნეებულ და ღვთისადმი მაღლიერებით აღსავსე ბერს

სურვილი ჰქონდა, რომ მის საძმოსაც მიეღწია იმავე სიმაღლეებისთვის და მონასტერს მკაცრი შინაგანაწესი დაუდგინა.

საძმოს წევრებს, განდევილისგან განსხვავებით, ამძიმებდათ მუდმივი ლოცვა და მარხვა და გადაწყვიტეს, რომ მონასტრის შინაგანაწესის შესამსუბუქებლად რაიმე მოეფიქრებინათ. ბერების ამრით, განდევილი იმიტომ იყო მომთხოვნი, რომ წმინდად ცხოვრობდა. ამიტომ გადაწყვიტეს მისი ცდუნება გერგეთში მცხოვრები ერთი ულამაზესი ქალის, დორას, დახმარებით, რომლისთვისაც „ცოდვა ცხოვრების მოწოდებას წარმოადგენდა“ და არაფერი იყო შეუძლებელი. ერთ ღამეს, საშინელ ქარბუქში დორა ავიდა განდევილის სენაკთან, დაარწმუნა, რომ მონადირე იყო და, თუ არ შეუშვებდა, გაიყინებოდა.

ლეგენდის მიხედვითაც, განდევილმა ისე გააღო კარი, ვერ ხვდებოდა, რომ სენაკში შეშვებას ქალი ითხოვდა. ქალთან საუბრის და ღვთისადმი უმადურობის გამოხატველი სიტყვების წამოცდენის შესახებ ლეგენდაში არაფერია ნათქვამი, უბრალოდ, წერია, რომ პატარა, ბნელ სენაკში ქალსა და ბერს გვერდი-გვერდ ეძინათ. დილით, როდესაც განდევილს გაეღვიძა, უცხო სტუმარი აღარსად იყო, მაგრამ მას რაღაც უცნაური მიწიერი სიამის განცდასთან ერთად დანაშაულისა და ეჭვის გრძნობა ჰქონდა გაჩენილი – ხომ არ შესცოდა უცნობის სენაკში შეშვებით და ხომ არ განაარისხა ღვთისმშობელი? ამის შესამოწმებლად მეუდაბნოე გათენებას დაელოდა, სალოცავად დადგა და აბგა მზის სხივზე დაჰკიდა, მაგრამ წმინდა წიგნებით სავეე აბგა ხმაურით დაეშვა ძირს. მეორეჯერაც სცადა, მაგრამ იგივე განმეორდა.

დილით განდევილმა სენაკი დატოვა და მცინვარის მწვერვალისკენ გაუყვა ბილიკს. ლეგენდა არაფერს ამბობს იმის შესახებ, როგორ დაასრულა მან სიცოცხლე, ქარაფიდან ძირს გადაეშვა, თუ ღვაწლი განაგრძო და მისმა სინანულმა კეთილი ნაყოფი გამოიღო.

ილია ჭავჭავაძის მეორე პოემასთან – „აჩრდილთან“ ლეგენდის მიმართების შესახებ მნიშვნელოვანია ზემოხსენებული განდევილი ბერის ისტორიასთან დაკავშირებით ხალხში გავრცელებული კიდევ ერთი გადმოცემა, რომლის მიხედვითაც, მცინვარისკენ მიმავალი მონანული მეუ-

დაბნოე უფალმა აამაღლა და თითქოს უნახავთ კიდევ მისი სასწაულებრივი ხილვა – მცინვარის თავზე ბურუსში ხელაპყრობით მდგარი. სტატიაში მოხმობილია ციტატა რუსი პოეტის, სიმონ იაკობის ძე ნადსონის, მიერ 1879 წლის ნოემბერში დაწერილი ლექსიდან „В горах“, რომელიც მოწმობს, რომ ასეთი გადმოცემები მართლაც არსებულა ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ დაწერამდე (1883 წლამდე) და იგი 17 წლის ახალგაზრდა რუს პოეტსაც პქონია მოსმენილი 1879 წელს საქართველოში ყოფნის დროს: „А там, где диадемой снежной / Казбек задумчивый сиял, / С рукой подъятой ангел нежный, / Казалось, в сумраке стоял...“.

ბახტაძის პუბლიკაციის მიხედვით, პოემა „განდეგილის“ დაწერას წინ უსწრებდა ალპინისტის ასვლა ყაზბეგის მწვერვალზე. საგულისხმოა, რომ 1883 წლამდე ეს მთა ალპინისტებმა ორჯერ დალაშქრეს. 1868 წელს მწვერვალი დაიპყრო ინგლისელმა დუგლას ფრემფილდმა, 1873 წელს კი – რუსმა ვლადიმერ კომინმა. ასეთ დროს ხდება ხოლმე ყურადღების გააქტიურება მოვლენათა ეპიცენტრზე. შესაბამისად, საზოგადოებაშიც და ბეჭდურ გამოცემებშიც აუცილებლად იქნებოდა საუბარი ამ მთასთან დაკავშირებულ ყოველგვარ გადმოცემებზე. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ამის შესახებ გაეგო სიმონ ნადსონს და, მით უფრო, ილია ჭავჭავაძეს.

თუ ზემოთ განხილული ლეგენდა ცალსახად შეგვიძლია მივიჩნიოთ „განდეგილის“ პრეტექსტად, პოემა „აჩრდილთან“ დაკავშირებით იმავეს ვერ ვიტყვით. აქ მოხუცის აჩრდილი უფრო ალუზიის სახით შემოდის, არ არის გამოყენებული ფაბულა და სიუჟეტური დეტალები.

ყოველთვის საინტერესოა, რას იღებს ავტორი გარეშე წყაროდან და როგორ გარდაქმნის მას შემოქმედებითად. ამ თვალსაზრისით შევისწავლეთ აკაკის ტექსტი „დავითის გვირგვინი“, რომელსაც ქვეშ მიწერილი აქვს „ქართველ ებრაელთა ლეგენდა“.

რამდენადაც მოთხრობასთან მითითებულია, რომ ის ეყრდნობა არსებულ ლეგენდას, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, რომელ კონკრეტულ წყაროზეა საუბარი. დავით მეფის შესახებ არსებულ ერთ-ერთ ცნობილ ლეგენდაში თითქმის ზუსტად არის გადმოცემული ბეთლემში მცხოვრებ

იესესთან სამუილ წინასწარმეტყველის მისვლა, მის ვაჟთაგან დავითის არჩევა და მირონცხება, მაგრამ ამ ლეგენდაში არაფერია ნათქვამი არც ბარუქზე და არც დავითის ლირის წარმომავლობაზე. საერთოდ, ვერც ერთ ლეგენდას ვერ მივაგენით, სადაც ბარუქი და დავით მეფე ერთად იქნებოდნენ წარმოდგენილი. დავით მეფე ცხოვრობდა ძველი წელთაღრიცხვით XI-X საუკუნეებში, ბარუქი კი - VI-ში, ანუ მათ, სულ ცოტა, 400 წელი მაინც აშორებდა ერთმანეთისგან. ბარუქის სახელის გამოტოვება ქართული ტექსტიდან გვაფიქრებინებს, რომ ლეგენდა ბარუქისა და დავითის შესახებ არ არსებობდა. ვფიქრობთ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, ავტორი ასე მარტივად არ გადაწყვეტდა მისი სახელის უგულებელყოფას ქართულ ტექსტში. ისიც ნაკლებად სავარაუდოა, რომ ებრაელებს, რომლებიც თავიანთი ერის ისტორიას ზედმიწევნით კარგად იცნობენ, შეექმნათ ლეგენდა, სადაც ერთ ისტორიულ სივრცეში ერთმანეთს შეხვდებოდნენ ოთხი საუკუნით ერთმანეთისგან დაშორებული ბარუქი და დავითი და თან დავითი, რომელიც ისტორიულად უფრო ადრე ცხოვრობდა, ჯერ კიდევ ბავშვად იქნებოდა წარმოდგენილი. ასეთ წარმოსახვებს ისტორიულ პირებზე მწერალი უფრო ქმნის, ვიდრე ხალხი.

რა თქმა უნდა, ჩნდება კითხვა, თუ ასეთი ლეგენდა არ არსებობდა, რატომ დასჭირდა აკაკი წერეთელს თავის მხატვრულ გამონაგონში სწორედ ბარუქის სახის შემოყვანა. ეს იყო წინასწარმეტყველი, რომელიც თავის მასწავლებელ იერემიასთან ერთად ამხელდა მეფეს და მოუწოდებდა თავის ხალხს, რომ შეენანათ ცოდვები. მან ჩაიწერა იერემიას წინასწარმეტყველება იუდეველთა ცოდვების გამო ბაბილონელების მოსალოდნელი შემოსევის შესახებ და ტაძარში წაუკითხა ხალხს, მაგრამ არც მეფე და არც ხალხი არ უსმენდა, რასაც შედეგად მოჰყვა იერუსალიმის დანგრევა და იუდეველთა დატყვევება. საკუთარი ერის ტყვეობაში ყოფნა არის სწორედ ის სატკივარი, რაც აახლოებს აკაკის მოთხრობის ჩანაფიქრს ბარუქთან. ის, რომ ეს ჩანაფიქრი იმდროინდელ ქართულ რეალობასა და პრობლემატიკაზე ორიენტირებული, სხვა არაერთი დეტალიდანაც ჩანს.

მოთხრობის შინაარსში მკაფიოდ არის აქცენტირებული სახელმწიფო მართვის ორგვარი პრინციპი — იძულებითი და ჰარმონიული. პირველი

დამყარებულია საკუთარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად სხვების შებლუღვამე, მეორე კი — თავისუფალ თანაარსებობაზე. ბარუქის მიერ საჩუქრად მიძღვნილ დაშლილ ლირას ყველა მწყემსი, დავითის გარდა, ქვაზე ამტვრევს, მასზე გამობმული ძაფებით კი თოკს გრეხს, რომ თხები დააბას და მათი დევნა არ მოუხდეს („იცინოდნენ და გულგრილად ამსხვრევდნენ ქვაზე — მხოლოდ ძაფებს კი ატმასნიდნენ ერთმანეთს... აგრეხდნენ, გამოყავდათ წვრილი ბაწარი და საბელ-ბორკილებს უკეთებდნენ თხებს“), თავად დავითი კი, ლირაზე გამობმულ ერთ ძაფს, რომელსაც ეულობის გამო სევდიანი ხმა აქვს, გვერდით სხვა ძაფებსაც გამოუბამს და ისე ააფერებს, რომ თხებს გაქცევის სურვილი არ უჩნდებათ. იგი ხვდება, რომ ძაფების ერთმანეთზე გადაგრეხა არ შეიძლება, რადგან ეს ჰარმონიას კი არ გააუმჯობესებს, არამედ დაამსხვრევს. თხების მწყემსვისას გამოყენებული ამ ორგვარი მიდგომის ალევორია, ფაქტობრივად, თავად ტექსტივე არის განმარტებული სამუელის სიტყვებში: „ეგ ჩანგი არის შენი სამეფო და სიმები სხვადასხვა ერი. შენ არ მიგიგრეხია სიმები ერთმანეთზე, რომ მით შუა ძაფი გაგვიდებია და გაგხსნა საბმელად!.. მხოლოდ შეგიკავშირებია ერთმანეთისთვის შეუცვლელად თავთავის საკუთარს ხმით და სიდიდით! შევიხმატკბილებია ერთ ჰანგად და მოგინადირებია სამწყსო. მწყსე სამეფოცა შენი მაგვარად...“ მოხმობილი ციტატა ამ ტექსტის აკაკისეულ რუსულ რედაქციაშიც ანალოგიურად ჟღერს.

მეორე დეტალი, საიდანაც ჩანს ავტორის მიზანდასახულობის ორიენტირება კონკრეტულ, ქართულ პრობლემებზე, უკავშირდება ალუზიებს. ფრაზა: „ყოველი სული აქედით უფალსა“ 150-ე ფსალმუნის პირდაპირი ციტირებაა, ხოლო „აქედით ღმერთსა ყოველნი ერნი“ — შემოკლებულია და „ყოველნი ერნი“—ს წინ აკლია სიტყვები: „ქუეყანით ვეშაპნი და ყოველნი უფსკრულნი; ცეცხლი, სეტყუი, თოვლი, მყინვარი, სული ნიაქარისაი, რომელნი ჰყოფენ სიტყუასა მისსა; მთანი და ყოველნი ბორცუნი, ხენი ნაყოფიერნი და ყოველნი ნაძუნი; მხეცნი და ყოველნი პირუტყუნი, ქუეწარმავალნი და მფრინველნი ფრთოვანნი; მეფენი ქუეყნისანი და...“ (ფს. 148), მაგრამ კონცეპტუალურად უცვლელია. რუსულ ტექსტში მოხმობილი სიტყვები: «Возлюблю тебя, Господи, крепость моя!»

მე-17 ფსალმუნის პირდაპირი ციტირებაა. ფსალმუნებთან ერთად საკითხავ ლოცვებში გვხვდება რუსულ ტექსტში ნახსენები მეორე ფრაზაც – «всякая тварь» ანუ ღვთის ყოველგვარი ქმნილება: – «О Тебе радуется, Благодатная, всякая тварь, ангельский собор, и человеческий род», მაგრამ სიტყვები „ყოველსა ენასა ზედა“ და რუსულ ტექსტში გამოყენებული მისი შესატყვისი «и на всех языках», ფსალმუნებში არ გვხვდება. ეს ფრაზა ტექსტის ბოლოსა და წინადადება სრული სახით ასე იკითხება: „ახალცხებულმა ჩამოჰკრა სიმებს და ააჟღერა საგალობელი: „ყოველი სული აქებდით უფალსა! აქებდით ღმერთსა ყოველნი ერნი! და ყოველსა ენასა ზედაო!“ მისცა ზეცამ ბანი და ფსალმუნი საგულისხმო გაისმა კიდით-კიდე.“

რამდენადაც ეს ჩანართები არ არის ლეგენდისეული და მოთხრობის ავტორს ეკუთვნის, ჩვენი აზრით, სწორედ მათში ჩანს მისი განზრახვა, რუსეთის იმპერიის მიერ ქართველი ერის და ქართული ენის შევიწროების გამო, აქცენტი გააკეთოს ერებისა და ენების თანასწორობაზე. მწერლის ხერხმა გაჭრა — სხვადასხვა ფსალმუნიდან მოხმობილ ამონარიდებში ფსალმუნებისავე სტილს მორგებული ფრაზა „ყოველსა ენასა ზედა“ ცენზურამ ვერ შენიშნა და, როგორც რუსულ რედაქციაში, ისე ქართულში, უცვლელად დარჩა. რა თქმა უნდა, ცენზურის ყურადღების მოღუნებას გამოიწვევდა ის, რომ სათაურის ქვეშ გაკეთებული მინაწერით იგი ქართველ ებრაელთა მიერ შექმნილ ლეგენდად ცხადდებოდა და არა პოეტის გამონაგონად. ლეგენდის მიკუთვნება კონკრეტულად ქართველი, და არა ზოგადად ებრაელებისთვის, ერთგვარად მიგვანიშნებს მის კავშირზე საქართველოსთან. აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთი განაცხადი კიდევ უფრო დამაბნეველი იქნებოდა ცენზორისათვის, რომელსაც, შესაძლოა, სცოდნოდა ცნობილი ლეგენდა დავითის მირონცხების შესახებ. ბიბლიური ლეგენდები მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში არაერთგზის გამოქვეყნდა რუსულ ენაზე, მაგ. 1874 წელს ვლადიმეროვის «Сказки, предания и легенды всѣх времен и народов», 1895 – «Сборник восточных повѣстей, рассказов, легенд и сказаний», 1896 წელს – «Разказы и легенды» და სხვ. შესაბამისად, რომ არა ეს მინაწერი, გამორიცხული არ არის, რომ ცენზორს მოთხრობისა და

ლეგენდის ტექსტებს შორის სხვაობა შეემჩნია.

იმავე 1897 წელს, ივლისში, პირველად გამოქვეყნდა აკაკი წერეთლის ცნობილი პოემა „ნათელა“, სადაც, დავითის ლირის (იგი ზოგან კიფარად მოიხსენიება, ზოგან – კინორად) მსგავსად, ერის ერთიანობისა და პარმონიული თანაარსებობის ამსახველ მხატვრული სიმბოლოდ ჩონგურია გამოყენებული, მისი სიმების მწყობრი ჟღერა და ალევორიული მნიშვნელობა კი ასეა აღწერილი: „თავის ჰანგებზე, თავის ხმით / წკრიალებს ერთად ყველაო, / ერთი, მეორის თანხმობით: / „ოდელა-დელა-დელაო!“ / ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო, სხვადასხვა კუთხის მცხოვრები: / „ოდელა-დელა-დელაო!“ ვფიქრობთ, აკაკი წერეთლის ამ პოემის შემოქმედებითი ისტორიის კვლევისას გარკვეული ყურადღება უნდა მიექცეს იმავე წლის დასაწყისში გამოქვეყნებულ ზემოთ განხილულ მოთხრობასაც.

როგორც მსოფლიო, ისე ქართულ ლიტერატურაში ხშირია მითოლოგიური, ან ბიბლიური სიუჟეტების გაცოცხლების მაგალითები. ოთარ ჭილაძის ცნობილ რომანს „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ საფუძვლად დაედო ბერძნული მითი ოქროს საწმისის შესახებ, გურამ დოჩანაშვილის რომანს „სამოსელი პირველი“ კი – სახარებისეული იგავი „უძღებ შვილზე“.

მხატვრულ თხზულებებს ხშირად საფუძვლად უდევს სხვა პოეტური თუ პროზაული ტექსტები. მაგალითად, ჯეიმს ჯოისის „ულისეს“ საფუძვლად დაედო ჰომეროსის „ოდისეა“, აკა მორჩილაძის ნოველას „მოგზაურობა კახეთში“ – ილია ჭავჭავაძის „კაცია – ადამიანი?“, გურამ დოჩანაშვილის რომანში „სამოსელი პირველი“ წინამძღოლის ისტორიას „გილგამეშიანი“ და შუამდინარული ეპოსი და სხვ.

არის შემთხვევები, როცა მხატვრული ტექსტები და სახეები იქმნება ისეთი ისტორიული მოვლენების მიხედვით, რომელთა შესახებაც ავტორს ინფორმაცია დოკუმენტური წერილობითი ტექსტებიდან აქვს. ასე გაჩნდა კამორისა და კანუდოსის სახელები და ისტორია გურამ დოჩანაშვილის „სამოსელ პირველში“.

„კამორა“ იტალიურად ჩხუბს ნიშნავს და გასაკვირი არ არის, რომ

ამ სახელს უწოდებენ ნეაპოლის მაფიას, რომელიც სწორედ ჩხუბთან და სისხლიან ანგარიშსწორებებთან ასოცირდება. ეს არის ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში ჩამოყალიბებული უზარმაზარი ორგანიზაცია თავისი იერარქიით, კანონებითა და ჟარგონით. იგი დღესაც ძლიერია და შიშის ზარს სცემს საზოგადოებას. 2006 წელს ახალგაზრდა იტალიელმა ჟურნალისტმა რობერტო სავიანომ მასზე შექმნა დოკუმენტური რომანი „გომორა“ (სახელთა მსგავსებით ავტორი მიგვანიშნებს კამორასა და საშინელი ცოდვების გამო ღვთის რისხვით ციდან გადმოსული ცეცხლით დამწვარ ქალაქ გომორს შორის არსებულ მსგავსებაზე). წიგნი ითარგმნა მსოფლიოს 42 ენაზე და სულ მოკლე ხანში ბესტსელერი გახდა (მხოლოდ იტალიაში 1.2 მილიონი ცალი გაიყიდა). 2008 წელს წიგნის მიხედვით გადაიღეს ფილმი (რეჟ. მატეო გარონე), რომელმაც 2008 წელს კანის კინოფესტივალის მთავარი პრიზი დაიმსახურა.

წიგნისა და ფილმის გამოსვლის შემდეგ პოლიცია იძულებული გახდა, რომ უფრო გადაძვრული ზომები მიეღო მაფიის წინააღმდეგ. ამის გამო განრისხებულმა კამორის „ნათლიმამებმა“ დევნა დაუწყეს რობერტო სავიანოს. ორი წლის განმავლობაში მაფიაზე დაწერილი წიგნის ავტორს ისევე უხდებოდა მალვა, როგორც თავად მაფიის წევრებს, შემდეგ კი იძულებული გახდა, საერთოდ დაეტოვებინა იტალია. მწერალი შეძრწუნებული იყო იმ ფაქტით, რომ დევნამ და დაშინებამ მის ხასიათზეც იმოქმედა. გახდა საშინლად ეჭვიანი, მშფოთვარე, უნდო და ეჩვენებოდა, რომ ყველგან მახეს უგებდნენ. სამშობლოდან წასვლის წინ მან ჟურნალისტებს უთხრა: „მე მინდა სიცოცხლე, მინდა მქონდეს სახლი, მინდა მიყვარდეს, მინდა შემეძლოს ლუდხანაში ლუდის დაღევა, წიგნის მაღაზიაში შესვლა და წიგნების დიდხანს თვალიერება... მინდა ვსეირნობდე, ვტკბებოდე მზითა და წვიმით და არ ვხედავდე შიშს დედაჩემის თვალებში... მე მხოლოდ 28 წლის ვარ...“.

აი, ასეთი სასტიკი ორგანიზაციის სახელი დაარქვა გურამ დოჩანაშვილმა თავის რომანში ასახული მსგავსი, მაფიოზურ-ტოტალიტარული წყობის ქალაქს, რომელსაც სულიერად დაკნინებული და გადაგვარებული ჰყავდა თავისი მოქალაქეები, მაგრამ ამითაც ვერ იკმაყოფილებდა ექსპანსიურ ამბიციებს და ცდილობდა მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები თავისუფალი

საზოგადოების დამორჩილებასაც.

ისტორიული რეალობიდან აქვს მწერალს აღებული სახელი კანუდოსიც. მე-19 საუკუნის მიწურულს, 1893 წელს, ბრაზილიის ჩრდილო-აღმოსავლეთის სერტანაში (ამ მხარეში უდაბურ ადგილებს სერტანას უწოდებენ), ბაჰიას შტატის ერთ მიტოვებულ ფერმაში, რომელსაც კანუდოსი ერქვა, თავი მოიყარა გვალვითა და მიწათმფლობელ ფაზენდიერთა მიერ შეწუხებულმა მოსახლეობამ და გადაწყვიტა, რომ ერთობლივი ძალით დაპირისპირებოდა შიმშილს და სოციალურ ჩაგვრას. მათ სათავეში ედგა მღვდელი ანტონიო ვიცენტე მენდეს მასიელი, შემდგომში ანტონიო კონსელეიროდ წოდებული. მათ თავიანთ ქალაქს ბელო მონტე — მშვენიერი მთა დარქვეს, მაგრამ ისტორიას ეს დასახლება მაინც ძველი სახელი კანუდოსით შემორჩა.

თავისუფალი კოოპერატიული საზოგადოების ჩამოყალიბებამ, რომლის წევრთა რაოდენობა თანდათან 30 ათასამდე გაიზარდა, შეაწუხა რეგიონის მიწათმფლობელები, რადგან მუშა ხელი მოაკლდათ. ავტონომიური საზოგადოება, რომელიც სახელმწიფო კონტროლს არ ექვემდებარებოდა, აღიზიანებდა მთავრობასაც. იგი კანუდოსში საკუთარი ხელისუფლების მეტოქეს ხედავდა. ამიტომ ბრაზილიის ხელისუფლებამ, ვითომდა ლიბერალიზმისა და პროგრესის სახელით, გადაწყვიტა, რომ სამხედრო ექსპედიცია გაეგზავნა და დაეწვია კანუდოსი. პირველი სამი შეტევა ქალაქის მცხოვრებლებმა გმირულად მოიგერიეს, მაგრამ 1897 წლის ოქტომბერში მეოთხე, უფრო ფართომასშტაბიან შეტევას ვეღარ გაუძლეს. მათი მარცხი ნაწილობრივ განაპირობა ალყის დროს ანტონიო კონსელეიროს სიკვდილმა (იგი ბრძოლის დროს არ დაღუპულა, გარდაიცვალა ინფექციური დაავადებით — დიფტერიით). ბრაზილიის არმია სასტიკად ჟლეტდა მოსახლეობას და ანგრევდა ყველაფერს. როგორც ამბობენ, ეს იყო ყველაზე უმოწყალო სამოქალაქო ომი ქვეყნის ისტორიაში. ექიმი-აკადემიკოსი ალვიმ ხორკადესი, რომელიც ამ ამბების მომსწრე გახდა, ასე აღწერს კანუდოსელთა ხოცვა-ჟლეტას: „მე ვნახე და მოწმე ვარ იმ საწყალი ხალხის თავგანწირვისა... და სრულიად გულწრფელად ვამბობ: კანუდოსში თითქმის ყველა პატიმარს თავი მოჰკვეთეს... პატარა ბავშვისთვის სიცოცხლის წართმევა არის უდიდესი

იმ დანაშაულთაგან და უღმობელობათაგან, რაც კი ადამიანს შეუძლია ჩაიდინოს“. შესაძლოა, კანუდოსზე თავდასხმისას ბავშვების მკვლელობაზე სარკასტული მინიშნებაა კამორელთა მიერ წამდაუწუმ გამეორებული ფრაზა: ბავშვზე უკეთესი რაა ამ ქვეყნად. ტექსტის ყოველი პასაჟიდან ჩანს, რომ მათი ნათქვამი მუდამ ყალბი და პირუკუ გასაგებია.

1970 წელს კანუდოსის ადგილას აშენდა უზარმაზარი წყალსაცავი. როცა მასში წყალი კლებულობს, ჯერ-კიდევ მოჩანს დასახლების ცენტრში ოდესღაც აღმართული ეკლესიის ნანგრევები. ამ ადგილის სამხრეთ დასავლეთით აშენდა ქალაქი ახალი კანუდოსი. წელიწადში ერთხელ, ოქტომბერში, ტარდება მესა ე. წ. „კანუდოსის ომში“ დაღუპულთა მოსახსენიებლად. კანუდოსის ისტორია დაწვრილებით აღწერა ევკლიდე და კუნამ წიგნში „ამბოხი განაპირა რეგიონში“. მასზე დაიწერა მართო ლოსას რომანი „სამყაროს დასასრულის ომი“, მაგრამ ეს გვიანდელი წყაროებია. გურამ დოჩინაშვილს შეეძლო ესარგებლა 1969 წელს ჟურნალ «Вокруг света»— ში გამოქვეყნებული ვიტალი სობოლევის ნარკვევით „კანუდოსი“, რომელშიც დაწვრილებითაა მოთხრობილი ეს ისტორია და ანტონიო კონსელეიროსთან ერთად მოხსენიებული არიან: რაზმის ხელმძღვანელი ზე მატუტა, მისი მეუღლე მარია, კონსელეიროს თანამემჩე ჟოან აბადე, მარშალი ბეტანკური, პოლკოვნიკი სეზარი და სხვ. რეალურად არსებობს ეკლიანი ბუჩქი კაატინგაც, მაგრამ მისი თვისებები რომანში ჰიპერბოლიზირებულია.

სობოლევის პუბლიკაციაში არის დეტალი, რომელიც ჰგავს „სამოსელ პირველში“ ჟოაო აბადოს აღსასრულს. სტატიაში ვკითხულობთ, რომ კამორელები ცდილობდნენ ტყვედჩავარდნილთაგან ინფორმაციის მიღებას და, როცა ისინი უარს ეუბნებოდნენ, მიჰყავდათ „თავმოკვეთილთა უდაბნოში“ (ეს სახელი ომის დროს მიეცა იმ ადგილს) და იქ მათზე ვარჯიშობდნენ დანის სროლაში — ვინ შეძლებდა, რომ ერთი დარტყმით ყურიდან ყურამდე გადაეჭრა მათთვის ყელი. რომანში კამორელ რიგობერთოს ეუბნება მიჩინიო: „თუ გსურს, ერთი მოქნევით, შენი ცნობილი ხერხით, ყურიდან ყურამდე თუ გადაჭრი...“ შესაძლოა, რომანის ავტორს სხვა, უფრო პირდაპირი წყარო ჰქონდეს გამოყენებული, მაგრამ ალუზიური მიმართება ამ ისტორიულ

ფაქტებთან აშკარაა. მწერალი იღებს მათ რეალობიდან და არაჩვეულებრივი შემოქმედებითი ოსტატობით გარდაქმნის ახალ, მხატვრულ რეალობად, რომელიც კიდევ უფრო ძლიერად ზემოქმედებს მკითხველზე.

თხზულების შექმნის შემოქმედებითი იმპულსი

თხზულების შექმნის შემოქმედებითი იმპულსი მწერალს უამრავმა სხვადასხვაგვარმა გარემოებამ შეიძლება მისცეს: რაღაც ამბის გახსენებამ, წაკითხვამ, მოსმენამ, ვიღაცასთან შეხვედრამ, გარკვეულ გარემოში მოხვედრამ და სხვ. ბუნებრივია, თხზულებაზე მუშაობის პროცესში ეს იმპულსი ათასგვარ ტრანსფორმაციას განიცდის, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანია ტექსტის შემოქმედებითი ისტორიის ანალიზისთვის. ამ თვალსაზრისით საინტერესოა გურამ რჩეულიშვილის „ბათარეკა ჭინჭარაულის“ შემთხვევა. მისი შექმნის შემოქმედებითი იმპულსი გახდა 1959 წლის აგვისტოში მწერლის მეგობრის, მოქანდაკე გოგი ოჩიაურის, მიერ მისთვის მონათხრობი ორი ამბავი. ერთი ეხებოდა კენტავრის სკულპტურას, რომელსაც ის იმ პერიოდში აქანდაკებდა, მეორე კი – პატარა ხევსური გოგონას თვითმკვლელობას. გოგონა თურმე თამაშში გაერთო და დედისთვის სამკალში საჭმლის წაღება დააიწყა. მამამ ამისთვის უსაყვედურა, რაც მან ისე მძიმედ განიცადა, რომ თავი ჩამოიხრჩო. მწერალი დაინტერესებულა, რა ერქვა გოგონას მამას. გოგი ოჩიაურს არ ახსოვდა და უპასუხია, „ვთქვათ, ბათარეკაო“. მითი და რეალობა – კენტავრის სახე, სახელი ბათარეკა და გოგონას თვითმკვლელობა დაუკავშირდა მწერლის იმდროინდელ ფიქრებს ცხოვრებასა და შემოქმედებაზე და მოკლე ხანში არაჩვეულებრივ მოთხრობად იქცა, ამ შემოქმედებითი პროცესის მემატრიანეები კი გურამ რჩეულიშვილის ავტოგრაფებია.

ავტოგრაფებიდან ჩანს, რომ იმ პერიოდში გურამ რჩეულიშვილი ბევრს ფიქრობდა ცხოვრებისა და შემოქმედების ურთიერთმიმართებაზე და ამ მოთხრობის თემაც ამ ფონზე გაშალა. აქაც დგას კითხვა, სად დევს პოეზიისა და ცხოვრების ჰარმონიული თანაარსებობის ზღვარი. მუდამ სისხლის

საქმეებში ჩაბმული და ჩაბურძგნულხასიათიანი ხევსურები შემოქმედებითები არიან. „აქ პოეზია განუკითხავად ბატონობს პროზაზე“, პოეზია თავისი „ულოგიკო“ ვნებებითა და გამოხატვის შეუდარებელი დრამატული სიმშვენიერით. შემთხვევითი არ არის, რომ აქ ფოლკლორი, აწყობილი ხევსურული ლექსით, თავისი ღირსების შეგრძნებით, კლასიკურ სიმაღლემდე აღის. ყველა ხევსური, როგორც წესი, პოეტია; ყველაზე კარგს კი იმათგან ის დაწერს, რომელიც სხვაზე მეტად და ღირსებით იტანჯება, ვერმიღწეულის ვნებით შეპყრობილი, ლექსის თქმამდე“. ბუნებით ფაქიზ ადამიანთა ამგვარი გაორების მიზეზი, როგორც ჩანს, ცხოვრებაა. მათ უხემ ქცევას განაპირობებს „რჯულზე უმტკიცესი“ ჩვეულება, რომელსაც დამორჩილებული ჰყავს მათი მგრძნობელობა. კერპ-ავრესიული ხასიათი იპყრობს და ინადირებს ყველაფერს, რისი ფიზიკური წვდომაც შეიძლება, მაგრამ ვერ „ეწევა“ სულს. ამ მიუწვდომლობის ღრმა გაცდად, შესაძლოა, პიროვნებაში გარდატეხა გამოიწვიოს და აბოვნინოს ის გზა, რითაც ყველაფრის წვდომა შეიძლება, ანუ ხელოვნება.

ამ თემატურ რკალში შემოდის მოთხრობაში კენტავრის მითი. მონადირეს, რომელსაც აკრძალული ჰქონდა ირმის მოკვლა და მაინც მოიწადინა, უცებ მშვილდის „მოსაზიდად მოხრილი მკლავი გაუშეშდა, აეყარა ძარღვები წყრთასა და მხარს შუა, არფის სიმეხვივით გაება და დაეჭიმა. ტანი ცხენს შეებარდა, რომ არ შეჩერებულყო მისი ჭენება ნადირის საძებნელად და მეტი სიმწუხარე მიეყენებინა ნადირობის უნარს მოკლებულისათვის; მხოლოდ საისრე მარჯვენა ხელი დარჩა თავის ნებაზე მოძრავი; ჩამოჰკრავდა ამ ხელს სიმებად ქცეულ ძარღვებს და მღეროდა, რადგან არაფერი შეეძლო ნადირობისა და იმ ვნების გამოხატვის გარდა, რომელსაც მასზე მოგონებით სიმებს ათქმევინებდა“.

ცხენვაცების, კენტავრების, შესახებ არაერთი ბერძნული მითი არსებობს. ისინი უფრო ხშირად ასოცირდებიან ინსტინქტების ტყვეობასთან, სოფლურ ველურობასთან, სიუხეშესთან, მრისხანებასთან, ნადირობასთან, თრობასა და ძალადობასთან (არისტოფანეს გადმოცემით, ძველ ბერძნულში სიტყვა „კენტავრიკოს“ „სიუხეშის“ აღსანიშნავად გამოიყენებოდა), მაგრამ

არსებობენ სხვაგვარი კენტავრებიც, მაგალითად, ჰერაკლეს, იაზონის, აქილეესის, თებევსისა და ესკულაპის აღმზრდელი, კეთილსინდისიერი და გონიერი ქირონი, რომელიც მომავალ გმირებს მშვილდოსნობის გარდა ლირაზე დაკვრასაც ასწავლიდა. „ბათარეკა ჭინჭარაულში“ კენტავრად ქცეული მონადირის მკლავი, რომელზედაც ის უკრავს, არა ლირასთან, არამედ არფასთან არის შედარებული, მაგრამ, პითაგორასეული მოძღვრებით, არფაც და ლირაც სიმბოლურად განასახიერებს სამყაროს ჰარმონიას, ხიდს ცასა და დედამიწას შორის.

კენტავრთან დაკავშირებული ზუსტად ისეთი მითოლოგემა, როგორც გურამ რჩეულიშვილს აქვს გამოყენებული მოთხრობაში, არსად არ გვხვდება, მაგრამ ცალკეული დეტალების მსგავსება მულავენდება სხვა ბერძნულ მითებთან და ქართულ ფოლკლორთანაც. ირმის დაჭრის, ან მოკვლის გამო ნადირობის ქალღმერთის მრისხანება არაერთ ბერძნულ მითში გვხვდება. საგულისხმოა, რომ რჩეულიშვილის მოთხრობის ადრეულ ვერსიაში მონადირე არა მხოლოდ უმიზნებდა, კლავდა კიდევაც აკრძალულ ირემს: „...მთელ ღამეს სდია უგონოდ და დილით მოკლა. გატეხა პირი“. ჰერაკლემ კერინეის მთებში დაჭრა და დაატყვევა არტემიდეს ოქროსრქიანი ირემი და ქალღმერთის რისხვას მხოლოდ იმით გადაურჩა, რომ ეს არა თავისი ნებით, არამედ ევრისტენეს დავალებით გააკეთა.

კეოსის ველზე ბინადრობდა ნიმფებისთვის მიძღვნილი უმშვენიერესი ირემი, რომელთანაც მეგობრობდა მეფისწული კვიპაროსი. ერთხელ, როდესაც ირემი ფოთლოვანში ემალებოდა მზის მხურვალეობას, კვიპაროსმა ვერ იცნო თავისი მეგობარი და შუბით განგმირა. ამ გამოუსწორებელი შეცდომის გამო ჭაბუკმა აპოლონს სთხოვა მარადიული გლოვა დაეწესებია მისთვის და, მართლაც, იგი ცრემლმდინარე ხედ იქცა.

აქტეონის მითში ვხვდებით არტემიდეს რისხვით ადამიანის ირმად ქცევას. ფინიკიელთა მეფის შვილიშვილი აქტეონი საუკეთესო მონადირე იყო. ერთხელ, კითერონის ტყეში ნადირობისას, იგი გადაეყარა ქალღმერთი არტემიდეს მოსასვენებელ წალკოტს და ნახა შიშველი ქალღმერთი, რის გამოც მისი რისხვა დაიმსახურა. უკან დაბრუნებულ აქტეონს თავზე ირმის

რქები ამოვბარდა, კისერი დაუგრძელდა, ხელები ფეხებად ექცა, ჩლიქები გავბარდა, მთელი სხეული ბალნით დაეფარა და ირმად იქცა. ჭაბუკი თავის ძაღლებს ჩვეულებრივი ირემი ეგონათ და დაგლიჯეს.

კიდევ ერთი ბერძნული მითის მიხედვით, არტემიდემ მისი ირმის მოკვლის გამო აგამემნონს ქარიშხალი მოუვლინა და მიკენის მეფემ ამ რისხვისგან თავის დასაღწევად ქალღმერთს თავისი ქალიშვილის, იფიგენიას, მსხვერპლად შეწირვა აღუთქვა. არტემიდამ სამსხვერპლოზე მიყვანილი იფიგენიას ნაცვლად ირემი შეაწირინა, აგამემნონის ქალიშვილი კი თავის ქურუმად აქცია.

ირმის საკრალიზებული სახე და მისი მოკვლით გმირის ბედისწერის უკუღმა დატრიალება ხშირად გვხვდება ქართულ ფოლკლორშიც. ლეგენდის ერთ-ერთი ვარიანტის მიხედვით, ამირანმა მოკლა ირემი, რომლის რქებიც ცას სწვდებოდა და როცა აღმოაჩინა, რომ მას შუბლზე ჯვარი ჰქონდა გამოსახული, მიხვდა, რომ ეს დანაშაული მისთვის საბედისწერო გახდებოდა: „მივიდა, ბევრი იტირა, რო ჯვარი ნახა რქასაო“.

ირმის, როგორც განსაკუთრებული, საკრალური ცხოველის სახე ქართულ წერილობით წყაროებსა და ზებირ გადმოცემებში კიდევ ბევრგან გვხვდება: მეფე ფარნავაზი დაჭრილმა ირემმა მიიყვანა განძთან; მეფე მირიანს ირმებზე ნადირობისას დაუბნელდა მზე, რამაც „ნინოს ღმერთის“ აღიარებამდე მიიყვანა; ვახტანგ გორგასლის მიერ თბილისის დაარსების შესახებ არსებული ლეგენდის ერთ-ერთი ძველი რედაქციით, გოგირდოვან წყალში განიკურნა მის მიერ დაჭრილი არა ხოხობი, არამედ ირემი. ირმის სახე იდუმალი და საკრალური მნიშვნელობით გადადის მხატვრულ პროზაშიც. ილია ჭავჭავაძის „გლახის ნამბობი“ ირმის მონადირების ეპიზოდით იწყება, შემდეგ კი ხდება ამ ფაქტის განზოგადება და დაკავშირება ადამიანის ცოდვილ ბუნებასთან. „ოთარაანთ ქვრივში“ განსაკუთრებული მხატვრული და შინაარსობრივი დატვირთვა აქვს თევდორეს მიერ ირმის ცოცხლად „მონადირებას“.

გურამ რჩეულიშვილი „ბათარეკა ჭინჭარულში“ თითქოს კრებს და ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა მითოლოგიამათა ელემენტებს: კენტავრის უხემ ხასიათს, ქირონის მუსიკალურ შესაძლებლობებს; ირმის

საკრალურობას, მასზე ნადირობის აკრძალვას, ირმის მოკვლისთვის ადამიანის გადაქცევას სხვა არსებად (ირმად, კვიპაროსად) და ქალწულისა და ირმის, როგორც მსხვერპლის, ურთიერთჩანაცვლებას (მამის მიერ ირმის მოკვლის გამო უნდა დასჯილიყო იფიგენია, მაგრამ შემდეგ ისევ ირემი შეიწირა მის ნაცვლად). სავარაუდოდ, იმ მიზნით, რომ ხევსურულ კონტექსტში ბუნებრივად ჩასვას ბერძნული მითოსური ელემენტები, მწერალი საგანგებოდ არ ახსენებს სიტყვა კენტავრს, ასევე ცხოველთა მფარველად იხსენიებს არა არტემიდეს, არამედ ოჩოპინტრეს (არაბუნებრივი იქნებოდა, რომ ხევსურ გოგონას ბერძნულ მითოლოგიაზე ფიქრით დაეძინა ყოველ საღამოს), მაგრამ ამ ინტერტექსტების წყაროზე გურამ რჩეულიშვილი ირიბად მაინც მიგვანიშნებს: „ნახევრად დანგრეულ შატილს ვინც ნახავს, ეგონება, რომ ბერძენმა ღმერთებმა ოლიმპოს მიტოვების შემდეგ აქ გადმონაცვლეს, ამ პოლისში...“

სხვადასხვა სიმბოლოლოგიური განმარტებით, ირემი მზის, სულის, ჭეშმარიტების ძიებისა და საიდუმლოსთან ზიარების სიმბოლოა. წმინდა წერილის კომენტატორები ღვთის მაძიებელ სულს ხედავენ დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნისეულ მწყურვალე ირემშიც (41:2). ვფიქრობთ, რომ ეს მნიშვნელობა კარგად ესადაგება გურამ რჩეულიშვილის მოთხრობაში არსებულ მითოსურ ინტერტექსტსაც. მონადირეს აკრძალული აქვს ირემზე – სულზე – ნადირობა, კენტავრს კი მისი – სულის – წვდომა შეუძლია მუსიკით. ვფიქრობ, რომ რჩეულიშვილის მხატვრული ინტერპრეტაციით, მონადირე ჩვეულებრივი ადამიანია, რომელსაც ცხოვრებაზე პირდაპირი ზემოქმედება შეუძლია (ააშენოს, დაანგრიოს, მოკლას, განკურნოს), მაგრამ „სულის მოხელეთება“ – არა, კენტავრი კი არის ადამიანი-ხელოვანი, რომელიც სულს სწვდება არა ისრით და შუბით, არამედ ბგერით, ფერით და მხატვრული სიტყვით (მას შეუძლია განაცდევინოს – გაახაროს, აატყუროს, სიბრალული, ან სინანული აღუძრას).

მწერალი ვერ შეცვლის იმას, რაც ცხოვრებაში მისგან დამოუკიდებლად ხდება, მაგრამ მას შეუძლია, მომხდარის განცდაში და ამ განცდილით სულიერ ამალღებაში დაეხმაროს მკითხველს. მისთვის მთავარი ის არის, თუ რას

იგრძნობს „ჩაბურძგნულხასიათიანი“ ცოცხალი „ბათარეკა“ ამ მოთხრობის წაკითხვისას, ისევე ჩაწიხლავს საკუთარი გულის სიღრმეში მიმალულ სიფაქიბებს და ჯიუტად შეეცდება, რომ ყველაფერი, სულიც კი, ძალით დაიმორჩილოს, თუ გაიღვიძებს და მიხვდება, რომ არაფერს, არც ერთ საქმეს დედამიწის ზურგზე ფასი არა აქვს სიყვარულის გარეშე. პავლე მოციქულის თქმით: „ენათა–ღა თუ კაცთასა და ანგელოზთასა ვიტყვოდი, ხოლო სიყვარული არა მაქუნდეს, ვიქმენ მე, ვითარცა რვალი, რომელი ოხრინ, გინა წინწილანი, რომელნი ხმობედ. და მაქუნდეს ღათუ წინაისწარმეტყუელები და უწყოდი ყოველი საიდუმლოი და ყოველი მცნიერებაი, მაქუნდეს ღათუ ყოველივე სარწმუნოებაი, ვიდრე მათათაცა ცვალებადმდე და სიყვარული თუ არა მაქუნდეს, არავე რაი ვარ. შე–ღათუ–ვაჭამო ყოველი მონაგები ჩემი და მივსცნე ხორცი ჩემნი დასაწუველად და სიყვარული არა მაქუნდეს, არარაივე სარგებელ არს ჩემდა“ (1 კორინთ. 13, 1–3).

მოდერნისტული ლიტერატურის ცნობილი მკვლევარი ვიკი მეჰეფი ჯეიმს ჯოისის „ულისეს“ ანალიზისას წერს, რომ გმირის მარცხი, შესაძლოა, მკითხველის გამოცოცხლების საწინდარი გახდეს: „ტექსტის მსგავსად, მკითხველი (ფურცელია), მაგრამ ესაა მთვლემარე, შევსებული, შესწორებადი ფურცელი, რომელსაც სხვების გაღვიძების უნარი შესწევს. მკითხველის ახალი ცხოვრება მაშინ იბადება, როდესაც მას ჯვარზე აკრავენ სხვა მკითხველები, ან ტექსტი, ან კიდევ — დამარცხებული (და არა წარმატებული) გმირი.

მოთხრობაში შეინიშნება პარალელები ბათარეკასა და აქვე მოთხრობილ ლეგენდიულ მონადირეს შორის: „აღუკვეთა მას (მონადირეს) ნადირი...“ | „ვერ ეგუება... ზამთრის უმოქმედობას“ (ბათარეკა); „არაფრის კეთება არ შეეძლო მონადირეს გარდა ნადირის ხოცვისა“ | „ძლივეს მიეჩვია ოჯახს ბათარეკა ჭინჭარაული“; „დადის ახლა (მონადირე), ეძებს ფსიტს, ნიამორს, ჯიხვს... საკმარისია თვალი მოჰკრას ჭიუხის ბოლოში, რომ ისინი გაქრნენ... ჩამოხმა ვაჟი, გაუტყდა სხეული“ | „თავისუფლად დადიან ჭიუხებიდან ქვევით დაწეული ჯიხვები. გმინავს ბათარეკა...“; „მოუვიდა ისევ ნადირი (მონადირეს), აევსო ხორცი, აუყვავდა სული, ამღერდა მისი ბუნება“ | „...ჩათბა სახლში (ბათარეკა), თითქოს დაიღალა და მოეწონა საქალო

საქმე“; „არცერთი წამით არ ავიწყდებოდა (მონადირეს), რომ არ უნდა მოეკლა ხარირემი“ | „არ დატოვა არცერთი კუთხე აუქოთებელ დაულაგებელი და ზემო კოშკში ავიდა მესამე დღეს“; „სხივები ქედის გასწვრივ გაწვნიან და დააბრმავეს თავისი სიმშვენიერით მონადირე“ | „მზიას... ქუთუთოები უფრო გაუბრწყინდა მამის დანახვაზე. გული მოუღობა ბათარეკას და თვალებმა არგამოსამუდავებლად უფრო ავად დაიწყეს ყურება“; „მთის დატეხილ ხერხემალზე ხეობიდან ავარდნილ ხარირემს გამოუდგა (მონადირე), მთელი ღამე სდია გონებაგამავეებულია და დილით მიეწია“ | „ასულის თვალების მოშორებამ თავისი მაგნიტური წრისგან გაუშვა ის (ბათარეკა) და... ბრაზის გადმონთხევის საშუალება მისცა“.

ოჩოპინტრეს მიერ დასჯილ მონადირეს და ზამთრის გამო სახლში ჩაკეტილ ბათარეკას – ორივეს საშინლად აწუხებს ის, რომ ვერ აკეთებენ ჩვეულ საქმეს, ვერ ნადირობენ „ხორცზე“. შეწყალების შემდეგ ნადირთმფარველი სამოქმედო არეალს შეუბღუდავს მონადირეს და ბათარეკაც იძულებით გადაერთვება სახლის საქმეზე, მაგრამ, ბოლოს, ერთს მზის სხივის, მეორეს კი მზიას გაბრწყინებული თვალების დანახვაზე ახსენდებათ, რომ არის რაღაც, მათ საქმეზე უფრო მშვენიერი, მაგრამ მათთვის მიუწვდომელი, და დაბრმავებულები ცდილობენ ამ მიუღწევლის ძალით მოხელთებას – ისეთი რამის მონადირებას, რაც მათ არ შეუძლიათ.

ზღვრის გადალახვის შემდეგ სხვაგვარი ხდება ცხენკაცად ქცეული მონადირე. მას ნადირის მხოლოდ დენვალა შეუძლია, მაგრამ არა მონადირება. ამის გამო ვერმიღწეულის ვნება კიდევ უფრო უძლიერდება, მაგრამ მას ახლა სხვა იარაღი აქვს – არფად ქცეული მკლავი და სიძლერა. მისი ტანჯვა მთავრდება „ამოთქმით“, მაგრამ მაშინვე ახლდება ახალი სიტყვების, ფერებისა და ბგერების ადევნებით.

მოთხრობაში მზიას გამოჩენის წინ ასე გვამზადებს ავტორი: „აღარ არიან ქედების ძირში ნაზი იები, აღარ იკრიფება ქედზე შეფენილი შავშალა ხილი...“ მზია ამ გაცინულ გარემოში ამოსული მარტოსული ყვავილია – ლამაზი და ფაქიზი. ის არის აღსავსე ერთადერთი გრძნობით, რომელსაც „ვერ არქმევს სახელს“, ალბათ, იმიტომ, რომ სახელს არქმევენ საგნებს

და მოვლენებს ერთმანეთისგან განსასახვავებლად, მზიას კი ერთადერთი გრძნობა ჰქონდა, ის ერთ დიდ სიყვარულად აღიქვამდა მთელ სამყაროს და ერთი დიდი სიყვარულით უყვარდა ირგვლივ ყველაფერი. მზია არ არის ფსიქოლოგიურად ჩამოყალიბებული პორტრეტი. იგი სახე-იდეაა, რომელიც გვეხმარება მთავარი პერსონაჟის, ბათარეკას, რთული ხასიათის გახსნაში. რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის, რომ მოთხრობის სათაურია „ბათარეკა ჭინჭარაული“ და არა „მზია“, ან რაიმე სხვა. მზია არის მზე — სითბო და სინათლე, ის არის სიყვარული და სიფაქიზე, რომელიც ჩაკლა თავის თავში ბათარეკამ. ამიტომაც, თუმცა მზია კიბის საფეხურებსაც კი სიყვარულით აღავსებს, ვერ აღბობს მამის გულს.

ავტორს კარგად აქვს დანახული ბათარეკას გაორებული ბუნება. შინაგანად უხეშ თანასოფლელებს საკუთარი სასტიკი ყოფა პრობლემებს არ უქმნის. იგი ტანჯავს მხოლოდ ბათარეკას, რომელიც ბუნებით მგრძნობიარეა, მაგრამ გარემოსთან შეგუებამ, სოფლის წესის მიყოლამ ჩაკლა მასში ყოველგვარი სიფაქიზე და დაუტოვა მხოლოდ მოვალეობის გრძნობა, რომელიც საეჭვო ზნეობრივ კანონებზე იყო აგებული. ბათარეკას გაორებული ბუნების შესახებ ავტორი პირდაპირ ამბობს: „ბუნებით ნაზი, ავაზაკივით უჩემური იყო ხასიათითა და ქცევით ბათარეკა“. მზია კი თავად სიყვარულია, რომელიც გაუხეშებულ გარემოში თავისით კვდება. ჩვენი აზრით, უმართებულო იქნება ამ პერსონაჟის სახის ფსიქონალიზმი, ან მისი ქმედების მორალური განსჯა.

ბათარეკას საყვედური მზიასადმი, „სოფლის“ თვალთახედვით, ლოგიკურია, რადგან აბლაბუდები რეალურია, მაგრამ არსებობს უფრო მაღალი, ზეადამიანური ლოგიკაც, რომლისთვისაც გულის სითბო უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გამოყვანილი ტყავი, გარჩეული სისხლის საქმეები და ჩამოწმენდილი ჭერი. ეს ლოგიკა მისაწვდომია მხოლოდ იმათთვის, ვინც ეს „უკეთესი ნაწილი გამოირჩია“ (ლუკა 10, 42). მზია ამ ლოგიკით არის მართალი. იგი ყველაზე ძვირფას თესლს – სიყვარულს თესავს და მისი თვალეები იმდენად არის სავესე ამ გრძნობით, რომ აბლაბუდებს ვერც კი ამჩნევს.

მზია სრულიად განსხვავდება უსიყვარულო მოვალეობებით შეკრული

იმ საზოგადოებისაგან, რომელიც მას გარს აკრავს. „თითქოს არ იცნობს მზია სოფლის მცხოვრებლებს, თავისი დედ-მამაც კი არ იცის როგორია...“ სამყაროში, რომელსაც იგი ხედავს, ყველაფერი ერთმანეთშია არეული: „კაცები, კოშკები, საქონელი, შუღლი და თვითონ“. კაცები ამ საზოგადოების დომინანტური ძალაა, კოშკები – მათი მოსაწყენი ცხოვრების ასპარეზი, საქონელი – სისხლის გამოსასყიდი, შუღლი კი – ცხოვრების წესი. მზია თითქოს გაურბის ამ ყველაფერს და ცდილობს თავი შეაფაროს უზარმაზარ ცხვრის ქურქს.

ბათარეკასა და მზიას სახეები პირველად გაჩნდა დაუმთავრებელ რომანში სათაურით „საიდან მოვდივარ, საით მივდივარ, რა მინდა“. მასში გვხვდება რემდენიმე მოთხრობის: „ბათარეკა ჭინჭარაული“, „ნათელა“ და „დევების ცეკვა“ ელემენტები. ავტოგრაფის პირველსავე აბზაცში რომანის მთავარი პერსონაჟის, ავტორის ალტერ ეგოს – თბილისიდან ხევსურეთს ჩასული 25 წლის გურამის – შესახებ ვკითხულობთ: „...აღზნებული იდგა მთის წვერზე. ქვევიდან ამოდინდნენ რძისფერი ნისლეები... ფარავდნენ ყველაფერს, მხოლოდ მის გარშემო ჭაუხის დაკიდებული ფერდები იდგნენ შიშველი, შავი... ის მაგრად გაეხვია თეთრ ცხვრის ქურქში და გაირინდა... ჯანდი მოედო აქამდე შიშველ ქედებსაც... ნეტარი უსურვილობა დაეუფლა ყველაფერს... გაუქრა ყოველგვარი ნდომა... დაეკარგა ყოველგვარი შეგრძნებები, გარდა ამქვეყნიური, თუ ზედმეტად მიწიერი ნეტარებისა...“ ეს იმდენად სუფთა განცდაა, რომ ავტორი მას დედის ძუძუს დაწაფებული ჩვილის განცხრომას ადარებს.

მწვერვალზე მდგომი, ცხვრის ქურქში გახვეული ეს ყმაწვილი ჯერ შავ-თეთრი ფერების, შემდეგ კი შავის სრული ბატონობის ფონზე ისევე გამოიყურება, როგორც ბათარეკას ასული მზია: „დაუსრულებლივ დევს თოვლი... ზის კოშკის ზემოთა მუხლში ქურქების შუაში ჩამჯდარი მზია... ვიწრო სარკმლიდან იყურება დღე, როცა ფიფქები ჩანან, ღამე, როცა თოვლიც კი შავდება... სიმარტოვისაგან განსაკუთრებით კარგად გრძნობს მზიას სხეული, რომ ის უნაკლოა, ამ შეგრძნების მუდმივი თანხლება, სხვისი ყოფნის უსურვილობის ზღვრამდე, კარგსა ხდის მას... მხოლოდ უზარმაზარი

ცხვრის ქურქი, რომელშიაც ის გახვეულა, ეალერსება მის სხეულს...“

დაუმთავრებელი მოთხრობის სიუჟეტის მიხედვით, ხევსურეთში ჩასული გურამი შემთხვევით უნდა შეხვედროდა მზიას. შავი ავტოგრაფებიდან მოთხრობის საბოლოო ვერსიამდე მომხდარი უამრავი ცვლილების მიუხედავად, ცალკეული კონკრეტული სახეების შენარჩუნება და გადატანა ტექსტის საბოლოო ვარიანტში, მათ განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე უნდა მიგვანიშნებდეს. შავი გარემოს ფონზე თეთრი ცხვრის ქურქი ერთ-ერთი ასეთი დეტალია. ეს ის მიკროსამყაროა, რომელიც ვნებებს აცხრობს და უსურვილობის ნეტარება მოაქვს. დაუმთავრებელი რომანის ერთ მონაკვეთში პირდაპირ არის თქმული: „დიდი ცხვრის ქურქი, რომელშიაც მაგრა გახვეულა გურამი, იცავს მას გარე სამყაროს ზედმეტი შეგრძნებისგან და სასიამოვნო ჰარმონიასა ქმნის“.

ამ ორი ეპიზოდის შედარება სხვა მხრივაც არის საინტერესო. მათი მსგავსება მიგვანიშნებს, რომ მზიას სახეში მწერალმა საკუთარი განცდებიც განასხეულა, მაგრამ, თუ გურამს მალე კვლავ უჩნდება მიუწვდომლისკენ სწრაფვის ჟინი, მზია მუდმივად იმ ქურქში რჩება. იგი თავის სურვილებს ვერც სიტყვად და ვერც საქმედ ვერ აქცევს, მხოლოდ „მატყლში ჩარგული ტუჩებით ასუნთქებს ტყავსაბანს“. მართალია, მზიას სამყარო ბოლომდე თვითკმარი არ არის, ის ელოდება რაღაცას თუ ვიღაცას, მაგრამ არა ცვლილებას, არამედ გაგრძელებას, გავრცობას. ელოდება მისნაირს, რადგან რაიმე უცხოთ, მაგალითად, გარემომცველი შურის, მტრობის, მრისხანების თუნდაც მცირე დოზით მიღების შემთხვევაში, მზია უკვე აღარ იქნება ის, ვინც არის — „შეურენელი“ სიყვარული. კერპ-აგრესიული გარემო ყველგან შეღწევას ცდილობს. ამიტომ მზია მართლაც დგება სულიერი „არადქცევის“ საშიშროების წინაშე, რისი ალტერნატივაც ხდება მისი ფიზიკური სიკვდილი.

მწერლის დის, მარინე რჩეულიშვილის, კომენტარებიდან ვიგებთ, რომ სახელი „მზია“ უკავშირდება გურამ რჩეულიშვილის პირველ სიყვარულს, მაგრამ, რამდენადაც მოთხრობაში ხდება ბათარეკას ასულის ოთხი სახელის კონცეპტუალური დაპირისპირება, ვფიქრობთ, რომ ამ, პირადული მოტივით გაკეთებულ, არჩევანში მწერალი განზოგადებულ ინტერპრეტაციასაც დებს.

მზიას სახე უკავშირდება მზეს, ნათელს. მისი მსგავსია მოთხრობა „ნათელას“ მთავარი გმირი, რომელსაც მზიას ნაცვლად ჰქვია მსგავსი კონცეპტის შემცველი სახელი „ნათელა“. ჩვენი აზრით, საესეებით შესაძლებელია, რომ არა მხოლოდ „მზია“, „ნათელაც“ კი იმ რეალურ პიროვნებას უკავშირდებოდეს, ვისშიაც მწერალი ხედავდა სულიერი ნათლის განსახოვნებას, მაგრამ მხატვრული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ამ სახელთა სემანტიკური რაობაც.

მხატვრულ ნაწარმოებებში ხშირად ირეკლება ავტორის ბიოგრაფიული ეპიზოდები და მწერლებს თავიანთი თავი პერსონაჟის სახითაც შემოჰყავთ. განსაკუთრებით ბევრი აქვთ საერთო თავიანთ გმირებთან გურამ რჩელიშვილსა და ნოდარ დუმბაძეს. ბავშვობის მოგონებებია ასახული ილია ჭავჭავაძის მოთხრობის „ნიკოლოზ ვოსტაშაბიშვილი“ წინასიტყვაობაში.

თხზულების შექმნის შთაგონება შეიძლება გამოიწვიოს ხელოვნების სხვა დარგების ქმნილებამაც: ფერწერულმა ტილომ, მუსიკალურმა ნაწარმოებმა და ფილმმა და სხვ. მაგალითად, გურამ რჩელიშვილის პიესის „კა და კო“ შექმნის მოტივი გახდა პოლ გოგენის ფერწერული ტილო „მამ შენ ეჭვიანობ?“ პიესის პერსონაჟები ამ ფერწერული ტილოდან გადავიდნენ მწერლის თხზულებაში.

ლექსის „გეტერა“ წერისას გალაკტიონს, როგორც ჩანს, თვალწინ ედგა გეტერა ფრინას თემაზე შექმნილი ორი ფერწერული ტილო და ერთი ქანდაკება. დასაწყისში, სადაც ნათქვამია: „დღეს ლხინს ეძლევა ქსანტე გეტერა“ (ქსანტე ოქროსფერს ნიშნავს) – პოლონელი მხატვრის ჰენრიხ სემირადსკის ტილო ფრინა პოსეიდონის დღესასწაულზე ელევსინში („ველური ცეკვა, თასთა წკრიალი, / მოწყენილ კაცთა ხარხარი მწარე“; „და თრთის მხიარულ დღის მოლოდინში / გაშიშვლებული გეტერას ტანი“).

გადმოცემის მიხედვით, ძვ. წ. მე-4 საუკუნეში ჰეტერა ფრინა ელევსინში გამართულ პოსეიდონის დღესასწაულზე საკუთარი სრულყოფილი სილამაზის წარმოსაჩენად მდღესასწაულეთა წინაშე სრულიად გამოშვლდა. ლექსის მეორე ნაწილში ვკითხულობთ: „უეცრად ვიდაც სტუმართაგანმა / ფანჯარას ფარდა გადააცალა... / გააცხოველა და გაანათა / გაშიშვლებული გეტერას ტანი, / გარინდდა ამ დროს მთელი დარბაზი, / არ ზის არც ერთი

სტუმართაგანი“. აქ უკვე, სავარაუდოდ, მწერლის წარმოსახვაში ჩნდება ფრანგი მხატვრის ჟან ლეონ ჟერომის ფერწერული ტილო „ფრინა არეოპაგის წინაშე“. გეტერა ფრინა, რომლის მიხედვითაც შეიქმნა ვენერას ქანდაკება, განსასჯელად წარადგინეს არეოპაგის წინაშე. მისმა დამცველმა, პლატონის მოწაფემ, ცნობილმა ორატორმა ჰიპერიდმა, როცა შენიშნა, რომ მისი სიტყვები მსაჯულებზე გავლენას ვერ ახდენდა, მოხადა ფრინას მოსასხამი და გააშიშვლა არეოპაგის წინაშე. რამდენადაც ბერძნებს სწამდათ სულისა და ხორცის ჰარმონია, მიიჩნიეს, რომ ისეთი სრულყოფილი აგებულების მქონე ადამიანი, როგორც ფრინა იყო, მკრეხელი ვერ იქნებოდა და გაამართლეს.

ლექსის ბოლოს თითქოს ცოცხლდება ძვ. წ. მე-4 ს. ბერძენი მოქანდაკის, პრაქსიტელის, სკულპტურა – კნიდის ვენერა: „იმგვარად თეთრი, ვით მარმარილო, / თრთოდა, ტოკავდა ძლიერი მკერდი, / როცა იქავე მდგომმა მხატვარმა / ურცხვ ქალს შესძახა: „ქსანტე, შეჩერდი! / სთქვა მოქანდაკემ... მაშინვე მიწა / გადაურია, დასწნა, დაგრიხა, / და წუთის უმაღ უკვდავ ქანდაკად / გადააქცია უბრალო თიხა“.

როგორც ვხედავთ, თხზულების შექმნის შემოქმედებითი იმპულსი მწერალში შეიძლება აღძრას როგორც ზეპირმა გადმოცემამ, ისე ცხოვრებისეულმა ფაქტმა, წერილობითი წყაროდან ამოკითხულმა ინფორმაციამ, ხელოვნების ნაწარმოებმა და სხვ. თითოეული მათგანი თავისებურ დასაბამს აძლევს თხზულებაზე მუშაობის შემოქმედებით პროცესს და, შესაბამისად, მათი ანალიზი ძალზე მნიშვნელოვანია.

მოთხრობის შემოქმედებითი ისტორია

ჩანაფიქრის პირველსახე

ილია ჭავჭავაძის პროზაზე დაკვირვების შედეგად ირკვევა, რომ მოთხრობათა ისეთი ელემენტები, როგორიცაა თემა, სიუჟეტი, გმირთა სახეები და სათაური, არა ერთბაშად, არამედ თანდათანობით და ზოგჯერ დროის საკმაოდ დიდ ინტერვალში ყალიბდებოდა. ამის გამო საჭიროა განისაზღვროს,

რა უნდა მივიჩნიოთ მისი მოთხრობების შემოქმედებითი ისტორიის სათავედ — ნაწარმოების შექმნის იდეის ჩასახვა, ის ეტაპი, რომელზეც გაჩნდა გმირთა სახეების პირველი ვარიანტები, სიუჟეტის საბოლოო ვერსიის ჩამოყალიბების დრო თუ სათაურის შერჩევა. ამ პროცესის შესასწავლად და დასკვნების გასაკეთებლად განსაკუთრებით მრავლისმომცემი აღმოჩნდა დაკვირვება მწერლის შემოქმედებითი მოღვაწეობის ბოლო პერიოდის ორ მოთხრობაზე — „სარჩობელაზედ“ და „ოთარაანთ ქვრივი“.

მოთხრობა „სარჩობელაზედ“ ილიამ 1879 წელს დაწერა, მაგრამ ამ ნაწარმოების გმირთა სახეების პირველ მონახაზებს ვხვდებით ბევრად უფრო ადრე — 50-იან წლებში დაწყებული მოთხრობა „დიამბეგობის“ ვარიანტებში. განსაკუთრებულ სიახლოვეს თხზულების ტექსტთან ავლენს ხსენებული დაუმთავრებელი მოთხრობის გვიანდელი ვარიანტი, რომელიც განსხვავებულ სათაურს ატარებს — „მარგალიტი ლექში“. ამ ტექსტში, რომელიც ორიოდ ფურცლის მოცულობისაა, წარმოდგენილია ჩვენთვის საინტერესო სამივე მთავარი გმირი: — ბეჟანი, მისი ძმა და მოხუცი მეურმე. ამასთანავე, მკაფიოდ მოჩანს მათი ხასიათების ძირითადი შტრიხებიც.

ავტოგრაფული ნაწყვეტების მიხედვით, ბეჟანი ისეთივე მლიქვნელი, გაიძვერა და დაუნდობელია, როგორც მოთხრობის „სარჩობელაზედ“ მთავარი გმირი, მისი ძმა კი, რომელსაც ნაწყვეტში მათე ჰქვია, მოთხრობის გმირის მსგავსად, თავისი ძმის გავლენას განიცდის და მასზე დამოკიდებულია. ასეთივე მსგავსება შეიმჩნევა აქ აღწერილ მოხუც მეურმესა და მოთხრობის გმირ პეტრეს შორისაც. შესაბამისად, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ სამივე გმირის სახე ხსენებული დაუმთავრებელი მოთხრობის ვარიანტებიდან იღებს სათავეს.

რაც შეეხება მოთხრობის „სარჩობელაზედ“ სიუჟეტის ცალკეული დეტალების მსგავსებას, მაგალითად, ბეჟანისა და მისი ძმის აზნაურული წარმომავლობა, მათთვის მამულების წართმევა, თუქურმისაზე კანტანისტებად მიბარება, იქიდან გამოქცევა, ქალაქისკენ მიმავალი ქარავნის შეხვედრა და მოხუცი მეურმის გაძარცვა ღამით — ყოველივე ესეც გვხვდება დაუმთავრებელი მოთხრობის იმავე ვარიანტში — „მარგალიტი ლექში“,

მაგრამ ამ ტექსტის II თავიდან ბეჟან კალმახიძის თავგადასავალი სხვაგვარად ვითარდება და მისი სახე მოთხრობისაგან „სარჩობელაზედ“ სრულიად განსხვავებული ფაბულისა და სიუჟეტის ფონზე იშლება. იმის გამო, რომ „დიამბეგობის“ ეს ვარიანტიც, ისევე როგორც ყველა სხვა, ჩაფიქრებული მოთხრობის დასაწყისის დაწერის ცდას წარმოადგენს და მოცულობით 2 ფურცელს არ აღემატება, ძნელი დასაბუხსტებელია, როგორ აპირებდა ავტორი სიუჟეტის შემდგომ განვითარებას და როგორი იქნებოდა ეპილოგი. ასეთ ვითარებაში ერთადერთი რამ, რაზედაც ორიენტაციის აღება შეიძლება, არის სათაური.

სათაური „დიამბეგობა“ უნდა მიგვანიშნებდეს, რომ 50-იანი წლების მეორე ნახევარში, ანუ ხსენებულ მოთხრობაზე მუშაობის დაწყების პირველ ეტაპზე, მწერალს ჩაფიქრებული უნდა ჰქონოდა არა მხოლოდ ერთი კონკრეტული დიამბეგის — ბეჟან კალმახიძის ცხოვრების ასახვა, არამედ ამ თანამდებობაზე მომსახურეთა გაიძვერობის, მლიქვნელობისა და მექრთამეობის გამომავალზე. დიამბეგობისადმი ილიას დამოკიდებულების გასაანალიზებლად უნდა გავიხსენოთ 1857 წელს დაწერილი მისი ლექსი „ხმა სამარიდამ“, რომელშიც გარდაცვლილი დიამბეგი თითქოს სამარიდან გვაწვდის ხმას და გვესაუბრება თავისი ცხოვრების შესახებ: „სამართალს ფულითა ვსჭრიდი, / გროშისათვის კაცს გავყიდდი, / თვით ძმას ორმოს გავუთხრიდი / და ჩემს ჯიბეს ნელ–ნელ ვზრდიდი... ჩემი ჯიბე ვტენე, ვტენე, / ისე მოვკვდი, ვერ გავტენე“ და სხვ. ასევე საინტერესოა შემორჩენილი პატარა ფრაგმენტი უსათაურო და დაუმუშავებელი ლექსისა: „დიამბეგის შვილს ნანა, პატარა დიამბიკოს, / გაიზდება დედ–მამის სალხენად, სადიდებლად; / ვით მამა ქრთამს იღებდა, შვილმაც რომ ისე იღოს...“ და 1858 წელს მიწერილი ბარათი თავისი ნათესავის – ნენე ჭავჭავაძე–ანდრონიკაშვილისადმი, რომელშიც დიამბეგს „ჯიბის მეგობარს“ უწოდებს.

რა კავშირი შეიძლება ჰქონდეს ამ სათაურს იმავე „დიამბეგობის“ ერთ–ერთ ვარიანტად აღიარებული ნაწყვეტის სათაურთან „მარგალიტი ლექში“? დიამბეგობა, „სტოლონაჩალნიკობა“, „სოვეტნიკობა“, თუ „პრისტავობა“ ის ლექია, რომელიც თავისკენ იზიდავს და ცხოვრების ფსკერისკენ ითრევს

გარშემო მყოფთ. ამიტომ სათაურის ცვლილება გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს. ერთადერთი რამ, რაც ამ სათაურიდან ამოუცნობია, ესაა, თუ ვის გულისხმობდა მწერალი „მარგალიტი“.

ბეჟანის სახე ავტორს ისე აქვს წარმოჩენილი, რომ მისი შედარება ლექში ჩაფლულ მარგალიტთან ყოვლად შეუძლებელია. მართალია, იგი ქალაქში ჩასვლის შემდეგ თანდათან უფრო გაქნილი და გაიძვერა გახდა, მაგრამ, როგორც ნაწყვეტში „მარგალიტი ლექში“ არის ნათქვამი, „უიმისოდაც ეშმაკი იყო“. თუ გადავხედავთ ილიას სხვა მოთხრობებს, ვნახავთ, რომ ისეთი გმირები, როგორებიცაა თამრო „გლახის ნაამბობში“, არჩილი და კესო „ოთარაანთ ქვრივში“, რომელთა გარემოც არ შეიკვრებოდა ამ ნაწარმოებების სიუჟეტური კვანძები, ავტორს დასაწყისშივე კი არ შემოჰყავს, არამედ ერთგან VII და მეორეგან – IX თავიდან. შესაბამისად, სავსებით დასაშვებია, რომ სუფთა და უმანკო, მარგალიტთან შედარებული უცნობი გმირიც „მარგალიტი ლექში“ პირველსავე ფურცლებზე არ გამოჩენილიყო. ჩვენ მიერ განხილულ ნაწყვეტში აღწერილია მხოლოდ ლექი, რომელშიაც, ალბათ, უნდა ჩაფლულიყო ეს მარგალიტი, მაგრამ თვით მარგალიტი არ ჩანს.

იმისათვის, რომ უცნობ დადებით გმირს მივაგნოთ, ჩვენი აზრით, საჭიროა თვალის გადავავლოთ მეცნიერთა მიერ ნო-იანი წლების დასაწყისით დათარიღებულ დაუმთავრებელ მოთხრობებს, რომელთაგან ორი პატარა ნაწყვეტი შემორჩენილია ცალკე რვეულში ჩაწერილი ავტოგრაფული ხელნაწერების სახით და ავტორის მიერ გარეკანზე გაკეთებული აქვს წარწერა „ზოგიერთი ხანა მოთხრობისა „მარგალიტი ლექში“. ერთ მათგანში მოცემულია ქალ-ვაჟის საუბარი სხვადასხვა ცხოვრებისეულ საკითხზე, მეორეში კი აღწერილია პატარა ეპიზოდი ინსტიტუტდამთავრებული ახალგაზრდა ქალის ღარიბული ცხოვრებიდან. არც ერთი ნაწყვეტის არც სიუჟეტურ მონახაზს და არც გმირთა სახეებს არავითარი საერთო არა აქვს „დიაბეგობის“ ზემოთ განხილულ ვარიანტთან, მაგრამ დღემდე შეუსწავლელია, თუ რატომ აქვთ მათ ერთნაირი სათაური – „მარგალიტი ლექში“.

სხენებულ ხელნაწერ რვეულში შეტანილი ორი ნაწყვეტის დაწვრილებით

შესწავლის შედეგად მივედით იმ დასკვნამდე, რომ ისინი არის მწერლის მიერ ჩაფიქრებული ერთი თემის და, შესაძლოა, ერთი სიუჟეტის ხორცშესხმის ცდები. მათი შინაარსების შეპირისპირება-შეჯერების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ მწერალს გადაწყვეტილი ჰქონდა, აღწერა ახალგაზრდა, უმანკო ქალის ცხოვრება, ქალისა, რომელიც მშობლების ძალდატანებით ცოლად უნდა გაჰყოლოდა მდიდარ, მაგრამ უღირს ჩინოსანს და ჩაფლულიყო მის ირგვლივ გაბატონებული მანკიერი ცხოვრების დამღუპველ ლექში.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სათაურით „მარგალიტი ლექში“ არსებულ ნაწყვეტთაგან ერთში („დიამბეგობის“ ვარიანტი) აღწერილი გარემო სავსებით შეეფერება ცხოვრებისეულ ლექს, მეორეში (ზემოხსენებული ავტოგრაფი №143) წარმოჩენილი უმანკი გმირი კი — მარგალიტს, შესაძლოა, ვივარაუდოთ, რომ შემოქმედებითი მოღვაწეობის გარკვეულ საფეხურზე მწერალს ეს ნაწყვეტები ჩაფიქრებული ჰქონდა ერთი მოთხრობის ნაწილებად, სათაურით „მარგალიტი ლექში“. ამ თხზულებას დასრულებული სახე რომ მიეღო, მასში, ალბათ, აღწერილი იქნებოდა იმდროინდელ საზოგადოებაში გამეფებული მექრთამეობა, მლიქვნელობა, კარიერიზმი, მუქთამჭამელობა და სიხარბე, რაც ღუპავდა არა მხოლოდ ამ მანკიერებებით შეპყრობილთ, არამედ ხშირად მათ გვერდით აღმოჩენილ კეთილშობილ, უმანკო ადამიანებსაც. შეიძლება ამ ჩანაფიქრის მიხედვით, „გლახის ნაამბობისა“ და „ოთარაანთ ქვრივის“ მსგავსად, მოთხრობაში რამდენიმე თავის შემდეგ გადაკვეთილიყო ბეჟან კალმახიძისა და კატოს გზები, რაც ამ უკანასკნელის ტრაგედიით დამთავრდებოდა. ასეთ შემთხვევაში, ნაწარმოებში თავს მოიყრიდა, ერთი მხრივ, „დიამბეგობის“ ვარიანტების და, მეორე მხრივ, ნაწყვეტების „მარგალიტი ლექში“ გმირები და მათი ცხოვრების ამსახველი ეპიზოდები.

№143 ხელნაწერის ერთი ტექსტი იმდენად ახლოსაა „კატოს“ სათაურით შემონახულ სხვა ტექსტთან (№144), რომ მათი ერთმანეთთან კავშირი ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ჩვენი გაკვირვება არ უნდა გამოიწვიოს სათაურთა სიმრავლემ. არც ის ფაქტი, რომ ილია ავტოგრაფებში ხშირად ცვლიდა სათაურებს და არც ის, რომ საბოლოო ვარიანტში არც ერთი მათგანი („დიამბეგობა“,

„მარგალიტი ლექში“, „კატო“) აღარ გამოუყენებია, უპრეცედენტო არ არის მისი შემოქმედებისათვის. „კაცია — ადამიანის?!“, „გლახის ნაამბობისა“ და „ოთარაანთ ქვრივის“ პირველ ვარიანტებს განსხვავებული სათაურები ჰქონდა. როდესაც მუშაობის პროცესში ნაწარმოები არსებით ცვლილებებს განიცდიდა, მწერალი აუცილებლად ცვლიდა ხოლმე სათაურსაც, რომ იგი მოთხრობის ახალი ვარიანტისათვის უფრო მორგებული და შესაფერისი ყოფილიყო. იგივე შეიძლება ითქვას სიუჟეტური დეტალების შეცვლის შესახებაც. ნაწყვეტ „კატოს“ ძირითად ვარიანტად აღიარებულ ტექსტში (ავტოგრაფი №143) მოხუცი ქალი კატოს დედაა, ამ ნაწყვეტთან საკმაოდ ახლოს მდგომ მეორე ესკიზში (№144) კი — ბებია; დაუმთავრებელი მოთხრობა „კოლას“ მიხედვით, ლუარსაბ თათქარიძეს ვაჟი ჰყავდა, „კაცია — ადამიანში?!“ კი იგი ბოლომდე უშვილო დარჩა. წერის პროცესში ზემოთ წარმოჩენილის მსგავსი ცვლილებები ილია ჭავჭავაძისთვის საკმაოდ ჩვეული მოვლენა იყო და მათში ყველაზე უკეთ ჩანს შემოქმედებითი ძიების პროცესი.

შესწავლილი მასალის საფუძველზე მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ 60-იანი წლების დასაწყისში ახალი ნაწარმოებისთვის ილიას მოფიქრებული ჰქონდა გმირთა სახეები და გაკეთებული ჰქონდა სიუჟეტის მცირე მონაკვეთის მონახაზი, რაც შემდგომ გამოიყენა მოთხრობაში „სარჩობელაზედ“. შემოქმედებითი მუშაობის ადრეულ ეტაპზე, როგორც ჩანს, ფაბულა სხვაგვარად ჰქონდა გააზრებული. 1863 წელს ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ, სახელმწიფო სამსახურის დაწყების გამო, ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მოღვაწეობისთვის ნაკლები დრო რჩებოდა. ამის გამო მან დიდი ხნით შეწყვიტა მოთხრობებზე მუშაობა და ზემოთ განხილულ ჩანაწერებსაც მხოლოდ 1879 წელს მიუბრუნდა. ამ ეტაპზე, როგორც ჩანს, ნაწარმოების აქცენტები შეიცვალა, საზოგადოების ცალკეული ფენების, წოდებებისა და პიროვნებების ნაკლოვანებათა მიღმა თანდათან უფრო გამოიკვეთა საზოგადო მანკიერებანი — ის, რაც არც მხოლოდ დიამბევს ახასიათებს და არც მხოლოდ ფუქსავატ თავადიშვილს, არამედ მეტნაკლებად საზოგადო ჭირია. ეს გახლდათ საზოგადოების გულგრილობა, ერთმანეთისადმი გაუცხოება, გათითოვაცება და ეგოიზმი.

შეცვლილი აქცენტები

1877 წელს სტატილაში „სოფლის უფროსის არჩევანი“ ილია წერდა: „გულგრილები ვართ სხვისი უბედურების დანახვამდე, სხვისი ჭირი ჩვენს საკუთარ ჭირად არ მიგვაჩნია, დავიწყებული გვაქვს ურთიერთობის კავშირი, იმასა სცემენ — მე ხომ არაო, ვიძახით და ამით ვინუგეშებთ ჩვენს გაქსუებულს თავსა“. 1878 წელს მან თარგმნა ამერიკელი ავტორის, ჯორჯ ლეთროპის, ნოველა „უბინაო კაცი ნუიორკში“. ამ თხზულების მთავარ გმირს ნაწარმოების ბოლოს მოსვენებას უკარგავს მაცხოვრის მიერ მისი მოწაფეების სამხილებლად თქმული სიტყვების გახსენება: „ესოდენ ვერ უძლეთ ჟამ ერთ მღვიძარებად ჩემთანა“, იმის გამო, რომ დაკარგა სულიერი მღვიძარება და კარზე მომდგარი მოყვასი უნუგეშოდ გაისტუმრა. ამ ნოველის ქართულად თარგმნით მწერალი ცდილობდა ერთ-ერთი უპირველესი ადამიანური მოვალეობის — მოყვასის სიყვარულის მიძინებული გრძნობა გაეღვიძებინა თანამემამულეთა გულებში და სხვისი გასაჭირი საკუთარივით განეცდევინებინა მათთვის.

სამოგადოებაში, რომელშიც ყველა მხოლოდ თავის თავსა და საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობს, მოყვასის ცნება კარგავს თავის აზრს. თუ უბედურება მას, ან მისი ოჯახის წევრებს არ ეხება, სხვისი ჭირი არავის ანაღვლებს. ასეთ სამოგადოებაში ადამიანის ბედი დაუცველია და კაცი იოლად იღუპება, რადგან, ვიდრე ფეხზეა, მხარში არავინ უდგას, დაეცემა და, დასაღუბად განწირულს, წამოდგომაში არავინ შევლის. ასეთ გულგრილ სამოგადოებაში კანონიც დაუნდობელია და ადამიანის სიცოცხლეს ისიც იოლად იმეტებს. 70-იანი წლების მეორე ნახევარში ილიას მიერ თარგმნილ სხვა თხზულებებსაც რომ გადავხედოთ, აშკარად შევნიშნავთ, რომ მწერლის განსაკუთრებულ დაინტერესებას იწვევდა მართლმსაჯულების საკითხები. ამ თემას ეხმიანება 1879 წელს, მოთხრობის „სარჩობელაზედ“ გამოქვეყნების შემდეგ, ჟურნალ „ივერიაში“ ბედიზედ დაბეჭდილი თარგმანები „იბა“ და „ერთი უბედურთაგანი“. ბუვიესა და ჟიულ კლარეტის ამ რომანებში კარგად ჩანს, რომ მართლმსაჯულება ყოველთვის არ არის სამართლიანი. გამომძიებელი,

მოსამართლე და ნაფიცი მსაჯულებიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან. ისინიც შეიძლება იყვნენ მიკერძოებულები და უსამართლონი, ან, უბრალოდ, ცდებოდნენ. ამიტომ ისეთი განაჩენის გამოტანა, როგორცაა სიკვდილით დასჯა, შესაძლოა, გამოუსწორებელ შეცდომად იქცეს. ასეთი შეცდომის მსხვერპლი გახდა რომან „ერთი უბედურთაგანის“ მთავარი გმირი — სრულიად უდანაშაულო კაცი ნოელ რამბერი. ილიას, როგორც მთარგმნელს, ამ გმირის ბედისწერა, ალბათ, განსაკუთრებით აწუხებდა იმდენად, რამდენადც მსგავსი უბედური შემთხვევები არაერთი იქნებოდა მისი ქვეყნის რეალურ სინამდვილეშიც.

ილია, როგორც იურისტი, კარგად ხედავდა სასამართლოს მოხელეთა განუკითხაობასა და უსამართლობას, როგორც გულმხურვალე მამულიშვილი, უკიდურესად განიცდიდა იმპერიული მართლმსაჯულების გამორჩეულ სისასტიკეს მისი თანამემამულეების მიმართ და, ბოლოს, როგორც ჰუმანისტი — წინააღმდეგი იყო სიკვდილით დასჯისა, რადგან ხელყოფა იმისა, რისი მინიჭებაც არ შეგიძლია, უზნეობად მიაჩნდა, კაცის კვლისთვის თვალის შეჩვევა და სისხლისღვრასთან შეგუება კი — „ადამიანურ გრძნობათა დამაჩლუნგებლად“.

ყოველივე ამის გამო, 1879 წელს, როდესაც მან შემოქმედებითი მოღვაწეობა განაახლა, შეცვალა 50-იანი და 60-იანი წლების გასაყარზე დაწყებული მოთხრობის თემაც და სიუჟეტიც, წინა პლანზე წამოწია ადამიანის სიკვდილით დასჯის შემადრწუნებელი სცენა და განსაკუთრებული სიმძაფრით წარმოაჩინა ბრბოდ ქცეული საზოგადოების გულგრილობა. ცვლილებათა შედეგად ახლებურად გაიშალა ოცი წლით ადრე ჩაფიქრებული გმირთა სახეები და, შესაბამისად, გამოიცვალა სათაურიც. მოთხრობის საბოლოო ვერსიას ეწოდა „სარჩობელაზმე“.

ეპიზოდის შედარებითი ანალიზი

70-იანი წლების მიწურულს ილია ჭავჭავაძე, როგორც აღვნიშნეთ, კვლავ მიუბრუნდა დაუმთავრებელი ნაწყვეტების გმირთა სახეებს და ამ

პერსონაჟებისა და ტექსტობრივი მასალის ნაწილის გამოყენებით შექმნა არსებითად ახალი ნაწარმოები, განსხვავებული ფაბულითა და სიუჟეტით.

ნაწყვეტიდან „მარგალიტი ლექში“ მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ გამოყენებულია ერთი ფურცლის მოცულობის ეპიზოდი, რის გამოც ბუჟანისა და მისი ძმის ცხოვრების პირველ ეტაპს, რომელიც ადრეული ჩანაწერების ამ მონაკვეთში იყო აღწერილი, მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განუცდია.

ამის შემდეგ დაუმთავრებელ ავტოგრაფში მოთხრობილია ძმები კალმახიძეების წარმომავლობა, რომლის შინაარსიც ესადაგება მოთხრობის „სარჩობელაზედ“ ბოლოს უმცროსი ძმის ბარათის შინაარსს, მაგრამ მათ შორის, სტილისტურის გარდა, რამდენიმე შინაარსობრივი განსხვავებაცაა. ნაწყვეტის მიხედვით, „ამათ დედ-მამას დიდი ხანია ჭირი წაელო და ესენი კი ობლად დარჩომილიყვენ მეტად მცირეწლოვანები“, ბუჟანის უმცროსი ძმის ბარათში კი წერია: „მამა-ჩვენი ერთი ღარიბი აზნაურიშვილი იყო. როცა მოკვდა, ჩვენ ორი ძმანი პატარები დავრჩით. დედა მალე გავვითხოვდა“.

დაუმთავრებელი ავტოგრაფის მიხედვით, „ქვეყანაზედ ამათ აღარავინ ეგულებოდათ ერთი ბიძის მეტი, რომელსაც იმდენი მზრუნველობა გაეწია, რომ კანტანისტებად მიუბარებია, რომ თავილამ მოიშოროს და ცოტაოდენი მამული კი, რომელიც ამ ობლებს წილად უნდა რგებოდა, ის კი პატრონისათვის ჩაუბარებია, ესე იგი, წაურთმევი და გაუყიდნია“, ბარათში კი ვკითხულობთ: „რაც მამისაგან დედულ-მამული გვექონდა, - ცოტა, მაგრამ იმოდენა, რომ ტკბილის ლუკმის ილაჯი გვექნებოდა - სულ მამინაცვალმა წაგვართვა, დაგვიყიდა, მიცვალ-მოცვალა და ჩვენ ცარიელზედ დაგვსვა“. მოთხრობის ამ ადგილას უფრო დაწვრილებით არის აღწერილი ყმაწვილების აუტანელი ცხოვრება მამისეულ სახლში — ცემა-ტყეპა და შიმშილი. ამის შემდეგ ორივეგან არის აღწერილი თუქურმიზადან გამოქცევა.

ნაწყვეტის მიხედვით, ძმები გამოქცევის შემდეგ პირდაპირ მეურმეებს ხვდებიან, სახლში შეუვლელად, რადგან, მწერლის თქმით, „დაავიწყდათ კიდევ, რომ ამათ ბიძა ჰყავთ“. მოთხრობაში კი ძმები პირველად თავიანთ სახლში გაივლიან და, იქიდან გამოგდებულები, შეხვდებიან ურმის ქარავანს: „შევიარეთ ჩვენს სოფელში, ჩვენის ძველის სახლიდამ ბიჭებმა გამოგვყარეს,

ერთის ღამის ბინაც არ მოგვცეს“.

ამის შემდეგ მოთხრობის დასაწყისი კვლავ ნაწყვეტის ტექსტის შინაარსს მიჰყვება. მეურმეებთან გამოლაპარაკების ეპიზოდში ერთი საინტერესო განსხვავებაა – ბეჟანის კითხვაზე: თქვენ ქალაქს ხომ არ მიდიხართ?“ ნაწყვეტში მეურმეები უბრალოდ პასუხობენ: „ქალაქს მივდივართ“, მოთხრობაში კი ასეთსავე კითხვაზე ერთ-ერთი მეურმის მიერ გაცემულ პასუხში ჩანს მისი დამცინავი დამოკიდებულება გზად შეხვედრილი ყმაწვილებისადმი: „გამოცანა გერგება, – დაუძახა დაცინებით ერთმა მეურმემ“, ყმაწვილების საპასუხო რეაქციიდან კი მჟღავნდება მათი ხასიათი: „უფროსმა ღიმილით ჩამოართვა ეს დაცინება და ლაქუციოთაც. უმცროსმა უფრო წარბი შეიკრა და რისხვამ ელვასავით გაურბინა სახეზედ, მაგრამ თავი მალე შეიკავა“. როგორც ვხედავთ, ამ განსხვავებებს უკვე ეტყობა ტექსტის მხატვრულ-ესთეტიკურ მხარეზე მუშაობის კვალი.

ამის შემდეგ, როგორც ნაწყვეტში „მარგალიტი ლექში“, ისე მოთხრობაში „სარჩობელაზედ“, ბეჟანი ჰყვება ტყუილებს მათი თავადიშვილობის, თუქურმიშადან რუსის პოვოზით მგზავრობის, მეეტლის ავკაცობისა და მათი გაძარცვის შესახებ. ამ ეპიზოდში, დაუმთავრებელ მოთხრობაში არის ერთი საინტერესო ფრაზა. ბეჟანი ეუბნება მეურმეებს: „თუ ღმერთი გწამს, ხელი გაგვიმართეთ და ქალქში ჩავვიყვანეთ, და იქ მამაჩემი, მდიდარი კაცი, გულნაკლულად არ გაგიშვებთ. თქვენთვის ხომ სულ ერთია, ღამის ხარსაც ვუყარაულებთ და ურემზედაც დაგეხმარებით, და იქაც მამაჩემს გამოჩენებით რასმეს, თუ ღმერთი გწამსთ, ქრისტიანი კაცები ხართ, უნუგემოდ ნუ დაგვადებთ“. როგორც ვხედავთ, აქ ირიბად არის მინიშნებული, რომ პეტრეს მიერ ყმაწვილების ხელგაშლილ მასპინძლობას არა მხოლოდ სიკეთის გაცემების, არამედ გამორჩენის სურვილიც შეიძლებოდა დასდებოდა საფუძვლად. ხალხში გამოჩენისა და თავის მოწონებისაკენ მიდრეკილება ამ გმირს მოთხრობაშიც აშკარად ეტყობა.

ნაწყვეტში მათეს სახე არ არის გაშლილი, მოთხრობაში კი ბეჟანის ყოველი ახალი ტყუილის შემდეგ მწერალს დაწვრილებით აქვს აღწერილი მისი ძმის განცდები: „ბეჟან! – დატუქსვის ხმით დაუძახა უმცროსმა თავის

ძმას და ისეთის თვალთ შეხედა, რომ სიტყვა გააწყვეტინა“; „უმცროსი მთლად აირია“; „უმცროსი მოუტრიალდა ძმას უფრო გულამღვრეული და გაჯავრებული, ვიდრე წინად; – ბეჟან, გეყოფა, კარგი!.. – უთხრა უმცროსმა, თითქო წყრომითაც და ვედრებითაც“.

ნაწყვეტში ბეჟანის თხოვნაზე მოხუცი მეურმის პასუხში ნათქვამი იყო: „ურიები ხომ არა ვართ, რომ უნუგეშოდ დაგავდოთ“, მოთხრობაში კი ავტორს დაუწერია: „ასე გონია, სათათრეთში იყვნეთ!.. ეს ქვეყანა საქრისტიანო საქართველოა“. ნაწყვეტში მოხუცი მეურმე ამბობდა: „დალიეთ, შვილო! სალევოში ხომ არა ხართ, რომ ეგრე იმუდარებით, საქრისტიანოში ხართ“, მოთხრობაში კი აზრი შეცვლილია: „ჩვენ დალოცვილს ქვეყანაში შიმშილით ლევიც არ მომკვდარა, თქვენ რად შეგშინებიათ?“. ნაწყვეტებშიც და მოთხრობაშიც აშკარად ჩანს მოხუცი მეურმის სიქადული ქართველობით და ქრისტიანობით.

ამის შემდეგ ტექსტებში კვლავ ერთნაირი ფაქტებია აღწერილი – ღამით დაღლილი მეურმეები ძილს მიეცემიან და ყმაწვილები მოხუც მეურმეს გაძარცვვენ, მაგრამ ისეთი დეტალები, როგორცაა პეტრეს მიერ ყმაწვილებისათვის მწვადების შეწვა და მათთვის თავისი ნაბდის გაშლა, ნაწყვეტში „მარგალიტი ლექში“ არ არის.

ცვლილებები ფაბულაში

მომდევნო დილის აღწერიდან, დაუმთავრებელი ტექსტისა და მოთხრობის „სარჩობელაზედ“ ფაბულები სრულიად სცილდება ერთმანეთს. ნაწყვეტში „მარგალიტი ლექში“ ბეჟანი გაიცნობს გუბერნიის სამმართველოს სტოლონაჩალნიკ ავეტიქ პერანგოვს, მისი რჩევით მოძებნის თავის თანასოფელელ მღვდელს, დამტკიცებს აზნაურობას, დაიწყებს გადამწერლად მუშაობას და, მლიქვნელობა-გაიძვერობის წყალობით, სწრაფად აღწევს დაწინაურებას. ამ ტექსტის მეორე ვარიანტში – „დიამბეგობა“, სადაც ბეჟანის კარიერული ზრდა კიდევ უფრო დაწვრილებით არის აღწერილი, იგი ბოლოს დიამბეგი ხდება. თავის ძმას, მათეს კი, რომელიც მასავით ეშმაკი

და მოხერხებული არ არის, ახლოს არ იკარებს. იგი მასთან დახმარების სათხოვნელად მისულ ძმას სახლიდან აგდებს, შენი რჩენა არ შემიძლიაო, და მათე მალევე ილუპება (ასეა დაუმთავრებელი მოთხრობის ორივე დასახელებულ ვარიანტში).

სხვაგვარად ვითარდება ფაბულა მოთხრობაში „სარჩობელაზედ“. აქ ძმები ქურდობისა და ავაზაკობის გზას ადგებიან. ბეჟანს მკვლელობის ფაქტზე დაიჭერენ, ძმა კი გაქცევას ახერხებს. მოგვიანებით იგი ნახავს, როგორ ჩამოახრჩობენ ბეჟანს და სეირის მაყურებელთა შორის შენიშნავს მოხუც მეურმეს. უმცროს ძმას სიკეთის რწმენა საბოლოოდ ეკარგება, ათმაგად უბრუნებს პეტრეს მისთვის მოპარულ ფულს და გადასცემს პატარა ბარათს, რომელშიც მისი და მისი ძმის ტრაგიკული ისტორიაა აღწერილი და მათ უბედურებაში მთელი საზოგადოება, მათ შორის, პეტრეც, არის დადანაშაულებული.

დაუმთავრებელი ნაწყვეტების მიხედვით, ძმებ კალმახიძეებს მშობლები ადრე დაეხოცათ და ისინი უსახლკაროდ თავიანთმა ბიძამ დატოვა, დასრულებულ მოთხრობაში – „სარჩობელაზედ“ კი, ბეჟანსა და მის ძმას ადრე მხოლოდ მამა გარდაეცვალათ, დედა კი გაუთხოვდათ და სახლიდან მამინაცვალმა გამოყარა. ამდენად, მოთხრობაში შემოდის დედის პასუხისმგებლობის თემაც.

როგორც აღვნიშნეთ, „დიაბეგობის“ ტექსტის მიხედვით, ბეჟან კალმახიძე ბოლოს დიაბეგი ხდება. უბნეო დიაბეგის (ანუ მოსამართლის) თემა, რომელიც აღარ განვითარებულა მოთხრობაში „სარჩობელაზედ“, გადავიდა ილია ჭავჭავაძის დუმთავრებელ მოთხრობაში „კაკო“ და იქიდან – მოთხრობაში „გლახის ნამბობი“. ეს ის დიაბეგია, რომელიც დაუმთავრებელი მოთხრობის პერსონაჟს – კაკოს („გლახის ნამბობში“ ამ გმირს გაბრიელი ჰქვია) ცხივეში უმიზეზოდ გამოამწყვდევს. შესაბამისად, ბეჟანის სახე ორად გაიყო — ერთი თავისი სახელით, და ნაწყვეტში „მარგალიტი ლექში“ აღწერილი თავგადასავლით ბავშვობიდან ქალაქში ჩასვლამდე გადავიდა მოთხრობაში „სარჩობელაზედ“, მეორე კი, რომელიც უფრო ვრცლად იყო ჩამოყალიბებული ნაწყვეტში „დიაბეგობა“, მსგავსი

თემითა და პრობლემით გადავიდა მოთხრობაში „გლახის ნაამბობი“.

პერსონაჟთა სახეების განვითარება

მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ გმირთა ხასიათების გახსნა მიესადაგა ახალ სიუჟეტურ ქარგას. მთავარი აქცენტი ბეჟანიდან მის ძმასა და მოხუც მეურმეზე გადავიდა. ოდნავ გაუფერულდა ბეჟანის ის თვისებები, რაც დაუმთავრებელ მოთხრობებში გათვალისწინებული მისი კარიერული ზრდისთვის იყო საჭირო — მოხერხებულობა, მლიქვნელობა, გაიძვერობა და დაუნდობლობა, მაგრამ არც ერთი ამ თვისებათაგანი მთლიანად არ გამქრალა. მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ სიუჟეტის იმ პატარა მონაკვეთშიაც კი, სადაც ბეჟანი ჩნდება, ეს თვისებები თვალსაჩინოა: იგი ახერხებს მოხუცი მეურმის ნდობის მოპოვებას, არ იმჩნევს დაცინვას, რომ საქმე არ გაიფუჭოს და, მიუხედავად იმ დიდი პატივისცემისა, რაც მოხუცმა მეურმემ ამ ძმებისადმი გამოიჩინა, მაინც არ ინდობს მას და ჰპარავს ფულს. ბეჟანს, მართალია, მამინაცვლის მოკვლა განზრახული არ ჰქონდა და, როგორც მისი ძმა ამბობს, „შემოაკვდათ“, მაგრამ ამ საშინელი ფაქტის შემდეგ კიდევ უნდოდა იქაურობის აკლება, პოლიციას რომ არ მიესწრო.

დაუმთავრებელი ავტოგრაფების მიხედვით, ბეჟანმა უარი თქვა თავისი ძმის პატრონობაზე და მათე მალე დაიღუპა, მოთხრობის „სარჩობელაზედ“ მიხედვით კი, ბეჟანი უფრო ადრე კვდება და მისი ძმა ასე ახასიათებს მათ ურთიერთობას: „ერთად-ერთი ჩემი სისხლი და ხორცი, ის ერთად-ერთი ძმა-კაცი, ის ერთად-ერთი ადამიანი ჩემი კეთილის-მყოფელი, ჩემთვის თავდადებული, ჩემი მოსიყვარულე და ერთგული“. ეს პატარა დეტალი კარგად ასახავს იმ ცვლილებათა ხასიათს, რაც ზოგადად განიცადა ნაწარმოებმა. თავდაპირველ ვარიანტში ბეჟანი იყო უარყოფითი პერსონაჟის ტრაფარეტული სახე — ყველა უარყოფითი თვისებით, მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ კი იგი თითქოს „გაცოცხლდა“, უფრო რეალისტური გახდა. არ არსებობს ადამიანი მხოლოდ დადებითი, ან მხოლოდ უარყოფითი თვისებებით, რადგან ყველას აქვს ცოდვაც და მადლიც. გაავაზაკებული ძმების ერთმანეთისადმი

ერთგულებისა და სიყვარულის ჩვენებით, ილია ჭავჭავაძემ მოთხრობის საბოლოო ვარიანტში უფრო დამაჯერებელი და შთამბეჭდავი სახეები შექმნა. ამაში მას დაეხმარა ფაბულის შეცვლაც, რომელმაც ბეჟანი წარმოგვიდგინა არა მხოლოდ როგორც მოძალადე, არამედ, როგორც არსებული კანონისა და საზოგადოების მსხვერპლიც.

მოთხრობაში ბეჟანს ასე აგვიწერს ავტორი: „იმისი სხარტე და ფირფიტა ნიკაპი, იმისი წვრილი, სწრაფი და მოუსვენარი თვალი, ჩქარ-ჩქარი თვალთა ხამხამი ცხადად ამბობდა, რომ ამ კაცის კანში რაღაც უფხო გულია დამალული“. გმირის სულისა და ხორცის ეს ურთიერთშერწყმული სურათი სავსებით ნათლად წარმოგვიდგენს მის არაკეთილშობილურ ბუნებას, მაგრამ, ამას გარდა, მწერალი იქვე ამახვილებს ყურადღებას არანაკლები მნიშვნელობის კიდევ ერთ ფაქტორზე, რომელმაც განაპირობა ამ კაცის „თვითრჯული“ და „უჯიათი“ ხასიათის საბოლოოდ გაუკუღმართება და განსაზღვრა მისი შემდგომი ბედ-იღბალი: „იმისთანა იერის ყმაწვილი იყო, რომ კაი კაცის კვალზედ წავიდოდა, – შესამჩნევი არა იქნებოდა–რა, ავის კაცის კვალზედ დადგებოდა, – ქურდ-ბაცაცობის მეტს ვერაფერს ვერ შესძლებდა“.

როგორც ვხედავთ, გარდა იმისა, რომ ამ გმირისათვის თვით ბუნებას არ მიუმაღლებია კეთილშობილური ზნე და ხასიათი, ცხოვრებაში გზის გამკაფავიც არ ჰყოლია ღირსეული და მისი პიროვნების ჩამოყალიბებაში სწორედ ამას უთამაშია გადამწყვეტი როლი. ამ ფაქტის აქცენტირება დაუმთავრებელ ნაწყვეტებში არ იყო.

ბეჟანიც იმავე უკეთურ კანონებს დაემორჩილა, რაც მის გარშემო იყო გამეფებული. მან შეისისხლხორცა მლიქვნელობა, გაიძვერობა და დაუნდობლობა. მიუხედავად ამისა, სახრჩობელასთან მდგომი – გაფითრებული, შეშინებული, სრულიად დაუცველი და განწირული, მაინც სიბრალულს იწვევს. სახრჩობელის ირგვლივ შეკრებილი ხალხი სეირს უყურებს და არც კი ფიქრობს, რომ მათ თვალწინ, მათივე უხმო დასტურით იღუპება ერთი მათგანი, მათივე სისხლი და ხორცი, რომელზე უფრო უცოდველიც, შესაძლოა, მათ შორის ბევრი არც იყოს.

ნაწარმოების ფაბულაში ბეჟანი ცენტრალური ფიგურაა, მაგრამ მწერალი

ნაკლებად ცდილობს მისი ხასიათის გაშლას, რადგან ეს „გულნამცეცა“ პიროვნება ასეთივე გულნამცეცა საზოგადოების გარემოცვაში უფერულად გამოიყურება. მიუხედავად თავისი მდგომარეობის უკიდურესი ტრაგიზმისა, ბეჟანი პიროვნულად თითქმის არ გამოირჩევა.

რაც უფრო ვულრმავედებით მოთხრობის ძირითად სათქმელს, მით უფრო მკაფიოდ იკვეთება სხვა ორი გმირის სახე. ესენია ბეჟანის უმცროსი ძმა და მეურმე პეტრე.

მამინაცვლის მკვლელობამდე და ბეჟანის დატყვევებამდე ძმების ცხოვრება თითქმის ერთნაირად მიედინებოდა: ისინი ერთ ოჯახში დაიბადნენ, ერთად გაატარეს ბავშვობა და სიყმაწვილე და მთელი ამ ხნის მანძილზე არავისგან, თვით დედისა და ახლობლებისგანაც კი, არც სითბო უგრძენით და არც მზრუნველობა. ისინი ქურდობისა და ძარცვის გზასაც ერთად დაადგნენ და ადამიანიც ერთად შემოაკვდათ, მაგრამ მწერალი მინც ახერხებს მათ ხასიათებში მკვეთრი განსხვავების ჩვენებას. უმცროსი ძმა ბუნებით არ არის უკეთური. მას „სხვა ნიშან-წყალი ჰქონდაო“, – წერს ავტორი. იგი შინაგანად ებრძვის და ეწინააღმდეგება ბოროტებას, არ უნდა, რომ იცრუოს, იქურდოს, მაგრამ იმდენად არის ჩათრეული გარემომცველ წუმპეში და ისეა მიჩენებული უფროსი ძმის ბოროტ ნებას, რომ ძალაუნებურად თავადაც ყოველგვარ ავკაცობას ჩადის მასთან ერთად.

მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ ავტორს არ შეუტანია ერთი ფრაზა ნაწყვეტიდან „მარგალიტი ლექში“, რომელშიც უფროსი ძმის გავლენა უმცროსზე პირდაპირ იყო ხაზგასმული: „ისე სულგანაბული იყო, ისეთი დაშინებული, თითქო სული უფროსის ხელში არისო“. რა თქმა უნდა, ძველი ჩანაწერის მიხედვით ახალი მოთხრობის გმირზე ვერ ვიმსჯელებთ, მაგრამ უფროსი ძმის უარყოფითი გავლენა უმცროსზე მოთხრობის „სარჩობელაზედ“ შინაარსზე დაკვირვებიდანაც ნათლად ჩანს. აქაც ბეჟანია ყოველგვარი ავკაცობის მოთავე. მეურმეებიც მან მოატყუა და ჯიბეებიც მან დააჭრა პეტრეს, უმცროსი ძმა კი შორიდან უყურებდა ყოველივე ამას. იგი ვერ ტუქსავდა და აფროთხილებდა ბეჟანს, შემდეგ, მოხუცის გაძარცვისას, მართალია, ხმა ვერ ამოიღო და ხელი ვერ შეუშალა, მაგრამ გული მაშინაც ეთანადრებოდა

და წუხდა. ბოლოს ისიც დამორჩილდა ბოროტის ნებას, „გაწყდეს, საცა წვრილიაო“, – თქვა და გადაწყვიტა, მისი გაუბედურებისათვის განურჩევლად ყველაზე ეძია შური. ის ფაქტი, რომ ცხოვრების ლექსა არა მხოლოდ ბეჟანის, არამედ უმცროსი ძმის ჩათრევაც შეძლო, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ძმების გზიდან აცდენაში სწორედ გარემომ და არა მათმა ადამიანურმა ბუნებამ ითამაშა გადამწყვეტი როლი.

ყველაზე რთული და წინააღმდეგობრივი ნაწარმოების საბოლოო ვარიანტში არის პეტრეს სახე. იგი სიუჟეტის განვითარებასთან ერთად, თანდათან უფრო ღრმავდება, რთულდება და საბოლოოდ წარმოგვიჩენს ადამიანური ბუნების იდუმალ მხარეებს.

დაუმთავრებელი მოთხრობის ესკიზების მიხედვით ძნელია იმის თქმა, პეტრეს სახის ასეთი ღრმა და საინტერესო ხედვა იქიდანვე იღებს სათავეს, თუ ახალმა ფაბულამ მოიტანა, მაგრამ რაიმე ხელნასაჭიდი იმის სათქმელად, რომ ეს პეტრე იმ პერსონაჟის სახის სრულყოფას არ შეიძლება წარმოადგენდეს, არ არსებობს. მოთხრობის „სარჩობელაზედ“ პირველ თავში პეტრე ზუსტად ისეთივეა, როგორც ნაწყვეტის „მარგალიტი ლექში“ მოხუცი მეურმე. ამ სახის გაშლა მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ მომდევნო თავებში ხდება, ესკიზების ის ეპიზოდები კი, სადაც, სავარაუდოდ, ისევ გამოჩნდებოდა მოხუცი მეურმე, არ მოგვეპოვება. შესაბამისად, რაიმე კონკრეტულ დასკვნას ამასთან დაკავშირებით ვერ გავაკეთებთ.

მოთხრობაში „სარჩობელაზედ“, ზემოთ განხილულთა გარდა, ჩნდება კიდევ ერთი უჩვეულო მოქმედი გმირი — კრებითი ხასიათის მქონე, მრავალი პირისაგან შემდგარი, მაგრამ მაინც ერთსახოვანი. ეს არის ბრბოდ ქცეული ხალხი, ყოველგვარი სიწმინდისაგან დაცლილი, ვნებებს აყოლილი, ზერელე, გულგრილი და ფარისეველი ადამიანების მასა, რომელიც დაუმთავრებელ ნაწყვეტებში არ ჩანდა. ილია მისთვის ჩვეული, შეულამაზებელი, მახვილი სიტყვით და მდიდარი სტილისტური ხერხებით საოცარი სიცხადით გვიხატავს ამ უცნაურ მხატვრულ სახეს: „ხალხი, წუთის წინად სულგანაბული, ეხლა მხიარულად ჰყაყანებდა და ლაზღანდარობდა კიდევ. დაირღვა ხალხის გროვა, დაიშალა და გაიშალა მინდორზედ. ყველამ თავის სახლისაკენ გასწია

სრულიად კმაყოფილმა, რომ ეს სამარცხვინო და გულის ამაზრბენი თამაშა ჰნახა“, წერს იგი და ეს „ხალხის გროვა“ მკითხველში ასოციაციას იწვევს საქონლის გროვასთან, რომლის შესახებაც ავტორი ორიოდ ფურცლის წინ წერდა „მინდორბედ საძოვნელად გაიშალა“.

საინტერესოდ არის ნაწარმოებში წარმოჩენილი ამ ბრბოსადმი პეტრეს დამოკიდებულება. მოხუცს არ სჯერა, რომ ეშაფოტზე აყვანილი კაცი მართლა ჩამოახრჩვეს: „ე ხალხი რომ ასე ქეიფის გუნებაზეა, მიდის და მიყაყანებს მხიარულად! ეს რომ მართლა დარჩობა ყოფილიყო, ქვეები ხომ არ არიან, ოჯახდაქვეულები ერთ ცვარ ცრემლს მაინც ჩამოაგდებდნენ“, ფიქრობს იგი, შემდეგ კი, როცა სიმართლეს გაიგებს, განცვიფრებისაგან აღმოხდება: „მამ ხალხი რაღას ჰხარხარებდა“.

ასეთია ამ მასისადმი ავტორისა და ნაწარმოების ერთ-ერთი გმირის დამოკიდებულება, მაგრამ არანაკლებ კარგად ჩანს ამ მასის სახე თვით მათივე რეპლიკებიდან. აქ მწერალი იყენებს ერთ ძალზე საინტერესო ხერხს — ამ ხალხს ისე ალაპარაკებს, რომ სხვა შემთხვევაში მსმენელს, შესაძლოა, სავსებით ბუნებრივად და ნორმალურად მოჩვენებოდა, მაგრამ კონკრეტულ სიტუაციაში მოთხრობის მკითხველის ყურს ძალზე უხეშად ხვდება და საწინააღმდეგო ეფექტს ახდენს. ასეთია, მაგალითად, სახრჩობელის ირგვლივ შემოკრებილი ხალხის რეპლიკები, რომლებშიაც წამდაუწუმ იხსენიება ბეჟანის დედა: „ვუი, ვუი შენს დედას!“ – იძახის ერთი; „ვაი შენს დედასა, შე საცოდავის შვილო!“ – მოთქვამს მეორე; „ეგ ხომ მოკვდება და წავა, ვაი მაგის მშობლების ბრალი, რა ცეცხლში ჩაცვივიან!“ ამბობს მესამე; „რა ახალგაზრდაა ეგ უბედურის შვილი!“ ამბობს მეოთხე; „რა თონეში უნდა იწოდეს ახლა ამისი დედის გული“ – მოთქვამს კიდევ სხვა, ეს დედა კი, როგორც შემდეგ იგებს მკითხველი, ნაკლებად წუხს თავისი შვილების ბედზე და გარკვეული ბრალიც კი მიუძღვის მათ გაუბედურებაში. ასეთია ეს ბრბო — მოჩვენებითად მგრძნობიარე და სამართლიანი, სინამდვილეში კი — ყალბი და ცარიელი.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიახლე, რაც განასხვავებს მოთხრობას „სარჩობელაზედ“ არა მხოლოდ მისი ადრეული რედაქციებისაგან („დიამბე-

გობა“ და „მარგალიტი ლექში“), არამედ სხვა ადრეული ნაწარმოებებისაგანაც („გლახის ნაამბობი“ და „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“), არის ის, რომ პერსონაჟები — გაბრიელი, კაკო და ზაქრო, ძირითადად, კონკრეტული პიროვნებების ბოროტების მსხვერპლნი არიან, მოთხრობის „სარჩობელაზედ“ გმირების — ბეჟანისა და მისი ძმის — ცოდვა კი ბრბოდ ქცეულ, გულგრილ საზოგადოებას აწევს კისერზე. ამბობს კიდევ ბეჟანის ძმა: „ჩვენი ცოდვა ყველამ დაიდო კისრადო“.

კიდევ ერთი რამით განსხვავდება ეს მოთხრობა ილიას ადრეული ნაწარმოებებისაგან და ამავე მოთხრობის ადრეული რედაქციებისაგან. იქ წარმოდგენილი პრობლემები ხშირად სოციალურ ხასიათს ატარებდა, გაბრიელის, კაკოსა თუ ზაქროს უბედურების მიზეზი მათი, როგორც ყმების, სოციალური უუფლებობა იყო, ჩვენ მიერ განხილული მოთხრობის გმირები — ბეჟანი და მისი ძმა კი შედარებით მაღალ წოდებრივ საფეხურზე დგანან. მიუხედავად ამისა, ნაწარმოებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ამ აზნაურიშვილებს სხვებთან ერთად შინამოსამსახურე ბიჭებიც კი სცემენ და უდიერად ექცევიან („ბიჭი იყო შინა-მოსამსახურე, ჩვენა გვცემდა, მამინაცვალი იყო, ჩვენა გვცემდა...“) – სამხედრო სკოლიდან გამოქცეულ ძმებს საკუთარ სახლში ღამესაც კი არ გაათევინებენ, გარეთ გაყრიან.

რაც შეეხება დაბალი სოციალური ფენის მდგომარეობას, მოთხრობაში „სარჩობელაზედ“ მათი განსაკუთრებული სიდუხჭირე არ ჩანს. პეტრეს კარგი თბილი ნაბადიც აქვს, შოთის პურებიც, ღვინოც და სამწვადე ხორციც. არც ის ჩანს, რომ ისინი არაადამიანურად შრომობდნენ — სიცხეში ისვენებენ, ღამით ტკბილად სძინავთ და, როცა მშვიდები არიან, დუქანში სადილობენ. ყოველივე ამის გამო, ვერ დავეთანხმებით მოსაზრებას, თითქოს აქ ნაჩვენები იყოს „ტვირთმძიმეთა“ და „მაშვრალთა“ მონური უღელი და ეს მოთხრობა „სოციალური უსამართლობის მამხილებელი“ ნაწარმოები იყოს. ამ პრობლემას ილიამ არაერთი თხზულება უძღვნა, მაგრამ არა „სარჩობელაზედ“. პირიქით, ამ მოთხრობის სიუჟეტიდან ჩანს, რომ ამა თუ იმ წარჩინებული წოდების ქონა თავისთავად სულაც არ არის ადამიანის ბედნიერებისა და უზრუნველი ცხოვრების გარანტია. აზნაურიშვილიც

შეიძლება დაიჩაგროს და გაუბედურდეს, როგორც ყმა-გლეხი და გლეხიც, თავის მხრივ, შეიძლება გახდეს ისეთივე დაუნდობელი, როგორიც ზოგიერთი ბატონი იყო. ბეჟანისა და მისი ძმის ტრაგედიას სოციალური მდგომარეობა არ უდევს საფუძვლად. იგი ზოგადადამიანური მორალურ-ზნეობრივი პრობლემებით არის განპირობებული და არა წოდებრივი უსამართლობით.

როგორც ავტორგრაფული ნაწყვეტის „მარგალიტი ლექში“ (და მისი ვარიანტის – „დიამბეგობა“) და მოთხრობის „სარჩობელაზე“ ტექსტების შეპირისპირებითა ანალიზმა ცხადყო, მოთხრობის ბოლო ვარიანტში მწერალმა შეცვალა ფაბულა, დახვეწა და სრულყო გმირთა სახეები, მაგრამ ახალ მოთხრობასაც საფუძვლად კვლავ ის იდეური ჩანაფიქრი დაუდო, რამაც 50-იან წლებში ააღებინა ხელში კალამი – ეს არის საზოგადოების ლექი – გულგაგრილებულ, სულიერად გაღარიბებულ ადამიანთა მასა, რომელიც ახერხებს თავის სიბილწეში ჩაითროს და დაიმსგავსოს არა მხოლოდ ცოდვილი ბუნების, არამედ უბოროტო, ზნეკეთილი ადამიანებიც. ამდენად, მოთხრობაში „სარჩობელაზე“ წარმოჩენილი ხალხის ბრბო იგივე ლექია, რომლის პრობლემაც ამ მოთხრობის შექმნამდე ორი ათეული წლით ადრე აწუხებდა მწერალს.

სათაურის ცვლილება

რატომ ჰქვია მოთხრობას „სარჩობელაზე“, რა კავშირშია ნაწარმოების შინაარსი სახრჩობელასთან, ეს მოთხრობის ერთი გადაკითხვითაც კარგად ჩანს – მის ერთ-ერთ გმირს, ბეჟანს, ჩამოხრჩობით სჯიან. ამ ფაქტზეა აგებული ნაწარმოების ფაბულა და, ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ მის სათაურში ეს სიტყვა ფიგურირებდეს, მაგრამ რატომ არა „სარჩობელა“ და რატომ – „სარჩობელაზე“? ალბათ, არც ეს არის შემთხვევითი. ამიტომ, კვლავ დავაკვირდეთ ნაწარმოებს.

ამგვარი, თანდებულებიანი ფორმით, ეს სიტყვა მოთხრობაში არაერთგზის გვხვდება: „უბედური სარჩობელაზე ჩამოკვიდა“, „სარჩობელაზე დარჩა უძრავად“, „მოდი და მეც ჩემ ძმასავით სარჩობელაზე მნახავ“. მოხმობილ

მაგალითებში ეს სიტყვა მისი პირდაპირი, ვიწრო გაგებით არის ნახმარი და აღნიშნავს დასასჯელ მოწყობილობას, მაგრამ ტექსტში იგივე სიტყვა, ასეთივე თანდებულებიანი ფორმით, სხვაგან უფრო ფართო მნიშვნელობასაც მოიცავს: „ეხლა მოაგონდა, რომ წელან სარჩობელაზედ ერთი ნაბდინი ბიჭი სულ გვერდით აეტუბებოდა ხოლმე“. აქ სიტყვაში „სარჩობელაზედ“, რა თქმა უნდა, იგულისხმება არა თვით სახრჩობელა, ბოძზე ჩამოკიდებული თოკით, არამედ მის ირგვლივ გამართული პროცესია — სიკვდილით დასჯის ცერემონიალი. ამავე მნიშვნელობითაა ეს სიტყვა ნახმარი ბეჟანის ძმის შემდეგ ნათქვამშიც: „ერთი პატარა ძარღვი კიდევ მქონდა გულში და ისიც დღეს სარჩობელაზედ ჩამწყდა“.

სიტყვაფორმა „სარჩობელას“ მხოლოდ ვიწრო გაგება აქვს, მოთხრობის სათაურად არჩეულ თანდებულებიან ფორმაში – „სარჩობელაზედ“ კი მწერალმა ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობა ჩააქსოვა და მასში ნაგულისხმევი სამარცხვინო პროცესის რეალური არსი დაგვანახა. ილიას აინტერესებს არა მხოლოდ ის, რაც მოხდა სახრჩობელაზე — ახალგაზრდა ყმაწვილი სიკვდილით რომ დასაჯეს, არამედ ისიც, რაც განვითარდა სახრჩობელასთან. ერთადერთი ახლობლის დაღუპვამ, ხალხის გულგრილობამ და სეირის მაყურებელთა შორის ნაცნობი მეურმის დანახვამ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო მოკლულის ძმა. მაგრამ სახრჩობელაზედ მხოლოდ მათი ტრაგედია არ დატრიალებულა. ამ სამარცხვინო სანახაობაზე დასწრებით იქ შეკრებილმა ხალხმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ზნეობრივი დაცემისკენ, რაც მწერალმა თვალნათლივ დაგვანახა პეტრეს უკეთური გულისთქმების ჩვენებით. ყველაფერი ეს მოხდა სახრჩობელასთან და ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ მწერალმა სწორედ ეს სიტყვაფორმა აირჩია მოთხრობის სათაურად.

ტექსტის ბოლო ვარიანტზე მუშაობის პროცესი

სამწუხაროდ, მოთხრობის „სარჩობელაზედ“ ტექსტის სიუჟეტური და ენობრივ-სტილისტური დახვეწის პროცესზე დასაკვირვებლად წყაროები მცირე რაოდენობით მოგვეპოვება. ამდენად, ჩვენ ხელთ არსებული ორი

ნაბეჭდი წყაროს (გ. „ივერია“ 1879, №2 და თხზულებანი, 1892, ტ. III) ურთიერთშედარებით შეგვიძლია გამოვყოთ მხოლოდ ის ცვლილებები, რომლებიც შევიდა ტექსტში 1892 წლის გამოცემის მომზადების დროს.

1892 წელს, მოთხრობის თხზულებათა სრულ კრებულში დასაბეჭდად მომზადებისას, ილიას ტექსტიდან ზოგიერთი რამ ამოუღია, ზოგი ჩაუმატებია, ან ახლით შეუცვლია.

1892 წლის გამოცემაში „ივერიის“ ტექსტს მწერალმა დაუმატა ერთი საკმაოდ ვრცელი, თითქმის ერთი გვერდის მოცულობის ეპიზოდი. პირველნაბეჭდის მიხედვით, ძმის ჩამოხრჩობის შემდეგ უმცროსი ძმა უკან გაჰყვება პეტრეს და დალუქულ წერილს გადასცემს. საქმე ის არის, რომ არადამაჯერებელი იყო, საიდან უნდა ჰქონოდა უმცროს ძმას ჯიბეში პეტრესათვის განკუთვნილი დალუქული წერილი, მან ხომ არ იცოდა, რომ სახრჩობელასთან ნახავდა მოხუცს. თან, რამდენადაც წერილში არა მხოლოდ ძმების წარსულზე, არამედ ჩამოხრჩობის ფაქტზე და სახრჩობელასთან თავშეყრილთა შორის პეტრეს დგომამბეა საუბარი, წერილი ამ ამბის შემდეგ უნდა ყოფილიყო დაწერილი და ძნელი დასაჯერებელია, რომ ბეჟანის ძმას მისი დაწერა პეტრეს ბაკებისკენ წასვლის შემდეგ მოესწრო და გზაში დასწროდა გადასაცემად. ყოველივე ამის გამო, მწერალმა შემოიტანა დუქნის ეპიზოდი, სადაც პეტრემ ბაკებში წასვლამდე შეიარა. იქ შევიდა უმცროსი ძმაც, მედუქნეს გამოართვა ფანქარი და ფურცელი და პეტრეს თვალწინ დაწერა ეს წერილი, ხოლო, როდესაც პეტრე დუქნიდან გამოვიდა, უკან გაჰყვა და გადასცა. ამ ეპიზოდის დამატებამ ტექსტი უფრო დამაჯერებელი გახადა.

ტექსტის უკანასკნელ ავტორიზებულ წყაროს ეტყობა სტილისტური დახვეწის კვალიც. ცალკეული სიტყვები ჩანაცვლებულია მათი სინონიმებით, ან მათთან ახლოს მდგომი ლექსიკური ერთეულებით.

ამ ვარიანტული სხვაობების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ 1892 წლის გამოცემის მზადებისას მწერალს საკმაოდ საფუძვლიანი მუშაობა ჩაუტარებია მოთხრობის „სარჩობელაზე“ ტექსტზე: შინაარსის დამაჯერებლობის გასაზრდელად ჩაუმატებია ერთი ეპიზოდი, ცალკეული ადგილები სტილისტურად დაუხვეწია და მთელი ტექსტი გაუმართავს

გრამატიკულად და ორთოგრაფიულად.

ამ პუბლიკაციის შემდეგ მოთხრობა „სარჩობელამედ“ ილია ჭავჭავაძის სიცოცხლეში აღარ გამოქვეყნებულა და არავითარი ნიშანი არ არსებობს იმისა, რომ ავტორს მასში კიდევ შეეტანოს რაიმე ცვლილებები. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ 1892 წლის გამოცემაში დაბეჭდილი ტექსტი ნაწარმოების უკანასკნელი ვარიანტი და მისი ბოლო ნების გამომხატველია.

კვლევები ადრესატის დასადგენად

ლექსების ადრესატები

ილია ჭავჭავაძის სამი უთარილო ლექსი-გამოცანა („რად გვინდა, ვინ ხარ...“), რომლებიც ერთადერთი ავტოგრაფის სახით არის შემორჩენილი (ხეც, N 131) და ავტორის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა, 1871 წელს დაწერილი „გამოცანებისგან“ და „კიდევგამოცანებისგან“ იმიტგანსხვავდება, რომ არ იწყება ნავულისხმევ პიროვნებათა გარეგნობის აღწერით (იხ.: „ულვაშსრული მელოტია...“ „ბუღაა და კისერმოკლე...“, „პირტიტველა და ჭროლთვალა“; „ერთი არის ტანად მომცრო...“, „ბაიყუშივით თავიდა“). ამასთანავე, პირველი გამოცანა მიმართვის ფორმით არის დაწერილი და არა მესამე პირში. შესაბამისად, უთარილო სამი გამოცანა 1871 წლის გამოცანების ნაწილი, დამატება, ან ვარიანტი არ უნდა იყოს, მაგრამ, სავარაუდოდ, ისევე როგორც წინა გამოცანებს, ამათაც უნდა აერთიანებდეს ერის ცხოვრებაში მომხდარი გარკვეული უარყოფითი მოვლენები და მწვავე დაპირისპირება საზოგადოების სხვადასხვა წრეს შორის.

ორი ყველაზე მნიშვნელოვანი მინიშნება, რაც ამ გამოცანებშია მოხსენიებული, არის «Листок»-ი და „დუმა“. «Листок»-ში გაზეთი «Тифлисский Листок»-ი უნდა იგულისხმებოდეს, რომელსაც ძალიან ხშირად აკრიტიკებდა ილია ჭავჭავაძე, ხოლო „დუმაში“, ჩვენი აზრით, თბილისის საქალაქო საბჭო, რადგან რუსეთის სახელმწიფო საბჭოს «Тифлисский Листок»-თან ბევრი არაფერი ჰქონდა საერთო და, თან,

იგი პირველად 1906 წელს მოიწვიეს, როდესაც პოეტი ამგვარ პამფლეტებს, რამდენადაც ცნობილია, აღარ წერდა. ამიტომ ორიენტაცია ავიღეთ თბილისის „დუმაზე“.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემაში პირველი გამოცანის ადრესატად მიჩნეულია დავით კვბელი (გვ. XXV). პავლე ინგოროყვა იზიარებს ამ მოსაზრებას და ვარაუდობს, რომ მეორე გამოცანა შეიძლება გიორგი წერეთელს გულისხმობდეს. რაც შეეხება ამ გამოცანების თარიღს, ინგოროყვა მას, ზოგადად, 90-იანი წლებით ათარიღებს, მაგრამ, რამდენადაც ზემოხსენებულ გამოცემლებს არ მოჰყავთ არავითარი კონკრეტული არგუმენტი, შევეცადეთ, გადაგვემოწმებინა თითოეული ეს მოსაზრება.

პირველი გამოცანის ფრაზა: „უშენოდ ვერ სძლებს «Листок»-ი / ვერც ჯდომას, ვერცა წოლასა“, მიგვანიშნებს, რომ გამოცანაში ნაგულისხმევი პიროვნება ასოცირდებოდა გაზეთ «Тифлиссский Листок»-თან. ამ გაზეთს სომეხი ეროვნების რედაქტორი ჰყავდა – ივანე ხაჩატუროვი, მაგრამ იგი აქ ნაგულისხმევი ვერ იქნება, რადგან ტაეპები: „შენთავან გაჭრას გიწონებს და ეშმაკებთან სრბოლასა“, „სჯობს უყოლობა კაცისა / შენისთანისა ყოლასა“, იმაზე მიმანიშნებელია, რომ სატირის ობიექტი სხვის წისქვილზე უნდა ასხამდეს წყალს, ანუ ქართველი უნდა იყოს და ქართველთა საწინააღმდეგო საქმეს აკეთებდეს.

მართალია, ილია ჭავჭავაძის პოლემიკა ივანე ხაჩატუროვთანაც ჰქონდა, მაგრამ უფრო ხშირად მის თანამშრომელ დავით კვბელს აკრიტიკებდა, იმიტომ, რომ ეროვნებით ქართველი იყო და თავისივე ერის წინააღმდეგ უსამართლო ბრალდებებით გამოდიოდა. 1889 წლის პამფლეტში „ამბავი ყბად-ასაღები და წყალ-წასაღები“ მწერალი აღნიშნავს: «Листок»-ისათვის ცომს ვანუა ჰბელავს და ზოილი აფუებს“, ხოლო მეორე პამფლეტში – „სახელდახელოს დეპეშა (ყბად ასაღები და წყალ წასაღები)“ წერს: ყველას მოსწონს გულუხვობა «Тифлиссский Листок»-ისა. ამბობენ ვერ ამისთანა ჯილდო ზოილისათვისაც არ გაუმეტნია «Тифлиссский Листок»-ს“.

ზოილი დავით კვბელის ფსევდონიმი იყო. იაკობ მანსვეტაშვილი 1890-იან წლებში სათავადაზნაურო ბანკში არსებული დაპირისპირებების შესახებ

საუბრისას აღნიშნავს: „ცნობილი ენა-ღვარძლიანი მეფელებთან ზოილი დანავარდობდა «Тифлисский Листок»-ის ფურცლებზე... ლამაზი, მარლიანი სიტყვისთვის ხომ ღვიძლ მამასაც არ დაინდობდა. «Тифлисский Листок»-ი ეკუთვნოდა ძმებს ხაჩატუროვებს... ესენი უფრო უჩუჩხუნებდნენ და მუგუზლებს უმატებდნენ იმ კოცონს, რომელიც ბანკის გარშემო იყო ანთებული. ამათ რა ენაღვლებოდათ, თუ ქართველობა დას-დასად დაიყო, ერთმანეთს სისხლის მტრებად გადაეკიდნენ“. მოგვიანებით დავით კეზელმა ახალი ფსევდონიმი – Novus-ი აირჩია და ილია ჭავჭავაძის წერილებშიც თანდათან გახშირდა Novus-ის კრიტიკა: ერთგან ვკითხულობთ: „...ჩვენი ძალგულოვანი Novus-იც არ დაიშურებს მაშინ ჩვენს სარჩლს-ქომაგობას. ვიცით იმისი კეთილი გული... ამისთანაებში ის ისეთი ავტორიტეტია, რომელსაც სიზმარიც კი დაეჯერება“. შესაბამისად, სავსებით შესაძლებელია, რომ გამოცანაშიც დავით კეზელი იგულისხმებოდეს.

გამოცანის ფრაზა: „შენთან არავინ ჰვადრულობს /არცა ზავს, არცა ბრძოლასა“ მოგვაგონებს 1894 წელს „ორხმიან საახალწლო ოპერეტში“ დავით კეზელის სახელით წარმოთქმულ ფრაზას: „ვისაც ვებრძვი, არ მებრძვიან, / მაშ მე ვარ გამარჯვებული“.

მეორე გამოცანაში, დათარიღების მიზნით, ყველაზე მნიშვნელოვანია „დუმის“ ხსენება: „მაგრამ რა „დუმას“ შეერთვის / მაშინ ის ჩვენთვის მკვდარია“. ლექსის მიხედვით, გამოცანაში ნაგულისხმევი პირის „დანაშაული“, სავარაუდოდ, ამ „დუმის“ წევრად გახდომია. ისტორიული მასალიდან იკვეთება თბილისის „დუმაში“ არჩეული ორი პიროვნების სახე, რომელთა შესახებაც პოეტს შეიძლებოდა ასეთი რამ ეთქვა – 1893 წელს არჩეული გიორგი წერეთელი და 1897 წელს არჩეული გიორგი თუმანიშვილი. 1893 წლის 16 მაისს ჩატარებულ არჩევნებში ქართველთაგან მხოლოდ ექვსმა კაცმა გაიმარჯვა (ამ ექვსიდან ერთი თავად ილია ჭავჭავაძე იყო 498 ხმით 438-ის წინააღმდეგ), მაგრამ ეს კენჭისყრა საქალაქო საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ უკანონოდ ცნო და დანიშნა ხელახალი არჩევნები (30 მაისს), რომელიც, სავარაუდოდ, კიდევ უფრო უარეს შედეგს მოიტანდა. ამიტომ ქართველმა კანდიდატებმა უარი თქვეს ხელახალ არჩევნებში

მონაწილეობაზე. გამონაკლისი იყო მხოლოდ ვინმე კალოუბნელი და გიორგი წერეთელი. ილია ჭავჭავაძემ ეს ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ღალატად შეაფასა. მისი რედაქტორობით გამომავალ გაზეთ „ივერიაში“ ამის შესახებ დაიწერა: „კენჭის ყრაზე უარი სთქვეს ყველა ქართველებმა, გარდა ბ–ნ გიორგი ექვთიმეს ძის წერეთლისა, რომელმაც თავი გამოირიცხა ქართველთაგან“. შესაბამისად, ვფიქრობთ, ამის გამო ილია ჭავჭავაძეს შეიძლება ეთქვა გიორგი წერეთელზე: „მაგრამ რა „დუმას“ შეერთვის / მაშინ ის ჩვენთვის მკვდარია.“

მეორე მხრივ, ილია ჭავჭავაძე კიდევ უფრო მეტად აღაშფოთა იმ ფაქტმა, რომ 1897 წელსაც იგივე განმეორდა. მიუხედავად მისი მცდელობისა, რომ ემხილებინა არსებული „დუმის“ ნაკლოვანებები და დაერწმუნებინა საზოგადოება, რომ არჩევნებში აუცილებლად მიეღოთ მონაწილეობა, ვერაფერს გახდა მყარ კლანად ჩამოყალიბებული სომხური ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

გიორგი ლასხიშვილის მოგონებებში 1897 წლის არჩევნებთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „ვფიქრობდი... ქართველების სიაში შეტანილი არიან ილია ჭავჭავაძე და სხვა ცნობილი მოღვაწეები, ამიტომ სომხები წინდახედულად მოიქცევიან და არ მოისურვებენ ქართველთა ეროვნულ გრძნობის შელახვას–მეთქი. მოლოდინი გამიცრუვდა... ოც კანდიდატიდან ქართველი აირჩიეს მხოლოდ შვიდი კაცი ისეთები, რომელთაც თითქმის არავითარი წონა არ ჰქონდათ ქართველ საზოგადოებრიობაში... გააშავეს ილია ჭავჭავაძე, ვლადიმერ მიქელაძე, გიორგი წერეთელი და სხვა გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები. დამატებით არჩევნებზე უარი სთქვეს და უარი განაცხადეს იმათაც, ვინც არჩეული იყო. ამრიგად ახალ საბჭოში მოჰყვა მხოლოდ ერთი ქართველი თავ. გიორგი ორბელიანი“.

გიორგი ორბელიანის მიმართ პრეტენზიებს ნაკლებად გამოთქვამდნენ, რადგან, როგორ ჩანს, მისი პოზიციები იმთავითვე ცნობილი იყო, მაგრამ, გიორგი ლასხიშვილის თქმით, საერთო აღშფოთების ობიექტად იქცა გიორგი თუმანიშვილის პოზიცია („ყველა ლანძღვა–გინებითა და წყევლა–კრულვით იხსენიებდა გიორგი თუმანიშვილს, ეძახდა მას „მოლაღატეს“ და სხვა“. იგი

ეროვნებით სომეხი იყო, მაგრამ, ბევრი ქართველისაგან განსხვავებით, დაჟინებით მოითხოვდა, რომ თუმანიშვილად მოეხსენიებიათ და არა თუმანოვად, იყო განათლებული ადამიანი, აქტიური საზოგადო მოღვაწე, ქართული დრამატული საზოგადოების ერთ-ერთ დამაარსებელთაგანი და ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული არაერთი პუბლიკაციის ავტორი. ქართველებს ეგონათ, რომ ის ბრმად არ დაუდგებოდა გვერდით თავის თანამოძმეებს და შეეცდებოდა, ქალაქის საბჭოს არჩევნების დროს თბილისის სხვა ეროვნების მოქალაქეთა ინტერესებიც ყოფილიყო გათვალისწინებული.

რაც ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა, ამ არჩევნების შემდეგ გამოიკვეთა „დუმის“ ახალარჩეული წევრის, გაზეთ «Новое обозрение»-ს რედაქტორის – გიორგი თუმანიშვილისა და «Тифлисский листок»-ის თანამშრომლის – დავით კვებლის საერთო პოზიციები და ინტერესები. დავით კვებელმა 1898 წელს «Тифлисский листок»-ში (N55, გვ. 81-82) გამოქვეყნებული სტატიით სცადა ჩარეულიყო გიორგი თუმანიშვილისა და ილია ჭავჭავაძის პოლემიკაში პირველის მხარდასაჭერად. საპასუხო სტატიებში ილია Novus-ს, ანუ დავით კვებლს, თუმანოვის ამქრის „მეზუკეს“ უწოდებს და გიორგი თუმანიშვილს ასე მიმართავს: „თქვენის ამქრის მეზუკე Novus-ი იუდა ისკარიოტელს მაცხოვრად ვერ გავგვიხდის, ბევრიც რომ კუდი იქნით, ერთმანეთზე გამობმული“, მეორეგან წერს: „...თ. გ. თუმანოვი Novus-ისათვის ისეთი კაცია, რომ არამც თუ სიზმარი, სულელობაც კი დაეჯერება“.

«Тифлисский листок»-ის პოზიცია საქალაქო საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით ყველაზე კარგად ჩანს ილია ჭავჭავაძის 1897 წლის 19 მარტის წერილიდან: „სომხებმა დაიჩემეს სხვისი პატრონობა ტფილისში... აქაური სომხობაც ამას არამც თუ უარს არა ჰყოფს, პირიქით, იქადის კიდევ „ტფილისის ლისტოკის“ პირით, – ასეც უნდა იყოსო: ქალაქი ტფილისი ჩვენი საკუთრებაა და მისი სვე-ბედი ჩვენს ხელთ უნდა იყოსო“.

გადავავლოთ თვალი ილია ჭავჭავაძის იმდროინდელ პოლემიკურ წერილებს და ვნახოთ, შეიძლება თუ არა, რომ გამოცანების მეორე ლექსში

გიორგი თუმანიშვილი იგულისხმებოდა. სტატიაში „გიორგი თუმანიშვილისა და მისი ამქარის აზრები“ 1898 წლის 17 იანვარს ილია ჭავჭავაძე წერდა: „იგი ცალის ყბით, რომელიც ჩვენკენა აქვს მოქცეული, მითამ ჩვენთვისა სტირის და სწუხს და მეორეს ყბით, რომელიც თავის ამქარებისათვის მიუშვერია, იცინის და ჰხარობს, მითამ, ნუ გეშინიანთ, სულელებს ვაბრძვივებო“. შესაბამისად, სავსებით შესაძლებელია, რომ მასზე ეთქვა: „ვითომდა იღვწის ჩვენთვისა,/ ჩვენთვის სდის ცრემლთა ღვარია“.

იმავე სტატიაში ვკითხულობთ: „ძმობა და ერთობაო, მაინც არ იშლის და გაიძახის ეს უსტაბაში თავისის ამქარისა“. შესაბამისად, შესაძლებელია, რომ მის მიერ ძმობისა და ერთობის ქადაგების სიყალბე ილია ჭავჭავაძეს ასეც გამოეთქვა: „ძმობას გვიქადის, ერთობას,/ ისმის ზათეი და ზარია“. ძმობისა და ერთობის ქადაგებას ამოფარებული ღალატი ლეიტმოტივად გასდევს ამ წერილის მთელ პასაჟს, საიდანაც კარგად ჩანს, როგორ მოიქცნენ თუმანიშვილი და „მისი ამქარი“ 1897 წლის არჩევნების დროს: „ჩვენის სატახტო ქალაქის საბჭოში ქართველი თითქმის არ გააჭაჭანეს. თ. გ. თუმანიშვილი, რომელიც ასე გულტკბილად გვიქადაგებდა და გვიქადაგებს ძმობასა და ერთობას, როგორ მოიქცა? იმან არამც თუ ამაში არ დაინახა გატეხა ძმობისა და ერთობისა, არამედ თვისის საქციელით ბეჭედიც დაჰკრა. სხვა, მართლის გულით მქადაგებელი ძმობისა და ერთობისა, ამისთანა საბჭოს ზურგს შეაქცევდა... მაგრამ... ამასაც არ დასჯერდა: მოურავობაც კი მოეწყურა ამისთანა ძმურად შემდგარ კრებულისა... ძმობის გამტეხთა შორის ჯდომა და მეთაურობა, ესე იგი მოურავობა, განა ორპირობა არ არის იმით მხრით, ვინც ძმობისა და ერთობის იაფანას გვიგალობს ყოველდღე?“ იქვე ვკითხულობთ: „ჩვენ თ. გ. თუმანიშვილს იმას კი არ ვუწუნებთ, რომ იგი სომეხია. ჩვენ ვამბობთ, რომ იგი ორპირი კაცია, რომ იგი ჩვენთან ჰკავანებს და კვერცხს კი სხვაგან ეზიდება.“ შესაბამისად, სავსებით შესაძლებელია, რომ სიტყვები „მაგრამ რა „დუმას“ შეერთვის, / მაშინ ის ჩვენთვის მკვდარია“ – გიორგი თუმანიშვილზე იყოს ნათქვამი.

მას შემდეგ, რაც მოჰყავს ციტატები თუმანიშვილის სტატიებიდან, რომლებშიაც იგი ცდილობს დაამტკიცოს, რომ თბილისის ძველთაგანვე

სომხების ქალაქი იყო, ილია ჭავჭავაძე წერს: „ის ლოდიკა, რომელსაც დღეს თ. გ. თუმანოვი ასე თმაგლეჯით გაჰკვივის, „სადა ხარო“, მართლა სად იყო, რომ ეს სასაცილოდ ასაგდები ციფრები დაიჯერა და სხვასაც დასაჯერად მიართვა?“ სხვაგან მწერალი აღნიშნავს: „თ. გ. თუმანოვს, როგორც უკვე ყველას მოეხსენება, არამცთუ საკუთარი აზრი არა აქვს, სხვისი აზრის გაგების უნარიც არა ჰქონია.“ იგი ამახვილებს ხოლმე ყურადღებას თუმანიშვილის მსჯელობის ალოგიკურობაზე და ხშირად აშარჟებს მის ნათქვამებს: „შეიძლებაო კაცი კარგი პოეტი იყოს, კარგი ორატორიცა და პუბლიცისტად კი და შურნალისტად არ ვარგოდესო. მართალია, შეიძლება. ხოლო, ხომ ისიც შეიძლება, რომ კაცი არც კარგი პოეტი იყოს, არც კარგი ორატორი და არც კარგ პუბლიცისტად ვარგოდეს და არც შურნალისტად? ამბობენ, ეხლა თ. გ. თუმანიშვილი ამ ახალს საიდუმლოებას იკვლევსო და თავისს საკუთარს ნაწერებში ეძებს ამის საპასუხოდ უტყუარს საბუთებსა და მაგალითებსაო. ღმერთმა ხელი მოუმართოს, თავანკარა წყაროსათვის მიუგნია.“ შესაბამისად, არ იქნება გასაკვირი, რომ ილიას მასზე ეთქვა: „ბევრს აქეთ-იქით თავს ახლის, ჩლუნგია, არა მჭრელია; / რაზომცა ჰნათობს სინათლე, მისთვის ეგრეცა ბნელია.“

1897 წლის 20 დეკემბრის სტატიაში „ძველი და ახალი ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა“ ილია ჭავჭავაძე თუმანიშვილის გაზეთს – «Новое обозрени-е»–ს „სუტ-ლიბერალურ ავანჩავანს“ უწოდებს, რომელიც სამართლიანობის აღსადგენად ბრძოლას „რეტროგრადობას“ ეძახის და წრიპინს იწყებს: „დახეთ, დახეთ, შემუსრეს დედააზრი ლიბერალობისაო.“ შესაბამისად, სავსებით შესაძლებელია, რომ ამ გაზეთის რედაქტორის შესახებ მას ეთქვა: „ახლებში თავს სდებს, გვატყუებს, არ ახალია, ძველია.“

1898 წლის 17 იანვრის სტატიაში ილია ჭავჭავაძე გიორგი თუმანიშვილ-ზე წერს: „ბევრი ლიტერატურული კუდიანობა სცოდნია და ამასთან მელურად მიცოცვა და გველურად კბენა... იმან სულ სხვა მხრით მორთო თავისი მელური კუდის ქნევა და გველური სისინი.“ შესაბამისად, ვერც იმას ვიტყვით, რომ სიტყვები – „რაც გინდ რამ ქერქი იცვალოს, / გველი ეგრევე გველია“ – გიორგი თუმანიშვილზე არ შეიძლებოდა დაეწერა.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, უთარილო გამოცანები დაწე-

რილი უნდა იყოს 1897 წელს (მაისის შემდეგ) და, ძირითადად, ინსპირირებული უნდა იყოს ქალაქის საბჭოს არჩევნების შედეგებით. ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი იარაღი, რომელმაც განაპირობა, რომ სომხებმა ისევ შეძლეს საბჭოში ხმათა უმრავლესობის მოპოვება, იყო მათი მხარდამჭერი რუსულენოვანი გაზეთების აქტიური პროპაგანდისტული აგიტაცია. ორივე მათგანის («Тифлисский листок» და «Новое обозрение») რედაქტორი ეროვნებით სომეხი იყო – ივანე ხაჩატუროვი და გიორგი თუმანიშვილი, მაგრამ პირველი მისი ქართველი თანამშრომლის, დავით კვბელის, ხელით აკეთებდა თავის საქმეს. ასეთ სიტუაციაში ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო მესამე გამოცანის ობიექტი? ლოგიკურად ეს უნდა ყოფილიყო თემასთან დაკავშირებული და ასეთივე პოზიციების მქონე პიროვნება.

1897 წლის არჩევნების წინა პერიოდში ილია ჭავჭავაძისა და გიორგი თუმანიშვილის პოლემიკაში ჩაერთო ქართულ გაზეთ „კვალის“ რედაქტორი გიორგი წერეთელი, თუმანიშვილის სიძე (დის ქმარი), რომელმაც ილიას ბრალი დასდო სომეხთა უსამართლო ლანძღვაში: „ერთ დღეს სომხები ყბათ აიღეთ, იმათი ღირსება მიწასთან გაასწორეთ, მცარცველები და კონტრაბანდისტები დაარქვით...“ ილია ჭავჭავაძე გრძნობდა, რომ გიორგი წერეთელი არჩევნების წინ ისევ ცდილობდა სომხების კეთილგანწყობის მოპოვებას (ხმების მიღების მიზნით) და სტატიის „ბ–ნ გ. წერეთლის წერილის გამო“ აღნიშნავდა: „ჩვენ მოგვივიდა თითო–ოროლა წერილი ლანძღვისა და გინებისა იმის გამო, რომ ქართველ–სომხის საქმეზე ჩვენი ამრი გამოვთქვით... ჩვენ არ გვიკვირს, რომ ბ–ნი გ. წერეთელი შიგ ჩარევიდა სახელიანად ხსენებულ უსახელო ავტორებს. ერთი დიდი ღირსება ბ–ნ წერეთლისა ის არის, რომ თავის დღეში არ უღალატნია თავისის ზნე–ჩვეულებისათვის: ვისიც ერდო მაღალია, ის იმისი მაყარია. ეხლანდელ დროში, როცა „ჭუმანობა“ და ერთობ კაცური კაცობა სულელობაა, ამისთანაების ალღოს აღება დიდი უნარია მეძებარისათვის და რა კურდღელს დაიჭერს, ამას ხომ დრო გამოაჩენს.“

ვნახოთ, არის თუ არა შესაძლებელი, რომ მესამე გამოცანაში გიორგი წერეთელი იგულისხმებოდეს. 1896 წელს ფელეტონში „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე–სიცრუე“ ილია ჭავჭავაძე წერდა: „კიდევ სხვა მაგალითს მოვიყვანდი

ამისთანა მადლიან შემოქმედობისას, ზეგარდამო შთაგონებისას, თუნდა „რუხ მგელს“ გ. წერეთლისას, მაგრამ ვწუხვარ, რომ არვის წაგიკითხავთ და თავგებს დარჩათ შესაჭმელად. თავგებმა უფრო იციან ამისთანა სანუკუბარის ყადრი... აი ეხლაც გვპირდება გ. წერეთელი, ოღონდ „კვალზე“ ხელი მომიწერეთო და ჩემს ახალს ნაწერს „გულქანს“ მუქთად მოგართმევთო. მოდით და ამისთანა საჩუქარს ზურგი შეაქციეთ! თავგებს ეხლავე სუნი აუღიათ, კბილებს თურმე ჰლესენ და სიხარულით იძახიან: რა გვეშველებოდა, რომ ბ–ნი გ. წერეთელი არა გვწყალობდესო.“ შესაბამისად, სავსებით დასაშვებია, რომ მასზევე დაეწერა: „კალამი რამ უშოვნია – / მით ჰლამობს განვლოს ფონია, / მაგრამ უნარი წერისა / არცა აქვს, არცა ჰქონია.“

იმავე სტატიაში ილია ჭავჭავაძე გიორგი წერეთელს საკუთარი თავის ქების დიდოსტატად წარმოაჩენს: „ვიღაცამ წამოროშა, რომ თავისის თავის ქება დამპალ კიტრადაც არა ჰღირსო. სტყუის, თქვენმა მზემ. მაშ რამ ააცოცა ჩვენი ბრძენი გ. წერეთელი და დაასკუბა მუმიასავით „მესამე დასის“ თავზე? ამისთანა ცხადს მაგალითს მარტო ბრმა თუ ეურჩება და იმედი მაქვს, თქვენში ბრმა არავინ არის, ღვთისა და თქვენის წყალობითა.“ შესაბამისად, სავსებით ლოგიკურია, რომ მასზე ესეც ეთქვა: „თავს იქებს, თუმცა მის ქება / სხვისგან არ გაგვიგონია.“

1900 წელს სტატიაში „უმეცრობის ფართი–ფურთი“ ილია ჭავჭავაძე ნოე ჟორდანიანზე წერდა: „ეხლა ერთი ეს ვიკითხოთ, რა ძალა ადგა ბ–ნ ჟორდანიას, რომ ესეთს ბოდვას მოჰყვა და უმეცრობის მტვერ–ბუქი ააყენა... ბარემც თავისს ქერქში ყოფილიყო და კუსავით ფეხი არ გამოეყო, ვითომდა მეც ნახირ–ნახირო. მაგრამ რას იზამთ? ხელთ ჩაუგდია „კვალი“ და ხომ მოგეხსენებათ: „ყვავი რა ვარდსა იშოვის, თავი ბულბული ჰგონია.“ 1897 წელს „კვალს“ არა ნოე ჟორდანიანია, არამედ გიორგი წერეთელი რედაქტორობდა და, თუ გავითვალისწინებთ ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულებას მისდამი (რომელიც ზემოთ მოხმობილი ციტატებიდან კარგად ჩანს) და იმ ფაქტს, რომ გაზეთი ილიას წარმოსახვაში შეიძლებოდა ზემოხსენებული ანდაზის „ვარდთან“ ყოფილიყო ასოცირებული, სავსებით შესაძლებელია, რომ გიორგი წერეთელთან და „კვალთან“ დაკავშირებითაც ეთქვა რუსთველის იგივე სიტყვები: „ყვავი რა ვარდსა იშოვის, / თავი ბულბული ჰგონია.“

როგორც ვხედავთ, ორი რუსული გაზეთის («Тифлисский листок» და «Новое обозрение») წარმომადგენლებს დაემატა ქართული გაზეთის – „კვალის“ რედაქტორიც და შეიკრა ის ჯგუფი, რომელიც თავისი ჟურნალისტური ავტობიოგრაფიით ხელს უწყობდა თბილისის ქალაქის საბჭოში ისევ სომხური კლანის გამარჯვებას, და რომელმაც, ჩვენი ვარაუდით, გამოიწვია ილია ჭავჭავაძის ამ გამოცანების შექმნა. შესაბამისად, ისინი დაწერილი უნდა იყოს 1897 წლის მაისის შემდეგ და ადრესატები უნდა იყვნენ: დავით კეზელი, გიორგი თუმანიშვილი და გიორგი წერეთელი.

პირადი წერილების ადრესატები

ადრესატთა იდენტიფიცირების გარეშე, როგორც მხატვრული, ისე დოკუმენტური ტექსტის შინაარსი ბუნდოვანია. ამ პირთა დაზუსტება გვეხმარება შინაარსის სრულყოფილად აღქმაში. შესაბამისად, აკადემიური გამოცემის მზადებისას ძალზე მნიშვნელოვანია, რომ დადგინდეს თითოეული ტექსტის ადრესატი.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია ილია ჭავჭავაძის დაუმთავრებელი წერილი, რომლის ადრესატადაც მიჩნეული იყომისი და – ნინო ჭავჭავაძე – აფხაზი. სხვა მეცნიერთა აზრით, ამ მოსაზრების მტკიცებისათვის მხოლოდ ის არგუმენტი, რომ ნინოს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ძმასთან და ყურადღებით ეკიდებოდა მის ლიტერატურულ მოღვაწეობას, საკმარისი არ არის და ბარათს მოიხსენიებენ ზოგადი სახელით – „ადრეული ბარათი“.

წერილის ტექსტის დეტალურმა ანალიზმა გამოავლინა ისეთი მინიშნებები, რომლებიც ადრესატის დადგენის საშუალებას გვაძლევს. ფრაზა: „მეძნელება დატევა ამ ჩვენ ყვარლისა, ნამეტნავათ ამ ჩვენს სახლისა“ – მიგვანიშნებს, რომ ბარათი ოჯახის წევრისთვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი, მეორე ფრაზა „შენმა გაზდამ“ კი გვამცნობს, რომ ოჯახის ეს წევრი ბარათის ავტორზე უმცროსი უნდა ყოფილიყო. იმ დროს ილია ჭავჭავაძეს ჰყავდა მასზე უმცროსი და – ძმა – ელისაბედი (3 წლით უმცროსი) და თეიმურაზი (7 წლით უმცროსი). ნაკლებ სავარაუდოა, რომ მას ასე მიემართა

მასზე უფროსი დის – ნინოსთვის.

რამდენადაც წერილი ერთგვარი დამშვიდობებაც არის რუსეთში წასვლის წინ, უფრო სავარაუდოა, რომ მისი ადრესატი ქართლში, საორბელიანოში ახალგათხოვილი ელისაბედი ყოფილიყო, ვიდრე იქვე, კარდანახში, მცხოვრები ნინო, რომელთანაც ილიას მუდმივი მიმოსვლა ჰქონდა და დასამშვიდობებლად უფრო ჩააკითხავდა, ვიდრე წერილს გაუგზავნიდა. ელისაბედისთვის წერილის გაგზავნა ლოგიკური ჩანს იმ მხრივაც, რომ ახალგათხოვილ ქალთან მისი ნათესავები მიუპატიჟებლად არ დადიოდნენ ხოლმე.

რამდენადაც ჩვენამდე მოღწეულია თეიმურაზ ჭავჭავაძის მიერ რუსეთიდან სწორედ 1857 წლის მარტ–აპრილში გამოგზავნილი წერილი ძმისადმი, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ის იმ დროს რუსეთში იყო და განსახილველი უმისამართო ბარათი რომ მასთან გასაგზავნად ყოფილიყო დაწერილი, ილია ფრანკის: „ვაპირობ წასვლას რუსეთში“ – ნაცვლად დაწერდა: „ვაპირობ წამოსვლას რუსეთში.“ გარდა ამისა, საგულისხმოა ერთი რამ – ტექსტიდან არ ჩანს, რომ სამშობლოსთან განშორების განცდა, რომელზეც არის მასში ლაპარაკი, ადრესატისთვისაც ნაცნობი უნდა ყოფილიყო, არადა თეიმურაზი უკვე კარგა ხნის წასული იყო რუსეთში.

ნიშანდობლივია ისიც, რომ რუსეთის მიერ სასწავლებლებიდან ქართული ენის შევიწროების გამო, იმ პერიოდის ახალგაზრდობა ქართულად ხშირად ცუდად წერდა და მიმოწერას რუსულად აწარმოებდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ თეიმურაზის მიერ ილიასათვის ამ პერიოდში გამოგზავნილი წერილი რუსულად არის დაწერილი და იმასაც, რომ ილია ჭავჭავაძის მიმოწერა, მაგალითად, ოღლა გურამიშვილთან მათ ქორწინებამდე თითქმის სულ რუსულად მიმდინარეობდა, საფიქრებელია, რომ თეიმურაზისადმი მისი წერილებიც რუსული ყოფილიყო. ეს კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენს ვარაუდს, რომ ბარათის ადრესატი ილიას უმცროსი და – ელისაბედ გრიგოლის ასული ჭავჭავაძე და იგი დაწერილია 1857 წლის 28 აპრილზე გვიან, ანუ მას შემდეგ, რაც იგი ცოლად გაჰყვა ნიკოლოზ (ივანე) ესტატეს ძე ჯამბაკურ–ორბელიანს და მამისეული სახლიდან მეუღლესთან,

ქართლში გადავიდა საცხოვრებლად.

კრიპტოგრაფების გახსნა

ილია ჭავჭავაძის ლექსი კ. ბ. მ. – სას

კრიპტოგრაფები ტექსტის ნებისმიერ მონაკვეთში შეიძლება შეგვხვდეს და მათი გახსნა მნიშვნელოვანია შინაარსის სრულყოფილი აღქმისათვის, მაგრამ ამის აუცილებლობა კიდევ უფრო დიდია, როდესაც კრიპტოგრაფის გახსნა ადრესატის იდენტიფიკაციას უკავშირდება.

დღემდე უცნობი იყო, როგორ უნდა გაშიფრულიყო კრიპტოგრაფა „კ.ბ.მ.“ და ვის მიუძღვნა ილია ჭავჭავაძემ ლექსი „კ.ბ.მ.-სას“. ავტოგრაფი ჩვენამდე მოღწეული არ არის, ტექსტი კი პირველად 1877 წლის 24 მარტს გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში“. იმისათვის, რომ გაგვერკვია ლექსის ადრესატის ინიციალების მნიშვნელობა, დავაკვირდით ილია ჭავჭავაძის მიერ ქალბატონებისადმი მიძღვნილი სხვა ლექსების სათაურებს: „ალბომში კნენის ნატალია ანდრონიკოვისას“, „კნიაჟნა თიკოს ჭავჭავაძის ალბომში“, „ჩ... სას“ და „ს... ჩ... სას“. მივედით იმ დასკვნამდე, რომ პირველი ინიციალი შეიძლება ნიშნავდეს როგორც „კნენის“, ისე „კნიაჟნას“. შესაბამისად, ადრესატი შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც გასათხოვარი, ისე უკვე ჯვარდაწერილი ქალბატონი. დაბოლოებას – „(ი)სას“ გვარის ბოლოს, როგორც ჩანს, მე-19 საუკუნეში არ იყენებდნენ მხოლოდ გათხოვილი ქალბატონების მეუღლის გვარის აღნიშვნისას. იგი გვხვდება გაუთხოვარი ქალების მამისეულ გვართანაც. ამის დასტურია თუნდაც ილია ჭავჭავაძის ლექსების სათაურები: „ჩ... სას“ და „ს... ჩ... სას“, სადაც შემოკლებაში „ჩ...სას“ ორივეგან იგულისხმება გაუთხოვარი ქალის მამისეული გვარი – „ჩაიკოვსკაია“. ამ დაკვირვების საფუძველზე შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ლექსის „კ.ბ.მ.-სას“ ადრესატის სახელი იწყება ასო „ბ“-ზე, ხოლო მისი, ან მისი მეუღლის გვარი (თუ გათხოვილია) – ასო „მ“-ზე.

ლექსის თემიდან და განწყობიდან გამომდინარე, ამ ქალბატონთან

ილია ჭავჭავაძეს ისეთი ურთიერთობა უნდა ჰქონოდა, რომ შესძლებოდა სხვადასხვა თემამე საუბარი და გულისტკივილის გაზიარება. ჩანს ისიც, რომ ლექსის ავტორი ადამიანების მიმართ უფრო ლოიალური უნდა ყოფილიყო, ვიდრე მისი ადრესატი. ლექსის ლეიტმოტივია: „ნუ, ნუ მაყვედრი, რომ ყოველს ჩვენგანს / ხელსა ვაწვდიდი მეგობრობისას, / რომ უარყოფდი ჩემთ მოძმეთ შორის / სულის სიმდაბლეს, შხამსა მტრობისას...“ მწერალი ქალის, ეკატერინე გაბაშვილის, მოგონებებში არაერთგან ჩანს, როგორ უხერხულად გრძნობდა ილია ჭავჭავაძე თავს ქალთა საზოგადოებაში. მეორე მხრივ, იგი ასეთ უხერხულობას არ განიცდიდა ნათესავ ქალბატონებთან მიმართებით, მათ ვრცელ წერილებსაც სწერდა (მაგ. ნენე ჭავჭავაძე-ანდრონიკაშვილს, ანიკო ვაჩნაძეს) და ლექსებსაც უძღვნიდა (თიკო ჭავჭავაძეს, ნ. ანდრონიკოვისას“).

ასეა თუ ისე, წარმოუდგენლად მოგვეჩვენა, რომ ისეთი ტიპის ბიბლიოგრაფიულ ცნობარში, როგორც ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მათიანეა, ერთხელ მაინც არ გაეღვებულიყო ამ ლექსის ადრესატის სახელი. როდესაც მათიანის საძიებლებში გამოტანილ პირთა ინიციალებზე „ბ“ და „მ“ დაკვირვება დავიწყეთ, გვეგონა, რომ ბევრი შემთხვევა გამოვლინდებოდა და შემდგომი კვლევა დაგვჭირდებოდა იმის გასარკვევად, თუ რომელი მათგანი შეიძლებოდა ყოფილიყო ნაგულისხმევი ლექსში, მაგრამ მონაცემები დაემთხვა მხოლოდ ერთი პიროვნებისას. ეს არის ილიას მეუღლის, ოლღა გურამიშვილის, მამიდაშვილის – ირაკლი კონსტანტინეს ძე მუხრანბატონის – ქალიშვილი ბაბო (ბარბარე), რომელსაც მწერალი პირად წერილებში „ბაბო მუხრანსკად“ მოიხსენიებს.

ილია ჭავჭავაძის პირად წერილებში არაერთგან ჩანს, რომ მუხრანბატონები მას ქედმაღლურად უყურებდნენ, როგორც რიგით თავადს (და არა სამეფო წარმომავლობისას) და თან ღარობს. ჩანს ისიც, რომ კიდევ უფრო დიდი ამბიციები ჰქონია ბაბო მუხრანსკის დედას – ეკატერინე ივანეს ასულ არღუთაშვილ-მხარგრძელისას. საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა არ უნდა ჰქვებოდა პირადად ბაბოსაც. ილია ჭავჭავაძის წერილში მეუღლისადმი ვკითხულობთ: „ბაბო მუხრანსკის წიგნი მოგვსვლია, რომელშიაც ჩემზედ სამდურავი მოუწერია... მიკვირს, რათ მოჰვონებხიარ დიდ მუხრანბატონებს,

ანუ ჩემი მათთან მიუსვლელობა რად შეუძინევიათ.“ შესაბამისად, საცესებით ბუნებრივად გვეჩვენება, რომ ილია ჭავჭავაძე ლექსით შეკამათებოდა ამ ქალბატონს იმასთან დაკავშირებით, უნდა გაუწოდონ თუ არა ადამიანებმა გვერდით მდგომს მეგობრობის ხელი („ნუ, ნუ მაყვედრი, რომ ყოველს ჩვენგანს / ხელსა ვაწვდიდი მეგობრობისას“) იოლად უნდა იჯერებდნენ თუ არა მოძმეთა მტრობას („რომ უარვეყოფილი ჩემთ მოძმეთ შორის / სულის სიმდაბლეს, შხამსა მტრობისას...“), უნდა ჰქონდეთ თუ არა სიკეთის რწმენა („მე ვაცთ სიკეთის მხურვალე რწმენა / ჭირში თუ ლხინში წინ მიმიძლოდა...“) და რა სჯობს, ცივი გონება და ნიჰილიზმი, თუ ადამიანებისადმი ნდობის შენარჩუნება („ოღონდ კვლავ მომე: ის ცდომა მიჯობს, / ვიდრე უცდომი გამოცდილება!“ „უმისოდ გული ცივია, ბნელი, / ვითა სადგური გაუქმებული“).

ლექსი დაიბეჭდა 1877 წლის მარტში, მაგრამ ძნელი სათქმელია, იგი გამოქვეყნებამდე ცოტა ხნით ადრე დაიწერა, თუ წინა წლებში (ბაბო მუხრანსკის ილია, სავარაუდოდ, გაიცნობდა ოლღა გურამიშვილისგან, 1863 წელს), ან რა კონკრეტული განწყობა და ფაქტი დაედო მას საფუძვლად. 1877 წლამდე ილია ჭავჭავაძეს არაერთი ღალატი და დაპირისპირება ჰქონდა განცდილი. 1870–იანი წლების დასაწყისში იგი აქტიურად იყო ჩართული ე. წ. „მამათა და შვილთა ბრძოლის“ მეორე ეტაპში, 1873 წლიდან ბევრი მტერი გაიჩინა ბანკის საკითხებთან დაკავშირებით (გავისხენოთ, თუნდაც, ნიკო ჭავჭავაძის მაგალითი), 1875 წლის იანვარში კი მისი სიმამრის, თადეოზ გურამიშვილის, გარდაცვალებას მოჰყვა სამემკვიდრეო დავები და ხელახალი დაპირისპირება მეუღლის ნათესავებთან, რომლებმაც იმდენი მოახერხეს, რომ ოლღა გურამიშვილ–ჭავჭავაძისას მამის მემკვიდრეობის ძალზე მცირე ნაწილი შეახვედრეს. როგორც ვხედავთ, ლექსში გადმოცემული განწყობისთვის მწერალს არაერთი მიზეზი ჰქონდა, ადრესატი კი, ჩვენი ვარაუდით, უნდა იყოს მისი ნათესავი (მეუღლის მხრიდან) — „კნიაუნა ბაბო (ბარბარე) მუხრანსკისა“, რომელიც ილია ჭავჭავაძის სანათესაოში არსებული დაპირისპირებების საქმის კურსშიც იყო და საზოგადოებრივ ასპარეზზე მიმდინარე მოვლენებისაც.

ილია ჭავჭავაძის ლექსები სათაურით „ს...ს“

ყოველი ლიტერატურული ნაწარმოები, თუნდაც პატარა ლირიკული ლექსი, ან ეტიუდი, დამოუკიდებელი მხატვრული ქმნილებაა და ერთგვარი სრულყოფილება ახასიათებს, მაგრამ ზოგიერთი მწერლის შემოქმედება იმდენად მონოლითურია, რომ ერთი თხზულების მხატვრულ სახეთა აღქმაში ხშირად დიდ დახმარებას გვიწევს სხვა ნაწარმოებები. ილია ჭავჭავაძის ორ ლირიკულ ნაწარმოებს მწერლის ხელნაწერ რეველებში ერთნაირი სათური აქვს – „ს...ს“. ზემოთქმულიდან გამომდინარე, მათ უკეთ აღსაქმელად და კრიპტოგრამის გასახსნელად საჭიროდ ჩავთვალეთ, თვალი გადაგვევლო მხატვრული სახეების მხრივ, ქრონოლოგიურად, იდეურად და თემატურად ამ ლექსებთან ახლოს მდგომი სხვა თხზულებებისთვისაც.

პირველი ლექსი სათაურს – „ს...ს“ ატარებს მხოლოდ ხელნაწერებში, პუბლიკაციებში კი, როგორც ავტორის სიცოცხლისდროინდელში, ისე გვიანდელში, იბეჭდება უსათაუროდ („მაშინ დავსტკბები...“). ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემისათვის დართულ შენიშვნებში მის შესახებ ნათქვამია: „ვერ გავარკვეით, ვის ეკუთვნის ეს ინიციალები“; 1925–1951 წლების კრებულებშიც ამასთან დაკავშირებით რაიმე კონკრეტული აზრი არ არის შემოთავაზებული; თხზულებათა აკადემიური ოცტომეულის პირველ ტომში კი გამოთქმულია ვარაუდი, რომ ლექსი ეძღვნება რუსი კომპოზიტორის, პეტრე ჩაიკოვსკის, დას – საშენკას.

მეორე ლექსი, რომელიც ავტოგრაფებში იმავე სათაურს ატარებს – „ს...ს“, მწერლის სიცოცხლეში, როგორც ცნობილია, არ დაბეჭდილა და შემორჩენილია მხოლოდ ხელნაწერების სახით. ერთ-ერთი ავტოგრაფის ტექსტი გადახაზულია ავტორის მიერ და მისივე ხელით მიწერილი აქვს „რიტორიკა“. როგორც ჩანს, მწერალს ზედმეტი რიტორიკულობა შეუნიშნავს მასში და დაუწუნებია. ამ ფაქტის გამო, ხსენებული ლექსი ილია ჭავჭავაძის თხზულებათა თანამედროვე გამოცემებში იბეჭდება „პოეტის მიერ უარყოფილ“, ან „ავტორის მიერ დაწუნებულ“ ლექსთა განყოფილებაში. მწერლის თხზულებათა ოცტომეულის პირველ ტომში მის შესახებაც

იმავეს ვკითხულობთ: „ს...ს“, ჩვენი ვარაუდით, გულისხმობს „საშას“, (ან „საშენკას“), ისევე როგორც ლექსები „მაშინ დავტკბები...“ „ს...ჩ...სას“ და „ჩ...სას“.

კომენტარში დასახელებული ლექსები „ს...ჩ...სას“ და „ჩ...სას“ ამ სათაურებით რამდენჯერმე გამოქვეყნდა მწერლის სიცოცხლეშივე (ისინი დათარიღებულია 1860 წლის 21 და 22 ივლისით), მაგრამ არც რომელიმე პუბლიკაციაში და არც პოეტის ჩანაწერებში არსად არ იყო ახსნილი სათაურის ინიციალები. ამიტომ საკითხის დადგენა მეცნიერებს მოუხდათ. ამასთან დაკავშირებით აზრი გამოთქევს გრიგოლ ყიფშიძემ, იაკობ ბალახაშვილმა; მოგვიანებით კი მის კვლევას მიეძღვნა სპეციალური წერილები: შალვა აღზაბიშვილის „ილია ჭავჭავაძის სამი ლექსის ადრესატის დაზუსტებისათვის“, ჯიმშერ მუჯირის „შრომანების ფიანდაბი“, გურამ შარაძის „ილია ჭავჭავაძე და ჩაიკოვსკები“. აზრთა სხვადასხვაობა დაკავშირებული იყო იმასთან, თუ რა ერქვა ლექსების ადრესატს – სოფიო თუ ალექსანდრა (საშენკა) და რა იყო იგი კომპოზიტორი ჩაიკოვსკისა – და, თუ ბიძაშვილი. მაგრამ ყველა მკვლევარი აღიარებდა, რომ ეს ლექსები ეძღვნება ახალგაზრდა რუს ქალიშვილს – ჩაიკოვსკაიას და არც ერთ მათგანს არ დაუსვამს საკითხი, რომ იმავე ადრესატისადმი უნდა იყოს მიძღვნილი ის ორი ლექსიც, რომელთაც სათაურად აქვს „ს...ს“.

ინიციალი „ს“, სხვა არგუმენტების გარეშე, არასაიმედო დასაყრდენია, რადგან ამ ასოზე უამრავი საკუთარი და საზოგადო სახელი იწყება, რომელთა მიცემითი ბრუნვის ფორმასაც შეიძლებოდა გამოეხატა ლექსის ძღვნა კრიპტოგრამაში შეფარული ადრესატისადმი. ასეთ დროს ყველაზე საიმედო ორიენტირი ლექსის შინაარსი და, მწერლის მხატვრული სტილისა და შემოქმედების თავისებურებებიდან გამომდინარე, მისი იდეურ-მხატვრული ანალიზია.

ცხოვრება ადამიანისა მრავალფეროვანია და შემოქმედებაც სხვადასხვა თემას მოიცავს, მაგრამ არის ხოლმე ზოგჯერ ისეთი გრძნობა, მოტივი, რომელიც თან გასდევს ამა თუ იმ მწერლის მთელ მხატვრულ მემკვიდრეობას. ასეთია ილია ჭავჭავაძესთან სიყვარული. „ყველგან ეს სიტყვა / ლამპრად წინ

მიმყვა / და ქვეყნად ჩემს სვლას / სცემდა წმინდ ნათელს...“, ამბობს პოეტი და, მართლაც, ამ გრძნობით არის განმსჭვალული მისი თითოეული ნაბიჯი და სიტყვა. ამქვეყნიურისადმი სიყვარული მრავალგვარი არსებობს – დედა–შვილური, ქალ–ვაჟისა, და–ძმური, სიყვარული ზოგადად ადამიანისადმი, მოძმისადმი, საქმისადმი, ქვეყნისადმი და სხვ. მაინც ამ გრძნობათაგან ყველაზე ძლიერ რომელი ენთო მის გულში? რომელი იყო ის ვარსკვლავი, რომელსაც მარად ეტრფოდა? (იხ. ლექსი „მითხარით, რისთვის...“) აი, რას ვკითხულობთ პოემაში „ქართვის დედა“: „ეჰა, მამულო, შენის ტრფობის ძალსა ღვთიურსა / რა დაუდგება? კლდის სიმაგრეს აძლევ უძღურსა...“, „რა სხივოსანი შუქი შენი აღმობრწყინდება / კაცისა გულში, ყველა გრძნობა მასშია ჰქრება“.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში ეროვნული გრძნობა ყოველივე ამქვეყნიურზე წინ დგას. იგი თავს იჩენს სრულიად სხვადასხვა თემაზე შექმნილ მის ლექსებში, ისეთებშიც კი, რომელთა ძირითადი თემა ქალისადმი ტრფიალებაა. ლექსში „მეც შავს თვალებს...“ მომხიბლველად არის აღწერილი შავი თვალების ეშხი და შინაგანი სიღრმე, მაგრამ მისი ორტაეპიანი ფინალური ფრაზა – „ვეძებ და ვეძებ აქ მე შავს თვალებს, მაგრამ რუსეთში ვინ დამანახვებს!...“ – ამ ლირიკულ ტექსტს სულ სხვა – ეროვნული ნოსტალგიით ავსებს. ასევე ხდება ზემოხსენებული „ჩ“–სადმი მიძღვნილ ერთ–ერთ ლექსშიც. ძირითადი თემა აქაც ქალისადმი ტრფობაა, მაგრამ სიტყვებში: „ერთხელ მითხრა: ცხოველ ქვეყნის / ივერიის შობილი ხარ, / მაღალ მთების ქარიშხალით, / ელვით, ჭექით გაზრდილი ხარ... / შენს მხურვალს გულს ვითა გასცემს / პასუხს ჩემი ცივი გული?“ ისეთი ემოციური დატვირთვა და ამადლებული ეროვნული განცდა იგრძნობა, რომ იგი ჩრდილავს ქალისადმი ტრფობის თემასაც და, ნაწილობრივ, ლექსის პესიმისტურ განწყობასაც.

არსებობს მოსაზრება, რომ ილია ჭავჭავაძის არაერთი პატრიოტული ლექსი დაწერილია სატრფიალო ლირიკის მოტივებზე. ვავისხენოთ, თუნდაც, „ჩემო კარგო ქვეყანავ...“ რომელიც სალექსო ფორმითაც და რეფრენითაც მოგვაგონებს სასიმღერო ლექსს „ორთავ თვალის სინათლევ...“. სამშობლოსადმი ტრფობა, მის აწმყობზე გოდება და მომავლისადმი სასოება

ილია ჭავჭავაძის მრავალი ლირიკული ლექსის საფუძველია, მაგრამ, პატრიოტული თემატიკისადმი განსაკუთრებით მკაცრი საცენზურო პირობების გამო, მწერლის გრძნობები და ჭეშმარიტი მისწრაფებები ხშირად პოეტურ ნიღაბს არის ამოფარებული. მისი ყველაზე საკრალური სათქმელი ხან დედის ნანაში და ყრმის დალოცვაშია ჩაქარგული (იხ. „ნანა“ და „გ. აბხ.“), ხან ვილაცის სიმღერაში (იხ. „ქართველ სტუდენტების სიმღერა“ და მეფანტურის სიმღერა „მეფე დიმიტრი თავდადებულში“), ხან მთებთან და მდინარესთან საუბარში (იხ. „ყვარლის მთებს“, „ალაზნს“, „მტკვრის პირას“), ხან ბუნების სურათებში (იხ. „ჩიტი“, „გაზაფხული“, „დაკარგული ედემი“), ხან ლეგენდაში („ბაბალეთის ტბა“), ხან სიმბარში („ძმაო, სურვილით“) და ხანაც პოეტურ სატირაში („ბედნიერი ერი“, „გამოცანები“, „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“, „რჩევა“).

მხატვრულ ლიტერატურას და, მით უფრო, პოეზიას, ყოველდღიური მეტყველებისა და დოკუმენტური ლიტერატურისაგან განასხვავებს, უპირველეს ყოვლისა, მხატვრული გამომსახველობა. ხელოვანის წარმოსახვაში რეალობა პოეტურ სახეს იღებს და ხშირად ისეთ რთულ, სიმბოლურ-ალეგორიულ ფორმებში გვევლინება, რომელთა აღქმა იოლი არ არის. სწორედ ასეთ შემთხვევაში იგრძნობა განსაკუთრებული საჭიროება იმისა, რომ ნაწარმოები განვიხილოთ არა სხვებისაგან მოწყვეტით, არამედ მწერლის შემოქმედების მთლიან სპექტრში.

ილია ჭავჭავაძეს აქვს სტუდენტობისდროინდელი ერთი ლექსი, რომელიც ასე იწყება: „ძმაო! სურვილით, / ანთებულ გულით, / რაც ცხადად მწადად, / სიმბარი ხატდა.“ შემდეგ აღწერილია თვით სიმბარი: „მესიზმრა მშობელ / ქვეყნის მთა-ბარი, / ხვევნა მსურდა მთის, / ჩემ ძველ ნაცნობის / შთანთქმა ტკბილ ხმისა / ქართველის სიტყვისა, / ალერსით შეპყრა / ჩვენ შშის სხივისა... / იქ ვნახე სახლი, / სადაც მე თვალი / პირველ ვახილე / და რა ვახილე? / ტახტზედ ჯდა ქალი / სწვიმდა მის თვალი, / ჩემს თავსა ვკითხე, / ვინ არს მტირალი?... / მსურდა შემეპყრა, / გულსა მიმეპყრა...“ და სხვ.

ლექსის შინაარსსა და მხატვრულ სახეებზე დაკვირვება აშკარად მიგვანიშნებს, რომ ეს ქალი ალეგორიული სახეა და არა რეალური. სიტყვები:

„მსურდა შემეპყრა, გულსა მიმეპყრა...“ ისევე არ არის ეროტიკული, როგორც ლექსის შესავალში ნათქვამი: „ხვევნა მსურდა მთის, ჩემ ძველ ნაცნობის... ალერსით შეპყრა ჩვენ მზის სხივისა“ და სხვ. ეს ქალი იმავე მშობლიური მთა-ბარის მხატვრული სახე უნდა იყოს, მაგრამ პოეტი ამბობს, მისგან მხოლოდ ჩრდილიღაა დარჩენილი. ამიტომაც უჭირს მისი შეცნობა ლირიკულ გმირს: „ვსცნობდი, არც ვსცნობდი მტირალსა ქალსა და გულში ვგრძნობდი რიღაცის ალსა“. თუმცა, საკმარისია, რომ მტირალმა მოუხმოს მას, ახსენოს მისი დავიწყებული სახელი, რომ პოეტმა მაშინვე იცნოს იგი და ხელები გაშალოს მის გულში ჩასაკრავად. აქ ყურადღებას იქცევს სიტყვები: „დავიწყებული მისი სახელი“. ილია ჭავჭავაძის თქმით, „ის სახელი, რომელიც ყველას გვერქვა, დიდი ხანია დაირღვა, ჩვენის გონებიდან ამოშრა და ქართველი ეხლა ერთის კუნჭულის მცხოვრებთა საკუთარი კერძობითი სახელიდა გახდა...“ შეიძლება ლექსიდან ჩვენ მიერ გამოყოფილ ფრაზაშიც ამ სახელზე იყოს ლაპარაკი და ეს აზრი ჰქონდეს ავტორს გატარებული.

მკვნესარე, აცრემლებული მამულის სახემ არ შეიძლება არ მოგვაგონოს პოეტის სხვა ნაწარმოებები, რომლებშიც მსგავსი შედარებებია. მაგალითად, ლექსი „ნანა“: „გაიგებ მამულისას / ბედქვეშ დაჩაგრულისას, /კვნესის ხმასა მწუხარეს, /შველის ძახილს მმუდარეს...“, ასევე ლექსი „გ. აბხ.“: „რომ დღენი ისე არ დაელიოს, / მინამ ტანჯვისა ცრემლი თვის ხალხსა / ცოტათი მაინც მან არ მოსწმინდოს...“ და, ბოლოს, ლექსი „პოეტი“, რომელშიც ხელოვანის სანუკვარი მიზანი და დანიშნულება ასეა ჩამოყალიბებული: „მაშინ ვიმდერ, მხოლოდ მაშინ, / მოვსწმენდ ერსაც ტანჯვის ცრემლსა...“. როგორც ვხედავთ, იქ, სადაც „მამული“, „ხალხი“ და „ერი“ პირდაპირ არის ნახსენები, მსგავსი მხატვრული სახეები იოლად აღიქმება, მაგრამ, როდესაც ალევორიაა და მტირალი მამული აცრემლებული ქალის სახით არის წარმოჩენილი, პოეტური სახე, რომლის უკანაც, ფაქტობრივად, იგივე რეალური ხატი დგას, ძნელი გასაშიფრი ხდება.

რუსი ქალიშვილის ჩაიკოვსკაიას გაცნობამდე და ჯერ კიდევ რუსეთში გამგზავრებამდე დაწერილ ლექსში „ყვარლის მთებს“ უკვე ჩანს პოეტის მოზღვავებული, უსაზღვრო გრძნობაც სამშობლოსადმი, ცრემლთა ნაკა-

დულიც და უპასუხოდ დარჩენილი ტრფობის უნუგეშობაც. ილია ასე მიმართავს მშობლიურ მთებს: „თქვენ შეგჩიოდით, შეგტიროდით, თუმც კი იმ ჩემს ცრემლს, / როგორცა ეხლა, ისე მაშინ არ სცემდით ნუგეშს...“

უიმედო ტრფობით არის აღსავსე 1859 წლის 19 თებერვალს დაწერილი ლექსიც „ვამ მას ვისაც...“. „ვამ მას – ვისაც ვაძლევდი მსხვერპლად / ჩემს თავს, სიცოცხლეს, გრძნობას, სურვილს“, მაგრამ სევდის ობიექტად ჩაიკოვსკაია ვერც აქ იქნებოდა ნაგულისხმევი, რადგან ლექსის შექმნის წინა დღეს, 18 თებერვალს, პოეტის მიერ დისადმი მიწერილი ბარათიდან ჩანს, რომ ამ ქალთან ურთიერთობაში პრობლემები არა აქვს: „ერთმა ქალმა ქალური ვერცხლის ქამარი მთხოვა ხანჯლითა და დავპირდი. შენი ჭირიმე, ნინუცი, ნუ გამამტყუნებ იმ ქალთან, მერე უნდა იცოდე, რა ქალია! იმათ ოჯახში როგორც შვილი ისე ვარ მიღებული. ასეთი დედ-მამა ჰყავს, რომ თავი შემავყარეს“. შესაბამისად, ვაებისა და ტანჯვის მიზეზი აქაც არა პირადული, არამედ საზოგადო სატკივარი უნდა იყოს.

„ს“–სადმი მიძღვნილი ლექსის ადრეულ ვარიანტში ვკითხულობთ: „მაშინ დავსტკებები სრულ სამოთხითა, / რომ სულ შენ ცისფერს შევყურებდე თვალს!.. / ვცხოვრობდე მხოლოდ მის გამოთქმითა, / ჩემ გულზედ ვგრძნობდე შენს მშვენიერს თავს, / ვსნთქავდე შენს სუნთქვას მთელისა გრძნობით... / მაშინ, ოხ მაშინ კი დავლოცავ ცას, / მაშინ აღვივსებ გულს წმინდა ლოცვით.“

რა თქმა უნდა, მხოლოდ ამ ტექსტზე დაყრდნობით, ავტორისეული სტილის, მხატვრული სახეებისა და მრავალი სხვა, თუნდაც ფსიქოლოგიური, ფაქტორის გაუთვალისწინებლად, იგი ერთი წაკითხვით, მართლაც, შეიძლება მოგვეჩვენოს რეალურად არსებული ქალისადმი მიძღვნილ ნაწარმოებად, მაგრამ კრიპტოგრამის გახსნისას აუცილებელია კომპლექსური კვლევა. დავაკვირდეთ ცალკეულ ფრაზებს და გამონათქვამებს: „მაშინ დავსტკებები სრულ სამოთხითა“, – წერს პოეტი. ამქვეყნიურ მიწიერ რეალობათაგან ილიას ნაწარმოებებში სამოთხესთან არის ხოლმე შედარებული მისი სამშობლო. იხ. მაგ., პოემა „აჩრდილი“: „ვიმ ეს ქვეყანა ხმელეთის თვალი / დიდი სამოთხის კუთხე პატარა...“. ლექსში „კითხვა-პასუხი“ მწერალი სამშობლოს ათქმევინებს: „მე სამოთხე ვარ და თქვენ კი, თქვენ კი!.. / ვამ,

ქე ჩემი ბედკრულ-უძლური!..“. ერთგან სამშობლო დაკარგულ ედემთან არის შედარებული, იხ. „დაკარგული ედემი“: „ვის უნახავს ის ედემი შლილი... / ვის უნახავს ის სამშობლო ჩემი?“

რისი თქმა შეიძლება უნდოდეს უცხო ქვეყანაში და უცხო ხალხში მცხოვრებ პოეტს სიტყვებით: „მაშინ დავსტკბები სრულ სამოთხითა, / რომ სულ შენ ცისფერს შევეყურებდე თვალს...“? იმავე 1858 წელს დაწერილ ერთ ლექსში – „უცხოეთში“ პოეტის ნოსტალგია მწვავედ არის გამოხატული მშობლიური ცის მონატრების სახით: „და მხოლოდ ჩემი ურვით მოკლული / შემომტირის მე მწუხარედ გული... / მისთვის ხომ არა, რომ ვსჭვრეტ სხვა ზეცას, / სხვათა უფერულთ ვარსკვლავთა დენას? / თუ მოაგონდა, რომ ერთხელ მეცა / ვგრეთ დამცქერდა სამშობლოს ზეცა...“. ამ პერიოდის ლექსების სტილზე, მათ მხატვრულ სახეებზე დაკვირვებიდან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია, რომ „ცისფერ თვალში“, რომლის მუდმივცქერასაც ნატრულობს პოეტი, სამშობლოს ზეცა იგულისხმებოდეს. ეს ერთგვარად ჩანს კიდევაც ბოლო ტაეპის ემოციურ ამოძახილში: „მაშინ, ოხ მაშინ კი დავლოცავ ცას, / მაშინ აღვივებ გულს წმინდა ლოცვით.“

ფრაზის: „ჩემ გულზედ ვგრძნობდე შენს მშვენიერს თავს...“ მსგავსი ალეგორიის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი ლექსის „სიმზარი“ განხილვის დროს, იხ. „მსურდა შემეპყრა, გულსა მიმეპყრა...“ მსგავსი შედარება „მგზავრის წერილებშიც“: „იქნება (ჩემმა ქვეყანამ) მიმიღოს კიდევ და, როგორც თავისი შვილი, გულზედაც მიმიკრას და ხარბად დამიგდოს ყური, მაგრამ შევიძლებ კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და იმ სიტყვით გულისტკივილი მოვურჩინო, დავრდომილი აღვადგინო, უნუგემოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო...“

ახლა ვნახოთ, რამდენად შესაძლებელია, რომ სამშობლოსადმი მიძღვნილ ლექსში იყოს ისეთი გამონათქვამები, როგორებიც გვხვდება ამ ნაწარმოების მეორე ვარიანტში: „როს ვით მე გეტრფი, შენცა მეტრფოდე...“ გავიხსენოთ ფრაზა ლექსიდან „ყვარლის მთებს“: „თქვენ შეგჩიოდით, შეგტიროდით, თუმც კი იმ ჩემს ცრემლს, / როგორცა ეხლა, ისე მაშინ არ სცემდით ნუგემს...“ თუკი ლირიკულ ნაწარმოებში შეიძლება, რომ ქვეყანა

ცრემლს ჰღვრიდეს, კვნესოდეს, მშველელს ეძახდეს, ანუგეგმებდეს, ან არ ანუგეგმებდეს, სავსებით შესაძლებელია, რომ ლირიკული გმირის ტრფიალებზე სამშობლოს საპასუხო გრძობაზეც ვისაუბროთ. ქვეყანა სხვა რა არის, თუ არა – ხალხი. ქვეყნის მხატვრულ სახეში რომ ილია სწორედ მის ხალხს გულისხმობს და მათ გრძობებზე საუბრობს, ამას მოწმობს ამავე ლექსის ერთი ტაეპის ვარიანტული წაკითხვაც: „მაშინ... მაშინ კი მე ვირწმენ ვაცსა...“. აქ რომ ერთი კონკრეტული ქალისადმი ტრფობა იყოს გამომხატული, მაშინ ეს ფრაზა სრულიად შეუსაბამო იქნებოდა.

სიტყვებში: „როს ვით მე გეტრფი, შენცა მეტრფოდე“, განსხვავებული მხატვრული გამომსახველობით იგივე აზრი უნდა იყოს გამოთქმული, რაც ლექსში „დაე თუნდ მოვკვდე...“, სადაც პოეტი ამბობს, სიკვდილის არ მეშინია, ოღონდ „ქართველმა, ჩემგან შეყვარებულმა“ ნახოს ჩემი ნაკვალევი, რასაც ვთავაზობ მოიხმაროს და სამარეში მაინც ჩამომძახოს, რომ ამოდ არ მიზრუნია მასზეო. ვფიქრობთ, რომ თანამემამულეთა ამგვარ დამოკიდებულებაში, მათ მიერ მისი შემოქმედების სწორ აღქმაში ხედავდა ილია სატრფოს თანაგრძობას მის სიყვარულზე. ეს აზრი მით უფრო დამაჯერებლად გვეჩვენება იმის გათვალისწინებით, რომ ამ ლექსების დაწერის თარიღებს სულ რაღაც ერთი თვე აშორებს ერთმანეთისაგან.

რამდენად შესაძლებელია, რომ სიტყვებში: „ქალწულების კრთომით, მორცხვობით მე შენს სიყვარულს მეუბნებოდე“ სამშობლო იგულისხმებოდეს? ქალწული, საერთოდ, სახეა უბიწოებისა და სიწმინდისა და სავსებით შესაძლებელია, რომ იგი რაიმე წმინდას, თუნდაც ცოდვებისაგან განწმენდილ ერს განასახიერებდეს. ასეა, მაგალითად, ვახტანგ ორბელიანის ნაწარმოებში „იმედი“. ვახტანგ ორბელიანის ამ ლექსის გახსენება განსაკუთრებით საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია ილიას აზრი მის შესახებ და ლექსის ალევგორიულ სახეთა მისეული ხედვა. პოეტი აღნიშნავს, რომ ეს ტურფა ასული ლექსში იმედს განასახიერებს – იმედს, რომელიც, ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე, ქვეყნის ბედნიერ მომავალს უკავშირდება.

საერთოდ, ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაში ძალიან ხშირია

სამშობლო ქვეყნის ტურფა ასულთან, სატრფოსთან ასოცირება. იმ ასულზე, რომელიც ორბელიანის ლექსში იმედს განასახიერებს, ვკითხულობთ: „გრძნობითა სახე უბრწყინავდა, უძგერდა გული...“ და, თუკი ქვეყნის იმედის ალევგორიული სახის შესახებ ამის თქმა შეიძლება, რა თქმა უნდა, ისიც არ არის გასაკვირი, რომ ასევე ალევგორიულ ლექსში ილია ჭავჭავაძესთან ქალწულს, რომელიც იმავე სამშობლოს განასახიერებს, ქალწულებრივი კრთომა და მორცხვობა ეტყობოდეს. პოეზია, როგორც ილია ჭავჭავაძე იტყოდა მრავალმნიშვნელოვნად – პოეზიაა და მას გამომსახველობის ნატურალისტური სიზუსტე არ უნდა მოვთხოვოთ. ქალწულ იმედს შეუძლია დაამშვიდოს ამ პოეტური წარმოსახვის ავტორი – ვახტანგ ორბელიანი ქვეყნის ბედნიერი მომავლის წინასწარმეტყველებით და ასევე ქალწულის სახეში განხორციელებულ სამშობლოს პოეტურ ხატსაც შეუძლია ამ მხატვრული სახის ავტორს – ილია ჭავჭავაძეს სიყვარულზე სიყვარულით უპასუხოს. ეს ხომ პოეზიაა...

„მე დაგყურებდე ტრფიალებითა...“ ვკითხულობთ ლექსი „ს...ს“ მეორე ვარიანტში და არ შეიძლება არ მოგვაგონდეს 1858 წლის მიწურულშივე დაწერილი პოემა „აჩრდილის“ პირველი რედაქციის კიდევ უფრო ხატოვანი შედარება: „სულ საქართველო მოჩანდა შორსა... / და ის მოხუცი, როგორც სატრფოსა, / თვალითა სჭამდა, თრთოლით უმზერდა, / და უფრო, უფრო გული უძგერდა. / საქართველოცა თვის უხვ სიმდიდრით, / თვის მინდვრებითა გარდიშლებოდა / და მას ტრფიალსა ზღვანი ორივე მხრით / როგორც საყვარელს გარდახვევოდა.“

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, ამ სტროფებში საქართველო რომ არ ყოფილიყო ნახსენები, მისი პოეტური სემანტიკა და დედააბრიც ხომ ისევე ძნელი ამოსაცნობი იქნებოდა.

როგორც ვხედავთ, კრიპტოგრამული სათაურის მქონე ლექსში წარმოდგენილის მსგავსი მხატვრული ასოციაციები პოეტის იმ პერიოდის ნაწარმოებებში უჩვეულო არ არის. სამშობლოს ხატი და სატრფოს სახე ბევრგან ერთი და იგივეა. მართალია, „აჩრდილი“ პოემაა, მაგრამ საყოველთაოდ აღიარებულია, რომ იგი ლირიკული პოემაა. ნაწარმოების

შესავალშიც და ეპილოგშიც პოეტი რამდენჯერმე გვიმეორებს: „ჩემს გულის წვასა“, „ჩემს ტანჯვასა და ჩემს ფიქრს“ მოგითხრობთ ეს პოემაო. ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ზემოთ განხილული ციტატაც სწორედ მისი თვალებით დანახულ საქართველოს აღწერს.

„მწყუროდეს, მაგრამ კრძალულებითა მე შენთვის კოცნაც ვერ გამებედოს...“ ამბობს პოეტი იმავე ლექსში სათაურით „ს...ს“ და რომ მსგავსი რამის თქმა არა მხოლოდ პირდაპირი, არამედ მეტაფორული მნიშვნელობითაც შეიძლება, ამას მოწმობს „აჩრდილის“ იმავე ვარიანტის კიდევ ერთი სტროფი, სადაც ყაზბეგის მთის შესახებ ნათქვამია: „იმ მორჭუმულს მოხუცს თვით მთიებთ კრება / თითქო კრძალვით ეალერსება!“. როგორც ვხედავთ, მხატვრულ სახეთა ღრმა ალევორიულობა ილია ჭავჭავაძის პოეზიაში ჩვეულებრივი მოვლენაა და, თუ „მთიებთ კრება“ კრძალვით ეალერსება მოხუცის აჩრდილს, პოეტური წარმოსახვისათვის არც ის უნდა იყოს გასაკვირი, რომ მწერალს სატრფოს სახეში წარმოჩენილი ქვეყნისათვის კრძალვით კოცნა ვერ გაებედოს.

წარმოდგენილი ლექსის სხვადასხვა ვარიანტზე მწერლის მუშაობის შემოქმედებითი პროცესის შესწავლის შედეგად, მკვლევარი ლაღო მინაშვილი მივიდა ასეთ დასკვნამდე: „...თითქოს პოეტი თრგუნავს თავისსავე თავში ტრფობის მიწიერ მხარეს, თითქოს ცდილობს, რომ სატრფოშიც მხოლოდ სულიერი სიფაქიზე ეძებოს და იხილოს“. ლექსის სხვადასხვა წყაროზე დაკვირვება, მართლაც, აშკარას ხდის, რომ მწერალს აქცენტი სულ სულიერზე გადააქვს, მაგრამ ამის მიზეზი სწორედ ლექსის ალევორიულობა და მისი ალევორიული ადრესატია. ნაწარმოების პირველ ვარიანტში ეს სახე ისე იყო წარმოჩენილი, რომ ლექსის გამომხატვის პლანი ძალიან დამორებული იყო მის შინაარსსა და მწერლის შემოქმედებით ჩანაფიქრს. თითქმის არ ჩანდა კვალი იმისა, რომ ლექსი სამშობლოს ეძღვნება. გვიანდელ ვარიანტში მწერალი შეეცადა წონასწორობის დაცვას ამ ორ პლანს შორის. ამისათვის მან პირველი ვარიანტის ფორმები ჩანაფიქრისათვის უფრო შესაფერისი ელფერის მქონე გამომსახველობითი საშუალებებით ჩაანაცვლა.

ლექსში „ს...ს“ წლების სიმრავლითა და მანძილის სიმოროთ გამოცდილი

უსასრულო ტანჯვა-ვაების აღმძვრელი გრძნობა ჩანს და არა მსუბუქი გატაცება როგორც ჩაიკოვსკაიასადმი მიძღვნილ ლექსებში. მისი პირველი ვარიანტი დაწერილია იმავე დღეს, 1858 წლის 15 დეკემბერს, როდესაც შეიქმნა პოეტის კიდევ ერთი პატრიოტული შედეგრი „ქართვლის დედას“. მართალია, ქართვლის დედის სახე ბევრად უფრო იოლი აღსაქმელია, ვიდრე ალევგორიულად სატრფოს სახით წარმოდგენილი სამშობლოს ხატი, მაგრამ ორივე ლექსი ერთი და იმავე პატრიოტული გრძნობით არის ნასაზრდოები და ორივე შედარდებას საქართველოს მომავალს. დედამ უნდა შობოს და აღზარდოს ეს მომავალი ისე, როგორც ეს „ქართვლის დედაშია“ აღწერილი და იგი უნდა იყოს ისეთი წმინდა, უმანკო და საკრძალველი, როგორადაც არის ლექსში „ს...ს“

საყურადღებოა, რომ ლექსის „ს...ს“ პირველი რედაქციის დაწერიდან 15 დღის შემდეგ, არც კი ვიცით, ამ ლექსის მეორე რედაქციის დაწერამდე, თუ უფრო გვიან, მწერალმა იმავე სათაურით – „ს...ს“ დაწერა სხვა ლექსი: „მას აქეთ, რაც შენ მე შემიყვარდი, / აღარ შორდება ჩემ გულსა ურვა, / უიმედობის ჰკლავს იმას დარდი / და ჩემს ბედზედა უბოლო მდურვა. / მე შენ ვერ გასმენ ჩემსა ტანჯვასა, / მას, რაც ნელ-ნელათ მითხრის საფლავსა, / შენ წინ დავფარავ თვალში მთრთოლარს ცრემლს, / შობისა უმაღ მოვკლავ ოხვრას ჩემს... / არა, ვერ გასმენ, მას, რაიც შობავს / იმ ცრემლის გუბებს, იმ ოხვრის სუნთქვს. / ჩემ საწყალ გულთან ეს სიყვარული, / შენგან ჩაგრული და განგდებული, / წავა, საფლავში დაიმარხება / ისე, რომ არც კი დაგემდურება.“

მოგვიანებით მწერალმა ლექსის ერთ-ერთი ავტოგრაფი გადახაზა და მიაწერა – „რიტორიკა“. ეს ავტორისეული შეფასება რომ უკეთ გავიგოთ, გავისხნოთ რიტორიკისადმი მისი დამოკიდებულება. კრიტიკულ წერილში „პასუხი“ ილია ჭავჭავაძე კიცხავს თ. ერისთავის „რიტორიულს აღფრთოვანებას და სიტყვიერებას“, იგი ირონიულად იხსენიებს „ანბანთ თეორეტიკას, რიტორიკას და სხვა საგნებს“, ჩვეული სატირული კილოთი კენწლავს რიტორიკას „კაცია-ადამიანის“ შესავალშიც. ცხადია, რომ ილია უარყოფითად უყურებდა ხელოვნებაში რიტორიკის ტყვეობას – გადაჭარბებულ მჭევრმეტყველებას, „ბრტყელ სიტყვებს“ და სათქმელის

ბუნდოვანებას. ამიტომ მისთვის შეფასება „რიტორიკა“, ან „რიტორიკა უშვერი“, რომელიც მიუწერია თავისივე ხელით გადახაზული ლექსის – „პავლოვსკის პარკისათვის“, ძალიან მკაცრი განაჩენია. მსგავს შეფასებას აძლევს პოეტი 1864 წელს კირილე ლორთქიფანიძისადმი მიწერილ ბარათში პოემა „ქართვლის დედის“ ადრეულ რედაქციასაც.

ლექსი „ს...ს“ რომ ქალისადმი იყოს მიძღვნილი და არავითარ ალეგორიასთან არ გვექნდეს საქმე, მაშინ გამორიცხული იქნებოდა ყოველგვარი რიტორიკულობა და მასში გადმოცემული განცდები მარტივი გასაგები იქნებოდა, მაგრამ ამ ლექსსაც, ჩვენი აზრით, იგივე ეროვნული გრძნობა უდევს საფუძვლად, რაც „პავლოვსკის პარკს“ და „ქართვლის დედას“. ზედმეტი მჭევრმეტყველება და ჩანაფიქრის ბუნდოვანება კი გამოწვეულია მხატვრულ ალევორიებში ეროვნული სულისკვეთების შეფარვის სურვილით.

თუ „ს...ს“-ადმი მიძღვნილი პირველი ლექსის მხატვრული სახეების ამოსაცნობად მწერლის რამდენიმე სხვადასხვა ნაწარმოების ციტირება და ანალიზი დაგვჭირდა, იმავე დასათაურების მქონე მეორე ლექსის თითოეული ტაეპი პირდაპირ შეგვიძლია შევადაროთ მწერლის მიერ პატრიოტულ თემამზე შექმნილ ცნობილ შედეგს „მას აქეთ რაკი...“. ორივე ლექსში გამოთქმულია, რომ პოეტის წუხილი და ტანჯვა გამოწვეულია სიყვარულით, შდრ.: „მას აქეთ რაც შენ მე შემეყვარდი / აღარ შორდება ჩემს გულსა ურვა...“ და „მას აქეთ რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული, / ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შეება...“. როგორც ვხედავთ, მსგავსება აშკარაა, მაგრამ მწერალს შეუტანია ერთი დამატებითი ნიუანსი. გამოთქმით „ვცან სიყვარული“, „შემეყვარდის“ ნაცვლად, მან არაჩვეულებრივი სიფაქიბით მიგვანიშნა, რომ სიყვარული მამულისა ამ გრძნობის გაცნობიერებამდე კიდევ უფრო ადრე იბადება. იგი, ალბათ, გენეტიკურადაც დაჰყვება ქართველს და შემდგომშიც ცნობიერდება.

ორივე ნაწარმოების მიხედვით, ტანჯვის მიზეზი არის ის, რომ ავტორი თავის გრძნობას ვერ უზიარებს, ვერ უმხელს მას, ვისდამი სიყვარულითაც არის განმსჭვალული, შდრ.: „მე შენ არ გასმენ ჩემსა ტანჯვასა... / არა, ვერ გასმენ მას, რაიც შობავს / იმ ცრემლის გუბეს, იმ ოხვრის სუნთქვას...“ და „შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში კაცი არ არის, / რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა

ჩემი გაუზიარო!..“

ასეთი მდგომარეობა ორივეგან სავალალო შედეგისაკენ მიდის, შდრ.: „ნელ–ნელათ მითხრის საფლავსა...“ და „ეგრედ ჰშვრება ჩემი ცხოვრება...“. საერთოა ის განწყობაც, რომ პოეტი საბოლოოდ მაინც არ უჩივის ბედს, შდრ.: „წავა, საფლავში დაიმარხება / ისე, რომ არც კი დაგმედურება...“ და „და მე არ ვჩივი, მიხარია...“

საინტერესოა, რომ ლექსში „მას აქეთ რაკი...“ შეტანილია ის ცალკეული აზრები და მხატვრული შედარებებიც, რომლებიც მესამე სტროფის სახით დაემატა 15 დეკემბერს დაწერილი ლექსის „ს...ს“ მეორე ვარიანტს. ერთნაირი სათაურები და დაწერის თარიღების სიახლოვე უფლებას გვაძლევს, რომ ის სტროფიც შევადართო იმავე ლექსის „მას აქეთ რაკი...“ ტექსტს: „ვიმ მაგ შენს ნარნარს გულისცემასა, ვით ლოცვის ბგერას ღმობით ვისმენდე...“ და „შენს ძარღვისცემას მე ყურს ვუგდებ სულგანაბული, / დამე თენდება ეგრედ ჩემი და დღე ღამდება...“ შეადარეთ აგრეთვე: „და ცოდვილთ ფიქრთა ზემდომევასა / შენის სიწმინდით ვიგერიებდე...“ და „დაჟინებითა ფიქრი ფიქრზედ მოდის გროვდება...“

აშკარად ჩანს, რომ მწერალს ლექსი სათაურით „ს...ს“ კი არ უარუყვია, არამედ გადაუმუშავებია, დაუხვეწია და არაერთხელ გამოუქვეყნებია კიდევ ისევე უსათაუროდ, როგორც „ს...ს“–ადმი მიძღვნილი პირველი ნაწარმოები და არაერთი სხვა პატრიოტული ლექსი.

გამოთქმულია აზრი, რომ ლექსის „მას აქეთ რაკი...“ ადრეულ ვარიანტს ვიწრო ხასიათი და სენტიმენტალური ელფერი აქვს. შეიმჩნევა სწრაფვა მჭევრმეტყველებისაკენ და გრძნობის ერთგვარი გაურკვეველობა. ის, რაც ამ ლექსთან დაკავშირებით არის შენიშნული, კიდევ უფრო აშკარად არის გამოხატული ლექსის პირველ რედაქციაში სათაურით „ს...ს“. ილიას ამ ტექსტზე დიდი მუშაობა ჩაუტარებია, ბევრი რამ შეუცვლია, გაუმჯობესებია, მაგრამ ზედმეტი რიტორიკულობის მიზეზი აქაც იგივე იყო, რაც „ს“–სადმი მიძღვნილ პირველ ლექსში. მისი დაძლევა აქ მოხდა იმის საშუალებით, რომ აშკარად გამოიხატა ტკივილის მიზეზი და, რაც მთავარია, გამოაშკარავდა ადრესატი. პირდაპირი მიმართვების საშუალებით: „ჰოი, მამულო“ და

„მაგრამ, მამულო...“ ფარდა აეხადა ლექსის იდუმალებას.

იმას, რომ პოეტურ ნაწარმოებში ზედმეტ რიტორიკულობას იწვევს ალეგორიზაცია, მოწმობს კიდევ ერთი ასეთი ფაქტი: პოემა „ქართვლის დედის“ პირველ რედაქციაშიც რამდენიმე ადგილას ძალიან უხერხულად იყო დაფარული საუბრის ობიექტი: „ძლიერო სიტყვაგ! ვთმობ დედასა, შენთან ვერთდები...“ „ჰოი, ძლიერო, დიღო სიტყვაგ! შენს ღვთიურს ძალსა / ვინ დაუდგება? კლდის სიმაგრეს აძლევ ჩვილ ქალსა...“. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ მის შესახებაც იმავე ამრის იყო მწერალი და პირად წერილში აღნიშნავდა კიდევ: „ქართვლის დედას“ არ გიგზავნი, იმიტომ, რომ ვერას გზით ვერ გავასწორე, გაუსწორებლად კი ვერ გამოგიგზავნე, იმიტომ რომ შიგდშიგ უფრო რიტორიკაა, ვიდრე სხვა რამეო“. გვიანდელ რედაქციაში აქაც, ისევე როგორც ლექსში „მას აქეთ რაკი...“, მოხდა სათქმელის პირდაპირ გამჟღავნება, ამ „დიდი სიტყვის“ დაუფარავად გამოცხადება და ამით ზედმეტი რიტორიკულობის თავიდან აცილება: „ეჰა, მამულო! შენის ტრფობის ძალსა ღვთიურსა / რა დაუდგება? კლდის სიმაგრეს აძლევ უძლურსა...“

ლექსებში სათაურით „ს...ს“ რომ პოეტურ სახეთა სიღრმესთან და ალეგორიულობასთან გვაქვს საქმე, ამას მოწმობს კიდევ ერთი გარემოება: პირველი ლექსი – „მაშინ დავსტკბები...“ თავის კიდევ ორ ლირიკულ ნაწარმოებთან – „ვიხილე სატრფო“ და „ჩემო მკვლელო...“ ერთად, პოეტმა დასაბეჭდად გაუგზავნა კირილე ლორთქიფანიძეს და თან მისწერა: „რაკი არ მომეშვი, აი, „ტრფიალების“ ლექსს ჩემსას გიგზავნი... თუ ჭკვაში მოგივიდეს, დაბეჭდე. ხანდისხან ამისთანა ლექსებიც ჰსდომებია ამ უღარდელს და ცრუდ-მოტრფიალეს ქვეყანას.“ წერილის გადაკრული ტონი და პოეტის მიერ სიტყვის „ტრფიალებისა“ ბრჭყალებში ჩასმა გვაფიქრებინებს, რომ მინიშნება ეხება კრიპტოგრაფული სათაურის მქონე ნაწარმოებს „ს...ს“ და კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მასში პოეტურ ალეგორიასთან გვაქვს საქმე.

კირილე ლორთქიფანიძე ხშირად აქვეყნებდა ხოლმე ილიას ნაწარმოებებს თავის კრებულებში და ისინი ერთად აწყობდნენ გეგმებს, რა როგორ შეეპარებინათ ცენზურისათვის. ამას მოწმობს შემდეგი ფრაზები კირილესადმი მიწერილი ილიას სხვა წერილებიდან: „ოღონდ ეგ დაიბეჭდოს

და შეიძლება ცენზორს ბევრი დაუთმოთ“, ეხება სტესტიას „ზოგიერთი რამ“. „ვიცი, რომ არ დაბეჭდავენ. თუნდ მანდ როგორმე მოახერხო და ნებართვა აიღო, აქ მთელს წიგნს ავიკრძალავენ“, ეხება პოემას „რამდენიმე სურათი...“ ასეთი მიმოწერისა და ურთიერთობის პირობებში კირილე ლორთქიფანიძეს არ გაუჭირდებოდა პოეტის გადაკრული ნათქვამის გაგება და ვითომდა სატრფიალო ლექსში ეროვნული სულისკვეთების, სატრფოს სახეში კი მამულის ამოცნობა.

როგორც ვხედავთ, მცირედ თუ მნიშვნელოვნად შეცვლილი სახით, მწერალმა მაინც მოახერხა სათაური „ს...ს“ მქონე ორივე ლექსის გამოქვეყნება, მაგრამ სათაური აღარ მიუცია. შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს, რა საჭირო იყო ლექსში სამშობლოსადმი ძღვნის შენიღბვა, მაგრამ გასაკვირი აქ არაფერია. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ჩვენში სხვადასხვა მიზეზით ერიდებოდნენ არა მხოლოდ საყვარელი ქალის სახელის გამჟღავნებას, არამედ ეროვნული გრძნობის დეკლარირებასაც. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ვახტანგ ორბელიანს პატრიოტულ, ალეგორიულ ლექსში, სადაც სამშობლო ასევე სატრფოს სახით არის წარმოდგენილი, მდინარის სახელი აქვს მოცემული კრიპტოგრამის სახით – იხ. ლექსი „მდინარე ა...ს“. აქედან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელია, რომ ლექსები სათაურით „ს...ს“ ეძღვნებოდეს „ს-ამშობლო-ს, „ს-აქართველო-ს“.

სტატიაში „პოემიის ახალგაზრდა მოყვარულთ“ ასე უხსნიდა ილია ლექსის წერით გატაცებულ ყმაწვილებს პოემიის არსს: „პოემიასაგარძნობელია და არა საცნობელი. იგი ხატებაა ჩვენთა გრძნობათა, გულისთქმათა, ფიქრთა, ნაღველთა, ლხინთა, ერთის სიტყვით ხილულთა და არა ხილულთა.“ პოეტის ეს სიტყვები თითქოს გვკარნახობს, რომ, თუ ლექსებს სათაურით „ს...ს“ მარტივად, სიტყვა-სიტყვით აღვიქვამთ, ამ ტექსტს, დაწერილს „ხატებითა და სურათითა“, მივიღებთ, როგორც უხატებოს და უსურათოს, ამოუცნობი დაგვრჩება ავტორის ჩანაფიქრი.

ასეთი გაუგებრობა პოემიასთან დაკავშირებით გამორიცხული რომ არ არის ხოლმე, ალბათ, აკაკი წერეთელმა ლექსში „შიქასტა“ ამიტომ გააფრთხილა მკითხველი: „ნურვინ სცდილობს, იმ ცრემლებში / ნახოს

კერძო სიყვარული!.. ყოველს წვეთში ტანჯვას ნახავს / საქართველოს გამოხატავს...“ ილიას ლექსებს სათაურით „ს...ს“ ავტორისეული ამგვარი კომენტარი არ ახლავს. ამიტომ უნდა გავითვალისწინოთ ზოგადი გამოცდილება, სიფრთხილე გამოვიჩინოთ კრიპტოგრამის გახსნისას და არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ სათაურის კრიპტოგრამაში „ს“ შეიძლება იგულისხმებოდეს „ს-აქართველო“, ან „ს-ამშობლო“ და არა კონკრეტული ქალი.

კრიპტოგრაფიის ორ განსხვავებულ ფორმას: სიტყვის გამოხატვას მისი შემადგენელი გრაფემების რიცხვითი მნიშვნელობებით და სიტყვას გამოხატვას ამავე რიცხვითი მნიშვნელობების ჯამით (იზოფსეფია) საქართველოში უძველესი დროიდან იყენებდნენ. მაგალითად, მე-10 საუკუნის ერთ-ერთ ხელნაწერში შემონახულია მიქაელ მოდრეკილის სახელის კრიპტოგრამა, რომელიც ანბანური სათვალავის რიცხვებით არის გადმოცემული. ამ ხელნაწერის რამდენიმე საგალობელს მიწერილი აქვს: „...თქემულნი ორმეოცისა, ათისა, ექუსასისა, ერთისა, ხუთისა და ოცდაათისანი...“ ძველ ქართულ ანბანში 40 შეესაბამება „მ“-ს, 10 — „ი“-ს, 600 — „ქ“-ს, 1 — „ა“-ს, 5 — „ე“-ს და 30 — „ლ“-ს. შესაბამისად, ამ რიცხვთა გრაფემული შესატყვისებით იკითხება ავტორის სახელი — „მიქაელ“.

კვლევები ტექსტის კომენტირებისათვის

ზოგჯერ ტექსტის ერთი ფრაზის კომენტირებისათვის საფუძვლიანი კვლევის ჩატარება გვიხდება. თან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ, თუ კომენტარი ეწინააღმდეგება ტექსტის თარიღს, ან სხვა კომენტარს, ამ დროს გამოსავალი ამ შეუსაბამობის ახსნაში უნდა ვეძიოთ. მსგავს შემთხვევასთან გვექონდა საქმე, როდესაც გრიგოლ ორბელიანის დედის გარდაცვალების შემდგომი წლების სამ წერილში, რომლებსაც მწერალი მამისეულ სახლში უგზავნიდა თავის ძმა ზაქარიას, მოკითხვას უთვლიდა დედას: „დედა დედაშვილურად მომიკითხე.“ ყოვლად დაუშვებელი იქნებოდა ამის უკომენტაროდ დატოვება, ან იმის მტკიცება, რომ აქ მისი მშობელი დედა

იგულისხმებოდა. რამდენადაც მწერლის პირად ბარათებში მკაცრად არის დაცული სოციალური ეტიკეტი, ყურადღება მივაქციეთ იმას, რომ ამ „დედას“ გრიგოლ ორბელიანი ყველგან ახსენებდა ნათესავეებისა და მსახურების მოკითხვებს შორის. კონტექსტიდან გამომდინარე, მივედით იმ დასკვნამდე, რომ აქ პოეტის ძიძაზე უნდა იყოს საუბარი.

მსგავსი გაურკვევლობა იყო ყაფიან ორბელიანისთვის გრიგოლის მიერ გაგზავნილ ერთ წერილთან დაკავშირებითაც. ავტოგრაფის მიხედვით, იგი თითქოს 1841 წლით დათარიღებული ჩანდა. ეს თარიღი ეწერა ზუგდიდის მუზეუმის შრომების პირველ ტომშიც, მაგრამ დაგვაუჭვა ტექსტის ერთმა აბზაცმა, სადაც წერია: „ძალუა ვარინკა მოდის; მოსკოვიდამ გუშინ გამოვიდოდა, თბილისში მოვა ორს-სამს კათათვესა, და ახლა აქ წავკისს ვაკონკებ სადგომსა, მაგრამ მაინც კი ვიქნებით ვიწროდ.“ ვარინკა გრიგოლის VI თაობის ნათესავის, დიმიტრი თამაზის ძე ორბელიანის, ცოლს, მეფე გიორგი XII-ის შვილიშვილ ბარბარე (იგივე ვარვარა, ვარენკა) ბაგრატიის ასულ ბაგრატიონს (1804–1879) ერქვა და წერილში შეიძლება იყოს ის გვეგულისხმება, მაგრამ წარმოუდგენელი იყო, რატომ უნდა ეზრუნა მის წავკისში დაბინავებაზე გრიგოლს, როდესაც ამ ქალბატონს ოჯახის წევრები და გრიგოლზე ბევრად უფრო ახლო ნათესავეებიც ჰყავდა.

ავტოგრაფისეული დათარიღების გამო, ციტირებულ ფრაზას ვერ ვაკავშირებდით გრიგოლის ძმის, ილია ორბელიანის, მეუღლე ბარბარესთან, რადგან ილიამ და მან 1852 წელს იქორწინეს (მანამდე გრიგოლი ძალუად ვერ მოიხსენიებდა) და 1841 წელს, თუ წერილი ამ დროს იყო დაწერილი, მხოლოდ 10 წლის იქნებოდა. ავტორისეული თარიღი რომ არა, კონტექსტი ყველანაირად შეესაბამებოდა სწორედ ამ პიროვნებას. მას ქმარი ადრე გარდაეცვალა და გრიგოლი ყოველმხრივ ზრუნავდა თავის რძალზე. იმ გარემოებამ, რომ გაჩნდა წინააღმდეგობა წერილში მოხსენიებულ პირსა და დათარიღებას შორის, გვაიძულა ყველაფერი ხელახლა გადაგვემოწმებინა.

გრიგოლ ორბელიანის კალიგრაფიაზე დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ მის მიერ დაწერილი ციფრი 7 ძალიან ჰგავს 4-ს. როგორც ჩანს, ამის გამო სოლომონ ცაიშვილმა (რომელმაც ეს წერილი სხვა 23 წერილთან ერთად

გამოაქვეყნა ზუგდიდის მუზეუმის შრომების I ტომში 1947 წელს) 1871-1841-ად ამოიკითხა. ჩვენ საგანგებოდ გადავამოწმეთ ავტოგრაფი და დავადასტურეთ ჩვენი მოსაზრება, რომ წერილს თარიღად 1871 წელი აწერია და არა 1841. შესაბამისად, მასში ნახსენები პიროვნება გრიგოლის გარდაცვლილი ძმის, ილიას, ცოლი ბარბარე ბაგრატიონ-ორბელიანია და ტექსტის სამეცნიერო აპარატიდან ყოველგვარი შინაგანი წინააღმდეგობა გაქრა.

ტექსტში მოხსენიებულ პირთა იდენტიფიკაცია

როდესაც ისტორიული, ან კერძო პირი ტექსტში არასრულად არის მოხსენიებული – მხოლოდ სახელით, სახელითა და მამის სახელით, მხოლოდ გვარით, მეტსახელით, ფსევდონიმით, ან რაიმე სახის მინიშნებით (თანამდებობით, ნათესაური კავშირით და სხვ.), ან, როცა სახელითა და გვარით არის მოხსენიებული, მაგრამ ასეთი ერთზე მეტი პიროვნება არსებობს და ტექსტიდან ცალსახად არ ჩანს, რომელი იგულისხმება, აუცილებელია კვლევის ჩატარება და სამეცნიერო აპარატში სათანადო კომენტარის გაკეთება.

ილია ჭავჭავაძის ქორწინებამდელ წერილებში ოღლა გურამიშვილისადმი ხშირად იხსენიება ელენე, რომელსაც ორივე იცნობს და რომელთანაც ერთმანეთს ხვდებიან ხოლმე, ორ წერილში კი გვარიც არის ნახსენები: „დღეს ელენე ჩოლოყაშვილთან დამიძახეს, იმან მითხრა, თითქოს ჩემთვის მშვენიერი პატარძალი ჰყავთ... მივხვდი, შენზე ლაპარაკობდა“ (ტ. 18, გვ. 278, 279). ელენე და მისი ქმარი ილიკო, გვარების გარეშე, ნახსენებია პეტერბურგიდან 1858 წელს ნენე ანდრონიკაშვილისთვის გამოგზავნილ წერილში (ტ. 17, გვ. 16), რამდენიმე თვის შემდეგ კი თავისი დის – ნინოსთვის გაგზავნილი ბარათიდან ჩანს, რომ საუბარია ილიკო ჩოლოყაშვილსა და მის ცოლზე („ილიკო ჩოლოყაშვილის ცოლი გავიცან“). ილია ჩოლოყაშვილის ცოლი, გენეალოგიური ნუსხის მიხედვით, იყო ელენე ივანეს ასული ანდრონიკაშვილი-ჩოლოყაშვილისა.

იონა მეუნარგიასთვის გაგზავნილ წერილში (ტ. 17, გვ. 205) ილია

ჭავჭავაძე ახსენებს პრინცესას („პრინცესას მამულს შემოსავალი აქვს, შენ იწერები, 4000 მანეთი“). პრინცესად მოიხსენიებდნენ ეკატერინე ჭავჭავაძისა და დავით დადიანის ქალიშვილს – სალომე დადიან-მიურატისას. იონა მეუნარგიას ოჯახს ახლო ურთიერთობა ჰქონდა მიურატებთან. არსებობს სხვადასხვა დროის რამდენიმე ფოტო, რომელზეც მიურატებთან ერთად გადაღებულია იონა, ან მისი მამა – დეკანოზი მიხეილ მეუნარგია. შესაბამისად, სავსებით ბუნებრივია, რომ საბანკო სესხთან დაკავშირებით, ილია ჭავჭავაძესთან იონას შუამდგომლობა გაეწია მიურატებისთვის და წერილში სალომე დადიანი-მიურატისა იგულისხმებოდა.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ოცტომეულის მე-18 ტომში 1863 წლის იანვარ-თებერვლის რუსულენოვანი წერილების თარგმანებში იხსენიება ოლღას დეიდა: „მითხარი, დეიდაშენს რატომ ვჭელვარ?“ (გვ. 264) „დეიდაშენი როგორა მყავს? მაგან აიღო გუმანი ჩვენი პაემანის შესახებ?“ (გვ. 275), „დეიდაშენი ხომ არ ნებულობს აბრამს ბლინებზე დაეწვიოს?“ (გვ. 275). ოლღა გურამიშვილის დედის შესახებ ისტორიული წყაროებიდან ვიცით მხოლოდ სახელი და მამის სახელი – ელისაბედ გიორგის ასული, გვარი არ არის ცნობილი, დედის შესახებ კი, თუკი საერთოდ ჰყავდა, არაფერი ვიცით.

1863 წლის 5 მარტის წერილმა, რომელშიც ნათქვამია: „ნეტავი მამიდაშენი ისევ ცოცხალი ყოფილიყო, გნახავდი მაინც, თუ სხვა არა იყო რა“ (გვ. 52), დაგვაფიქრა, რომ წინა სამ შემთხვევაშიც, რუსულენოვან წერილებში შეიძლებოდა მამიდაზე ყოფილიყო საუბარი და არა დეიდაზე და თარგმანში ყოფილიყო შეცდომა დაშვებული, რადგან „დეიდას“ და „მამიდას“ რუსულში ერთი და იგივე სიტყვა შეესაბამება. ამის გადასამოწმებლად ვნახეთ ტექსტების ორიგინალები: «Скажи мне, почему твоя тетушка меня ненавидит?» (გვ. 21), «Что твоя тетушка здравствует? Это она догадалась об нашем свидании?» (გვ. 33) «Твоя тетушка не изволит ли отправиться к Аврааму на блины?» (გვ. 33). დავაკვირდით კონტექსტს, რაიმე ისეთი მინიშნება ხომ არ იყო, რომ სიტყვაში «**тетушка**» აუცილებლად „დეიდა“ გვეგულისხმა. ასეთი მინიშნება არ არის. რამდენადაც 5 მარტის წერილის შინაარსიდან ჩანს, რომ ოლღა გურამიშვილის მამიდის სიცოცხლეში

ის და ილია ჭავჭავაძე ერთმანეთს ხვდებოდნენ, შემდეგ კი დაბრკოლებები შეექმნათ, წერილებში, რომლებშიც საუბარია «тетушка»-ზე, რომელიც ოლღასთან ერთად ცხოვრობს და ხვდება მათი შეხვედრების ამბავს, ოლღას მამიდა უნდა ვიგულისხმოთ და არა დეიდა.

მეუღლისადმი ილია ჭავჭავაძის პირად წერილებში სხვადასხვავან იხსენიება ორი გიორგი შერვაშიძე. ერთი არის გიორგი დიმიტრის ძე, მეორე კი – გიორგი მიხეილის ძე. პირველს ილია ჭავჭავაძე ძალიან შინაურულად ახსენებს დუშეთიდან მეუღლისთვის გაგზავნილ წერილებში: „გიორგი შერვაშიძემ მოკითხვა შემოგიტვალა და თქვა „უკნინოთო ბოლონდელს მასკარადს ლაზათი არა ჰქონდაო“. მეორეს – გიორგი მიხეილის ძეს კი მწერალი, როგორც ირკვევა, 1873 წლამდე არ იცნობდა. 1873 წლის 12 სექტემბერს იგი მეუღლეს სწერს: „ვნახავ გიორგი შარვაშიძესაც, რომელიც ჩემთან ყოფილიყო და მე შინ არ დავხვდი. თუმცა არ ვიცნობ, მაგრამ მოსულიყო ჩემს სანახავად“. სწორედ იმიტომ, რომ ეს ორი გიორგი შერვაშიძე ერთმანეთისგან განასხვავოს, 1873 წლის 19 დეკემბრის ბარათში მწერალი მისი ხსენების შემდეგ პატარა კომენტარს აკეთებს: „იმ დღეს გიორგი შარვაშიძესთან ვიყავ, აი, მთავრის შვილი რომ არის“. ესე იგი, საუბარია გიორგი მიხეილის ძეზე. მწერლის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მე-18 ტომის საძიებლებში ორივე გიორგი შერვაშიძეზე არის ანოტაცია, მაგრამ ტექსტის გვერდები ორივეს ერთნაირი აქვს მითითებული და გამოდის, რომ თითოეულ შემთხვევაში ერთდროულად ორივე გიორგი შერვაშიძე იგულისხმება, რაც, რა თქმა უნდა, აბსურდია. მსგავს გაუგებრობას თავიდან აგვაცილებს, წერილების შესაბამისი ფრაზების კომენტირება და საძიებლების სათანადო ანოტირება.

ტექსტოლოგიური კვლევების გამოყენება სხვადასხვა მიზანდასახულობით

მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მათიანის შედგენა

ქართველ მწერალთა ცხოვრებისა და შემოქმედების მათიანეების შედგენაზე საქართველოში, ძირითადად, ისტორიკოსები მუშაობდნენ (იხ. ილია გორგაძისა და ნოდარ გურგენიძის მიერ მომზადებული მათიანეები). ალბათ, ეს იყო იმის მიზეზი, რომ ისინი თავს უყრიდნენ არსებულ ინფორმაციას და გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების შედეგებს და საკუთარ თავზე არ იღებდნენ კვლევების ჩატარებას ატრიბუციის, დათარიღებისა თუ პირთა იდენტიფიკაციისათვის. რამდენადაც მათიანის გასამდიდრებლად და მისი სანდოობის ასამაღლებლად საჭირო იყო სწორედ ამ ტიპის კვლევების წარმოება, გადავწყვიტეთ, რომ ეს ორი საქმე ერთმანეთთან დაგვეკავშირებინა.

2014–2017 წლებში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა ილია ჭავჭავაძის მათიანისთვის საჭირო ტექსტოლოგიური კვლევები და მომზადდა თავად „მატიანე“, რომელიც წინა გამოცემასთან შედარებით ორჯერ დიდია. პროექტმა საოცარი შედეგი გამოიღო. მის ფარგლებში, ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისეული ფაქტების გარდა, დათარიღდა: 166 პირადი წერილი, 7 ლექსი და მისთვის მიწერილი 10 ბარათი; დადგინდა 8 თხზულების ადრესატი, დაბუსტდა არაერთი მნიშვნელოვანი ტექსტის ავტორობის საკითხი და თხზულებებში მოხსენიებული 100-ზე მეტი პირის ვინაობა. რამდენადაც ასეთი ტიპის მათიანე მეცნიერთათვის ინფორმაციის მიღების მყარი დასაყრდენი უნდა იყოს, მას დავურთეთ არა მხოლოდ იმ წყაროების ზუსტი მისამართები, სადაც არის დაცული ავტორისეული ტექსტები, არამედ ისინიც, სადაც არის მსჯელობა ამ ტექსტების დათარიღებასა და ატრიბუციაზე, ან იდენტიფიცირებულია მოხსენიებულ პირთა ვინაობა. ამ თვალსაზრისით, ყველაზე დიდმა მასალამ მოიყარა თავი მათიანის მზადების პერიოდში ჩატარებული კვლევების ამსახველ სპეციალურ გამოცემაში –

„ტექსტოლოგიური კვლევები ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მათიანისათვის“. ამ წიგნში წარმოდგენილია ბევრად მეტი სიახლე ილია ჭავჭავაძისა და მისი შემოქმედების შესახებ, ვიდრე მანამდე არსებულ ნებისმიერ გამოცემაში და იგი საიმედო დასაყრდენი გახდა მკვლევართათვის, ხოლო ელექტრონული მათიანე საუკეთესო საშუალებაა ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის მოსაძიებლად.

საფუძვლის მომზადება ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზისთვის

ტექსტოლოგიას, როგორც წიგნის დასაწყისშივე აღვნიშნეთ, ისტორიულად დაბალ კრიტიკას უწოდებდნენ, რადგან ის არის მხატვრული ნაწარმოების ლიტერატურათმცოდნეობითი, ანუ მაღალი საფეხურის კრიტიკის წინმსწრები, მისი საყრდენი. თხზულების მხატვრული ღირსების შეფასების, ან სახისმეტყველებითი ანალიზისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ტექსტის ავთენტური სახის დადგენას, სიმბოლო-ალეგორიებისა და ალუზიების ახსნაში კი ხშირად გვეხმარება ტექსტზე მუშაობის შემოქმედებითი პროცესის კვლევა. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ, ციფრული ტექნოლოგიების განვითარების პირობებში, საშუალება გვეძლევა, გავაღრმავოთ და გავაფართოვოთ ისეთი საკითხების ანალიზი, რომლებთან დაკავშირებითაც მეცნიერთა აზრი რადიკალურად განსხვავებულია. შეიძლება ცალსახა დასკვნების გაკეთებაში ვერც ეს კვლევები დაგვეხმაროს, მაგრამ ის, რომ გვექნება ტექსტთან დაკავშირებული სრული სურათი, უკვე წინ გადადგმული ნაბიჯია.

ტექსტოლოგიური კვლევის, კერძოდ, წყაროებიდან ყველა ტექსტური მოწმის გამოყოფის, მათი დათარიღებისა და არქივიდან დამატებითი ეპიტექსტური ინფორმაციის მოპოვების შედეგად, გამოვლინდა ბევრი ისეთი ფაქტი, რომლებიც ხელს შეუწყობს გალაკტიონ ტაბიძის სიცოცხლეში გამოუქვეყნებელი, სამი სხვადასხვა სათაურის მქონე („გამახსენდები და

ისევ ზღვა მომენატრება“, „ელევია განშორებისა“, „ასპინძა“) ლექსის ლიტერატურათმცოდნეობით ანალიზს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ამ ლექსის შექმნის მოტივაციასთან დაკავშირებით, მეცნიერთა აზრი რადიკალურად განსხვავებულია. ერთი მოსაზრებით, იგი სატრფოსთან – მერი შერვაშიძესთან განშორებით არის შთაგონებული, მეორით, პოეტის მეუღლის – ოლია ოკუჯავას გადასახლებით, მესამით კი – ასპინძის ომით.

ტექსტოლოგიური კვლევის შედეგებმა გამოკვეთა შემდეგი არგუმენტები და მოსაზრებები:

მკვლევართა ვარაუდი იმასთან დაკავშირებით, რომ ლექსის პირველ ვარიანტში ადრესატად ქალი მოიაზრება, გამოიწვია მასში არსებულმა: სიტყვებმა „განშორება“, „ზღვა“ და „უშენოდ“, მაგრამ ტექსტოლოგიურმა კვლევებმა გვაჩვენა, რომ ამ სამი სიტყვიდან პირველი – „ზღვა“ მხოლოდ მესამე ტექსტური მოწმის სწორებებში გაჩნდა (№862/2 ხელნაწერი, ლურჯი მელნით შეტანილი სწორებებით), მეორე – „განშორება“ – მეშვიდეში (№3315-16 მანქანაზე ნაბეჭდი, ლურჯი მელნით შეტანილი სწორებებით), ხოლო მესამე – „უშენოდ“ – მეოთხეში (№862/2 ხელნაწერი, მოყავისფრო მელნით შეტანილი სწორებებით). სიტყვების: „განშორება“, „ზღვა“ და „უშენოდ“ შემოტანამდე კი, ტექსტში უკვე იყო: „თვით ცხარე ომში“, და „საქართველოს რომ ეკადრება“. გარდა ამისა, პირველივე ტექსტური მოწმის ფრაზები: „საუკუნით რომ ლალი ვიყო“ და „ეს ტკივილები ჩემს ყოფნაში ძველის ძველია“ ფართო ისტორიულ კონტექსტს უფრო ესადაგება, ვიდრე კონკრეტულს და პირადულს. თუ იმის მტკიცება გვინდა, რომ ლექსის პირველი რედაქცია ქალის თემამზე დაწერილი, მაშინ ამის დასადასტურებლად ციტატები ლექსის პირველივე ტექსტური მოწმიდან უნდა მოვიხმოთ.

ოლია ოკუჯავა ზღვაზე გალაკტიონთან ერთად პირველად 1936 წელს ისვენებდა. ამას მოწმობს ამავე წლის 15 სექტემბერს მის მიერ პოეტისთვის გაგზავნილი წერილი (ოკუჯავა 1987: 209). შესაბამისად, ლექსში, რომელშიც ეს სიტყვა 1934 წლამდე გაჩნდა, ზღვაზე მასთან ერთად გატარებული დროის ნოსტალგია ვერ იქნება ასახული.

ოლია ოკუპაცია 1929–1932 წლებში ძმებთან ერთად იყო გადასახლებული ყაზახეთში და ტექსტოლოგიურმა კვლევებმა დაადასტურა, რომ ეს ემთხვევა განსახილველი ლექსის პირველი ვარიანტის დაწერის წლებს, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ასეთი გადასახლებები იმ დროს ჯერ კიდევ არ ასოცირდებოდა განწირულებასთან. 1837 წელს რეპრესიების გაძლიერების და მისი მეუღლის მეორე გადასახლების შემდეგ დაწერილ ლექსებშიც კი, მიუხედავად იმისა, რომ სახეზეა ღრმა ტრაგიკული განცდები, არ ჩანს ასეთი სრული სასოწარკვეთილება და ამბოხი (იხ. ილუსტრაცია N 12). მართალია, დახვრეტილი მეუღლის გახსენებას შეუძლია ადამიანს სიკვდილი ანატრებიონოს, მაგრამ 1832–1834 წლებში ხომ გალაკტიონმა არ იცოდა, რა მოხდებოდა შვიდი-ცხრა წლის შემდეგ.

თუ ფრაზაში „გამახსენდები და ისევ ზღვა მომენატრება“ მეორე პირად ქალს მოვიაზრებთ და ზღვად – „ოკეანის ნაწილს“, ემოციური აქცენტი არასწორი იქნება და ფრაზა ყალბი გამოვა, რადგან ორი ზმნიდან: „გამახსენდები“ და „მომენატრება“ ემოციის მატარებელი მეორეა და ალოგიკურია, რომ ის „ზღვას“ უკავშირდებოდეს და არა სატრფოს.

სიტყვა „ზღვას“ აქვს ომონიმი, რომელიც „ზღვევას“, „შურისგებას“ ნიშნავს. რამდენადაც მწერალთა სამუშაო მასალა სიტყვაა, პოეტები ისევე ეძებენ ახალ ლექსიკურ ერთეულებს და ძველების ახლებური გამოყენების საშუალებებს, როგორც მებაღე ახალ ნერგს, ან იუველიერი – ძვირფას ქვას. ისეთ მიგნებებს, როგორიცაა რუსთველის „ასად ავეს“ და „ასადავეს“, აკაკი წერეთლის „მე ნელა“ და „მენელა“, გალაკტიონის: „სილაში ვარდი“ და სილაჟვარდე და სხვ. ვიღებთ იმის შედეგად, რომ ისინი უკვირდებიან ლექსიკური ერთეულების სტრუქტურას, პოლისემანტურობას, ომონიმურობას და ეტიმოლოგიას. სიტყვათა ორიგინალური და მრავალფეროვანი გამოყენების მხრივ, გალაკტიონის შემოქმედებაში „ზღვას“ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი ძალზე ხშირად გვხვდება როგორც პირდაპირი, ისე მეტაფორული მნიშვნელობით: „ოკეანესთან დამეგობრება / ზღვებმა დამარხეს – / ზღვა კვლავ უბრუნებს ჩემს ცხოვრებას / აზრს, სიამაყეს“, „რწმენის ზღვაზე მოცურავე ნამსხვრევები“, „სიცოცხლის ზღვაზე ტალღათ

გრილი“, „ხმაძალალ ზღვად გადაიქცა / ხმადაბალი ყაყანი“, „ზღვა ახმაურდა. ეს ნიშნავს, / რომ ახმაურდა გენია“, „საიდუმლო ალები ზღვათა იდუმალებს“, „ცხოვრების ზღვები – უფრო მკაცრი ზღვა“, „უსაზღვრო არის ზღვის ბრაზი და თავგამეტება“, „მე აღტაცების ზღვაში შეველი, / აღმოვაჩინე მთელი სამყარო“ და სხვ.

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ცალკეულ შემთხვევებში ამ სიტყვით წარმოდგენილი მხატვრული სახე ძალიან ახლოს არის „ზღვის“, როგორც ოკენის ნაწილის, ომონიმურ მნიშვნელობასთან – შურისგებასთან. მაგალითისთვის გავიხსენოთ ფრაზა „მშვიდობის წიგნიდან“: „გული მაქვს, არ ქვა, / რას მიქვია ზღვა?“ ან რევოლუციის წინა პერიოდში დაწერილი ლექსიდან „ატმის რტოო, დაღალულო რტოო...“: „ეხლა ზღვაა, ეხლა სისხლის დროა...“ გალაკტიონის ერთ-ერთ დღიურში გვერდიგვერდ ვპოულობთ ორ ასეთ ჩანაწერს: „7. უხმარად მყოფ იარაღის ხილვა რაღაც განუწყვეტელ ბრაზს გიღვიძებს და გულს გიმღვლეზარებს. 8. ზღვას უძვრია ხმალი და გააფთრებული ლომური გრგვინვით მივარდნია მტერს. შორს მათ თავზე გადაუსვრია თავისი ტალღა, უკან დახეულა და ისევ მგელურად დასძვერებია – მოსისხარს“.

ამავე თვალსაზრისით, საინტერესოა ანტირუსული, ანტიიმპერიალისტური განწყობის მქონე ლექსი „აკაკი და ილია ზღვის პირად“ (დღიური 236). აქ კარგად ჩანს, როგორ შეუძლია მწერალს „ზღვის“ სახის ტრანსფორმირება მის ომონიმურ მნიშვნელობად. ლექსში ნაცვალგების რეალურ იარაღად წარმოგვიდგება არა მელნის, ან არყის წარმოსახვითი ზღვა, არამედ ორი გიგანტი მამულიშვილი, „ქცეული ღელვად“, რომელთაგან ერთი ღიმილით წერდა „ოი ამას ვენაცვალე“ –ს (წერეთელი 2012: 145, 562), მეორე კი სახელოვან რუს მწერალს „ათქმევინებდა“: „რაც კარგი ექმნას რუსისა ხიშტსა, / იმავე რუსსევე ასკეცად მისცეს“ (ჭავჭავაძე 1988: 45). გალაკტიონისთვისაც ყველაზე მოქნილი იარაღი სიტყვა იყო და სავსებით დასაშვებია, რომ ვითომდა ზღვის, წყლის მონატრებაში შეეფარებინა რუსეთის უკვე ახალი, საბჭოთა იმპერიისადმი შურიგებლობა და შურისძიების სურვილი.

საარქივო ჩანაწერებიდან ჩანს (დღიური 661-14), რომ გალაკტიონი

ძალიან დააფიქრა არტურ ლაისტის სიტყვებმა იმის შესახებ, რომ ქართველებს არ უყვართ ზღვა და მისი სახე ჩვენს მწერლობაში მწირად არის წარმოდგენილი. პოეტმა დაიწყო ამ საკითხის საგანგებო კვლევა. ამ მიზნით, „ვეფხისტყაოსნიდან“, სასულიერო ლიტერატურიდან და მითოლოგიიდან იწერდა ფრაზებს, სადაც ზღვა არის ნახსენები. მის დღიურებში ვხვდებით ჩანაწერებს იმის შესახებ, ვის აქვს ყველაზე მეტი მასალები ზღვის შესახებ და რომელი საბჭოთა პოეტი წერს ამ თემაზე.

ამგვარი დაკვირვებების წარმოება გალაკტიონს ეხმარებოდა, რომ თავისი პოეზიით გამოესწორებინა ეს ნაკლი. თავისი წიგნების: „ზღვა ახმაურდა“ და „ოქრო აჭარის ლაჟვარდში“ გამოცემის მიზნად პოეტი ასახელებს „ზღვის თემის დამკვიდრებას ქართულ ლიტერატურაში“. 1946 წლის 25 აგვისტოს ჩანაწერში ვკითხულობთ: „ჩვენი პოეზია რვაასი წლის დემილის შემდეგ ისევ ეხმაურება ზღვას... ეს უდიდესი მნიშვნელობის საქმედ მიმაჩნია“. გალაკტიონი ცდილობდა, რაც შეიძლება ბევრი ეწერა ზღვაზე. მის ლექსებში ზღვა ჩნდება მრავალფეროვან და ზოგჯერ არაპროგნოზირებად კონტექსტებშიც კი. იწერება ლექსები: „თამარი ზღვის პირად“, „შოთა რუსთაველი ზღვის პირად“, ზემოთ უკვე ნახსენები ლექსი „აკაკი და ილია ზღვის პირად“ და სხვ. ტექსტზე მუშაობის რაღაც ეტაპზე ფრაზას: „საქართველოა სამშობლო ჩემი“ (1056) ანაცვლებს სიტყვებით: „ეს შავი ზღვაა სიცოცხლე ჩემი“, უსათუარო ლექსს სათაურად აწერს: „ზღვა და მთები“, წერს ლექსს „ზღვა არის ჩემი ლექსების თემა“ და სხვ. ასეთ ვითარებაში, სრულიად არ არის გასაკვირი გინდ ქალისადმი და გინდ სამშობლოსადმი მიძღვნილი ლექსის რედაქტირების დროს მასში „ზღვის“ შემოტანა, მაგრამ ამ სიტყვის სხვადასხვა ომონიმური მნიშვნელობით. რამდენადაც სიტყვები „ზღვა“, „განშორება“ და „უშენოდ“ განსახილველ ლექსში „ცხარე ომის“ და „საქართველოს რომ ეკადრება“-ს შემდეგ გაჩნდა, თუ ჩავთვლით, რომ მათში შავი ზღვა და საყვარელი ადამიანი იგულისხმება, უნდა ვადიაროთ, რომ ეს მოტივი საქართველოზე დაწერილ ლექსში შემოიჭრა, რაც ფსიქოლოგიურად ნაკლებ დამაჯერებლად გვეჩვენება. პირიქით რომ ყოფილიყო, უფრო ბუნებრივი იქნებოდა.

ვფიქრობთ, ჩვენს თემასთან დაკავშირებით, საინტერესოა 1931 წლის დღიურის ერთ-ერთი ჩანაწერი (66) ფრანგ პოეტ ბერანჟესა და აკადემიკოსს შორის გამართული დიალოგის შესახებ. აქ საუბარია იმაზე, თუ როგორ უნდა წეროს პოეტმა – იგავური ენით, ანუ ჰიპერბოლებისა და მეტაფორების მოშველიებით, თუ, უბრალოდ, ყველაფრისთვის თავ-თავისი სახელის დარქმევით და საილუსტრაციოდ მოხმობილია სიტყვა „ზღვა“. ეს თემა შემდეგ თითქმის უცვლელად გადავიდა გალაკტიონის ლექსში „ზღვა არის ჩემი ლექსების თემა“: „მაგალითად – ზღვა. რას დაარქმევ მას? / მის სახელს მხოლოდ, და უბრალოდ: ზღვას“. ამას წერს პოეტი, რომელმაც ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ იგი საგნებისა და მოვლენების მხოლოდ სახელდებას ახდენს. შესაბამისად, ეს ლექსი თვითონ გამოცანაა, რომელშიც „ზღვა“ მონაწილეობს.

როგორც საარქივო ჩანაწერები მოწმობს, გალაკტიონი არაერთხელ არის ნამყოფი ასპინძაში და ნაფიქრი აქვს ასპინძის ომზე. ამ თემისადმი ინტერესი და დამოკიდებულება ჩანს როგორც ადრეული, ისე გვიანდელი ჩანაწერებიდან. 1935 წლის დღიურში ვკითხულობთ, რომ ბავშვებს ძალიან უყვართ ასპინძის ომის თამაში. 1957 წელს კი პოეტის მიერ კალენდრიდან ამოწერილ ღირსშესანიშნავ თარიღებს შორის არის ასეთიც: „20 აპრილი – ასპინძის ომი“.

იმ აზრის მხარდასაჭერად, რომ ლექსის თავდაპირველი ვარიანტის თემა ასპინძის ომი ვერ იქნებოდა, სვამენ კითხვას: ქართველთა ამ გამარჯვებას ისეთი მძიმე ტკივილები რატომ უნდა გამოეწვია პოეტში, რომ სიკვდილი მონატრებოდა. ამ ფსიქოლოგიურ ასპექტს კარგად ხსნის ილია ჭავჭავაძე ვახტანგ ორბელიანის ლექსის „ძველი დმანისი“ შესახებ საუბრისას: „ქვეყანას გარდახდენილი ჭირი და ვაივაგლახი, როგორც უკვე გარდასული ამბავი, ისე არა სწავას ადამიანის გულს, როგორც გარდასული ბედნიერება და დაკარგული დიდება. იმ იმედის გარდასვლას და დაკარგვას იმ უმწვერვალეს ტკივილამდე მიჰყავს ჩვენი პოეტი, როცა ყოველივე გრძნობა დუმდება, სასოებას ადგილი აღარა აქვს და საცა მართო სასოწარკვეთილებელა ჰღალადებს თავის საშინელის ზართა“. შესაბამისად, ასპინძის გახსენებას ასეთი ტკივილები

იმითმ შეიძლებოდა გამოეწვია, რომ ეს იყო ჩვენი უკანასკნელი გამარჯვება და მისი გამეორების უნარი აღარ შეგვეწვდა.

ვფიქრობთ, ტექსტოლოგიური კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები, არქივიდან მოპოვებული ინფორმაცია და აქ წარმოდგენილი ცალკეული არგუმენტები გარკვეულ წვლილს შეიტანს განხილული ლექსის შემოქმედებითი ჩანაფიქრის გარკვევაში.

სხვა მიზნები

სახელმძღვანელოს დასაწყისში ვსაუბრობდით იმის შესახებ, რომ ტექსტოლოგიური კვლევების მიზანი მხოლოდ ტექსტის გამოცემით არ შემოიფარგლება და რომ სწორი სტრატეგიის შემუშავების შემთხვევაში, სრულიად ახალი მიზნების მიღწევაშიც კი შეიძლება დაგვეხმაროს. აქვე, II თავში, წარმოვადგინეთ კვლევა, რომლის მიზანიც იყო იმის გადამოწმება, თუ რამდენად სანდოა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში გამოქვეყნებული „ცისკარი“, როგორც ბეჭდური წყარო, წინა ქვეთავებში განვიხილეთ, რამდენად მნიშვნელოვანია ტექსტოლოგიური კვლევების გამოყენება მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მათიანის შესაქმნელად და ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევებისთვის საფუძვლის მოსამზადებლად. ამჯერად შემოგთავაზებთ ტექსტოლოგიურ კვლევას, რომლის მიზანია იმის გარკვევა, თუ ვის შეიძლებოდა ეზრუნა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის „ჩემს მერანს“ („მერანი“) პირველ პუბლიკაციაზე, უფრო კონკრეტულად, ხომ არ იყო ამის ინიციატორი ილია ჭავჭავაძე.

ამის გასარკვევად, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო დაგვედგინა, რომელ წელს გაიცნო ილიამ ბარათაშვილის ავტოგრაფული რეგულები. ამასთან დაკავშირებით მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. კობტა აფხაზის მოგონების მიხედვით, ნიკოლოზ ბარათაშვილის ავტოგრაფული კრებულები მისმა მეგობარმა ილია ჭავჭავაძემ ცარსკოე სელოში ეკატერინე ჭავჭავაძესთან სტუმრობისას ნახა და მისმა თზზულებებმა ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე, რომ, მოგონების მიხედვით, იგი „მთელი

კვირა ბოდავდა ბარათაშვილი“.. ეს რეულები მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში დაიკარგა, 1887 წელს კი ისინი პეტერბურგელი ბუკინისტისგან გამოისყიდა ექვთიმე თაყაიშვილმა და ამჟამად ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება. ერთში არის ლექსები, მეორეში კი – პოემა „ბედი ქართლისა“.

პავლე ინგოროცვას აზრით, ილიას ჩასვლა ცარსკოე სელოში უნდა მომხდარიყო 1858 წლის ზაფხულში, მაგრამ ცნობილ მეცნიერს მხედველობიდან გამორჩა ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: კობტა აფხაზი მოგონებაში ორჯერ იმეორებს, რომ ეკატერინესთან ცარსკოე სელოში ის და ილია პავლოვსკიდან ჩავიდნენ: „ქართველი სტუდენტობა პავლოვსკში ატარებდა დროს“, „ერთხელ პავლოვსკიდან ცარსკოე სელოში წავედით“. საქმე ის არის, რომ 1858 წლის ზაფხულში ილია არადღეგებს პეტერბურგთან მდებარე მეორე აგარაკზე — ტიარლევაოში ატარებდა და იმ ზაფხულს დაწერილ ლექსებზე ყველგან ტიარლევაოა მითითებული. 1859 წელს კი მწერალი ჯანმრთელობის პრობლემების გამო მთელს ზაფხულს საქართველოში იყო. შესაბამისად, ეკატერინე ჭავჭავაძესთან სტუმრობა ცალსახად უნდა მომხდარიყო 1860 და არა 1858 წლის ზაფხულში. თან ბარათაშვილისადმი მიძღვნილ პირველსავე ლექსს, რომლის დასრულებული ვარიანტიც 1860 წლის 19 ივლისით არის დათარიღებული, ამკარად ეტყობა, რომ ახალმიღებულ შთაბეჭდილებებზეა შექმნილი: „როს წარვიკითხე მისი ლექსები / ვერარა ვსთქვი რა განცვიფრებულმა!..“

ილიას მიერ თავის ლექსებზე მიწერილი თარიღებიდან და დაწერის ადგილებიდან დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ 1860 წლის 11 ივნისს იგი უკვე პავლოვსკში იყო. იხ. მინაწერი ლექსზე „მწუხარება“. შესაბამისად, ბარათაშვილის კრებულების ნახვა მას ივნისის დასაწყისში თუ არა, 11 რიცხვისთვის მაინც შეეძლო. თუ გავითვალისწინებთ მის საოცარ აღფრთოვანებას და მაღალ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას, ვფიქრობთ, რომ აუცილებლად იზრუნებდა ბარათაშვილის მანამდე გამოუქვეყნებელი ლექსების, პირველ რიგში კი, „მერანის“ პუბლიკაციაზე (ცნობილია, რომ კირილე ლორთქიფანიძეს მოგვიანებით სწორედ მან გაუგზავნა

გამოსაქვეყნებლად ბარათაშვილის „დამქროლა ქარმან სასტიკმან“ და პირადი წერილები). მიუხედავად იმისა, რომ იმ კრებულში, რომელიც ილიამ ეკატერინე ჭავჭავაძესთან ნახა, ბარათაშვილის 21 ლექსი იყო, კობტა ახმაზი როდესაც ილიას შთაბეჭდილებებზე წერს, მათგან სახელდებით გამოყოფს მხოლოდ „მერანს“ და პოემას „ბედი ქართლისა“.

არის თუ არა უბრალო დამთხვევა, რომ ბარათაშვილის ლექსი სა-თაურით „ჩემს მერანს“ პირველად სწორედ 1860 წლის ივნისის „ცისკარში“ დაიბეჭდა? აქვს თუ არა ამ ფაქტს რაიმე კავშირი ამ ტექსტით ილიას აღფრთოვანებასთან ამავე თვის დასაწყისში? მას ხომ არ უბრუნია ლექსის გამოქვეყნებაზე? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად, პირველ რიგში, უნდა გავარკვიოთ, შეიძლებოდა თუ არა, რომ ივნისის შუა რიცხვებამდე ეკატერინესული რვეული, ან მისგან გადმოწერილი ასლი გამოგზავნილიყო რუსეთიდან საქართველოში და მოსწრებულიყო „ცისკრის“ ივნისის ნომერში გამოქვეყნება.

ჟურნალი ხშირად გამოდიოდა დაგვიანებით, მაგრამ ამ ნომერზე ცენზურის ნებართვის დროდ მითითებულია 1860 წლის 10 მაისი. ჩვენი მიზანია, გავარკვიოთ, არის თუ არა გამორიცხული, რომ ნომერს რომელიმე ლექსი მერე დამატებოდა. ამასთან დაკავშირებით გვაქვს ერთი საინტერესო მაგალითი. ილიას თარგმანის „ჩიტი“ იმ ვარიანტს, რომელიც ასევე ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა, ავტოგრაფში თარიღად აწერია 1856 წლის 17 ნოემბერი, „ცისკრის“ იმ ნომერს კი, სადაც ის დაიბეჭდა, ცენზურის ნებართვის დროდ მითითებული აქვს 1856 წლის 12 სექტემბერი (ჭავჭავაძე 1857: 7). როგორც ვხედავთ, ისეთი შემთხვევები, როცა ჟურნალს ცენზურის ნებართვის გაცემის შემდეგაც ემატებოდა ტექსტები, სახეზეა. ვერ ვიტყვით, ეს საცენზურო კომიტეტთან ცალკე შეთანხმების საფუძველზე ხდებოდა, თუ მისთვის გვერდის ავლით, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. შესაბამისად, თეორიულად არ არის გამორიცხული, რომ 1860 წლის ივნისის შუა რიცხვების შემდეგ საქართველოში გამოგზავნილი ტექსტი „ცისკრის“ ივნისისავე ნომერში მოხვედრილიყო.

ამის შემდეგ, როგორც ზემოთ, ქვეთავში „პუბლიკაციების სანდოობის

საკითხი“ გვაქვს წარმოდგენილი, შევისწავლეთ ტექსტის ყველა არსებული ავტორგრაფი და გამორიცხვის მეთოდით დავადგინეთ, რომ „ცისკრის“ პუბლიკაცია სწორედ ეკატერინე ჭავჭავაძის რვეულს ეყრდნობოდა. შესაბამისად, საფიქრებელია, რომ მისი გამოქვეყნება ილია ჭავჭავაძის ინიციატივით მომხდარიყო.

ტექსტოლოგიური კვლევებისა და მათი შედეგების გამოყენება კიდევ მრავალი სხვა მიზნით შეიძლება. ცალკეულ თხზულებათა შემოქმედებითი ისტორიის შესასწავლად წარმოებული ვარიანტული წაკითხვების ანალიზის დროს შევნიშნეთ, რომ საინტერესო შედეგს გვაძლევდა ტრანსმისიიდან ტრანსმისიაში ტექსტში შეტანილი ცვლილებების მხატვრულ-ესთეტიკური კუთხით ანალიზი. ამის საფუძველზე შევქმენით „შემოქმედებითი აზროვნების განვითარებისა და მხატვრული ლიტერატურის სწავლების“ სამეცნიერო-მეთოდოლოგიური პროექტი⁵, რომელიც ითვალისწინებს ქართველ კლასიკოსთა ტექსტების ვარიანტულ წაკითხვათა საფუძველზე ისეთი დავალებების მომზადებას, რომლებიც დაგვეხმარება სიდრმისეულად გავაანალიზოთ მხატვრულ ტექსტზე მუშაობის შემოქმედებითი პროცესი, მიგვანიშნებს, რატომ აკეთებდა ავტორი კონკრეტულ არჩევანს, როგორ ხვეწდა ლექსიკას, ტროპულ სახეებს, ესთეტიკურ ნიუანსებს და მოგვეცეს საშუალებას, თავადაც აქტიურად ჩავერთოთ ამ პროცესში. ასეთი პრაქტიკა ორმხრივ არის მნიშვნელოვანი. ის თან გვიზიარებს მწერლის გამოცდილებას და უკეთ გვაცნობს მას და, თან, ჩვენც გვივითარებს შემოქმედებით-ესთეტიკურ უნარებს.

დავალებების პაკეტმა აპრობაცია გაიარა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა ჯგუფებში, რომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლადაც შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში მოქმედებდა პროფესიული გადამზადების პროგრამა „მეცნიერება მომავლისათვის“.

⁵ პროექტი დეპონირებულია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში 2007 წელს, № 2594.

დავალებები

1. ელექტრონულ ფოსტაზე გადმოგეგზავნათ ანონიმურად გამოქვეყნებული ლექსი. გამოიყენეთ ყველა საჭირო ტექსტოლოგიური მეთოდი და ტექნოლოგია მის დასათარიღებლად.
2. ელექტრონული ბიბლიოთეკა „ივერიელის“ გამოყენებით შეარჩიეთ ნებისმიერ დროს ნებისმიერ ჟურნალში ფსევდონიმით გამოქვეყნებული ტექსტი და მოიძიეთ ინფორმაცია ამ ფსევდონიმის შესახებ.
3. ელექტრონულ ფოსტაზე გადმოგეგზავნათ ქართველი კლასიკოსის პირადი წერილი. შეიმუშავეთ სტრატეგია, რა მეთოდებს და ტექნოლოგიებს გამოიყენებდით მის დასათარიღებლად.
4. ელექტრონულ ფოსტაზე გადმოგეგზავნათ წერილი, რომელიც ვითომდა ეკუთვნის მითითებულ მწერალს, მაგრამ რეალურად ფალსიფიცირებულია. ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებითა და არგუმენტირებით შეეცადეთ დაასაბუთოთ, რომ ტექსტი მას არ შეიძლება ეკუთვნოდეს.
5. აირჩიეთ რომელიმე მხატვრული თხზულება, რომელსაც საფუძვლად უდევს პრეტექსტი და ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი იმასთან დაკავშირებით, თუ რა გადავიდა მხატვრულ თხზულებაში მისგან და რა სახის ტრანსფორმაცია განიცადა.
6. ელექტრონულ ფოსტაზე გადმოგეგზავნათ ქართველი კლასიკოსის სხვადასხვა სათაურის მქონე სამი დაუმთავრებელი პროზაული ტექსტი. ჩაატარეთ მათი შედარებითი ანალიზი და წერილობით ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი იმასთან დაკავშირებით, თუ რა სახის მიმართებაა მათ შორის.
7. ელექტრონულ ფოსტაზე გადმოგეგზავნათ სხვადასხვა სათაურის მქონე ორი ლექსი. შეისწავლეთ ისინი და წერილობით ჩამოაყალიბეთ თქვენი აზრი მათი ურთიერთმიმართების შესახებ.
8. კომენტარები გაუკეთეთ ელექტრონულ ფოსტაზე გადმოგზავნილ ლექსს.
9. კომენტარები გაუკეთეთ ელექტრონულ ფოსტაზე გადმოგზავნილ პირად

წერილს.

10. მოიძიეთ თქვენი სხვადასხვა პერიოდის ხელნაწერები (სასურველია, რომ წარმოდგენილი იყოს დროის რაც შეიძლება დიდი ინტერვალი), გადაიღეთ მათი ფოტოები, ჩაატარეთ გრაფოლოგიური ანალიზი და წერილობით ჩამოაყალიბეთ, რა ცვლილებები განიცადა თქვენმა ხელწერამ. ტექსტს თან დაურთეთ ვიზუალური მასალა.

დამატებითი ლიტერატურა

- ლევან ჭრელაშვილი, გაზეთ „ივერიაში“ ზოგიერთი ხელმოუწერელი ნაწარმოების ავტორისა და ფსევდონიმ „Amicus“-ის ვინაობის დადგენა (აკაკი წერეთლის უცნობი ნაწერები), ლიტერატურული ძიებანი, 2001, №21.
- კორნელი დანელია, ზურაბ სარჯველაძე, ქართული პალეოგრაფია, გამომცემლობა „ნეკერი“, 1997.
- „ტექსტოლოგიური კვლევები ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მათიანისთვის“, თბ., „სამშობლო“, 2016.
- გიორგი ვანკავა, „მგზავრის წერილების“ მხატვრულ სახეთა სისტემა. იდეოლოგია. დათარიღება“, ლიტერატურული ძიებანი, 2000.
- აკაკი ხინთიბიძე, „გალაკტიონი. 15 ლექსი და ერთი პოემა“, თბ., 2003.
- ჯული გაბოძე: „ასპინძა“ და „ელევია განშორებისა“, გალაკტიონოლოგია III, თბ. 2004.
- მაია ნინიძე, „სამშობლოვ ჩემო! რა გადაგხდა რა გზით ვინ იცის...“ (გალაკტიონის ლექსის „ასპინძა“ ტექსტოლოგიური ანალიზი, ალექსანდრე ორბელიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კრებული, თბილისი, ლომისი, 1998.
- Joseph Rudman: Non-Traditional Authorship Attribution Stud-

ies in Eighteenth Century. Stylistics Statistics and the Computer. Jahrbuch für Computerphilologie 4, 2002.

Identifying Fragments, Gumbrecht, Hans Ulrich, The Powers Of Philology: Dynamics of Textual Scholarship, University of Illinois Press, Urbana and Chicago, 2003.

Alexander Pettit, (ed.), Textual Studies and the Common Reader, Athens and London, University of Georgia Press, 2000

- Гришунин Андрей Луопольдович, Исследовательские аспекты текстологии, М., Наследие, 1998.
- Русакова Н. А., Автор-составитель, Текстология, Саратов, 2010.
- Абрамовских Е. В. Типологические особенности Креативной Рецепции незаконченных произведений А. С. Пушкина, Филологический журнал -2006 -# 1.

VI თავი: ციფრული ეპოქის ტექსტოლოგია

ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ უზარმაზარი ძვრები მოახდინა არა მხოლოდ კომუნიკაციის ფორმასა და ცხოვრების სტილში, არამედ მეცნიერების ყველა დარგში. ზოგან, მათ შორის ტექსტოლოგიაშიც, ეს შეეხო როგორც მეთოდებს, ისე პროდუქციის ფორმატს და კვლევის ტექნოლოგიურ პროცესებს. ტექსტოლოგია ყოველთვის იყო ყველა იმ მეცნიერების დასაყრდენი, რომლის საკვლევი ობიექტიც ტექსტია, დღეს კი ამ ტექსტის მიწოდება ბევრად უფრო მრავალფეროვანი ფორმითა და მდიდარი სამეცნიერო აპარატით გახდა შესაძლებელი. შეიძლება ითქვას, რომ ციფრული ჰუმანიტარიის განვითარებაში ტექსტოლოგიას ისევე ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს.

თანამედროვე ტექსტოლოგიური პროექტები ფართო მასშტაბებს მოიცავს და გულისხმობს სხვადასხვა დარგის სპეციალისტების, მათ შორის, პროგრამისტების ჩართულობას. პროგრამირების ცოდნა ჰუმანიტარს არ მოეთხოვება, მაგრამ წარმატების მისაღწევად იგი აუცილებლად უნდა იყოს საქმის კურსში, რისი გაკეთება შეიძლება მის დარგში თანამედროვე პროგრამებისა და პროგრამისტების დახმარებით. რომ არა თავად ვიწრო სპეციალისტთა ინტერესი და ინიციატივა, ალბათ, არ იარსებებდა არც ერთი სპეციალური დარგობრივი ციფრული პროგრამა, რომლებსაც დღეს იყენებენ მთელს მსოფლიოში.

სამწუხაროდ, თანამედროვე ქართველ ტექსტოლოგთა დიდი ნაწილი არათუ ავტორიზებული ციფრული ხელსაწყოების, არამედ უმარტივესი საოფისო პროგრამების შესაძლებლობათა ძალზე მცირე პროცენტს იყენებს, იშვიათად მოიხმარენ ციფრულ კატალოგებსა და ბაზებსაც. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ასეთ ვითარებაში მომზადებული სამეცნიერო აპარატი იმაზე მრავალგზის უფრო ღარიბი იყოს, ვიდრე იქნებოდა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

საკუთარმა გამოცდილებამ დაგვარწმუნა, რომ ამ პრობლემის მოგვარება შეიძლება სამიზნე ჯგუფზე მაქსიმალურად მორგებული კურსების

შექმნით, რომელიც ტექსტოლოგებს დაანახებდა ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობებსა და უპირატესობებს მათთვის მნიშვნელოვანი კონკრეტული ამოცანების გადასაჭრელად და მარტივად აუხსნიდა ამ ტექნოლოგიების გამოყენების გზებს. ამის წარმატებული მაგალითია თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ტექსტოლოგიისა და გამოცემათმცოდნეობის“ სადოქტორო პროგრამაში ინტეგრირებული არჩევითი კურსი „ინფორმაციული-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები კვლევა-სწავლებაში და ელექტრონული კურსების კონტენტის შექმნა“, რომელიც მნიშვნელოვნად ეხმარება დოქტორანტებს თანამედროვე ტექსტოლოგიაში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობათა გააზრებაში და პრაქტიკული მეცადინეობებით ხელს უწყობს მათ ათვისებაში.

ტექსტის გაციფრულება, ფორმატირება და რედაქტირება

თანამედროვე ტექსტოლოგიისთვის ძალზე მნიშვნელოვანია იმ საოფისე პროგრამების შესაძლებლობათა ზედმიწევნით ცოდნა, რომლებიც აუცილებლად გამოადგება ყოველდღიურ საქმიანობაში.

ჰუმანიტარტა უმრავლესობა ყველაზე ხშირად იყენებს საოფისე პროგრამა „ვორდს“ (word – სიტყვა), რომელიც საგანგებოდ ციფრული ტექსტების შესაქმნელად და მათზე სამუშაოდ არის შექმნილი. გრაფემათა სტილის, ზომის, მათი ერთმანეთისაგან დაშორებისა და სხვა სასურველი პარამეტრების დაყენება ხდება პროგრამის მთავარი მენიუს (Home) შემდეგი ბრძანებების გამოყენებით: ფონტი (Font), ფონტის ზომა (Font Size); ფონტის ზომის გაზრდა (Grow Font), ფონტის ზომის შემცირება (Shrink Font), გამუქება – B (Bold), დახრა – I (Italic), ხაზგასმა – U (Underline) გადახაზვა – ~~a&c~~ (Srikethrough), ქვემოთ დაწევა – X_2 (Subscript); ზემოთ აწევა – X^2 (Superscript), რეგისტრის შეცვლა – Aa (Change Case); სტრიქონებს შორის მანძილი (Line Spacing), ტექსტის გათანაბრება მარცხნივ (Align Text Left), განთავსება შუაში (Center), გათანაბრება მარჯვნივ (Align Text Right) და გათანაბრება ორივე მხრიდან (Justify), ტექსტის გაწევა მარცხნივ (Decrease

Indent), გაწევა მარჯვნივ (Increase Indent), ასოებს შორის დაშორება (Font → Character Spacing), აბზაცის დაყენება და ხაზებს შორის დაშორება (Paragraph).

ტექსტზე მუშაობის პროცესში გამუდმებით გვჭირდება ბრძანებები: კოპირება (Copy), ამოჭრა (Cut), ჩასმა (Paste), ფორმატირების წაშლა (Clear Formatting), ფორმატირების გადატანა ერთი მონაკვეთიდან მეორეზე (Format Painter).

როდესაც გვინდა მასალის კატეგორიზაცია, შეგვიძლია ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთი მოვნიშნოთ სხვადასხვა ფერით, ან თავად ტექსტს შევუცვალოთ ფერი. ამისათვის ვიყენებთ ბრძანებებს: ტექსტის მონიშვნის ფერი (Text Highlight Color) და ტექსტის ფერი (Font Color). როდესაც ვაკეთებთ ჩამონათვალს, შეგვიძლია ისინი გამოვყოთ მუხლებად (Bullets), აღვნიშნოთ ანბანის ასოებით, არაბული, ან რომაული ციფრებით (Numbering), ან გამოვიყენოთ მრავალდონიანი ნუმერაცია (Multilevel List). საძიებლების, ან გამოყენებული ლიტერატურის ანბანურ რიგზე დასალაგებლად, ისევე როგორც წლების ჩამონათვალის ქრონოლოგიურ რიგზე გასაწყობად, ვიყენებთ დახარისხების ბრძანებას (Sort).

როდესაც ვმუშაობთ დიდ დოკუმენტზე, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ სათაურები და ქვესათაურები მოვნიშნოთ შესაბამისი სტილით: Normal, Heading 1, Heading 2 და სხვ. პროგრამას უკვე აქვს ეს სტილები, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია მათი მოდიფიცირება ჩვენი საჭიროების მიხედვით. სათაურებისა და ქვესათაურების სხვადასხვა სტილით მონიშვნა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ასეთ შემთხვევაში თუ View-ს მენიუში ავირჩევთ დოკუმენტის რუკას (Documnet Map), ჩვენი სამუშაო ტექსტის მარცხნივ, ცალკე ფანჯარაში, გამოჩნდება ჩვენი ტექსტის თავებისა და ქვეთავების სრული ჩამონათვალი, ხოლო თუ Reference მენიუში ავირჩევთ „სარჩევს“ (Table of Contents), იმ ადგილას, სადაც ამ დროს კურსორი გვექნება მიტანილი, მექანიკურად ჩაისმება მთლიანი დოკუმენტის სარჩევი, თავებისა და ქვეთავების გვერდების მითითებით.

დიდ დოკუმენტზე მუშაობისას, ასევე შეიძლება დაგვჭირდეს ცალკეული

ფრაზების ხშირად გამოყენება. ეს შეიძლება იყოს რომელიმე ტექსტის ვრცელი სახელწოდება, წყაროს დასახელება და სხვ. ასეთ შემთხვევაში ძალიან მოსახერხებელია მებსიერების ბუფერის (Clipboard) გამოყენება. იგი მთავარ მენიუში მარცხენა მხარეს არის განთავსებული. როდესაც მონიშნავთ, მის ქვემოთ გაიხსნება დამატებითი ფანჯარა და ამის შემდეგ ტექსტში რომელ მონაკვეთსაც მისცემთ კოპირების ბრძანებას, ყველაფერს ამ ფანჯარაში გადმოწერს და შეგიძლიათ ეს ფრაზები მებსიერების ბუფერიდან მასის ერთი დაწკაპუნებით ჩასვით ტექსტის სათანადო ადგილებში.

გარდა იმისა, რომ „ვორდის“ დოკუმენტში ყველა სიტყვის, ასოსა და სიმბოლოს პოვნა შეგიძლია ბრძანებით Find, ასევე შეგიძლია, რომ ბრძანებით Replace ცალკეული სიტყვები, ან სიმბოლოები შეცვალოთ ალტერნატიულით. ეს ძალზე მოსახერხებელია, როდესაც გადავწყვეტთ, რომ ვრცელ დოკუმენტში გამოყენებული რაღაც სიტყვა ყველგან ჩავანაცვლოთ მისი სინონიმით, ან სიტყვის არასწორი მართლწერა ჩავასწოროთ ერთდროულად ყველგან.

Insert მენიუს ყველაზე ხშირად ვიყენებთ ცხრილის (Table), ნახატის (Picture), სქემის (Chart), სანიშნის (Bookmark), მონაკვეთებს შორის ბმულების (Cross-reference), თავსართ-ბოლოსართის (Header, Footer), გვერდების პაგინაციის (Page Number) და სიმბოლოების (Symbol) ჩასასმელად.

მენიუდან, რომელსაც ჰქვია Layout, ანუ განფენილობა, ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ველების მონიშვნა (Margins), გვერდის პარამეტრებისა და ფურცლის ზომის არჩევა (Page Setup, Paper), ტექსტის მექანიკური დაკაბადონება (Page Setup → Margins → Multiple pages → Bookfold), გვერდის პოზიციის არჩევა (Orientation) ვერტიკალური / ჰორიზონტალური (Portrait / Landscape) და ტექსტის განლაგება სვეტებად (Columns).

მენიუდან, References (მითითებები) მნიშვნელოვანია: სქოლიოს (Insert Footnote), ტექსტის ბოლოში გასატანი შენიშვნების (Insert Endnote), ციტატებისა (Insert Citation) და ბიბლიოგრაფიის (Bibliography) ჩასმა. ეს

ორი უკანასკნელი ჯერჯერობით მხოლოდ უცხოენოვან წყაროებს ეხება.

მენიუდან Review (მიმოხილვა) მნიშვნელოვანია ბრძანებები: სიტყვებისა და ასო-ნიშნების დათვლა (Word Count), რაც ხშირად გვჭირდება ისეთ ჟურნალებში ტექსტების გადაგზავნისას, სადაც სიტყვების, ან სიმბოლოების რაოდენობა შეზღუდულია. როდესაც გვინდა, რომ ტექსტს არ შევეხოთ, მაგრამ მის გარკვეულ მონაკვეთთან დაკავშირებით რაღაც იქვე ჩავინიშნოთ, ვხსნით საკომენტარო ფანჯარას (New Comment) და ვიწერთ მასში. ეს მოსახერხებელია იმიტომ, რომ ძალიან იოლია შემდეგ ამ კომენტარების წაშლა ისე, რომ ტექსტში არაფერი შეიცვლება.

როდესაც ტექსტს ვაგზავნით რედაქტირებისათვის, ძალიან მოსახერხებელია, რომ მოვნიშნოთ ბრძანება „ტექსტში შეტანილი ცვლილებების დამახსოვრება და აღნუსხვა“ (Track Changes). ამ ბრძანების გაუქმებამდე ყველა ცვლილება, რაც ტექსტში იქნება შეტანილი, სხვადასხვა ფერად მონიშნება და გვერდის თავისუფალ ველებზე საკომენტარო ფანჯრებში დაიწერება, რა სახის ცვლილება მოხდა.

როდესაც გვინდა ორი ტექსტის შედარება და მათ შორის არსებული ცვლილებების აღნუსხვა, ვირჩევთ ამავე მენიუს ბრძანებას „დოკუმენტების შედარება“ (Compare), შესაბამის ველებში ავტვირთავთ შესადარებელ დოკუმენტებს და მონიშნება ყველა სახის ცვლილება, რაც მათ შორის არის.

მენიუ View-ს საინტერესო ბრძანებებია: გვერდის ამოსაბეჭდი სახე (PrintLayout), გამოსახულების გაზრდა ეკრანზე (Zoom), სახაზავის გამოჩენა (Ruler) და სხვ. ორ განსხვავებულ ტექსტზე პარალელურად მუშაობისათვის მოსახერხებელია ეკრანზე რამდენიმე დოკუმენტის ერთდროულად ჩვენება (Arrange All), ხოლო ერთი და იმავე ტექსტის სხვადასხვა ადგილზე პარალელურად მუშაობის დროს – დოკუმენტის ორად გაყოფა (Split). ამ ბრძანების მონიშვნის შემდეგ შეგვიძლია პარალელურად ვიმუშაოთ ტექსტის სხვადასხვა მონაკვეთზე და, რა ცვლილებებსაც შევიტანთ, დოკუმენტში ყველაფერი აისახება.

როდესაც ვამზადებთ ხელნაწერის ტრანსკრიპტს, შეგვიძლია გავხსნათ მისი ციფრული ვერსია, გავადიდოთ სასურველ ზომამდე, გადავიდოთ ეკრანის

ფოტო (Screenshot), ჩავსვათ პროგრამა Paint-ში, შემდეგ კი მონაკვეთებად გადავიტანოთ ვორდის დოკუმენტში და შევუდგეთ აკრეფას. ასე საშუალება გვეძლევა თავალიარმოვწყვიტოთ იმ ტექსტს, რომელიც კომპიუტერში შეგვყავს. ამავე ხერხით არის შედგენილი ავტორთა ხელწერისთვის დამახასიათებელი ის ცხრილები, რომლებიც წარმოდგენილია ილუსტრაციებში 3-5.

ხელნაწერის ტრანსკრიპტი და სამეცნიერო აპარატი

ტექსტოლოგიური კვლევის თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების უმრავლესობა ეყრდნობა კომპიუტერში აკრეფილ ტექსტს. ამიტომ ძალზე დიდი მუშაობაა ჩასატარებელი მათი დიგიტალიზაციისათვის. ზუსტი ტრანსკრიპტის მომზადებას აუცილებლად სჭირდება გამოცდილი ტექსტოლოგი, რომელიც ფლობს ხელნაწერის ამოკითხვის ყველა საჭირო მეთოდსა და ტექნოლოგიას. ეს ძალზე შრომატევადი საქმეა, რომელსაც წინ უსწრებს ავტორის ინდივიდუალური ხელწერის თავისებურებათა შესწავლა, ტიპური და ატიპური მოხაზულობებით. გარდა ამისა, უნდა შემუშავდეს კონცეფცია, რომლის მიხედვითაც მომზადდება ტექსტოლოგიური შენიშვნები. სამეცნიერო აპარატი უნდა იყოს მაქსიმალურად სტრუქტურირებული და მოქნილი. თუ ტრანსკრიპტი გამოყენებული იქნება თანამედროვე ტიპის ელექტრონული არქივის ან ელექტრონული აკადემიური გამოცემის შესაქმნელად, შენიშვნების ეს სტრუქტურირებული ელემენტები ცალ-ცალკე გადანაწილდება შესაბამის ჰიპერლინკებში.

ტრანსკრიპტთან ერთად შექმნილი შენიშვნები აუცილებლად უნდა ასახავდეს: საწერი საშუალებების (მელანი, ფანქარი, ბურთულიანი კალამი და სხვ.) და მათი ფერების მონაცვლეობას; რომელი სიტყვებია გადაშლილი, რომლით არის ჩანაცვლებული, ახალი სიტყვები ტექსტის იმავე სიბრტყეზე, მის გვერდით წერია, ზემოდან არის გადაწერილი, ველზეა მიწერილი თუ სხვ. ფურცელზე ხომ არ არის გრაფიკული მინახაზები, რაიმე ნიშნები, ციფრები და სხვ.

კომპიუტერულ პროგრამებს მარტივად შეუძლია გამოსახულების გარ-

დაქმნა მის სარკისებურ ვერსიად, რაც შეგვიძლია გამოვიყენოთ მეღნის ანაბეჭდებიდან გრაფემების იდენტიფიკაციისათვის. როდესაც ნაწერი ტექსტის მეღნის ანაბეჭდს ნახულობენ საარქივო ფურცლებზე, თავად ეს ტექსტი კი არ არის შემორჩენილი, ტექსტოლოგები დიდ ძალისხმევას ანდომებენ ანაბეჭდის გაშიფრვას. რამდენადაც ანაბეჭდს ტექსტის სარკისებური ფორმა ეძლევა, ისინი ცდილობენ წარმოიდგინონ, როგორი იქნებოდა ამ გრაფემების ორიგინალური მოხაზულობა, რაც საკმაოდ რთულია. ციფრული პროგრამების საშუალებით შეგვიძლია შევქმნათ სკანირებული გამოსახულების სარკისებური ვერსია და, გონების დაძაბვის გარეშე, პირდაპირ დავაკვირდეთ ორიგინალურ მოხაზულობებს. მართალია, ანაბეჭდებში გრაფემები ჩვეულებრივზე ბევრად უფრო მკრთალად და ბუნდოვნად ჩანს, მაგრამ ეს ტექნოლოგია ცოტათი მანძილს გვიმსუბუქებს რთულ ამოცანას.

ადრე კონიექტურაში ვგულისხმობდით ავტორისეულ ტექსტში ამა თუ იმ სიტყვის ჩასწორებას კვლევით დადგენილი ვარაუდის მიხედვით, დღეისათვის კი ფართოდ გამოიყენება გრაფიკული კონიექტურაც. ამ ტერმინით აღინიშნება ხელნაწერის ამოუკითხავ მონაკვეთში ამ ტექსტისათვის დამახასიათებელი ხელწერით გრაფემათა გამოსახულებების სავარაუდო თანმიმდევრობის ჩასმა. ამავე ხელნაწერში ვპოულობთ სავარაუდო სიტყვას, ვაკოპირებთ და ვსვამთ იმ ადგილას, სადაც ვვარაუდობთ ამ სიტყვის არსებობას. თუ საჭირო სიტყვა ამავე ტექსტში სხვაგან არ გვხვდება, მის სავარაუდო გრაფიკას ვქმნით შემადგენელი გრაფემების ამ ავტორისათვის დამახასიათებელი ტიპური მოხაზულობების მოშველიებით.

გენეტიკური კვლევებისთვის საჭიროა არა მხოლოდ ხელნაწერების, არამედ ავტორის სიცოცხლისდროინდელი გამოცემების ტრანსკრიპტების შექმნაც. ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში არაერთი მსხვილი პროექტი განხორციელდა ძველი წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გასაციფრებლად. სკანირებული ვერსიიდან ტექსტის ამოკითხვას კომპიუტერული პროგრამა ახორციელებს, მაგრამ, თუ გადასაღები მასალის იმ ეგზემპლარს რაიმე ხარვეზი ჰქონდა, მაგალითად, ლაქა, ნაკეცი და სხვ. კომპიუტერმა

შეიძლება შესაბამისი ადგილის გრაფემები არასწორად ამოიკითხოს. ქართულ ანბანზე რომ წარმოვიდგინოთ, თუ ასო „მ“-ს ზედა ნაწილი გადაკეცილი, ან გაფერმკრთალებულია, აკრეფილ ტექსტში მის ადგილას შეიძლება გაჩნდეს „ძ“, თუ ასო „თ“-ს მარცხენა შეკრული წრის ქვედა ნაწილი დაზიანებულია, შეიძლება მის ადგილას გაჩნდეს „ო“ და ა. შ. ამიტომ პროგრამის მიერ ამოკითხულ ტექსტს აუცილებლად სჭირდება გადახედვა და ჩასწორება. მსგავს პროექტებში ხშირად ჩართულია მილიონობით მოხალისე, რომლებიც ამ მნიშვნელოვანი საქმის წარმატებისათვის არ იზარებენ სკანირებული რამდენიმე გვერდის შედარებას მის კომპიუტერში აკრეფილ ვერსიასთან.

ვფიქრობთ, ეს არაჩვეულებრივი პრაქტიკა უნდა დავენერგოთ საქართველოშიც, რადგან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა წინსვლისთვის ძალზე მნიშვნელოვანია მდიდარი ციფრული ბაზების არსებობა.

ცვლილებები ტექსტოლოგიურ პრაქტიკაში

კომპიუტერული ტექნიკისა და ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ ტექსტოლოგია ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. მისი უმნიშვნელოვანესი პრობლემა - თხზულებათა აკადემიური გამოცემა, რომელიც თავს უყრის კლასიკოსთა ნაწერებს და აღჭურავს მას მრავალმხრივი სამეცნიერო აპარატით, ბევრად უფრო ამომწურავი და სრულყოფილი უნდა გახდეს, რომ შეძლოს სხვადასხვა სახის საინფორმაციო ტექნოლოგიით განებივრებული თანამედროვე მკითხველის გაზრდილი მოთხოვნების დაკმაყოფილება.

მსოფლიოს არაერთი ქვეყნის უნივერსიტეტში, ინსტიტუტსა და სამეცნიერო ცენტრში ამ გამოწვევების კვალდაკვალ, ერთი მხრივ, შეიქმნა ისეთი პროგრამები, რომლებიც აიოლებს ტექსტოლოგიურ კვლევებს და ხელს უწყობს აკადემიური გამოცემის ხარისხის ამაღლებას, მეორე მხრივ კი, გადამზადდნენ სპეციალისტები და ასეთმა კომპლექსურმა მიდგომამ საუკეთესო შედეგი გამოიღო.

ქართველი ტექსტოლოგები ჯერჯერობით შორს ვართ ამგვარი ფუფუნებისგან, მაგრამ იმ საშუალებებითაც კი, რაზედაც ხელი მიგვიწვდება

- იქნება ეს ინტერნეტში განთავსებული, ან პროექტისათვის ჩვენ მიერვე შექმნილი ტექსტური მასალა თუ ჩვეულებრივი საოფისე პროგრამები, შემუშავებული გვაქვს ტექნოლოგიები, რომლებიც ეფექტურად გვეხმარება ისეთი კონკრეტული ტექსტოლოგიური ამოცანების შესრულებაში, როგორებიცაა: წყაროების მოძიება, ატრიბუცია, დათარიღება, კომენტირება, ანოტირება და სხვ.

უახლესმა ტექნოლოგიებმა თვალნათლივ დაგვანახა ტექსტოლოგიური საკითხების სტატისტიკური კვლევის ფართო შესაძლებლობები. ალფრედ ჰაუსმანის აზრი, თითქოს მათემატიკას და სტატისტიკას ტექსტოლოგიურ კვლევებთან არაფერი აქვს საერთო, დღითიდღე კარგავს ძალას. რა თქმა უნდა, ლოგიკური აზროვნება და ინტუიცია ტექსტოლოგს ყველა დროში სჭირდებოდა და ყოველთვის დასჭირდება, მაგრამ სადღეისო გამოწვევებთან ღირსეულ გამკლავებას მხოლოდ ამ უნარებით ვერ შეძლებს. ვფიქრობთ, რომ ტექნიკისა და ტექნოლოგიების სწრაფი აღმავლობის პირობებში, მეცნიერისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია სიახლეებისადმი შემოქმედებითი მიდგომა და მათი მაქსიმალურად გამოყენება.

ბიბლიოგრაფიის შედგენა

მწერლის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემისას წყარობად ვიყენებთ მის ავტოგრაფებს, ხელნაწერ ასლებს (რომელთა სანდოობასაც სათანადო კვლევის შედეგად ვაზუსტებთ) და სიცოცხლისდროინდელ პუბლიკაციებს. ბიბლიოგრაფიის შედგენისას ფასდაუდებელ დახმარებას გვიწევს ციფრული მასალა: კატალოგები, ანოტაციები, აღწერილობები და ტექსტები. აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის მიღწევები, რაც ამ თვალსაზრისით აქვს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას. მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი ელექტრონული ბაზები ჰქონდეს არა მხოლოდ ბიბლიოთეკებს, არამედ ხელნაწერთა ყველა საცავს, რადგან ეს მეცნიერთა პროდუქტიულობას ბევრად აამაღლებს. ასევე სასურველია ბიბლიოგრაფიული ხასიათის გამოცემების ციფრულ ფორმატში გადაყვანაც,

როგორებიცაა, მაგალითად, ვალერიან გუნიას „საქართველოს კალენდარი“, „Кавказский календарь“, „Акты, собранные Кавказской археографической комиссией“ და სხვ. მათი ნაწილის სკანირებული ვერსია უკვე ხელმისაწვდომია, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანია ისეთ ფორმატში გადაყვანა, რომელშიც მოქმედებს საძიებო სისტემა.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ხორციელდება პროექტები, რომელთა ფარგლებშიც მიმდინარეობს არქივებში დაცული დოკუმენტების დიგიტალიზაცია. მისასაღმებელია, რომ მსგავსი პროექტების განხორციელება საქართველოს ეროვნულმა არქივმა, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმმა, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა და იოსებ გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმამც დაიწყო. ამ თვალსაზრისით, ძალზე მნიშვნელოვანია ტექსტოლოგიის, გამოცემათმცოდნეობისა და ციფრული ჰუმანიტარიის ახლად დაარსებული ასოციაციის წამოწყებაც კლასიკოსთა კერძო არქივების დიგიტალიზაციასთან დაკავშირებით.

კომენტარებისა და საძიებლების მომზადება

ინფორმაცია, რომელიც ბეჭდურ აკადემიურ გამოცემაში შედიოდა კომენტარებსა და საძიებლებში, საჭიროა ელექტრონული აკადემიური გამოცემისთვისაც. მართალია, აქ ის ჰიპერლინკებშია განთავსებული, მაგრამ მასალის მომზადება და სტრუქტურირება ისევ ისე აუცილებელია, პასუხისმგებლობა კი კიდევ უფრო მაღალი. თანამედროვე მკითხველს ინტერნეტის საძიებო სისტემების საშუალებით თავადაც ბევრი რამის გაგება შეუძლია და, თუ აკადემიურ გამოცემაში განთავსებული ინფორმაცია იმაზე უფრო სრული და სარწმუნო არ იქნება, რისი მოპოვებაც ყველასათვის მარტივად ხელმისაწვდომია, გამოცემა დაკარგავს თავის ფუნქციას.

ტექსტოლოგს უხდება მუშაობა სხვადასხვა ეპოქის, სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის ტექსტებზე, რის გამოც ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამდე ძალზე რთული იყო ყველა საჭირო ინფორმაციის მოძიება

კომენტარებისა და საძიებლებისათვის. დღესდღეობით ჩვენს წინაშე ბევრად უფრო ფართო შესაძლებლობებია გაშლილი, მაგრამ საჭიროა შემოქმედებითი მიდგომა მათი სრულად გამოყენებისათვის.

მაგალითად, ილია ჭავჭავაძის თხზულებათა მე-19 ტომში იბეჭდება მისი სტატია „ფიქრი და შენიშვნა“, რომელშიც საუბარია ნიკო ნიკოლაძის წიგნზე „საახალწლო“. წერილის ერთ პასაჟში ნიკოლაძის საქციელი შედარებულია ალექსანდრე მაკედონელის რომელიღაც ქმედებასთან, მაგრამ არ არის დაკონკრეტებული, რომელთან. კონტექსტი ასეთია: „კარგათ მესმის უფ. ნიკოლაძის ორ წყალშუა დგომა: ერთის მხრით უფ. ნიკოლაძეს დასჭირდა დრეპერის აზრი, ანუ უკეთ ვთქვათ, დრეპერის ანალოგია, მეორეს მხრით ახსოვს რუსეთის გამოჩენილ მწერლის... აზრი, რომ ხალხი არასდროს არც ბერდება და არც კვდებაო თავისით და ამის თქმა ბრიყვობა არისო. უფ. ნიკოლაძე ამ შემთხვევაში ალექსანდრე მაკედონელსავით მოიქცა: აიღო დრეპერის ანალოგია, შუაზედ გადასჭრა, ე. ი. ჩაუტოო სიტყვა „დასაწყისში“ – ხალხის ცხოვრების მსვლელობა მხოლოდ დასაწყისში ემსგავსება ადამიანის სიცოცხლის მსვლელობასაო, მერე კი აღარაო“.

როგორც კონტექსტიდან ჩანს, საუბარი უნდა იყოს ალექსანდრე მაკედონელის რაღაც უცნაურ ქმედებაზე, არსებითად, ფალსიფიკაციამზე. ძნელი წარმოსადგენია, რა დონის განათლება და როგორი მესხიერება უნდა ჰქონოდა ტექსტოლოგს 20-30 წლის წინ, რომ ფრაზისთვის „ამ შემთხვევაში ალექსანდრე მაკედონელსავით მოიქცა“ გაეკეთებინა კომენტარი, ან რამდენი წიგნი უნდა წაეკითხა ალექსანდრე მაკედონელის შესახებ საჭირო ინფორმაციის მოსაძიებლად. დღეს კი, ციფრული ტექნოლოგიებისა და საძიებო სისტემების წყალობით, სავსებით შესაძლებელი გახდა იმის გარკვევა, თუ დიდი მხედართმთავრის რომელ ქმედებას გულისხმობდა ილია ჭავჭავაძე. სპარსეთის მეფე დარიოსთან ბრძოლის დაწყების წინ (ძვ. წ. 334) ალექსანდრე მაკედონელმა კალენდარს ჩაამატა უკვე მიწურული წარმატებული თვის – არტემისიოსის სახელი, რადგან ის თვე, რომელიც რეალურად უნდა დამდგარიყო — დესიოსი, ბერძნებს ბრძოლაში წარუმატებლობის მომტანად მიაჩნდათ. ანალოგია აშკარაა, ნიკო ნიკოლაძემ

ერთი სიტყვის ჩამატებით ისე მოარგო დრეპერის თეორია თავის მიზანს, როგორც ალექსანდრე მაკედონელმა – კალენდარი.

მსგავს რთულ საკომენტარო მასალას ტექსტოლოგი ძალზე ხშირად აწყდება და იოლი წარმოსადგენია, რამდენად მნიშვნელოვანია მისთვის იმ უნარების განვითარება, რაც ინფორმაციის მოძიებას სჭირდება.

გრიგოლ ორბელიანის ერთ-ერთ პირად წერილში შეგვხვდა ფრაზა: „მიწის ძვრამ ეგ გაუშო და ლისაბონი ჩაყლაპა.“ ალბათ, ძალზე გავიჭირდებოდა ამ ფრაზის კომენტირება ინტერნეტის საძიებო სისტემების გამოყენების გარეშე. ინგლისურენოვანი ქრონიკების საშუალებით გავარკვიეთ, რომ წერილში ნაგულისხმევი უნდა იყოს ლისაბონის დიდი მიწისძვრა, რომელიც მოხდა 1755 წლის 1 ნოემბერს და რომელმაც მიწასთან გაასწორა ქალაქი.

მე-19 საუკუნის ქართულ-რუსული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ჩრდილოეთ კავკასიის ბრძოლებში მონაწილეობის პერიოდში გრიგოლ ორბელიანის მიერ დაწერილი ბარათების კომენტირებისას, მათში ნახსენებიარაერთი ისტორიული ფაქტის, რეალიის თუსამხედრო პირის შესახებ ინფორმაცია მოვიპოვეთ რუსულ ელექტრონულ ბაზებში. მათი მეშვეობით განვმარტეთ არაერთი ყოფითი რეალია და ფრაზა. მაგ., გავარკვიეთ, რას გულისხმობდა გრიგოლი ფრაზაში „არენდაზედ წარმადგინონ“. აღმოჩნდა, რომ მე-19 საუკუნიდან ოფიცერთა წასახალისებლად რუსეთის არმიაში შემოვიდა დაჯილდოების მატერიალური ფორმები, მათ შორის – არენდა. პოლკოვნიკებს ექვსწლიანი არენდით აძლევდნენ მიწებს (პოლონეთის ტერიტორიაზე), რომელთა წლიური შემოსავალი იყო 5 ათასი ოქროს მონეტა. გრიგოლი პოლკოვნიკი გახდა 1846 წლის 14 იანვარს და სურვილი გაუჩნდა, რომ არენდა მიეღო.

პეტერბურგში ყოფნის პერიოდის შესახებ წერისას გრიგოლ ორბელიანი ახსენებს სხვადასხვა სპექტაკლს «Киа-кинг», «Поражение безбожника», «Горе от ума», «Севильский цырульник», «Волшебный стрелок» და სხვ. რომელთა შესახებაც საკომენტარო ინფორმაცია ასევე რუსულენოვან ვებ-გვერდებზე მოვიძიეთ.

ინტერნეტის საძიებო სისტემების საშუალებით მოვიპოვეთ ინფორმაცია იმის შესახებაც, თუ რას შეიძლება გულისხმობდეს გრიგოლ ორბელიანი ფრაზაში: „სტაროვსავით არ დაიმალები.” 1850 წლის 14 ივლისს ყვარელს თავს დაესხა ლეკების ხუთასკაციანი რაზმი. ილია ჭავჭავაძის მამის, გრიგოლისა, და პროპორშიკ დავით ჭავჭავაძის მეთაურობით სოფლის მკვიდრთ ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს თავდამსხმელებს, გარეკეს ისინი და ნადავლიც დაატოვებინეს. ჭავჭავაძეების გმირობის შესახებ მეფისნაცვალ ვორონცოვს საგანგებოდ აცნობა ამიერკავკასიის მხარის სამოქალაქო სამმართველოს უფროსმა ბებუთოვმა, რომელიც თავის მოხსენებაში, ამასთანავე, აღნიშნავდა ყვარლის გამაგრებული ციხის უფროსის, პოდპოლკოვნიკი სტაროვის, შეუფერებელ საქციელს, რომელიც ყვარლის მოსახლეობას არც თავად მიშველებია თავდამსხმელთა მოგერიებაში და არც მილიციის ასეულის უფროს ლუარსაბ ვაჩნაძისთვის მიუცია დახმარების უფლება. მოძიებული ინფორმაციით საშუალება მოგვეცა, კომენტარი გაგვეკეთებინა ციტირებული ფრაზისთვის, რომელიც მის გარეშე გაუგებარი იქნებოდა.

რუსულენოვანი საინფორმაციო ბაზების გამოყენებისას ხელს გვიშლიდა შეუსაბამობები ქართულ და რუსულ დაწერილობებში. პირთა სახელები, გვარები და ტოპონიმები რუსულად და ქართულად ხშირად სხვადასხვაგვარად გამოითქმის. გრიგოლ ორბელიანის წერილების კომენტირებისას ალღოთი თუ ვხვდებოდით, რომელი გეოგრაფიული სახელი იგულისხმებოდა ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, ან როგორ შეიძლებოდა დაწერილიყო ის რუსულად. უცხოენოვანი სახელებიდან და ტოპონიმებიდან „ჰ“ რუსულში ზოგჯერ Г-დ გადადის: ჰოცცო – Гоццо, ჰაჯიოვი – гаджиев, ჰუწათლი – Гоцатль, ჰარუმბევი – Гарунбек, ზოგჯერ კი საერთოდ იკარგება, მაგ., ჰარახთოუ – Арахтау, აჰყოშა – Акуша.

გვარების დაწერილობაში ორბელიანთან ხშირია შემთხვევითი უზუსტობებიც: კაზლაინოვი – Козлянинов, ვასილიცკი – Веселицкий, ჯამოვეგ – Джамов-бек, რეინკამფი – Ренненкампф. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ერთი და იმავე პირის სახელი ქართულ წყაროებშივე სხვადასხვაგვარად იკითხება, მაგ. ლაკი – ჰაკე.

ეს შეუსაბამობები მნიშვნელოვან სირთულეებს გვიქმნდა კომენტარებისას, მაგრამ აქაც საბოლოო მიზნის მიღწევაში გვეხმარებოდა ინფორმაციული ტექნოლოგიები, რომელთა მეშვეობითაც სწრაფად ვამოწმებდით ყველა შესაძლო დაწერილობას.

ციფრული წყაროები დიდ დახმარებას გვიწევს მაშინაც, როდესაც ავტოგრაფიდან ჭირს საკუთარი სახელის იდენტიფიცირება. ზოგადად, ხელნაწერის ამოკითხვისას დიდ როლს თამაშობს ინტუიცია, მაგრამ, როცა ტექსტში უცნობ გეოგრაფიულ სახელებს ვხვდებით, ალღო ვეღარ გვშველის და საჭირო ხდება ყველა შესაძლო ვერსიის გადამოწმება.

ბევრი ძიება და ფიქრი დასჭირდა გრიგოლ ორბელიანის ერთ-ერთი რუსულენოვანი წერილის ადრესატის გვარის დადგენას. ავტოგრაფის მიხედვით ამოვიკითხეთ გენერალი Грумлев, მაგრამ ვერავითარ ინფორმაციას ასეთ პიროვნებაზე ვერ მივაკვლიეთ. გადავამოწმეთ დაწერილობით მსგავსი გვარები და ერთ-ერთი ვერსიის – Брусилёв-ის გადამოწმებისას გაირკვა, რომ ეს პიროვნება გრიგოლ ორბელიანის სხვა წერილშიც იყო ნახსენები და ინფორმაცია, რაც მის შესახებ უკვე გვექონდა, ზუსტად ესადაგებოდა განსახილველი წერილის შინაარსს.

საძიებო სისტემები დიდ დახმარებას გვიწევს ტექსტში არსებული ციტირებების, ალუზიებისა და სხვადასხვა სახის ინტერტექსტების კომენტირებაში. რუსულ ენაზე დაწერილ ორ სხვადასხვა ბარათში გრიგოლ ორბელიანს მოჰყავს პუშკინის ერთი და იგივე ციტატა, მაგრამ ტექსტის დაზიანების გამო ორივე წერილიდან ერთად შესაძლო გახდა სულ სამიოდე სიტყვის ამოკითხვა. მიუხედავად ამისა, ესეც კი საკმარისი იყო იმისათვის, რომ საძიებო სისტემის გამოყენებით გვეპოვა საჭირო ციტატა, რომელიც ისე ზუსტად ესადაგება კონტექსტს, რომ მისი იდენტიფიცირების სისწორე ეჭვს არ იწვევს. ტექსტმა ასეთი სახე მიიღო:

Я забыл вам сказать, что я уже давно ротовый командир и выезжая к помещикам говорю стих Пушкина: „[И вот из ближнего посада / Созревших барышень кумир, / Уездных матушек отрада, / Приехал ротный командир].“

უფრო რთულია, როდესაც მოსაძებნია არა ზუსტი ციტატა, არამედ ტრანსფორმირებული, ან, ალუზია, მაგრამ შემოქმედებითი მიდგომით და ძიების მექანიზმების სწორი გამოყენებით ხშირად ასეთ სიტუაციებშიც კი ხერხდება საჭირო ინფორმაციის მოპოვება.

ასეთსავე დახმარებას გვიწევს ტექნოლოგიური პროგრესი საძიებლების მომზადებაშიც. ადრე ანოტირებისათვის ვეყრდნობოდით ენციკლოპედიებს და თითო-ოროლა საცნობარო ხასიათის წიგნს, მაგალითად, გამოცემას „ქართული მწერლობა“ და, თუ მათში ვერ ვპოულობდით ცნობებს ჩვენთვის საინტერესო პიროვნებათა შესახებ, ისინი აკადემიურ გამოცემაში ანოტაციის გარეშე რჩებოდა. ამიტომ არის, რომ ზოგიერთი აკადემიური გამოცემის სამეცნიერო აპარატი, ილია ჭავჭავაძისეული ერთი ხატოვანი გამოთქმა რომ გამოვიყენოთ, „კალიისგან მოჭმულ ყანას“ ჰგავს. ყველაფრის განმარტებას ვერასოდეს შევძლებთ, რადგან იმ ინფორმაციის დიდი ნაწილი, რაც შეიძლება დაგვჭირდეს, უკვე დაკარგულია, მაგრამ ტექსტოლოგი ყოველთვის უნდა ცდილობდეს ყველა არსებული საშუალების გამოყენებას აკადემიური გამოცემის სამეცნიერო აპარატის გასამდიდრებლად.

ციფრულმა ტექნოლოგიებმა განსაკუთრებით დიდი დახმარება გაგვიწია ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობის – „შელოცვა რადიოთი“ კომენტარებისას, რადგან სიუჟეტურ ხაზთან ხშირად იკვეთება მსოფლიო პოლიტიკურ მოვლენებთან და ფიგურებთან დაკავშირებული ისეთი დეტალები, რომელთა შესახებაც ინფორმაციას ისტორიის სახელმძღვანელოებსა და ენციკლოპედიებში ვერ ამოვიკითხავთ. ერთგან წერია: „კლემანსოს, მგონი, ისე არაფერი გახარებია თავის ცხოვრებაში, როგორც მილიარდერისაგან წაგებული შამპანიურ ბოთლის მიღება“. ამ ფრაზაში ჩადებულ ფარულ ირონიას მკითხველი ვერ აღიქვამს ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწე – ჟორჟ ბენჟამენ კლემანსოს (1841-1929) ერთი, ოდესღაც ყბადაღებული თვისების შესახებ ინფორმაციის გარეშე – ყოველი პოლიტიკური მარცხის შემდეგ იგი ირწმუნებოდა, რომ მომხდარით კმაყოფილი იყო. 1909 წელს, როდესაც კლემანსო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობიდან გადააყენეს, განაცხადა, რომ ძალიან გახარებული და ბედნიერი იყო, რადგან დაუსრულებელ

შეხვედრებზე სიარული აღარ მოუხდებოდა. 1920 წელსაც, როდესაც საპრეზიდენტო არჩევნებში წააგო, იხტიბარი არ გაიტეხა და თქვა, ოკეანის პირას ვცხოვრობ, მებაღეობას ვეწევი, ფილოსოფიის შესწავლას ვცდილობ და თავს ძალიან კარგად ვგრძნობო. მისი ამ ყალბი კმაყოფილების გამო, კლემანსოს „სიხარულზე“ იუმორით საუბრობდნენ.

მოთხრობაში ნახსენები ახალგაზრდა მხატვარი კონრადი, თუ ხელოვნებისადმი მისი დამოკიდებულების მიხედვით ვიმსჯელებთ, უნდა იყოს გერმანელი ექსპრესიონისტი – კონრად ფელიქსმიულერი (1897-1977). მიმდინარეობა „მაგიური რეალიზმი“, რომელსაც ის ეკუთვნოდა და რომლის ცენტრიც 20-იან წლებში სწორედ მოუნხენი იყო (მოთხრობის მიხედვით აქ ხვდება მას ელი), ემყარებოდა პირდაპირი ემოციური ზემოქმედების იდეას. ამ ჯგუფის წარმომადგენლები დიდი ინტერესით ეკიდებოდნენ რეალობას და სურდათ, რომ იგი აღექვათ იდეალიზებული, რომანტიკული ფილტრების გარეშე. როგორც ამბობდნენ, მათი მიზანი იყო „სამყაროს არაადეკვატურობის ადეკვატური ასახვა და რეალობის არარსებობის რეალისტური დაფიქსირება.“

ელის გარდაცვალების შემდეგ ბრომლეი აეროპლანით მიდის ქრისტიანიაში!..“ – ქრისტიანია ეწოდებოდა ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოს 1924 წლამდე, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ მოთხრობა 1927-1928 წლებშია დაწერილი, აქ უნდა იგულისხმებოდეს დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენის დამოუკიდებელი კვარტალი, სადაც განსხვავებული კანონები მოქმედებდა – აკრძალული იყო ავტომობილით მგზავრობა და იარაღი, მსუბუქი ნარკოტიკები კი თავისუფლად იყიდებოდა. ვერც ერთი ამ საკომენტარო მასალის შესახებ ინფორმაციას ვერ მოვიძიებდით ციფრული საძიებო სისტემების გარეშე.

ციფრული კორპუსები

დღემდე ტექსტოლოგები თხზულებათა აკადემიური გამოცემის მზადებისას, ძირითადი წყაროს კომპიუტერში შესაყვანად იყენებენ წინა გამოცემის ტომეულებს, რაც ზედმეტ შრომასთან არის დაკავშირებული. მას

შემდეგ, რაც ოპერატორი ტექსტებს კრეფს, ტომის შემდგენლებს უხდებათ მისი ჩასწორება ძირითადი ტექსტის მიხედვით, გასასწორებელი კი ხშირად საკმოდ ბევრია. უფრო მოსახერხებელი იქნება, თუ იმათივე შეიქმნება ძირითადი წყაროს ფოტოასლი და ოპერატორი მისგან აკრეფს ტექსტს. მწერლის გარდაცვალების შემდეგ გამოცემული თხზულებათა კრებულები, თუნდაც აკადემიური იყოს, ავთენტურ წყაროდ ვერ ჩაითვლება და ტექსტის დიგიტალიზაციის დროს მის გამოყენებას აზრი არა აქვს.

სულ რაღაც 30 წლის წინ, როცა ასლის გადაღები აპარატი ახალგამოგონილი იყო და ქართველ მეცნიერებს ჯერ კიდევ არ მიუწვდებოდათ მასზე ხელი, იმისათვის, რომ მომავალი გამოცემის კორპუსი შეედგინათ, იღებდნენ წინა გამოცემის ორ ეგზემპლარს, წიგნებს ფურცლებად შლიდნენ, შემდეგ კი თითოეულ ფურცელს აწებებდნენ სუფთა თაბახზე, რომ ხელთ ჰქონოდათ წიგნის ყველა გვერდი და თაბახის ფურცლის ველებზე შესაძლებელი ყოფილიყო კორექტურის გამოტანა. იმ დროისათვის ეს იყო ერთადერთი საშუალება, მაგრამ დრო შეიცვალა და საქმე რატომ უნდა გავრთულოთ ისევ არაავთენტური წყაროების გაციფრულებაზე დროის ხარჯვით.

მით უფრო აუცილებელია ციფრული ასლის გადაღება იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი წყარო არა ნაბეჭდი ტექსტი, არამედ ავტოგრაფია. ხელნაწერის კარგად გადაღებული ციფრული ასლი ბევრად უფრო აიოლებს მასზე მუშაობას და რთული ადგილების ამოკითხვას. ყოველივე ზემოთქმულის გამო, მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს შეთანხმება სხვადასხვა არქივთან და აკადემიური გამოცემების მზადებისას ტექსტოლოგებს ხელი მიუწვდებოდეთ ავტოგრაფების ციფრულ ვარიანტებზე. შესაბამისი ელექტრონული ვერსიების არარსებობის შემთხვევაში, სასურველია, რომ მეცნიერებს მიეცეთ მათი გადაღების საშუალება.

როდესაც ხელნაწერი ძლიერ ნასწორებია, მასთან არაერთგზის გვიწევს მიბრუნება რთული ადგილების ამოსაკითხად. ზოგჯერ საქმეს კიდევ უფრო ართულებს მწერლის მართლწერის სპეციფიკა, ან მის მიერვე დაშვებული უზუსტობები. ამიტომ ტექსტოლოგისთვის წყაროების ციფრული ვერსიების

ხელმისაწვდომობა დღეს აუცილებელია და არა მხოლოდ სასურველი.

მნიშვნელოვანია, რომ აკადემიური გამოცემის მზადების დაწყებისთანავე შეიქმნას გამოსაქვეყნებელი ტექსტების სრული ციფრული ბაზა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება გამოცემაზე მომუშავე ყველა პირისათვის. ეს ტექსტური კორპუსი იქნება იდეალური საკვლევი მასალა არა მხოლოდ დათარიღებისა და ატრიბუციისათვის, არამედ თვით ტექსტის ავთენტური წაკითხვების დასადგენადაც.

ზოგჯერ მწერალი ხმარობს ისეთ სიტყვას, ან სიტყვაფორმას, რომელიც შეიძლება კორექტურულ შეცდომად მოგვეჩვენოს და ჩავასწოროთ (ასეთი შემთხვევები მრავლად არის სხვადასხვა გამოცემაში), რეალურად კი ეს იცოს მისი ენობრივ-სტილური თავისებურება, ან მის მიერ შექმნილი ნეოლოგიზმი. როდესაც ხელთ გვაქვს მისი ნაწერების სრული კორპუსი, იმის გადამოწმება, სხვაგანაც იყენებს თუ არა მსგავს დაწერილობას, ორიოდვე წუთის საქმეა.

ამა თუ იმ ავტორის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მზადებისას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია დამხმარე ციფრულ კორპუსებს. ვგულისხმობთ არა ამ კონკრეტული ავტორის ნაწერებს, არამედ სხვა ტექსტურ მასალას, რომლიდანაც შეგვიძლია ჩვენთვის საჭირო ინფორმაციების მოძიება. ინტერნეტის საძიებო სისტემებით სიტყვის, ან ფრაზის ძიებისას ზოგჯერ იმდენი მასალა გამოდის ეკრანზე, რომ მათგან ჩვენთვის საინტერესოს შერჩევა დიდ დროს მოითხოვს, ჩვენ მიერ გამოცემისათვის საგანგებოდ შედგენილი დამხმარე ციფრული კორპუსი კი უფრო მოქნილია მოსახმარად. მასში გაცილებით სწრაფად შეიძლება საჭირო ინფორმაციის მოძიება. ამ კორპუსში შევა თხზულებათა წინა გამოცემების სამეცნიერო აპარატი, მწერლისა და მასთან დაახლოებული პირების ციფრული გენეალოგიები, ბიბლიოგრაფიები, მოგონებები, კრიტიკული ნაშრომები მასზე და სხვ.

ინტერნეტში უკვე საკმაოდ ბევრია ისეთი მასალა, რომელთა საფუძველზეც შეიძლება მსგავსი კორპუსების შექმნა ნებისმიერი კლასიკოსის თხზულებათა გამოსაცემად მომზადებისთვის, მაგრამ, თუ რომელიმე ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანი ტექსტის ციფრული კორპუსი არ არსებობს, სასურველია მისი გაციფრულება კვლევის დაწყებამდე. მართალია, ჩვენ

ამისთვის გარკვეული დრო და შრომა დაგვეხარჯება, მაგრამ ეს ნაკლები დანახარჯია იმასთან შედარებით, რა სარგებლობასაც ამ ტექსტის ციფრული ვერსია მოგვითმის კვლევების წარმოებისას. თან მნიშვნელოვანია, რომ, რასაც გავაციფრებთ, შეგვიძლია ელექტრონულ სივრცეში განვათავსოთ და სხვასაც მივცეთ მისი გამოყენების საშუალება. როდესაც ჩვენთვის მნიშვნელოვან რაღაც ინფორმაციას ვპოულობთ სხვის მიერ გაციფრულებულ კორპუსებში, უნდა დაფიქრდეთ, რომ ჩვენც შეგვიძლია ასეთივე დახმარების გაწევა სხვისთვის.

მრავალტომეულის მზადებისას ხშირად ეფექტური დახმარების გაწევა შეუძლია იმავე, ან მსგავს მოვლენაზე ჩვენ მიერვე წინა ტომებისთვის გაკეთებულ კომენტარებს, საკომენტარო მასალის შეკრებას და ერთიან ანალიზს. მაგალითად, იმისათვის, რომ გავგვერკვია, ვინ იყო გრიგოლ ორბელიანის წერილებში ხშირად ნახსენები „ბიძია ალექსანდრე“, მოგვიხდა ამ პიროვნების შესახებ ინფორმაციის შეგროვება ყველა წერილიდან და შემდეგ, დაგროვილი მონაცემების მიხედვით ვარაუდის ჩამოყალიბება. გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური მემკვიდრეობის წინა გამოცემის კომენტარებში აღნიშნული იყო, რომ ეს პიროვნება არის ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, 1832 წლის აჯანყების ერთ-ერთი მეთაური – ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანი.

კომპიუტერის დახმარებით, წერილების უზარმაზარი კორპუსიდან შედარებით იოლად შეკრებილი ინფორმაცია დაგვეხმარა იმის განსაზღვრაში, რომ ამ „ბიძიაში“ ყველა წერილში ვერ იქნებოდა ნაგულისხმევი ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანი. მართალია, იგი გრიგოლს მართლაც ეკუთვნოდა ბიძად, რადგან გრიგოლი ერეკლე მეფის შვილთაშვილი იყო, ალექსანდრე კი – შვილთაშვილი, მაგრამ ის ფაქტი, რომ რამდენიმე წერილში ეს ბიძია ხანდაზმულად მოიხსენიება („ეგ ერთილა დაგვრჩა მოხუცი ძია“ და სხვ.), უკვე გამორიცხავს იმას, რომ აქ გრიგოლზე ორიოდე წლით უფროსი ალექსანდრე ორბელიანი იგულისხმებოდეს. წერილების დიდ ნაწილში, სავარაუდოდ, საუბარი უნდა იყოს ალექსანდრე (თორნიკე) იესეს ძე ქსნის ერისთავზე, რომლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის წლები და სხვა დეტალები სავსებით

ესადაგება წერილების ერთი ნაწილის შინაარსს. კომენტარების კორპუსი საშუალებას გვაძლევს, ვიპოვოთ, რომელ წერილშია საუბარი ალექსანდრე ორბელიანზე და რომელში – ალექსანდრე ერისთავზე.

გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური მემკვიდრეობის მომზადებაზე მუშაობისას ასევე აღმოვაჩინეთ, რომ მის წერილებში მოხსენიებულ „ტატოში“ ყოველთვის მისი დისწული ნიკოლოზ ბარათაშვილი არ იგულისხმება. ამ მეტსახელს ნათესავები ეძახდნენ გრიგოლის ბიძაშვილს – ანტონ გიორგის ძე ორბელიანს. შესაბამისად, თუ დაგვჭირდება ინფორმაციის მოგროვება ამ პიროვნების შესახებ, ტექსტთან ერთად აუცილებლად გამოგვადგება კომენტარების ციფრული კორპუსიც.

აკადემიურ გამოცემაზე მუშაობისას, ციფრული კორპუსების მოძიებისა და მომზადების გარდა, მნიშვნელოვანია, რომ ჩავინიშნოთ იმ ელექტრონული გვერდების მისამართებიც, რომელთა გამოყენებაც ხშირად გვჭირდება. ასეთებია, მაგალითად, ელექტრონული მუდმივი კალენდრისა და პასქალიების მუდმივი კალენდრის მისამართები, მწერლისა და მისი ახლობლების საგვარეულოთა გენეალოგიური ნუსხების, თბილისის ქუჩების ძველი სახელების, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა ბიოგრაფიების ამსახველი ელექტრონული გვერდების მისამართები და სხვ.

რამდენადაც აკადემიური გამოცემის დაწყებამდე ხდება საძიებლების ანოტირების პრინციპის შემუშავება, სხვადასხვა ტომში კი ხშირად მეორდება ერთი და იგივე პირი, გეოგრაფიული სახელი, ჟურნალ-გაზეთი და სხვ., უაღრესად მოსახერხებელია საძიებლების ერთიანი კორპუსის შექმნა. კომენტარისაგან განსხვავებით, არ არის აუცილებელი, რომ საძიებლის ანოტაციის ფორმულირება კონტექსტიდან გამომდინარე ვცვალოთ. მას შეიძლება ჰქონდეს შაბლონური სახე და ტომიდან ტომში უცვლელად გადადიოდეს, მაგრამ უნდა შევეცადოთ, რომ საძიებლის ანოტაცია მოკლე და ინფორმაციული იყოს და უნდა გავითვალისწინოთ, რომ ანოტაციის ტექსტში ერთგან დაშვებული შეცდომა შეიძლება ერთი ტომიდან სხვებშიც გადავიდეს და ამიტომ განსაკუთრებულ დაკვირვებას საჭიროებს.

ინტერნეტში განთავსებული საცნობარო, ბიბლიოგრაფიული და

ბიოგრაფიული მასალა, თუ ის აკადემიურ წყაროებს არ ეყრდნობა, აუცილებლად უნდა გადამოწმდეს. ვიკიპედია შეგვიძლია გამოვიყენოთ პირველადი ინფორმაციისათვის, მაგრამ აკადემიურ გამოცემაში მასალის შეტანამდე იგი აუცილებლად უნდა გადავაიმოწმოთ სხვა წყაროებშიც.

ყველა ტექსტოლოგმა იცის, რაოდენ შრომატევადი და დამქანცველი ვარიანტებთან, კომენტარებთან და საძიებლებთან დაბეჭდილი ტექსტის გვერდისა და ბწკარის მითითება. პროგრამა Pdf-ის საძიებო სისტემას შეუძლია ჩვენთვის ამ საქმის შემსუბუქება. ამისათვის საჭიროა, რომ თავდაპირველად დაკაბადონდეს გამოცემის ის ნაწილი, სადაც ტექსტები იბეჭდება და მისი გამოყენებით მიუთითოთ აპარატში საჭირო გვერდები და სტრიქონები. ეს ტექნოლოგია ქართველმა ტექსტოლოგებმა პირველად 2007 წელს გამოვიყენეთ, ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მე-11 ტომის მზადებისას.

ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამდე მძიმე საქმე იყო საძიებლების ანბანურ რიგზე დალაგებაც. ამისათვის მისი თითოეული ანოტაცია ცალკე ბარათზე უნდა დაგვეწერა, შემდეგ დაგვეკვუფებინა და დაგველაგებინა. თუ მასალა გაციფრულებული გვაქვს, დღეს ამის გასაკეთებლად სათანადო ბრძანებასთან კურსორის მიტანა და თითის ერთი დაჭერაა მხოლოდ საჭირო.

ანბანურ რიგზე დალაგება ტექსტოლოგს კიდევ ერთ რამეში ეხმარება. თუ დოკუმენტში შემთხვევით ერთი და იგივე ტექსტი ან ერთნაირი ინფორმაცია ორჯერ მეორდება, ანბანურ რიგზე დალაგებისას ეს უცებ მოგვხვდება თვალში და ხარვეზს თავიდან ავიცილებთ. ეს ხერხი პირველად 2011 წელს გამოვიყენეთ ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის პირველი ტომის მზადებისას.

ცვლილებები კვლევის მეთოდებსა და ტექნოლოგიებში

ტექსტების დიגיტალიზაცია არ ამცირებს მეცნიერთა და მკითხველთა ინტერესს აკადემიური გამოცემის სამეცნიერო აპარატისა და ტექსტოლოგიური

ძიებებისადმი. ბირმინჰემის უნივერსიტეტის პროფესორი პიტერ რობინსონი წერს: „ტექსტოლოგების საჭიროებებს და მკითხველის ინტერესებს მხოლოდ ციფრული არქივები ვერ დააკმაყოფილებს... არგუმენტების გარეშე ჩვენი არქივები სიტყვებითა და გამოსახულებებით სავსე ტომრებია, რომლებსაც ასეთი სახით ვერაფერში მოვიხმართ.“ შესაბამისად, არქივების დიგიტალიზაციასთან ერთად, აუცილებელია ტექსტოლოგიური კვლევების მასშტაბების გაფართოებაც.

ატრიბუცია

2007 წელს ილია ჭავჭავაძის თხზულებათა აკადემიური გამოცემის (ოცტომეული) მე-11 და მე-15 ტომების მზადებისას, ანონიმური სტატიების ატრიბუციის მიზნით, შოთარუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის ცენტრში დაფინანსებით ციფრული ტექსტური კორპუსების შედარებითი ანალიზი. რამდენადაც წერილები დაბეჭდილი იყო გაზეთ „დროების“ სარედაქციო გვერდზე, ავტორის მითითების გარეშე, იმ დროს კი ამ პერიოდულ გამოცემას ორი რედაქტორი ჰყავდა – სერგეი მესხი და ილია ჭავჭავაძე, შევქმენით ამ ორი ავტორის პუბლიცისტური წერილების ციფრული ბაზა და ჩავატარეთ შედარებითი კვლევა, რომლის შედეგადაც გამოიკვეთა, რომ აფიქსების, თანდებულების, ზმნიზედებისა და სხვა დამხმარე სიტყვების სპეციფიკური გამოყენებით, ცალკეულ ლექსიკურ ერთეულთა სიხშირით და ენობრივ-სტილური მახასიათებლებით ანონიმური ტექსტები ბევრად უფრო ახლოს იყო ილია ჭავჭავაძის სტატიებთან, ვიდრე სერგეი მესხისასთან.

ტექსტური კორპუსების ამგვარი შედარებითი ანალიზი საბოლოო დასკვნის გამოსატანად, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის, მაგრამ კარგი დამხმარე საშუალებაა. ანონიმური წერილების რაოდენობა, როგორც მე-19 საუკუნის, ისე შემდგომი პერიოდის, ქართულ პრესაში საკმაოდ დიდია და სხვადასხვა მწერლის თხზულებების ციფრული კორპუსების შექმნა, ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს ამ ტექსტების ატრიბუციულ კვლევასაც.

დროსთან ერთად მნიშვნელოვნად იცვლება ავტორობის საკითხისადმი ჩვენი დამოკიდებულება. ამიტომ ატრიბუციის პრინციპები და მეთოდები მუდმივ განახლებას საჭიროებს, რაც, პირველ რიგში, უახლესი ტექნიკური საშუალებების გამოყენებას ითვალისწინებს.

21-ე საუკუნეში უფრო და უფრო მატულობს ჟურნალ-გაზეთებისა და ცალკეული გამოცემების რიცხვი, ის მიზეზები კი, რის გამოც მწერლები და ჟურნალისტები მიმართავენ ფსევდონიმსა და ანონიმურობას, უფრო მრავალფეროვანი ხდება. ამიტომ ტექსტოლოგიამაც, როგორც მეცნიერებამ, უნდა გააფართოვოს და გააღრმავოს კვლევა ატრიბუციის დარგში. ამისთვის შეიძლება კომპიუტერული შესაძლებლობების ფართო გამოყენება, მაგრამ ინფორმაცია რომ მიიღო, ჯერ, რა თქმა უნდა, ის უნდა შეგროვდეს და შეიქმნას საინფორმაციო ბაზა. კომპიუტერი მოახდენს მის აკუმულირებას, ორგანიზებას და მოწოდებას.

ანონიმური ნაწარმოების ავტორობის დასადგენად, ჩვენი ამრით, სასურველია შეიქმნას შემდეგი სახის კომპიუტერული კატალოგები და ცნობარები:

ავტოგრაფული ალბომი, რომელშიც საუკუნეების მიხედვით იქნება შეტანილი ყველა მწერლისა და ცნობილი საზოგადო მოღვაწის ხელნაწერთა ნიმუშები, ტიპური და ატიპური ცხრილები. ეს გამოგვადგება იმ შემთხვევაში, თუ კვლევას ვაწარმოებთ ავტოგრაფზე დაყრდნობით და გვჭირდება მისი იდენტიფიკაცია.

საჭიროა, ჩატარდეს როგორც მსხვილ ხელნაწერთა საცავებში, ისე კერძო არქივებში დაცული მასალის აღწერა. ქართველ მწერალთა არაერთი თხზულება დღემდე გამოუცემელია და ასეთი ციფრული ნუსხები დაგვეხმარებოდა მათ მიკვლევაში.

საჭიროა მოხდეს მწერალთა ბიბლიოგრაფიებისა და ჟურნალების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიების დიგიტალიზაცია. ამ სივრცეში შეიძლება ძალიან მარტივად ვიპოვოთ საკვლევი მასალის ავტორის სახელი.

უნდა შეგროვდეს და გაციფრულდეს ანონიმურ თხზულებებთან დაკავშირებული ინფორმაცია: მემუარებიდან, სამეცნიერო ნაშრომებიდან, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებიდან, მწერალთა თვითაღიარებებიდან და სხვ., რომ ბიბლიოგრაფიების შედგენისას და აკადემიური გამოცემების მომზადებისას მათი გამოყენება შეიძლებოდა.

უკვე გაციფრუებულია, მაგრამ რეგულარულად უნდა ივსებოდეს გაშიფრული და გაუშიფრავი ფსევდონიმების სია, გამოყენების წლების მიხედვით. ეს საჭიროა პირდაპირი გადამოწმებისთვისაც, ანუ იმის გასარკვევად, ჩვენთვის საინტერესო ტექსტის ავტორი უკვე ცნობილი ხომ არ არის და იმის გასარკვევადაც, იყენებდა თუ არა ესა თუ ის მწერალი ფსევდონიმებს და რა პრინციპით ირჩევდა მათ.

ფსევდონიმთა ლექსიკონის მსგავსად, უნდა არსებობდეს ისტორიულ-კულტურული ღირებულების მქონე ანონიმური ტექსტების ნუსხა, რომელშიც მითითებული იქნება ინფორმაცია უკვე იდენტიფიცირებული ავტორების შესახებ.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს ისეთი ანონიმური ტექსტების ნუსხაც, რომელთა ავტორებიც დღემდე დაუდგენელია. სიას უნდა ახლდეს ტექსტის მოკლე ანოტაცია და მითითება წყაროზე, სად არის დაცული – რომელიმე არქივში თუ გამოქვეყნებულია ავტორის ვინაობის მითითების გარეშე. თუკი ასეთი ინფორმაცია ერთად იქნება თავმოყრილი და გაციფრულებული, მან არაერთი მკვლევრის ყურადღება შეიძლება მიიპყროს. ვინ იცის, არქივებსა და ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე რამდენი მნიშვნელოვანი მხატვრული და დოკუმენტური ტექსტია, რომელიც გაამდიდრებდა ჩვენი ერის კულტურულ მემკვიდრეობას. ანონიმურობის გამო ამ ტექსტებით არც ერთი მწერლის აკადემიური გამოცემის შედგენელი არ დაინტერესდება და, თუ ასეთ კატალოგს შევქმნით, იქნებ მათდამი ინტერესი გაიზარდოს და, თუნდაც ავტორობის საკითხი კვლავ ვერ გაირკვეს, ცალკე კრებულად მაინც გამოიცეს.

რაც დრო გადის, მით უფრო მატულობს როგორც წიგნების, ისე ჟურნალ-გაზეთების რაოდენობა. ამიტომ სასურველია, რომ თანამედროვე მწერალთა სიცოცხლეშივე დამყარდეს კონტაქტი მათთან და ორი რამ მაინც გაირკვეს: რომელ პერიოდულ ორგანოებთან უთანამშრომლიათ და აქვთ თუ არა ანონიმური პუბლიკაციები.

არსებობს ტრადიცია იურისტთან ანდერძის გაფორმებისა, რომელიც მხოლოდ პიროვნების გარდაცვალების შემდეგ იხსნება. იქნებ მართებული იყოს თანამედროვე ჟურნალ-გაზეთების რედაქციებთან და გამომცემლობებთან იურისტთა თანამშრომლობა, რომლებიც მწერლის მიერ მოთხოვნილ ვადამდე, ან მის გარდაცვალებამდე კონფიდენციალურად შეინახავენ მისი ავტორობის საკითხს და შემდეგ გაამჟღავნებენ. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი პრაქტიკის შექმნა ერთ-ერთი დასაყრდენი იქნებოდა საავტორო უფლებების დასაცავადაც.

სასამართლო პრაქტიკაში უკვე იყენებენ კომპიუტერულ პროგრამას, რომელიც ახდენს ხელნაწერის ავტორის იდენტიფიკაციას გრაფოლოგიური ანალიზის საფუძველზე. ალბათ, ამ პროგრამის გამოყენება სასურველი იქნება ტექსტოლოგიურ პრაქტიკაშიც.

თანამედროვე მწერალთა დიდი ნაწილი უკვე პირდაპირ კომპიუტერში მუშაობს, რაც მომავალში ტექსტოლოგებს შეუზღუდავს ტექსტზე მუშაობის შემოქმედებით პროცესზე დაკვირვების საშუალებას. ამიტომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში უკვე ლაპარაკობენ იმაზე, თუ როგორ ავიცილოთ თავიდან ამ ტიპის უაღრესად საინტერესო ინფორმაციის დაკარგვა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ტექსტზე მუშაობისას მწერლები, ძირითადად, იყენებენ პროგრამა word-ს, სასურველია, წერის პროცესის განახლებისას ცვალონდოკუმენტის სახელი, ან წინასწარვე ჩართონ ბრძანება „ცვლილებების განხორციელება და მათი ასახვა“ (Track changes). სამომავლოდ, ალბათ, სწორედ ეს მისცემს ტექსტოლოგებს საშუალებას, რომ დააკვირდნენ ტექსტის შექმნის პროცესს.

დათარილება

ამა თუ იმ ავტორის მიერ შექმნილი ტექსტების ქრონოლოგიური თანმიმდევრობის განსაზღვრა საშუალებას გვაძლევს, სრულყოფილად წარმოვიდგინოთ მისი შემოქმედებითი განვითარების სურათი. ამიტომ, ცხადია, რომ თითოეული ტექსტის დათარილება უადრესად მნიშვნელოვანია როგორც ისტორიული, ისე ლიტერატურათმცოდნეობითი თვალსაზრისით. ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ საშუალება მოგვცა, დაგვეთარილებინა ბევრი ისეთი ტექსტი, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ დაბეჭდილ აკადემიურ გამოცემებშიც კი ან უთარილოდ იბეჭდებოდა, ან არასწორად იყო დათარილებული.

გრიგოლ ორბელიანის ეპისტოლური მემკვიდრეობის 1936–1937 წლების გამოცემაში ასზე მეტი წერილი გამოტოვებული იყო იმიტომ, რომ ვერ მოხერხდა მათი დაწერის დროის განსაზღვრა, ახალ გამოცემაში კი ხსენებული წერილების დათარილება შესაძლებელი გახდა სწორედ ციფრული ტექნოლოგიების მეშვეობით. საძიებო სისტემები დიდი მოცულობის ტექსტებშიაც კი მნიშვნელოვნად აიოლებს ამა თუ იმ სიტყვის, სახელისა თუ ციფრის პოვნას. ეს საშუალებას გვაძლევს, ვაწარმოთ წერილების შედარებითი ანალიზი და დავადგინოთ უთარილო ტექსტების შექმნის დრო. ამ ტექნოლოგიის გამოყენების მნიშვნელოვანი დამსახურებაა ის, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დათარიღდა ქართველ მწერალთა 300–ზე მეტი პირადი წერილი და არაერთი მხატვრული თხზულება. რა თქმა უნდა, კვლევის მეთოდი და ხასიათი ასეთ შემთხვევებში უმეტესად იგივე რჩებოდა, მაგრამ თანამედროვე ტექნიკური საშუალებები და პროგრამები გვეხმარებოდა ტექნოლოგიური პროცესის უფრო მარტივად, ზუსტად და ეფექტურად განხორციელებაში.

ტექსტოლოგია და ელექტრონული აკადემიური გამოცემა

ელექტრონული აკადემიური გამოცემის შესახებ საუბარი მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო, მაგრამ მაშინ ამ ტერმინში მოიაზრებდნენ ციფრულ ფორმატში გადაყვანილ, ტრადიციული სტრუქტურისა და შინაარსის მქონე მასალას. ტექნიკისა და პროგრამირების სწრაფმა განვითარებამ ეს დამოკიდებულება რადიკალურად შეცვალა. აკადემიური გამოცემის ელექტრონული ფორმატი განვითარდა სამი ძირითადი მიმართულებით: მომხმარებელთა ჩართულობისა და სოციალიზაციის მიზნით, ტექსტი გახდა დინამიური. შესაძლებელი გახდა ტექსტის ყველა ავთენტური წყაროს ციფრული ასლისა და ტრანსკრიპტის წარმოდგენა „ვარიორუმში“. ჰიპერტექსტური ბმულების მეშვეობით ტექსტის სიბრტყე მრავალგანზომილებიანი გახდა და დაიტია უამრავი დამატებითი ინფორმაცია.

2005 წელს წიგნში „შუასაუკუნეების ტექსტების ელექტრონული გამოცემის მიმდინარე საკითხები ანუ აქვს თუ არა მომავალი ელექტრონულ აკადემიურ გამოცემებს“, საერთაშორისო პროექტის (TEI) ფარგლებში, აკადემიური გამოცემების ციფრულ ფორმატში გადაყვანაზე მომუშავე ჯგუფის ხელმძღვანელმა, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა პიტერ რობინსონმა არაერთი არგუმენტით გააბათილა ელექტრონული აკადემიური გამოცემის მიმართ არსებული სკეპტიციზმი და ყველა მეცნიერს მოუწოდა მისი განუზომელი შესაძლებლობებისა და უპირატესობების აღიარებისკენ.

უკანასკნელ წლებში სულ უფრო და უფრო მეტი ელექტრონული აკადემიური გამოცემა გამოდის და ამ ახალი ფორმატის შესახებ შექმნილი თეორიული ნაშრომების რიცხვიც სწრაფად იზრდება. ცნობილი ტექსტოლოგი, მიუნხენის უნივერსიტეტის პროფესორი ჰანს ვალტერ გაბლერი დარწმუნებულია, რომ მომავალში სამეცნიერო აპარატი მთლიანად ელექტრონულ გამოცემებში გადაინაცვლებს, ბეჭდური წიგნები კი დარჩება ტექსტების საკითხად. იმის წყალობით, რომ ციფრული ფორმატი იძლევა

ამის საშუალებას, ელექტრონულ აკადემიურ გამოცემებში შესაძლებელი ხდება ყველა ავთენტური წყაროს სრულად წარმოდგენა, ტექსტისა და გამოსახულების სინქრონიზაცია, საზოგადოებასთან ინტერაქცია და სხვ.

საინტერესო ხედვები და მაგალითებია წარმოდგენილი კანადის ვიქტორიას სახელობის უნივერსიტეტისა და ბალტიმორის მერილენდის უნივერსიტეტის პროფესორების, რეი სიმენსისა და სუზან შრაიბმანის, რედაქტორობით გამოცემულ ელექტრონულ წიგნში „ციფრული ლიტერატურული კვლევების მეგზური“, რომლის ერთი თავიც საგანგებოდ ეძღვნება ელექტრონულ აკადემიურ გამოცემას. აქ არის საუბარი მის აწმყოსა და მომავალზე, კონკრეტულ პრობლემურ საკითხებსა და მათი გადაჭრის გზებზე.

„დონ-კიხოტის“ უახლესი ელექტრონული აკადემიური გამოცემის მომზადებისას გამოყენებულ იქნა არაერთი ინოვაციური პროგრამა და ტექნოლოგია, მაგ., ტექსტების ელექტრონულ ფორმატში შედარებისა და კომენტარებისათვის - დოკუმენტების მულტივარიანტული რედაქტორი, ვარიანტული სხვაობების წარმოსაჩენად - ინტერაქტიული თანმიმდევრობითი მაჩვენებელი და სხვ. ელექტრონული გამოცემა იძლევა იმის საშუალებასაც, რომ მოხდეს ვარიანტულ სხვაობათა მექანიკური კლასიფიკაცია: კალმისმიერი, ტიპოგრაფიული, ლექსიკური, მართლწერითი, გრამატიკული, კონცეპტუალური და სხვ., რაც უდავოდ საინტერესო იქნება მკითხველისათვის.

ელექტრონულ აკადემიურ გამოცემას დაერთვის მწერლის სიცოცხლისდროინდელი ყველა ნაბეჭდი წყაროსა და ავტოგრაფის ფოტოპირი, თავისი ტრანსკრიპტებით. მომხმარებელს შეუძლია ჩამონათვალიდან თავად აირჩიოს, რომელი წყაროების ნახვა უნდა, პარალელურ ფანჯრებში გამოაჩინოს ისინი და შეადაროს. გამოცემის ფორმატი საშუალებას იძლევა, ეკრანზე წარმოდგენილ რომელიმე წყაროში მონიშნოთ ფრაზა და უზრუნველყოთ მისი სხვადასხვა ვარიანტის ჩვენება დამატებით ფანჯრებში. ვარიანტები შეგიძლიათ ნახოთ როგორც ფოტოასლის, ისე მისი ტრანსკრიპტის სახით და ორივეგან მონიშნული იქნება თქვენ მიერ არჩეული ფრაზა. ელექტრონული

აკადემიური გამოცემის ტრანსკრიპტებში მკაცრად არის დაცული წყაროებთან შესაბამისობა, ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის ჩათვლით. იმისათვის, რომ მოხდეს ელექტრონულ აკადემიურ გამოცემათა სინდიკაცია, საჭიროა, რომ ისინი აკმაყოფილებდეს საერთაშორისო სტანდარტებს და მონაცემები მსგავსი პრინციპებით ჰქონდეს ინტეგრირებული.

თუ ბეჭდურ აკადემიურ გამოცემებში, თანხის დაზოგვის მიზნით, ვიზუალური მასალა მწირად იყო წარმოდგენილი და ისიც, ძირითადად, შავ-თეთრი გამოსახულებით, ელექტრონულში ასეთი ჩანართები უხვად შეგვიძლია ჩავრთოთ და, სადაც საჭიროა, მედია მასალითაც (აუდიო, ვიდეო) კი გავამდიდროთ, ერთი რამ კი უნდა გვახსოვდეს, რომ ყველაფერი ეს უნდა იყოს ფუნქციური და არა დეკორატიული. ამ თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ საშუალება გვაქვება გამოცემას დავურთოთ ის ვიზუალური მასალა, რომლებიც ინტერტექსტების სახით არის წარმოდგენილი გამოსაქვეყნებელ ნაწარმოებებში. კვლევამ დაადასტურა, რომ ვიზუალური აღზომების რაოდენობა განსაკუთრებით ბევრია მოდერნისტ და პოსტმოდერნისტ ავტორებთან და მათი ხელმისაწვდომობა მკითხველს დიდ დახმარებას გაუწევს ტექსტების სრულყოფილად აღქმაში.

თანამედროვე ელექტრონული აკადემიური გამოცემის ერთ-ერთ დადებით მხარედ მოიაზრება მისი ინტერაქტიულობა. მომხმარებელს შეუძლია, რომ ის მასალა, რაც გამოცემაშია, თავისი ინტერესების შესაბამისად განალაგოს, მაგალითად, გამოცემაში წარმოდგენილი ტექსტები დაალაგოს ან ქრონოლოგიურ, ან ანბანურ რიგზე, წარმოაჩინოს მხოლოდ ერთი არქივის, ან ერთი გამოცემის მასალები, ძირითად ტექსტად აირჩიოს ის წყარო, რომელიც მას უნდა, ეკრანის განტვირთვის მიზნით, დატოვოს მასზე მხოლოდ ის ფილტრები, რომლებიც აინტერესებს და სხვ.

ელექტრონული გამოცემის კიდევ ერთი უპირატესობა არის ის, რომ იგი მარტივად განახლებადია – სწორებების შეტანა ნაკლებ ძალისხმევასა და ხარჯებთან არის დაკავშირებული, ვიდრე ეს იყო ბეჭდური გამოცემების

შემთხვევაში.

2015 წელს ამერიკის შეერთებული შტატების აკადემიურ გამოცემათა კომიტეტმა (CSE), რომელიც უფლებამოსილია საგანგებო ბეჭდით დაადასტუროს გამოცემათა აკადემიური დონე, თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნა პრეამბულა, რომელშიც წარმოდგენილია, რას აკეთებს კომიტეტი ხარისხის უზრუნველსაყოფად და იმისათვის, რომ წაახალისოს ტექსტოლოგთა შრომა ელექტრონული აკადემიური გამოცემების მიმართულებით.

ჩამონათვალში წარმოდგენილია მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკამაყოფილებდეს კარგი ელექტრონული გამოცემა: მასალა მთლიანად უნდა იყოს ორიენტირებული ტექსტის გარშემო, დაწვრილებით უნდა იყოს აღწერილი და დასაბუთებული გამოყენებული მეთოდების არჩევანი, დაწვრილებით უნდა იყოს აღწერილი გამოცემის შექმნისა და გავრცელების ყველა საფეხური (მონაცემთა ბაზები, სტრუქტურები, პირობები, ალგორითმები, დინამიკური პროცესები და სხვ.), სარედაქციო პრინციპები და პროცედურები აკადემიურად უნდა იყოს არგუმენტირებული, ამ პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებაში დაცული უნდა იყოს მაქსიმალური სიზუსტე და კანონზომიერება, წიგნში უნდა ჩანდეს სრული შესაბამისობა ტექსტური წყაროების ხასიათს, დასახულ მიზნებსა და გამოყენებულ მეთოდებს შორის. მას უნდა ახლდეს: დაწვრილებითი ინფორმაცია იმ ცვლილებების შესახებ, რომლებიც შეიტანეს წიგნში მისი გამოცემის დღიდან, დაწვრილებითი ტექსტოლოგიური წინასიტყვაობა, რომელშიც წარმოდგენილი იქნება საგამომცემლო ხედვა ყველა პრინციპულ საკითხთან დაკავშირებით და კონცეფცია, როგორ გავრცელდება და იმოქმედებს გამოცემა დროთა განმავლობაში.

ამ ეტაპზე ჩვენთვის ყოველმხრივ დამაკმაყოფილებელი და სანიმუშოა 2016 წელს ქსელში ატვირთული „ელექტრონული ბეგუვლფის“ მეოთხე რედაქცია, რომელიც კევინ კიერნანისა და ემილ იაკობის ხელმძღვანელობით მომზადდა. ინფორმაციული თვალსაზრისითაც, სტრუქტურირებითაც,

მოხმარების სიმარტივეთაც იგი საუკეთესოა და ვისურვებდით, რომ ასე გამოგვეცა ჩვენი კლასიკოსები, პირველ რიგში კი, „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც მხოლოდ ოთხი საუკუნით გვიანდელი ხელნაწერების სახით არის მოღწეული და მისი ტექსტის საკვლევად სწორედ ასეთი დახვეწილი და მდიდარი გარემო სჭირდებათ მეცნიერებს.

ციფრული აკადემიური გამოცემა ვერ განხორციელდება ერთი დარგის სპეციალისტების, ან ადამიანთა მცირე ჯგუფის მიერ. იგი ყოველთვის მასშტაბური, ინტერდისციპლინური პროექტია, რომელშიც ჩართული არიან მეცნიერები, სტუდენტები, ბიბლიოთეკარები, არქივარიუსები, პროგრამისტები, დიზაინერები, ადმინისტრაცია, ფონდები და სხვ. პროექტზე მომუშავე გუნდის წარმატებისთვის სასურველია, რომ თითოეული მონაწილე ფლობდეს ტექსტის ორგანიზებასთან დაკავშირებულ ტექნოლოგიურ უნარებს.

ელექტრონული აკადემიური გამოცემა – მონაცემთა ბაზებში განთავსებული უამრავი საჭირო ინფორმაციით, მკაფიო სტრუქტურით, სინქრონიზაციის ინსტრუმენტებით, მოხერხებული საძიებო და სანავიგაციო საშუალებებით და მარტივი ინსტრუქციებით – არის საუკეთესო გარემო ავტორის შემოქმედებითი სამყაროს გასაცნობად და მის საკვლევად. იგი მდიდარ მასალს იძლევა ლიტერატურათმცოდნეობითი, ისტორიული, სოციოლინგვისტური და სხვა სახის, როგორც სინქრონიული, ისე დიაქრონიული კვლევებისათვის. მეორე მხრივ, იმისათვის, რომ ამ გამოცემამ შემდგომი შრომა შეგვიმსუბოქოს, დიდი პასუხისმგებლობით უნდა მოვეკიდოთ მის მომზადებას. კომპიუტერს აქვს უზარმაზარი მესხიერება და შეუძლია ამაში დაგვეხმაროს, შეუძლია დაგვაკავშირებინოს ერთმანეთთან ერთნაირად მარკირებული ინფორმაციები, შეუძლია უცებ გვაჩვენოს ეკრანზე ის, რაც უკვე მიწოდებული აქვს და ვეძებთ, მაგრამ, თუ მასში ინფორმაცია სწორად არ არის შეყვანილი, ის ვერაფრით დაგვეხმარება. ამიტომ მეცნიერული სიღრმე სჭირდება განსათავსებელი მასალის დამუშავებას, კლასიფიკაციას, კონცეფციის შემუშავებას, პროგრამირებას, ხოლო დანარჩენი, ძირითადად,

კეთილსინდისიერებასა და შრომისმოყვარეობაზეა დამოკიდებული.

ელექტრონული აკადემიური გამოცემა, ისევე როგორც სქელ ყდაში ჩასმული და „აკადემიურად“ სახელდებული ბეჭდური გამოცემები, მკითხველს ვერ დააკმაყოფილებს, თუ იგი უდიდესი პასუხისმგებლობით არ იქნება შესრულებული და, თუ პროექტის მონაწილეებს გაცნობიერებული არ ექნებათ, რომ მათ მიერ მომზადებულ ტექსტს ეყრდნობა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სხვა დარგები და აქ დაშვებული ზერელობა, ან შეცდომა ყველას აზარალებს.

დავალებები

1. ელექტრონულ ფოსტაზე გადმოგზავნილ ტექსტში ყველა ტექსტოლოგიური ტერმინი მონიშნეთ ყვითლად. პირველ ჩამონათვალში ჩაამატეთ მუხლის აღმნიშვნელი ნიშნები (ბულეტები), მეორე ნუსხა დაალაგეთ არაბული ციფრებით, მესამე კი – ანბანზე.
2. ელექტრონულ ფოსტაზე გადმოგზავნილი ტექსტი ჩაასწორეთ, მაგრამ, ვიდრე ცვლილებებს შეიტანდეთ, მონიშნეთ ცვლილებების დამახსოვრების ბრძანება.
3. მოამზადეთ გადმოგზავნილი ხელნაწერის ტრანსკრიპტი და დაწერეთ შენიშვნები ავტოგრაფთან დაკავშირებით. მიუთითეთ, სად რა სიტყვაა გადაშლილი, რა არის ჩამატებული, როგორი ფერის და რა საწერი საშუალებებით.
4. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული კატალოგების გამოყენებით, შეადგინეთ იმ მწერლების საგაზეთო პუბლიკაციების ბიბლიოგრაფია, რომელთა გვარებიც გადმოგვგზავნათ ელექტრონული ფოსტით.

5. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული კატალოგების გამოყენებით, შეადგინეთ იმ მწერლების საჟურნალო პუბლიკაციების ბიბლიოგრაფია, რომელთა გვარებიც გადმოგეგზავნათ ელექტრონული ფოსტით.
6. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული კატალოგების გამოყენებით, შეადგინეთ იმ მწერლების წიგნების ბიბლიოგრაფია, რომელთა გვარებიც გადმოგეგზავნათ ელექტრონული ფოსტით.
7. ელექტრონულ ფოსტაზე გადმოგზავნილ ტექსტში შეარჩიეთ საკომენტარო მასალა და დაწერეთ კომენტარები ინტერნეტის საძიებო სისტემებისა და ელექტრონული ბაზების გამოყენებით. თითოეულ კომენტართან მიანიშნეთ ის ელექტრონული მისამართი, სადაც მოიძიეთ ინფორმაცია.
8. A მწერლის თხზულებათა ციფრულ კორპუსში, რომელიც გადმოგეგზავნათ ელექტრონული ფოსტით, მონიშნეთ სპეციფიკური ლექსიკა, მართლწერა, გრამატიკული ფორმები, სტილური მახასიათებლები, შეადგინეთ ჩამონათვალი და მიუთითეთ, წარმოდგენილ კორპუსში რამდენჯერ არის გამოყენებული თითოეული მათგანი.
9. გამოიკვლიეთ, თქვენ მიერ A მწერლის თხზულებათა ციფრულ კორპუსის მიხედვით შედგენილი ნუსხიდან თითოეული ელემენტი რამდენჯერ არის გამოყენებული თქვენთვის ელექტრონული ფოსტით გადმოგზავნილ B მწერლის თხზულებათა კორპუსში.
10. ინტერნეტში მოიძიეთ რომელიმე უცხოელი მწერლის ელექტრონული აკადემიური გამოცემა და მოამზადეთ PowerPoint-ის პრეზენტაცია, რომელშიც საუბარი იქნება გამოცემის პრინციპებზე, წარმოდგენილი იქნება შენიშვნები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და გამოცემის თქვენეული შეფასება და შენიშვნები.

დამატებითი ლიტერატურა

- მანანა თანდაშვილი, ზაქარია ფურცხვანიძე, კორპუსლინგვისტიკა, დიგიტალური ჰუმანიტარია — ქართველოლოგია და XXI საუკუნის გამოწვევები, Frankfurt University Press, 2014.
- მაია ნინიძე, კვლევის თანამედროვე ტექნოლოგიები და ელექტრონული აკადემიური გამოცემა, თბ. 2016.
- მაია ნინიძე, ციფრული არქივი და აკადემიური გამოცემა, საერთაშორისო კონფერენცია — საქართველო, ბიზანტია, ქრისტიანული აღმოსავლეთი, 2017.
- Matthew James Driscoll, Elena Pierazzo, *Digital Scholarly Editing Theories and Practices*, 2016.
- Peter Robinson: *Where We Are with Electronic Scholarly Editions, and Where We Want to Be*, *Jahrbuch für Computerphilologie* 5, 2003.
- Lou Burnard, Katherine O’Brien O’Keeffe, John Unsworth (ed), *Electronic Textual Editing*, Modern Language Assn of Amer, 2006.
- Driscoll, Matthew James, Elena Pierazzo. Eds. *Digital Scholarly Editing Theories and Practices*, Open Book Publishers, 2016.
- Kenneth M. Price, *Electronic Scholarly Editions, A Companion to Digital Literary Studies*, Edited by Ray Siemens and Susan Schreibman, Oxford, 2008.
- Юлия Корсакова, *О Развитии Текстологии*, Тамбов: Грамота,

2012. # 7.

- Богданова И.Ф., Н.Ф. Богданова, Электронные библиотеки: история и современность, 2017.
- Вуль В.А., Электронные издания: Учебник, М.-СПб.: Изд-во «Петербургский институт печати», 2001.
- А. Ю. Володин, Digital Humanities (Цифровые Гуманитарные Науки): В Поисках Самоопределения, Вестник Пермского Университета, 2014 Выпуск 3 (26)
- Комплексная интеграция цифровых коллекций в информационное пространство научных исследований И.А. Мбого, Д.Е. Прокудин, А.В. Чугунов, 2014.

<http://ebeowulf.uky.edu>

<http://www.djo.org.uk>

<https://whitmanarchive.org>

გლოსარიუმი

CBGM (Coherence Based Genealogical Method) – კოჰერენტულობაზე დამყარებული გენეალოგიური მეთოდი.

HTML (HyperText Markup Language) – ჰიპერტექსტური მარკირების ენა. 1993 წელს შექმნილი აღწერის ენა, რომელიც განკუთვნილია ვებ-გვერდების და საიტების შესაქმნელად და ინფორმაციის გასავრცელებლად ინტერნეტის საშუალებით.

PAUP (Phylogenetic Analysis Using Parsimony and other methods) – ფილოგენეტიკური ანალიზი პარსიმონიისა და სხვა მეთოდების გამოყენებით – კომპიუტერული პროგრამა, რომელსაც იყენებენ კლადისტიკური ანალიზისთვის, ანუ ტექსტების დასაჯგუფებლად ერთმანეთთან გენეტიკური მიმართებისა და ევოლუციის მიხედვით.

SDE (Scholarly Digital Edition / electronic scholarly edition) – ციფრული აკადემიური გამოცემა.

SE (Scholarly Edition) – აკადემიური გამოცემა.

SGML (Standard Generalized Markup Language) – სტანდარტული განზოგადებული მარკირების ენა, ნებისმიერი სახის ელექტრონული დოკუმენტის სტრუქტურისა და მართვის სტანდარტი, რომელიც შემოღებულ იქნა ელექტრონული ტექსტის სტრუქტურის კოდირებისათვის 1980-იან წლებში.

TEI (Text Encoding Initiative) – ტექსტის კოდირების ინიციატივა, პროექტი, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა SGML-სთან თავსებადი კოდები ელექტრონული ტექსტების ტექსტოლოგიური ანალიზისა და სარედაქციო სამუშაოებისათვის.

XML (eXtensible Markup Language) მარკირების გაფართოებადი ენა – პროგრამირების ენა, რომელიც გამოიყენება ელექტრონული ტექსტების კოდირების, ერთმანეთზე მიბმის, სათაურის, თავების, ქვესათაურების,

აბზაცებისა და სხვ. ფორმატირებისათვის.

ავანტექსტი (avant-texte, авантекст) – ამა თუ იმ ტექსტზე მუშაობის პროცესში შექმნილი მასალა, იქნება ეს გეგმა, ფრაგმენტი, ადრეული ვარიანტი თუ სხვ.

ავთენტური (authentic) – სარწმუნო, ორიგინალთან შესაბამისი.

ავტოგრაფი (autograph / holograph) – ავტორის ხელნაწერი.

ავტორიზებული ვერსია (authorized version) – ტექსტის ვერსია, სხვის მიერ გადაწერილი, ან გადაბეჭდილი, მაგრამ ავტორის მიერ გადაკითხული და ჩასწორებული, ან მთლიანად გაზიარებული.

ავტორის ბიბლიოგრაფია (author bibliography) – ერთი, ან რამდენიმე ავტორის თხზულებების და მათ შესახებ გამოქვეყნებული ნაშრომების სისტემატური, ანოტირებული, ან აღწერილობითი ბიბლიოგრაფია.

ავტორის ბოლო ნება (final authorial intention) – ტექსტის ავტორისეული ბოლო ვარიანტი.

ავტორის თავდაპირველი ნება (initial authorial intention) – ტექსტის ავტორისეული პირველი დასრულებული ვარიანტი.

ავტორის შუალედური ნება (medial authorial intention) – ტექსტის ავტორისეული ვარიანტი (ვარიანტები), რომელიც შეიქმნა პირველ და ბოლო ვარიანტებს შორის.

ავტორისეული შეცდომა (authorial fallacy) – ტექსტში არსებული ავტორის მიერვე დაშვებული შეცდომა.

ავტორიტეტული ტექსტი (authoritative text) – ტექსტი, რომელიც ასახავს ავტორის ნებას.

აკადემიური გამოცემა (scholarly edition, академическое издание) – გამოცემა, რომელშიც წარმოდგენილია ტექსტოლოგიური კვლევის შედეგად დაზუსტებული ტექსტები, მათი ვარიანტები და რედაქციები,

მოცემულია ინფორმაცია წყაროების შესახებ და დართული აქვს მრავალ-მხრივი სამეცნიერო აპარატი.

აკინძვა (bibliopegy / binding) – ფურცლების დაკეცვა, ერთი მხრიდან ერთმანეთზე მიმაგრება და ყდაში ჩასმა.

ანაბეჭდი (setoff) – მელნის კვალი, რომელიც შეხების შედეგად გადადის ერთი გვერდიდან მის მოპირდაპირებზე და აქვს ძირითადი გამოსახულების სარკისებური ფორმა.

ანაკინძი (disbound) – სხვადასხვა ტექსტის შემცველი გამოცემის დაშლა და ერთი კონკრეტული ტექსტის ცალკე აკინძვა. ამ ხერხს ხშირად მიმართავდნენ, როდესაც ტექსტი დიდი მოცულობის გამო ჟურნალის სხვადასხვა ნომერში იბეჭდებოდა და უნდოდათ მისი ცალკე შეკვრა.

ანალიტიკური ბიბლიოგრაფია (analytical bibliography) – წიგნების ბიბლიოგრაფიული აღწერა, რომელშიც მოცემულია ავტორთა დასახელება, სათაური და გამოცემის ისეთი დეტალები, როგორებიცაა: ფორმატი, პაგინაცია, ილუსტრაციები და სხვ.

ანოტირებული ბიბლიოგრაფია (annotated bibliography) – შრომების ბიბლიოგრაფიული აღწერა კონკრეტული თემის, ან ცალკეული ავტორის მიხედვით, სადაც მოკლედ არის გადმოცემული მისი შინაარსიც.

ანოტირებული საძიებელი (annotated index, аннотированный указатель) – კონკრეტული ტექსტებიდან, ან ტექსტური კორპუსებიდან ამოღებული და ანბანურ რიგზე დალაგებული ტერმინები, თემები, სახელები, სათაურები, ავტორები, გრამატიკული ფორმები და სხვ., რომლებსაც ახლავს ანოტაცია და გვერდების მითითება.

ანტიგრაფი („antigraph“, „протограф“ / „антиграф“) – დედანი, რომლიდანაც გაკეთდა ასლი.

აპარატი (apparatus) – შენიშვნები, ცხრილები და სხვ., რომლებიც გადმოგვცემს ინფორმაციას ტექსტის და დროთა განმავლობაში მასში

შეტანილი ცვლილებების შესახებ.

აპოგრაფი („apograph“, „апограф“) – დედნიდან გაკეთებული ასლი.

არა უადრეს (terminus ante guem) – მოიცავს მითითებულ დროს და მის შემდგომ პერიოდს.

არა უგვიანეს (terminus post guem) – მოიცავს მითითებულ დროს და მის წინარე პერიოდს.

არაარსებითები (accidentals) – ტექსტის წყაროებს შორის არსებულ განსხვავებებს ხშირად ყოფენ არსებითებად და არაარსებითებად. არაარსებითებში მოიაზრებენ ცვლილებას ფორმალურ, არასემანტიკურ ელემენტებში: სიტყვის მართლწერაში, ასოების კაპიტალურობაში, დახრაში და სხვ.

არასწორი ფონტი (wrong font) – შემთხვევა, როდესაც ტექსტის რაღაც ნაწილი მიმდებარე მონაკვეთებისაგან სხვა სახის, ან სხვა ზომის ფონტით არის წარმოდგენილი.

არსებითები (substantives) – ტექსტის წყაროებს შორის არსებული განსხვავებების კლასიფიცირებისას არსებითებში გულისხმობენ იმ წაკითხვებს, რომლებიც იწვევს სემანტიკურ ცვლილებებს, ანუ აისახება შინაარსზე.

არქეტიპი (archetype) – ტექსტი, რომელმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია ავთენტური წყაროებით და რომლის რეკონსტრუქცია მოხდა გვიანდელი ვარიანტების საფუძველზე.

ასოთამწეობი (compositor / typesetter, наборщик) – ციფრული ბეჭდვის შემოღებამდე, პიროვნება, რომელიც განალაგებდა ტექსტის ასონიშნებს საჭირო თანმიმდევრობით. დღეს ასევე – ტექსტის კომპიუტერში ამკრეფი.

ატეთეზა (atethesis, атетеза) – მტკიცებულება, რომლის მიხედვითაც, თხზულება იმ ავტორს არ მიეკუთვნება, ვისაც ვარაუდობდნენ. ასევე ნიშანი,

რომელსაც იყენებდნენ ტექსტიდან ამოსაღები ადგილების მოსანიშნად.

ატრიბუცია (attribution) – ანონიმურად (ხელმოუწერლად, ფსევდონიმით) მოღწეული გამოქვეყნებული, ან გამოუქვეყნებელი ტექსტის ავტორის დადგენა.

აღიარებული ტექსტი (textus receptus) – ტექსტის ვარიანტი, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვრცელდებოდა და დამკვიდრდა საზოგადოებაში.

აღწერილობითი ბიბლიოგრაფია (descriptive bibliography) – ბიბლიოგრაფიის დარგი, რომელიც სწავლობს წიგნებისა და სხვა ბეჭდური დოკუმენტების ფორმას, ფიზიკურ მასალას, მათი აღწერის პრინციპებსა და პრაქტიკას.

ბეჭდური გამოცემა (printed edition, печатное издание) – ერთი და იმავე შაბლონიდან ერთნაირ ქაღალდზე, ერთსა და იმავე პერიოდში დაბეჭდილი, ერთნაირად აკინძული და ერთნაირ ყდაში ჩასმული წიგნის ყველა ეგზემპლარი.

ბეჭდური შეცდომა (misprint) – ბეჭდვისას დაშვებული შეცდომა.

ბეჭედი (explicit, экслицит) – ხელნაწერი ტექსტის დასასრულის გაფორმების ტრადიციული ფორმულა, რელიგიური მიმართებით, მიძღვნით, საქმის აღსრულებასთან დაკავშირებული განცდებით, სათაურის, ავტორის, გადამწერის, გეოგრაფიული ადგილისა და დროის მითითებით.

ბიბლიოგრაფია (bibliography) – წიგნების, მათში შემავალი ტექსტების, მასალის, ისტორიის, წარმოებისა და გავრცელების კვლევა. ასევე წიგნებისა და ნაშრომების აღნუსხვა, სისტემატიზაცია და აღწერილობა.

გადამოწმება (examinatio) – წყაროთა ანალიზი მცდარი იკითხვისების გამოსარჩევად და ავთენტური ტექსტის დასადგენად.

გადამწერი (scribe) – პირი, რომლის მოვალეობაშიც შედიოდა ხელნაწერების გადაწერა.

გადამწერის ხელწერა (scribal hand) – ტექსტის გადამწერის ინდივიდუალური ხელწერა.

გამოცემათმცოდნე (editorial theorist) – პიროვნება, რომელიც თეორიულად სწავლობს არსებულ გამოცემებს და ქმნის ახალ საგამომცემლო მოდელებსა და კონცეფციას.

გამოცემათმცოდნეობა (editorial studies / editorial theory) – მეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს საგამომცემლო თეორიას.

განლაგება (layout, расположение) – ტექსტის სტრუქტურული დიზაინი.

გარდაცვალების შემდგომი გამოცემა (posthumous edition, post-mortem edition) – გამოცემა, რომელიც ავტორის გარდაცვალების შემდეგ განხორციელდა.

გაციფრულება / დიგიტალიზაცია (digitization) – არაციფრული ინფორმაციის ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა. მაგალითად, ტექსტის ციფრული აწყობა, გრაფიკული გამოსახულების სკანირება და სხვ.

გენეალოგიური კოჰერენტულობა (genealogical coherence) – ტექსტურ მოწმეებს შორის არსებული ვარიანტული მსგავსება-განსხვავების საფუძველზე მათი ურთიერთმიმართების შეფასება.

გენეალოგიური მეთოდი (genealogical method) – საგამომცემლო მიდგომა, რომელიც წყაროების მონაცემების – ერთნაირი და განსხვავებული შეცდომების ან, ზოგადად, ვარიანტული წაკითხვების საფუძველზე არკვევს ამ წყაროთა ტექსტების ურთიერთმიმართებას. ეს ურთიერთმიმართებები შეიძლება წარმოდგენილი იყოს სტემის სახით. მეთოდი გვეხმარება ტექსტის პირვანდელი სახის აღდგენაში.

გენეტიკური გამოცემა (genetic edition) – მეცნიერული გამოცემა, რომელიც მიზნად ისახავს ტექსტის განვითარების სურათის წარმოდგენას, და არა ავტორიტეტული ტექსტის შედგენას. მისი მთავარი იდეა ისაა, რომ

ტექსტის წარმოსაჩენად უმჯობესია მისი არა ერთი საუკეთესო ვერსიის შეთავაზება მკითხველისათვის, არამედ ვარიანტების სერიით, რომლებიც ასახავს მის განვითარებას და ისტორიას. ამ თვალსაზრისით, იგი ემთხვევა სინოპტიკურ გამოცემას, მაგრამ აქვს ერთი განმასხვავებელი ნიშანი – სინოპტიკური გამოცემა ასახავს რამდენიმე წყაროს მონაცემებს, გენეტიკური კი შეიძლება შემოიფარგლოს ერთ წყაროში შემავალი ტექსტის, ან ტექსტების განვითარების დემონსტრირებით.

გლობალური სტემა (global stemma) – ყველა ტექსტური მოწმის ოპტიმალურ ქვესტემებზე დამყარებული ჰიპოთეზა ტექსტის შედარებითი ქრონოლოგიური განვითარების შესახებ.

გლოსა (gloss) – გაუგებარი სიტყვის, ან გამოთქმის განმარტება, ან ტექსტის ანოტირება, მიწერილი ძველი ხელნაწერების აშეიბზე, ან ჩაწერილი სტრიქონებს შორის.

გრაგნილი (roll, Свиток) – საწერი მასალის (პაპირუსი, ეტრატი, ქაღალდი) ერთიანი გრძელი, ან გადაკერებული ფურცლები (კეფები), რომლებიც ინახება ხვეული ფორმით.

დაბალი კრიტიკა (lower criticism, низшая критика) – ტექსტის ვარიანტების შედარება და მისი ავთენტური სახის აღდგენა.

დაკაბადონება (imposition) – თითოეულ გვერდზე ტექსტური და ვიზუალური მასალის ორგანიზება და გვერდების კომპოზიციის შექმნა წინასწარ განსაზღვრული დიზაინის მიხედვით.

დამხმარე დოკუმენტი (ancillary document) – დოკუმენტი, რომელიც ავტორის შემოქმედებითი განზრახვის, ან ტექსტზე მისი მუშაობის შესახებ დამატებით ინფორმაციას გვაწვდის.

დახრილი ფონტი (italic, курсивный) – ამა თუ იმ კომპიუტერული შრიფტის დახრილი სახესხვაობა.

დივინაცია / ჭვრეტა (divinatio, дивинация) – ინტუიციასა და გამოც-

დილებზე დამყარებული ხედვა, რომელიც პირდაპირ არ გამომდინარეობს ობიექტური მოცემულობიდან. განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება კონიექტურასთან მიმართებით, რადგან კონიექტურული აღდგენისას ტექსტის სწორება ხდება არა წყაროს მონაცემებზე, არამედ გამსწორებლის ინტუიციასა და ლოგიკაზე დაყრდნობით.

დიპლომატიკა (diplomats, дипломатика) – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგი, რომელიც სწავლობს ოფიციალური დოკუმენტების ტექსტებს.

დიპლომატიური გამოცემა (diplomatic edition) — მეცნიერული გამოცემა, რომელშიც წარმოდგენილია ერთი რომელიმე წყაროს ტრანსკრიპტი ყოველგვარი სწორებების გარეშე. ტექსტს ახლავს აპარატი, რომელშიც მოცემულია მისი აღწერილობა, განმარტებულია, რატომ გაკეთდა არჩევანი ამ წყაროზე, რა პრინციპების მიხედვით მომზადდა ტრანსკრიპტი და მოცემულია სხვა წყაროების ვარიანტული წაკითხვები.

დიპლომატიური ტექსტი / ტრანსკრიპცია (diplomatic text / transcription, дипломатический текст / транскрипция) – ამა თუ იმ ტექსტის ზუსტი ტრანსმისია, რომელშიც არ არის გახსნილი აბრევიატურები და ქარაგმები, არ არის ჩასწორებული კორექტურული შეცდომები და არ არის აღდგენილი გამოტოვებული ადგილები. ზოგჯერ დიპლომატიურ ტექსტს სტრიქონებზეც კი ისევე განალაგებენ, როგორც დოკუმენტშია.

დიტოგრაფია (dittography, дитография) – გადამწერის, ან მბეჭდავის მიერ ასოების, სიტყვების, ან უფრო მსხვილი მონაკვეთების მექანიკური გამეორება.

დოკუმენტი (document) – ხელნაწერი, ბეჭდური გამოცემა, ან ტექსტის შემცველი სხვა არტეფაქტი.

დოკუმენტური გამოცემა (documentary edition) – იგივეა, რაც დიპლომატიური გამოცემა.

ეკლექტიური ტექსტი (eclectic text) – ტექსტი, რომელიც შედგენილია

რამდენიმე წყაროდან ვარიანტული წაკითხვების შერჩევით და დართული აქვს სამეცნიერო აპარატი.

ელექტრონული აკადემიური გამოცემა (electronic scholarly edition, электронное академическое издание) – ციფრულ ფორმატში განხორციელებული აკადემიური გამოცემა, რომელიც სრულად იზიარებს ბეჭდური აკადემიური გამოცემის პრინციპებს, მაგრამ იყენებს ელექტრონული ტექნოლოგიების ფართო შესაძლებლობებს და გვთავაზობს უფრო მდიდარ ვიზუალურ მასალას, უფრო მრავალფეროვან ინფორმაციას, აქვს საძიებო სისტემები, იყენებს ჰიპერლინკებს, სინქრონიზაციის მექანიზმს და შეიძლება იყოს ინტერაქტიული, ანუ, მკითხველს საშუალება ჰქონდეს, თავად აირჩიოს ძირითადი ტექსტი, სამეცნიერო აპარატის კომპონენტები და სხვ.

ელექტრონული გამოცემა (electronic edition) – გამოცემა, რომელიც წარმოდგენილია ელექტრონული ფაილის, ან ფაილების სახით და, შესაძლოა, ჰიპერლინკებით.

ელიმინაცია (eliminatio, элиминация) – დოკუმენტური წყაროს, ხელნაწერის ან ტექსტის კონკრეტული წაკითხვის უგულებელყოფა, როდესაც გვაქვს უფრო სარწმუნო დასაყრდენი. მაგალითად, ხელნაწერი ტექსტის ელიმინაცია, როდესაც დგინდება, რომ იგი სხვა არსებული ხელნაწერიდან არის გადაწერილი და გენეტიკური კვლევისთვის არავითარი ღირებულება არ გააჩნია. რაიმე კონკრეტული ვარიანტული წაკითხვის უგულებელყოფა, როდესაც ორი და მეტი სხვა დამოუკიდებელი წყარო სხვა წაკითხვას გვთავაზობს და სხვ.

ელიპსისი (elipsis) – გამოტოვებული ტექსტის ადგილას კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული მრავალწერტილი.

ეპიგრაფიკა (epigraphy, эпиграфика) – მეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს მყარ მასალაზე – ქვა, ლითონი, ხე, თიხა, ძვალი და სხვ., შესრულებულ ძველ წარწერებს.

ეპიტექსტი (epitext, эпитекст) – ტექსტი, ან ტექსტების ჯგუფი, რომ-

ლებიც მთავარ ტექსტთან ერთად არ იბეჭდება, მაგრამ პირდაპირ უკავშირდება მას. მაგ., განცხადება, რეკლამა, მიმოხილვა, ავტორის გამონათქვამები, მიმოწერა და ჩანაწერები ამ ტექსტთან და მის პუბლიკაციასთან დაკავშირებით.

ეროვნული ბიბლიოგრაფია (national bibliography) – ამა თუ იმ ქვეყანაში გამოცემული, ან ამ ქვეყანასთან დაკავშირებული წიგნების ნუსხა.

ეტრატი / პერგამენტი (parchment) – ცხოველის ტყავისგან დამზადებული საწერი მასალა.

ექსპურგაცია (expurgation, экспургация) – ვინმეს შეურაცხმყოფელი, ან რაიმე სხვა მიზეზით მიუღებელი ადგილების მიზანდასახულად ამოღება წიგნის მთლიანი ტირაჟიდან.

ვარიანტი (variant, вариант) – ტექსტი, ან მისი ნაწილი, რომელიც განსხვავდება ამავე ნაშრომის სხვა ტექსტებისგან.

ვარიანტული გამოცემა (variorum edition) – მეცნიერული გამოცემა, რომელშიც ძირითად ტექსტს დართული აქვს გარკვეული პასაჟების კრიტიკული და ტექსტოლოგიური შენიშვნები, ინფორმაცია სარედაქციო სწორებებისა და სხვა წყაროებში არსებული ვარიანტული წაკითხვების შესახებ. ეს გამოცემა ორი სახისაა: კრიტიკულ ვარიანტულ გამოცემაში, ძირითადად, წარმოდგენილია კრიტიკული შენიშვნები, ტექსტუალურ ვარიანტულ გამოცემაში კი – ტექსტუალური ცვლილებები.

ვარიანტული წაკითხვა / იკითხვისი (variation / variant reading, вариант, вариантное чтение, разночтение) – სხვადასხვა წყაროში ტექსტებს შორის არსებული ცალკეული სხვაობა.

ვარიანტული წაკითხვის ავტორიტეტულობა (authority of a reading) – კრიტერიუმი, რომლითაც აფასებენ, თუ რამდენად შეესაბამება ესა თუ ის ვარიანტული წაკითხვა ავტორის ნებას.

ვერსია (version) – ტექსტი, რომელიც ფორმით განსხვავდება სხვა წყაროებში წარმოდგენილი ტექსტებისგან. მაგალითად, არსებობს

ხოლმე პიესის საკითხავი ვერსია და დასადგმელი. ვერსიად ან რედაქციად მოიხსენიებენ ტექსტის თარგმანებსაც.

ვერსო (verso) – გადაშლილი წიგნის, ან ხელნაწერის მარცხენა გვერდი. ასევე, ფურცლის უკანა მხარე.

ვერტიკალური გამოცემა (Vertical edition) – გამოცემა, რომელშიც წარმოდგენილია ტექსტის ისტორიის სრული რეკონსტრუქცია.

თანამშრომლობითი პირი / ცალი (Association copy) – დოკუმენტური წყარო, რომელიც ანოტირებულია ავტორის, რედაქტორის, გამომცემლის, ან სხვა პირთა მიერ.

თეთრი პირი (fair copy) – გასწორებული და სუფთად გადაწერილი ხელნაწერი, რომელიც შესრულებულია ავტორის ან გადამწერის მიერ.

იდეალური ეგზემპლარი (ideal copy) – აღწერილობით ბიბლიოგრაფიაში სხვადასხვა ეგზემპლარის შემოწმების შედეგად ამორჩეული ერთეული.

იკითხვისი (variation / variant reading, вариант, вариантное чтение, разночтение) – სხვადასხვა წყაროში ტექსტებს შორის არსებული ცალკეული განსხვავებული მონაცემი და ასეთი სხვაობების შემცველი ტექსტი.

ილუმინაცია (illumination) – ხელნაწერში, ან წიგნში ასოთა ინიციალების, ილუსტრაციებისა და ორნამენტების ხელით გაფორმება, ოქროთი, ვერცხლით, ან ნებისმიერი ფერის საღებავით.

ინიციალი (initial, инициал) – წიგნის თავების, ან სხვა სტრუქტურული სეგმენტების საწყისი ასოები, რომლებიც ზომით, ან დეკორატიული გაფორმებით გამოირჩევა.

ინკლუზიური ტექსტი (inclusive text) – ტექსტის სამუშაო ვერსია, რომელიც ჯერ კიდევ არ არის გასუფთავებული სარედაქციო შენიშვნებისა და ინტერპოლაციებისაგან.

ინტერლინეაცია / სტრიქონთაშორისი ჩანაწერი (interlineation) –

ხელნაწერის, ან წიგნის სტრიქონებს შორის შენიშვნების, კომენტარების, ან თარგმანის ჩაწერა.

ინტერპოლაცია (interpolation, **интерполяция**) – ნაწარმოების ტექსტში გვიანდელი ჩანართი, რომელიც ავტორს არ ეკუთვნის.

ინციპიტი (incipit, **Инципит**) – ტექსტის საწყისი სიტყვები, რომლებიც გამოიყენება მისი იდენტიფიკაციისათვის ძველ ხელნაწერებსა და ბეჭდურ გამოცემებში, რომლებსაც პირველი გვერდები აკლია, ასევე უსათაურო, ან ერთი და იმავე ავტორის ერთნაირი სათაურების მქონე ტექსტების ერთმანეთისგან განსასხვავებლად.

ისტორიაცია (historiation) – ხელნაწერ ან ნაბეჭდ ტექსტში აბზაცების, თავების ან სხვა სტრუქტურული სეგმენტების საწყისი გრაფემის გაფორმება ნახატებით.

ისტორიული შეჯერება / ისტორიული კოლაცია (historical collation) – ტექსტის ყველა, ან რამდენიმე წყაროს ვარიანტული წაკითხვების ნუსხა ერთი კონკრეტული წყაროს წაკითხვებთან მიმართებით.

ისტორიულ-კრიტიკული გამოცემა (historical-critical editing) – კრიტიკული გამოცემის სახე, რომელიც ითვალისწინებს თითოეული დოკუმენტური წყაროს მონაცემებს და შემოიფარგლება მხოლოდ არაავტორიტეტული შეცდომების სწორებით.

კალიგრაფია (Calligraphy, **каллиграфия**) – დახვეწილად წერის ხელოვნება. არასწორია, როდესაც იყენებენ ჩვეულებრივ ხელწერასთან მიმართებით.

კალმისმიერი ლაფსუსი (slips of the pen) – წერისას დაშვებული მექანიკური შეცდომა.

კატალოგი (catalog / catalogue) – კონკრეტულ კოლექციაში, ან კოლექციათა ქსელში შემავალი დოკუმენტების (ხელნაწერების, წიგნების, ჟურნალ-გაზეთებისა და სხვ.) ჩამონათვალი ანოტაციებითა და აღწერილობებით. მაგ.,

ბიბლიოთეკის, გამომცემლობის, არქივისა და სხვ. კატალოგი.

კატენები (catena, **катены**) – წმინდა წერილის განმარტებათა კრებული. ცენტრალურ ადგილას განთავსებული იყო ციტატა წმინდა წერილიდან და მის ირგვლივ, ოთხი მხრიდან („მოთხვითად“) – სხვადასხვა კომენტატორის განმარტებები. წმინდა წერილის ციტატები და კომენტარები ხშირად განსხვავებული ხელწერით სრულდებოდა.

კლადისტიკური ანალიზი (cladistic analysis) – ფილოგენეზური კავშირებისა და ევოლუციის ისტორიის მიხედვით ორგანიზმების კლასიფიკაციის სისტემა, რომელიც ასევე გამოიყენება ტექსტოლოგიური გენეტიკური კვლევებისათვის.

კოდექსი (codex) – ხელნაწერი წიგნი, როგორც ტექსტის მატარებელი მატერიალური ნივთი, არტეფაქტი.

კოდიკოლოგია (codicology) – მეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს ხელნაწერ წიგნს, როგორც ტექსტის მატარებელ მატერიალურ ნივთს, ფიზიკურ არტეფაქტს. სხვა განმარტებით, მეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს წიგნის ფორმით არსებული ხელნაწერების (გრაგნილთან შეპირისპირებით) ისტორიას.

კოლოფონი (colophon) – ცნობები ავტორის, მთარგმნელის, გამომცემლის, მბეჭდავის (გადამწერის), გამოცემის (გადაწერის) ადგილის, დროის და სხვ. შესახებ, რაც ხელნაწერებსა და ძველ ნაბეჭდ წიგნებში, ძირითადად, ტექსტის ბოლოს იყო მოთავსებული.

კომპიუტერული მეთოდი (computer-assisted method, **компьютерный метод**) – მეთოდი, რომლის გამოყენებაც კომპიუტერთან არის დაკავშირებული.

კონიექტურა / კონიექტურული სწორება (conjecture, conjectural emendation) – ინტუიციის, ზოგადი გამოცდილებისა და ლოგიკური ანალიზის საფუძველზე ისეთი ცვლილების შეტანა ტექსტში, რომელიც არც ერთ წყაროში არ დასტურდება.

კონტამინაცია (contamination / conflation) – ორი, ან მეტი ტექსტური წყაროს შერწყმა.

კორექტირება (proofread) – ტექსტის სწორება დედნის მიხედვით.

კორპუსი (corpus) – ერთი ავტორის, კონკრეტული საკითხის, ენის, ეპოქის, რეგიონის, ან სხვა ნიშნით გაერთიანებული ტექსტების ერთობლიობა.

კოჰერენტულობა (Coherence, Когерентность) – ტექსტის შემადგენელი ნაწილების (სიტყვები, წინადადებები და სხვ.) ლოგიკურ-სემანტიკურ, გრამატიკულ და სტილისტურ ურთიერთკავშირზე დამყარებული მთლიანობის წარმოჩენა.

კრიტიკული აპარატი (critical apparatus) – ტექსტის არსებული ვარიანტების შედარების შედეგად მიღებული მონაცემების ნუსხა.

კრიტიკული გამოცემა (critical edition) – გამოცემა, რომელშიც ძირითად ტექსტად წარმოდგენილია არა რომელიმე ერთი კონკრეტული წყარო, არამედ ევლექტური ტექსტი, შედგენილი რამდენიმე წყაროს მონაცემების შეჯვრებისა და / ან სარედაქციო სწორებებისაგან. ტექსტს დართული აქვს სამეცნიერო აპარატი, რომელშიც განმარტებულია საგამომცემლო პრინციპები და განხორციელებული პროცედურები, ასევე მოცემულია სწორებების ნუსხა და ვარიანტები.

კულტუროლოგიური კრიტიკა (cultural criticism) – ტექსტის, როგორც იმ კულტურის შესახებ ცოდნის მატარებელი წყაროს ანალიზი, რომლიდანაც ის მომდინარეობს.

კუპიურა (redact) – ტექსტის გარკვეული ადგილების ამოღება, შემოკლება.

კურსივი (cursive script) – გაკრული ხელწერა, რომლის დროსაც ასოები ხელის აუღებლად არის გადაბმული ერთმანეთზე და მომრგვალებული მოყვანილობა აქვს. ასევე, დახრილი შრიფტით ნაბეჭდი.

ლემა (lemma, лемма) – ციტირება ტექსტიდან, რომელიც ცალკეა

გამოტანილი განმარტების, თარგმანის, შენიშვნის, კომენტარის, ან ვარიანტების მისაწერად.

ლიგატურა (ligature) – ასოთა გადაბმა–გაერთიანება ერთ ნიშნად.

ლინეაცია / ლინირება / სტრიქონებად დაყოფა (lineation, линейная ориентировка) – ტექსტის განლაგება სტრიქონებად. ძველად უწოდებდნენ „განკანონებას“.

ლინკემა (linkeme) – ჰიპერტექსტურ გამოცემაში სტრუქტურული ერთეული, ძირითადად, აბზაცი, რომელიც შესაძარებლად გამოგვაქვს სხვადასხვა ვარიანტიდან.

ლიტერი (liter, литер) – ასო, რომლითაც აღნიშნავენ ხელნაწერებისა და ბეჭდური გამოცემების საცავებსა და წყაროებს.

მანუსკრიპტი (manuscript) – ხელით ნაწერი, მანქანაზე, ან კომპიუტერზე ნაბეჭდი ტექსტი, მაგრამ არა სტამბურად გამოქვეყნებული.

მარგინალია (marginalia) – ხელნაწერის აშიაზე გაკეთებული მინაწერები.

მაღალი კრიტიკა (higher criticism, высшая критика) – ტექსტის ინტერპრეტაცია, ლიტერატურული და ისტორიული შეფასება და სხვა საკითხები, რომლებსაც დღესდღეობით, ძირითადად, სწავლობს ლიტერატურათმცოდნეობა.

მეორეული ბიბლიოგრაფია (secondary bibliography) – ამა თუ იმ ავტორისა და მისი შემოქმედების შესახებ დაწერილი ნაშრომების ჩამონათვალი.

მეცნიერული გამოცემა (scientific edition, научное издание) – გამოცემა, რომლის ბეჭდვის დროსაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტექსტის სიზუსტეს და განმარტებას.

მთავარი ტექსტი (main text) – სხივური კითხვის დროს ის ტექსტი, რომლიდანაც გადავდივართ სხვებზე.

მთავრული (majuscule) – თანაბარი სიმაღლის, კაპიტალური ასოები.

მიღმური ინფორმაცია (non-nested information, невложенная информация) – ტექსტში არსებული წაშლილი ადგილები, ჩამატებები, ჩანაცვლებები, გადაადგილებები, კალმისმიერი ლაფსუსები და სხვ., რომლებიც საბოლოოდ დადგენილ ტექსტში არ ჩანს.

მორბენალი სათაური (running title) – წიგნის, ან მისი თავების სათაურები, რომლებიც განთავსებულია ყოველი გვერდის უკიდურეს ზედა ნაწილში.

მოუხერხებელი / უადგილო წყვეტა (bad break) – როდესაც ახალ გვერდზე, ან სვეტზე გადასვლისას ხდება ტექსტის არასასურველი წყვეტა, მაგალითად, წინაზე რჩება სათაური, ახალზე კი გადადის ტექსტის დასაწყისი, წინაზე რჩება ტექსტის ძირითადი მოცულობა, ახალზე კი გადადის მხოლოდ ერთი, ან ორი სიტყვა და სხვ. ასეთი რამ ვიზუალურად ცუდად აღიქმება, დაკაბადონების ხარვეზად ითვლება და უნდა გასწორდეს.

მოხატული ხელნაწერი (illuminated manuscript, иллюминированная рукопись) – ძველი, ძირითადად, შუა საუკუნეების ხელნაწერები, რომლებიც მოხატულია ფერადი ორნამენტებითა და მინიატურებით.

ნაბეჭდი (typescript) – ნაბეჭდი მანუსკრიპტი.

ნაღვენტი (blot, клякса) – მელნის მსხვილი ლაქა ხელნაწერის ფურცელზე.

ნაყალბევი (forgery) – არასწორი შინაარსით, სხვისი სახელით, ან იმიტაციით შექმნილი ხელნაწერი, ან წარწერა.

ნაშრომი (work) – ლექსი, პიესა, რომანი, მოთხრობა, ესე, წერილი, ტრაქტატი და სხვ. წარმოდგენილი და გავრცელებული ტექსტური სახით.

ნორმალიზაცია (normalization) – ტექსტის პუნქტუაციის, მართლწერის, ასოთა კაპიტალიზაციისა და სხვა გარეგანი ელემენტების გამართვა კონკრეტული ქვეყნისა და ეპოქის ნორმების შესაბამისად.

ნუმიზმატიკა (numismatics, нумизматика) – მეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს მონეტებს, მედლებს, ორდენებსა სხვ.

ნუსხური / მინუსკული (minuscule, минускул) – სიმაღლეში დიფერენცირებული ასოები, რომელთაგან ზოგი შუა ხაზებს შორის და მათ ზემოთ არის განთავსებული (ზედა), ზოგი – ქვემოთ (ქვედა).

ორთოგრაფია (orthography) – მართლწერა, ან მართლწერის შესწავლა.

პაგინაცია (pagination) – წიგნის გვერდების ნუმერაცია.

პალეოგრაფია (paleography) – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგი, რომელიც სწავლობს წერილობით წყაროებს, იკვლევს დამწერლობის წარმოშობა-განვითარებასა და წერის პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს: საწერ მასალას, იარაღს, ხელნაწერის მხატვრულ შემკობას, დაქარაგმების წესებს, განკვეთილობისა და სასვენ ნიშნებს, ჭვირნიშნებს, კრიპტოგრაფიას და სხვ.

პალიმფესტი (palimpsest, палимпсест) – საწერი მასალა, რომელიც ერთზე მეტჯერ იქნა გამოყენებული და გვიანდელი ტექსტი ზემოდან არის გადაწერილი ადრეულზე.

პარალელური ტექსტი (parallel text) – ორი, ან მეტი ტექსტი, რომლებიც პარალელურად არის წარმოდგენილი ერთსა და იმავე გვერდზე, გადაშლილი წიგნის მომიჯნავე გვერდებზე, ან ეკრანზე.

პარატექსტი (paratext, паратекст) – პერიტექსტი და ეპიტექსტი ერთად, ანუ ტექსტები, რომლებიც არ არის მთავარი ტექსტის ნაწილი, მაგრამ არის წიგნის ნაწილი, მაგ., სათაური, ქვესათაურები, ავტორის სახელი, წინათქმა, მიძღვნა, ეპიგრაფი, შენიშვნები და ტექსტები, რომლებიც მთავარ ტექსტთან ერთად არ იბეჭდება, მაგრამ პირდაპირ უკავშირდება მას: რეკლამა, მიმოხილვა და სხვ.

პერიტექსტი (peritext перитекст) – ტექსტი, რომელიც არ არის მთა-

ვარი ტექსტის ნაწილი, მაგრამ ორგანულ კავშირშია მასთან და იქვე იბეჭდება. მაგ., სათაური, ქვესათაურები, ავტორის სახელი, წინათქმა, მიძღვნა, ეპიგრაფი, შენიშვნები, ბოლოთქმა და სხვ.

პირველადი ბიბლიოგრაფია (primary bibliography) – ავტორის თხოულებათა ჩამონათვალი და აღწერილობა და არა მასზე დაწერილი ნაშრომების სია.

პირველნაბეჭდი (first print edition, *первоиздание*) – პირველი ბეჭდური გამოცემა.

პრეგენეალოგიური კოჰერენტულობა (pre-genealogical coherence) – სტატისტიკური მონაცემი, რომელიც გვაჩვენებს ტექსტებს შორის მსგავსების დონეს.

პრეპუბლიკაცია (prepublication, *препубликация*) – ტექსტის უკანასკნელი ვარიანტი მის პუბლიკაციამდე.

პრეტექსტი (pre-text, *претекст*) – თავდაპირველად არსებული ტექსტი, რომლის ელემენტებიც გამოიყენა იმავე, ან სხვა ავტორმა საკუთარი ტექსტის საფუძვლად.

პროვენანსი (provenance, *провенанс*) – წიგნის, ან ხელნაწერის შექმნის შემდეგდროინდელი ისტორია, ინფორმაცია სხვადასხვა პერიოდში მისი ადგილსამყოფელისა და მფლობელების შესახებ.

პუბლიკაცია (publish) – ბეჭდური, ან ელექტრონული სახით ტექსტის რეპროდუქცია გასაყიდად ან გასავრცელებლად.

რედაქცია (redaction) – შემოკლებული, გავრცობილი, ან კონცეპტუალურად მოდიფიცირებული ტექსტი.

რეპრინტი (reprint) – არსებული გამოცემის ხელახლა გამეორება ადრინდელი გამოცემის გვერდების კვლავწარმოების გზით.

რეფლექსური გრაფიკა (doodle) – დოკუმენტის ფურცლებზე მექანიკურად გამოყვანილი ასოები, გეომეტრიული, ან გაურკვეველი ფორმები,

ნახატები და სხვ.

რექტო (recto) – ფურცლის ზედა გვერდი, გაშლილი ხელნაწერის, ან ნაბეჭდი წიგნის მარჯვენა გვერდი.

რეცენზია (recensio / recension) – ტექსტის წყაროების შესწავლა და ტექსტური მოწმეების კლასიფიკაცია გენეტიკური კვლევისთვის.

რუბრიკაცია (rubrication) – ძველ ხელნაწერებსა და წიგნებში დეკორატიული სათაურები, ინიციალები, აბზაცის დასაწყისები, რაც, უმთავრესად, სინგურის საღებავით წითელ ფერში ფორმდებოდა.

საზედაო ასოები (upper case letters) – კაპიტალური ასოები.

საკამათო წაკითხვა / კრაუსი (crux) – ტექსტის წაკითხვა, რომელიც ტექსტოლოგთა და გამომცემელთა შორის აზრთა სხვადასხვაობის საგანი ხდება.

საკორექტურო ტექსტი (proof) – ტექსტის ამონაბეჭდი, რომელიც დედნის მიხედვით უნდა გასწორდეს.

სამუშაო მაგიდის პუბლიკაცია (desktop publishing, настольная издательская система) – პუბლიკაციის განხორციელება სტამბის გარეშე, პერსონალური კომპიუტერისა და პრინტერის საშუალებით.

სარედაქციო ცენზურა (editorial censorship) – საგამომცემლო პოლიტიკის, ბაზრის მოთხოვნების, კომერციული და სხვა ინტერესის გამო, რედაქტორ-გამომცემლის მიერ ტექსტის სწორება.

სატიტულო გვერდი (title page) – ცალკე გვერდი, რომელზეც წერია ავტორი, სათაური, ქვესათაური, გამომცემელი, სტამბა, გამოცემის ადგილი და დრო. შეიძლება გაფორმებული იყოს ილუსტრაციით ან დეკორაციით.

საუკეთესო ტექსტი (best text, лучший текст) – ტექსტური წყარო, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს ავტორის ნებას.

საძიებელი (index, указатель) – კონკრეტული ტექსტებიდან, ან ტექს-

ტური კორპუსებიდან ამოღებული და ანბანურ რიგზე დალაგებული ტერმინები, თემები, სახელები, სათაურები, ავტორები, გრამატიკული ფორმები და სხვ., რომლებსაც ახლავს იმ გვერდების მითითება, სადაც ისინი გვხვდება.

საწყისი ტექსტი (initial text) – ჰიპოთეზა ტექსტის შესახებ, რომელიც წინ უსწრებდა არქეტიპს, მცდელობა, რაც შეიძლება, მივუახლოვდეთ საავტორო ტექსტს, ასეთის არსებობის შემთხვევაში. საწყისი ტექსტი (შეიძლება ერთზე მეტიც იყოს) დგინდება მხოლოდ ჰიპოთეზის დონეზე.

სიგილოგრაფია (sigillography, **сигиллография**) – მეცნიერების დამხმარე დისციპლინა, რომელიც სწავლობს ბეჭდებზე გამოსახულ ტექსტებს.

სიგლა (sigla, **сигла**) – ასოები, გრაფიკები, ან სხვა სახის სიმბოლოები, რომლებითაც აღნიშნავენ ხელნაწერებისა და ბეჭდური გამოცემების საცავეებსა და წყაროებს: ბიბლიოთეკას, მუზეუმს, არქივს და სხვ. ასევე, თავად ხელნაწერს, წიგნს, სტემას და სხვ.

სივრცითი კითხვა (Spatial reading) – წრფივ კითხვასთან ერთად, ტექსტის ფორმატისა და მისი სივრცითი განლაგების რეფლექსირება.

სინოპტიკური გამოცემა (synoptic edition) – გამოცემა, რომელშიც გვერდიგვერდ არის წარმოდგენილი ეკლექტური ტექსტი და ვარიანტები.

სისტემატური ბიბლიოგრაფია (systematic bibliography / enumerative bibliography) – სისტემატური კლასიფიკაციის (მაგ., მეცნიერებისა და ტექნიკის დარგების და სხვ.) მიხედვით დალაგებული ხელნაწერების, ან წიგნების ბიბლიოგრაფიული ჩამონათვალი.

სკრიპტორიუმი (scriptorium) – სამუშაო სივრცე, მაგალითად, მონასტრებში, სადაც მიმდინარეობდა წიგნების გადაწერა.

სტემა (stemma) – ტექსტის წყაროთა გენეტიკური ურთიერთმიმართების დიაგრამული გამოსახულება, რომელიც წააგავს გენეალოგიურ ხეს.

სტემატიკა (stemmatics) – ტექსტის წყაროთა გენეტიკური ურთიერთმიმართების სტემატური გამოსახვის პრინციპები და პრაქტიკა.

სტემატური წაკითხვები (stemmatic readings) – ტექსტის რამდენიმე მონათესავე წყაროს ვარიანტული წაკითხვები.

სუფთა ტექსტი (clear text) – ტექსტი სარედაქციო შენიშვნების, სიმბოლოებისა და ჩანართების გარეშე.

სწორება (emendation, Эмeндация) – ძირითად ტექსტში სწორების შეტანა სხვა ვარიანტული წაკითხვებიდან, ან კონიექტურის სახით.

სხივური კითხვა (Radial reading) – როდესაც მკითხველი გარეგანი კვლევა-ძიებით (მაგალითად, ჰიპერტექსტებით, სქოლიოებით, სარჩევით, საძიებლებით, ჯვარედინი მითითებებით და სხვ.) ეცნობა ტექსტს უფრო დიდ კონტექსტში. ასეთი კითხვა სცილდება მხედველობის არის საზღვრებს და იკვლევს იმასაც, რაც მთავარ ტექსტში არ არის მოცემული.

ტექსტი (text) – სიტყვებისა და მათთან დაკავშირებული გრაფიკული გამოსახულებების ერთობლიობა, რომელიც წარმოდგენილია დოკუმენტში, ან გადმოცემულია რომელიმე მედია საშუალებით.

ტექსტის ავტორიტეტულობა (authority of a text, авторитет текста) – მახასიათებელი, რომელიც განსაზღვრავს, თუ რამდენად ასახავს ტექსტი ავტორის ნებას.

ტექსტის ბიბლიოგრაფია (textual bibliography) – ტექსტოლოგიაში გამოყენებული ანალიტიკური ბიბლიოგრაფია.

ტექსტის გენეზისი (genesis of a text) – ტექსტის წარმომავლობისა და განვითარების ისტორია.

ტექსტის კრიტიკა (textual criticism) – ქალაღმე, ეტრატმე, პაპი-რუსზე, ან მსგავს მასალაზე შესრულებული ტექსტის (გარდა ოფიციალური დოკუმენტებისა) იდენტიფიცირება პირველწყაროსთან მაქსიმალურად მიახლებული ფორმით, მისი ტრანსმისიის კვლევა და ამ ინფორმაციის ინტეგრირება აკადემიურ გამოცემაში.

ტექსტის კრიტიკოსი (textual critic / textualist, критик тек-

ста) – მეცნიერი, რომელიც ამზადებს კრიტიკულ გამოცემას და ტექსტის იდენტიფიცირებისას, საჭიროების შემთხვევაში, შეაქვს მასში სწორებები.

ტექსტის სიზუსტე (textual accuracy, **текстуальная точность**) – ორიგინალთან შესაბამისობა, რომელიც აუცილებელია, მაგალითად, ტრანსკრიპტის კეთებისას.

ტექსტოლოგი (textual scholar / textual theorist, **текстолог**) – მეცნიერი, რომელიც იკვლევს ტექსტოლოგიურ საკითხებს და ასრულებს ტექსტოლოგიურ ამოცანებს.

ტექსტოლოგია (textual scholarship) – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგი, რომელიც სწავლობს ისტორიულ-კულტურული ღირებულების მქონე ტექსტებს, აყალიბებს კვლევის საგანთან დაკავშირებულ თეორიულ დებულებებს, შეიმუშავებს წყაროების შესწავლის, შემოქმედებითი ისტორიის რეკონსტრუქციისა და კრიტიკული ტექსტის დადგენის პრინციპებსა და მეთოდებს და პრაქტიკულად ახორციელებს ამ ამოცანებს.

ტექსტოლოგიური კვლევები (textual studies) – ტექსტის გენეზისთან, ტრანსმისიასა და რედაქტირებასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის კვლევა.

ტექსტუალური მოძღვრება (textual scholarship / textual studies) – ერთი განმარტებით იგივეა, რაც ტექსტოლოგია, მეორე განმარტებით ეს არის საერთო სახელწოდება მეცნიერებათა ჯგუფისა, რომელიც მიზნად ისახავს ტექსტებისა და ფიზიკური დოკუმენტების აღწერას, ტრანსკრიფციას, გამოცემასა და ანოტირებას. მოიცავს ისეთ დისციპლინებს, როგორებიცაა: ტექსტის კრიტიკა, სტემატოლოგია, პალეოგრაფია, გენეტიკური კრიტიკა, ბიბლიოგრაფია, წიგნის ისტორია და სხვ. ასევე სხვადასხვა სახის მატერიალური წყაროს შესწავლაზე ორიენტირებულ დისციპლინებს: ეპიგრაფიკა, კოდიკოლოგია და დიპლომატიკა.

ტექსტუალური ტრადიცია (textual tradition) – ერთი და იმავე ტექსტის ყველა არსებული წყარო.

ტექსტური მოწმე (witness) – დოკუმენტში წარმოდგენილი ტექსტის მდგომარეობა, რომელიც ასახავს მისი განვითარების ეტაპს და ასაკით შეიძლება თავად დოკუმენტზე ბევრად უფრო ადრეული იყოს.

ტრანსვერსული გამოცემა (Transversal edition) – გამოცემა, რომელიც ცდილობს, მოაწესრიგოს და გამოსცეს დაუმთავრებელი თხზულებები.

ტრანსკრიპტი (transcript) – ხელნაწერი, კომპიუტერში აკრეფილი, მანქანაზე, ან სტამბურად ნაბეჭდი დოკუმენტი, რომელიც სიტყვა-სიტყვით გადმოგვცემს ტექსტს.

ტრანსლიტერაცია (transliteration) – ტექსტის ტრანსკრიპტის შექმნა დოკუმენტისგან განსხვავებული ანბანით, მაგ., ქართული დამწერლობის ტექსტის წარმოდგენა ლათინურით.

ტრანსმისია (transmission, трансмиссия) – ტექსტის გადაწერა, მანქანაზე აკრეფა, კომპიუტერში შეყვანა, ან ბეჭდურად გამოცემა, რაც ემსახურება მის გამეორებას, მაგრამ არ არის გამორიცხული მიზანდასახული, ან შემთხვევითი ცვლილება. შესაბამისად, ტერმინში არ მოიაზრება ფოტო და ქსერო ასლი, ან ფოტოტიპური გამოცემა.

ტრივიალიზაცია (trivialization) – გადამწერების, ტექსტის ამკრეფებისა და ასოთამწყობების ტენდენცია, რთული სიტყვები, გრამატიკული სტრუქტურები, ფორმატი და სხვ., წარმოადგინონ მათთვის უფრო ნაცნობი და ხელმისაწვდომი სახით.

ფალსიფიკაცია (falsification, фальсификация) – ტექსტის განზრახ გაყალბება, ან ავტორობის სხვისთვის მიწერა.

ფაქსიმილური გამოცემა (facsimile edition) – ორიგინალის ფოტოგრაფიული რეპროდუქცია, რომელიც ინარჩუნებს მის შიდა და გარე მახასიათებლებს.

ფოლიაცია (foliation, полиация) – პაგინაციისგან განსხვავებით, წიგნის, ან ხელნაწერის არა გვერდების, არამედ ფურცლების დანომვრა.

ფონტი (font) – კონკრეტული ზომისა და დიზაინის გრაფიკათა მთელი კომპლექსი პუნქტუაციისა და დიაკრიტიკული ნიშნების ჩათვლით.

ფოქსინგი (foxing, фоксинг) – ქაღალდის სიძველის გამო ქიმიური რეაქციით გამოწვეული დაზიანება.

ფურცელი (leaf) – ორი გვერდის მომცველი საწერი, ან საბეჭდი მასალა.

ყრმობისდროინდელი ტექსტები (juvenilia) – ავტორის მიერ ბავშვობაში შექმნილი ტექსტები.

შერყვნა / დამახინჯება (corruption, искажение текста) – სხვა პირის მიერ ტექსტში შეტანილი უხეში ცვლილება.

შეცდომა (error, ошибка) – ტექსტში არსებული უზუსტობა.

შეჯერება / კოლაცია (collate, колляция) – ტექსტების ერთმანეთთან შედარება სხვაობათა გამოვლენის მიზნით.

შრიფტის ზომა (type size) – ასო-ნიშნების ზომა წერტილოვან სისტემაში.

შრიფტის სახე (typeface) – განსხვავებული დიზაინის საბეჭდი შრიფტი, მაგ., აკადნუსხური, აკადმთავრული, ლიტნუსხური და სხვ.

ძირითადი ტექსტი (copy-text, base text) – კონკრეტულ წყაროში დაცული ტექსტი, რომლის ავტორიტეტულობის საწინააღმდეგოდ არაფერი მეტყველებს. ვარიანტების აღნუსხვისას მას უდარდება სხვა წყაროები, მის მიხედვით კეთდება კომენტარები და ანოტაციები.

წერითი პაუზა (scriptorial pause) – ავტორის მიერ ტექსტის წერის შეწყვეტა და გარკვეული (მოკლე, ან ხანგრძლივი) დროის შემდეგ გაგრძელება.

წრფივი კითხვა (Linear reading) – ტრადიციული კითხვა, როდესაც გრაფიმიდან გადავდივართ სიტყვაზე, შემდეგ წინადადებაზე და ტექსტის შემადგენელ უფრო დიდ სტრუქტურულ ერთეულებზე.

ჭვირნიშანი (watermark) – გრაფიკა, ან გრაფიკული გამოსახულება,

რომელიც ჩანს მხოლოდ მაშინ, როცა ცალკეულ ფურცელს სინათლეზე გავყურებთ.

ჭილი / პაპირუსი (papyrus) – მცენარე, რომლისგანაც ძველ დროში ამზადებდნენ საწერ მასალას.

ხარვეზი / ლაკუნა (lacuna, лакуна) – ტექსტის ნაკლული: დაზიანებული, ან გამოტოვებული ადგილი.

ხელმოწერა (inscription, подпись) – წიგნის თავში, ან ბოლოში ავტორის, მფლობელის, ან შემომწირველის მიერ მიწერილი თავისი სახელი, თარიღი, ან შენიშვნა.

ხელნაბეჭდი წიგნი (hand-printed book, рукопечатная книга) – ხელით ნაწერი, მკაფიო, გადაუბმელი, ბეჭდური ასოებით შესრულებული წიგნი.

ხელწერა (hand / script) – კონკრეტული ადამიანის წერის მანერა, ინდივიდუალური სტილი.

ჯვარედინი მითითება (cross-reference, перекрестная ссылка) – მითითება ტექსტზე, რომელიც ან ამავე დოკუმენტშია სხვა ადგილას, ან სხვა დოკუმენტშია. მაგ., როცა სიტყვა „იხ.“ გადაგვამისამართებს სხვა ადგილას.

ჰაპლოგრაფია (haplography, гаплография) – იმ ელემენტების (მარცვლის, სიტყვის და სხვ.) მხოლოდ ერთხელ დაწერა, რაც ტექსტში ორჯერ უნდა ყოფილიყო გამეორებული.

ჰედლაინი (headline) – ნაბეჭდი გვერდის ზედა ხაზი, რომელზეც აღბეჭდილია სათაური და პაგინაცია.

ჰიპერარქეტიპი (hyparchetype) – რეკონსტრუირებული ტექსტი, რომლიდანაც მომდინარეობს ხელნაწერთა ჯგუფი და რომელსაც, თავის მხრივ, ვიყენებთ წყაროდ უფრო ადრეული არქეტიპის აღსადგენად.

ჰიპერტექსტი (hypertext) – ელექტრონული ტექსტი, რომელიც მიბმულია მთავარ ტექსტზე და გვაძლევს სხივური კითხვის საშუალებას. თუ ასეთი

სახით ტექსტზე მიბმულია ბგერითი მასალა, გამოსახულებები, ანიმაცია და სხვ., მას ასევე ჰიპერმედიასაც ვუწოდებთ.

ჰიპოთეზა (hypothesis) – სტემა, რომელიც ტექსტურ მოწმეებს, ან ვარიანტებს გენეალოგიურად აკავშირებს ერთმანეთთან.

ჰორიზონტალური გამოცემა (horizontal edition) – გამოცემა, რომელიც ახდენს წერის პროცესის ერთი კონკრეტული ფაზის რეკონსტრუქციას. მაგ., ავტორის უბის წიგნაკებს, როგორც წესი, არა აქვს ვარიანტები და მათი გამოცემა იქნება ჰორიზონტალური.

ილუსტრაციების სია

- №1. რაფიელ ერისთავის ავტოგრაფი, რეფლექსური გრაფიკით, სლმ 28896-4.
- №2. გრიგოლ ორბელიანის წერილი ალექსანდრე დიმიტრის ძე საგინაშვილისადმი, სლმ, 16265-4.
- №3. ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელწერისთვის დამახასიათებელი გრაფემების ტიპურ მოხაზულობათა ცხრილი.
- №4. ილია ჭავჭავაძის ხელწერისთვის დამახასიათებელი გრაფემების ტიპურ მოხაზულობათა ცხრილი.
- №5. გალაკტიონ ტაბიძის ხელწერისთვის დამახასიათებელი გრაფემების ტიპურ მოხაზულობათა ცხრილი.
- №6. ვაჟა-ფშაველას პოემის „გიგლია“ შავი ავტოგრაფი, სლმ, 15622 (6).
- №7. გალაკტიონ ტაბიძე, „გამახსენდები და ისევ ზღვა მომენატრება“, ავტოგრაფი, ნასწორები, სლმ, 862/2.
- №8. გალაკტიონ ტაბიძე, „ასპინძა“, ავტოგრაფი, ნასწორები, სლმ, 862/1.
- №9. ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის მიერ თარგმნილი შექსპირის „მეფე ლირი“, ნაწერი და ნასწორები ორივე მთარგმნელის მიერ, სლმ, 20845,1.

- №10. კირილე ლორთქიფანიძის მიერ ჩაწერილი აკაკი წერეთლის ლექსი „შამილის სიზმარი“, სლმ, 25909.
- №11. ალექსანდრე ყაზბეგის „გრძნობა და მოვალეობა“, ხელნაწერი, ავტორის მიერ ნასწორები, სლმ, 17981.
- №12. გალაკტიონ ტაბიძე, „უკანასკნელი მატარებელი“, შავი ავტოგრაფი, სლმ, 776.

№3: ნიკოლოზ ბარათაშვილის ხელწერისთვის დამახასიათებელი გრაფემების ტიპურ მოხაზულობათა ცხრილი





სტ ბ: ტი ტკ ტე ტს ტრ
 უ: ულ ულა უღ უც უყ
 უნ უშ უწ ფ: ფლ
 ფლა ქ: ქე ქნ ქვ
 ქს ღ: ღა ღა ღეს ყ: ყი
 ყა ყდ შ: შე შვ შხ შვი
 ჩ: ჩა ჩლ ც: ცხ ცი ცე ცე ძ: ძი
 ძა ძრ წ: წი ქ: ქა ქი
 ქრ ქუ ქე ხ: ხი ხი ხე ხე
 ჯ: ჯა ჯა ჯა ჯა ჯა ჯა

№5: გალაკტიონ ტაბიძის ხელწერისთვის დამახასიათებელი გრაფემების ტიპურ მოხაზულობათა ცხრილი



მე მა მს მლ ნ: ნ ინ ძნ

ან თ: თ გო შო ობ პ: ქ

ქო რ: რე არ არ რგ რა რ რო

ს: ს მს სე სო სა სის მს

ბს ის ტ სტ ტრ უ

ბუ უბ ულ ფ: ფ ოფ

ფლ ქ: აქ ქვ ქრ ღ: აღ

ყ: შ: შო შე ში ჩ: ჩე ჩე

ჩი რჩ ც: ცი ცე აც

ცხ ძ: ძა ძნ წ: წე ჯ: ხ: ხ

ახ ხი ხე უხ თხ ჯ: ჯ კ

შამილს იამაღი. (*)

შუა ღია ვეზირთი შიგე,
ბუჩქნარსა ხიფსა ბეჭეთს შიგე (ყვე,
შია, ია ვაღანი, უკოი შიგე
ყვეთა შიგე შიგე ბეჭეთს იამაღი.

ია ვეზირთი ვეზირთი
ია ვეზირთი ვეზირთი
ია ვეზირთი ვეზირთი
ია ვეზირთი ვეზირთი

ია ვეზირთი ვეზირთი
ია ვეზირთი ვეზირთი
ია ვეზირთი ვეზირთი
ია ვეზირთი ვეზირთი
ია ვეზირთი ვეზირთი
ია ვეზირთი ვეზირთი
ია ვეზირთი ვეზირთი
ია ვეზირთი ვეზირთი

(*). ეს ლექსი დაიწერა იმის დროს, როდესაც იამაღი იყო
დაიბნეოდა შამილის ბეჭეთს შიგე. იამაღი
ია, იამაღი იამაღი, იამაღი, იამაღი
ია ვეზირთი ვეზირთი
ია ვეზირთი ვეზირთი.

հանձնար անձինք թափա, չորսուս թ զարտ
 Ժ թափա զարտ չա չախարհք:

Թ ինչա զարտ, զարտ զարտ
 Ժ ինչա զարտ (x), զարտ զարտ
 Ժ ինչա զարտ: զ զարտ զարտ զարտ
 Ժ զարտ զարտ զարտ զարտ: -

Ժ ինչա զարտ զարտ զարտ զարտ
 զարտ զարտ զարտ զարտ զարտ
 Ժ զարտ զարտ զարտ զարտ: (3)

Ժ զարտ զարտ զարտ զարտ,
 զարտ զարտ զարտ զարտ զարտ,
 Ժ զարտ զարտ զարտ զարտ զարտ
 Ժ զարտ զարտ զարտ զարտ զարտ:

Ժ զարտ զարտ զարտ զարտ զարտ!
 Ժ զարտ զարտ զարտ զարտ զարտ.
 Ժ զարտ զարտ զարտ զարտ զարտ, (4).

- (x) զարտ զարտ զարտ...
- (2) զարտ զարտ զարտ.
- (3) զարտ զարտ զարտ զարտ զարտ զարտ:
 Ժ զարտ զարտ զարտ զարտ զարտ
 զարտ զարտ զարտ զարտ զարտ,
 Ժ զարտ զարտ զարտ զարտ զարտ զարտ
 զարտ զարտ զարտ զարտ զարտ.
- (4) զարտ զարտ զարտ,

სარჩევი

შესავალი	5
I თავი: თანამედროვე ტექსტოლოგია	9
ძირითადი ტერმინის განმარტებისათვის	9
ტერმინ `ტექსტოლოგიის` ინგლისური ალტერნატივები	13
დარგობრივი ტერმინოლოგია	16
ტექსტოლოგიის მომიჯნავე დისციპლინები	25
ტექსტოლოგიური პრინციპები	31
ავტორის ნება და ტექსტის ავთენტურობა	31
თვითცენზურა და მისი სწორება	36
რედაქტორისეული ცვლილებები და საგამომცემლო სტრატეგია	38
ორთოგრაფია და პუნქტუაცია	40
აკადემიურ გამოცემაში მასალის ორგანიზებისა და სამეცნიერო აპარატის შედგენის პრინციპები	44
დავალებები	47
დამატებითი ლიტერატურა	49
II თავი: ტექსტოლოგიური კვლევის მეთოდები	51
ინდუქციური და პიპოთეტიკურ-დედუქციური მეთოდები	51
გამორიცხვის მეთოდი	53
კორპუსული კვლევის მეთოდი	55
კომპლექსური ატრიბუციული კვლევა	56
გენეალოგიური მეთოდი და მისი თანდათანობითი განვითარება	61
ნოსტემატური მეთოდი	66
კოჰერენტულობაზე დამყარებული გენეალოგიური მეთოდი	66
სტილემეტრია	76
ხელნაწერის ამოკითხვის ეტაპობრივ-შრეობრივი მეთოდი	76
სხვა მეთოდები	83
დავალებები	85

დამატებითი ლიტერატურა	86
III თავი: თხზულებათა წყაროები	88
ხელნაწერები	88
<i>ხელნაწერთა დაცვა-შენახვის მნიშვნელობა</i>	<i>89</i>
<i>საქართველოს ხელნაწერთა საცავები</i>	<i>91</i>
<i>უცხოეთის ხელნაწერთა საცავების ქართული კოლექციები</i>	<i>95</i>
<i>არქივებში დაცული გამოუქვეყნებელი ტექსტები</i>	<i>97</i>
<i>თხზულების გეგმა, ესკიზები და შავი ხელნაწერები</i>	<i>101</i>
<i>ხელნაწერში დაცულ ტექსტურ მოწმეთა ანალიზი.....</i>	<i>104</i>
ნაბეჭდები	122
<i>ბიბლიოთეკების საცავები და კატალოგები.....</i>	<i>122</i>
<i>პუბლიკაციების სანდოობის საკითხი</i>	<i>123</i>
დავალელები	131
დამატებითი ლიტერატურა	132
IV თავი: ტექსტოლოგიის წვლილი აკადემიურ გამოცემაში.....	134
გამოცემის კონცეფცია და სტრატეგიული გეგმა.....	136
ბიბლიოგრაფიის შედგენა	136
გამოცემის გეგმა-პროსპექტი	138
<i>ტექსტების ურთიერთმიმართება.....</i>	<i>138</i>
<i>მასალის კლასიფიკაცია.....</i>	<i>142</i>
<i>ჟანრებისა და ქრონოლოგიის მიხედვით მასალის დალაგება.....</i>	<i>146</i>
სპეციფიკური რუბრიკები	152
ძირითადი წყაროს არჩევა.....	153
კანონიკური ტექსტის დადგენა	154
სამეცნიერო აბარატი.....	157
<i>ტექსტოლოგიური პასპორტი</i>	<i>158</i>
<i>ვარიანტები და ვარიანტული კორპუსი</i>	<i>158</i>
<i>რედაქციები.....</i>	<i>160</i>

ტექსტოლოგიური შენიშვნები.....	163
კომენტარი და მისი სახეები	164
საძიებლები	179
დავალებები	182
დამატებითი ლიტერატურა	183
V თავი: ფუნდამენტური ტექსტოლოგიური კვლევები	185
ატრიბუცია	185
ავტორობის საკითხი სხვადასხვა ეპოქაში	185
ფალსიფიკაცია და ინტერპოლაცია.....	188
ატრიბუციის სანდოობის ხარისხი.....	190
კომპლექსური ატრიბუციული კვლევა.....	194
თარგმნილი ტექსტის ავტორობის დადგენა	200
დათარიღება	205
გრაფოლოგიური და ენობრივი ანალიზი.....	205
ფართო და წყვეტილი თარიღები.....	207
დროის ქვედა და ზედა ზღვარი	208
მხატვრული ტექსტების დათარიღება	212
წლის დადგენა დღისა და რიცხვის, ან დღესასწაულის მიხედვით.....	217
თარიღის დადგენა მოვლენათა ისტორიულ-შედარებითი ანალიზით	218
ბიოგრაფიული დეტალების მიხედვით დათარიღება	221
კორპუსული კვლევით დათარიღება	222
თხზულებათა შემოქმედებითი ისტორია	227
ავანტეესტი	227
პრეტეესტი.....	228
თხზულების შექმნის შემოქმედებითი იმპულსი	239
მოთხრობის შემოქმედებითი ისტორია	250
კვლევები ადრესატის დასადგენად	271
ლექსების ადრესატები	271

პირადი წერილების ადრესატები	280
კრიპტოგრამების გახსნა	282
კვლევები ტექსტის კომენტირებისათვის.....	300
ტექსტში მოხსენიებულ პირთა იდენტიფიკაცია	302
ტექსტოლოგიური კვლევების გამოყენება სხვადასხვა მიზანდასახულობით	305
მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მათიანის შედგენა.....	305
საფუძვლის მომზადება ლიტერატურათმცოდნეობითი ანალიზისთვის.....	306
სხვა მიზნები	312
დავალებები	316
დამატებითი ლიტერატურა	317
VI თავი: ციფრული ეპოქის ტექსტოლოგია	319
ტექსტის გაციფრულება, ფორმატირება და რედაქტირება	320
ხელნაწერის ტრანსკრიპტი და სამეცნიერო აპარატი.....	324
ცვლილებები ტექსტოლოგიურ პრაქტიკაში	326
ცვლილებები კვლევის მეთოდებსა და ტექნოლოგიებში	339
ტექსტოლოგია და ელექტრონული აკადემიური გამოცემა	345
დავალებები	350
დამატებითი ლიტერატურა	352
გლოსარიუმი	354
ილუსტრაციების სია	379